

ქართული
ხალხური
კოფხია

ტომი
პირველი

გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი

1 9 7 2

მითოლოგიური

ლექსები

ნაკვეთი
პირველი

გამომცემლობა «მეცნიერება»

თბილისი

1 9 7 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
უმოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

Г₁+Г_ф
899.962.1—1+328.2(479.22)
ქ 279

სარედაქციო კოლეგია:

ელენე ვირსალაძე, ქსენია სისარულიძე,
მისეილ ჩიქოვანი (მთავარი რედაქტორი)

ტომის შემდგენელი:

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მიხეილ ჩიქოვანი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ შამანაძე

წინასიტყვაობა

ხალხური პოეზიის სრული კორპუსის გამოცემა მარადსახსოვარ მოვლენას წარმოადგენს. ეს ითქმის თითოეული ეროვნული პოეზიის მიმართ, რომელ ხალხსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ცალკე კრებულებისა და ნაწარმოებების გამოქვეყნებას არ შეუძლია შექმნას ის შთაბეჭდილება და სახელმძღვანელოება, რაც ზეპირსიტყვიერებას კულტურის ისტორიაში ეკუთვნის. ფართო მასების პოეტურ გენიას მცირე მინიატურებიდან დაწყებული—ვრცელ პოემებამდე იმდენი ხელისელსაგომანებელი მარგალიტი შეუქმნია, რომ მათი მთლიანი ტომეულების გარეშე დატოვება თუ მეტი არა, წინაპართა მხატვრული მემკვიდრეობის დაუფასებლობას მაინც ნიშნავს. ჩვენს დროს, XX საუკუნის 70-იან წლებში ასეთი გულგრილობა კარგის მაჩვენებლად ვეღარ ჩაითვლება. ამის გამო ბუნებრივად გასაგებია ის მზარდაქტერა და გულმხურვალე გამოხმაურება საზოგადოებრიობის მხრივ, რომელიც ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულის გამოცემის იდეამ პოვა.

ამ ვითარებას თუ კვლავ აღვნიშნავთ, ამას ჩავდივართ არა იმისთვის, — უკვე გადაჭრილ და აღიარებულ საკითხებს ხელახლა დავუბრუნდეთ, არამედ იმ მიზნით, რომ ყურადღება გავამახვილოთ ხალხური პოეზიის შინაგან ბუნებაზე, მის მრავალფეროვან ყანრებსა და მარადიულ სახეებზე, თანაც საერთო მსჯელობიდან საუბარი კონკრეტულ მასალაზე გადავიტანოთ და მის დიაქრონიულ გამოკვლევას შევუდგეთ. ამით იმის თქმაც არ გვინდა, თითქოს ჩვენში ხალხურ-პოეტურ შემოქმედებას ადრე არ სწავლობდნენ. არა, მსგავსი ნაბიჯი უმართებულო იქნებოდა როგორც თანამედროვე მკვლევართა, ისე წინამორბედთა ღვაწლის დაფასების თვალსაზრისით. ხალხური პოეზიის ფილოსოფიური და ესთეტიკური პრობლემემატიკის სრული განხილვა შეუძლებელია ეროვნული მარაგის მთლიანი გამოცემის გარეშე, უკანასკნელის ყველასთვის ხელშესახებ საკითხავ მასალად ქცევის

გარეშე. აზრი უფრო გასაგები იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული ხალხური პოეზიის კორპუსის შექმნის ამოცანის თანამედროვე დონეზე დაყენება და განხორციელება, თუნდაც მარტო ტექსტოლოგიურ ფარგლებში, უკვე მოასწავებს თვით ამ პოეზიის გამოკვლევის ახალ საფეხურს, ქართული ფოლკლორისტიკის განვითარების მანამდე უცნობი პორიზონტების გამოჩენას.

ფოლკლორული პოეზია, ანუ ლექსის ფორმით შექმნილი ხალხური ნაწარმოებების მთელი მარაგი, საქართველოში საქმარისად დიდია. დიდი არის არა მხოლოდ რაოდენობით, არამედ სიღრმით, სახეობრივი აზროვნების პათოსით, მოვლენების წვდომითა და მხატვრული გამოგონებლობით, სიტყვის ხელოვნებით. მოიპოვება სხვადასხვა ეპოქასა და განსხვავებულ იდეოლოგიურ გარემოში შექმნილ ნაწარმოებთა ათეული ათასობით ჩანაწერი. მცირეა ისეთი ნაწარმოებების რიცხვი, რომლებიც ჩვენამდე მოღწეული იყოს მხოლოდ ერთი ჩანაწერით, ერთადერთი ვარიანტის სახით. ეს გარემოება უკვე იმის მაჩვენებელია, რომ შემკრებლობითი ფოლკლორისტიკა ჩვენში მაღალ დონეზე იდგა და სრული კრებულის გამოცემის რეალური შესაძლებლობაც ნამდვილად არსებობს.

ეროვნული ფოლკლორული მარაგის გამომზეურება, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს, აუცილებლად მოითხოვს ნაირფეროვანი მასალის შინაგან გამოიჯნას, მტკიცე ჟანრობრივ თუ თემატიკურ კლასიფიკაციას. ქართული პოეზიის მრავალტომეულის შექმნა ამჟამად სწორედ ასეთი დასაბუთებული კლასიფიკაციის საფუძველზე მიმდინარეობს.

ამ კრებულის შემდგენლებს წილად გვერგო მითოლოგიური და საწესჩვეულებო ლექსების შერჩევა და დამუშავება, გამოსაცემად მომზადება. თავიდან ჩვენი საქმიანობა არსებული ჩანაწერების გაცნობით, ხალხში ზეპირად გავრცელებული ლექსების შეკრებითა და სისტემატიზაციით დაიწყო.

პირველ ყოვლისა გასარკვევი იყო, თუ რა წყაროების მიხედვით შეგვექმნა ტომი. ტექსტობრივი მარაგის გამომჟღავნების გზით ისიც თავიდანვე უნდა გადაგვეწყვიტა, ხალხური პოეზიის ორი მონათესავე სფერო ერთად წარმოგვედგინა თუ გავვეყო. მუშაობის პროცესში აშკარა გახდა, რომ ქართული უძველესი მითოლოგიური და საწესჩვეულებო პოეზიის სრული მარაგის ერთ წიგნში მოთავსება შეუძლებელია ნიმუშების სიმრავლისა და ვარიანტულობის გამო. მიზნის შესაბამისად მასალის პირველადი კლასიფიკაცია მხოლოდ ამ ორი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჟანრის ურთიერთგამიჯნით დაიწყო. როცა დაჯგუ-

ფდა ცალკე მითოლოგიური და ცალკე საწესჩვეულებო ლექსები, მერე პირველს დავუბრუნდით და მისი მარაგის შინაგანი თემატიკური განლაგება მოვახდინეთ.

არც ისე ადვილი აღმოჩნდა წიგნის სტრუქტურის შემუშავება. ახლა მას შემდეგი სახე აქვს: წინასიტყვაობა, შესავალი გამოკვლევა, ძირითადი ტექსტები, შენიშვნები და ვარიანტები, ლექსიკონი, საძიებლები. რა თქმა უნდა, ტომის ხერხემალს ძირითადი ტექსტი წარმოადგენს. ამ ნაწილის მთავარი ამოცანა სიუჟეტებისა და თემების სრული რაოდენობით შერჩევაში მდგომარეობს. ჩვენ შევეცადეთ, ტომის ვარეშე არ დარჩენილიყო არც ერთი მითოლოგიური ლექსი და სიმღერა, რომელიც ან ძირითად ტექსტებში არ შევიდოდა დამოუკიდებელი სიუჟეტის სახით, ანდა აღრიცხული არ იქნებოდა შენიშვნებში, ვით ბიბლიოგრაფიული ერთეულა და ვარიანტი. ასეთი პირობის დაცვა მრავალი სიძნელის გადალახვას მოითხოვდა. საკმარისი არ აღმოჩნდა საარქივო და ნაბეჭდი წყაროების შემოწმება, აუცილებელი შეიქნა საქართველოს ყველა კუთხის თანამედროვე ვითარების შესწავლა, მათი სპეციალური ჩამოვლა. ამას მიახლოებით მივალწიეთ იმ ექსპედიციების მეშვეობით, რომლებიც ნოეწყო უკანასკნელ წლებში და მთლიანი ფოლკლორული მეთოდით მუშაობდნენ.

რა წყაროებს ვემყარებით ქართული მითოლოგიური ლექსების ტომების შედგენის დროს?

ასეთი წყაროები შემდეგია: ა. სხვადასხვა არქივებსა და სიძველეთსაცავებში დაცული ჩანაწერები (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერების ინსტიტუტის ფონდები, ლიტერატურული მუზეუმი, ცენტრალური არქივი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები და უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების მასალები, კერძო კოლექციები); ბ. ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნებული ტექსტები და გ. ცოცხალი სინამდვილე. ამჟამად ზეპირბრუნვაში შემონახული ნიმუშები (ექსპედიციებისა და მივლინებების მეოხებით შეგროვილი, ინდივიდუალურ შემკრებთა და ლაშქრობის გზით მიღებული). თითოეული ეს წყარო გვერდაუვლელი და ძვირფასია. ჩვენ ყველგან უხვად ვპოულობდით მასალას. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ახლად ჩაწერილი ტექსტების მნიშვნელობა, იმ ჩანაწერების მნიშვნელობა, რაც შესრულებულ იქნა 1960—1969 წლებში ზემო და ქვემო ქართლში, კახეთში, ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთსა და ხევში, თუშეთსა და თიანეთში, იმერეთსა და გურიაში, რაჭასა

და ლეჩხუმში, აქარასა, სამეგრელოსა და სვანეთში, საერთოდ საქართველოს მთასა და ბარში. ახლა სრული წარმოდგენა გვაქვს, რა ვითარებაა ამჟამად ზეპირსიტყვიერებაში, რამდენად არის გადარჩენილი წესჩვეულებრიობას მოკლებული ოდინდელი ტექსტები და როგორია ნაწარმოებთა გავრცელების არე. შეიძლება ითქვას, რომ ძველთაძველი, ფუნქციონალური თემებიც კი არაა საბოლოოდ აღმოფხვრილი მენსიერებიდან და დაკარგული. ასე, მაგალითად, კოპალასა და იახსარის თემაზე მოგვეპოვება 12 ახალი ჩანაწერი, სულეთისა და შავეთის ლექსებისა — 19, ხოლო მზესა და მთვარეზე — 16. თავისთავად ეს უკვე იმას მოასწავებს, რომ თვით მითოლოგიური ლექსების კრებულის გამოცემაც არ შეიძლება ზეპირსიტყვიერებაში თანამედროვე ვითარების გაუთვალისწინებლად, ხალხური პოეზიის სხვა ქანრებზე რომ არაფერი ვთქვათ.

საგულისხმოა, მითოლოგიური ლექსების უმთავრესი მასალა უკვე ცნობილი იყო ნაბეჭდი წყაროების მიხედვით, მაგრამ სიახლენი მაინც აღმოჩნდა უკანასკნელი წლების ჩანაწერებში. ასეთია, მაგალითად, ლექსი პირქუშის შესახებ, რომლის დასაწყისი ტაეპი მართალაა ემთხვევა იახსარის ლექსს (ღვთის კარზე შევიყარენით ღვთისშვილნი ყველა მხრისაო), მაგრამ შემდეგ დამოუკიდებელ ტექსტს შეიცავს და ბევრად გვირკვევს პირქუშის საძიებელ ბუნებასა და ფუნქციას წარმართულ პანთეონში. ამას ისიც შეიძლება დაეუმატოთ, რომ 1961 წელს პირქუშის თაობაზე საყურადღებო ცნობებს მივაკვლიეთ სამგორის მიდამოებში ჩამოსახლებულ ხევსურებს შორის და ზოგი ცნობათაგანი კიდევ გამოქვეყნდა ექსპედიციის ანგარიშის დაბეჭდვასთან ერთად, „ქართული ფოლკლორის“ პირველ—მეორე ტომებში. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა 1964 წლის ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციას, რომელმაც ახალი მასალები შეგვძინა სამძივარის, პირქუშის, ბერი ბაადურის, საჩალის გიორგისა და სხვათა შესახებ.

მითოლოგიური ლექსების უცნობი ნიმუშები XX საუკუნის გარდა აღრინდელ ჩანაწერებშიც აღმოჩნდა. ეს გარემოება იმაზე მიუთითებდა, რომ არსებული პუბლიკაციები არ ამოწურავდა მის მარაგს და აუცილებელი იყო ხელუხლებელი თუ ნაკლებშესწავლილი წყაროების მოკითხვა, სიძველეთსაცავების გულდასმით გადასინჯვა. მუშაობის პროცესში ზოგ მოულოდნელობას ჰქონდა ადგილი. საჭირო მასალა ისეთ შემკრებთა კოლექციებშიც იჩენდა თავს, რომელთა მემკვიდრეობა ჯეროვნად იყო მოვლილი უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. სანიმუშოდ ერთს დავასახელებთ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერების ინსტიტუტის რაზიკაშვილისეულ რვეულებში მიკვლეულ იქნა

უნიკალური ტექსტი, რომლის არსებობაზე 90-იანი წლებიდან არც მომპოვებელს გაუცხადებია რაიმე და არც შემკრების ღვაწლით დაინტერესებულ მკვლევარებს შეუჩერებიათ ყურადღება. ესაა თეოგონური შინაარსის ნაქადაგარი პოემა „ღვთიშვილთ დაბადება“. ტექსტი რიტუალური წარმოშობისაა, ჩაწერილია სიტყვასიტყვით; ხევისურ მთქმელს იგი ქადაგისაგან მოუსმენია. აქვე დიდმნიშვნელოვანი ტრადიცია გამჟღავნდა: საკულტო სიტყვიერებას, გამორჩევით კი ნაქადაგარ ლექსებს უხუცესთა თაობის წარმომადგენლები თურმე განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდნენ და ბეჯითად ინახავდნენ, ყველას არ უმხელდნენ. მხატვრული სიტყვის მიმართ ამგვარი ტაბუირებული დამოკიდებულება ხელს უწყობდა ნაწარმოებების შენარჩუნებას. ასე უნდა გვესმოდეს შემკრების ცნობაც: „მას (ე. ი. ღვთიშვილთ დაბადებას) „სხვას“ ჯევისური ადვილად არ აღირსებს“. მართლაც, „ღვთიშვილთ დაბადება“ კლასიკური თეოგონიური ძეგლია. მისი მეოხებით ნათელი ეფინება ძველთაძველი პანთეონის შემადგენლობას და უკვდავთა უფროს-უმცროსობას. ხევისურეთში შემორჩენილმა ნაწარმოებმა ორი ღვთაება — ბერი ბაადური და თეთრი მთის ქორი თერგვაული შემატა ქართულ მითოლოგიას, ხოლო მეცნიერებას საშუალება მისცა დაწვრილებით გაეთვალისწინებინა მათი ბუნება.

როგორც მკითხველი ხედავს, წიგნის თითოეული განყოფილება საკმაო რაოდენობის ნიმუშებს მოიცავს. მითოლოგიური ლექსი ყოველთვის არქაულ იერს ატარებს როგორც სიტყვიერი ქსოვილის, ისე სააზროვნო შეხედულებათა თვალსაზრისით. გაფანტული სახით ეს მასალა ნაკლებად ახდენდა ეფექტს. ახლა, როცა ერთად შეიკრიბა და დალაგდა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ქმნის, ერთგვარად ამძიმებს კიდევაც თანამედროვე ადამიანის გონებას თავისი სიძველით, წარმოდგენათა გავლილი საფეხურებით. აქედან წარმოდგება მასალის მრავალმხრივი მნიშვნელობა ისტორიის სხვადასხვა დარგების, მხატვრული სიტყვის განვითარებისა და ფოლკლორულ ქანრთა ევოლუციის თვალსაზრისით.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ქართველი კაცობრივად სხვადასხვაგვარად აღიქვამდა გარე სამყაროს, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, ავადმყოფობასა და ჯანმრთელობას, სამეურნეო და სულიერ ცხოვრებას. მისთვის პოეზია, მეცნიერება და რელიგია განუყოფელი იყო ცხოვრებისეული პრაქტიკიდან. ყოველივე ეს მდიდარ ასახვას პოულობდა სიტყვიერ ხელოვნებაში, უმარტივესი მაგიური ფორმულებით დაწყებული მაღალ-პოეტურ ჰიმნებამდე და ჰეროიკულ ძეგლებამდე. ვითვალისწინებდით რა

თითოეული ტრადიციული გამოთქმის თუ ლექსის მნიშვნელობას, ჩვენ მითოლოგიურ პოეტურ ნაწარმოებთა სრულ კრებულში ისეთი ტექსტების შემოტანაც არ ვითაკილეთ, რომელსაც აშკარად გამოხატული რიტმული პროზის ან განუვითარებელი ლექსის ფორმა ჰქონდა. რათა ამით ნიადაგი მოგვემზადებინა ისტორიული პოეტიკის პრობლემების გადასაწყვეტად.

ჩვენ შევეცადეთ კომენტარისა და ვარიანტების გარეშე არ დაგვეტოვებინა არც ერთი ლექსი. ხშირად ამგვარი ესკიზი თუ კომენტარი მოცულობით აღემატება ძირითად ტექსტს. ეს ნაშრომის ნაკლი არ არის. პირიქით, ბევრწილად ამაში ვხედავთ გამოცემის ღირსებასა და სამეცნიერო დონეს. ქართული ფოლკლორის პოეტური მარაგის აკადემიური გამოცემა ბუნებრივად მოითხოვს ამგვარ ჩაღრმავებასა და მრავალმხრივ ცნობებს. სისრულის თვალსაზრისით, ალბათ, ამ ნაწილს ზოგი რამ კიდევ აკლია. მითოლოგიური პოეზიის საერთო მიმოხილვის გარეშე დატოვებაც მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ. ამის გამო კრებულს ისტორიულ-თეორიული ხასიათის ნარკვევი ახლავს.

ქართული მითოლოგიური პოეზია სრული სახით პირველად იბეჭდება. შემდგენლები იმედოვნებენ, რომ გულისხმიერი მკითხველი ბევრ სასარგებლო შენიშვნას გამოთქვამს, რასაც ისინი კმაყოფილებით მიიღებენ და გამოიყენებენ მომავალ მუშაობაში.

მიხეილ ჩიქოვანი

ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია

მითი მხატვრული ასახვის უძველესი ფორმაა. ამა თუ იმ სახით იგი ყოველთვის გარკვეულ როლს თამაშობდა ერის სულიერ ცხოვრებაში. ჩნდებოდა რა სიტყვიერი ხელოვნების პირველსავე საფეხურზე, მითი დროთა ვითარებაში თანდათან სისტემურ და ესთეტიკურად სრულყოფილ სახეს იძენდა. ახლა საყოველთაოდ აღიარებულია ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მითოლოგიას ჰქონდა ხელოვნებისა და ლიტერატურის მსოფლიო ისტორიაში. შემოქმედებითი თანაზიარობისა და სტიმულირების ურთულესი პროცესი შესანიშნავად აჩვენა კ. მარქსმა საბერძნეთის მაგალითზე. „ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც“,—წერდა იგი 1859 წელს¹. იქვე ისიც იყო გათვალისწინებული, რომ „ეგვიპტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ იქნებოდა ბერძნული ხელოვნების ნიადაგი და მშობლიური წაალი“². ამის მიხედვით გამოსაკვლევია თითოეული კულტურის ეროვნული ნიადაგი და წაალი, რაზედაც მხატვრული შემოქმედება ეფუძნება და იფურჩქნება. საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. ჩვენშიც ადგილი ჰქონდა იმავე პროცესებს, რაც საერთოდ დამახასიათებელია ხელოვნების განვითარების კანონზომიერებისათვის. მითოლოგიის შესწავლას, როგორც ვხედავთ, თავისთავად, დამოუკიდებელ მნიშვნელობასთან ერთად, მეორე მხარეც აქვს, ესაა მისი როლის ჩვენება ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით.

მითოლოგიისა და პოეზიის ურთიერთობის ანალიზი, ზოგად-თეორიულთან ერთად, მრავალ კერძო პრობლემასაც მოიცავს. თავიდანვე აუცილებელია ერთგვარი წარმოდგენა შევიმუშაოთ საერთოდ ქართულ ხალხურ შემოქმედებაზე, მის რთულ ჟანრობრივ სტრუქტურაზე, შემდეგ კი ხელი მივყოთ მითოლოგიური სიტყვიერების ისტო-

¹ კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953. გვ. 296.

² იქვე, გვ. 297.

რიულ ასპექტში განხილვას. ასეთია კვლევა-ძიების დასახული გზა, შედეგებს კი გზადაგზა გავეცნობით.

ხალხური პოეზია ერის ცხოვრების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც თან სდევს მას არსებობის ყველა საფეხურზე. ჩნდება ხალხი თვითცნობიერი და ჩნდება მხატვრული სიტყვიერება. პოეზია და პროზა თავისი მრავალფეროვანი ენარებით. ცხადია, ზეპირ-სიტყვიერი შემოქმედების თავდაპირველი ნაწარმოებები შინაარსითა და ფორმით ნაკლებად ჰგვანან იმას, რაც განვითარების უმაღლეს საფეხურზე წარმოიქმნება, ისტორიული ცვლილებანი თვითონ მოითხოვენ განსხვავებულ ასახვასა და გააზრებას, მაგრამ ფოლკლორში მოქმედი თვითშენახვის კანონი საშუალებას აძლევს ხალხის მეხსიერებას დაიცვას ძველი მემკვიდრეობა ახლის პარალელურად. ამის გამო დღეს, XX საუკუნის 70-იან წლებში, ჩვენამდე მოღწეულია დიდძალი მასალა, რომელშიც თავს იჩენს სხვადასხვა ეპოქის ანარეკლი, ათეული და ასეული თაობების კოლექტიური თანავეტორობის ბრწყინვალე შედეგები. ერთი შეხედვით ხალხის ხსოვნა რაღაც უხილავ, განყენებულ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი საუკეთესო საცავს განასახიერებს, რომელშიც ერის ცოდნა და სიბრძნე, ფანტაზია და სინამდვილე უაღრესად კონკრეტული ნიმუშების სახით არის შემონახული. ესაა ათასი და ათათასი ნიმუში თითოეული ენარისა, პოეზია იქნება თუ პროზა; ათასი და ათათასი ძეგლი—შექმნილი საუკუნეების განმავლობაში და ჩაწერილი უკანასკნელი 100-150 წლის მანძილზე.

ქართველ ხალხს ოთხი ათასი წლის ისტორია მაინც აქვს. ამ ხანში ზეპირსიტყვიერებამ, განსაკუთრებით მისმა პოეტურმა ნაწილმა, ღრმა ცვლილებები განიცადა. მიუხედავად ენარობრივი მარაგის განუწყვეტელი გარდაქმნა-განვითარებისა (იხ. ამის შესახებ ჩვენი წერილები ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“, № 3, 1963 წ. და კრებულში „ქართული ფოლკლორი“, 1964 წ.), საშუალება გვაქვს ძირითადად მაინც გამოვყოთ თითოეული ეპოქის დამახასიათებელი სიტყვიერება და მის ხასიათზე ვიმსჯელოთ.

ეპოქა და ხალხური სიტყვიერება ყოველთვის მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. კოლექტიური ავტორის წარმომსახველობითი გენია მუდმივ მოქმედებაშია და ცხოვრების ყოველ კუნჭულს წვდება. ზეპირსიტყვიერებისათვის არ არსებობს დიდი და პატარა თემა; მისთვის უცხოა მოღური გატაცება ან საგნისადმი ეინდაკრული მიდგომა და არაობიექტურობა. სახალხო მომღერალი კონკრეტულია შემოქმედებაში. იგი უაღრესად განყენებულ ირეალურ საგნებსაც კი მისთვის

ნაცნობ ფორმებში წარმოადგენს და შემდეგ ჰხვევს სათანადო სიტყვიერ სამოსელში, ანიჭებს რა რეალური სხეულის თვისებებს. ამგვარად, მოგონილსა და სინამდვილეს შორის თავისებური ურთიერთობა მყარდება ფოლკლორში; აქ შეთხზული, ფანტასტიკური, „მოგონილი ტყუილი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმის ცდაში არიან, რომ ერთმანეთთან ჰარმონიული კავშირი დაამყარონ, წაშალონ წარმოსახვის ობიექტთა შორის შეუფარდებლობა და შეუსაბამობა. ამით აიხსნება ფაქტი, რომ ფოლკლორული გმირი ყოველთვის სისხლსავესეა, ხორც-შესხმული და ადამიანური განცდის შედეგი.

მიუწვდომელი, კოსმოსური სხეულები ხალხურ შემოქმედებაში დედამიწაზეა ჩამოყვანილი, კეთილი და ბოროტი ღვთაებანი ადამიანთა შორის მოქმედებენ, შიშის აღმძვრელი უჩინარი სულები ზელფებასხმულნი მოძრაობენ და ირეალურის მაგიერ რეალურ სამყაროს ქმნიან. ყოველივე ეს ხალხური შემოქმედების თანდაყოლილი თვისებაა და ახლავს მას სხვადასხვა ეპოქაში. ამის გამო ამა თუ იმ ეპოქის კვალი გამჭრალი და დაკარგული კი არ არის ზეპირსიტყვიერებაში, არამედ მხოლოდ აღმოსაჩენი და გამოსამზებურებელი დაბეჭიფებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ეპოქას, ხალხის ცხოვრებისათვის არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, უკვალოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ ზეპირსიტყვიერება არაა ორგანიზებული და მოკლებულია დამწერლობისთვის დამახასიათებელ ტექნიკურ უპირატესობებს, იგი მაინც ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, უშუალო განცდით ასახავს და ობიექტური დამფასებლის როლში გვევლინება. ეს უკანასკნელი გარემოება ბევრ შემთხვევაში ფოლკლორს შეუცვლელი ისტორიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

ასეა აქაც, ჩვენი საკვლევი პრობლემის სფეროშიც. დღემდე ქართული მითოლოგიის ვერც ერთ მკვლევარს ვერ მოუხერხებია უძველესი პანთეონის აღდგენა მხოლოდ წერილობითი ან მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების საშუალებით. ამით იზას თქმა გვინდა, რომ გარდასულ ეპოქათა სურათის დახატვისას უძღურნი აღმოჩნდნენ ისეთი ავტორიტეტული წყაროებიც კი, როგორცია დამწერლობა და მატერიალური კულტურა. მეტნაკლებად მართალი იყვნენ და არიან ის სწავლულები, რომლებმაც მონაცემთა მთელი კომპლექსი გაითვალისწინეს და სანდო მასალათა შორის ფოლკლორული და მითოლოგიური ცნობებიც გამოიყენეს. ნათქვამიდან ისეთი დასკვნა არ უნდა გამოვტანოთ, თითქოს ახლა ვცდილობდეთ დაახებლებული სრული სურათის აღდგენას კომპლექსურ მონაცემთა საფუძველზე. არა, ამჟამად ასეთი გამაზოგადებელი ნაშრომის შექმნას არ ვისახავთ მიზნად. ჩვენ

უფრო კერძობითი ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი, სახელდობრ: რას გვაძლევს ხალხური პოეზია მითოლოგიური თვალსაზრისით, ან უკეთ: როგორაა წარმოდგენილი ძველი ქართული მითოლოგია ქართულსავე პოეზიაში.

მსჯელობის სიცხადისათვის საჭიროა ზოგიერთი ცნების ამთავითვე განმარტება. როგორ უნდა გვესმოდეს გამოთქმა: „სახალხო მგოსანი კონკრეტულია შემოქმედებაში?“ ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ის, ვინც ქმნის, ხმით გადმოსცემს თუ მოძრაობით განასახიერებს, შემოქმედების საგანს განიცდის, არარსებულსაც გრძობად ფორმაში წარმოადგენს და გონებით მასთან კავშირს ამყარებს. წარმოსახვისას, მხატვრული აღქმის პროცესში ხალხური მგოსნისა და შემსრულებლისათვის საგანი თავისთავად არ არსებობს, იგი აუცილებლად შემოქმედის თვალთაა დანახული და აქვს მისწრაფება ამგვარადვე უჩვენოს ყველას, მსმენელსაც და მაყურებელსაც. წვდომის სიძნელეს ირეალური მითოლოგიურ-რელიგიური საწყარო ქმნის განსაკუთრებით. ასეთია პირველ ყოვლისა ათასგვარი გამოგონილი სახეები და პერსონაჟები, რომლებიც ფოლკლორში ჯადოსნურ და ფანტასტიკურ სამყაროს მიეკუთვნებიან, თანაც მატერიალური სინამდვილის მიღმა დგანან. ამ ერთგვარი წინააღმდეგობიდან თავის დაღწევის მიზნით მეოთხედი საუკუნის წინათ ნათქვამ სიტყვებს გავიმეორებთ ახლაც: „რაც დღეს ხალხურ შემოქმედებაში ფანტასტიკურ ელემენტს წარმოადგენს, ოდესღაც ადამიანისაგან მიჩნეული იყო როგორც გარესამყაროს რეალური სურათი“³. ამისდა მიხედვით, განვითარების უძველეს საფეხურზე, მხატვრული შემოქმედების გარიჟრაჟზე, წინააღმდეგობა მოხსნილია რეალურსა და ფანტასტიკურს შორის მათი მთლიანობაში წარმოდგენის გამო. სინამდვილე ცნობიერებაში მის შემდეგ უპირდაპირდება წარმოსახულს, რაც უკვე შექმნილია, რომ, რასაც მითოლოგია და რელიგია მოგვითხრობს, მატერიალურ სამყაროში იმ სახით არ არსებობს; რაც გადმოცემით ვიცით, ის მყოფობით არასოდეს ქმნილა და მხოლოდ გონებრივი წარმოსახვის, ლალი ფანტაზიის ნაყოფი არის. რაკი პირველყოფილი ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია, სუბიექტიც მასთან ერთად აღიქმება და მათ შორის გაყოფილობა არ არსებობს. ადამიანი განვითარების ადრინდელ საფეხურზე ბუნებას არ უპირისპირებდა თავს, მასთან ჰარმონიაში იმყოფებოდა სულითაც და გულითაც. ესაა მოხმარებითი მეურნეობის დასაწყისი საფეხური, ჯოგური ყოფისა და შემეცნების პერიოდი. ამ დროს მხა-

³ ქართული ხალხური ზღაპრები, 1, 1938, შესავალი, გვ. LXII.

ტერული შემოქმედება როგორც ესთეტიკური ფენომენი არ არსებობს და, ცხადაა, მის გამო რაიმეს თქმაც არ შეიძლება. ფოლკლორი უფრო გვიან ჩნდება, როცა ადამიანებს შორის გარკვევით მყარდება სიტყვიერი ურთიერთობა და მოთხოვნილება წარმოიშობა, საოჯახო საგნებსა და შრომის იარაღებს სილამაზის ელფერი მიანიჭონ მაგიური თუ რიტუალური ფუნქციის გამო. მალე, ღაჭირება და რწმენა, მოვლენების შეუმოწმებლად მიღება, პრინციპად იქცევა. ამ დღიდან ადამიანზე ბატონობას იწყებს ის, რაც თვითონ ადამიანს საკუთარი გუნებით შეუქმნია და ხელით გამოუძერწავს. ბუნებრივი წარმოდგენა, არახელოვნური დამოკიდებულება საპირისპირო მიმართულებას იღებს, ფეტიშად იქცევა. ამ დროიდან მითოლოგიური წარმოდგენები რელიგიურის დონეს აღწევენ და სამყაროს შეცნობა სისტემურ ხასიათს იღებს. მართალია, ხელოვნური გარემო თვითონ ადამიანური შემოქმედების შედეგი არის, მაგრამ ეს უკანასკნელი რადგან არსებობს, თვითონაც გავლენას ახდენს გარემოზე და გარკვეულ დაღს ასვამს. აქ ენგელსის მოშველიებაც დაგვიკვირდება. „ყოველი რელიგია წარმოადგენს მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკურ ანარეკლს ადამიანის თავში, რომელნიც ადამიანის ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, სადაც ქვეყნიური ძალები ზეცაური ძალების სახეს ღებულობენ“⁴. რელიგიის აქ ხსენებამ არ უნდა შეგვაკრთოს. რელიგიური აზროვნება, როგორც ჩანს, თვითონ სამყაროს შეცნობის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. თავისთავად იგი მარადიულო არაა, თუმცა გამძლეობა ახასიათებს და ფორმაციიდან ფორმაციაში გადადის. მითოლოგიური იმავე დროს რელიგიურიც არის, მაგრამ მაინც მისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული და ფანტაზიის ნაკლებად შემზღუდავი. მონისტური რელიგია გონებაზე ბატონობს; ამასთანავე იმორჩილებს გრძობად ფუნქციებს და ადამიანი სულითაც და ხორციითაც შებოჭილი ხდება. ეს იმ დროს, როცა მტკიცედ ვიცით, „ბუნებისა და ადამიანების გარეშე არაფერი არ არსებობს და უზენაესი არსებანი, რომელნიც ჩვენმა რელიგიურმა ფანტაზიამ შექმნა, ჩვენი საკუთარი არსების ფანტასტიკური გამონაკართომები არიან“⁵.

ფანტასტიკური გამონაკართომი დიდი დოზით იჩენს თავს ხალხის მხატვრულ სიტყვიერებაში. პრიმიტიულ რეალისტურ, შეუფერავ თქმულებებსა და გადმოცემებში ნელ-ნელა მკვიდრდება ზებუნებრივი და-

4 ფ. ენგელსი, ანტი-დუორინგი, 1933, გვ. 269.

5 ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, 1954, გვ. 17.

ლები; მათი მოქმედება თუმცა ადამიანური შინაარსისაა, მაგრამ შესაძლებლობანი და მასშტაბი სასწაულებრივი ჩანს.

ზეპირსიტყვიერება თანდათან იტვირთება მითოლოგიური წარმოდგენებითა და პერსონაჟებით. ასე ურთიერთ გადაინასკვებიან ხოლმე მითოლოგია და ფოლკლორი. განვითარების უმაღლეს საფეხურზე მხატვრული აზროვნება, პოეტური ხელოვნება მითოლოგიური სახეებისა და პერსონაჟების თავშესაფრად იქცევა; ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება მათი ერთმანეთისაგან დაცილება. ერთიმეორეში შექვრა და გადაკვანძვა, შექსოვა და გაფერადება, ორი—რეალური და მითოლოგიური საწყისისა, ხალხურ შემოქმედებაში ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ნაყოფია. კვლევა-ძიების წარმატების მიზნით პირველ ხანებში ჩვენ ისინი ერთმანეთს ხელოვნურად უნდა დავაცილოთ, გამოცალკევებით შევისწავლოთ თითოეული ჯათგანი და მერე კვლავ აღვუდგინოთ წინანდელი მთლიანობა, რათა საბოლოო დასკვნა შევიმუშაოთ მათ მიერ განვლილი გზების თაობაზე დასაწყისიდან დასასრულამდე.

* * *

XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბატონიშვილი დაინტერესებული ყოფილა მითოლოგიის საკითხებით. ამ ინტერესს მოწმობს მთელი თავი „კალმასობაში“. როგორც წესი, ი. ბატონიშვილი პირველად ცნებებს მნიშვნელობას განმარტავს, შემდეგ კი მოკლედ გადმოსცემს კლასიკურ-ბერძნულ მითოლოგიას. „კალმასობის“ ავტორის განმარტებანი პრინციპულად არ განსხვავდება მაშინ საერთოდ მიღებული განმარტებისაგან და მართებულად მიუთითებს საგნის არსებით მხარეზე. „რაჲ არს მეტოლოღია?“ ეკითხება ველისციხისაკენ მიმავალ ბერს თანამგზავრი და ისიც დაუზარებლად აძლევს პასუხს: „მეტოლოღია (მითოლოღია) არს ხელოვნება ანუ აღმოჩინება ზღაპარსიტყვაობათა ღმერთთათვის და სარწმუნოებათა ძველთა ბერძენთა და რომაელთასა“⁶. მაშასადამე, მითოლოგია პირველყოფლისა საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ ზღაპრულ თქმულებებსა და გადმოცემებს ნიშნავს ღმერთების შესახებ. ტერმინი „ზღაპრული“ ხალხური მოთხრობის უანრობრავ განსაზღვრასთან ერთად მისი შინაარსის სინამდვილესთან მიმართებასაც არკვევს. საბას თქმის არ იყოს, იგი ნიშნავს „მოგონებულ ტყუილს ამბავად შემქვევრებულს და არა ქმნილს მყოფობით“ (სიტყვის კონა).

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძნულ მითოლოგიაზე

⁶ ი. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, 1, გვ. 99.

მსჯელობა XIX საუკუნეზე დიდი ხნით ადრე გვხვდება. ჯერ კიდევ XI საუკ. ბოლოს ეფრემ მცირემ შეასრულა „ელინთა ზღაპრობის“ თარგმანი და ამით ერთგვარი სისტემატური ხასიათის ცნობები მიაწოდა ქართველ მკითხველს⁷. უფრო ადრე ბერძნული და ქართული მითოლოგიური სახეები, წარმართული ღვთაებანი და მათთან დაკავშირებული კულტი არაერთხელ ყოფილა პოლემიკური მსჯელობის საგანი. ამგვარ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას საქართველოში ქრისტიანული დოგმატიკის დამკვიდრებაც მოითხოვდა. ამის გამო გასაკვირი არაა, თუ მისი ანარეკლი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაშიც იჩენს თვალსაჩინოდ თავს (1103 წ.), „კალმასობის“ ავტორი დიფერენცირებულად განიხილავს ღვთაებებს. „რაოდენად ანუ ვითარად იანიყოფებიან ძველნი უკვე ღმერთნი“, კითხულობს ის და პასუხსაც იქვე იძლევა იმ ხანებში გავრცელებულ შეხედულებათა კვალობაზე: „ღმერთებად, ნახევარ ღმერთებად ანუ გმირებად, და ეგრეთვე ალეგორიის ღვთაებად“⁸. ღმერთების პლეადა, როგორც ჩანს, კვებად ასხვად იყო დასახელებული და გამგებლობის არსებათაგან შედგება. მათი ფუნქცია და მოქმედების ფარგლები მრავალნაირია და ეს მრავალფეროვნება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია თვითონ ადამიანთა მიწერილი ცხოვრება, საწარმოო და სამეურნეო ყოფა, რომლის იმქვეყნიურ ანარეკლს თითოეული ქვეყნის მითოლოგია და ამ უკანასკნელში წარმოდგენილი ღვთაებანი განასახიერებენ. მითოლოგია იმავე დროს ძველი სარწმუნოებაც არის, თუმცა ეს მხარე ახლანდელი მსჯელობის საგანს არ შეადგენს. საბოლოოდ ჩვენ მითოლოგიის იმ გავრცელებული განმარტების ფარგლებში ვრჩებით, რომელიც გულიანობის მხატვრულ ფორმაში წარმოდგენილ ძველისძველ თქმულებებსა და გადმოცემებს ღმერთებსა და გმირებზე, კეთილსა და ავ სულებზე, ქვეყნის შექმნასა და სიცოცხლის გაჩენაზე.

ამთავითვე ისიც გავითვალისწინოთ თუ რა წარმოადგენს ამგვარი რთული იდეოლოგიური ამაღამის საფუძველს და როგორია მისი, ე. ი. მითოლოგიის ისტორიული ბედი. ამ პრობლემაზე ამომწურავ პასუხს კ. მარქსი იძლევა: „ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, გაშასადამე, იგი ისპობა მათზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად“⁹.

7 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 83.

8 ი. ბატონიშვილი, კალმასობა, 1, გვ. 99.

9 კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 35.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, საწარმოო საშუალებათა ზრდა და ბუნების აქტუური გარდამქმნელის როლში ადამიანის გამო-სვლა თანდათან საფუძველს აცლის მითოლოგიურ აზროვნებას; ადრე საიდუმლოებით მოცული სტიქიური მოვლენები ნიღაბახდილნი სააშ-კარაოზე გამოდიან. ფანტაზია, მხატვრული გამომგონებლობა ძალაში რჩება. მაგრამ ახლა იგი ადვილად ახერხებს „კლასიკურ საიდუმლო-ებათა“ ახსნას ღმერთების დაუხმარებლად. თუმცა ძველი მითოლო-გია უკვალოდ მაინც არ ქრება, იგი ხელოვნების მასაზრდოებელ წყა-როდ იქცევა, კაცობრიობის ბავშვობის ამსახველ ხელთუქმნელ ძეგ-ლად რჩება.

სხვების მსგავსად, ქართველ ხალხსაც შეუქმნია თავისი მითოლო-გიური სისტემა, უძველეს ღვთაებათა პანთეონი. ამ შესავალი წერი-ლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოკლედ აჩვენოს რა ფორმი-თა და საშუალებებით აისახა ქართული მითოლოგია ხალხურ პოეზია-ში, რა სურათს გადაგვიშლის ზეპირსიტყვიერი პოეტური ნაწარმოე-ბები მითოლოგიური თვალსაზრისით.

ქართული ხალხური პოეზია მდიდარია რიცხობრივადაც და თვი-სობრივადაც. როცა ამ ზღვა მასალის ღრმად შესწავლას განიზრახავს მკვლევარი, მაშინ მის წინაშე კლასიფიკაციის პრობლემა წამოიჭრე-ბა. შეუძლებელია ათასეული ტექსტების შესახებ საერთო მსჯელობა; უკეთესი იქნება თუ ვიტყვი: არაფრის მომცემიათქო. როგორც ყო-ველთვის, ამ შემთხვევაშიც საჭიროა ფოლკლორული ნაწარმოებების დაჯგუფება, ლოგიკური თანმიმდევრობის მიხედვით დალაგება, რომ უკეთ გავიგოთ მათი შინაარსი, წარმოშობის პირობები და განვითარე-ბის გზები. თუ გენეზისის თვალსაზრისზე დავდგებით, ხალხური პოე-ზიიდან პირველ რიგში უნდა გამოიყოს ნიმუშები, რომლებიც ადამი-ანთა უძველეს რწმენასა და ყოფას ასახავენ. ასეთი კი პირველ ყოფ-ლისა მითოლოგიური საწყისის მქონე ლექსები და სიმღერებია. ამგვა-რად, მითოლოგიური პოეზია დასაწყისი საფეხური თუ არა, ერთი უძველესთაგანი მაინცაა ხალხურ შემოქმედებაში. ქართული ფოლკ-ლორული პოეზიის მრავალტომეულის პირველი წიგნიც სწორედ ამნა-ირი მასალის კრებას წარმოადგენს.

მითოლოგიური ლექსებისა და სიმღერების გამოყოფა ხალხური ნაწარმოებების პირველად დაჯგუფებას ნიშნავს მხოლოდ. ამის შემ-დეგ კვლავ საჭიროა შინაგანი კლასიფიკაცია, ტექსტების თემატიკური და ციკლობრივი განლაგება, რათა ნათელი გახდეს რა რას უსწრებდა წინ, დროთა განმავლობაში როგორ ფართოვდებოდა შემოქმედებითი პორიზონტი და რა სიმაღლეს აღწევდა სიტყვის ოსტატობა.

ქართულ მითოლოგიას ორ უმთავრეს პერიოდად ვყოფთ. პირველს „პირველყოფილი თემური საზოგადოების დარგობრივ ანუ პოლითეისტურს“ ვუწოდებთ, მეორეს „ადრეფეოდალური ხანის მონოთეისტურს“. თითოეულს თავისი სპეციფიკა და განვითარების გზები გააჩნია. ორივე მათგანი ფართოდ არის წარმოდგენილი ხალხურ პოეზიაში და მრავალრიცხოვან ძეგლებში იჩენს თავს. მასალების სიუხვევ კვლავ შინაგან დეტალიზაციასა და სიუჟეტურ-ციკლობრივ გამიჯვნას მოითხოვს.

ახლა მოკლედ განვიხილოთ თითოეული სახე და ვნახოთ რა მასალის მიხედვითაა წარმოდგენილი ქართულ ფოლკლორში.

ადამიანი ბუნებისა და საზოგადოების შეცნობას უახლოესი გარემოდან იწყებს. პირველი დაკვირვებანი შეეხება იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც მის ირგვლივაა თავმოყრილი, ან მასზე მოქმედობს უშუალოდ. მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ცა, ღრუბლები, წვიმა, სითბო და სიცივე — ყველაფერი უახლოეს გარემოშია მოქცეული, რადგან თითოეულ მათგანს ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ხვდება, ხედავს ან წარმოიდგენს. ამის გამო გასაკვირი არაა თუ ადრინდელი მითოლოგიური წარმოდგენები, სიმღერები და ლექსები, გადმოცემები ამხელენ ადამიანს მის გრძნობებში, გვიჩვენებენ გონებრივი წვდომის შესაძლებლობებსა და სახიერობას.

მითოლოგიური ლექსები და ხატ-სალოცავთა დიდებანი ქართველი კაცის წარმართობის დროინდელი ცხოვრებისა და ლალი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. თითოეული ნიმუში გარკვეული ჰუმანური გრძნობის განსახიერებაა. ყველაფერი, რაც კი ამგვარ ნაწარმოებებში იჩენს თავს, სიტყვის ოსტატობა და გულიდან მომდინარე განცდა, ცის სხეულები და ეშმაკ-მაცილები, რეალური თუ ფანტასტიკური არსებანი—ადამიანის ირგვლივ ტრიალებენ. მიუხედავად იმისა რომ ნითოლოგიაში ღვთაებზე და სასაწაულებრივ მოვლენებზეა უპირატესად საუბარი, მაინც ქართული მასალების მიხედვით ამ თვალუწვდენ სამყაროს შუაგულში ჩვეულებრივი ადამიანი დგას და მის გარშემო იყრის თავს ყოველივე. ლექსისა და დიდების მიზანი რეალური ცხოვრების ამოცნობა და გაუმჯობესებაა.

რას არ იგონებს მახვეწარი, რამდენ შემთხვევას ასახელებს, რომ არაფერი გამორჩეს და თითოეული ვითარებისათვის მაგიური წამალი ქჟონდეს მომზადებული: მარტო ადამიანური ყოფის სხვადასხვა მხარეთა ჩამოთვლა რად ღირს! ფილოსოფიური თვალსაზრისითაც შეიძლებოდა უბრალო ხევისბერებისა და ხეცების წარმოსათქმელი სიტყვების განხილვა. თითოეული სადიდებელი ტრადიციულ წესზეა გა-

ფორმებული. თუ კლიშესებურ საერთო ადგილებს ჩამოვაცილებთ ამგვარ „სიტყვებს“, რომელაც უმეტეს წილად მითოლოგიურ პერსონაჟთა იერარქიულობის ამსახველ მიმართვებს და ფენებს მოიცავს, ხელთ დაგვრჩება წმინდა პოეტური ტექსტი, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული თანამეგობრობის უტყუარი ჰიმნი. „შენამც იმრავლე ძალა ცის ნამო, დაბლა მწვანოლო“,—ამბობს ფშაველთა ხევისბერი და მერე რისთვის? „ხორციელთა საცხოვრებლად“, განმარტავს იქვე. ვფიქრობთ, სწორედ ამ ორიოდ ფრაზაშია გადმოცემული „დიდების“ დედააზრი. არა მარტო ერთი დიდების, არამედ მთელი ქანრისა, ქართული მითოლოგიური სიტყვიერების ყველა ქებათა ქების პათოსი. იქნებ ამდენი განმარტებაც არ იყოს საჭირო საწესჩვეულებო-მითოლოგიურ პოეზიაში ტრადიციული სადიდებელი ტექსტების შემოსატანად. ჩვენ, რა თქმა უნდა, უპირატესობას ადრე ჩაწერილ ნიმუშებს ვანიჭებთ, მაგრამ ცოცხალ მასალასაც სულ არ უარვყოფთ, რადგან ამ უყანასკნელთა საშუალებით, გვიადგილებდა გარდასულ ეპოქათა სურათის აღდგენა და გამოცნობა.

მრავალგვარი საქებარი და სადიდებელი სიტყვა არსებობს საქართველოში. თამადიდან დაწყებული ხატის თას-სასმისების შემნახველ მეკუჭნავემდე ყველას თავისი დარგის შესაფერისი „სიტყვა“ აქვს შეუშუავებული. სიტყვა შინაარსიანი, გასაგნული, ხასხასა, კუნძივით მკვრივი, მაშასადამე, აზრით დატვირთული და ლალამოსმული—ზედგამოკრილი, ზომიერი, სუფთა, წყალშეურველი. ხევისბერი ღია ცის ქვეშ, ხეთა ჩრდილში წარმოთქვამს დიდებას მახვეწართა თანდასწრებით. ამ დროს მან ყველას თავისი უნდა მიუზღოს, ე. ი. რიგის მიხედვით თითოეული ხატ-სალოცავი მოიხსენიოს და მოვალეობა მოაგონოს, სამხვეწროდ მოსულთ უწინამძევროს, ელჩობა გაუწიოს. ამ შემთხვევაში ენაწყლიანობას გასავალი არა აქვს. სიტყვახვევიანობა აქ ადგილს უთმობს წესსა და რიგს, როგორც რუსთაველი შეგვაგონებდა, გრძელის მოკლედ მოკრას. ამ მხრითაც სანიმუშოა სადიდებელი ტექსტები. ხევისბერი ბრძნული ზომიერებით მიმართავს ღვთაებებსა და ხატ-სალოცავებს, თითოეულს მოვალეობისდა კვალობაზე ამკობს, თანაც საკუთარ „უცოდინარობას“, საბოდიშო სიტყვასაც არ ივიწყებს, იმ მოტივით, რომ, რაც გეკუთვნოდათ იქნებ ჭეროვნად ვერ მოგახსენეთო: „რაც ჩემის უცოდინარობითა ბატონო ბედნიერო ქება-დიდება გაკლდებოდეს—შენს წყალობას ნუ დააკლებ!“

სადიდებელი და დასამწყალობებელი ტექსტები ჭერჭერობით შეუსწავლელია. თითქოს მათი შინაარსისა და ფუნქციის შესახებ უფრო ჩამოყალიბებული წარმოდგენა გვაქვს. რაც შეეხება ფორმას, სტრუქ-

ტურას, გამომსახველობით საშუალებებს და საერთოდ პოეტიკას— სრულიად ხელუხლებელია. ამიტომ ქართული სიტყვისა და აზროვნების ისტორიკოსების ყურადღება უნდა მივაპყროთ ამ გარემოებას. ამჟამად ერთი რამ უცილობლად ცხადია: ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების სრული ისტორია „სადიდებელთა“ გაუთვალისწინებლად ვერ დაიწერება. თანაც მითოლოგიური სიტყვიერების ამ აკროპოლში ბევრი ისეთი უნიკალური ძეგლი გამოსკვივის, რომლის გახსნა შეუქს მოფენს პოეზიის უძველეს საფეხურს და მის პირველსახეს უკეთ გაგვაცნობს.

ამ წინაგრძობითა და ერთგვარი თამასუქით ვათავსებთ ჩვენს კრებულში ძველ ხალხური სახობტო პოეზიის ძირითად ნიმუშებს, თავის დროზე სასულიერო იამბიკოებისა და ჰიმნების მოვალეობას რომ ასრულებდა.

ქართული მითოლოგიური პოეზიის შესწავლა ამჟამად უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე მე-19 საუკუნეში იყო, როცა პირველი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. ხელსაყრელ ვითარებას სხვადასხვა გარემოება ქმნის. მათ შორის პირველად პოეტური მასალების სიუხვე უნდა დავასახელოთ. XX საუკუნის მანძილზე მრავალი ღირსშესანიშნავი ხალხური ტექსტია მოპოვებული. განსაკუთრებით დაწინაურდა იმ კუთხეების ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული შესწავლა, რომლებიც ზეპირსიტყვიერების ადრინდელი ნიმუშების შემონახვის მხრივ გამოირჩევიან (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი, თუშეთი, რაჭა, სვანეთი). ამჟამად მკითხველს ხელთ აქვს უძველესი მითოლოგიური და საწესჩვეულებო პოეზიის ძეგლებით მდიდარი კრებულები შედგენილი დ. ხიზანაშვილის, თ. რაზიკაშვილის, პ. უმიკაშვილის, ა. შანიძის, ვ. კოტეტიშვილის, გ. ნათაძის, ქს. სიხარულიძის, ელ. ვირსალაძის, გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, ს. მაკალბთიას, ვ. ხორნაულის, ჯ. სონღულაშვილის, ვარ. თოფურიას, მ. გუჯგვიანის, თ. ოქროშიძის, ჯ. ნოღაიდელის, ალ. კინჭარაულის, თ. უთურგაიძისა და სხვათა მიერ. ნაბეჭდ ტექსტებს მნიშვნელოვნად ამრავალფეროვნებს უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციებისაგან მოპოვებული ძვირფასი მასალები, რომელთა სრულ დასახელებას მკითხველი მრავალტომეულის წყაროებსა და თითოეულ ლექსზე დართულ შენიშვნებში იპოვოს. პოეტური ნიმუშების სიმრავლე შესაძლებლობას იძლევა უხვად წარმოვადგინოთ ვარიანტები და გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ ამა თუ იმ ნაწარმოების ისტორიის შესახებ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მითოლოგიური ლექსების სიმრავლე აქამდე არც ისე შესამჩნევი იყო, რადგან არ მოიპოვებოდა

სისტემატური ხასიათის ანთოლოგია, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ძველი, პოეტური კულტურის ფორმითაც და შინაარსითაც, ესოდენ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა. ახლა ეს ხარვეზი შევსებულია და დაკვირვებულ მკითხველს დაუბრკოლებლად შეუძლია თვალი მიადევნოს მისთვის საინტერესო ნაწარმოებების განვითარებას სხვადასხვა საფეხურზე. ამ მხრივ თვალსაჩინო სამსახურის გაწევა შეუძლია ვრცელ შენიშვნებსა და რიცხობრივად ამომწურავ ვარიანტებს, რაც თითოეულ ტექსტს აქვს დართული ნაშრომის მეორე ნაწილში.

მეორე ხელსაყრელ გარემოებას ქართული მითოლოგიის სფეროში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები ქმნის. მოკლე წერილში ავტორს საშუალება არა აქვს თუნდაც მინიმალურად წარმოადგინოს ქართული მითოლოგიის დარგში ჩატარებული კვლევა-ძიების ისტორია და გამოთქმულ შეხედულებათა შეფასება. ასეთ ამოცანას არც ვისახავთ მიზნად, რადგან ქართული მითოლოგიის პრობლემების შესწავლა აქამდე უმთავრესად არაპოეტური მასალების მიხედვით მიმდინარეობდა. ჩვენი დაკვირვების უშუალო საგანი მხატვრული სიტყვიერების ძეგლებია. ამის გამო, ჩამოთვლის წესით, აქ იმ მეცნიერებს დავასახელებთ, რომლებსაც ამა თუ იმ კუთხით განუხილავთ ფოლკლორული ნიმუშები და საკუთარი აზრი გამოუთქვამთ.

მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებების შედარებით ვრცელი მიმოხილვა გასული საუკუნის მიწურულში პროფ. ალ. ხახანაშვილმა წარმოადგინა რუსულ ენაზე გამოცემულ ცნობილ „ნარკვევებში“ და „ქართულ სიტყვიერების ისტორიაში“ რომელიც მშობლიურ ენაზე დაიბეჭდა თბილისში. მკვლევრის აზრით, „ლექსი-ლოცვა საწარმართო ღმერთთა წინაშე, პირვანდელი სახეა საზეპირო პოეზიისა“¹⁰. ამისდა შესაბამისად მეცნიერი ქართული ზეპირსიტყვიერების განხილვას „მითოლოგიური სახალხო ლექსებით“ იწყებს. ალ. ხახანაშვილის ნაშრომს ოციოდე წლის შემდეგ მწერალ ვასილ ბარნოვის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“ მოჰყვა, რომელიც კონცეფციური თვალსაზრისით წინამორბედისაგან არ გამოირჩეოდა¹¹. აქაც, ფოლკლორის ისტორიაში იგივე საფეხურებია მიღებული, რაც ხახანაშვილის მიხედვით ვიცოდით. „საზოგადოდ, ხალხური ანუ არახელოვნური სიტყვიერების განვითარებაში აღნიშნულია სამი პერიოდი ანუ ხანა: მითიური, ბუმბერაზული და ისტორიული“¹². ალ. ხახანაშვილისა და

10 ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 7.

11 ვ. ბარნოვი, თხზ., X, 1964.

12 ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. გვ. 173—74.

ვ. ბარნოვისებური სისრულით ჩვენი პოეზია, მითოლოგიური ძეგლების გამომწვეურების მიზნით, მომდევნო პერიოდის მკვლევარებს აღარ განუხილავთ, თუმცა უკანასკნელთა შრომებში არაერთხელ ყოფილა დასმული შესაბამისი პრობლემები (ვ. კოტეტიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ელ. ვირსალაძე, თ. ბეგიაშვილი, ალ. ლლონტი, დ. შენგელაია). ფოლკლორისტულ ძიებებს მტკიცე ნიადაგი მოუმზადა და დიდად დაეხმარა საქართველოს ისტორიკოსების და ეთნოგრაფების, არქეოლოგებისა და ენათმეცნიერების გამოკვლევები მითოლოგიის სფეროში. ჭერ კიდევ რევოლუციამდე ივ. ჭავჭავაძის შვილმა ქართველი ერის ისტორიის შემაჯამებელ თავში „წარმართობა“ დამაჯერებლად განსაზღვრა ქართული ქრისტიანობამდელი პანთეონის ძირითადი შედგენილობა, ხოლო შემდეგ ეთნოგრაფების მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა ნათლად აჩვენა იმ ღვთაებათა ფუნქცია და ადგილი სარწმუნოების ისტორიაში, რომელთა ხსენებაც კი შემონახულია ხალხურ პოეზიაში (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ალ. რობაქიძე, ს. მაკალათია, თ. ოჩიაური, კ. სოხაძე და სხვ.). ასევე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არქეოლოგიაში, ხელოვნების ისტორიაში, ლიტერატურათმცოდნეობასა და ფილოსოფიაში (ნ. მარი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, შ. ამირანაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ბ. კუფტინი, გ. მელიქიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ი. მეგრელიძე). ამჟამად ქართულ ქრისტიანობამდელ წარმართულ შეხედულებათა შესწავლის საქმე კიდევ უფრო დაწინაურებულია. ეს გარემოება დიდად უწყობს ხელს ფოლკლორისტიკის პრობლემების გადაწყვეტას მხატვრულ-მითოლოგიურ ანარეკლთა თვალსაზრისით.

დასასრულ, კიდევ რჩება ერთი კითხვა, რომლის გამო მსჯელობის გამართვაა საჭირო. როგორც ვხედავთ, მითოლოგიური ლექსების დიდი ნაწილი წარმართული ხანის მხატვრული აზროვნების გადანაშთს წარმოადგენს. საუკუნეთა სიღრმეში შექმნილი ნაწარმოებები კვლავ ზეპირ ბრუნვაში იმყოფება და სათანადო ნიმუშების ჩაწერა ამჟამადაც შესაძლებელია. როგორ იცავს თავს ეს მრავალსაუკუნოვანი წარმართული ძეგლები და რა უწყობს ხელს მათ ზეპირ ბრუნვაში შემონახვას? მართლაც, ჩვენს დროს არსებულ ფშავ-ხევსურულ და სვანურ პოეზიაში (არა მარტო ამ კუთხეების ზეპირ შემოქმედებაში!) მითოლოგიური შინაარსის ლექსებს და სიმღერებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამგვარ პოეტურ ნიმუშებს ცოცხალ სინამდვილეში ვხვდებით არა მარტო საკულტო დღესასწაულების დროს, რომლებთანაც წარმოშობიდანვე მჭიდრო კავშირი აქვთ, არამედ ჩვეულებრივ სამოქა-

ლაქო ყოფამიც: ოჯახსა და მოგზაურობაში, მწყემსობასა და ნადირობაში, გართობისა და დასვენების დროს. ბუნებრივ ფოლკლორულ გარემოში მითოლოგიურ-საწესჩვეულებო ლექსების მეტ-ნაკლები რაოდენობით მოსმენა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ თუ გამოკითხვას მივმართავთ, ე. ი. სახალხო მგოსანსა და შემსრულებელს განვაწყობთ წარმართულ ღვთაებათა მოსაგონებლად. ათეული და ასეული წლების წინათ ფიქსირებულ მითოლოგიურ ნაწარმოებთა ჩაწერას დღესაც, XX საუკუნის 70-იან წლებშიც თავისუფლად მოვახერხებთ. აქედან დასკვნა: ძველი მითოლოგიური ლექსებისა და სიმღერების არსებობა ზეპირსიტყვიერებაში კვლავ დასტურდება. ამ ფაქტს ახსნა მხოლოდ გადანაშთების თეორიის მიხედვით შეუძლებელია. კობალასა და იახსარის, ლაშარისა და სამძივარის, პირქუშისა და დალოს ლექს-სიმღერების შესახებ ძნელია ითქვას, რომ ისინი მხოლოდ გადანაშთები არიან. გადანაშთებად ამგვარი პოეტური ძეგლები ჩვენ, დამკვირვებლებს გვეჩვენება პირველ ყოვლისა და არა იმათ, ვინც ფოლკლორის შესრულებას მისდევს და ტრადიციული წესის მიხედვით ითვს მას. მართალია, სარწმუნოებას და გეოგრაფიულ გარემოს, არქაულ რწმენას უდავოდ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ წარმართული პოეზიის დღემდე შემონახვის მხოლოდ ამ მიზეზებით ახსნა ცალმხრივი და ნაკლებ დამაჯერებელი იქნებოდა. ვფიქრობ, ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ვიტყვი, რომ ძველთაძველი პოეზიის გამძლეობის საიდუმლოება უპირველეს ყოვლისა მის მხატვრულობასა და ესთეტიკურობაშია, ტრადიციულობასა და ისტორიულობაში მდგომარეობს. თითოეულ ასეთ ნაწარმოებში თავისებურად ჟღერს საგმირო და პატრიოტული მოტივები, ბრძოლისა და თავდადების აღმძვრელი კეთილშობილური გრძნობები. მაშასადამე, პოეტური თვალთახედვით მთელი ეს სფერო მარად მიმზიდველი და უჭკნობი ჩანს. დროთა განმავლობაში ხალხსაც იგი თავისდა შესაფერისი ფორმით გადმოუცია, მიუნიჭებია დიადი უბრალოება და გავრცელების მასობრიობა. ამნაირად, ათეული და ასეული შესანიშნავი მთქმელის, მხატვრული სიტყვის უსახელო ოსტატების თანავეტორობით მიღწეულია სილამაზისა და მშვენიერების უმაღლესი ფორმები, რის დავიწყებაც ხალხს ადარ შეუძლია არსებობის მთელ მანძილზე. ამის გამო მითოლოგიური პოეზიის უშესანიშნავესმა ნაწარმოებებმა სამარადისოდ დაიჭირა ადგილი ეროვნული კულტურის საგანძურში და, მიუხედავად გავრცელების ზეპირი ფორმისა, არ გაქრალა, არ ჩაბარება ისტორიის წარსულს იმ საზოგადოებრივ პირობებთან ერთად, რომელთა საფუძველზეც ისინი აღმოცენდნენ შორეულ წარსულში. მხატვ-

რულ ღირებულებათა ეროვნულ კულტურაში ამგვარი დამკვიდრების შესახებ აღრეც გვექონია საუბარი და დღესაც იმ აზრს ვადგივართ, რომ ქანრის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აღგილი აქვს ძირითადი სიუჟეტური მარაგის მხატვრული საუნჯის კატეგორიაში გადასვლას, რაც თავისთავად წინა თაობების ესთეტიკურ მიღწევათა დაცვის საიმედო საწინდარია.¹³

ახლა განვიხილოთ ქართული მითოლოგიური პოეზიის უძველესი სახეები და გავიცნოთ რა მასალის მიხედვითაა წარმოდგენილი თითოეული მათგანი.

მ შ ე

მზე ყოველთვის განმაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე. მისი გამოჩენით იწყებოდა დღე და ნათელი, მაშასადამე, ქრებოდა ღამე და სიბნელე. ამ უქანასკნელთან ერთად თვალთაგან მიეფარებოდა ყოველი ბოროტი და მავნე, მტაცებელი და შემაწუხებელი. მზე სითბოს წყაროცაა, ქვეყნის გამაახლებელი, ამაღორძინებელი. გაზაფხულის მოახლოებას მზის სხივთა მოძალემა ამცნობს ადამიანს. ამას გაძარცული ბუნების შემოსვა და აყვავება მოსდევს. ყოველივე ეს მითოლოგიურად 'მოაზროვნეს შთააგონებს და მზის მიმართ განაწყობს, ლეგენდარულ ბურუსში ჰხვევს. ამ ნიადაგზე წარმოიქმნება წარმოდგენა მზის როგორც სიცოცხლის წყაროს შესახებ. და მართლაც, ფოლკლორში ჩნდება სახეები: მზე—სიცოცხლის მომნიჭებელი, მზე—დედა, მზე—მადლის მატარებელი, მზე—ქვეყნის სანთელი.

როცა სიცივე და სიბნელე ბატონობს, ყველაფერი შებოჭილია, ადამიანი უძლური და სასომიხდილი არის, სიკვდილს მიახლოებულნი ან უკვე მკვდარი და მიუსაფარი. ამაზე მიუთითებს მოკლე საგალობელი, სადაც მნათობის გამოჩენა ბუნებას აღადგენს, ადამიანს სიცოცხლეს უბრუნებს.

მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა;
სიცივეს კაცი მოუკლავს —
საწყალი აგერ გორავსა.

13 მ. ჩიქოვანი, ტრადიციული ფოლკლორული ქანრების ბედი სოციალისტურ საზოგადოებაში, ჟურნ. „სკოლა და სპორტობა“, № 3, 1961, უფრო ვრცლად „К вопросу о судьбе традиционных фольклорных жанров в социалистическом обществе“. ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესისადმი მიძღვნილი კრებული: ქართული ფოლკლორი, I—II, 1964. გვ. 31—52.

მითოლოგიური წარმოდგენით სიცივისა და სიბნელის მსხვერპლის კვლავ აღდგენა შეიძლება მკვდრეთით. ამისათვის მზის გამოჩენაა საჭირო და მისი სხივების უხვი ნათელი. როგორც დედას შეუძლია შვილის გათბობა და მოსულიერება, ისე მზეც კეთილქცევა ადამიანს, უპატრონოდ მგორავსა და საწყალობელს ასულდგმულებს. ამიტომ გამოდის მზე დედის როლში; მარადიულ და უბერებელ მშობლად გვევლინება. მზე დედაა ჩემიო, — აცხადებს ხალხი მეგრულ ლექსში და პოეტურადაც განამტკიცებს გვაროვნულ საზოგადოებაში შემუშავებულ ამ რწმენას.

მზის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს, უიმისოდ მარცვალი არ ღვივდება, არც ხეში წყალი დგება და საძიკველი ინასკვება. მოწიწებასთან ერთად უძველესი ფილოსოფიაცაა ჩაქსოვილი მოკლედ ნათქვამ ლექსში:

იკურთხოს იმის გამჩენი,
შენა ხარ ქვეყნის სანთელი

მზე მარტო ღირაკული გმირი არაა. მზე ებოსში, სიუჟეტურ ნაწარმოებებშიც ხშირად გვხვდება და თანაც არა ეპიზოდურ პერსონაჟად. ამით ისიც ირკვევა, რომ მზის მხატვრული სახის შემუშავება ქართულ ფოლკლორში მითოლოგიური პოეზიის განვითარების პირველსავე საფეხურზე დაიწყო და დღემდე პოეტური მეტყველების ფარგლებში რჩება. ამ სიძველეზე მიუთითებს „ქართლის ცხოვრებაში“ ჩაწერილი ლეონტი მროველის შემდეგი სიტყვები: „დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი და იქმნეს მსახური მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა სხუათა“¹⁴.

ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზე მდგომი ძსტორიკოსი საყვედურით ამბობს, დაივიწყეს ღმერთი დამბადებელიო. სინამდვილეში აქ დავიწყებას ადგილი არ ჰქონია; თვითონ მზე და მთვარე ძველიდანვე დამბადებლად მიაჩნდა ხალხს და მას მსახურებდა სწორედ. მზის დამბადებლობისა და სიცოცხლის მომნიჭებლობის ფუნქციები კარგად ჩანს რიტუალურ საგალობლებში: „ღიდება მზესა და მზისმყოლთ ანგელოზთა!“ ამის გამო საყვედური დავიწყებას კი არ შეეხება, არამედ იმას, რომ ხალხმა ძველი რწმენა მტკაცედ შემოინახა და ახალ სარწმუნოებას თავიდანვე ფიანდაზად ფეხქვეშ არ გაეგო.

მზე ქართველ ხალხს ცოცხალ, სულიერ არსებად ჰყავს წარმოდგენილი. მას მგრძნობელობასა და აზროვნებას მიაწერენ. ეს მოტივი

¹⁴ ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ.

ნათლად ჩანს არა მარტო პოეზიაში, არამედ პროზაშიც. ნათქვამის დამადასტურებელ მაგალითს „მზის სიძე“ წარმოადგენს, კეისართან ხორბლის მომკაზე პირობადებული მუშაკაცი მზეს მეუფესავით ევედრება. „შეხედა ამ კაცმა მზის ჩასვლას. დაიჩოქა და თქვა: მზეო, შენსა მადლსა, ამოდენა ნაშრომს ნუ დამაქარგავ, პატარა ხანს მომითმინე და მერე ჩაბრძანდიო. მზემ არ გაუგონა და ჩავიდა“¹⁵. იგივე მოტივი განმეორებულია ქართლურ თ. რაზიკაშვილის ჩაწერილ „მზის ქალში“¹⁶.

მზეს მადლი აქვს, რომლითაც ანათებს, ქვეყანას სითბოსა და შუქს ჰფენს. ეს მადლი მას შეუძლია სხვას გადასცეს, ე. ი. დროებით თავისი ფუნქცია შეასრულებინოს. ამ ოდინდელი წარმოდგენის მკვეთრ ანარეკლს კვლავ ებოსი გვაძლევს. მე-19 საუკუნის ერთი ჩანაწერის მიხედვით მზესა და ადამიანს შორის შემდეგი დიალოგი იმართება. „მზე ქვეყნის სანათებლად აპირებს წასვლას. ამ დროს მზემ უთხრა კაცს: შეგიძლია, ჩემი მადლი რომ მოგცე, ჩემ მაგიერ ანათო ქვეყანა დღესო? კაცმა იმედი უთხრა, გამოართვა მზეს მადლი და წავიდა“¹⁷.

მზის მადლი ერთ შემთხვევაში ქვეყნის ნათებაში მდგომარეობს, ხოლო მეორეგან სიცოცხლის მიმნიჭებელია. დაკარგული ძმის საძებრად წასულ ძმას მზემ პირისნაბანი მისცა, უკანასკნელმა წყალი ძმის ძვლებს დაასხურა და სიცოცხლე დაუბრუნა. მზე და ადამიანი, მამასადამე, კეთილმეგობრულ ურთიერთობაში არიან. ამით უნდა აიხსნას იმ გამოთქმის შინაარსი, რაც საგალობელში გვხვდება: „სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა“. გათოშილი და სულმიხდილი ადამიანის გადარჩენა მხოლოდ მზეს შეუძლია თავისი ცხოველმყოფელი სხივების მეოხებით. ამისთვის ევედრებიან სწორედ, მოუხმობენ, დროზე მოსვლას სთხოვენ, მის მადლს ელოდებიან.

მზე და მისი მადლი მორალურ კატეგორიასაც წარმოადგენს. მზე ერთი კა არა, სამივე შეიძლება იყოს და თითოეული სანატრელი, ძნელად მოსაპოვებელ-სასურველი. სახალხო მგოსანი ქებით იხსენიებს ქურაზიშვილების ბედნიერ გვარს, რომელთაც მზის კეთილი თვალი უხვად აქვთ მიანიჭებული.

ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილო! სამი მზე მოვა თქვენზედა:
ერთი მოვას პურადობისა, შუქ დავიდგებისთ სკამზედა.

15 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., 1954, გვ. 177.

16 მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური ზღაპრები, 1, 1938, № 47.

17 პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 181.

მეორე მამაცობისა, მტერ ვერ შავიდგათ ძალზედა,
მესამე თოფოსნობისა; ჩიქვენ ვერ გაგივლენ მთაზედა.

მზეს ღვთაების ყველა თვისება გააჩნია. წარმართულ ღვთაებათა სადიდებელ-სავედრებელ ტექსტებში მზის ხსენება უზენაესი ღმერთის შემდეგ მოდის. „დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა... დიდება მზესა, მზისმყოფთ ანგელოზთა“¹⁸.

მზე-ღვთაება გარემოცულია მისი ნების აღმსრულებელ თანამყოფელთა დასით¹⁹. რაკი მზეს მყოფნი ახლავან, მაშასადამე, თვითონ მზე მეტი ძალისაა და ფრიად პატივსაცემი. ამის გამო ხევსურულ ლექსში მზეს უკავშირდება სამი უმთავრესი სიკეთე, რომელიც კი მთიელთა წარმოდგენით ადამიანს უნდა გააჩნდეს. პირველია პურადობა, გულუხვი მასპინძლობა და მისი შემძლებლობა; მეორე—მამაცობა, ე. ი. გმირობა-ვაჟაკობა თავისუფლების დასაცავად და მტრის გამოსაჭაერებლად. მესამე კი—თოფოსნობა, ე. ი. იარაღის კარგი მოხმარება, დაუფლება, რომელიც აუცილებელია არა მარტო მეკობრეებთან ბრძოლაში, არამედ სამეურნეო ყოფაშიც, ნადირობის დროს.

ძალიან ხშირად მზე ხალხური წარმოდგენით ქალღვთაებაა, რომელსაც არა მარტო საგალობელი, არამედ საკუთარი ბომონი და საკულტმსახურო ადგილი ჰქონდა. სტრაბონის მოწმობით იბერიის მახლობლად, ალაზნისა და კამბიზენე—კამბეჩოანის საზღვარზე, არსებობდა მზის სალოცავი, დრო და დრო იქ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა იმართებოდა. დაჭერილ ტყვეს მიიყვანდნენ ღმერთქალის სალოცავთან და „ნელსაცხებით დაწელილს სხვა სამსხვერპლო ცხოველებთან ერთად, მსხვერპლად შესწირავდნენ“²⁰. ალბანური ჩვეულების სტრაბონისეული აღწერა გარკვევით იბერიულ-ქართულ რწმენასაც ახასიათებს, როგორც ამას ივ. ჭავჭავაძის ფიქრობდა²¹. თვითონ ლეონტი მროველის გამოთქმა „იქმნეს მსახური მზისა“... აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ქართველები მზეს ისე ექცეოდნენ, როგორც ღვთაებას, ძლიერსა და ყოვლისშემძლებელ უზენაეს არსებას, უსრულებდნენ საკულტო სამსახურს, ე. ი. მზის სალოცავში, ხატში მიდიოდნენ წლის განსაზღვრულ დროს და მოილოცავდნენ კურატებითა და სხვა საკლავებით. ისტორიკოსი მეორე ადგილასაც ასახელებს მზის კულტს, თავისი სამსა-

18 მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, 1, გვ. 13.

19 ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1, 1950, გვ. 177.

20 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 134.

21 ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1928, 45—46.

ხუროთა და საგდებელით: „რამდენიმე უგდებდეს ცაა და სხუანი ნზესა“²². პროფ. ვ. ბარდაველიძე მზეს ღვთაებათა პირველ საძვეულ-ში განიხილავს და ქართული პანთეონის მეორე წევრად თვლია²³. დაბეჭილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქამდე შემონახული მზის საგალობლების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იმ კულტმაახურების დროინდელია, რომელზეც მიუთითებდნენ I საუკ. ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი და XI საუკ. ქართველი მემკვიდრე ლეონტი მაროველი.

ქართული პოეტური მონაცემებით მზე არის ღედა ან და, ე. ი. მდებრობითი საწყისის ღვთაებას განასახიერებს. მზის ქალღმერთობა ქართულ მითოლოგიაში სრულიად გარკვეულ მოვლენად მიგვაჩნია. აქ ისიც შეიძლება დავძინოთ, რომ მზე-ქალღმერთი ამავე დროს უძველესიც არის წარმართულ პანთეონში და მატრიარქატის დროიდან მომდინარეობს. დედათმთავრულ ფორმაციას მითოლოგიურ ზენდაშენშიც ასევე ქალღმერთთა მთავრობა ახასიათებს, ისე როგორც მომდევნო პატრიარქალურ საფეხურს კაცღვთაებათა შენაცვლება. შაშასადამე, ჯერ მზე-ღმერთი, შემდეგ კი მთვარე-ღმერთი. ასეთია განვითარების გზა. მზე-ღმერთის გამო ერთ აღრინდელ შრომაში გვიწერია: „მზის კულტი როგორც ქალღვთაებისა, უფრო აღრინდელია ისე, როგორადაც დედათმთავრული ოჯახი წინ უსწრებდა მამამთავრულს“²⁴.

მ თ ვ ა რ ე

მზე და მთვარე ადამიანურ ფორმაში არიან წარმოდგენილი, მათ შვილები ჰყავთ; ფლობენ შესანიშნავ ბაღს, სასახლესა და სიმღერებს. ზღაპრული უმცროსი ძმა მზის სიძედ იქცევა და უმცროს მზეთუნახავს შეირთავს. ოქროს ტბის პირას საბანაოდ მოფრენილ მზეთუნახავებს, რომლებიც „მზისა და მთვარის ქალიშვილები იყვნენ“²⁵, მოხერხებულმა ვაჟმა ტანსაცმელი მოპარა და ამით მზის მშვენიერი ასულიც დაინარჩუნა. მაშინ უმცროსმა უფროს დებს დაუბარა: „ჩემ დედმამას უთხარით, რომ კვირას უსათუოდ ნატვრის ბეჭედი გამომიგზავნონო. უფროსი ქალიშვილები წავიდნენ ზეცას, უმცროსი კი თავის ქმართან დარჩა ქვევით“. მზე და მთვარე, ამ შემთხვევაში ცოლ-ქმარი, მარტო

22 ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, გვ. 814.

23 В. В. Бардавелдзе, Древнейшие религиозные верования, 1957, გვ. 2.

24 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭეული ამირანი, 1947, გვ. 174.

25 პ. უმიკაშვილი, III, გვ. 179.

არ ცხოვრობენ ზეცაში, იქ ოჯახიც აქვთ, შვილები და საცხოვრებელი, სარჩო-საბადებელი, ძვირფასი სასახლე თავისი მორთულობით.

მთვარის მამრობითობაზე მიუთითებს პოპულარული ლექსი, მნათობთა დავა რომაა გადმოცემული პირველობაზე. ღამის გუშაგი თავის უპირატესობის დამტკიცებას ცდილობს. ამ მიზნით შეთხზული პირველი ბარათიც მზეს მიუვიდა. ძმის საქციელმა დიდი აღშფოთება გამოიწვია:

მზეს რო კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჭავრდესა:
—მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა!

აცხადებს მზე— უძველესი ღმერთი, წარმართული პანთეონის პირველი თაობის წარმომადგენელი და საყოველთაოდ აღიარებული. მთვარე კაცღვათების სახეს ატარებს. ამის გამო პატრიარქატის დროს ჩამოყალიბებული ღვთაების ყველა ატრიბუტის მქონეა. ასეთად ჩანს იგი წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემებით; ამნაირად გამოიყურება ხალხური პოეზიის ნიმუშების მიხედვითაც. მთვარის ლექსების სიხშირე თავისებურ ისტორიულ ვითარებას წარმოგვიდგენს. მთვარე კაცღვათებაა და ახალი ფორმაციის ღვთაებებს შორის დომინანტობს. სტრაბონი მნათობთა კულტის დახასიათებისას მთვარის სალოცავს ხაზგასმით გამოყოფს, განასხვავებს, რასაც, უნდა ვიგულისხმოთ, რეალური სურათის დახატვის პრეტენზია აქვს. სტრაბონი წერს: „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით მთვარეს“²⁶. მთვარის განსაკუთრებით ხსენება პატრიარქატის პირობებში ბუნებრივია. ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაში ახალი დემიურგი შემოდის მითოლოგიაში, თანაც თითქოს ყველაზე ძლიერი, მებრძოლი და ხალხის თანამდგომი.

მთვარე საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას სამეურნეო რეალების გამოყენებით ცდილობს. მნათობთა პაექრობა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფონზე მიმდინარეობს. მოწმეს მოწმე ცვლას. ჯერ გუთნის მეხრე იხმეს, რომელსაც მთვარიანი ღამე თითქოს მეტად სჭირდება. რაკი დავა მიწიერი მოწმეებით ვერ გადაწყდა, ახლა ცის სხეულების, ვარსკვლავების გამოხმობას მიჰყვეს ხელი (ცისკარი, შუქურ-ვარსკვლავი). მთვარის-კაცღვათების პრეტენზია მკვეთრად არის ჩამოყალიბებული საქართველოს ყველა კუთხისათვის კარგად ცნობილ

26 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 134.

და უნიფიცირებულ ლექსში „მზე და მთვარე“. ღამის გუშაგი თამამად გამოდის ასპარეზზე:

ნათელმა მთვარემა ბრძანა
ბევრით მე ვჯობივარ მზესა...

ორ მნათობს შორის დავა პოეტური ხერხი არაა მხოლოდ. მასში ის მსოფლმხედველობრივი კიდილია ასახული, რომელსაც ადგილი ჰქონდა მატრიაჩკატიდან პატრიაჩკატზე გადასვლას დროს, ქალღვთაებათა შეცვლას კაცღვთაებებით. მითოლოგიურ საწყისთა დაპირდაპირებაში საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფის ელემენტებიც შეიძლება ამოვიკითხოთ. ყურადსაღებია მელექსის თქმა „გაბაასების“ და საწყისში: ყველამ კარგათ გაიხსენეთ, შაიბრძოლნენ მზე და მთვარეო. ამ საპატიო ბრძოლას კეთილად ხსენება უნდა, სახუმარო ქილიკობად ნუ მიიღებთო, გაფრთხილებას იძლევა ფოლკლორულ საუნჯეთა დამცველი! ერთი ჯგუფის ლექსების მიხედვით მზის უპირატესობა აშკარად იგრძნობა; იგი მოსავალს ამწიფებს, ამინდკეთილობას იწვევს და ბოროტ სულებს გამოჩენის საშუალებას უსპობს, მაგრამ არის მეორე ჯგუფის ნაწარმოებები, სადაც პირბადრი მთვარე გამოდის წინა პლანზე, ხალხიც მას მეტი სიმპათიებით ეპყრობა. თუ უწინ მოსავლის ბარაქა მზის თვალზე იყო დამოკიდებული, ახლა იგივე ფუნქციები მთვარეს უკავშირდება, მისი მოღვაწეობის ატრიბუტებად ცხადდება.

მთვარე ვნახე ნებაზედა,
ჩემსა გუნებაზედა;
პურის ცომი ღვიერი, —
საქმე ბარაქიანი!

აქ აშკარად ჩანს ახლებური გაგება, მთვარის კეთილმოქმედებითი უპირატესობა და საქმებარაქიანობა. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი გამოთქმა არაა და არც სახალხო მგოსნის სიტყვის თამაში.

ამგვარ ნაწარმოებთა შემქმნელნი და რიტუალის დროს აღმასრულებელნი დაუფარავად აღიარებენ კაცღვთაების ძლიერებას, მის საგამგებლო სფეროთა გაფართოებასა და ყოვლისმომცველობას. როცა მთვარე კარგ გუნებაზეა, ადამიანს ხელბარაქიანობას ანიჭებს, გაფუხებულ პურს, მადიან ნამცხვარს, მთიდან მთამდე გამძლე საზრდოს აძლევს. ამიტომაც ახალი მთვარის ამ სალოცავ-მისადაგებელ ფორმულას ქართველი კაცი კეთილი სურვილით ამთავრებს: „მე ვცხონდე და შენ იზარდე“. მაშასადამე, ნამგალა მთვარეს გავსება სჭირდება, ხოლო ადამიანს—ცხონება, დიდხანს სიცოცხლე. მთვარის გუნება ცვალებადია ხალხური გაგებით, განვითარების ფაზების კვალობაზე სხვა-

დასხვა თვისებას ამჟღავნებს. ამის გამო საჭიროა სამეურნეო და სარწმუნოებრივი მოქმედების რეგლამენტირება, ტაბუირება. მართლაც, საქართველოში, სხვა ქვეყნებზე ამ შემთხვევაში არაფერს ვლაპარაკობთ, მთავარის მსახურების მთელი კოდექსი არსებობს. ბევრი რამაა აკრძალული ახალ, სავსე ან გადაბრუნებულ მთვარეზე. მზე ისე ტაბუირებული და მაგიური მოქმედებით შეზღუდული არაა, როგორც მთვარე. ჩვენი აზრით ამგვარ შეზღუდვა-დამშვებებში ცის გუშავის კულტის სიძლიერე და აღმსარებელთა დიდი მორიდებულობა შეიძლება ამოვიკითხოთ. პრობლემის ამ მიმართულებით განხილვა ჩვენი კვლევა-ძიების ობიექტს არ წარმოადგენს ამეამად, რადგან მთვარე პოეტურ ტექსტებში ნაკლებად არის წარმოდგენილი თანამედროვე საფეხურზე.

მ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი

კოსმოსური სამყარო ვრცელია და უსასრულო. მოწმენდილი ცა ადამიანს თავზე ან დაქათქათებს და კეთილი თვალით უმზერს, ანდა შავი ღრუბლებით შექუფრული მუხის სროლით ემუქრება. ქართული კოსმოგონია ცის სხეულთა შორის კარსკვლავებსაც მნიშვნელოვან როლს ანიჭებს. ისინი, თითქოს ადამიანის დები და ძმები არიან, შორიდან ციშციშებენ და ბედის ვარსკვლავებად ესახებოდნენ შორეულ წინაპრებს. ძველ წერილობით წყაროებში არაიშვიათადაა საუბარი კოსმოსურ სხეულთა თაყვანისცემაზე, საღვთო რიტუალზე. საკულტო ობიექტთა შორის, მაგალითად, ლეონტი მროველი ვარსკვლავებსაც გარკვევით ასახელებს: „რომელნიმე უგდებდეს ცასა, და სხუანი მზესა და რომელნიმე მთოვარესა, რომელნიმე ვარსკვლავთაო“, ამბობს ისტორიკოსი²⁷. ალბათ ამით აიხსნება ხალხურ ლექსებში ვარსკვლავების ხშირი გამოჩენა; შუქურ-ვარსკვლავი, ცისკარი და სხვანი არაერთი ნაწარმოების თემაა.

ამოღი შუქურ-ვარსკვლავო, მანათობლო ღამისა;
ამოღი და გამინათე ხშირი სიბნელე ზამთრისა.

არადა ნამქერი დაძლევეს ვაჟკაცს, დასაძრახისი გახდება. ცაზე მოწყვეტილი ვარსკვლავიც სიმბოლურ ასახვას პოულობს მითოლოგიაში: ვილაცის ბედის მაჩვენებელია და მის სიკვდილს, ჩაქრობას გვაუწყებს.

კოსმოსურ სხეულთა შესახებ დიფერენცირებული წარმოდგენე-

²⁷ ქართლის ცხოვრება, მარ. ვარ., გვ. 814.

ბის შემუშავება და მხატვრულ სახეებში გადმოცემა ხანგრძლივი შემოქმედებითი პროცესის შედეგია. მსგავსი სახეები და რიტუალი ერთდღესა და საუკუნეში არ იქმნება. პირველყოფილ საგვარეულო წყობაში შემუშავებული მითოლოგია ხელოვნების საფეხურს შედარებით გვიან აღწევს; ჯერ მხატვრულ სიტყვაში, სხვადასხვა რიგის საგალობლებისა და ფერხულების ფორმაში ვლინდება, შემდეგ კი მატერიალურ განსხეულებას აღწევს საცხოვრებელი სახლის დედაბოძის, კიშკრისთავის, ეკლესია-მონასტერზე ამოკვეთილი ბარელიეფის, რიტუალური ნიღბების და სხვათა სახით. ამჟამად თითოეული კოსმოსური სხეული სხვადასხვა კუთხის მასალაში იჩენს თავს დიფერენცირებულად. ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი, მესხეთ-ჭაქახეთი გურია და სამეგრელო, რაქა-ლეჩხუმი, იმერეთი, სვანეთი—ყველა თავისებურად გადმოსცემს ერთსა და იმავე კოსმოგონიურ სურათს. უნიფიცირებული გაგება უფრო ძველია და თავდაპირველი, ვიდრე დიფერენცირებული, ერთმანეთისაგან დაშორებული ვარიანტები. ჩვენ აქაც შეგვიძლია გარკვეული ახსნა მოვძებნოთ. მითოლოგიური აზროვნების პირველ საფეხურზე, დარგობრივი მითოლოგიის შემუშავების პერიოდში ქართველი ხალხი მთლიან ეთნიკურ ერთეულს წარმოადგენდა; ჯერ კიდევ არ იყო ტომობრივი დაყოფა და მითოლოგიასაც მთლიანი სახე ჰქონდა. მომდევნო საფეხურზე საწყისი ერთობლიობა დაირღვა, ხელოვნების პირველყოფილი სინკრეტიზმის მსგავსად, და მონათესავე ტომების შექმნას დაედო სათავე. მაშინ საერთო მითოლოგიური მარაგიდან თითოეულმა განაყოფა თავისი მემკვიდრეობა მიიღო, რაც შემდეგში ძალისდა შესაფერისად გადაამუშავა და თვითმყოფი ხასიათი მისცა. დიფერენცირების ეს გზა აღიარებულია მატერიალისტური მოძღვრების მიხედვითაც. აი რას წერს ფრ. ენგელსი: „ეს პირვანდელი რელიგიური წარმოდგენანი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ერთნაირნი არიან მონათესავე ხალხების ჯგუფებში, ჯგუფის დაყოფის შემდეგ თითოეულ ხალხში, ცხოვრების პირობების მიხედვით, თავისებურად ვითარდებიან... თითოეული ხალხის მიერ შემუშავებული ღმერთები ეროვნული ღმერთები იყვნენ, მათ მეუფება არ სცილდებოდა მათ მიერ დასაცავი ეროვნული ტერიტორიის საზღვრებს, რომლის იქით სხვა ღმერთების ბრძანებლობა იწყებოდა. ეს ღმერთები ერის წარმოდგენაში არსებობდნენ, ვიდრე თვით ერი ცხოვრობდა; ისინი ემხოზობდნენ ერების დამხობასთან ერთად“²⁸.

²⁸ ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი, 1954, გვ. 61—62.

კოსმოსური ღვთაებანი დარგობრივი მითოლოგიის ფარგლებში თავსდებიან. დარგობრივი მითოლოგია—გარკვეული სფეროს გამგებელთა თუ მამასახლისთა აღიარება — წარმოადგენს პირველყოფილი აზროვნების უმაღლეს საფეხურს, რომელსაც წინ უსწრებდა ხანგრძლივი პერიოდი ე. წ. დაბალი მითოლოგიის არსებობისა. ორიოდ სიტყვით ამ საფეხურსაც უნდა შევეხოთ, თუმცა პოეტურ ტექსტებში, ლექსებსა და სიმღერებში, მკრთალად არას წარმოდგენილი.

დაბალი მითოლოგიის ცნებაში უძველესი ანიმისტური და ტოტემისტური, ფეტიშური და მაგიური გაგების საფუძველზე შემუშავებული სულები და ადგილის მფარველნი თავსდებიან. ამ დროს ყველაფერი გასულიერებულია. ადამიანს ზებუნებრივად ეჩვენება ხეების მოძრაობა და მცენარის კულტი ჩნდება; მაღალმთას საკუთარი სული ჰყავს, ალბათ სვანეთში ცნობილი ბერშიშვილის შესაძარებელი. ადამიანი ნათესავია ცხოვრებისა, და ჩნდება ტოტემიზმი. ყოველ ადგილს, ველს თუ მინდორს, ტყეს თუ ღრეს, კლდეს თუ ნაპარას, სახლს თუ გამოქვაბულს, წყაროს თუ მდინარეს, — თავისი უხილავი გამგებელი მოეპოვება, და მას ხშირად ადგილის დედა ეწოდება. ავადმყოფობა და სახადი უჩინარი ბატონის სახით წარმოდგინება, ეს უკანასკნელი ზოგჯერ ადამიანს სხეულში ძალად შეუსახლდება და ტანჯავს. აი ეს უჩინარნი და უხილავნი, ავი და ბოროტი სულები, რომლებითაც ქვეყანა თითქოს ავსებული, არ არიან მატერიალურად გამოხატულნი კერპებისა და ხატების, ბომონებისა და სალოცავების სახით, როგორც ეს დარგობრივ მითოლოგიას ახასიათებს. მართალია, შიშის მომგვრელ უჩინართა და უხილავთა აურაცხელი სამყარო ძალზე პრიმიტიულ საზოგადოებაშია შემუშავებული, მაგრამ მომდევნო ეპოქებშიც განაგრძობს არსებობას და თვით ჩვენს დრომდე აღწევს სხვადასხვა უწმინდურთა და ავადსახსენებელთა გადანაშთების ფორმით. დაბალი მითოლოგიის გარდა პირობითად მას ბუნებრივი რელიგიაც შეიძლება ეწოდოს, ჩვენ მაინც პირველ ტერმინს ვამჯობინებთ, რადგან მსჯელობა გვაქვს ისეთ მითოლოგიაზე, რომელიც წინ უსწრებდა მონოთეისტურ რელიგიათა ჩამოყალიბებას. თითოეულ ხალხს მეტნაკლებად არსებობის ხანგრძლივ პერიოდში მითოლოგიის ეს უადრესი საფეხურიც განვლილი აქვს.

ცხადია, ქართველი ხალხის ისტორიაშიც ჰქონდა ადგილი როგორც დაბალ, ისე მაღალ, განვითარებულ მითოლოგიას. პოეტურ ნაწარმოებებში, პოეზიაში შესამჩნევი კვალი მხოლოდ საგვარეულო-ტომობრივი მითოლოგიის მაღალმა საფეხურმა, დარგობრივ მითოლო-

გად წოდებულმა საფეხურმა, დატოვა. დაბალი მითოლოგიის მონაცემები ხელშესახებად ხალხის რწმენასა და მის შესაბამის ადრინდელ წერილობით წყაროებში იჩენს თავს, ლექს-სიმღერებში კი სუსტი გამონაკრთომია შემონახული. ორიგინალური წარმოშობის სხვადასხვა უნარის წერილობითი თხზულებანი არა იშვიათად მოუთხრობენ დაბალი მითოლოგიის არსებობაზე ჩვენში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც სპეციალურად მიმოიხილავს ქართველი ერის ძველ (კერპმსახურებრივ) და ახალ (მართლმადიდებლურ) სარწმუნოებას, უეჭველად ადასტურებს დარგობრივი მითოლოგიის წინა საფეხურის სინამდვილეს საქართველოში. ნათქვამის საილუსტრაციოდ აქვე ვაჩვენებთ რამდენიმე ცნობას.

„ვჰმსახურებდით სამე დაბადებულთა და არა დამბადებულსა, ქერობინთა ეტლთა ზედა მკდომარისა წილ მათთა მალალთა. თავუუანის-სცემდეს მამანი ჩუენნი“.

„და იტყოდეს დამბადებულად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რეალსა, გამობერვით განქედილსა, ღმრთად თავუუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქვეყნისა შემოქმედად“.

„და ვიხილე ერი უცხოჲ უცხოთა ღრმერთთა მსახური, ცეცხლსა და ქუათა და ძელთა თავუუანის-სცემდეს“²⁹.

„რომელნიმე უგდებდეს ცასა და სხუანი მზესა და რომელნიმე მთავარესა, რომელნიმე ვარსკვლავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქვეყანასა და მკეცთა და ნადირთა და ხეთა“³⁰.

„ესეცა გუესმა ქუეყანასა სომხითისასა და ქართლისასა, რომელნიმე სუმბულ სარქისს მსახურებენ და რომელნიმე მაცთურთა მათ სახლისა ანგელოზთა უწოდებენ და მსახურებენ სახელ კერბთა და რომელნი უჩინოთა ჰმსახურებენ სადაცა სახლად, გინა გარე ველთა, ანუ სადაც კლდის პირთა ანუ ხეთა და რომელნიმე უფლისციხელთა ჰმსახურებენ და რომელნიმე ბორანიას ეშმაკთა თავუუანის-სცემენ კერბთა, რამე თუ ეშმაკნი არიან“³¹.

ძველ წყაროებში სათაყვანებლად აღიარებული მთანი მალალნი, ქუანი და ძელნი, ცეცხლი და ფრინველნი, მკეცნი და ნადირნი, მღინარენი და წყარონი, ცა და ქუეყანა, უჩინონი და უხორცონი—ყველა დაბალი მითოლოგიის სფეროს განეკუთვნება და საუკუნეების მან-

²⁹ მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, 1, 1964, გვ. გვ. 125, 120, 117.

³⁰ ქ. ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, გვ. 107.

³¹ Ф. Жордани я, Описание рукописей, II, გვ. 200.

ძილზე წარმოადგენდა ქართველი ერის რწმენის საგანს. ამგვარ „არსებათა“, „ღვთაებათა“ რიცხვი უთვალავია, უფრო მეტი, ვიდრე ასეული და ათასეული. ყველას დასახელება, კონკრეტული სახელდება არცაა შემონახული ანდა მეცნიერული კვლევა-ძიებით გახსნილ-დადასტურებული. მაშასადამე, მრავალრწმენიანობა რთული ხვეულებით თანდათან ერთრწმენიანობისაკენ მიემართებოდა, ე. ი. მითოლოგიური პირამიდა თავიდანვე ფუძეზე იდგა და განვითარება ამ პირამიდის მწვერვალზე ასვლას მოასწავებდა.

ქართულ ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში მდიდარი მასალები მოიპოვება აღნიშნული პროცესის ნათელსაყოფად. არც წერილობითი წყაროები იჩენენ მაინცადამაინც სიძუნწეს. ის, რაც მოქცევის შემდეგ აუგად სახსენებელი კერპბორგნეულის სახით გადმოიცემოდა³², ადრე მოწიწებასა და აღზუნებას იწვევდა, წარმოადგენდა პოეტური წვდომის საგანს და რიტუალთან იყო შეზრდილი. სანამ კვლავ დავუბრუნდებოდეთ დარგობრივ ღვთაებათა მხატვრული ასახვის პრობლემას, საჭიროა რამდენიმე ძირითადი ცნობა გავითვალისწინოთ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით.

„ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყენეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი არმაზ და ზადენ“, რომელთა მიმართ მსხვერპლად მიჰყავდათ პირშშონი თვისნი.

„და შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწულა და მტუერი გარდაბნევადა თავსა კერპისასა“.

„რამეთუ აჰა ესერა ღმერთნი, ღიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, ქუეყნით ნაყოფთა გამზრდელნი, ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნი“.

„და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი, გაცი და გა, და თავი შენი იგი იყავნ და სარწმუნოებებად კაცთა მიმართ“.

„და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი და მარცხულ მისა—კერპი ვერცხლისაჲ და სახელი მისი გა რომელნი-იგი ღმრთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან ქართველით“³³.

„ფარნავაზ შექმნა კერპი ღიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ

³² მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 86—95.

³³ ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, 1, გვ. გვ. 125, 126, 132, 182, 119.

ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა,
და მიერთვან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა
სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“.

„და დაქდა საურმაგ მცხეთას მეფედ... და მან შექმნა
ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა“³⁴.

„ჰხედავთაა. ვ-რ ბოროტ არიან საქმენი ესე და კ-დ სახელის
დებანი იგი საწარმართოთა კერპთანი. რ-ლნ მათ
ლ-თად შერაცხნეს. რ-ლნიმე მამათა და რ-ლნიმე დედათა
ს-ლდ მოისპენ? დიოს, ანუ აპოლონოს, ანუ არტემს.
ანუ ბოჩი და გაცი და ბადაგონ და არმაზ ანუ რ-ლ
იგი წნეხასა ყურძნისასა ბილწის მის დიონისეს სახელსა
იტყვიან და სიცილსა აღაზრზენენ, ესე ყ-ნი
საეშმაკოჲ არს და მოისპენ ქ-უენეთაგან“³⁵.

ზემოთ დასახელებული არმაზ და ზადენ, გაცი და გა, აინინა და
დანანა, ბოჩი და ბადაგონ — ყველა ოფიციალური სახელმწიფო მას-
შტაბის ღმერთებია, რომელთა ოქროს თუ ვერცხლის კერპები ანუ ქან-
დაკებანი ამშვენებდა ქართლის სატახტო ქალაქ მცხეთას. ამავე პერი-
ოდში საქართველოს თითოეული კუთხე მოფენილი იყო ადგილობრი-
ვი სათემო ხატსალოცავებით. დღემდე მკვლევართა ცხარე კამათს იწ-
ვევს მცხეთის კერპ-სალოცავთა ფუნქციისა და გენეზისის პრობლემე-
ბი. ამჟამად ჩვენც უპასუხოდ ვტოვებთ ამავე საკითხებს, რადგან
კვლევის საგნად გამოცხადებულ ხალხურ ლექსებში ერთხელაც არ იხ-
სენებიან არმაზი, ზადენი, გაცი, გა, ბოჩი და ბადაგონ. რაც შეეხება
აინინასა და დანანას, მათი სახელებს ამოკითხვაც ძნელდება საწეს-
ჩვეულებო პოეზიის ისეთ ნიმუშებში, როგორცაა „ნანა“, „ნანიანა“,
„იავ-ნანა“. მაშასადამე, წერილობითი წყაროები თითქმის არაფერს
გვაუწყებენ ისეთ დარგობრივ ღვთაებათა შესახებ, რომლებიც განსა-
კუთრებით მდიდრად არიან წარმოდგენილი მთის პოეზიის (ფშავი, ხევ-
სურეთი, მთიულეთი, ხევი, თუშეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი) პოე-
ტურ ძეგლებში. ცხადია, მოუხსენებლობასაც თავისი მიზეზი აქვს და
საზოგადოებრივი-სახელმწიფოებრივი ვითარებით აიხსნება.

რაკი ადრინდელ საისტორიო ცნობებს გავეცანით, ახლა შეიძლე-
ბა პირდაპირ შევეხოთ ღვთაებებს, რომელთა მხატვრული აღბეჭდვა
ხალხმა მოახერხა თავის მრავალსაუკუნოვან პოეზიაში.

³⁴ ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, გვ. 25, 27.

³⁵ წესა და განრავება და სჯულის კანონი მეექუსისა კრებისა, Древности восточ-
ные, II, გვ. 113.

მითოლოგიურ იერარქიაში მორიგეს პირველი ადგილი უჭირავს, იგი უზენაესია და „რიგს და წესს აძლევს ქვეყნიერებას“³⁶. ი. ჯავახიშვილის დაკვირვებითაც „ფშავლები და ხევსურები უზენაეს ღვთაებას „მორიგეს“ უწოდებენ“³⁷. „მორიგე“ ეპითეტია, რაც წესრიგის დამამყარებელს, განმკარგულებელს ნიშნავს. ღმერთები ან ღვთაებანი, გაშასაღამე, მრავალია. თითოეულს თავისი მოვალეობა და საზრუნავი აქვს მიჩენილი. მორიგე მათ შორის ყველაზე უფროსია. ნ. ხიზანიშვილის თქმით, ქვეყნის უშუალო მმართველობაში იგი არ ერევა; ამისთვის მას თანაშემწენი, სხვა წვრილი ღვთაებანი, ხატები ჰყავს გამოყოფილი, თვითონ მხოლოდ ბრძანებებს იძლევა, რიგსა და წესს ადგენს ქვეყნისათვის. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც: მორიგე—წესრიგის დამდგენი.

ხევსური მორიგეს პირველ ადგილზე იხსენიებს. რიტუალურ ლექსში იერარქიული ჩამოთვლა სწორედ მისით იწყება. „მორიგევ, ღმერთო გეხვეწებო“, ასეთი დასაწყისი აქვს ხახმატის ჯვარში ლექსად წარმოთქმულ ქადაგებას. მორიგე ღმერთის სამოქმედო ასპარეზი შეუდარებლად დიდია და ცოცხლების ყოველგვარ საქმეს მოიცავს. 1865 წელს ჩაწერილ სადიდებულ სიტყვაში მორიგისაგან მრავალგვარ სიკეთესა და მფარველობას მოითხოვს მეხვეწური და ჩოქის მომხრელი, ე. ი. თაყვანისმცემელი. „რაც რომ გულზედ და მხარზედ გიძახებდეს იმაზე გაუგონე“, „მგზავრობა მშვიდობისა მიერ“, „ავდარს გადაუდარე“, „ლალს მტერთან ჩაუფარე“, „მიწრიელ დაულაგმე“, მბეგრავსა და ყალანის მზიდავს „მაგის ყუდროს ნუ მიჰკერძებ“, „საქონლისა, ნამაშვრალ-ნამუშევრისა მეშველი და მწყალობელი იყავი“³⁸ და ა. შ.

ერთადერთი რიტუალური ლექსი, რომელიც ჩვენს კრებულშია წარმოდგენილი, მორიგესთან ერთად „ქრისტის ღედას“ ახსენებს. ამგვარი დასახელება თითქოს ფორმალური ხასიათისაა. განსაკუთრებით ეს აშკარა იქნება, თუ აღნიშნულ ლექსს უკვე ციტირებულ 1865 წელს ჩაწერილ ხევსურულ დალოცვას შევადარებთ.

ყუდროს დამკერო, გეხვეწებო,
ჩამოლ მაღლის სათხოვრადო,

36 ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნ. ნაწერები, 1940, გვ. 68.

37 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., 1, 1928, გვ. 56.

38 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალ. საქ. ეთნოგრა., 1, 1938, გვ. 20.

ჩამოლ წიგნის საწერლადო,
ბატონ-ყმათ დასარიგებლადო.

მავედრებელი ამ შემთხვევაში თავის მოვალეობაზე ლაპარაკობს: „ელჩობაი მაქვს მალოცვილიო“. ეს ელჩობა, მოციქულობა, შუამდგომა საშუალებას აძლევს უშუალოდ მიმართოს უზენაესს, მორიგე ღმერთს და მისი ყურადღების ღირსად გახდომა თხოვოს. აშკარად წარმართული შინაარსისა და წარმოშობის 10-მარცვლოვან ლექსში ქრისტიანულ სარწმუნოებას სხვა ცვლილება ვერ მოუხდენია თუ არა ახალი პერსონაჟის ჩართვისა.

ქრისტის დედაო, გთხოვ მდლსაო,
ჩამიში ოქროს ქოთანშიაო,
ჩამარეცხიენ ღილ-ქამრიანიო,
ელჩობაი მაქვ მალოცვილიო.

ოქროს ქოთანი, ღილ-ქამრის ჩარეცხვა და ელჩობის მოვალეობა თავისი შინაარსით შორს დგას ახალი სარწმუნოებასაგან და მხოლოდ წინა საფეხურის დარგობრივ მითოლოგიაში იღებს სათავეს.

დ ა ლ ი

მხატვრული აზროვნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მითოლოგიური სახეები პოეტური შემოქმედების საგნად იქცევიან. ამ დროს ხელოვანის წინაშე არაჩვეულებრივ მოვლენათა მთელი სამყაროა გადაშლილი და ისიც დიდი აღმაფრენით ქმნის, უხვად იყენებს რა წინა თაობათა ნაფიქრსა და ნააზრევს, უკვე ტრადიციულად ქცეულსა და ყოფიერებაში დამკვიდრებულ გადმოცემებს. მარქსის მიერ ბერძნული ხელოვნების მაგალითზე ნაჩვენები კანონი ქართულ სინამდვილეშიც დასტურდება. აქაც მითოლოგია მხატვრული ასახვის საფუძველსა და ამოუწურავ წყაროს წარმოადგენს. თანდათან მითიური არსებანი გზას იკაფავენ პოეზიისაკენ, შემოდინან ახალ სამყაროში, მაგრამ არა ძველის ასლის ფორმით, არამედ გარდაქმნილ-გადამუშავებულნი.

მითოლოგიის სფეროდან პოეზიაში გადმოსულ მხატვრულ სახეთა შორის დალს პირველი ადგილი უჭირავს ქართულ ფოლკლორში. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ქალღმერთი დალი რთული ეპიკური პერსონაჟია. მის ირგვლივ თავმოყრილია როგორც პროზაული, ისე პოეტური ნაწარმოებები. თანაც ამგვარ ნაწარმოებთა რკალი არაა მცირე და ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მთლიანად მოცემულია წინამდებარე ნაშრომში. აქ დაბეჭდილ თითოეული ბალადის კომენტარში აღ-

გილის შესაბამისად დაწვრილებით არის მსჯელობა ამა თუ იმ კონკრეტულ ძეგლსა და მის ვარიანტებზე. ახლა დალის მხოლოდ ზოგადი სახის წარმოდგენისათვის გვექნება მსჯელობა.

დალის ეპიკური ფუნქციები და მითოლოგიური ბუნება სხვა. ღვთაებებზე გაცილებით უკეთაა შესწავლილი. ბეს. ნიყარაძის ნაწერების³⁹, ივ. ჯავახიშვილის⁴⁰, ელ. ვირსალაძის⁴¹, ამ სტრიქონების ავტორის და სხვათა სპეციალურ ნაშრომებში⁴² გარკვეულია, თუ რას წარმოადგენს დალი და განვითარების რა საფეხურები განვლო. მწვავე სარწმუნოებრივ ბრძოლაში მატრიარქატის დროის კეთილი ღვთაებიდან დალი თანდათან პატრიარქატის დროის ბოროტ ალად იქცა. განვითარებისა და ტრანსფორმაციის ეს გზა მეტად რთული და ხანვრძლივი იყო, რასაც სამითათსამდე წელი დასჭირდა. სამაგიეროდ ამან მოგვცა, ერთი მხრივ, ამირანიანის დასავლეთ-ქართული, კოლხური ვერსიის თავისებური სვანური ვარიანტები, ხოლო მეორე მხრივ, დალის მიჯნურ მონადირეთა მოსაგონარი ბალადები. ამირანის თქმულება, ბეთქილის, მანგურისა და ჩორლას ბალადები ფოლკლორული ხელოვნების შედევრებს წარმოადგენენ. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ ნაწარმოებებისაკენ არის ამჟამად მიქცეული.

დალი არაა ლოკალური სვანური მოვლენა. ის იმდროინდელი ქალღმერთია, როცა ქართველური ტომები მთლიანობას წარმოადგენენ და ცალცალკე არ იყვნენ. საერთო ფონდიდან, როგორც პირობით ვუწოდებთ, ამირანის ტომის⁴³ მითოლოგიური არსენალიდან ყველა გამონაყოფმა წამოიღო თვისი მეგვიდრეობა. ბარის რაიონებში პირველყოფილი მითოლოგიური პერსონის სრული ტრანსფორმაცია მოხდა ნადირთუფროსის დარგობრივი ღვთაებიდან ქრისტიანული პერიოდის მანვე ალამდე. სვანეთმა შედარებით სრულყოფილად დაიცვა ნადირთა მწყემსის პირვანდელი სახე, თუმცა აქაც, ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში, კეთილი ღვთაების ბოროტ არსებამდე ჩამოქვეითება აშკარად იგრძნობა.

დალის სახელი სვანურ თქმულებებსა და ლექსებში როდი გვხვდება მარტო. მას იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს სიტყვიერებაც

39 ბ. ნიყარაძე—თავისუფალი სვანი,—ისტორიულ-ენოგრაფიული წერილები, 11, 1964, გვ. 35—39.

40 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1913.

41 ელ. ვირსალაძე. ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964.

42 მიხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947; ქართული ეპოსი, 1, 1959; 11, 1965.

43 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 267.

„დალაის“, „დალაობის“ ფორმით. შემთხვევითი არაა, რომ თუშები-გმირის მოსაგონარ სამგლოვიარო ლექსსა და წესჩვეულებას ამ სახელით აღნიშნავენ.

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო, დალაი, დალაი!
ძნელი არს დალაობი, დალაი, დალაი!
ბრალი ხარ იჩუკაიძე, შენი ულაშქროთ სიკვდილი⁴⁴.

XVIII საუკ. მოგზაურს გიულდენშტედტს დადასტურებული აქვს⁴⁵, რომ ღმერთს ჩეჩნურად დღლე—Däle—დაილა ეწოდება, ქისტურად დ ჳლა—Däla, წოვეურად დალე Dale. წოვები ამჟამად ღმერთს სიტყვა დალ-ით აღნიშნავენ, ხოლო ალაზნის წოვა-თუშებმა იციან დალავებაჲ და მიცვალებულის მოსახსენებელი დალაობაჲ⁴⁶. როგორც სვანური, ისე ჩრდ. კავკასიის ნაწილ ხალხებში ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვის მატერიალურ ნაწილში „დალ“ არის. ამით ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უძველეს საფეხურზე „ღმერთის“ აღმნიშვნელად ის სიტყვა გამოიყენებოდა, რომელიც ამჟამად ლოკალური მნიშვნელობის ნადირისა და მონადირეთა მფარველ ქალღვთაების სახელს წარმოადგენს.

ქალღმერთი დალი გამოირჩევა აგებულებით, სილამაზითა და მშვენიერებით. მისი მხახველები ყოველთვის მოხიბლულნი რჩებიან. კოჭებამდე სცემს ოქროს ნაწნავები და სახით ცის მნათობსა ჰგავს. მისი საცხოვრებელი ადგილი პიტალო კლდეებია, სადაც მუხლმაგარ ჯიხვებს თუ შეუძლიათ გავლა. იქამდე სახელოვანი მონადირეებიც ვერ აღწევენ დაუხმარებლად. დალი ერთი არაა; ისინი ბევრნი არიან. სვანური თქმულებებისა და ბალადების მიხედვით დალები ჯგუფჯგუფად ცხოვრობენ და ადვილად არ ეჩვენებიან ადამიანს. ჩორლას რიტუალურ ბალადაში აღნიშნულია, რომ განთქმულ მონადირეს

მხოლოდ ერთი კოკლი თხა გადაურჩა.
რის კოკლობითა და ცოდვილობით
დალის კლდემდე მიუღწევია თხას,
მისდგომია დალის გამოქვაბულს.
გარეთ გამოცვივდნენ დალები...

(„მონადირე ჩორლა“)

⁴⁴ თუშური ლექსები, ივ. ბუქუბაეღლის შეკომბილი. ხალხური სიტყვიერება, 1, თაყაიშვილის რედ., 109 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 155.

⁴⁵ გიულდენშტედტი, მოგზაურობა, 11. 1964, გვ. 121, 340; ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ., 1, 1950, გვ. 185; ელ. ვირსალაძე. ქართ. სამონ. ეპოსი, 1964, გვ. 111.

⁴⁶ თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960. გვ. 195.

მოულოდნელად რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა უნდა მოხდეს რათა დალი აშკარად გამოჩნდეს. როცა ჩორლამ დალების სამწყსო უმოწყალოდ ამოწყვიტა, მაშინ მას „დაეხვია დალების ლაშქარი“ („მონადირე ჩორლა“). ეს უბრალო ჯარი არ არის, მას დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. დალები ადვილად იმორჩილებენ შეიარაღებულ ვაეკაცებს და თვალუწვდენ უფსკრულზე გადაკიდებენ ხოლმე. მათთან ბრძოლა ადამიანს არ ძალუძს, მხოლოდ დიდ მხედარსა და აზოვანს, ღვთაებრივი ძალით აღჭურვილ ჯგრაგს შეუძლია დალების შეკავება, ალაგმვა, ზოგჯერ განადგურებაც. იმავე ჩორლას პოემაში წმ. გიორგი თვითონ გაერევა დალების ლაშქარში, ჯერ დაიხსნის ტრაგიკულად განწირულ გმირს, შემდეგ კი რისხვას დაატენს თავზე წარმართულ ღვთაებებს.

მიიხედა ჩორლამ და რას ხედავს:
საბრალო დალების ლაშქარი
მეწყერსა და ნიაღვარს მიაქვს.

დალი სწრაფია და მფრინავი: „ერთი დალი წინ მიფრინავს, ყოველ ნაბიჯზე სახლის სიმაღლე ნახტომს აკეთებს“ („მონადირე ჩორლა“).

დალი ხორციელი ქალივით მშობიარობს, შვილს აჩენს. დედობრივი სიყვარულიც უსაზღვრო აქვს. ჩვენამდე მოღწეულია კლასიკური ფორმის სასიმღერო-საფერხულო ბალადა დალის კლდეში მშობიარობის თემაზე. მელოგინე ქალივით კივის დალი ამ დროს. დამხმარეც არავინ ჩანს მასთან. სწორედ ამგვარი კივილის ხმა შემოესმა შუნსა და არჩეზე სანადიროდ მიმავალ მონადირეს. მიჰყვა ხმას და შემამფოთებელი სურათი წარმოუდგა თვალწინ:

ავიხედე — თეთრი კლდეა.
კლდეზე დალი მშობიარობს;
ძირს მგელია დადარაჯებული.

(„დალი“)

მონადირეები დალის სახელზე ლოცულობენ, მისგან წყალობას შოელიან. ნადირობის წესების დამცველსა და რიგიან მონადირეს დალი არასოდეს ხელს არ უშლის, პირიქით, ასაჩუქრებს, ხელს უმართავს, ეხმარება. დალის გულის მოგება არაა ძნელი. ამისათვის საჭიროა პროფესიული ტრადიციის დაცვა, მოსალოცი ხმიადების მირთმევა და ნადირთა მწყემსის საყვარელ, მონიშნულ ცხოველთა გაფრთხილება. მონადირის კეთილი სამსახური და გულწრფელი განწყობილება ყოველთვის დაფასებულია. როცა მონადირემ მხეცი მოკლა და გატა-

ცებული ჩვილი მელოგინე დედას დაუბრუნა, სასომიხდილმა ქალ-
ღმერთმა მას სიუხვის კალთა დააბერტყა თავზე.

— მონადირე, თუ რამე სათხოვარი გაქვს,
მთხოვე და შეგისრულებ.
გერჩიოს და — ჩემი დედობა,
გერჩიოს და — დობა, სიყვარული...
თუ არა და ყოველ სექტემბერს მოგცემ
რვა ისეთ ჩიხეს, სამი მტკაველი რქა ექნეს.
ყოველ ბარბარობას შეიდ ჩიხეს,
წერილ არჩეს კი ყოველ კვირას.

(„დალი“)

დალი სიკეთის სიკეთით გადამხდელია. მარტო ერთს, შვილის გა-
დამრჩენს კი არ უხდის სამაგიეროს, არამედ მთელ მის გვარეულო-
ბას. „ყველა მონადირეს, რომელიც შენი მოგვარე იქნება, მარჯვენა
მხარში ამოვუდგები“. ყოველივე ეს უძველესი მითოლოგიური საფე-
ხურისათვის არის დამახასიათებელი, როცა ღვთაებასა და ადამიანს
შორის ჰარმონიულობა სუფევს, მათ შორის არსებული ურთიერთობა
ბუნებრივი ხასიათისაა, არც გრძნობაა დაფარული და არც აზრი. სა-
ნადირო ფაუნასთან ერთად, ნადირთა მწყემსი თოვლიან მთებსა და
კლდეებში მოსიარულე მონადირეებს ხელს უმართავს, სიკვდილისა-
გან იცავს. რისხვის შესანელებლად დალებზე გამწყრალ ჯგრაგს ჩორ-
ლა ეუბნება:

ამას ჩემთვის ბევრი სიკეთე უქნია,
ხშირად გათოშილი გავუთბივარ,
ხშირად მშვიერი დაუუპურებივარ.
გევედრები, უფალო ჩემო,
ამ დალს ნუ დავახრჩობთ.

(„მონადირე ჩორლა“).

დალი სამეურნეო საქმიანობის დროსაც კი მხარში უდგას ადამი-
ანს. მანგურს, მაგალითად, პურის მკის დროს დალები ეხმარებოდნენ
ნადის მკელებივით („თეთრი მანგური“). მითოლოგიური წარმოდგენით
დალი მდებდრობითი არსებაა, აქედან გამომდინარე ყველა თვისებით.
იგი ინტიმურ კავშირს ამყარებს მონადირეებთან და ესაყვარლება.
დალთან სამიჯნურო კავშირს თავისი ტაბუ გააჩნია. ტაბუს დარღვევა,
როგორც ყოველთვის, აქაც აკრძალულია. ვინც პირობას ვერ იცავს,
ან დალის საჩუქარს ვერ უვლის⁴⁷, შურისძიების მსხვერპლი ხდება;

47 ე. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გვ. 58.

დალი შეუბრალებლად სჯის სიკვდილით. დალის ხორციელ კაცთან სიყვარული ტრაგიკულია, იგი არასოდეს არ მთავრდება ბედნიერად. ამგვარ საბედისწერო რკალში ბევრი მოქცეულა და სახალხო მგონებებსაც შესაბამისად მითოლოგიური გადმოცემის საფუძველზე მაღალპოეტური სახეები შეუქმნიათ, როგორცაა, მაგალითად, ბეთქილის, მანგური-სა და ჩორლას ამადლებული სახეები.

ქალმერთი თვითონ ეძებს რჩეულ რაინდს; მისთვის სულ ერთია, დაქორწინებული იქნება იგი თუ მარტოხელა. ბალადის მიხედვით, საჯიხვეებში მოსიარულე თეთრ მაგურს შემოაღამდა და გასათევად გამოქვავბულს მიმართა. გააჩალა ცეცხლი, ააგო მწვადი. ამ ღროს დალი ესტუმრა. „მწვიდობით მომიხველ, თეთრო მანგურ“, ეუბნება კლდეების დედოფალი მონადირეს, თანაც კითხვას უსვამს: „ჩემს გამოქვავბულში რისთვის მოსულხარ?“. „დამიღამდა და რა მექნა?“. სამიჯნურო ქსელის გაბმას დალი მუქარით იწყებს: „ცუდად გაგიშვებდი აქედან, მაგრამ ასეთი ვაჟკაცი არ მემეტები!“ სიბრალულის გამოხატვლი სიტყვების მოსმენის გამო შეშფოთებული მონადირე მცირედ დამშვიდდა, მაგრამ მაინც ეშინია ქალმერთის ცვალებადი ხასიათისა. „აბა როგორ იქნება ჩემი საქმე?“—ეკითხება მანგური. დალიც არ აყოვნებს:

— მე ვერ გაგიშვებ,
თუ საყვარლად არ გამიხდები.

მანგურმა თავი მოისაწყლა და შემოთავაზებული ტრფიალის მწვიდობიანი გზით უარყოფა მოინდომა, როგორც ოჯახის ერთგულმა კაცმა.

—მე კი სიამოვნებით გაგიხდები საყვარლად,
მაგრამ ცოლ-შვილის პატრონი ვარ.

ჩანს, ასეთ ვითარებაში არც დალი იბნევა და შემთხვევას ხელდან არ უშვებს.

—ცოლ-შვილს ამით არა დაუშავდება რა,
ოღონდ ეს ამბავი არსად გაამჟღავნო.

სანამ ტაბუ დაცული იქნება, მანამდე მონადირეს ერთგული თანაშემწეც ეყოლება, მუდამ მზრუნველი და გვერდში ამომდგომი. ეს რიტუალური ლექს-სიმღერის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს:

როდესაც დიდი გასაჰირი დაგადგეს,
მაშინ ჩემი სახელი ახსენე,

მხარში ამოგიდგები,
ჯიხესა და არჩეს არ დაგიძვირებ.

(„თეთრი მანგური“)

ღალი უებრო მკურნალია; მისი ფრთის შეხება, ფასკუნჯისა არ იყოს, ჭრილობას ამრთელებს, კაცს სულს უბრუნებს. დალს ბრძოლაც კარგად ეხერხება. როცა მანგურს წყეული სავეები დაესხნენ და მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაადგეს, ხსენებისთანავე „გამომხტარა ჭი-უხიდან დალი, მანგურის საყვარელი, ხელთ იფნის ტოტი სჭერაა, დარევია სავეებს, ამბის მიმტანიც არ გაუშვია“ („თეთრი მანგური“).

საბედისწერო სიყვარულს ბეთქილი განასახიერებს. მსოფლიო ფოლკლორში ჩვენ არ გვეგულება მეორე ისეთი რიტუალური ბალადა, როგორცაა სვანური საფერხულო ლექს-დატირება ბეთქილზე. ყოველ სალექსო ფრაზას აქ თან ახლავს გულის სიღრმემდე ჩამწვდომი სამგ-ლოვიარო-სავეაქაცო ჰიმნი:

ბაილ, საბრალო ბეთქილო, საცოდავო ბეთქილო,

ბაილ ილბა, ილბა ბაილ.

ბაილ, იკრიბება მულახი და მუქალი,

ბაილ ილბა, ილბა ბაილ...

(„ბეთქილი“).

ზემოსვანები ქვემო სვანურ-ლენტეხურ ფერხულს უვლიან. შეკრე-ბილი არიან თავმომწონე ვაჟაკები და ჭაბუკები, თემისა და გვარის სიამაყენი. ამ დროს „გამოხტა თეთრი შუნი, ლაჭებში გაუძვრა ბეთ-ქილს“. ატყდა ჩოჩქოლი, მარჩიელობა. „ეგ ბეთქილის მისანი იქნება!“ დაეკვდნენ უფრო გამოცდილნი. საჭიროა შუნის შეჩერება, მისი მონადირება. მაგრამ „ვინ გაედევნება შუნს“? ამაზე მეფერხულე გუნდი პასუხობს: „ვინ გაედევნება და ბეთქილი“. მართლაც, ბეთქილი მის-დევის თეთრ შუნს, წინ ნაკვალევი კარგად ამჩნევია, უკან კი აღარ ჩანს. ასე გაიტყუა ცოლშვილიანი ჭაბუკი შუნმა კლდეთა სიღრმეში. მალე ყველაფერი ნათელი გახდება: ფერხულის ადგილას მოსული თეთრი შუნი ქალღმერთი დალი ყოფილა და არა სხვა რამ! აქ დალის ახალი ნიშან-თვისება იჩენს თავს, იგი მაქციაა, შეუძლია ცხოველად გარდა-ქმნა და სასწაულებრივად კვალის დაფარვა. დალი მაქციობის მთელ სერიას გვიჩვენებს მსოფლიო მნიშვნელობის ეპიკურ ძეგლშიც ამირან-ნის შესახებ („ამირანის თქმულება“, 1961 წ.).

ბეთქილს ბედმა უმუხთლა. ტაბუს დარღვევა ქალღმერთს შეუმჩ-ნეველი არ დარჩენია და მისი რისხვა დაიმსახურა. საშინელია დალის შურისძიება, სასჯელი. კლდეთა შორის გაზრდილს პირობის დამრღვე-

ვი მონადირის დასჯაც კლდეებთან უყვარს. არ შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ფორმა ყველგან ერთნაირია, მაგრამ ამგვარ ტენდენციას მაინც ვამჩნევთ. დალი თვალთაგან მიიფარა თუ არა:

ბეთქილი კლდეზე შერჩა:
მარჯვენა ხელის მოსაკიდი,
მარცხენა ფეხის დასადგამი...

(„ბეთქილი“).

ამ მდგომარეობაში გმირის გადარჩენაზე ფიქრიც შეუძლებელია. „ბეთქილი გადმოვარდა კლდიდან, ძირს ტოლებმა აიღეს მისი გვაში“. ბალადის ჩანაწერებს ბოლომდე არ ახლავს რეფრენი, ვფიქრობ, ტექნიკური მიზეზით, შესრულების წესით კი ლექსი ისე უნდა მთავრდებოდეს, როგორც იწყება: „ბაილ ილბა, ილბა ბაილ“...

ანალოგიური სასჯელი მიიღო მონადირე ჩორლამაც. ჭიხვების უზომოდ ამოწყვეტის გამო განრისხებული მთის დედოფალი მთელ გუნდს მიუხევეს სვან მონადირეს.

დაეხვია დალების ლაშქარი, —
ჩორლა ჭიხვებს ატყავებს, —
მაგრად შეკრეს,
მაღალ კლდეზე დაკიდეს —
მარცხენა მკლავითა და მარჯვენა წვივით.

(„მონადირე ჩორლა“).

დალის სასჯელი მონადირის კლდეზე გადაკიდებდა. როცა პირობის დამრღვევი უფსკრულის თავზე ქანაობს, დალები სიამოვნებით შესტყერიან. ერთადერთ ჩორლას გაუღიმა ბედმა. დროზე მიეშველა ჯგრაგი და აიძულა დალები კლდიდან ჩამოეხსნათ ჭაბუკი. მაგრამ საბოლოოდ ჩორლა მაინც დალის მიზეზით დაიღუპა. შინისაკენ მომავალს გზაზე „ქალი დაუხვდა მეძავზე მეძავი“. შეხვედრა საბედისწერო აღმოჩნდა. ჩორლამ ნახა, რომ ჯგრაგის მეოხებით „კლდის დალს სული ამოხდომია“. ორი ფრაზის წარმოთქმა მოასწრო მონადირემ მხოლოდ: „შე მეძავო, ჩემო ცოლო, რად არ გერჩია ცოცხლად ყოფნა“! და „ჩორლამაც სული განუტევა“.

სიმბოლური ეპილოგია: ერთდროულად იღუპებიან როგორც ძველი წარმართული მითოლოგიის ტყის დედოფალი, ისე მისი მოტრფილე მონადირე. პატრიარქატის ხანაში შექმნილი კაცლვთაება სძლევს წინა ეპოქების მხატვრულ-მითოლოგიურ სახეებს.

სამძივარი ანუ სამძივარი, როგორც ეძახიან ზოგჯერ, ერთადერთი პოპულარული მდებარეობით არსებაა ხევსურულ მითოლოგიაში. მიუხედავად იმისა, რომ სამძივარის სახელი მკიდროდ არის დაკავშირებული ცნობილ ხახმატის გიორგის ჯვართან, ხოლო ამ უკანასკნელის თაობაზე ფართო ლიტერატურა არსებობს, სამძივარის ბუნების შესწავლა მაინც დაწყებით სტადიაშია. პირველი საფუძვლიანი ძიება ეთნოგრაფ თ. ოჩიაურს ეკუთვნის. მკვლევარი შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ელჩობით სახელგანთქმული სამძივარი ნაყოფიერების ღვთაებას უნდა ასახიერებდეს და გიორგის კულტზე ძველი ჩანსო⁴⁸. სამძივარი ჩვენ ზეპირსიტყვიერების მხრით გვაინტერესებს; ახლა ამ მითიური სახის გახსნისათვის მხოლოდ ფოლკლორული მონაცემებით დაკმაყოფილებით. პირველყოვლისა ვნახოთ რას გვაძლევს ამ მხრივ ხალხური პოეზია.

ქალმერთის ხსენებამ არ უნდა გაგვაკვიროს. მართალია, ნაქადაგარ ტექსტებსა და ლექსებში ეს წოდება არც ერთხელ არ გვხვდება, მაგრამ ამგვარი კვალიფიკაციის უფლებას მისი ფუნქციების შესწავლა და ქართულ მითოლოგიურ პანთეონთან დამოკიდებულება იძლევა. სამძივარს რამდენიმე მუდმივი ეპითეტი გააჩნია. ასეთია: კელი, ყელილიანი, ქაჯის ქალი. „კელი“ ხევსურთა განმარტებით მხიარულს, თამამს, კონტასა და ლამაზს ნიშნავს. მართლაც, ხალხური ლექსების მიხედვით სამძივარი მეტად მიმზიდველი არსებაა. არც სილამაზე აქლია და არც ეშხი. უყვარს კოპწიობა, თავმანდილთა „დაგრუმენა“. ყოველთვის სატრფიალოდ არის განწყობილი და საცოლე ქაბუკებს თავბრუს ახვევს. რომელ სახელოვან ვაჟკაცს არ მოსწონებია სამძივარი! სატრფიალო შაარის ფორმის ნაქადაგართა მიხედვით სამძივარის მიჯნურთა მთელი წყების ჩამოთვლა შეიძლება: აბულეთაურები ხოლიგა, იმედა და საღირი, ფშაველი ფერაულის ძე, მეგრელაური გახუა და გოგოთურა. თითოეული მათგანი ერთდროულად თუ სხვადასხვა პერიოდში დაახლოვებული იყო ოქროს თმა-ქოშებიან ელჩ-ქალთან. სატრფოთა სიმრავლე საამაყო საქმედ მიაჩნია შუამავლობაში დახელოვნებულენაწყლიან ქალს.

აბულეთაურთ ხოლიგასაო
 საცოლედ ვეწონებოდილო,
 ჩუათ კმარა რო ვეგონიდიო.

⁴⁸ თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954. გვ. 63.

გოგოთურა კი შავიცოდევო,
ჩაუწვილიო. ჩაუწერნილი საჭიგვენიო.

ანდა სხვა:

აბულეთაურთ საღირასაო
ქალი საცოლედ მავსწონდილიო,
ჩაეხვივილი, ჩაუწვილიო,
ძუძუ-მკერდს გამავიხვივილიო.

ტრფიალს დაჩვეული ელჩი-ქალი ხშირად გარეგნობას იცვლის, სხვა ქალად ეჩვენება თავის რაინდებს. ამრიგად, მაქციობა ხელსამძივრის ერთ-ერთი თვისებაა. სწორედ ამ საშუალებით აღწევდა საიდუმლოების დაცვასა და გაუმჟღავნებლობას. მაგრამ, წარმოიდგინეთ იმ ხევსურ თუ ფშაველ ქალწულთა მდგომარეობა, ვის სახესაც სამძივარი იღებდა! რას იტყოდნენ, ვთქვათ, ჯუათ თუ შუათ ელენე ან ამირათ ქალი, როცა „ქაჯის ქალის“ მიჯნურები წინააღმდეგობას მოაგონებდნენ?! არაიშვიათად ასეთი თვალთმაქცობა სამძივარს ძვირად უჯდება. იძულებულია ელვის სისწრაფით გაცეცხლოს საგულდაგულოდ არჩეულ ადგილებს. „იმ ჩემსა გამონაფრინდომსაო, იქავ აჩნიან ნაკოპარნიო“, არის ნათქვამი ერთ ლექსში.

ერთობ მხიარული განწყობილებით გვაცნობს თავის თავს ღმერთქალი. სახალხო მგოსანიც ძალას არ იშურებს მხარი აუბას ქების ობიექტს.

მე ვარ კელსამძივარიო,
მე ვარ ქაჯის ქალიო;
ვაჟიერებ ჩემ ღილ-ქამარსაო,
ოქროსთმიანი და ოქროს ქოშებიანიო.

სამძივარის ქაჯის ქალობა ღრმად არის ფესვგადგმული რწმენაშიც. დაუანებით მიუთითებენ, რომ იგი ქაჯავეთიდანაა მოყვანილი ხახმატის წმ. გიორგის მიერ ორ სხვა დობილთან ერთად. „ხახმატის ხატს, წმინდა გიორგის ქაჯეთიდან სამი ქალი მოუყვანია—აშე, სიმენ და სამძივარა“⁴⁹. ნ. ურბნელის შეკრებილ 90-იანი წლების ცნობებს ყოველთვის როდი ეთანხმება ცოცხალი სინამდვილე. 1964 წლის ოქტომბერს ბაცალიგოში მარიამ ჰინჭარაულმა დაბეჯითებით გვითხრა, გიორგის ოთხი დობილი ჰყავდათ: სამძივარი (უფროსი), მზექალი, აშექალი და სიმენ-ქალი (ყველაზე უმცროსი). ამის მიხედვით ურბნელის ცნობას მზექალი ემატება, თუ იგი რომელიმე დობილის სახელმონაცვლე არაა.

⁴⁹ ნ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეთნოგრ. ნაწ. გვ. 68.

სამძივარის „ქაჯის ქალობა“ გვაფიქრებს. ხევსურეთისათვის უჩვეულა უცხო წარმოშობის ქალღმერთის დამკვიდრება ესოდენ ძველს რწმენაში. ამის გამო შესაძლებლობას ვუშვებთ: სამძივარის ქაჯებთან ჯაკავშირება წარმოშობის მაჩვენებელი კი არა, მისი ხასიათის, ქაჯური ბუნების, მაქციობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. რაკი ყელღიღიანი და ოქროს ქოშებიანი ასული სახეს იცვლის, მიჯნურებს შენიღბული ფორმით ეცხადება, შეუძლია ფრენა და ციხე-კოშკებზე ნაფეხურ-ნაკოჭარის დამჩნევა, ხალხმა იგი ეშმაკეულად, აღის თვისებათა მქონე არსებად მიიჩნია და „ქაჯის ქალი“ შეარქვა. ამ მოსაზრებათა მიხედვით შეიძლება დავასკვნათ; გიორგის თავისი სპელოვანი დობილი იმ ქვეყნიდან არ გამოუტაცნია, რომელთანაც სახმატის ხატს ჩაუქრობელი შულლი და ბრძოლა ჰქონდა. ამდენად სამძივარისა და მისი დობილების წარმოშობა ადგილობრივია და თანაც არა ქაჯური.

გარდა სამძივარისა არც ერთი დობილის სახელი არ გვხვდება ლექსებში. სახალხო მგოსნები აღწერენ რა ყელღიღიანი ასულის გრაციოზულობას, იქვე მის სამიჯნურო თავგადსავალსაც დაწვრილებით გვაცნობენ.

მაშინ ძლივ მქონდა შაძლებაიო,
ვიარებოდი ქალივითაო,
ნაოჭიანი ჩავიცვიდო,
ქოქომონ გავაბრიალნიდო.

ჩაცმა-მორთულობას ღმერთქალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ყოველთვის ეფექტურად ირთვება, თმებს საგანგებოდ იხვევს, ხორციელივით დაღის სოფლიდან სოფელში.

ქმელეთზე ვიარებოდიდო,
სალაღობენ დავაცხენიდო.

ქვეყნად სიარული, ე. ი. თვისტოლთა შორის გამოჩენა და ლაღობა სამძივარს ადრე დაუწყია. ხევსურულ ყაიდაზე მორთული სხვებთან ნაკლებად გამოირჩეოდა. ამიტომ ცდებოდნენ ხელქმნილი რაინდები.

ყურზე საყურსა ვიდებდიდო,
ქოქომოიანს ვიცომდიდო.

ან კვლავ უფრო ხევსურულად:

ქერბო-კალოთა ამავედიდო,
ქალი ქალაურას მავირთიდიო,
ქალის ფაფანაგ ჩავიცვიდო,
დავიგრუშნიდი თემანდელნიო,

ამირათ ქალი ვეგონიდიო,
საცოლედ ვეწონებოდიდიო.

საცოლედ მოწონებაზე ხშირადაა საუბარი ლექსებში. სარძლოს როლში გამოსვლა ძლიერ იზიდავს სამძივარს. კი არ გარბის და მორცხვობს, არამედ თვითონ ეტანება, ზოგჯერ ეძალება კიდევაც. ამის მაგალითს გარეგნობის გამოცვლა და ხორციელი ქალის სახით ჩვენება წარმოადგენს. გარკვეული მისამართიც მოეპოვება: „აბუღეთაურთ ცხეჩიო მედგის ლოგინნი ჩარდახჩიო“. ამნაირად, ხატების ელჩი ხორციელად დადის სოფელ-ქვეყანაზე, აგროვებს ფხალეულ მცენარეებს (პიმა-ლანტარას) და დიასახლისობაზეც არ ამბობს უარს.

ზეპირად ვიარებოდიდიო,
სალაღებელნი თაო ვქნიდნიო,
ზეზილის გული ჩაუღვიდიო.

ყოველივე ეს: ხმელეთზე სიარული, საქმარედ გამზადებულის ფორმით გამოსვლა, ქოქომოიან კაბების გაბრიალება და თავმანდილთა კოხტად „დაგრუშვნა“ სამძივარს იმისთვის სჭირდება, რომ სამიჯნურო ქსელი გააბეს, სახელოვან ჭაბუკთა გულში დაისადგუროს. მასთან სიძვეა სახიფათო არაა, ყოველი ხევსური გიორგის დობილს შინაგანი აღტაცებით ხვდება, რადგან იცის, შურისძიების ტრაგედია არ მოელის დალის მოტრფიალე სვან მონადირეთა მსგავსად. სამძივარი სისხლხოცით სავსე ადამიანის სახეს იღებს. შენიღბული რეალურად უახლოვდება იმას, ვისაც საცოლედ მოსწონს. მაგალითად, აბუღეთაურთ საღირას ლექსში ნათქვამია:

აბუღეთაურთ საღირასაო
ქალი საცოლედ მავწონდიდიო,
ჩავეხვივიდი, ჩაუწვიდიო,
ძუძუ-მკერდს გამავიხვივიდიო.

ქალღვთაება ისე იქცევა, როგორც ფშაველი წაწალი ან ხევსური სწორფერი. უწევს კერძოკალოზე რჩეულს და დილაძედ მასთან რჩება. „საღმართო წაწლობას“ ერთი ურყევი პირობა უდევს საფუძვლად: ვინც სამძივართან სიარულს იწყებს უქორწილოდ რჩება, ცოლის შერთვის ნება აღარ აქვს. ამ მხრივ დამახასიათებელია ლეგენდა, რომელიც თ. ოჩიაურმა გამოაქვეყნა⁵⁰ და ჩვენც მოგვისმენია სოფელ ბუჩუქურთაში. არაერთხელ ნახსენები ხოლივა უცოლო ყოფილა და არც ნება ჰქონია ქორწინებისა, რადგან სამძივარს უცხოვრია მასთან როგორც

50 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართვ. უძვ. სარწმუნოების ისტორიიდან, 1954, გვ. 44—45.

ხორციელ მეუღლეს ჯუთ ელენეს სახით. მოჩვენებით რძალს ერთ-ხელ დედამთილისათვის მასანთო-ხმიადების გამოცხობა უთხოვნია სამ-გზავროდ. თვითონ გაიკეთეო, უთქვამს ამაზე დედამთილს. მართლაც, სამძივარი შესდგომია საღიასახლისო საქმეს. უჩუპჩად ერთ თით ერ-ბოთი დიდი ქვაბი ხაეიწი მოუხარშავს. მაშინ ვაძელავენებულა ქალ-ღმერთის ვიანობა და ისიც საჩქაროდ გაფრენილა. გამოძელავენება და გაქცევა საბაბი გახდა რამდენიმე რიტუალური ლექსისა, რომლებშიც ნაკოქარზეა საუბარი.

ამ ჩემსა გამანაფრინდომსაო,
ისევ აჩნიან ნაკოქარნიო.

საფერხულო და ნაქადაგარი ლექსების მიხედვით ჩანს, რომ სამძი-ვარი ადგილობრივი წარმოშობის ქალღვთაებაა და უკანასკნელი თავ-შესაფარი ხახმატის ხატში ჰპოვა. ელჩობის, ხატსა და მახევეწარს შო-რის შუამღეფობის გარდა, იგი სამიჯნურო ქსელს აბამს სახელოვან ჭა-ბუკებთან. ვაყებთან დაახლოების დროს მაქციის როლშიც გამოდის. თუ სიყვარული გამქლავნდა, დარცხვენილი ყელლილიანი ადგილს იცვ-ლის. ერთი წყება ცნობების მიხედვით სამძივარი დობილია და ღვთის-შვილებს ექვემდებარება. მაგრამ ჩვენს მიერ შეკრებილი მონაცემებით მისი ასპარეზი და ძალა დობილისას დიდად აღემატება. ბუჩუქურთელი დეკანოზის ჯურხა გოგოქურის სიტყვით: სამძივარი ნაწილიანია, დო-ბილზე მეტი იალის არის, საკუთარი ხატი აქვს სოფელ ჭორმეშავში და გამარჯვებას თხოვენ. უწინ თბილისში, ან სხვაგან შორს სამგზავროთ თუ წავიდოდით, სამ მასანთოს (ქადა ხაეიწის გულიანი) წავიღებდით, პირველ ღამისგასათევ ადგილას მოვილოცავდით; კელსამძიმარსა და გიორგის შევედრებოდით. ვიტყოდით: კელსამძიმარო, წმ. გიორგი, გეხვეწებით მგზავრნი მოგზაურნი, მოგვეცი მშვიდობიანი მგზავრობა, ნუ დაგვაზარალებთ!“ ჭორმეშავის ხატში მონადირეები მიდიან განსა-კუთრებით, ევედრებიან კელსამძივარს და ისიც ნადირობის ბედს აძ-ლევს. ნანადირევის ნაწილი ხატში მოაქვთ. ახლაც ბევრგან ვნახუ-ლობთ შეწირულ ირმის და ჯიხვის რქებს.

სამძივარის ხატში მონადირეების მისვლა და ვედრება, მერე ნანა-დირევის ნაწილების მირთმევა,—სამძივარის ახალ ფუნქციას გვიძელა-ვენებს: აქ აშკარად ნადირთმწყემსის როლში გამოდის დალის მსგავსად. ექვთ. თაყაიშვილის ცნობითაც სვან მონადირეებს ჩუკულის ეკლესია-ში ნადირის რქები მიქონდათ, თუმცა ეს ეკლესია წმინდა ქრისტიანული

ფუნქციის შემსრულებელია იყო⁵¹. ასეთი შეწირულებანი მასიურად გვხვდება ყველა ნიშნე თუშ-ფშავ-ხევსურეთში. დაღს სამძივარი ბევრ რამეში ჰგავს. ორთავე მაქციაა, ორთავე მიწიერ ადამიანებს უმიჯნურდება, ორივე ნადირს პატრონობს. მაგრამ მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაც შეინიშნება. სამძივარი დალივით შურისმამძიველი არაა გამყლავნებულ მიჯნურთა მიმართ; არც ტყის ალის ჭარბ თვისებებს ატარებს დალის საპირისპიროდ. სევანური ქალღვთაების ბუნება კარგადაა გარკვეული⁵². ახლა სამძივარის ჯერი დადგა. ზემოთ მოხმობილ ცნობებსა და ნაწარმოებებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ; ა) სამძივარი მატრიარქატის დროინდელი ქალღვთაებაა, ბ) შეუძლია სხვათქცევა და სახის შეცვლა, გ) აქვს სამიჯნურო ურთიერთობა ხორციელ ადამიანთან, დ) სამძივარა წარმოშობით არ არის ქაჯის ქალი; ეს სახელი მას მაქციობის მიზეზით დაუმკვიდრდა, ე) არ არის შურისმამძიველი; გამყლავნებული სიყვარულის შემთხვევაში თავის ფავორიტს სტოვებს და სხვა მხარეში მიდის საცხოვრებლად, ვ) მამაკაც ღვთაებასთან, წმ. გიორგისთან დაკავშირება პატრიარქატის ეპოქის ანარეკლს წარმოადგენს, ზ) აღმოსავლეთ ქართულ-იბერიულ მითოლოგიაში სამძივარს ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც დაღს დასავლეთ-ქართულ კოლხურ-სევანურ მითოლოგიაში.

ლ ა შ ა რ ი ლ ა

ლაშარის ანუ ლაშარელას სახელზე ბევრი ლექსია დარჩენილი ხალხში. განსაკუთრებული პატივით მას ფშავლები იხსენიებენ და საერთო ტომობრივ ხატად ჰყავთ აღიარებული. XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ლაშარობა ანუ ლაშარის ხატობა-დღესასწაული დაწვრილებით არის აღწერილი (ვაჟა-ფშაველა, დ. ხიზანაშვილი, ნ. ურბნელი). ამ მითოლოგიურ არსებაში შერწყმულია ისტორიული და ფანტასტიკური, რეალური და მოგონილი, ძველი და ახალი წარმოდგენები. ლაშარელა უებრო მხედარია, ჰყავს გიმრის ფაფარია-ნი ბედაური, რომლითაც სწრაფად გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე. უძლეველ გმირსა და მხედარს ყველგან შეუძლია გამოჩენა, სადაც კი მისი ყმები არიან და დახმარება ესაჭიროებათ. ლაშარელას ასპარეზს მთელი ფშავის მიწა-წყალი წარმოადგენს. ფშაველსაც მასზე

51 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ.

52 მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვეული ამირანი, 1947, გვ. 59—67, 90—96; ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 58—64, 74—90.

უფრო თანამდგომი და სახელოვანი ხატი არ მოეპოვება. ამის გამო სახალხო მელექსეები განსაკუთრებული მონდომებითა და აღმაფრენით ამკობენ ყოველივე იმას, რაც ლაშარის სახელთანაა დაკავშირებული, ცხენია ეს თუ მტერთან შებრძოლება, სალოცავი ადგილი თუ საჩრდილობელი ხე, სამხვეწრო-შესაწირავი თუ ქაჯების დაღამქვრა. ყოველ ტაეპში გმირული სული ჩქეფს.

ლაშარელის ლურჯასა
ფაფარ ჰსხავის გიშრისა;
შაქდება, გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა, —

ამბობს მელექსე და მთებიდან მთებზე ნისლის ფერად გარდამავალი რაშია მარჯვე სახეს ქმნის. სად მიიჩქარის ღვთიშვილი, რისთვის ამტვერებს მწვერვალებს და მიაქროლებს შექუფტრულ ღრუბლებიან ჯარს? პასუხი იმავე ლექს-სიმღერაშია მოცემული: „თავის ყმათ მიეშველება, ხან რო არ იყოს მისვლისაო“. ასეთია მეომარი ღვთაების მორალი, იდეალად ქცეული გმირის დანიშნულება.

ლაშარი, ლაშარელა ფშაველთა ხატის თავდაპირველი სახელი არ უნდა იყოს. ეტყობა ისტორიულმა ვითარებამ ხალხის მეხსიერებაში ძველი ხახელწოდება წაშალა და ახალი ამოატივტივა. ამ ცვლილებაში იმას გვეულისხმობთ, რომ ორი მსგავსი ელერადობის სიტყვა ერთმანეთს შეხვდა და დროთა განმავლობაში ადრინდელი დაიკარგა. ასეთი მსგავსი ელერადობის გამოთქმებია „ლაშქრის ან ლაშქრობის“ და „ლაშას ან ლაშარის“ ხატი. ცნობილია, ქართველმა ხალხმა XII საუკუნის გამოჩენილი მეფე ქალი—თამარი წმიდათა შორის შერაცხა, ფშავმა კი თამარ დედოფალი თავის სალოცავ ხატად აქცია. მეფე ქალის სალოცავი ლაშარის ხატის საბრძანისის — ხმელგორის პირდაპირ, ნეორე მთაზეა აგებული, ეს უკანასკნელი ადგილობრივთა შორის „ღელეს“ გადასასვლელის სახელს ატარებს. ამგვარად, თამარის ხატ-სალოცავი გაიმართა იმ ადგილისა და ხატის საპირისპირო მთაზე, რომელიც ძველად ლაშქრის ანუ ლაშქრობის ხატის სახელს ატარებდა ღვესურთა გუდანის ჯვარის მსგავსად. ისიც ვიცით, რომ თამარის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი თანამოსაყდრე ლაშა-გიორგი ავიდა (1213 წ.). ამგვარად, ფშაველის წარმოდგენაში თამარის ხატის ხსენებისას, ფსიქოლოგიური ანალოგიის კვალობაზე, მეორე მეფის ლაშას სახელიც წამოტივტივდა. თამარისა და მისი შვილის ლაშას პოპულარობამ, უეჭველია, ამ ორი ხატის სახელებზედაც იქონია გავლენა. მოჰდა სრული შენაცვლება. „ლაშქრის ანუ ლაშქრობის“ ადგილას „ლაშას ანუ ლაშარის“ სახელი დამკვიდრდა.

კიდევ ხსენა გარემოებაცაა გასათვალისწინებელი: წარმართული ლაშქრის ხატი ხშირად წმ. გიორგის სახელობისად იხსენიება. დ. ხიზანაშვილის მიერ 1890 წელს გამოქვეყნებულ ტრადიციულ დიდების ტექსტში კვირაეს შემდეგ მესამე ადგილი სწორედ „წმინდა გიორგი ლაშარის ჯვარს“ უჭირავს, ხოლო მეოთხე ადგილზე თამა-მეფე მოდის⁵³. თუშებიც, ვ. ბარდაველიძის ჩანაწერის თანახმად, კვირეს შემდეგ „წმინდა გიორგი ლაშარისას“ ასახელებენ⁵⁴; „ღმერთო გაუმარჯვე წმინდა გიორგის ლაშარისასო“, იტყვიან⁵⁵.

რიტუალურ სადიდებელ ტექსტებს მხარს უჭერს ასევე რიტუალური ქორბელელას ფერხულში სამღერი ლექსი ლაშარის ჯვრის სახელობაზე: „ღღესამ ღღეობა ვისია?—წმინდისა გიორგისია⁵⁶. თუშების მსგავსად ლაშარობაში ფშავლები მღერაინ:

ღღესამ ღღეობა ვისია? — წმინდისა გიორგისია.

ჯვარ ჯვარის დროშა ვისია? — წმინდისა გიორგისია.

თ. რაზიკაშვილის შეკრებილ ფშავურ რელიგიურთა შორის ლაშარის ჯვრის ერთი ლექსი ამნაირად იწყება: „ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა“⁵⁷. შენიშვნებში „ბერი გიორგის“ ასახსნელად შემკრებს გარკვევით უწერია: „ლაშარის ჯვრის წმ. გიორგის ასე ეძახიანო“. როგორც ჩანს, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ლაშარის ჯვარი წმ. გიორგის სახელს ატარებს. აქაც, მეორე ელემენტის მიხედვითაც, ლაშარის გიორგისა და ლაშა გიორგის სახელები ერთმანეთს დაემთხვა. ამ გარემოებამაც გააადვილა ხატ-სალოცავის ძველი სახელწოდების ახლით შეცვლა. ვაჟა-ფშაველას ცნობაც უნდა გავითვალისწინოთ აქ: „ამ ადგილს წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმინდა გიორგის სახელზედ, რომლისთვისაც მშენიერი ხატი წმინდის გიორგისა შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შეწირული და შემწირველი გაუერთიანებია და კიდევაც გაულმერთებია⁵⁸. ამგვარ ვერსიას მხარს უჭერს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელსაც ვაჟა იმოწმებდა. როგორც პირველის, ისე მეორის მოსაზრებას არ დაეთანხმა ეთნოგრაფი ნ. ხიზანაშვილ-ურბნელი.

53 დ. ხიზანაშვილი, ფშავეთი და ფშაველები, ივერია, № 82, 1890.

54 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, 1, 1937, გვ. 21.

55 იქვე, გვ. 22.

56 იქვე, გვ. 39.

57 ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., 1953, გვ. 17.

58 ვაჟა-ფშაველა, თხზ., IX, 1964, გვ. 55—56.

„ფშაური „ლაშარის-ჯვარი“ „ლაშქრობის-ჯვარია“ და არა ლაშა-გიორგისაგან დაწესებული და დაარსებული ხატი“, წერდა იგი 1888 წელს⁵⁹. ლაშარის ჯვარი რომ წმ. გიორგის სახელობისა იყო ამას ეახუშტიზე ადრინდელი ცნობაც მოწმობს. ეს ჩვენება 1628 წელსაა ამოკვეთილი ხატში მიტანილი ზარის კიდურზე: „შემოვწირე სახლთუხუცესმა ბებურიშვილის პაპუას მოსახსენებლად ფშავის ლაშარის გიორგის“⁶⁰. ამგვარად, ფშავის ლაშარი ადრე წმ. გიორგის სახელს ატარებდა, შემდეგ XIII საუკუნეში კი ლაშა გიორგის დაუკავშირდა, თუმცა არც ერთი გიორგი არაა თავდაპირველი სახელწოდების შემადგენელი ნაწილი. პირველ საფეხურზე, წარმართულ ხანაში ამ ხატ-სალოცავს უბრალოდ ლაშქრობისა და ომიანობის ღვთაების სახელი უნდა ჰქუთვნებოდა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, როცა საქართველოში გავრცელდა წმ. გიორგის კულტი როგორც ახოვანისა და მხედრისა, გველვეშაპებთან და ავსულებთან მებრძოლისა, ძველი ლაშქრობის ღვთაების ადგილიც ქრისტიანული სამყაროს მიერ აღიარებულმა და ქართულ ლიტურატურაში ნათარგმნი თუ ორიგინალური ლეგენდებით პოპულარულმა წმინდანმა დაიმაკვიდრა.

„ლაშქრობის“ წარმართულ ხატ-სალოცავის არსებობა მხოლოდ ფშავით ან ზევსურეთით არ ამოიწურება. ვფიქრობ ამ რიგისაა ლეჩხუმში, სოფ. აღვსა და სანორჩს შორის დაცული ტოპონიმიკური სახელი „ლაშქარუში“. ამ უკაცრიელ ადგილას ახლაც შეიმჩნევა ძველი სალოცავის ნაშთები საკულტო მცენარეებისა და ნიშების სახით⁶¹. ლაშქარ-და ლაშქრობა-სთან დაკავშირებული ტოპონიმიკური სახელების შექმნა ტრადიციულ წესად ყოფილა მიღებული საქართველოში. ლეჩხუმში, მაგალითად, არსებობს სოფელი სპათაგორი⁶², რაც სპის—ჯარის — ლაშქრის სამყოფ ადგილს აღნიშნავს.

ლაშარის სახით, მამასადამე, ლაშქრობის ხატია სახეშეცვლით ჩვენამდე მოღწეული. ამის გამო ლაშარელაც სწორედ მეომარს წარმოადგენს, მრავალ საარაკო საქმეს ჩაიდენს და თავის ყმებს გამოიხსნას ხოლმე სხვადასხვა განსაცდელისაგან.

ლაშარის გიორგის ხალისს ჰგვრის ხატის მიდამოთა ჯეროვნად გამართვა. ამიტომაც იქ ლამაზი გალავანია, დგას ტანაყრილი საჩრდილო-

59 ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, პროფ. გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940, გვ. 106.

60 ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 197.

61 მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, უნივ. შრომები, IX, 1939, გვ. 141.

62 იქვე, გვ. 148.

ბელი ხეები და ზოგზე ვაზიცაა აშვებული. ასეთი აზრია გატარებული მოკლე ლექსში:

ჩვენი ბატონის კარზედა ხე აღვად ამოსულაო,
წვერად მათსხამ ყურძენი, საქმელად ჩამასულაო.

ხატის ყურძნის მიღება ჩანს რიტუალურ მომენტსაც წარმოადგენდა, რადგან იმავე ლექსში ნათქვამია: „მაგის უკმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დაშალა“, ე. ი. შავები ჩაუტყვამთ, დამგლოვიარებულან, გულის მეგობარი მოკვდომიათ.

ლაშარის ანუ ლაშქრობის ჯვარს განრისხებაც შეუძლია. საგალობელ და სადიდებელ ტექსტებში არ ჩანს, ოდესმე თავის მსახურ ყმებზე გაჯავრებულიყოს, პირიქით, იგი ყოველთვის მათი დამცველი და მწყალობელია. ერთადერთი შემთხვევა, როცა ლაშარი გაჯავრდა და გაწყრა—მიუტყვებელ ლალატთან იყო დაკავშირებული. ხალხი თანაუგრძნობს გიორგის მის მხარეს იჭერს და აუგად იხსენიებს იმ პირს, ვინც ლაშარს უღალატა, მაშასადამე, თემიც გაწირა და ეშმაკის სამსახურში ჩადგა. მოღალატის ნამდვილი ვინაობა ცნობილი არაა, გადმოცემებში აფციაურთა გვარია ყრუდ დასახლებული. ლაშარის განრისხებაცა და ხატის ლალატიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული, რისთვისაც ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას.

XVII საუკუნის დასაწყისში ქსნისა და არაგვის ერისთავებმა თავისუფალი მთის დაპყრობა განიზრახეს. ერისთავების მადანაშლილობას ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტებამ შეუწყო ხელი. და აი, ზურაბ ერისთავმა 1619—29 წლებში რამდენიმე სისხლისმღვრელი ლაშქრობა მოაწყო ფშავ-ხევსურეთსა და ხევში. თავისუფლებას ჩვეული მთის ტომები სამკედრო-სასიცოცხლოდ აღდგნენ, ერისთავს შეებრძოლნენ და ბატონყმობის საშინელი უღელი აიცილნენ. ეს ისტორიული ფაქტი ფართოდ აისახა ხალხურ პოეზიაში და არაერთი პოეტური შედევრი შეიქმნა ამ გმირულ ეპოპეაზე. ზურაბის კარგად შეიარაღებულ ჯარებთან ბრძოლაში დიდი გმირობა გამოიჩინეს ხევსურებმა და ფშავლებმა. ლაშარის ჯვრის აღმსარებლებმა თვითონვე შექმნეს საკუთარი მატიაწე.

ზურაბ, რა უყვენ ლაშქარნი ნაკრეფნი შეიღის თვისანი?
ჩაუშვენ მათურაშია, თვალნი გაგიწყრეს ხთისანი.
დაგიხედეს ფშავლისშვილები, არწიენი მალლის მთისანი,
შამოგეწიენეს მთაზედა, გაწითლებიენეს ქვიშანი!

მძვინვარე და ვერაგმა მტერმა ფშავის დაპყრობაც განიზრახა. ზურაბმა დროებით წარმატებას მიაღწია. ხალხზე გაბატონების მიზ-

ნით ერისთავმა ლაშარის ხატის დამორჩილება მოისურვა. ყოველი მისი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა თურმე, რადგან ხმელგორზე მოთავსებულ სალოცავს საწაულებრივად იცავდა იქ მდგარი ბერმუნა. ფესვმაგარი მუნა ოქროს ჯაჭვით—შიბით ზეცასთან ყოფილა დაკავშირებული, მუნის ანგელოზი ამ შიბით აღიჩამოდისოდაო. სანამ მუნა არ წაიქცეოდა და, მასასადამე, ზეცასთან შემაერთებელი შიბი არ გაწყდებოდა, მანამდე გარეშე მტერსაც წარმატება არ ექნებოდა. ეს შეიტყო ზურაბ ერისთავმა და მუნას ჯარი მიუსია. დაიწყეს ზის ქრა, მაგრამ ამოად. რამდენ ნაფოტსაც შეაგლეჯდნენ, კვლავ უკან ბრუნდებოდა და ხეს ეწებებოდა. მომხვდურებმა ვერაფერი დააკლეს წმინდა ხეს: მოქროს მაგიერ თანდათან მაგრდებოდა. გაწბილდა მრისხანე ბატონი. აი ამ დროს გატყდა თურმე ციხე შიგნიდან, ვილაც უკანა ფშაველი გაუდგა თემს, უარყო ლაშარის ხატის ძალა და ერისთავს აცნობა: ბერმუნას მანამდე ვერ მოქრით, სანამ კატის სისხლით არ შეღებავთო. მოუსვიათ კატის სისხლი თუ არა, ხე მაშინვე დამორჩილებულა, წაქცეულა და ოქროს შიბიც გაწყვეტილა. წკრიალით წასულა ზეცისაკენ. ამის შემდეგ მუნის ანგელოზსაც დაუტოვებია იქაურობა. ზურაბი შესულა ხმელგორზე. ფშავი აუკლია, მაგრამ დამორჩილებით კი ვერ დაუმორჩილებია. ამ ამბავს ასახავს გავრცელებული ლექსი:

ბებერსა ლაშარის ჯვარსა ხმელს გორზედ ედგა ბერ მუნა,
წვერს ება შიბი ოქროსა, ზეცას ავიდის კიბითა.
სულძაღალმა ერისთვიშვილმა ამაუბრუნა ძირითა.
მანამდე იმისი ძე არი, ის ამაგდელ ჭირითა!

ლაშარის ჯვარი დიდად განარისხა ერისთავის უდიერობამ და შინაური მოღალატის ვერაგობამ. როცა დამოუკიდებლად ვერაფერს განადა, უზენაესი ღვთის კარზე მივიდა საჩივლელად, ხატისა და ხალხის დასაცავად. ეს შშვენიერი ლეგენდა უდევს საფუძვლად ასევე მშვენიერ და მაღალმხატვრულ საფერხულო რიტუალურ სიმღერას:

ლაშარის ჯვარი ჯავრობდა, იმუქრებოდა მჭილითა;
მერე წავიდა, იჩივლა ღვთის კარზე თავის პირითა.

ომიანობისა და ლაშქრობის მფარველის სიტყვასაც გვაუწყებს ხალხი:

— ხმელს გორზედ მედგა ბერმუნა, შემკული ოქროს შიბითა:
ძალით ვერაგინ იძალა, ვერცა ხმლიო, ვერცა ტყვიითა,
წყვეულმა აფციურმა მომირწყო ცოცას სისხლითა.
სულძაღლმა ერისთვისშვილმა გადამამბრუნა ძირითა...

სათხოვარს წყევლა და მოღალატეთა დასჯის სურვილი მოსდევს:

იმათი მოდგმა დადლიე, უფალო, შაეი კირითა,
ბერმუხის ძალას გადაუენენ შვილით და შვილიშვილითა!

ხალხის წარმოდგენით ლაშარის თხოვნა-საჩივარმა გაქრა: ზურაბი თავისიანებმა საფურცლეს მოკლეს, ხოლო ბერმუხის საიდუმლოების გამცემსაც დიდი ზიანი მოუვიდა.

ლაშქრობის, იგივე ლაშარას, ხატი უებრო მეომარია. მას ჩაუქრობელი შუღლი აქვს ქაჯავეთთან. ხშირად მიდის იქ სალაშქროდ და წარმატებასაც აღწევს. გიორგი თავს დაესხმის ქაჯთა მკედელს, უნგრევს სახელოსნოს და გრდემლს-ქურთემულს მოიტაცებს.

სინას სველს ქაჯის მკედელი, მივასწარ წნობაზედაო.
სამკედლოს გადაუხენავ, — ნისლები დაბადულაო.
მკედლები, მემკედურები ცისაჲე გამართულაო!

ქაჯთა ქვეყანაში მისულმა მხედარმა ყველაფერი მოსპო, რასაც მოპირდაპირის ძლიერებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. სახელოსნოები დაანგრია, მკედლები და მემკედურები შავეთს გაისტუმრა, ზოლო საოსტატო მოწყობალობანი—გრდემლი, ხელკვერი, მარწუხი ნადავლის სახით წამოიღო. ალბათ იმ მიზნით, რომ თავის ყმებს ლითონის დამუშავება ასწავლოს და ცივილიზაციას აზიაროს, თუმცა ამნაირი გაგება ხალხურ ლექსს არ დაუტაცვს.

თავდაპირველ ფუნქციებს ლაშქრობისა და ომიანობის, იქნებ მეკობრეობის ფუნქციებსაც, თანდათან სხვა საზრუნავიც დაემატა. უკანასკნელ პერიოდში ლაშარის გიორგის ისეთ რამეს შესთხოვენ, რაც უწინ მის გამგებლობაში არ შედიოდა. სადღესასწაულოდ ლაშარობას მისულნი მღერიან:

ყ მ ა თ ა ლ უ მ ა ტ ე, გიორგი, თუგინდან მოსახელენი;
პ უ რ ს ა ლ უ მ ა ტ ე, გიორგი, თუ გინდა კოღნი საესენი;
ც ხ ვ ა რ ს ა ლ უ მ ა ტ ე, გიორგი. თუ გინდან რქა-ჩანგიაანი!

ფუნქციებისა და ასპარეზის გაფართოვება (შვილიერება, მოსაველიანობა, მესაქონლეობა) იმის მაჩვენებელია, რომ მცირე ძალის ხატიდან, ერთფუნქციანი ღვთაებიდან მრავალფუნქციანი ძლიერ ღვთაებად იქცა ლაშარი. ამით აიხსნება ისიც, რომ ლაშარობაზე ფშავში სალოცავად მოდიოდნენ ხევსურები, თუშები, ქართლელები და კახელები თეთრად გამოწყობილნი.

კ ო ვ ა ლ ა

ქართული მითოლოგიის პირველი პერიოდის იდეალურ მხატვრულ სახეთა შორის კოპალა მეწინავე ადგილზე დგას. მის სახელთან დაკავ-

შირებულა არა მარტო წმინდა ხატობა თუ ღვთისშვილობა, არამედ უფრო რომანტიკული და სოციალური მნიშვნელობის მოვლენები, კერძოდ დამპყრობლებთან ბრძოლა, დემონიურ ძალთა ალაგმვა და საარაკო ღონე, რაც ესოდენ საჭირო იყო იმ დროისათვის. საუკუნეების მანძილზე ფოლკლორში მუდმივ ეპითეტთა გარკვეული რაოდენობა შემუშავდა. მიაკუთვნებს თუ არა რომელიმე მათგანს მისთვის რჩეულ ადამიანსა თუ ღვთაებას, ხალხი ამით საზვრავს თავის დამოკიდებულებას, სიყვარულსა და სიძულვილს, აღტაცებასა და ნალევლს. კოპალასაც რამდენიმე ეპითეტი ამკობს: გმირი, მშვენიერი, მხარეთერი, ლახტიანი, გოზა-ფართო...

თითოეული ეპითეტი კოპალას რომელიდაც თვისებას გვაცნობს არც ერთხელ ეს თვისება-ნიშანი მოკლებული არაა საზოგადოებრივ თვალსაზრისს, მიმზიდველობას და თანასოფლელთა სამსახურს. ჩვენ გვჯერა ხალხური გადმოცემისა, რომ კოპალა მართლაც ცოცხალი ადამიანი იყო, მსახურობდა „ბერად“ და შემდეგ, მრავალ საარაკო საქმეთა ჩადენის გამო, მოხდა მხატვრული იდეალიზაცია, ზებუნებრივ ძალებთან მისი დაკავშირება და გავლენისშვილება, პანთეონში აღზევება. სხვანაირად დაუჯერებელია, ხალხმა გმირის სახელით შეამკოს ვინმე და საუკუნეების განმავლობაში იმეოროს ერთი და იგივე ნატყუარი ეპითეტი! ასეთი რამ ფოლკლორის ისტორიაში უცნობია. ამის გამო პოეტურ ეპითეტებს განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა შესწავლა. მაგალითად, კოპალას პირველი შემამკობელი სიტყვა—გმირია. ასეთი მხოლოდ რჩეულების ზვედრი იყო. საშუალო საუკუნეების ისტორიკოსი ლეონტი მროველი თვითონ ქართველ ხალხს თელის ერთ-ერთ იმ რვა გმირთაგანის—ქართლოსის ჩამომავლად, რომლებმაც სათავე დაუდვეს უმთავრეს კავკასიელ ერებს⁶³. „გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი“ წარმოშვა თარგამოსმა, იმათ არაერთხელ ასახელეს წინაპრები და სრულიად დაიმსახურეს ისტორიკოსის მხრივ ეგოდენ სანუკვარი სიტყვის მიკუთვნება, კოპალაც გმირად არის გამოცხადებული, მაგრამ არა საისტორიო მატრიანებში, არამედ ხალხის საუკუნეებგამოტარებულ სიტყვიერებაში, ლექსებსა და საგალობლებში. ვფიქრობთ, ოდნავადაც არ ვცდებით, როცა ტრადიციულ ფოლკლორს ნდობას ვუცხადებთ და მის მოწმობას წერილობითი ცნობის მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ვნახოთ როგორ მიმართავს ხალხი კოპალას სასულიერო შინაარსის წარმართულ ტექსტებში:

⁶³ ქართლის ცხოვრება, 1, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 4.

- ა) „დიდება შენდა, გმირო კობალე, შენ გეძახიან და გეხვეწებიან
ეს სამსახურის პატრონები, ქუდოსან-მანდილოსანი“⁶⁴.
- ბ) „აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს,
გმირო კობალე, ლაღო ლახტიანო“⁶⁵.
- გ) „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა,
გმირო კობალე ლახტიანო“⁶⁶.
- დ) „გაუმარჯოს გმირსა კობალესა ფუძის ანგელოზის მოძმე—
მომხრესა“⁶⁷.

ოთხივე შემთხვევაში (სხვა მაგალითები აღარ მოგვაქვს) ტრადიციული საგალობლებისა და ვედრება-დიდების წარმომტემელ კულტმსახურის მიერ კობალა გმირად არის აღიარებული. მაშასადამე, „გმირი“ არის კობალას პირველი და ძირითადი ეროვნული ეპითეტი. ცოტა ქვემოთ მკითხველი ნათლად დაინახავს, რა საფუძველზე დაიმსახურა ასეთი ქება და ღირსი იყო თუ არა მისი.

კობალას გმირობას, როგორც ვნახეთ, ხალხური სასულიერო ტექსტები ადასტურებს. როგორი მდგომარეობა პოეზიაში? რა პასუხა იძლევიან სახალხო მომღერლები და მგოსნები ამ კითხვაზე?

ა) როცა თუშები სათაყვანებელ არსებებს ჩამოთვლიან, კობალასაც ჯეროვან ადგილს მიუჩენენ ხოლმე:

მემრინას გმირი კობალა,
დევე-ქაჯთა პირის მშლელია...

ბ) ფშავი ფართოდაა ცნობილი ღვთისშვილებისა და ხატების სიმრავლით:

ფშავშია გმირი კობალე
მომხრეი პირიმზისაო.

გ) ერთი მეტად გავრცელებული ლექს-მიმართვა ასე იწყება:

გმირო კობალაო, ლაღო ლახტიანო.
სულტქმა ამოუშვი, მანეს ლახტ დაეცი!

ეს სამი შემთხვევა საკმაოა ამისათვის, რომ კობალას მუდმივ ეპითეტად „გმირი“ ვაღიაროთ როგორც სასულიერო, ისე საერო-სამოქალაქო სიტყვიერების მიხედვით.

⁶⁴ მასალები, 1, 1938, გვ. 19.

⁶⁵ იქვე, გვ. 28.

⁶⁶ იქვე, გვ. 33.

⁶⁷ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, 1930, გვ. 162.

ხალხის წარმოდგენით გმირი მშვენიერიცაა, ბუნებრივი სულაშა-
ზიარ დაჯილდოვებული. ვარიანტებად გასულ ლექსში ნათქვამია:

კოპალავ მშვენიერო, მიშველე,
მქარ-თეთრო, გოზა-ფართო!

ყველგან, სადაც კი მგოსანს საშუალება ეძლევა კოპალას დახასია-
თება ჩაუროს, მუდამ რჩეულთა შესამკობარ სიტყვებს მიმართავს.

მხატვრული იდეალიზაციის გზაზე დამდგარი გმირი უკვე ღვთაურ
წარმოშობისად ითვლება. ზეპირი გადმოცემები და რწმენა არაფერს
ამბობს კოპალას მიწიერ დაბადებასა და აღზრდაზე. პირიქით, იგი უხე-
ნაესი ღვთაების—მორიგესგანაა გაჩენილი და დალოცვილი ნაკლებად
ცნობილ ლექს-თქმულებაში, რომელსაც „ღვთისშვილთა დაბადება“
ეწოდება. ვკითხულობთ:

მემრ უთხრა მორიგემა:
მქარ დაუსხენ არწივისანიო.
სახელ კოპალა დავაქვიენათო.

(„ღვთისშვილთ დაბადება“).

ყველა სიკეთე, რაც კი კოპალას გააჩნია, მორიგისეულია. მხრებ-
ზე არწივნი უსხედან, სწრაფია და გამჭირიასი. ამის გამო მხარ-თეთრა-
დაც იწოდება („კოპალავ მშვენიერო“). ჯერ ზეცაში იყო ღვთისშვილი.
მორიგეს თუ მზეს ახლდა, უზენაესის უახლოეს ანგელოზთა გუნდში
ირიციხებოდა. ბოლოს მორიგემ კოპალა საემიროდაც გამოაწყო.

ჩაქმან ჩააცვნა რკინისანიო,
კიგუნ მისცნა სინისანიო.
მარცხენაზე ქოთან მისცა ნავთოიანიო,
შიგა მათრაქი ფესვიანიო.

(„ღვთისშვილთ დაბადება“)

ამის შემდეგ სასაგნავი მოუხაზა და ხმელეთზე მოავლინა. ეს ეპი-
ზოდის პოეტურად არის გაფორმებული თ. რაზიკაშვილის მიერ გაჭირ-
ვებით მიგნებულ ხალხურ თხზულებაში, რომელიც ერთგვარ ქართულ
თეოკონიას წარმოადგენს, მაგრამ არც თუ ისე სავსესა და სრულს.

ზღვის პირზე სასაგნავი
კოპალას მისცა მორიგემა.
ასლიტრიანი საგმიროი სინისაი,
ცეცხლის ალვით ანთებულღი. —
ის მოულოცა მორიგემა,
მემრე გადმუშე კმელეთზედა.

(„ღვთისშვილთ დაბადება“)

ასლიტრიანი საგმირო ჰიპერბოლური სახეა; ვარიაციებში ზოგჯერ „შვიდლიტრიანია“ ნახსენები. საგმიროთა სიმძიმე ვაჟკაცის მკლავის ვამოცდის ერთი ფორმაც ყოფილა ძველ დროში. ამაზე მიუთითებს ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერი:

მორიგე მ შამილოცა საგმირო შვიდლიტრიანი.
უნდოღ, რომ სახმთოს ველა,—ვერ იყვა იმედიანი.

კოპალამ ადვილად დაძლია შვიდლიტრიანი, თუმცა მორიგეს ექვევებოდა, თუ ამას რომელიმე სამხთო მოლაშქრე-ღვთისშვილი შეძლებდა. უფრო გამძაფრებელია ვითარება ამავე ლექსის ადრინდელ ჩანაწერში!

მორიგე შამამილოცა საგმირო ასლიტრიანი.
ხუთ კიდე დავადებინე, მკლავი ვარ იმედიანი.
სამლთოსაც კარგა უნდოღა, არ იყვა იმედიანი.
(„კოპალა“)

სიმძიმის აწვევაში სხვა დროსაც გამოუჩენია თავი კოპალას: ვეშაგურთ გორზე მწყემს წიქას კარისთავზე ვებერთელა ლოდი დაუდო („ერთი ქვა მიაც შაუდევ, მკლავი ვარ იმედიანი“, „კოპალა“), ხოლო დევის წანართმევი უზარმაზარი ქვა არაგვისპირას ნიშად დააყუდა.

დევ-მაცილებთან ბრძოლაში კოპალა მარტო არ არის. იგი იმ ტრადიციას აგრძელებს, რომელიც მორიგემ პირველად ბერ ბუქნაი ბაადურბა და თერგვაულს დაუწესა. მის ძმობილებად თუ მხარის დამამშვენებლებად უფრო ხშირად იახსარი და პირქუში იხსენებიან.

ასლიტრიანით გამოცდას მოძმე ხატებიც ესწრებოდნენ. პირველად ლექსში შუბნურია დასახელებული.

მე მოძმე აიქ მეტანა შუბნური მათრაქიანი.
ქელთ ხქონდა ოქროს კოკობნი სავსენი ნავთის წყლიანი.
ნისლის ფერაიც იქ ხყვანდა ფაფარო-მასკვლავიანი.
(„კოპალა“)

მტერმა კოპალას ისარი დააყარა ფოცხ-მაკრატელა და თბიანი. ნოულოდნელმა თავდასხმამ გმირი აიძულა წყალში გადამხტარიყო. შუბნურიც თან გადაყვა.

ჩამამყოლიყვა მოძმე შუბნური მათრაქიანი.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, აქ მოხსენებული შუბნური პირქუში არის, რადგან ლექსში იკითხება:

„შემომეყარა მოძმე პირქუში, ნავთის წყლიანი“⁶⁸. შუბნურიცა

⁶⁸ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ისტორიის შესავალი, 1, 1950, გვ. 210.

და პირქუშის გაიგივება არ უნდა იყოს მართალი, რადგან ჯერ ერთი; იმავე კონტექსტში სხვა ვარიანტის მიხედვით წმინდა გიორგი ჩნდება („გორის ძირს შამამიჩინდა გიორგი დავლათიანი“), ხოლო მათრახიანი და ნავთისწყლიანი პირქუში საკუთრივ ამ გმირის შესახებ არსებულ ლექსებში არ გვხვდება, საფიქრებელია, შუბნური (შუაუბნელი) თვითონ კოპალა, რადგან მისი თვისებანი მთლიანად ემთხვევა კოპალას ნიშანთვისებებს (ნისლისფერა ცხენი, ცეცხლის მათრახიანი, ნავთისწყლის კოჭობიანი და სხვ.). შუბნურის ცალკე გამოყოფა მთქმელთა შორის უნდა მომხდარიყო ლექსის თავდაპირველი ტექსტის გაბუნდოვნების ნიადაგზე.

მაინც კოპალას უმთავრესი გმირობა ეშმაკ-მაცილებთან და დევებთან ბრძოლაში გამოჩნდა. 1889 წელს გამოქვეყნებულ ხალხურ სასულიერო ტექსტში მაცილებთან ბრძოლის სამსახური დაეინებითაა მითითებული. „წმინდაო გმირო კოპალავ, მაცილის საქმე ეღირებოდეთ მთასად და ბარსად, მაცილს დააშორებდი“, ხოლო უფრო წინ იმავე ძეგლში ნათქვამია: „მაცილი დააშორეო, დაფარეო“⁶⁹. ეშმაკ-მაცილებთან და დევებთან ბრძოლა ხალხს დიდ საგმირო საქმედ მიაჩნია. პირველ შემთხვევაში თუ საჭიროა უფრო გრძნეულებათა დახსნა-ჩაფუშვა, მეორეში საარაკო ფიზიკური ძალაც უნდა უწყობდეს ხელს მეომარს, რათა მრავალთავიანი დევები დაამარცხოს და გაელიტოს. კოპალა თავის უმთავრეს პარტნიორთან—იახსართან ერთად ყოველთვის მზადაა დააცვას ფშავი კაცისჭამიებისა და დამპყრობელთაგან. დევებიც არ გრძნობენ თავს უშიშრად, სანამ კოპალა ცოცხალია. ამის გამო ყოველნაბიჯზე ცდილობენ მის დაზიანებას, მოკვლას. როგორც ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად შენიშნა, ამ მოტივმა იახსარის ლექსებშიც იჩინა თავი ცალკე ეპიზოდის სახით⁷⁰.

შაიყრებიან დევები, სადაც დიდ მოედანია,
გარიგებენ იმასა: „ერთუც უჭიროთ მჟარია.
ბთისშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში დაუცნათ ქვანია!“
(„იახსარი“)

დევების ვერაგულ გადაწყვეტილებაზე ბევრჯერაა საუბარი, როგორც დამოუკიდებელი ხასიათის ლექსებში, ისე კონტამინირებულში. რაკი ცალ-ცალკე ვერაფერს გახდნენ, შეერთებულ ძალას მიმართეს, ადამიანთა მოდგმის დაუძინებელმა მტრებმა. ისინი ერთხანს დაუსჯელად ბატონობდნენ ფშავზე, მაგრამ როცა მორიგე ღმერთმა ხმელეთზე

⁶⁹ მასალებ საქ. ეთნ., 1, გვ. 19—20.

⁷⁰ ივ. ჯავახიშვილი, საქ. ისტ. შესავალი, 1, გვ. 210.

გმირი კობალა მოავლინა, მათი ბედიც უკუღმა დატრიალდა. თვითონ ამ შეთქმულების გაგებისთანავე „ჩანეცხა კობალა, ბატკნებურ გასკრა თავია“ (დევებს)⁷¹. იმავე „კობალას“ ლექსის ჩვენს მიერ 1964 წლის ოქტომბერს სოფ. გოგოლაურთაში ჩაწერილ ვარიანტში (მთქმ. დავით მგელიაშვილი) კობალა თვითონ მოისმენს დევების საუბარს.

...შივიდა საკმისის პირსა, უყურა საუბარია.
დევებს ესროლა საგმირო, თავს დააქცია ბანია.

ვაჟა-ფშაველამ 1889 წელს პირველმა განიხილა კობალა და იახსარი როგორც დევებთან მეზრძოლნი. დიდებულ მგოსანს, სხვათა შორის, კობალაზე არც ერთი ლექსი არ დაუდასტურებია, რადგან, მისი სიტყვით, „ხალხში კობალაზედ ლექსად არაფერია ნათქვამი“⁷². სინამდვილეში ვითარება სხვაგვარი აღმოჩნდა. ვაჟამ იქვე გამოაქვეყნა თქმულებები ციხე-გორის, კარაანის. ვერხელის დევებთან ბრძოლაზე, აგრეთვე „კობალას ქვისა“ და „ავთანდილის საქანის“ შესახებ. 1964 წელს სამეცნიერო ექსპედიციაში ყოფნისას საშუალება მოგვეცა კვლავ დაგვედასტურებინა აღნიშნული ლეგენდების არსებობა და საკუთარი თვალთ გვენახა ლოდი, რომელსაც „კობალას ქვას“ ეძახიან და რამდენიმე ტონას აიწონის. ქვა მახლობელი მთიდანაა ჩამოვარდნილი და შორიდან მოტანის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს, გარდა ხალხის დაბეჭითებითი გადმოცემისა.

ყველა ნიშნის მიხედვით ირკვევა, რომ საუკუნეების განმავლობაში კობალას იდეალიზაცია მოხდა⁷³. ერთი მხრივ, ღვთისშვილად და ნაწილიანად იქნა აღიარებული, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით, ზოლო, მეორე მხრივ, სახალხო გმირის თვისებები შეიძინა და მხატვრული სიტყვის ოსტატთა ფანტაზიის სფეროში გადაინაცვლა.

ი ა ხ ს ა რ ი

ყველა მხრის სახელოვან ღვთისშვილთა შორის, რომელთა რიცხვი ზშირად სამოცდასამით არის განსაზღვრული, იახსარი პირველ ადგილას მოიხსენიება. პირველთაგანია როგორც ძალით, ფალავნობით, ისე გამბედაობითა და ხალხის სამსახურით, ქველმოქმედებით. შეუძლია პირისპირ წარუდგეს მორიგე ღმერთს და სათხოვარი მოახსენოს თავისი ყმისა. როცა ღვთის კარზე ყველა კუთხის ბატონები ანუ ღვთის-

71 ა. შ ა ნ ი ძ ე, ხევსურული პოეზია, 1931, გვ. 582.

72 ვ ა ჯ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა., თხზ., IX, 1964, გვ. 80.

73 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1967, გვ. 20

შვილნი შეგროვდნენ, უფალმა მათი ძალ-ღონისა და მოხერხებულობას გამოცდა მოაწყო. ვადმოდგეს სასწორ-ჩარეჭი, სიმძიმის შემცველი (სამოცი ან ას-ლიტრიანი). ამ ყველას გამათანასწორებული მანქანის ადგილიდან დაძვრას მოითხოვს უზენაესი ღვთაება—მორიგე. ღვთისნაბადნი რიგრიგობით ეწევიან, მაგრამ ამოდ. ამ დროს იახსარი ბოლოში ზის და თავისთავს არ ამჟღავნებს, თითქოს ეშინია შერცხვენისა! მიუხედავად მორცხვობისა, მაინც მისკენ უჭირავთ თვალი, მისგან მოელიან შეკრებილ ხატთა რეაბილიტაციას: „ეუზნებოდეს ერთუცსა: აიტანს იაქსარიო“. მორიგეს დავალებით კვირია თვალყურს ადევნებს გამოცდას, ვინ ასწევს. ანდა შეუფერებელი ილეთი არავინ გააკეთოს, რისხვა არ გამოიწვიოა. ამაზე აშბობს იახსარი:

გარდავკედ, ღმერთსა შეთხოვე „ღმერთო, შენგან მაქე ძალიო!“
მაშავე მორიგემ ღმერთმა გარამიმეტა სამიო.
ავსწიე სასწორ-ჩარეჭსა, ძირს გავადინე ქარიო.

ზოგჯერ სიმძიმეს არა მორიგე, არამედ კვირია დაუმატებს. ეს კვირა (კვირია, კვირა, კვირეე) არის უზენაესის ნების შემსრულებელი. უშუალოდ ემორჩილება მორიგეს და დიდი ნდობითაც სარგებლობს. ამ შეჯიბრებაში კვირა სამართლიანობის დამცველი და მსაჯულია. აკი შატილის ხუცის დამწყალობებაში ხაზგასმულია მისი სამართლიანობა, მართლმსაჯულობა; მიუკერძოებლობა: „დიდება ძალ-ხთისასა, სამართალ კვირიასასა“. იგივე აზრია გატარებული მეორე უძლიერესი ხატის, ხახმატის ჯვრის სასულიერო ტექსტში: „დიდება და გამარჯვება ძალ-ღვთისასა, სამართალს კვირიასას. ძალი ღვთისა გწყალობდეთავე და სამართალი კვირავსა“⁷⁴. ასეთი უმადლესი რანგის მსაჯულის წინაშე მოითხოვს იახსარი სიმძიმის დამატებას.

ხუთი მავსთხოვე კვირასა,
გარგამიმეტა სამია.

მამსაჯდამე, მორიგის დამწყებულ ნორმას იახსარმა სამით გადააქარბა.

სამოც ლიტრასა რკინასა
ძირს გაუყარენ ქარია.

ნამდვილი ათლექტია იახსარი. ამ მხრივ მას მხოლოდ კოპალა თუ შეედრება. ხალხურ ლექსებშიც სწორედ ეს ორი გმირი გამოდის ერ-

74 მასალები, I, გვ. 15, 21.

თი და იმავე ფუნქციის შემსრულებლად—დიდი სიმძიმის ამწვეად. ხალხი იახსარსა და კოპალას წარმოშობითაც ანათესავენბს. მოკლედ და სხარტად განმარტავს მათ მდგომარეობას სასიმიღერო ლექსი:

იახსარი და კოპალა ორი წმინდანი ბერია,
ბერია, არცა ბერია, ღვთაების შესაფერია.

თუ სასულიერო ტექსტებში ისინი ღვთის ნასახებად, შვილებად და დანაბადებ ანგელოზებად არიან წარმოდგენილი, რიტუალურ საგალობლებში, პირიქით, მათი მიწიერი წარმომავლობაა აღნიშნული. როგორც წინა ნარკვევებში კოპალას თაობაზე აღვნიშნეთ, აქაც იმავე პროცესთან უნდა გვქონდეს საქმე, ე. ი. მოხდა გმირის გაღვთისშვილება, პანთეონში ამალლება.

იახსარის სახელზე ფშავში დიდი ხატობა იმართებოდა ყოველწლიურად. ქვემოთ, შენიშვნებში ამის დამადასტურებელი ცნობები საკმაო რაოდენობითაა მოწოდებული და აქ საჭიროდ აღარ ვთვლით საკითხზე კვლავ შეჩერებას. არხოტის ჯვარულ სადიდებელში რელიეფურადაა მოცემული იახსარის სარწმუნოებრივი ფუნქცია, ის მოვალეობა, რასაც მისი ყმანი აკისრებენ ციდან სვეტად ჩამოსულ ხატს.

ა) „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ლაღო
იაქსარო.

შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი
ნათელ-ბნელი.

შენ ახიელლთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად,
სახოიშნოდ,

სამწყალობნოდ მაიკმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენიმც ძალი,
სახელი დიდდებისა, ქსენდების“.

ბ) „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, იაქსარ
სვეტად-ჩამოსულო. ღმერთმა გადიდასა, ღმერთმა გაძრიელას.

შენა სამთავროდა,

გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი, შენ
ახიელლთად,

ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ-მაიკმარი,
ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“.

იახსარი ღვთის კარზე მიმსვლელ-შუამდგეგია ხალხის რწმენით. მას შეუძლია ახიელლები სამწყალობოდ წარადგინოს, ღვთის კარზე მიიტანოს თავისი ყმების სათხოვარ-საჩივარი და მადლი გამოითხოვოს. იღებს სეფე-სანთელსა და სხვა საჩუქრებს. იახსარი ღვთის ძალითა და კეთილი თვალთ მოქმედებს ყოველთვის. იახსარი სადიდებელ ტექსტებში გამოცალკევებით ხშირად არ მოახსენიება. ხეცსურების მიერ

იგი ღვთისშვილთა გუნდშია მოქცეული და სადიდებელთა მიხედვითაც საერთო მიმართვაში იგულისხმება: „აემ ჭიქა-ბარძიშხედა თქვენ გჳდიდათ, გაგიმარჯოსთ, ქვესურეთელნო ხთისშვილნო!“ ამბობს ხახმატის ჯვრის ხუცი.⁷⁵

იახსარს მუდმივი ეპითეტებიც აქვს მიკუთვნებული. ესენია: „ლალი“ და „სვეტად ჩამოსული“. პირველი თავისუფალს, ამაყს, ძლიერს, მტერმოურვეელს ნიშნავს, მეორე—ღვთისგან მოვლინებულს, სხივთა კონებად ჩამოშვებულს, ხალხის დასახმარებლად გაჩენილს. როგორც ერთი, ისე მეორე იახსარის ბუნებას კარგად გამოხატავს. როცა დევებმა, ეშმაკ-მაცილებმა ადამიანები დაიბრიყვეს და დამონება დაუწყეს, ლალმა იახსარმა ლახტი აიღო ხელში და საომრად გაემართა. დევებს ბანიანი სახლები დაუქცია, თავიანთ ბუნაგიდან გამოდევნა და, გარდა ერთი კოჭლისა, სიცოცხლეს გამოასალმა ყველა. კოჭლმა ბაზალეთის თუ აბუდელაურთ ტბაში ჩასვლით უშველა თავს, მაგრამ ნათელ სვეტად ჩამოსული გმირი უძირო ტბას არ შეუშინდა, წყალში ჩაყვინთა, დევი მოძებნა და ფარი დაამტვრია თავზე, მოკლა.

წავიდა-დ იქ ჩამეხვეწა, თან ჩავეევ იაქსარია.
იქიდან ველარ ამავე, სისხლმა გაიბნა მკარია.

იქ კი ღვთისშვილს მისი ყმები, მახვეწარნი მიეშველნენ. მონახეს იშვიათი ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი და ტბაში ჩაკლეს. ამით წყალი განათლეს, დევის უწმინდური სისხლისგან გაწმინდეს და იახსარს წყლიდან ამოსასვლელი გზა გაუხსნეს. ანტიკური მითოლოგიის მსგავსად, აქაც ქართულ თქმულებებში რეალური ადამიანები და ციდან ჩამოსული ღვთაებანი ერთად მოქმედებენ, ერთმანეთს შველიან. ალბათ ამ უძველესი წარმოდგენით აიხსნება ისიც, რომ იახსარის ლექსში თამარ დედოფლის შესახებაც არის საუბარი. ხატადქცეული ისტორიული პირი იახსართან ერთად მოქმედებს და მის მეზობლად აქვს ნიშნალ-ოცავი.

სატახტოთ, საბრძანებლადა თითონ ხმელგორზე ჰბძანია,
პირდაპირ უდგა გორზედა ლალი ლაშარის ჯვარია.

იახსარის საგალობლებში ხშირად საუბარია ხატთა შორის თოკით მოგზაურობაზე. ლალი ღვთისშვილი აკრობატულად გადი-გამოდის ამგვარ თოკზე.

კარატით კარატეს მამცა თოკი ზედ გასავალიო.
ასე გავიდი თოკზედა, ვერვინ მაშკიდის თვალიო.

⁷⁵ მასალები, 1, გვ. 28.

ზოგჯერ გზა თოკის კი არა, შიბისაა, ჯაჭვის: „კარატეთ-კარატემდინა შიბითა მქონან გზანია“ (აქვე შენ.). ჯაჭვშიბისა და თოკის გზაზე უჩინრად მავალი იახსარი ვეფხისტყაოსნის გმირს ავთანდილს ზოგვაგონებს, რომელსაც მშობლები ახალგაზრდობაში სამუშაითოდ ზრდიდნენ. ხალხური მგოსან-მგალობელი არა მგონია რუსთაველას გავლენის გარეშე ამბობდეს: „ასე გავიდი თოკზედა, ვერვინ მამკიდის თვალიო“, აკი ამის შესაბამისად შოთას ნათქვამი აქვს: „ასე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან“ (1394).

ლალ იახსარის მხატვრული სახე დღესაც ცოცხლობს ქართულ პრეზიაში და თავის მიმზიდველობას ინარჩუნებს, ვითარცა უშიშარი და თავდადებული გმირი.

ა ი რ ა უ შ ი

პირქუში ხევსურთა ხატ-სალოცავია, რომლის სახელობაზე დღეობა სოფელ ბაცალიგოში იმართებოდა ყოველწლიურად, 15 ივლისს ძველი სტილით. ბაცალიგო ალპიური ზონის მაღალი მთის სოფელია ხევსურეთის არაგვის ხეობაში. იგი 10—12 კმ არის დაცილებული ცნობილ გუდანს სანე-დელის გადასასვლელით. პირქუშის ხატი ლამაზ ხეივანშია გაშენებული სოფლის ქვემოთ, დავაკებაზე. 1964 წლის 7 ოქტომბერს ფოლკლორული ექსპედიციის იქ მისვლისას ხატის ტრადიციული შენობები კარგად იყო შენახული; რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებული დღესასწაულის კვალიც იგრძნობოდა. ბაცალიგოს ფართო საძოვრები ახლავს ირგვლივ და შუადღისას საქონელსაც ამ ხატას მახლობლად ჩარეკავენ დასარწყულებლად. აქაურებმა უკლებლივ ზეპირად იციან თავიანთი სოფლის შესახებ ნათქვამი ბრწყინვალე ლექსი „ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს“... ამ ცოდნაში ადვილად დავრწმუნდით, როგორც კი სოფელ ჩხუბადან მიმავალებმა ვიწრო ბილიკიანი ციცაბო ავიარეთ და ბაცალიგოს სანახებს თვალი დავადგიეთ. ცხვრების მაძოვებელმა მოხუცმა ქალმა თავისი საცხოვრებელი ადგილის რაობა ომახიანი ხევსურული ლექსით გაგვაცნო პირველ შეხვედრისთანავე.

ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებისა;
თინიბეკაურთ ციხესა კუთხი მარჯვენა სქდებისა,
შიგა წვეს თინიბეკაი, გულს უწადინო კვდებისა.
ზედა ზის შავი ყორანი, ლიბუში გველი ძვრებისა...

აქ მოხსენებული ციხე მადლიდან დაყურებს პირქუშის ტყეს და წარსულ დროთა მოსაგონარ ძეგლად რჩება ქარაფებით შემოზღუდულ თვალუწვდენ ხეობაში.

პირქუში რეალურ ადამიანად ჰყავთ წარმოდგენილი ხევესურებს, მსგავსად სხვა ღვთისშვილებისა. გადმოცემით ის კარგი მჭედელი ყოფილა, პირველი მჭედელი. იმ დროს ეს ხელობა სხვას არავის სცოდნია. პირქუშს ყველაზე ადრე გამოუქედია სახნისი, ცული, წალდი და რკინის იარაღები. ხალხი ძლიერ აფასებდა თურმე თავის დაგლათიან მოამაგეს და როცა გარდაიცვალა, მის საფლავზე სალოცავად იწყეს სიარულიო. აქედან გაჩნდა პირქუშობაო, ამბობენ ბაცალიგოელი ხევესურები⁷⁶. ეს გადმოცემა ანტიკურ მითებს მოგვავიწყებს თავისი განკაცებული ღვთაებით თუ გაღვთაებრივებული გმირებით.

რიტუალური ლუდის შესმისას ხუცის წარმოსათქმელ სადიდებელში ჩამოთვლილი ეპითეტები გარკვევით ახასიათებს პირქუშის ღვთაებრივ ფუნქციასაც და ახოვანებასაც. ამავე ხატის ბაცალიგოელი ხუცის წარმოსათქმელ ლექს-საგალობელში ნათქვამია:

„ა ემ ჰიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადილას,
გაგიმარჯოს, პირქუშო ცეცხლის ალიანი!“

„ა ემ ჰიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადილას,
გაგიმარჯოს, პირქუშო ალვის ტანისად მყოლო
ანგელოზო!“

„ა ემ ჰიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადილას,
გაგიმარჯოს პირქუშო მედერბასეო ანგელოზო!“⁷⁷

მტკიცე ტექსტის მქონე მიმართვაში, სადიდებელ-საგალობელში პირქუში ანგელოზად იხსენიება, ალვისტანის მქონეა, არის ცეცხლის-ალიანი ან პირცეცხლიანი და მედერბასე. ამავე სადიდებელის მიხედვით ისიც ირკვევა, იგი მზის მიმყოლი ანგელოზთაგანია, რომელსაც მორიგე ღმერთი მფარველობს, კეთილი თვალთ უყურებს, არ მოიძულეებს, არ მოიწყენს. ამის გამო პირქუშს ნება აქვს ღვთის კარზე (დერბასი) აიტანოს სამთავროდ, გასამრჯოდ მეხვეწურის სიტყვა და სამსახური. ამ ხატს ძალა შესწევს ააცილოს მეხვეწურსა და ჩოქის მომზრელს ყოველივე „ავის დღისაი, ლაღის მტრისაი, მავნისა მარკისაი“. პირქუში მწყალობელი და მფარველია „ჯალაფობისაი, კაცისაი, საქონლისაი, ორფეჯ-ოთხფეჯისაი, ქუდოსან-მანდილოსნისაი, ნაშვრალ-ნამუშავრისაი⁷⁸. ბაცალიგოელთა წარმოდგენით მათი დავლათიან-ბედიანი

76 მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია, ქართული ფოლკლორი, I—II, 1964, გვ. 241—42.

77 ვ. ბარდაველიძე, აღმ. საქართველოს მთიელების სასულიერო ტექსტები, მასალ. საქ. ეთნოგრაფიისათვის, 1, 1938, გვ. 29.

78 იქვე, გვ. 13.

ხატის მოქმედების ასპარეზი და საგამგებლო ფართოა, ადამიანის ცხოვრებასთან ერთად შინაურ ცხოველთა სამყაროსაც განაგებს.

ხალხური ლექსი გვაცნობს პირქუშის მზრუნველობასა და მფარველობას. საკუთარ ყმას იგი თავს დასტრიალებს. თუ საჭიროება მოითხოვს მთიდან ბარად ჩავა, მიატოვებს გრილ ნიავს და მწველ მზის სხივებს შეუდგება, ოღონდ შეწუხებულს დაეხმაროს, ჭირი გაუქარვოს. საყმოს უბედურება პირქუშს ზოგჯერ ცხარე ცრემლებსაც აღდრევენებს და სამღურავსაც წარმოათქმევინებს უზენაესის წინაშე.

რად არ ინებე, უფალო,
სიცოცხლე ჩემი ყმისაო?

ისიც ხდება, რომ პირქუში ღვთისშვილთა შეკრებილობაზეც დაიგვიანებს, მაგრამ ეს არა მისი მოუფიქრებლობის ან დაუღვერობის მიზეზით, არამედ ყმის დასახმარებლად ბარად შორს წასვლის გამო.

ბარს ჩაველ ყმთ გულისადა,
სიო გავწირე მთისაო.

პირქუშისათვის უცხო არაა ადამიანური განცდები, მეტად მგრძნობიერია და საჯაროდაც არ ერიდება ცრემლების ღვრას, აფექტურ მოქმედებას.

ბთის კარზედ შევიყარენით ხთის შვილნი ყველა მკრისაო.
გაგვიგვიანდა პირქუში, მკეთეი ყაწიშისაო.
მეგრე მოვიდა მტირალი, ცრემლით იბანდა პირსაო.

მწუხარედ წარმდგარი პირქუში ყველას თანაგრძნობას იმსახურებს. მზის თანამყონი ცდილობენ საჩქაროდ გაიგონ ძმობილის დაღონების მიზეზი:

— რა ამბავია, პირქუშო, რათ მოხველ ტირილითაო? — ეკითხებიან დაგვიანებულ და ტარიელივით აცრემლებულ ხატს.

— რა გაუჭირდა ჩემ ყმასა, ვერ უქარვებდი ჭირსაო.
ბარს ჩაველ ყმთ გულისადა, სიო გავწირე მთისაო.
ველოდებოდი უფალსა, ძმა—ბადრი იყო ხთისაო.

ხალხური მელექსე იმასაც გვაცნობს, თუ როგორ მიეახლა უფალს პირქუში ყმის დასახმარებლად.

მერე მოვიდა უფალი დიდისა სუფევეითაო.
შემოეხვია პირქუში, ტალივით ცრემლებს ღვრისაო.
— რად არ ინებე უფალო, სიცოცხლე ჩემის ყმისაო?
ბნელაში არ მემეტება, აღარც სინათლე ჩინსაო!

საბნელოში, შავეთში მოსათავსებლად არ ემეტება პირქუშს თავისი ყმა და მუხლის მომდრეკი, მახვეწარი, თავყანისმცემელი. ამის გამო შორს მგზავრობასაც არ ერიდება. მოულოდნელად იქ გაჩნდება, სადაც არ ელოდებიან, ოღონდაც მის გამოჩენას შედეგი მოყვებს, — გაჭირვებული უნუგეშო მდგომარეობიდან გამოიყვანოს. ამ მომენტს უკანასკნელი დროის მეღექსეებიც განაზავენ, მათივე წარმოდგენით პირქუში ახლაც ხმლის ჩამოსაკიდებლად საუკეთესო ყაწიშს, ვერცხლის ბალთებით შემკობილ სამხარილლიო ღვედებს ატარებს. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ ხალხის მოსარჩლე ვაჟკაცი, რომელსაც ალვის ტანი აქვს, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს, ვერცხლით შემკობილი ყაწიშით გორდა ხმალს ატარებს და ღვთის მედარბაზუნდ ითვლება. ყველაფერი ეს ნამდვილი სახალხო გმირისათვის არის დამახასიათებელი. სწორედ ამგვარ არსებად ჰყავთ წარმოდგენილი ხევისურებს მკედელყოფილი და უკვდავებს მიწვენილი პირქუში.

პირქუში, კოპალასა და იახსარის მსგავსად, დევებთან მებრძოლია. 1889 წელს ვაჟა პირქუშის თქმულებების სიმცირეს აღნიშნავდა: „ვერცელს ამბავს იმის მოქმედებისას ხალხურს ზეპირგადმოცემაში ვერა ვპოულობთო“⁷⁹. უკანასკნელმა დაკვირვებებმა რამდენიმე ტექსტი გამოავლინა, მაგრამ გმირის ნამდვილი სახის ჩვენებისათვის არც ესაა საკმარისი.

ფშაური გადმოცემა მოგვითხრობს, პირქუშმა ერთხელ კოპალას რკინის ზრო და ბეჭედი არ გაუჭედა; ხატებს შორის სამდღურავი ჩამოვარდა. დევებმა ამით ისარგებლეს, პირქუში დაიმარტოხელეს და შეიპყრეს. კოპალამ ყურადღება არ მიაქცია პირად უსიამოვნებას, საჩქაროდ დევებს შეებრძოლა და ტყვე-ხატი გაანთავისუფლა. ჩანს, პირქუში კოპალასა და იახსარის პლეადის ღვთისშვილია, ხალხის მიერ რეალურ გმირად მიჩნეული და ვალვთაებრივებული.

მონოთეისტური მითოლოგია

ქართული მითოლოგიის განვითარება დიდხანს პოლითეიზმის ნიშნით მიმდინარეობდა, თუმცა თავდაპირველი მრავალღმერთიანობა ბევრად აღარ ჰგავდა უკანასკნელი ხანისას. პირველყოფილი თემური და გვაროვნული წყობის პოლითეიზმი თანდათან მსხვილი დარგობრივი მითოლოგიით შეიცვალა. თუ უწინ წვრილ სათაყვანებელ არსებათა რიცხვი ათასეულობითა და ასეულობით ისაზღვრებოდა, ახლა, ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე-მეოთხე საუკუნეებში, ეს რაოდენობა ძლიერ

⁷⁹ ვაჟა-ფშაველას, თხზ. IX, 1964, გვ. 79.

შემცირდა, ათეულობით ხატებაძღედ დავიდა. ამავე დროს ფეხი მოკი-
და ღვთაებათა იერარქიულობამ, უმცროს-უფროსობამ. ინტეგრაციის
პროცესი ქართულ მითოლოგიაში შორს წავიდა და მორიგე ღმერთას,
უზენაესი განმგებლის აღიარებას მიაღწია. ეს იყო წინა საფეხური ამ
დიდი რევოლუციური გარდატეხისა, რაც ქართულ მითოლოგიასა და
რწმენას მოელოდა IV საუკუნის შუა პერიოდში ქრისტიანობის მიღე-
ბით. ქართლის მოქცევა ანუ საქართველოზე გაქრისტიანება შემზადე-
ბული ისტორიული პროცესი იყო. მან მკვეთრი ზღვარდამდები გავ-
ლენა იქონია ერის სულიერი ცხოვრების განვითარებაზე. ქრისტიანო-
ბის საბელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადების დღიდან ახალი
საფეხური იწყება ქართული მითოლოგიის ისტორიაში. დამთავრდა
პოლითეიზმის ხანა, განვითარება იწყო მონოთეისტურმა მითოლოგიამ.
ამის გამო საერთო სურათის თვალსაზრისით სამართლიანი ჩანს დასკვ-
ნა, რომელიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ელ. ვირსალა-
ძეს გამოაქვს. „ქართული წარმართული პანთეონისა და მითოლოგიის
განვითარება ძირითადად შეწყდა საქართველოში ქრისტიანობის გავრ-
ცელებასთან ერთად“⁸⁰. მართლაც, ქრისტიანობამ, მსოფლიო მნიშვნე-
ლობის ამ მონოთეისტურმა რელიგიამ ოფიციალურ აღიარებისთანავე
სიცოცხლის უფლებების გარეშე გამოაცხადა მანამდე არსებული მითო-
ლოგიური სისტემა და ახლის შემუშავება-დანერგვას შეუდგა.

ქართული მითოლოგიის განვითარება უცხო გავლენების დაუხმა-
რებლადაც მონოთეისზმის გზით მიემართებოდა. როგორც ყველგან,
ამ საყოველთაო კანონმა აქაც, კავკასიონის სამხრეთ კალთებზეც ღრმა
კვალი გაავლო ხალხის მხატვრულ აზროვნებაში. ფ. ენგელსის თქმით
ეს ისტორიული პროცესი შემდეგნაირად უნდა წარმოიდგინოთ:
„ფანტასტიკური ფორმები, რომელშიც თავდაპირველად მხოლოდ ბუ-
ნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდნენ, ახლა საზოგადო-
ებრივ ატრიბუტებს იძენენ, ისტორიული ძალების წარმომადგენლები
ხდებიან. განვითარების შემდგომ საფეხურზე მრავალი ღმერთის ყვე-
ლა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ატრიბუტი გადაიტანება ერთ ყოვ-
ლისშემძლე ღმერთზე, რომელიც თავის მხრით თვითონ აბსტრაქტუ-
ლი ადამიანის გამონაკრთომია. ასე წარმოიშვა მონოთეიზმი.“⁸¹...

დარგობრივი მითოლოგია მონოთეისტურმა სარწმუნოებამ კანონს
გარეშე გამოაცხადა. მცხეთაში ჩატარებულ მშვიდობიან ნათლისღებას
სხვაგვარი სახე მიეცა პერიფერიებში, იქ, სადაც მშრომელთა ძირითა-

⁸⁰ ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1, თავი „მითი“. 1960, გვ. 349.

⁸¹ ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 269—70.

დი მასები ცხოვრობდა და ეროვნული წეს-ჩვეულება და სარწმუნოება. ძველ-რბილში იყო გამკლარი. ახალი სარწმუნოების მიღება შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა მხოლოდ ზედა ფენებში, სამეფო გვარეულობასა და მასთან დაახლოებულ წრეებში. სხვა მდგომარეობამ იჩინა თავი ფართო მოსახლეობაში. აქ ახალ იდეოლოგიურ ორიენტაციას აშკარად სარწმუნოებრივი ომის ხასიათი მიეცა. „ისტორიულ ქრონიკებში აღწერილია ამ სარწმუნოებრივი ბრძოლას სიმძაფრე საქართველოში. საკუთრივ ქართლის მოქვეყნის შემდეგ მქადაგებლები მთაში გაგზავნეს, მაგრამ მთის ზოგმა ტომმა არ მიიღო მისიონერები და უკან გამოაძევა. საქმეში ხელიაუფლება ჩაეოცა და შეიარაღებულთა რაზმები მიაშველა ურჩთა გონზე მოსაყვანად“. როცა ამ სიტყვებს ვწერდით⁸², მხედველობაში გვქონდა „ქართლია ცხოვრების“ ისტორიკოსის სარწმუნო ცნობა: „მამინ ერ-სთავმან ქართლისამან მცირედ წარმართა მახუილი მათ ზედა, ძლევით შემეუარნეს კერპნი მათნი“⁸³. კერპების ძალდატანებით დამსხვრევამ და მახვილის „მცირედ წარმართვამ“ ნაკლებ უშველა საქმეს. საკირო შეიქნა უფრო ეფექტური ღონისძიების გამოყენება, ვინაიდან ახალ სარწმუნოებრივ მოძღვრებას გადასახლებითა და ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლით არიდებდნენ თავს. ისტორიკოსის საამისო ცნობის აღნიშვნაც არ გამოჩენია. „ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმიძო მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლილება“⁸⁴. უცხო რწმენაზე გადასვლა მტკივნეული აღმოჩნდა და გაქიანურებული ხასიათი მიიღო. მეფე მირიანმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო დაწყებული საქმის დაგვირგვინება. შორსმჭვრეტელი მეფე აშკარად ამჩნევდა რა ამას, მემკვიდრეს ანდერძი დაუტოვა: „და სადაცა პოვნე ვნებანი იგი ცხოველისანი, კერპნი, ცეცხლითა დაწვენ და ნაცარი შეასუ, რომელნი მათ ესვიდენ, და ესე შვილთაცა შენთა ამცენ“⁸⁵.

მოვლენათა ისტორიული განვითარება ადასტურებს, რომ ქრისტიანობისა და წარმართობის ურთიერთბრძოლა საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა. შეიძლება ითქვას, ახალმა სარწმუნოებამ სრულ გამარჯვებას პირობითად მიაღწია. ხალხში, ოფიციალური აღმსარებლობის პარალელურად კი ძველი რწმენის ნადაგზე ჩამოყალიბებული წესჩვეულებები განაგრძობდა მტკიცედ არსებობას. ნაწილობრივ ასეთ-

82 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 89.

83 ქართლის ცხოვრება, ანასეული ვარიანტი, 1942, გვ. 80.

84 იქვე, გვ. 80.

85 იქვე, გვ. 83.

მა ვითარებამ თავი შემოინახა ოქტომბრის რევოლუციამდე, რელიგიის სახელმწიფოდან სრულ გამოყოფამდე.

საქართველოში მითოლოგიური შემოქმედება და მისი პოეტური ასახვა მოქცევის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ფეოდალიზმის ხანაში, მონისტური რელიგიის გამარჯვების კლასიკურ პერიოდში ახალი მითოლოგიის შემუშავება დაიწყო. ტრადიციაში დამკვიდრებული ჩვევა მითოლოგიური სახეების მხატვრულ-პოეტურ სფეროში გადატანისა კვლავ განაგრძობდა არსებობას, ნაგრამ ამჯერად მისი მასალა უმთავრესად ბიბლიური ლეგენდები და თქმულებები იყო. სამონასტრო და საეკლესიო ცენტრების ირგვლივ თავმოყრილ შემსრულებელთა შორის ფეხს იკიდებს ნათარგმნი ლიტერატურა. მწიგნობრობა თანდათან ხელს უწყობს ქრისტიანიზებული სიუჟეტებისა და ათასგვარი სასწაულმოქმედების ზეპირად გავრცელებას. ამგვარი თქმულება-გადმოცემანი ქარივით ეფინებიან კუთხიდან კუთხეს, გზას იკვლევენ მასებში და მხატვრული სიტყვის ოსტატთა ყურამდე აღწევენ. აქ კი მათი პოეტური გადამუშავება და ხორცშესხმა გახდა შესაძლებელი. მწიგნობრული სიუჟეტების დამკვიდრებასთან ერთად დაიწყო ტრადიციული სიტყვიერების გარდაქმნა. ახლებურ იდეოლოგიურ საფუძველზე მისი გადამუშავება. მაშასადამე, ამ პერიოდში ადგილი აქვს, ერთი მხრით, ქრისტიანული მითოლოგიის გავრცელებას, მის თანდათანობით დამკვიდრებასა და პოეტიზაციას, მეორე მხრით კი წარმართობის ხანიდან შემკვიდრეობით გადმოსული სიტყვიერების გარდაქმნა-გადამუშავებას, ქრისტიანიზაციას. როგორც ნასესხები ბიბლიური სიუჟეტების შეთვისება, ისე ადგილობრივი ფოლკლორის გადამუშავება ხელს უწყობდა ახალი მითოლოგიური სისტემის შექმნას, რომელიც უმთავრესად ნარევი ხასიათისა იყო.

ფოლკლორული შემოქმედება ნელა, მაგრამ მტკიცედ დაადგა მონისტური მითოლოგიის ასახვის გზას. სახალხო მგოსნებმა და შემსრულებლებმა ხელი მოკიდეს მანამდე უცნობი სიუჟეტების, თქმულებებისა და ლეგენდების დამუშავებას, გალექსვას. ასე წარმოიშვა ის მრავალრიცხოვანი პოეტური ვერსიები, რომელთა მიზანია აბრამისა და იობის, ღვთისმშობლისა და ქრისტეს, ნოესა და სოლომონის, გიორგისა და ელიას მხატვრულ სახეთა შექმნა; საუკუნო განსახვეწებელთა—საიქიოსა და ჯოჯოხეთის შთამბეჭდველი სურათების გადმოცემა. მართლაც, ათასხუთასი წლის მანძილზე ამ მხრივ დიდძალი მასალა დაგროვდა. საკმარისია თვალი გადავავლოთ მითოლოგიური და საწესკვეულეზო პოეზიის კრებულებს, რომ ხელშესახები გახდეს ის შემოქმედებითი ენერჯია და მაღალი ოსტატობა, რაც მდიდარი ფოლკლორული

ტრადიციის მქონე ხალხმა გამოიჩინა მანამდე უცნობი სახეების პოეტოზაციის დროს. ამჟამად ჩვენ აღარ გამოვუდგებით მითოლოგიური წარმოშობის ახალ მხატვრულ სახეთა პერსონალურ განხილვას, დავკმაყოფილდებით იმით, რაც ნათქვამია თითოეულის გამო შენიშვნებში.

ამრიგად, მითოლოგია აზროვნების უძველეს საფეხურზე ჩამოყალიბდა, როგორც სამყაროს ირეალური გამოსახულება. თავისი შინაგანი ბუნებით იგი მხატვრული შემოქმედების სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე რელიგიურს. ამის გამო სიტყვიერი ფორმით გადმოცემული მითების მთელი მარაგი, პოეტური იქნება თუ პროზაული, ფოლკლორისტიკის საგანს შეადგენს.

მითოლოგია და მითოლოგიური თემატიკა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ სიტყვიერი ხელოვნებისთვის, იგი ხალხური შემოქმედების დანარჩენ სფეროებშიც მკვეთრად იჩენს თავს (მუსიკა, ცეკვა, თამაში, მხატვრობა, ჩუქურთმა, ოქრომუკედლობა, წესჩვეულება). სხვა მოტივებთან ერთად, ეს გარემოებაც იძლევა საფუძველს ფოლკლორის ჩვენში ტრადიციადქცეული გაგების საზღვრების გაფართოებაზე ვიზრუნოთ და ფოლკლორისტიკა ხალხური კოლექტიური შემოქმედების მთელი კომპლექსის შემსწავლელ მეცნიერებად მივიჩნიოთ.

მსოფლიო კულტურის ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება, თვალნათლივ აჩვენებს იმ ფასდაუდებელ მნიშვნელობას, რაც ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში ხალხურ მითოლოგიას ჰქონდა დედამიწის ყველა კუთხეში. პროფესიული ხელოვნების საფუძველს ფოლკლორი წარმოადგენს თავისი ამოუწურავი სიუჟეტებითა და სახეებით, მხატვრული გამომგონებლობით, სამყაროს დიფერენცირებული წარმოდგენით, კეთილ და ბოროტ ძალთა მარადიული ჭიდილის აღიარებით.

საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ხალხების ფოლკლორი ამჟამად კოლექტიური შემოქმედების განვითარების იმ საცეხურზე იმყოფება, რომელსაც პირობითად მხატვრულ განძადქცევის პერიოდი შეიძლება ვუწოდოთ, როცა თითოეულ ქანრში დამთავრებულია დამახასიათებელი სიუჟეტებისა და ნაწარმოებების შექმნა, მიღწეულია მარადიულ სახეთა სტაბილობა, ხოლო ზოგიერთ უბანზე დაწყებულია ქანრობრივი ფონდის დეფორმაცია და შემსრულებელთა ინდიფერენტობა, რასაც ფოლკლორული ხელოვნების ზოგიერთ სახეთა გაქრობა მოსდევს შედეგად.

XIX საუკუნის შედარებითმა ძიებებმა ნათელყო მითოლოგიის საყოველთაო ხასიათი და სხვადასხვა მოდგმის ხალხების მითოლოგიურ სისტემათა მსგავსება. ამჟამად ყურადღება გამახვილებულია მითის

სტრუქტურაზე, სიუჟეტურ მოდელზე, მის „გრამატიკაზე“, რაც შე-
სააწლოა ისევე საყოველთაო ხასიათის იყოს, როგორც თვითონ მითო-
ლოგიური წარმოდგენები ცივილიზაციის განსხვავებულ საფეხურებსა
და რასობრივად ურთიერთ დაცილებულ გარემოში. ამჟამად კონკრე-
ტული მასალის ასე ფართო გაანალიზებას არ ვისახავდით მიზნად. ჩვე-
ნი ძიება მონათესავე ან ტერიტორიულად ახლო მდგომი ერების გან-
საზღვრულ ჯგუფს ემყარება. სახელდობრ ესაა კოლხურ-იბერიული
მოსახლეობის, კერძოდ ქართველი ხალხის, შემდეგ — კავკასიელი ხალ-
ხების ფოლკლორი და მითოლოგია, რომლის სახეობრივი სისტემა
მსგავსებას ამჟღავნებს როგორც ძველ ბაბილონურ, ეგვიპტურ და ან-
ტიკურ მითოლოგიებთან, ისე ევროპულ, სკანდინავიურ და სლავურ
მითოლოგიურ სამყაროსთან.

საქართველო უშუალო მეზვედრე და გამგრძელებელია ორი ძვე-
ლი სახელმწიფოებრივი გაერთიანების — იბერიისა და კოლხიდის. იბე-
რია დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკის აღმოსავლეთ და სამ-
ხრეთ ნაწილებს მოიცავდა (ქართლი, მესხეთი, ჯავახეთი), კოლხიდა კი
დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ტერიტორიებს (ლაზიკა, ეგ-
რისი, სკვიმია). ამის გამო კოლხურ-იბერიული ცივილიზაცია წარმო-
ადგენს ქართული ეროვნული კულტურის შემადგენელ ნაწილს და მის
ადრინდელ საფეხურს. ამ შემთხვევაში დაკვირვების საგანია ის მითო-
ლოგიური სახეები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ქართლის მოქცევას
(337 წ.) და მე-19 საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნეს არსებობა ყოფიე-
რებაში. ქართულ მითოლოგიურ და საწესჩვეულებო პოეზიაში იშვია-
თი არაა ისეთი პერსონაჟები, რომელთა ფორმირება შესაძლებელი იყო
მხოლოდ წარმართულ-პოლითეისტურ გარემოში ჩვენს წელთაღრიც-
ხვამდე ათასი-ორი ათასი წლით ადრე.

საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნებთან ერთად გაქრა ძვე-
ლი კოლხურ-იბერიული სიტყვიერების შემქმნელი სოციალური გარე-
მო, პოლითეისტური დარგობრივი მითოლოგიის ადგილი მართლმადი-
დებლურმა სარწმუნოებამ დაიკავა. მიუხედავად ამ ეპოქალური ცვლი-
ლებებისა მითოლოგიური წარმოშობის პოეტურიზებული სახეების
მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც შემორჩა ფოლკლორში გვიანობამდე. ამ
ნოველენის ახსნა არ ხერხდება მხოლოდ გადანაშთების თეორიის სა-
ფუძველზე. აქ უთუოდ გადამწყვეტ როლს თამაშობდა თვითონ სახე-
თა ესთეტიკური ფუნქცია, წარმართობის დროიდანვე ხალხის პოეტურ
საუნჯეში მათი დამკვიდრება.



ნაწილი პირველი

ტექსტები





მზე, მთვარე, ვარსკვლავები

1. მზეო, ამოდი, ამოდი

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა;
სიცივეს კაცი მოუკლავს —
საწყალი აგერ გორავსა.

2. მზეო, მზეო

მზეო, მზეო, ამოდი,
ცხვარს დაგიკლავ მაკესა;
შეგიწვავ, შევიმარილებ,
წინ დაგიდგამ ტაბაკითა.

3. მზეო, გამოდი

მზეო, მზეო, გამოდი,
ჩვენს ერდოში ჩამოდი;
მიანათე ბაკებსა,
ცხვარს დაგიკლავ მაკესა.

4. ჰმეყნის სანთელი

მზეო, ამოდი. ამოდი,
მთლად ენთები ქვეყანას;
იკურთხოს შენი გამჩენი,
შენა ხარ ქვეყნის სანთელი.
5 ღმერთმა დაღუპოს ის კაცი,
ვინც დაივიწყოს შენი სახელი.

5. მზე ჩაღმა ჩამავალია

მზე ჩაღმა ჩამავალია,
ჩავა, ჩაჯდება ბუდესა;
ოქროსი კვერცხი დაუდევს,
ქუჩული მარგალიტისა.

6. მზე შინა და მზე გარეთა

- მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!
უყვილია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო!
- 5 გათენებულაო,
მზევ, შინ შემოდიო!
გათენდი თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო!
გათენებულხარო,
10 მზევ, შინ შემოდიო.
ქილო, რასა მეძინები,
მზევ, შინ შემოდიო.
მე საბრალოსაო,
მზევ, შინ შემოდიო.
- 15 ტანს, ფეხს არა არ მაცვია,
მზევ, შინ შემოდიო.
თითისტარო, კვირისტავო,
მზევ, შინ შემოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო,
20 მზევ, შინ შემოდიო!
მალე პერანგს შევიკერავ,
მზევ, შინ შემოდიო!

წითელ კაბას შევიკერავ,
მზევ, შინ შემოდის!
25 სანატრელსა, ფრიალასა,
მზევ, შინ შემოდის!
ჩქარა დაბრუნდის,
მზევ, შინ შემოდის!

7. მზე, მთვარე და ვარსკვლავები

ბუა დია ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და ღო ჯიმა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე—მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

8. ლილე

ოი, ლილე, ისევამ დიდებინ გოშილე, ოი, ლილე!
ოი, ლილე, დიდებ, დიდებ თარგლუზერსი, ოი, ლილე!
ოი, ლილე, ლელტკრელად ლიშედს გვიშგე, ოი, ლილე!
5 ჯოვ ლოგეშელა ყეუიშ მიჩა!
ლიმზურ ჯარახ სგაშ ლალგენას,
ჯანარ ჯირდახ სგაშ ლალგენას,
მუქვარ ხაგანხ შიდ ვოქრეში;
გიცარ ჯირდახ სგაშ ლალგენას
10 მუქვარ ხაგანხ შიდ ყორყოჯი,
იბურღველახ ზანგი ზავარ;
ხუნვას ლაჩვარი ჯიყურდახ,
შდურვას შაურდენ ჯაცხეპა;
ძღვიდილდ ჯაცხიპ შიდ ვოქრეში,
15 ქორგლდ ჯიგან შიდ შხეფიში.

—
ალი ღერთემ ჩივ ჯამზგრაახ
ამეჩულაშ მერღე მარა!

ლილე

- ოი, ლილე, შენი დიდებითა სავსეა, ოი, ლილე!
ოი, ლილე, დიდება, დიდება მთავარანგელოზს, ოი, ლილე!
შევსთხოვთ შეწვენას, ”
შეგვეწიოს მისი ძლიერება! ”
5 სალოცავი გქონიათ შესაწირავი.
ხარები გყავდათ დათქმული
რქები ედგათ ოქროსი;
ვერძები გყავდათ შესაწირავი,
რქები ედგათ დაგრეხილი,
10 ბულრაობენ ქედიდან ქეღამდე. ”
შენს საძირკველთან ირმები იწვნენ, ”
შენს ქონგურებს შავარდენი არტყია ”
ზღუდე გარტყია ოქროსი, ”
15 სახლი გედგა უზადოდ აგებული. ”

—

ღმერთმა დაგლოცოთ
ყველა აქ მყოფნი.

9. მზისა და მთვარის ბაასი

- ყველამ კარგათ მაიხსენეთ:
შაიბრძოლნენ მზე და მთვარე.
შამოუთვალა მთვარემა:
„ოცდა ცხრა დღე ვიმუშავე
5 და მეათეს გარდვიცვალე“.
ახლა მზემ შამოუთვალა:
„როგორ პირი წაიქამე!
რაც რამ სიკეთე მომხდარა
სულ შენ თავზედ დაიბრალე.
10 სამი დღე და სამი ღამე
რომ არ იყავ—დაიმაღე,
მეოთხე დღესა გამოსჩნდა,
თან ღრუბელი დაიყოლე;
ასტეხე ჭექა-ჭუხილი,
15 მზად მოსული მოსავალი
უმადურად ჩაატარე“.

10. მზე და მთვარე

- ნათელმა მთვარემა პრქანა:
ბევრით მე ვჯობივარ, უხესა;
დაჯდა, დაწერა წიგნები, —
უნა ქარი მიატმევსა.
- 5 მზეს რო კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ქმა არის,
რად ვძულდებით ერთმანერთსა.
ავი ამინდი რო დაღვეს,
- 10 ის ხომ ვერ გააშრობს ვზებსა!“
ცივან კაცს ხომ ვერ გაათბობს,
თუ არ დაინთებდა ცეცხლსა!
თუ ეს სიტყვა ტყუილია,
ჰკითხევით ღამის მეხრება“:
- 15 ღამის მეხრე დაიბარეს,
ულეამებზე ისვამს ხელსა.
—დაჯე, ბიჭო, სწორედა სთქვი,
თორემ მიგცემთ სატანჯველსა!
დასვეს და ალაპარაკეს,
- 20 მეუფე ყურს დაუგდებსა.
„მე უმზეოთა ვერ გავძლებ,
ღამე კი გავტეხავ ბნელსა:
ღლისით შევზვერაგ ბალახეშსა,
ღამით იქ მივრეკავ ხარსა“.
- 25 ერთი მაზარა უბოძეს, —
ღამე მავალია ესა.
ღვინოზედ კაცი გაგზავნეს,
ორთავე შეარიგესა.
ცისკარი მოჩანჩალებდა,
- 30 თავის ტყავსა მოაარეგსა:
გათენებისას ამოდის, —
პანდური ჰკრეს, გააგდესა.

- შუქურ-ვარსკვლავი მიბრძანდა,
ის ძალიან დაათვრესა:
35 ხალათი გამოუცვალეს,
კაი ჩოხაც ჩააცვესა.

11. ახალი მთვარე

- მთვარე ვნაბე ნებაზედა
ჩემსა გუნებაზედა;
პურის ცომი ღვიერი,
საქმე ბარაქიანი,
5 მე ვცხონდე და შე იზარდე!

12. ზეცას ვიყავ

- ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებსა დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა: —
თუ იქ იყავ, რათ არ მნახე!
5 — შენი შიშით, მორიდებით,
ველარ მოველ, ველარ გნახე.
თავი ისთე შევინახე,
კაცსაც აღარ დავენახე!

13. მთვარეს კაცი მოეგზავნა

- მთვარეს კაცი მოეგზავნა:
„აქ იყავი და ვერ მნახე!“
— არ მეცალა, შენმა მზემა,
ქალის ქუდსა ვკერავდიო:
5 გარს ვავლებდი მარგალიტსა.
ოქრომკედით ვკემსამდიო.

14. მზის დაბნელება

- მეცნიერები დადიან,
ანგარიშს კრეფენ ცისასა,
სოფლებში გამოამტხადეს:
„დაღამდეს შუადღისასა“.
5 სოფელი დიდათ შეშინდა,
დაემთხვა დედანმიწასა,
ზოგ-ზოგი ერთად დადიან,

- ზოგი მიდიან მღვდლისასა:
ეგებ მღვდელმა გვიპატიოს,
10 წიგნებს კითხულობს ღვთის სასა.

15. გათენებისა მასკვლავი

გათენებისა მასკვლავი
ეუბნებოდა ცისკარსა:
—ბევრს ნულარ დაიგვიანებ,
მალე ამოდი ღვთის მადლსა!

16. მზის რომ მთვარე გამოშორდა

- მზეს რომ მთვარე გამოშორდა.
მზე დარჩა განათებული;
ანგელოზები უნობდენ —
ღმერთი არს გარისხებულუ.
5 მაშინ მეუფემ მოახსენა:
ნუ იცით ახირებულუ.
მე ჩემი სოფელ-ქვეყანა
კარგად მყავს შერიგებულუ.
ვინც რომ ავი კაცი არას,
10 სიზმრით მყავს შეშინებული;
იმან თუ არ მოაქცია,
ჯოჯოხეთი მაქვს დამზადებული.

17. დღე სჯობია თუ ღამეი

- ღღე სჯობია თუ ღამეი,
ხალხნო, მე გკითხავთ ამჟსა.
ღამე ნიადაგ კარგია,
მზეიც მოუღის თანაცა.
5 დღეს რო ღამეიც არ ჰქონდეს,
ეგიც ღმერთმ დაიფარასა;
ნამეტნავ ქურდებისადა,
ვერ დაიწყებდეს პარვასა.
რა დადგას შემოდგომი,
10 მწყერ ყანას ეტყვის სალამსა,
ცხვარ-ძროხა მოეფინება,
მალლა მთას, დაბლა კალასა.

18. დილის მზე

დილის მზე დაბნეულიყო,
მთვარე აყრიდა შაქარსა...
მთვარევე, ნუ აყრი შაქარსა,
არავინ მოგცემს მაგ ქალსა.

19. შუქურ ვარსკვლავი

ამოდი, შუქურ ვარსკვლავო,
შინათობელო ღამისა!
ამოდი და გამინათე
ჩემი სიბნელე ზამთრისა,
თორემ წამქერში მოგვედები,
დავრჩები დასაძრახისა.

20. ბარბალ დოლაში

- დიდება ბარბალ დოლაშის!
- 5 ლიმზირ ჯაგადი ძღვდაში.
ლაფსყალაშ უიბენ ანსგვეჯნი;
გეგულდა(შ)ს ისგა ანსგვეჯნი.
ბარბალ, ისგვა კამშომულვი
ლაშხრაში უიბენ ანსგვეჯნი;
- 5 ბარბალ, ისგვა კამშომულვი
ქევიას ლეჟა ხათარაში;
ხითგში ვაჟილ-სიმეჟას,
- 10 ტაბლაში ისგვა მენაყას.
ჯვიჰიერისგა ანსგვეჯნი,
ქუნილდ ლაჯანდა სარჯაში,
ლანწრაა ხარჯილს ხაშდაბა.
ლალგანა მიჩა კანარე,
- 15 სუფილ მეტყვეფილ ხეროლე
ნაჰანაერუ კანარეში.
ლაქვა ლახზაზა მაცებაში.
ბარბალ ხარჯილსუ ხაბიშა.
წყილიან ზადაშინ გოშია
- 20 მეზრაში კეცილ უშლინა.

დოლის ბარბალე

- დიდება დოლის ბარბალეს!
შესაწირი გმართებს დიდისა.
ლაბსყალდს ზემოთ მობრძანდება,
გეგულდაშში მობრძანდება.
- 5 ბარბალ, შენი ძალით
ლაშხრამს ზემოთ მობრძანდები;
ბარბალე, შენი ძალით
სვანეთში დიდებით მოდიხარ;
ირჩევ ქალ-ვაჟებს,
- 10 ტაბლა რომ დაგიშხადონ.
ჯვიჭიერში მობრძანდები,
თაფლის სუნი გეცა,
ლამარია ხარჯს ამზადებს.
შესაწირავი მისი ხარები,
- 15 მოედანი გადაუტყავებია
ხარების დაკვლით.
ქვემოთ შეჰგებებია მაცვბაში,
ბარბალეს ხარჯი გამოურთმევაა.
წმინდა ზედაშითაა სავსე
- 20 ამოულეველი სალოცავი ქვევრი.



მორიგე, კვირია, დალი, სამძივარნი,
ლაზარე, ოროველი, კონჯა

21. მორიგეც ლმერთო

მორიგეც, ლმერთო გეხვეწებით,
მაგთხოვდი მადლსა, გიხრი ჩოქსაო.
ქრისტის დედაო, მაგთხოვ მადლსაო,
ჩამიშვი ოქროს ქოთანშიაო.

- 5 ჩამარეცხიენ ღილ-ქამარნიო,
ელჩობაი მაქე მალოცვილიო.
ყუდროს დამჭერო, გეხვეწებით,
ჩამაოლ მადლის სათხოვრადაო,
ჩამაოლ წიგნის საწერლადაო,
- 10 ბატონ-ყმათ დასაარიგებლადაო.
თუ მჯობი მჯობზე იღებოდასო,
ზღვენ-სამსახური მზადდებოდასო,
ყუდროს დამჭერი ზე ჯდებოდასო.
აბა, წაოლა, გავბრუნდებით,
- 15 თავის ნაღვარსავ ვესტუმრებით,
თავის მოძმესავ ვექინძებით.

22. დალილღ

- „დედე, ხიად, ლეზიზ ანაჲ:
ერსკან-კვიცრა საუდ ანაჲ“.
აშ ხონაყი დედე ლეზიზს
მეთხვადარ მიჩა ლელატ გეზალს.
- 5 „ჰამა ძინარს ეი ამჩედხე,
ეი ამჩედხე თანალთევი,
ხეესი ლიკედს ხეემურჯალე,
ემხვი თგმი კილ მასგმდა.—
ამლა მი მადმა ონფაში.
- 10 მერმე კილ აჯალ მასგმდა.
„მიავ ლეკათ, მოდ ლახვმეკრა.
ალი კილი შავ იროლა!“
ლეჲავ ლახვსგი—თვეთნე კოჯ ლე:
კოჯას დალი ხელღვაჲალე.
- 15 ჩუქან თხერილ ხოდერაჯი“.
დალის გეზალ კოჲს ზაშუედა,
ეჯი თხერილს ეშ ლოხქარჲა.
მეთხვადარ კოჯა ძირად აჩაჲ.
ეი ლახგარგლე ეიბავ დალილღს:
- 20 დიდაბ აქად, მა ლე სგოჯი.
ქა დო მისგეჯი, გუნ მეკეჯი:
—მი ხვიროლე კოჲა დალი.
ჩინჩელიდ მიშგვი თხერილდ ამღე!
ეჯლა სი ნომა ანფეშე:
- 25 მადგარ თხერილს მი ლახვღვეჲნი.
თხერილ ზაგრუმ ჩქარდ ესღგრდა.
დალი გეზალ კარკს ხოსღანდა.
ამხვ ზაგლიდჲეი ეი ლახვინცვილ.
მერმა ზაგლიდს უშდვილდ ლოხვყჲ..
- 30 ტყვიფ ათლანდა თოფის მიშგვა,
თხერილს კარკ მგეკარ ხასადა,
დალიშ გეზალ ჩუ ლოხვცვირინ:
ბარჯს ესსგვირი, ეჯე- ლოხვკდ
დედეს მიჩა—კოჯა დალის.
- 35 „დედე მიგშვი, ლუსჯოგვ ამყინ!“
დალი კოჯას ქა ლაღსგიდა.
კოჯა ძირის გეზალს ბეწად.

ჩუ ლოპყიჲე ვოქვერე ლუსდიგე,
მიჩა იგზალ ჟი ლაიყე.

- 40 მიშვეი ლამზგრუე ლახშადა
მაშედ ისგვა მეთხვიარის!
—სი მეთხვიარ, მა ჰაჯ ჯეკვეს,
ეჯი ჰაჯი მი ჟა მაშვეემნ:
ჯიცხენდეს ი—ლიდიე მიშვეი,
45 ჯიცხენდეს ი—ლიდჩურ-ლილატ!
—ეჩის იდიდაბუე უჯქედა,
მი ლალ ეჩის დეშ ჯაშვედა!
—მადეჲ ჯაჰვდი მკხა თხუმეი
სემი ლკმინ არა ღვაშას,
50 ბარბლაში თხუმ იშვეიდ ღვაშას,
ნეცინ ერსკანს ნაგზა შელდეი.
ივას მერდე სიე ხიროლა,
მაგ მეთხვიარ გვარიშ ისგვა,
ლერსგვან მექარს მი ხვენჯირინი!

დალი

„დედა ძვირფასო, საგზალი მომიშადე,
არჩვი და შუნი მომენატრა“.

მოუშადა დედამ საგზალი
მონადირეს, თავის საყვარელ შვილს.

- 5 „დილაადრიან ავედი,
ავედი მთაზე,
საუზმის ჭამას რომ ვაპირებდი,
საშინელი კივილი შემომესამა.
მე ყურადღება არ მივაქციე.

- 10 მეორედაც შემომესმა კივილი.

„წყეულიმც ვიყო, თუ არ გავიგო,
რას ნიშნავს ეს კივილი!“

ავიხედე—თეთრი კლდეა:
კლდეზე დალი მშობიარობს,

- 15 ძირს მგელია დადარაჯებული“.

დალს შვილი კლდიდან გადმოვარდნია,
მგელს გაუქროლებია იგი.
მონადირე კლდის ძირას მივიდა,
ასძახა დალს:

- 12 დიდება შენდა, ვინც უნდა ბრძანდებოდე,
მიბრძანე რამე, ძალიან მინდა!
—მე კლდის დალი ვარ,
შვილი წამართვა მგელმა!
—ნურაფრისა გეშინია,
- 25 ცბიერ მგელს მე გავეკიდები.
მგელი ქედს გადადიოდა.
დალის შვილი პირით ეჭირა.
ერთ ქედზე დავიგულე,
მეორე ქედზე ჩავუსაფრდი.
- 30 დაიქუხა ჩემმა კუთხვამ.
მგელს ხახა ღია დარჩა,
დალის შვილი დავატოვებინე;
მხარზე შევისვი და ისე მივგვარე
დედამისს, კლდის დალს.
- 35 „დედაჩემო, ნაწნავი ჩამოუშვი!“
დალმა გადმოიხედა კლდიდან.
კლდის ძირას თავისი შვილი დაინახა.
ჩამოუშვა ოქროს ნაწნავი,
აიყვანა თავისი შვილი.
- 40 —ჩემი სალოცავი შეეწიოს
შენს მშველელ მონადირეს!
—მონადირევ, თუ რამე, სათხოვარი გაქვს,
მთხოვე და შეგისრულებ.
გერჩიოს და—ჩემი დედობა,
- 45 გერჩიოს და—დობა, სიყვარული!
—იმის დიდება მისვლოდეს!
ამას ვერ გაკადრებ!
—თუ არა და ყოველ სექტემბერს მოვცემ
რვა ისეთ ჯიხვს,
სამი მტკაველი რქა რომ ექნეს.
- 50 ყოველ ბარბარობას შეიდ ჯიხვს,
წვრილ არჩვს კი ყოველ კვირას.
იცოცხლე მარად,
ყველა მონადირეს, რომელიც შენი
მოგვარე იქნება
მარჯვენა მხარში ამოვუდგები!

23. თვეთნი მანგურ

- შვანე ლაფაშედ თვეთნი მანგურ,
 ლიზგე-ლირდე ხოჩა ჯარა:
 ლაწვრემ წვირმისუე ჯარენა,
 ლალფრა იფარუე ჯეროლე,
 5 ლაკლავე კალასუე ჯარენა,
 ლაკან ლახმელ დს ქურ ჯეროლე
 ლაქმა შხარასუე ჯეროლე;
 ლაფაცხდ დანვარ ქურ ჯეწენიხ,
 მგთიდ დალარ ჯიმურჯენიხ;
- 10 კიბდონარდ ლულდნარ ჯეგნოლე,
 მარან კეცარდ გვეში ჯერი,
 ლვინალ ჯენი იმრეთიშა,
 კვეცენ ჯერდი, ო, ყგამაში,
 აშ ჯიბინა ლიზ-ლოჩედი,
 15 ქა მეჩდელხი ლაქეცირათე
 ჩეპაბრან ქურ ქეპბილდისგა
 ეი ლაქიშვა ხოშა ლემესგ,
 ლეაშა წვბდილდ ეიე ჯიტყაბა,
 ამეინ დალი სგავ ჯამშგვარა.
- 20 —თვეთნი მანგურ, შეიდედ ლამეჭა!
 იმლა ალერ მიშგვა ქეპბთე?
 —ჩუ ამბურან, მალო მჰე ჩეემენ?
 ლიზალ-ლიტხალს ლეგდ ჯარომდეს,
 მერე ამგვარ ამსვალდ მატკლებ.
- 25 —მალო, იმეი ლი მიშგუ გვეშ?
 ამის მანგურ ხეჭვედმელე.
 —ამეი მი ლალ სი დეშ ჯუფეშედე.
 ლელატდ ლახე დოშ ამსყროლი.
 — მია ხიადშე ეი აქსყროლი,
- 30 მარე ხეხე ი გეზალ მირი.
 — ეჯარს ამლა მამ ხეჭროლებ,
 მარე ქა ნომე ლახკეშე,
 შომეშა თემი-წეხი აჯტეს,
 ეჩქას მიშგუ შორჯლდ ახარშენ,
 35 განხან მეგნად ეი ლაქმარგი,
 ლეაშა-ერსკანს დემ აქძვირი.

- ბაზი უშხუდ ჩუ იყენალეხ,
 ხინ ი ხიად მასარდ ხერის,
 მერამე ძინარს ეი იგნალეხ,
 40 მანგურ ქორთე ანაღარი.
 ო, ფისრაუ სწვიარე
 სგა ჯაქვედახ ერხან-ამხან,
 ცხვი ი ხანგარ ჩუე ხონჩდახ,
 ეი ლეჭბინეხ ლიყურელე.
 45 „ლიყურელეს მი ეჯართვენე!“
 ეი ხოშგუნა დაშნილ მიჩა,
 არა-ჩხარა ჩუე ხოდგარა,
 არა-ჩხარა მიჩ ლალ ხაკიდხ
 ჩეექს ხაგენა თვეთნე მანგურ:
 50 „ხოლა დნლა, იმე მირი?
 სვეაერ მია მადაგერიხ!“
 ქვე ხოსკინა უხვენხანქა
 დნლას, მანგური ლელეტის,
 ოფნი აშხალ შის ხალვენა,
 55 სგა ლხბურთინან სვეარეს,
 მუმბვიდ ეშხუ მნდ ხოცენრა.
 მანგურს ეშხუ ლალიდ ლახთხეპ,
 ნაქაჩვარე ქვე ხოეაგა,
 ლუპღირდ ქორთე ქვე ხოფნშვდა.

თეთრი მანგური

- სვანეთში განთქმულ თეთრო მანგურ,
 ყოფა-ცხოვრება კარგი გქონია:
 სანიავებელი წვირმსა გაქეს,
 პურის საშრობი იფარსა გაქეს,
 კალო კალასა გაქეს,
 5 სახნავი ლახამულასა გაქეს,
 სათიბი შხარასა გაქეს;
 საფოცხავად დევები დაგიდიან,
 სამკალში დაღები გეხმარებიან.
 კიდობნებად ვეებერთელა ქვაბები გიდგას,
 10 მარანი ქვევრებითა გაქეს სავსე.
 ღვინო გაქეს იმერული,
 ხორბალი — ყირიპისა.

- გასდგომიხარ გზას,
 წასულხარ საჯიხვედ,
- 15 დაგლამებია და გამოქვამულში
 დიდი ცეცხლი გაგიჩალებია,
 ჯიხვის მწვადი შეგიწვავს.
 ამ დროს დალი გსტუმრებია.
 —მშვიდობით მომიხველ, თეთრო მანგურ
- 25 ჩემს გამოქვამულში რისთვის მოსულხარ?
 —დამიღამდა და რა მექნა?
 —ცუდად გაგიშვებდი აქედან,
 მაგრამ ასეთი ვაჟკაცი არ მემეტები.
 —აბა, როგორ იქნება ჩემი საქმე?
- 30 ეკითხება მანგური.
 —ასე ვერ გაგიშვებ,
 თუ საყვარლად არ გამიხდები.
 —მე კი სიამოვნებით გაგიხდები საყვარლად,
 მაგრამ ცოლ-შვილის პატრონი ვარ.
- 35 —ცოლ-შვილს ამითი არა დაუშავდება რა,
 ოღონდ ეს ამბავი არსად გაამყდავნო.
 როდესაც დიდი გასაჭირი დაგადგეს,
 მაშინ ჩემი სახელი ახსენე,
 მხარში ამოგიდგები,
- 40 ჯიხვს და არჩეს აარ დაგიძვირებ.
 იმ ღამეს ერთად დაწვენენ,
 ბევრი ისიამტკბილეს;
 მერე დღეს ადგნენ,
 მანგური შინისაკენ მოდის.
- 45 წყეული საეები
 შემოგხვევიან ირგვლივ,
 ისარი და ხანგარი ერთმანეთში აურევიათ.
 დაგიწყეს ბრძოლა.
 „მე თქვენ გასწავლით როგორ უნდა ბრძოლა!“
- 50 უშიშვლებია დაშნა.
 რვა თუ ცხრა მოუქლავს.
 რვა თუ ცხრა მასაც დაჰკრეს.
 მუხლი მოუყრია თეთრ მანგურს:
 „დალო, სადა მყავხარ?
- 55 საეები მკლავენ!“

- გამოვარდნილა ჭიუხიდან
 დალი, მანგურის საყვარელი,
 ხელთ იფნის ტოტი სქერია,
 დარეგია საეებს,
 60 ამბის მიმტანიც არ გაუშვია.
 ფრთა შეახო მანგურს,
 კრილობები მოურჩინა.
 სალად გაუშვა შინ.

24. ბეთგილ

- ბაილ, ბეთგილ საბრალ, ბეთგილ ლეერი!
 ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,
 ბაილ, მგლახ-მგჟალ ინზორალე.
 ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,
 5 ბაილ, ჟავ ხაგენახ ლელტხამ მურგვლს
 ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,
 ბაილ, ამ ხოსკინა თვეთნამ კვიცრას,
 ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,
 ბაილ, ამ ხოსკინა ბეთგიშ ნაბრჰს,
 10 ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,
 ბაილ, ალი ბეთგიშ მისნ ირი!
 ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,
 —ამიშ მეჰემ ძარლალ ირი?
 —ამიშ მეჰემ ბეთგილ ირი.
 15 ბეთგილ ჯაბარჰრს იკარზალე.
 ხეჰმინალე ნაზჰჰრს მიჩა;
 სგეებინ ნაზჰჰრ მგჰჰბ ხერა,
 ლვემგმავ ლახსგი ნაზჰჰრს მიჩა..
 ნაზჰჰარ მიჩა დემეგ თერახ.
 20 ალი ბეთგიშ მისნ ირი.
 სგავ მეჩედლი მეშხამ კოჯთე,
 დალი ფუსდჰშ ლარდათესგა.
 —ხოჩა ლადედ დალი ფუსდას!
 —მაგეჰარ ხოჩა დალედ ჟერი,
 25 ეჯის შია სი ლაჯთონისგ!
 იმლა ხო ღლჰტ პირობს მიშგეჰ?
 მიშგუ ნაჰოდ ჰრშმილდ მ'ადუ?
 —ეჯი ლაყერა თხურმშშ შმსად.

- მაკვერ ლაყვრა თხურმეშ შჳსად,
 30 ეკვერ ლიტხალს მი სო ჳერო?
 ჳალი ფუსდა სგო ლახორფო,
 პეთგილ კოჳას სგო ხასედა:
 ლჳრსგევან შიმშიშ ლაბერგ ლზხსად,
 ლერთან ჳინშიშ ლზგნა ლზხსად.
- 35 ბეთგილ საბრა ბეთგილ ლეჳრი!
 ..ჳგი ლიტხალ მი მეროლე?
 ლაცლას მიგშევა ხონგბავედ:
 „ბეთგილს ჩუ ნომა ხიმდგნელ!“
 დელეს მიშევა ხონგბავედ:
- 40 შირა ნწნაყ ჳეთ ი ჳიმდგვრს
 ლეთ ო ლადელნ მიფანადეს,
 ჳეხვის მიშევა ხონგმბავედ:
 მერმე მიშგევან ნორ ანცხონას!“
 პეთგილ კოჳას ჳეგ შყედენი,
- 50 ჩუჳევან ლაცლა ჳიგ იკვდეს.

ბეთქილი

- ბაილ, საბრალო ბეთქილი, საცოდავო ბეთქილი,
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ბაილ. იკრიბება მულახი და მუჳალი,
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ბაილ, ლენტეხურ ფერხულს უვლიან,
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ბაილ. გამოხტა თეთრი შუნი,
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ბაილ, ლაჳებში გაუჳვრა ბეთქილს,
- 10 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ბაილ, ეგ ბეთქილის მისანი იჳნება!
 ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
 ვინ გაედევნება შუნს?
 ვინ გაედევნება და ბეთქილი!
- 15 ბეთქილი ბანდულეებს იბანდავს,
 მისდევს მის ნაკვალევს;
 შინ კოგად აჩნია მისი ნაკვალევი,
 ეჳან მოხედავ მის ნაკვალევს და
 ნაკვალევი აღარსად ჩანს.
- 20 ეს ბეთქილის შერა იჳნება.

- მიადგნენ შავ კლდეს
 დალის საბრძანებელს
 —გამარჯვება!
 —როგორ გამარჯვებულსაც გაგიშვებ,
 25 ამას ახლავე დაგანახებ.
 რად უღალატე ჩემს პირობას?
 ჩემი ნაჩუქარი მძივი რა უყავ?
 —სასთუმალქვეშ დამრჩა.
 —როგორც შენ ის სასთუმალქვეშ დავრჩა,
 30 ისე დაგაბრუნებ უკან!
 თვალს მიეფარა.
 ბეთქილი კლდეზე შერჩა:
 მარჯვენა ხელის მოსაკიდი
 მარცხენა ფეხის დასადგამი.
 35 საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი!
 „მე უკან ვეღარ დავბრუნდები.
 ჩემს ტოლებს უთხარით,
 „ნუ დაივიწყებთ-თქო ბეთქილს“
 დედაჩემს უთხარით,
 40 თავის გამოცხოვბილ ხაჭაპურსა და ჭიშღვარს
 საკურთხად მიდგამდეს დღისითა და ღამით.
 ჩემს ცოლს უთხარით,
 სხვაზე არ გამცვალოს“.
 ბეთქილი გადმოვარდა კლდიდან,
 45 ძირს ტოლებმა აიღეს მისი გვამი.

25. მეთხვიარ ჩორლანი

- მეთხვეპრ ჩორლანა იზელალე
 აშ ხოცხიპა მგლან-მუჟალ,
 აფხნეგ-მარე დეშ(ხ)ათხენა;
 ვეშგინ საყლანაჟე ჟიქემა,
 5 კუთხვა ისგუ ბარჯას ჟიდა,
 ლეზიზდ ლანხა სემი ქუთუულდ.
 ვოდ ჟიბინა ლიზ-ლიჩედი,
 ჩხარა კოჯას ქა მეჩღეხი,
 ჭიშხი ნაგჰს დეშმა ხაწღა,
 10 მეშღამ კოჯთე ქა მეჩღეხი.
 სგა ჟისგდინა სგაშმიშ ტვიბთე:

- ღვაშლ იაერსკანდ უი გვეში ლი.
 კუთხვა ისგუ ბარჯს ჭიკიდა,
 ვოდ ჭიბინა ლიპავეჯი,
- 15 აშირ აერვეშლ ჩუ ჭიდგარა,
 ღვაშ ი აერსკან მშგ ღვჩგვად.
 ეშხუ მუყეჩხი დაკლიდ ეჯსად,
 იკეჩხიალე, იცვდილალე,
 ქა ხოჰელა დალშ კოჯთე,
- 20 სგა ხაგენა დალაშ ქვაბას.
 დალარ ქმთეუე ხაშგდახ,
 ამბაე ოთჰანდ მევარ მასდიკ:
 „ღვაშ ი აერსკან მშგ ოხხეიტა
 ეჯ ზისხორაჲ ჩორლწილას!“
- 25 ქაე ხაშგდახ დალშ ლაშგვარ,—
 ჩორლა ღვაშარს ქურ ხატფურე,—
 უი ლაჯკულოხნეხ მეგჰა-მეგჰად,
 უიე ხორეკა ხოშამ კოჯად
 მგრთენ მექარშე, მგრთენ სკელიშე.
- 30 ეჩრუნ ჩობლწიშ ლილკაფდელე
 მელგიმ ბაჩას ქიმს ლახგენა,
 საყლანდ ეჩრუ ლიწგრწკუნი
 ცხეკიშ ბალა ავრენდინა.
 „ატ, ხოლა მიშგუ საყლაე,
- 35 ადერ სი მიშგვა ლახვბათე:
 თვეფ ი ჰავეჯ ნომა ატურახ,
 ჭიჯვი მიშგუ ქორდ აღიახ!“
 ვოდ ხობინა ლიზ-ლიჩედი,
 ჩხარამ კოჯას ქა მეჩდელი,
- 40 ლიწგრწკუნი მამ ხოქვიცა.
 ქორანშ ფედითეე მეჩდეხი,
 ლწსგიდ ლაჯად მურყევაბათე:
 ლწხსგი, მურსგვენდ მეჩი მარ'ანღრა,
 სგავ ჯწხვია სგოხინისგა.
- 45 —საყლანდ მიშგუ, იმთ'ესღრი?
 ფუსვდა ისგუ იმე ჭირი?
 — ფუსვდა მიშგუ იმე მირი,
 სოშამ კოჯუი მეგჰად ხორიკი
 —საყლანდ მიშგუ, ნომ ჯაყლუნი,
- 50 მიზეზ ეჩის დალარ ირახ,

- დაღვრ მიშგვა შენ ჩუქვან ვრიხ!
 საყლმა სგობინ, ჯგვრვ ვეშგინ,
 სგა ხოჰეჰახ დაღვშ კოჯთე.
 ეშხუ დალა შდაშე ვრი.
- 55 მეძავობას ხაბარაღიხ:
 ჩორღანიში ლილატეს.
 სგა მეჩღელის ამთეისგა,
 დალა ლჰმშშ ქემრასლს შიდე.
 ჯგვრვგ ალას ჰა ლახჰვედლა:
- 60 დაღვრს მაშენე მმა აყალვე?
 მმა აყალვე, მეძვე ზურალჰ ჰიშხ ნაგამეი.
 ლეჰემარემიშ ამავე ლიჯდე
 ალას ლახე ჰა ხჰჰეინენე,
 ჩორღამს ამავე ჰა ვგეჰიდეხ.
- 65 ჯგვრვგ თხმულ დიღვრთ' ადრინე,
 სგა ლახჩღდლა დაღვშ ლაშგვარს!
 სგამ დაღვარე, იმ ხაჩმჰვენედ
 ლერთჰ მოღვტ ჩორღანიღას?
 აედ ჰიღვხონდედ, ჰა ჰიფიშვედახ,
- 70 ჰე მოდეი ნალკეიჰს ჰიდი:
 მეძვე ზურალჰ ჰიშხ ნაგამეი
 ჰიშხიშ მეგემს ამავე ჰიჯდე,
 ჰე მოდეი ჩორღამა ვმფიშვედლ!
 ფუსგდა ნიშგვეა, იმ ნაჩვენჰენე?
- 75 ეშხუ მღკეჩიხი დაღვლედ ენჯვირ.
 ეჯ მეთხეიწარ ჩორღანიღადი
 ნასგოჯს ისგვა დეშ ხრზიდ ნამ
 ჰა ნიტიხენს ჩორღამისგოვი
 ჰა მეჩღელის ლავშვედღურათე.
- 80 ჩორღანი ჩუქვენთევე ჰიყახ,
 მღვრსგვენ ბარჯა ჰავ ჰიყეიჩახ:
 „მღკეჩიხი დაღვლიდს დემ ვნდაგრი!“
 — ჩორღამა მიშგუ, ლეაშგლდ ლახხიჯვი
 — ლეაშგლდ დემეი, ბარჯ მეყეჩე მარ.
- 85 — ჩორღამა, ეში თხეიმ ათკუჰირი
 ჩორღამად ამჩუ თხეიმ ადკუჰურე.
 ლეაშგლდ ლამჯევე მევარ მენასღ:

- ბარჯგლდ ხოსტგრფილგდ ხერა.
ვოდ ჯიბინახ ლიზ-ლიჩედი,
- 90 თვეთნა კოჯას ქა მეჩღელხიშდ,
ვოდ მექდელი უჩხა-სკარხალ.
„ჩორლმა მიშგუ ვეშდ დო ხისგდი!“
ჩორლმა ვეშდ ისგდინი.
- 95 ატ, საბრელა დალშეშ ლაშგარ
ჩვალს ი ნალერევეს ჭურ ესლვენდად!
ეშხუ დალა სგვეზნავ იპერ,
ნაბაჯევი ქორაშ ლაგენს კვეფხნი,
კოტოლ ხანგნდ სგავ ხეპოლი.
—ჯგერაგ ფუსვდა, ქა მასარეინ,
- 100 ალას მიშგოვ ხოჩა ხოყრა,
ხვა მგცხუვარ ჩუ ხოტბიდა,
ხვა მშიდარ ჩუ ხობიზა,
ჯეჯრალე, ფუსდა მიშგუ.
აღ დალე ნომა ალყიმაღ!
- 105 —ჩორლმა მიშგუ, დემ ალყიმიდ,
იმვა ადგენ, ეჩე ადგენს,
ნებერწყე ისგვეა მილიონუ ლი!
ვოდ ჯიბინახ ლიზ-ლიჩედი.
ქორაშ ფედაღუვ მეჩღელხიშდ,
- 110 გჯერაგ ფუსვდად ჩორლმას ხაქვე:
—ჩორლმა მიშგუ, მადე მიტიბ:
ჩვაბეში ქვეყანათე
თვეთნე მულევა ალსგვეჯელი.
ეშხუ ზურალ ეჩე მიცხ:
- 115 ხამვა სი, მიშგუ ჩორლმა,
ჯვიდ-საკმეველ ხვა ხოტუსა,
ეშხუ ჭყინტგლდ ერის ხორი,
სგვებინ აჩანდ მეშხე ქაჯარ
ქვინი ლადასგდ მინე ფუსვდთე;
- 120 ლანდი მუჯულდ ლამაგან ყორს,
ქემარალს შიდა ათუ—ათუდ:
„ჯგერაგ ფუსვდა, ლექვან ონღვრი:
ქაჯარ ჭყინტგლდს ქვინგლდს ხებშიხ!“
მუჯულდ შიშ(დ)მი ვეშდ მიტიხა:
- 125 „ზურალს ხეჟა მიშგვან იმედ:

- ქვინტას ისგვა ჟი ლწჷსელი!“
 ქაჯარს ბერჯნ მადრანს ხენძლე,
 ათხე, ჩორლმა, ეჩხავ ხეჷპალ:
 სი მმა ჯაკუ, მიშგუ ჩორლმა:
 130 ნაგზაისგა ნეცინ ჟერსკან
 ვიხედ და უტკლზბდ,
 ჰა ლადელისგა ღვაშნ თხვიმი?
 — ფუსედა მიშგუ, ნომა პმცვიდ:
 ლადელისგა ღვაშნ თხვიმი!
 135 ამჩუ აღაპრ ჩუ იყლურზლნ:
 ჯგვრბ ლეჷვა ჩქაბეშ ჳევთე,
 ჩორლნი სგაჟ ქორთე მიჩა.
 ამჩუ ჩორლმას ზურალ ესხვიდ,
 ზურალ ესხვიდ მევარ მეძვე.
 140 სგევიბინ ლახხვიდ კოჯნ დალას,
 კოჯნ დალას ქვინ ხაჩედა.
 „სი მეძვე ხეხვა მიშგუ,
 დო ჳიცხანდა ლჯაარ ლირდე!“
 ჩორლმას ამჩუ ქვინ ხაჩედა.

მონადირე ჩორლა

- ქარდაქარ დადის ჩორლა მონადირე,
 შემოუელია მულახი და მუჷალი,
 თანამგზავრი ვერსად იშოვა.
 უკან გაიყოლა თავისი საყლა,
 5 მხარზე გაიდო კუთხვა-თოფი,
 საგზლად წაილო სამი ხაჷპპური,
 გაუდგა გზას.
 ცხრა კლდე ისე გადაიარა,
 ნადირის კვალს ვერსად წააწყდა.
 10 ავიდა მეათე კლდეზე,
 შიდა ხევეში გადაიხედა,
 ხევი ჳიხვითა და არჩვით იყო სავსე.
 გადმოილო თავისი კუთხვა,
 სასროლად მოემზადა.
 15 ას ოცი მოკლა —
 ჳიხვი და არჩვი.

- მხოლოდ ერთი კოქლი თხა გადაურჩა.
 რის კოქლობითა და ცოდვილობით
 დალის კლდემდე მიულწევია თხას,
 20 მისდგომია დალის გამოქვაბულს.
 ფარეთ გამოცვივდნენ დალები.
 მეტად საწყენი ამბავი მოუვიდათ:
 „სულ გაუწყვეტია ჯიხვი და არჩვი
 სისხლისმღვრელ ჩორლას“.
- 25 დაეხვია დალების ლაშქარი,—
 ჩორლა ჯიხვებს ატყავებს, —
 მაგრად შეკრუს,
 მაღალ კლდეზე დაკიდეს
 მარცხენა მკლავითა და მარჯვენა წვივით.
- 30 ჩორლას გოდება
 ქვასაც კი ცრემლს დაადენდა,
 საყლას წკმუტუნნი
 ტყის ფოთოლსაც კი ჟრჟოლას მოგვრიდა.
 „აბა შენ იცი, ჩემო საყლა,
 35 ჩემს ძმებთან მიდი.
 თო-იარაღი არ დაკარგონ,
 ჩემი ძელები შინ წაიღონ!“
 გაუდგა ფზას საყლა,
 ცხრა კლდე ისე გადაიარა,
 40 ყმული არ შეუწყვეტია.
 სახლს რომ მიუახლოვდა,
 გაიხედა კოშკისაკენ,
 მარჯენივ მისკენ მომავალი ბერი კაცი დაინახა.
 შემოხვდა ბერიკაცი წინ:
- 45 —სად მიხვალ, ჩემო საყლა?
 პატრონი სადა გყავს?
 —პატრონი სადა მყავს და
 დიდ კლდეზეა მაგრად დაკიდებულნი.
 —ნუ გეშინია, ჩემო საყლა,
- 50 ამას დალები იზამდნენ.
 დალები კი მე მმორჩილებენ.
 წინ საყლა, უკან წმ. გიორგი.
 მიადგენ დალის კლდეს.
 აქ ერთი დალი განმარტობებულა,
 55 მეძაობას აბრალებენ,

- აბრალებენ ჩორლას სიყვარულს!
 მივიდნენ ახლოს.
 დალი, ცხარე ცრემლსა ღერის.
 ჰკითხა წმ. გიორგიმ:
- 60 — ყველაზე მეტად რისა ეშინიათ დალებს?
 — რისა ეშინიათ და მეძავი ქალის ნაფეხურზე
 მამაკაცის მოყვანისა.
 ამას თუ ეტყვი,
 წამსვე აქ მოგგერიან ჩორლას.
- 65 წმ. გიორგი თვითონ მივიდა დალებთან?
 შეერია დალების ლაშქარს:
 — რას ერჩით დალებო,
 ღვთისმშობსაე ჩორლას?
 ან ახსენით,
- 70 ანდა ასეთი არჩევანი მომიცია:
 მეძავ ქალის ნაფეხურზე
 ფეხის დამღმელს მოგიყვანთ აქ,
 თუ არა და ჩორლა ახსენით!
 — რას გვერჩი, უფალო ჩვენო?
- 75 მხოლოდ ერთი კოჭლი თხა დაგვიტოვა
 ჩორლა მონადირემ!
 მაგრამ შენს ბრძანებას ვერ გადაუვალთ,
 დაბლა ჩამოუშვეს,
 ოღონდ მარჯვენა მხარი მოსტეხეს:
- 80 „კოჭლ თხას ველარ მოგვიკლავს!“
 — ჩემო ჩორლა, ჯიხვი მოიკიდე!
 — ჯიხვს ვერ მოვიკიდებ, მხარი მაქვს მოტეხილი,
 — ჩორლა, მაინც სცადე!
 სცადა ჩორლამ,
- 85 იოლად მოიკიდა ჯიხვი:
 მხარი სრულებით განეკურნა.
 გაუდგნენ გზას.
 თეთრი კლდე რომ გადაიარეს,
 წვიმა და სეტყვა წამოვიდა.
- 90 „ჩემო ჩორლა, უკან მიიხედე!“
 მიიხედა ჩორლამ და რას ხედავს:
 საბრალო დალების ლაშქარი
 შეწყერსა და ნიაღვარს მიაქვს!
 ერთი დალი წინ მიფრინავს,

- 95 ყოველ ნაბიჯზე სახლის სიმაღლე ნახტომს აკეთებს,
 ცოტაც და წამოეწევა ნიაღვარი.
 —უფალო წმ. გიორგი,
 ამას ჩემთვის ბევრი სიკეთე უქნია,
 ხშირად გათოშილი გავუთბივარ,
 100 ხშირად მშიერი დავუპკრებივარ.
 გევედრები, უფალო ჩემო,
 ამ დალს ნუ დავახჩობთ.
 —კარგი, ჩემო ჩორლა, არ დავახჩობთ,
 საცა შენ მოკვდე, ეგეც იქ მოკვდეს.
- 105 მილიონამდე გამრავლდეს თქვენი მოდგმა!
 გაუდგნენ გზას.
 სახლს რომ მიუახლოვდნენ,
 უთხრა უფალმა წმ. გიორგიმ ჩორლას.
 —ჩემო ჩორლა, ახლა არ მცალია.
- 110 ქვედა ქვეყანაში
 თეთრი ყვავილი მობრძანებულა.
 იქ ერთი ქალი მეგულება:
 მასაც შენსავით, ჩემო ჩორლა,
 მრავალი სანთელ-საკმეველი უკმევეა,
 115 მას ერთ ივავი ჰყავს.
 ყველაზე უწინ შავი ქაჯები მივიდნენ.
 რომ მისი სული თავიანთ მეუფეს წაუღონ,
 დღეს მტრედი მომადგა კარს,
 ცხელი ცრემლი სდიოდა:
- 120 —უფალო წმ. გიორგი ქვემოდან მოვდივარ,
 ქაჯები სულსა ხლიან ბიჭუნას!
 მტრედი მაშინვე გავაბრუნე:
 „ქალს უთხარი, ნურაფრისა ეშინია,
 მის ვაჟს არაფერი დაუშავდება“.
- 125 ქაჯებს რკინის მათრახს დავკრავ,
 ახლა, ჩემო ჩორლა, იქით მივიჩქარო!
 შენ რა გსურს ჩემო ჩორლა?
 ყოველ კვირა წვრილი არჩვი
 უხვად და დაუნანებლად,
 130 თუ დღეში თითო ჯიხვი?
 —უფალო ჩემო, ნუ შემრისხავ:
 დღეში თითო ჯიხვი მირჩევნია.
 ფაიყარნენ და ორივე თავისი გზით წავიდა.

- ჩორლა შინისაყენ.
- 315 აქ ჩორლას ქალი დაუხვდა,
ქალი დაუხვა მეძავზე მეძავუ.
გაეგება კლდის დალს,
კლდის დალს სული ამოხდოჰია.
„შე მეძავო, ცოლო ჩემო,
140 რად არ გერჩია ცოცხლად ყოფნა!“
ჩორლასაც სული ამოხდომია.

26. კელსამძიმარი

მე ვარ კელსამძიმარიო,
მე ვარ ქაჯისა ქალიო,
ვაყიერებ ჩემ ღილ-ქამარსაო,
ოქროს თმიანი და ოქროს ქოშებიანიო.

27. სამძივარას ნათქვამი

- მაშინ ძლივ მქონდა შაძლებაიო,
ვიარებოდი ქალივითაო,
ნოჭიანი ჩაეცივიდიო,
ქოქომონ გაეაბრიალნიდიო.
- 5 შუათ ელენა ვეგონიდიო, —
გოგოთურაის მაყვარეიო.
აბულეთაურთ ციხეშიაო.
მედგეს ლოგინნი ჩარდახშიაო,
აბულეთაურთ ხოლიგამაო,
- 10 ქალი საცოლედ მამინდომაო.
იმ ჩემსა გამონაფრინდობსაო
იქავ აჩნიან ნაკოჭარნიო.
პურ-სატან მამჩნეს ღელეშიაო,
ქელის საპონი წყაროშიაო,
- 15 მომხყებოდ შანაცოდრობითაო.

28. სამძივარა

ამაში მქონდა შაძლებაიო,
ქაჯავეთ ვიარებოდიდიო,
აბულეთაურთ ხოლიგასაო

საცოლედ ვეწონებოდნო,
5 ჯუათ ელენე ვეგონდო.

* * *

კმელეთზე ვიარებოდნო,
სალაღბელნი დავაცხენდო,
სამყანა თითი ჩავადგინდო.
აბულეთაურთ იმედასაო
10 ქალი საცოლედ მავსწონდო.

* * *

აბულეთაურთ ციხეჩიო,
მედგის ლოგინი ჩარდახჩიო,
აბულეთაურთ იმედამო,
ცოლად წაყვანა მამინდომო.
15 გამაუფრინდი აიქითაო.
იქავ აჩნიან ნაკოქარნო.

მაში ძლივ მქონდა შადღებაიო,
ვიარებოდი ქალივეითაო,
ყურზე საყურსა ვიდებდინო,
20 ქოქომოიანს ვიცომდინო.
აბულეთაურთ ციხეშიაო,
მედგის ლოგინი ჩარდახშიაო.
აბულეთაურთ ხოლიგამო,
ქალი საცოლედ მამინდომო.
25 ამ ჩემსა გამანაფრინდომსაო,
ისევ აჩნიან ნაკოქარნო.

ამაში მქონდა შადღებაიო,
ქაჯავეთ ვიარებოდნო,
მეშრა ქალადა მავიქციდნო,
30 საცერსა, ვარცლსა, ჩაუჯდინო.
ფერაულიძეს ფშაველასაო
საცოლედ ვეწონებოდნო,
გოგოთურაის მწუნობარო
შუათ ელენე ვეგონდო.

35 აბულეთაურთ ციხეშიაო,
ქალურა ჩამაუარდნო,
მეგრელაურსა გახუასაო,

საცოლედ ვეწონებოდნო,
დავიგრუნინდი თავმანდელნო,
- 40 სალალებენ თაო დავარცხენინდო.

* * *

კერხო-კალოთა ამავეკდინდო,
ქალი ქალურას მავირთინდო,
ქალის ფაფანაგ ჩავიცვინდო,
დავიგრუნინდი თავმანდელნო.
45 ამირათ ქალი ვეგონინდო,
საცოლედ ვეწონებოდნო.

ზეპირად ვიარებოდნო,
სალალობელნი თაო ვქინდნო,
ზელილის გული ჩაუღვინდო.
50 აბულეთაურთ ხოლიგასაო
საცოლედ ვეწონებოდნო.

აბულეთაურთ ხოლიგასაო
საცოლედ ვეწონებოდნო,
ჩუათ კმარა რო ვეგონინდო.
55 გოგოთურა კი შავიცოდვეო,
ჩაუწვინდო, ჩაუქერინდი საჯიგვენო.

ამაში მქონდა შაძლებაიო,
კმელეთზე ვიარებოდნო,
ქიმა-ლახტარას ვზინდევდინდო,
60 ამაში მქონდა შაძლებაიო.
აბულეთაურთ საღირასაო
ქალი საცოლედ მავსწონდინდო,
ჩავეხვივინდი, ჩაუწვინდო,
ძუძუ-მკერდს გამავხვივინდო.
65 ქაჯავეთ ვიარებოდნო,
ნახირს აიქით ვადენდინდო.

29. ნადირთ პატრონი

(ოჩოპინტრა)

ოჩოპინტრა ბედნიერო,
ოჩოპინტრა მშვენნიერო,

მოგვეც შენი მოწყობილება —
შენი ნამწყემსური ნადირი.

30. ლაზარე—წვიმის მომხვანი

ახ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა!
ცხავი აცხავებულა,
5 წვიმა გაჩქარებულა!
ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
აღარ გვინდა მზის თვალი!
ღმერთო, მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი!

31. ლაზარე

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ცას ღრუბელი აშალე,
ჩვენ დაგიკლამთ ციკანსა,
შენ მოგვიყვან წვიმასა!

32. ლაზარე—ღარის მომცემი

ახ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა!
ცხავი აცხავებულა
5 ღარი აჩქარებულა!

ახ, ლაზარე, ლაზარე!
ცას ღრუბლები აპყარე!
აღარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვე მზის თვალი!
10 აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო მოგვე გორახი!

33. ელია

ახ, ელია, ელია,
ღრუბლებქვეშა მღერია,
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა,
შენ მოგვიყვან წვიმასა.

34. ეს ელია, ელია

ეს ელია, ელია,
ციდან ჩამოსულია,
ჩვენ დაეუკლავთ ციკანსა,
ის მოიყვანს წვიმასა!
5 აღარ გვინდა გორახი,
ახლა მოგვე ტალახი.

35. ა, ელია, ელია

ა, ელია, ელია,
შენთვის რა მიწყენია,
ერთი თხა და ციკანი
შენთვის მომირთმევეია.
5 აღარ გვინდა გორახი,
ღმერთო მოგვეც ტალახი!

36. ელიაო, მელიაო

ელიაო, მელიაო,
რაზე მოგიწყენიაო.
აღარ გვინდა გორახიო,
ჩვენ დაგიკლამთ ციკანსაო,
5 შენ მოგვიყვან წვიმასაო.
ცხავი აცხავებულაო,
წვიმა გაჩქარებულაო.

37. ელია

ნახე რა ქნა ელიამა,
რა საქმე მოიქმედაო:
თვითონ წინ წაბრძანდებაო,

- ხოვლელები სულ აიკლო,
5 წირქოლს დაიდო ბინაო.
წირქოლელები ჩივიან:
რა ძაან წაგვახდინაო.
ორიოდე კვირის სარჩო,
ვერ შევიტანეთ შინაო.
- 10 ელიამ წამოიძახა:
—უნდა წავიდე წინაო.
მივიდა კვირა-ცხოველთან
დაჯდა და მოილხინაო.
გადმოხედა ხურვალეთსა,
15 ნახე რა ამბაეიაო.
აღარ არის წირვა-ლოცვა,
აღარც კვირა-უქმეაო.
ვისაც კი ერთი ხარი ჰყავს
კვირა-უქმით უბიაო,
- 20 მაშინვე კაცი გაგზავნა,
დაიბარა ზენა ქარი:
მანდედან რო წამოხვიდე,
წამოიღე ქარიშხალი,
სულ მუშტის ტოლა ისროლე
- 25 .სამი-ოთხის წირვის ხანი.
ბანები სულ გადალესე,
აღარ ჩანდეს ერდო-კარი,
ჯამ-ქურქელი ააცურე,
როგორც გამართული ნავი;
- 30 ქალები აღრიაღე,
როგორც ბატკნიანი ცხვარი,
ხურვალელა აადიდე,
როგორც ერისთავის ქსანი.
ტირიფონაში წაიღო
- 35 მამაცაანთ დიდი ზვარი,
ამ ელიამ ამომყარა
როსტომელას კიტრის ჯავრი,
ვინცა თხოვა, უფიცავდა,
ერთი მასრა არსად არი!

38. გონჯაობა

გონჯა მოდგა კარებსაო,
აყვრიალებს თვალებსაო.
ღმერთო, წვიმა მოიყვანე,
მოუხდება ყანებსაო!

39. გონჯა

გონჯას წყალი შემოვასხი,
ვარდო-მანანასა!
ღმერთო, წვიმა მეიყვანე,
ვარდო-მანანასა!

40. გონჯოს ლექსი

- გონჯო მოდგა კარებსა,
აბრიალებს თვალებსა.
ღვინო გონჯოს არა ქონდა,
მიდის და თხოვს კაცებსა.
- 5 ღვინო გონჯოს არა მისცა,
ხელი ჩაკრა ხალამსა, —
ღმერთი მისცემს ბარაქსა.
თინო, თათუნა,
შენ რას აძლევ გონჯოსა?
- 10 ღორს წველიან მაკესა,
აღუღებენ ფაფასა.
ნუ მომიკვდეს გონიერი,
არა მქონდეს მარილი!

41. გონჯა მოდგა

- გონჯა მოდგა კარებსაო,
აყვრიალებს თვალებსაო.
რილასა და ცხრილასა,
ღმერთი მოგვცემს წვიმასა,
- 5 გაგვიკეთებს ყანებსაო,
სიმინდსა და მჭადებსაო.

42. ბურო იარე, იარე

ბურო იარე, იარე.

ცხრა მთას იქით გადიარე.

შენი ცოლი ორსულია, ორგულია,

სამი შვილი ყოლებია:

- 5 ერთი ბრუცი, ერთი კოჭლი,
ერთი ყველას ჯობნებია.
მალე მიხვალ—მოგიჩეზა,
გვიან მიხვალ—მოგიკვდება.

43. მეროლაშ ლავთვა

ერე-მერე დეცე მერე,

ღურღურღურღურ ბალა ხანგარ,

ზეთი, ზეთი სკანხალა.

ივან ყელე, ზაგარ ყელე.

- 5 ისგუ ჩაეე ბოგჩუ ხოწიბ,
მაგ ესლრი, სი იმლა დემ ღერი?

ღრუბლის ბასაქრობი

ღრუბელო, ცის ღრუბელო,

ღურღურღურღურ ბალის ხანგარი.

ზეთი, ზეთი სუფთა,

ივანე იძახის, ბორცვით იძახის.

- 5 შენი სიძე ხიდზე ჰკიღია,
ყველა მიღის, შენ რად არ მიღიხარ?

44. ოროველი

ორეველ,

ორმო ჩათხარე ქვიანი,

მოგვეც ბარაქაო!

45. ოროველ, მოდი კალოსა

ორეველ, მოდი კალოსა,

არავინ მოგიპაროსა,

არავინ შეგსევას, შეგჭამოს,

არავინ წაგიყვანოსა!


46. პირველად ღმერთი ვახსენოთ

პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
დიდება იმის სახელსა,
ის უფრო მართებულია.

- 5 ოროველ, იჰო, ჰოოო!
დიდება ღმერთსა.
ღმერთი მოგვიმართავს ხელსა.
ოროველ, იჰო, ჰოოო.

47. აბუნა

აგუნა, აგუნა, გამეიარეო,
ბახვი, ასკანა, გადმეიარეო,
ჩვენს სოფელში ყურძენიო,
მტრის მამულში ფურცელიო.
ჩვენს მამულში გოდრითაო,
მტრის მამულში გიდლითაო.
აგუნა, აგუნა, ვიიიო.
ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრეშუმი,
მტრის ქალებს
ტარი და კვირისთავი.



ლაშარი, ბადურნი, თერგვაული,
კონალა, იახსარი, ზირქუში,
ლომისი, ფიწალე, ადგილის დედა,
გიორგი

48. ლაშარელაის ლურჯასა

ლაშარელაის ლურჯასა
ფაფარი ჰსხავის ვიშლისა;
შაჯღება, გაემართება,
ყოტორ გაჰყვება ნისლისა;

5 თავის ყმათ მიეშველება,
ხან რო არ იყოს მისვლისა.

49. ლაშარის ჯვარი ჯავრობდა

ლაშარის ჯვარი ჯავრობდა,
იმუქრებოდა მჯილითა,
მერე წავიდა, იჩივლა
ღვთის კარზე თავის პირითა:

5 —ხმელს გორზედ მდგა ბერმუხა
შემკული ოქროს შიბითა,
ძალით ვერავინ იძალა,
ვერცა ხმლით, ვერცა ტყვიითა,

- წყეულმა აფციაურმა
 10 მომირწყო ციცას სისხლითა,
 სულძაღლმა ერისთვისშვილმა
 გადმამიბრუნა ძირითა...
 იმათი მოდგმა დადლიე
 უფალო, შავი ჭირითა,
 15 ბერმუხის ძალას გადაყვენ
 შვილით და შვილიშვილითა]

50. დღესამ დღეობა ვისია

- დღესამ დღეობა ვისია?—
 წმინდისა გიორგისია.
 ჯვარ-ჯვარის დროშა ვისია?
 წმინდისა გიორგისია.
 5 გიორგი გალავანზედა
 უსართყლო იარებოდა,
 გიორგის გადმონავალზე
 ხე ალვად ამოდიოდა,
 მაგის შემცოდე ქალ-ვაჟი
 10 უდროოდ დაშავდებოდა.

51. ჩვენის ბატონის კარზედა

- ჩვენის ბატონის კარზედა
 ხე ალვად ამასულაო,
 წვერად მაუსხამ ყურძენი,
 საჭმელად ჩამასულაო,
 5 მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი
 უდროოდ დაშაულაო.

52. ჟრუია ხანმატის ჯვარი

- ჟრუია ხანმატის ჯვარი,
 გიორგის არ მისდისაო.
 კობალას კარატიონსა
 ლახტი აქვს მომარჯვებული.
 5 სახმთოსა გუდანის ჯვარსა
 საყმოჲ ხყავ გამრავლებული.

..ა 53. საჩალის წმ. გიორგი

ძალი, შაძლება მაშინ მქონდაო,
ჩლიქმირგვალნ ზღვნად მამიდიოდაო!

54. ქაჯავეთ რად იარები

—ქაჯავეთ რად იარები,
გიორგივ, მგელთა ფერაო.
—ვალი მიკიდავ, ვალსა ესთხოვ,
რას მკითხავ ქრისტის დედაო.

- 5 სინას შქედს ქაჯთა მქედელი,
მივასწრევ წურვაზედაო:
ქურთემულ მაუგლეჯივ,
ცხენი შავაგდი ზედაო;
ქაჯთა მქედელმა კელ-კვერი
- 10 ცხენს მიცა ბეჭებზედაო.

55—58. გიორგი ნუ ბიძცვივი

ქაჯავეთ რად იარები,
გიორგი მგლისაფერაო?
—ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ ქრისტის დედაო.

- 5 ცომს ზელდა ქაჯის ბებერი,
მივასწერ ცხოზაზედაო.
სინას სქედდ ქაჯის მქედელი,
მივასწერ წნობაზედაო.
სამქედლოს გადაუხენა,
- 10 ნისლები დაბადულაო.
მქედელი, მემქედურები
ცისაკე გამართულაო, —
გრდემლსა, კელკვერსა, მარწუხსა.
გვერდი ცალ-ცალი სკდებაო.
- 15 მათრაზის წვერი მაუკარ,
ცხენი შავაგდი ზენაო.
—გიორგივ, ნუ გაიქცევი,
სამძიმარ მოგდევ კელაო.
— გიორგი არ გაიქცევის,
- 20 ტანთ კაბა აქვის ჭრელაო.

- ქაჯეთის ბრძოლას აპირობს
 კაკმატელი გიორგიო.
 აწია გამარჯვებულმა
 ხატმა ანგელოზთ ჯარიო.
- 5 გახუა მეგრელაური,
 გიოგი მგზავრის ბერიო,
 ბუზ-ბულიადა აქცივა,
 გაგზავნა წინამძღვარიო.
- 10 აღგეს, წავიდეს ხთიშვილნი,
 —კოპალა სადღა არიო? —
 აღგეს, წავიდეს ხთიშვილნი,
 მოძმეთ უჭირეს მკარიო.
 ქალაქ ვერ ჩადის გიორგი,
 ფინთი ამადის ალიო.
- 15 გატეხეს ქაჯთა ქალაქი,
 დაასხეს ნავთის წყალიო.
 იქ დაეჭირა გიორგის
 სამი ქაჯების ქალიო —
 სამძიმარი და მზექალი,
- 20 მესამე აშექალიო.
 დანათლნა თავის ჯურზედა,
 გვერდით დაისხნა დანიო.
 იქით დაბრუნდეს ხთიშვილნი,
 დაიძრო მთა და ბარიო,
- 25 ზღვა—ხმელთას გამაიარეს,
 დახვიეს ალან—წყალიო.
 თუშებს უბრძანა გიორგიმ
 —მსურს, იყვნეთ ჩემნი ყმანიო.
 იუკადრუეს წოვათა,
- 30 დაადგა დიდი ძალიო.
 შემოსწყრა, თავ მოუწამლა,
 ძროხა უტოცა, ცხვარიო.
 მემრე კაცთ გადაუყენა
 სასჯელი უცნობარიო.
- 35 გაიგეს თუშთაწოვათა,
 ესაა ხატის ძალიო,
 აქათ-იქითად იდიეს,

- საცა დიდი ქონ გზანო.
 მავიდა გამარჯვებული
 40 გიორგი ნამაშვრალიო,
 შავიდა და მაიტანა,
 რაც თვითონ ხქონდა ძალიო.
 თქვენც გამარჯვებით, ჩემ ძმანო,
 ზოგი რამ თქვენთაც არიო.
 45 მავიდა თავის ნაღვარსა,
 გაანთა დიდი ალიო,
 ამაგის მალექსებელი
 გუღამაყრელთი ქალიო.

60. ლაშარის ჯვარი

- ბერი გიორგი მეც ვიყავ,
 ცას ვეზი ოქროს შიბითა;
 გორაზე მედგა ბერმუხა,
 ზედ ავდიოდი კიბითა.
 5 ჩემს საყმით შამონაზენი
 ღმერთთან ამქონდა იქითა.
 ხელკრულმა ერისთვის შვილმა
 ამამიბრუნა ძირითა.
 10 ჯერ შვილი—შვილით დავლიე,
 მერმე ქალ-ქალიშვილითა.
 უკულმამცა აქვს სახელი
 იმათ მონაგართ ყველათა.

61. ლაშარის ჯვარისა

- დღესამ დღეობა ვისია? —
 წმიდისა გიორგისია.
 ყმათალ უმატე, გიორგი,
 თუ გინდან მოსახელენი.
 5 პურსალ უმატე, გიორგი
 თუ გინდა კოდნი სავსენი
 ცხვარსალ ემატე, გიორგი,
 თუ გინდან რქა-ჯანგიანნი.
 წმინდა გიორგის კარზედა
 10 ხე ალოთ ამოსულიყო,
 ზედა მოსხმია ყურძენი,

საჰმელად მოწეულიყო.
ემე შემცოდებ ქალ-ვაჟებ
უდროთ დაშაულიყო.

- 15 სიმღერას უთხროთ ერთსაო,
შევეხვეწებით ღმერთსაო.
ღმერთო, გვიცოცხლე მესანი,
ვინაც გვახლიან გვერდსაო.
ღამე მღერასა დილა სჯობს,
- 20 დილაი დილაობასა.
ქალ წყალზე დაგვიანდება,
დაბანას კელ-პირისასა,
ვაჟ დარბაზ დაგვიანდება
შესმისა ბარძიშისასა.
- 25 კელში მოსულსა ბარძიშსა
განა კი ყველას სმა უნდა,
პირად მოსულსა სიტყვასა
განა კი ყველას თქმა უნდა!
- 30 გაუმარჯოს, გაუმარჯოს,
გაგიმარჯოთ მომსახურებო,
მრავალჯერ გამსახუროთ
წმინდა გიორგისთვის.
62. ბრძანებდა ლაშარის ჯვარც
ბრძანებდა ლაშარის ჯვარი
—ცას მე ვარ ოქროს შიბითა,
ხმელ-გორში მდგა ბერმუნა,
ზედ დავდიოდი კიბითა.
- 5 ბევრი ეცადა ვაჟკაცი,
ვერვინ დამბედა შიშითა,
რჯულძაღლმა ერისთვიანმა
გადმომიბრუნა ძირითა.
ამოწყდეს ერისთვიანნი
- 10 თავის ქალ-ვაჟიშვილითა.
63. დიდობდა ლაშარის ჯვარც
დიდობდა ლაშარის ჯვარი, —
—ცასა ვკიდივარ შიბითა,
ხმელ გორზე მდგა ბერმუნა,

- ვერვინ დამწონა შიშითა.
 5 ზურაბმა ერისთვის შეიღმა.
 ამამაბრუნა ძირითა.
 გადვიდა გალავანშია
 გაცინებულის პირითა.
10. ღთის კარზე შავიყარენით
 ღთის ნაბადებნი დილითა,
 გამმოგვივიდა ბძანება
 დამბადებელის პირითა:
 —ჯერ ჯალაფობა დალიე,
 მერმე ქალ-ქალიშვილითა,
- 15: თუ კიდევ ვინამ გადაგრჩეს,
 ამოაგდოდე ქირთაჲ

64. ფშაველთა ლაშარის ჯვარი

ფშაველთა ლაშარის ჯვარი
 ნეტა არ დაუბერდაა?
 ამბობენ დაბერებასა,
 ნეტარ არ მაუკვდებაა?!

65. თამარ დედუფალი და ლაშარის ჯვარი

- შვიდი წლის ქალი მობრძანდა
 თამარი დედუფალია,
 ჩიქილა გადაიქნია,
 გადააქანა ზღვანია.
- 5 შუა ზღვას ჩადგა სამანი;
 არ გადმაპცილდეს ცვარიო!
 ლურჯცხენა ყმაწვილ მობძანდა,
 ლალი ლაშარის ჯვარია.
- 10 —ერთურთის პირდაპირ დავდგეთ;
 ვიშსახურნოდეთ ყმანო!
 შიბი გაუდვაე ხიდადა
 იმაზე გასავალია!

66. პირაშუში მკეთილი ხაჭინისაო

ბზანებდა ლაშარელაი,
 ხელმწიფე მშავლებისაო:
 ვემღური დამბადებელსა—

- ნება არ მომცა ცდისაო.
- 5 ხთის კარზედ შევიყარენით
 ხთის შვილნი ყველა მტრისაო.
 გაგვიგვიანდა პირქუში
 მკეთეი ყაწიმისაო.
- 10 მემრე მოვიდა მტირალი,
 ცრემლით იბანდა პირსაო.
 —რა ამბავია, პირქუშო,
 რათ მოხველ ტირილითაო?
 —რა გაუჭირდა ჩემ ყმასა,
 ვერ უმქარვებდი ჭირსაო.
 ბარს ჩაველ ყმათ გულისადა,
- 15 სიო გავწირე მთისაო.
 ველოდებოდი უფალსა
 ძმა—ბადლი იყო ხთისაო.
 მერე მოვიდა უფალი
 დიდისა სუფევეითაო.
- 20 შემოეხვია პირქუში,
 ტალივით ცრემლებს ღვრისაო.
 —რად არ ინებე, უფალო,
 სიცოცხლე ჩემის ყმისაო.
 ბნელაში არ მემეტება,
- 25 აღარც სინათლე ჩინსაო.
 ბაგენ დაუძრნა უფალმა,
 ხედავს ოქროსა პირსაო,
 სულეთით დაუბავება
 ხთისოს ბერიძის შვილსაო.
- 30 მე კი აქა ვარ, ჯალაფნო,
 არ მეძახითა შვილსაო.
 წამოველ ნადირობადა
 მავ საკანაფის ძირსაო.
 მამამ მიშალა, ნუ წახოლ,
- 35 ამინდ არა გაქვს დღისაო.
 —გამიშვი, ჩემო მამაო,
 რა კარგებ სიზმრებს ვსინჯაო.
 ხეალ კი მოგივალ მალედა,
 ხან იყვეს შუა დღისაო.
- 40 მა რო მე მექმნა მოსვლაი
 ეგეთიმც თქვენი მტრისაო.

გზაში შემომხვედა სიკვდილი,
შემომეყარა პირსაო.

—შენ ხარა აის ხთისოი,

- 45 სილალე დედ-მამისაო?
დღესიდგეს ველარ მიუხვალ
შინ ჯალაფთ მშვიდობითაო.
ბევრა ვეხვეწე სიკვდილსა,
ვევედრე წყალობითაო.
- 50 ქრთამით გადმიშვი, ოხერო,
ერთი ორ-სამი დღითაო.
მინდა რომ კიდევ ვეჩვენა
დედ-მამათ სიცილითაო.

67. ამბობდა გუდანის ჯვარი

ამბობდა გუდანის ჯვარი:
დიდი ვარ, როგორ ყენი,
საპირიქითოდ მგულავის,
რა გამავიდას მთა-ველი.

- 5 ვაცი და ვერძი დასუქდას,
ბატკანს ზედ ესხას კრაველი.

68. გუდანის ჯვარი

ქადაგობს გაიდაური:
ბრძანებს გუდანის ჯვარიო,
ჩემს კარზე შაიყარენით
სამის ბატონის ყმანიო.

- 5 სამი ააბით დროშიაი,
სამსავე შააბით ზარიო.
ახიელის ძირ ჩავეიდათ,
ვატიროთ ქალი, ზალიო.
იქ უნდა დავზღვათ ბეგარი,
10 კვამლად თითოი ცხვარიო.
გაიგა არხოტის ჯვარმა,
წელთ შამაირტყა კმალიო,—
—სხვაენით ამიღავ ბეგარი,
დამპალო, სად მიხვალიო!

• 69. ბაადურს გუდანის ჯვარსა

ბაადურს გუდანის ჯვარსა
საყმო ხყავ ახუგებული,
გიორგი კაქმატის ჯვარი—
ჯვარებს ხყავ აკიდებული.

70. ხმისურობ ბედავს ლაშქარსა

ხევსურებ ბედავს ლაშქარსა,
ბრძანებს გუდანის-ჯვარიო...
..ემზადნეს შვიდ დღე-ღამესა,
სიწმინდის ელვენ ცანიო...

71. ლალი გუდანის ჯვარიო

- ქვესურამ გაბანდა ბევრამა
სამითხოვდა ჯღანიო...
სალაშქროს ჰალას ჩაგროვდეს,
დიდ უდგა საუბარიო,
5 სამი ეტანა ქადაგი,
გაუყარიან მქარიო.
მარჯვნივ თოთიას ხყვებოდა
ლალი გუდანის ჯვარიო.
შაზძახნეს თავის-თავადა,
110. თოთიას ახყვა ჯვარიო:
—არ მაქვის გამარჯვებაი,
ნუ მიზდით ჩემნი ყმანიო,
ერთის წლის ვადით შამექსნა
ფხასისხლიანი კმალიო.

72. მოდიან, მოიძახიან

- მოდიან, მოიძახიან,
ლაშქარ დღე-მუდამ მიდისა;
მაგათ დიდი ხყავ ბატონი,
ღმერთთან დგას, ვინც რო იცისა.
: 5 წელს ხმალი, სისხლით ნადები,
მხართ ლერტი ოქროს შიბისა.
(ხთის კარზე გასერნავდება,

- ხთისშვილ სხვა ვერა მიდისა.
 კარს უდგა საკიდლიანი,
 10 მტერთა დამცემი რისხვისა..
 შაიძახნებენ ვეშაგნი,
 დრო რო მოვიდა ბინდისა,
 ცისკიდურთ შამაივლიან,
 დრო რო არ იყოს მოვლისა:
 15 ვეშაგთ ნადენტა მთაწვერთა
 თან ბურს დაადებს ნისლისა.

73. თევდორე და ქავთარისა

- დღესამ დღეობა ვისია?—
 წმინდისა ქავთარისია.
 მთა-მთა მოვალის ქავთარი,
 ნაპრალს მაამტვრევს მთისასა.
 5 ქალაზე წმინდა თევდორე,
 ალთოს მაამჩხვრევს წყლისასა..
 წმინდის თევდორის კარზედა
 ხე ოღერად ამოსულაო,
 ზედა მოსხმულა ყურძენი,
 10 საკმელად მოწეულაო,
 იმის შემცოდე ქალ-ვაჟი
 უდროვოდ დაშაულაო.
 ცხვარსალ უმატე, თევდორე,
 თუ გინდა რქა-ჯანგიანი,
 15 ყმასალ უმატე, ქავთარი,
 თუ გინდა მოსაკვლენი,
 პურსალ უმატე, ქავთარი,
 თუ კოდნი გინდა სავსენი;
 ქალთალ უმატე, ქავთარი,
 20 თუ გინდა მოშაირენი...

74. ალვა

- ჩვენის ხთიშვილის კარზედა
 ხე ალვა ამასულაო,
 წვერად მაუსხამ ყურძენი,
 საკმელად ჩამასულაო.
 5 მაგის უკმელი ქალ-ვაჟი
 უდროოდ დაშაულაო..

- თეთრი კლდეთა ბეთლემი,
 ზედ ოქროთ გადალესული;
 მარიამს ქრისტეს დედასა
 თოკვი აქვ. გაკიდებული;
 5 ალავერდს წმიდა გიორგი
 ხატებს ას გამეტებული;
 გიორგი ქაქმატის ჯვარი
 ქაჯებს ას აკიდებული.
 ქაჯუეთს რად იარები
 10 გიორგივ ქარის ფერაო?
 —ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ.
 რას მკითხავ, ქრისტეს დედაო!

76. თუშეთის წმინდანები

- პირველად ღმერთი ვახსენოთ,
 ის უფრო დიდებულია,
 მემრე—ნასისკარ კვირაე,
 ღვთის კარზე მდგომიარეა.
 5 მემრინას ბერი სამება,
 წოვათას ბრძანებელია.
 მემრინას ლაშარს გიორგი,
 ლაშქართა წინამძლოლია.
 მემრინას გმირი კობალა,
 10 (დ) ევქაჯთა პირის მშლელია.
 მემრინას ხახმატი გიორგი,
 გაქირდეს—მშველებელია.
 მემრინას მაგეხ გიორგი,
 მთაზედა ყარაულია.
 15 მემრინას წმინდა თევდორე,
 ხორციელთ შემბრალებელია.
 ყმასა უმატე, სამებაე,
 თუ ყოჩი გინდა რქიანი;
 ქერსა უმატე, სამებაე,
 20 თუ კოდნი გინდა სავსენი.
 წმინდა გიორგის კარზედა
 ხე ალვად ამოსულია,

- ზედა დაჰსხმია ყურძენი;
საქმელად შემოსულია,
25 იმის ნახვევი ქალ-ვაჟი·
შავადა შემოსილია...

77. ლომისის ჯაჭვი

- ლომისას ჯაჭვი ჰკილია,
არაეინ იცის ვისია,-
შაჰხედა ქალმა, შასტირა,
5 ეგ ჯაჭვი ჩემის ძმისია,
ლაშქრიდან. გამოტანილი -
შავგვრემანის ყმისია..
ოქრო დაადნო, შაწურა,
10 ლომისის საკადრისია,
დაეხსენ, ჯანგმა შაქამოს,
ალბათ მაგისი ღირსია..

78. ბრძოლაში დასაფარავი

- გვწყალობდეს ყველა ხატები
მთლად საქართველოს მხრისაო, ..
მცხეთაში—სვეტიცხოველი,
მღეთაში ლომისისაო.
5 ხევშია წმინდა-სამება
მალლით მყურები ყმისაო,
პირიმზე ფუძის ანგელოზ,
მშველელი უყმო ყმისაო,
— ეამ და უქამოს მავალი,
10 თავზარდამცემი მტრისაო.
უჭირავს ცეცხლის მათრახი; -
გამნათებელი გზისაო.
ფშავშია გმირი კოპალე ო
მომხრეა პირიმზისაო.
15 მფარველნი შემნახავნია,
თავისის მკვიდრი ყმისაო.

79. კაფია

—ხატო და ღმერთო ძრიალო;·
შენ. სალოცავად მოვალო:

—შენ რაღას გადამეკიდე,
გამამელია ძალაო.

—ეხლალა მოველ კირიმე,
პური არ შამიქამია.

80. ღვთიშვილთ დაბადება

პირველად დასახა მორიგემა
ბერი ბუქნაი ბაადური.
იმას მისცა მორიგემ ღმერთმა
საფერქედ თეთრი ცხენი.

5 იმას დაუქვივნა სახელად
„ბედის ბედაური“,
ის არის იმის საკეხური,
ცის კივკაეებში სახეთქებში
ბაადურს ჩააცვა მორიგემა

10 ტანზედა კაბა სისვისაი (მწვანე).
ჩაქმან ჩააცვნა რკინისანი,
თავზედ დაჭურა თეთრი ქული.
კიგუნი მისცა თუჯისანნი,
კაბის საყელოთ შასაყრელნი.

15 მათრაქი მისცა მორიგემა
სენსამსალაით გაფევრული,
მემრ გადამაუშვ კმელეთზედა!
მემრ მე დამსახა თერგვაული,
მალლა მთაშია მდგომარეი,

20 ტახტ მაგილოცა ოქროსაი,
შვიდმეტ ათასი წელ წავიდა
ჩემ დასახვითვე,
ღთის კარს მამცა სათავეიო;
როგორც კორციელნი ჩვენ გელოცულობენ,
ეგრე ჩვენ ვლოცულობთ მორიგესაო.

25 სამ ათასნი ვართ ღთის ნასახნი.
მორიგემა მეც კაბა ჩამაცვა სისვისაი,
ჩაქმან ჩამაცვნა სინისანი.
კიგუნი მამცა ოქროსანი.
მათრაქი მამცა ცხრაკუთხიანი,

- ქულ აღარ მამცა მორიგემა.
- 30 საგმიროდ მამცა ოქროს ბურთვი,
ქაჯთ ბუბუნეებით მოტანილი.
ორნ მამცა მოწაფენი:
ერთს დამირქვივნა რუთიანო, ერთს რექაიო.
მემრ დამამკვიდრა ღთის კარზედა.
- 35 მორიგემ უბრძანა ქრისტე ღმერთსა,
როცა შამოქდა ღთის კარზედა, —
ერთ შენც დასახე ანგელოზიო.
მაშინ ქრისტე ღმერთმა დასახა
ერთი ტანად აყრილი (ანგელოზიო).
- 40 მემრე უთხრა მორიგემა:
სახელს შე დავაქვივნებო.
მორიგეს უთხრა ქრისტე ღმერთმა:
მკარნ ვერ დაუსახენ ანგელოზისნიო.
- 45 მემრე უთხრა მორიგემა:
„მკარნ დაუსახენ არწივისანიო,
სახელ კოპალა დავაქვივნათო“.
იმას მისცა ჩასაცომი
ჩემსავით კაბა სისვისაი.
ჩაქმან ჩააცვნა რკინისანიო,
- 50 ჭიგუნ მისცნა სინისანიო.
მარცხენაზე ქოთან მისცა ნავთიანიო,
შიგა მათრაკი ფესვიანიო.
შამცოდვეთაზე საწინწლები,
ნავთი მათრაკითა ფესვიანიოთაო.
ამას მისცა ზუთნი მოწაფენი.
მორთულნი რკინის ტალავრითაო.
- 55 ზღვის პირზე სასაგნავი
კოპალას მისცა მორიგემა.
ასლიტრიანი საგმიროი სინისაი,
ცეცხლის ალივით ანთებული.
ის მიულოცა მორიგემა,
- 60 მემრე გადმაუშე კმელეთზედა.
თუ კოპალეს მეტმ ამ საგმიროს
ქელ მიახლას, ან ფეხი,
ცეცხლ აჩინდას, დაიწვას.

81. კოკალა

- ჯერ რო გადმამცა ყმაზედა,
მიყვარდის უღვაშიანი.
ფანდურს დამიკარ, ბერკუწოდო,
მიყვარდის სამ-ძალიანი.
- 5 ნუ შამიდგები ძალზედა,
თუ არ ზარ იმედიანი.
მორიგემ შამამილოცა
საგმირო ას-ლიტრიანი.
ხუთ კიდევე დავადებინე,
- 10 მკლავჩი ვარ იმედიანი.
სამლოთოსაც კარგა უნდოდა,
არ იყვა იმედიანი.
მე მომძმე ა იქ მეტანა
შუბნური მათრაკიანი.
- 15 ჭელთ ხქონდა ოქროს კოჭობნი,
სავსენი ნავთის წყლიანნი.
ნისლის ფერაიც იქ ხყვანდა
ფაფარო-მასკვლავიანი.
ვეშაგურთის გორს ვესტუმრე,
- 20 წყემსი ვარ თეჟიანი.
მიქა სახლს აგებინებდა,
ხურო იქ ედგა ღვთიანი.
—წილი ჩამიდევ, მიქაო,
წყემსი მეცა ვარ ცხვრიანა!
- 25 ჩამიდვა წილი მიქამა,
წყემსი ვეგონე ცხვრიანი.
ერთი ქვა მიაც შაუდევ,
მკლავჩი ვარ იმედიანი.
წყალზე გამლალა მიქამა,
- 30 ჭელთ მამცა ვეშრაპიანი.
წყლის პირზე ამოვიდლოდი,
ირემი ვიქენ რქიანი.
თუშებმ მესროლეს ისარი,
ფოცხ-მაკრატელა ფთიანი.
- 35 სიმურში გადავიჩქვიფე,
რქის წვერთ გაიღეს ძგრიალი.
გორის ძირს შამამიჩინდა

გიორგი დავლათიანი.

- კობალავ, საით მასულხარ
40 დაღალულ პირ-ოფლიანი?
სად წახვალ, თან წამოყვანე,
ენა მაქვს ლაქარდიანი.

82. კობალას გაღმარჯვებია

- კობალას გაღმარჯვებია,
ბორბალ გაივლის მთისასა;
არ წირავს კარატის ჯვარი
თუშეთს ბეგარსა ცხვრისასა.
- 5 ბორბალ აგებენ ციხეთა
ბროლ-მარილაის ქვისასა,
ლიბუდ უდებენ ვადასა,
ხახით ხახონის კმლისასა.
შუბს კუთხად დააყუდენ
- 10 ბებრისა ჯახნისასა.
ფარსა შააბმენ კარადა
ჩაბაკათ ყმაწვილისასა.
ხეკრად აყრიან გალოსა
თავთავის მითხოვლისასა.
- 15 აღეშად ფერცხალს აყრიან
სამოცის ფხოკეხლისასა.
გადართვენ თავკუჭულასა —
სამკლავე—საფუხრისასა.
შიგ შადგა მარიემული,
- 20 პირს დაიბრუნებს მგლისასა.
ქანთეს, ტერელოს, ფხოკეხალს
კაც რამ დაღია ქკვიანი.
გზას რას უკრევდეს კობალას
მსახურს ყვან დავლათიანი.
- 25 შუაში ვაც-ვერძნი შაიბნეს
რქათ ისარ გასდისთ თბიანი.
ეგ ვაც-ვერძ არა ყოფილან,
კობალა იყო კმლიანი.

83. კობალავ მშვენიერო

კობალავ მშვენიერო, მიშველე,
მქარ თეთრო, გოზა ფართო!

- არც მაშინ შაჰშინდებია,
ბორბალს რო შეემართოო?
5 —არ შაშინდება კოპალა,
თუ ლახტი მაიმართაო..

84. კოპალამ კარატიონმა

კოპალამ კარატიონმა
ქოთანნ რა უყვნა ქვისანი,
ღვევისად დატაცებულნი,
სავსენი ნავთის წყლისანი..

85. კოპალა კარატიონი

კოპალავ კარატიონო,
მკლავითთ შამძლეო, ფალთოო,
არც მაშინ დაშინდებია
ღვეთყე რა გაემართაო.
არ დაშინდების კოპალა,
თუ ლახტი მაიმართაო.

86. გმირო კოპალაო

გმირო კოპალაო,
ლალო ლახტიანო,
სულთქმა ამაუშვი,
მავნეს ლახტ დაეცი.

87. გმირი კოპალა

- გმირი კოპალა ცხენზე ზის,
ცხენი მიდის და გოგდება,
მის სამტროდ ღვენი აშლილან,-
ყველა დიდ მთაზე გროვდება.
- 5 გმირი კოპალა ცხენზე ზის,
მიდის და მიუხარია,
მხარზე ჰყიდია მათრახი
სამოცდასამი მხარია.
- 10 გმირი კოპალას შიშითა
ღვეებს ვერ გაუხარიათ,
მისი მარჯვენა მძლავრია,
მისი დაკრული მწარეა.

- ქალავ, ნარუსალთ ღიღაი
 ზმელეთზედ აისეთაი,
 იყოლებს ხაზმატის ჯვარი
 ბატონათ ხელჩადგებოდა,
 5 აეთა, არამთა სუფრასა
 ახლოს არ ეკარებოდა.
 ბევრათ გიზიდავ არამი —
 სახლი თოვლივით დნებოდა.
 ღმერთი არა გწამთ, არც ჯვარი,
 10 არ იცით უქმის ჭერაი.
 კვირაი იკოდებოდა,
 ალაღწამებულ სუფრაი.
 გულსაცა იამებოდა,
 კიქა, ბარძიმით მორთული,
 15 მოსამსახურეთ ზმებოდა.
 ყელზე ოქროში ჩამიდვეს,
 კელაპტარ შიგ ანათებდა,
 ჩვენ კი შაგვხედავს თვალითა
 ჩოქ-მუხლნი უგოგდებოდა.
 20 ბულაურ გადმააყენეს
 ეგით თქვენ იბეჭდებოდა.
 საზემარ გვიცხადლებოდა,
 საზემარ ჩამადგებოდა.
 ოქროს კამალა გადუღგა,
 25 ოჯახიც აყვავდებოდა.
 ღმერთი ილოცეთ, დედაი,
 თქვენობა გამრავლდებოდა.
 მალი-მალ კოპალა ახსენეთ,
 სახლში შუქ დაგიდგებოდა...
 30 სუყველა გაგიქრებოდა.
 მთაი გარდამაიარე,
 ჯვარის კარს შამაგხედებოდა.
 თუშნი დგან, ფშაველ-ხეცსურნი,
 კარი სუ გაივსებოდა.
 35 იფთზე ბოინობს ნასახი,
 საფარველ ჩამოდგებოდა,

მესამსახურე გამძლოლათ
შუქითა დაადგებოდა.

89. დევეგის მელანია

დევეგის მელანიაი,
ციხე-გორს შამამხდარიყო,
ჩემი ქვა გამეეტა —
წინაკრის ძირსა მდგარიყო.

90. არ გეშინია კოპალე

- არ გეშინია, კოპალე...
—არ მეშინია, კოპალეს,
თუ რახტი ხელში მექნება...
ციხეს აგებენ ბორბალსა
- 5 ბროლის მარილის ქვისასა,
შიბად შიგ გალოს ატანენ
გრძელ-გრძელსა მითხოვრისაჲ.
ბარბოლის წვერს ბალათერა
ლამეს ათენებს გმინვითა...
- 10 მთა-მთა მოვიდის კოპალე,
ნაპრალს მაამტვრევს მთოსასა,
ქალაზე ქაქმატის ჯვარი
აღთოს მაჩქლევს წყლისასა..

91. მშვილდ-ქაიბური ბერისა

- მშვილდ-ქაიბური ბერისა
ქუდიელზედა ხვიოდა:
წამაუქაღლავ მუზასა,
გულის ფიცარი სტკიოდა.
- 5 ამდენი სისხლი ედინა,
წყალივით ჩამოსდიოდა...
ქარი იყო და ხვიოდა,
ფოთოლი ჩამოდიოდა,
ხმა ჩემის ქაიბურისა
- 10 ქუდიელს შემოჰხვიოდა:
მუზას მივარტყი ისარი,
ბელელას გული სტკიოდა:
წყალი არ იყო იმდენი,
რაც იმას სისხლი სდიოდა!...

92. იახსარი და კოპალა

იახსარი და კოპალა
ორი წმინდანი ბერია,
ბერია, არცა ბერია,
ღვთაების შესაფერია.

93. მე გეხვეწები იაკსარსაო,

- მე გეხვეწები იაკსარსაო,
მამეც ნებაი, ჩამამიშვიო.
მამეც ნებაი ყუღროჩიაო,
ქალსა ქალთაზე მაარულსაო,
5 მაქვის ხთისაგან გამწესულაო.
ვაუბენ ჩემსა მეენესაო,
კორციელთ მივსცემ კვალეებააო...
მე გეხვეწები ხთის ნასახიო,
სამძიმარ-ხელი, ღილიანიო.
- 10 დაძრენ ბაგენი ოქროსანიო,
შივსცათ ნებაი კორციელსაო.
—მამშორდი, წაედ ქაჯის ქალო,
ნუ მემბი კაბის კალთაზედაო.
—ნუავ, მე გეხვეწებივ,
- 15 სამძიმარ-ხელივ, ანგელოზივ!
გახვეწებავ, ჩემსავ მოდეთავ
აშექალავ, მზექალასავ,
გახვეწებავ ჩემსავ მოძმესავ გიორგისავ.
არ წამერთვასავ ჩემივ ნაღვარივ.
- 20 ჩემივ ტაზარივ.
არაი მრჩეობისავ მიავ,
არც ზღვენივ, არც სანთელივ.
მე გეხვეწებივ, შავიბრალნათავ
კორციელნივ, უტნიოდ, ჟამეცარნივ
- 25 დაადევვივ ყავლივ, მიეცივ ნებაივ!

94. იაკსარი

ზეთის კარზე შავიყარენით
ანგელოზები თავნია.

- გარმოდგეს სასწორ-ჩარქი,
კვირავ, დაუგი თვალია!
- 5 ეზიდებიან იმასა,
ვინაც რო ძალიანია.
ქვე-ქვე ბოლოსკე მე ვზივარ,
ყველას ჩემზე აქვ თვალია.
ერთმანეცს ეუბნებიან:
- 10 „აილებს იაკსარია“.
ავწიე საწონ-ჩარქსა, —
ღმერთო, შენგანა ძალია!
ზუთი მავსთხოვე კვირასა,
გარმამიმეტა სამია.
- 15 სამოც ლიტრასა რკინასა
ძირს გაუყარენ ქარნია.
დევებს ხქონია ქორწილი,
უჩქვეფავ სიმურ წყალია.
ცხრა-თავ ხყვანია დედაი,
- 20 ცხრა შვილთ გამზდელი ქალია.
სალუდე ქვაბი თავს ეცვა,
ა იმან შამდეა ზარია.
დავბრუნდი უკან, ამბობდეს:
„შაშინდა იაკსარია“.
- 25 მაშინ კი გადაუფრინდი,
გამაუცვალე ჟამია.
ლახტი ვესრიე საკმიდან,
ზედ გამავხურე ბანია.
ერთ კიდევ გამამივარდა,
- 30 არ მიუბრუნე თავია.
საგმირო წამაეიმალღე,
კლდეს მათარა ტანია.
კლდე ოთხად დავანაფოტე,
დევს წამავსთხარე თვალია.
- 36 კარგად სცოდნიან მაგასა
აბუდელაურ ტბანია.
წავიდა-დ' იქ ჩამეხვეწა,
თან ჩავხყევ იაკსარია.
იქიდან ველარ ამავე,
- 40 სისხლმა გამიბნა მკარნია.

- ეძებნეს ჩემთა მოყმეთა
 ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია,
 მაიყვანეს და შიგ დაკლეს, —
 ღმერთო, დასწერე ჯვარია!
- 15 შამავჯე ბროლის ქვაზედა,
 შამავიბერტყენ მკარნია.
 ჩაეხენე ჩემ ნაჯდომშია,
 კრელად მამრჩალან ქვანია.
 ამანდით კარატემდინა
- 50 შიბ თოკზე გასავეალია.
 ეგ აგრე გამავიარე,
 არვინ მამკიდას თვალია.
 ავისგორ ციხეს აგებენ
 ჩვენს ძირა ცხრანი ძმანია.
- 55 ცხრანიე ქვას ეზიდებიან,
 კარავს ვერ შასდევს თავია.
 მე კი მარტუამ ავილე,
 შაუდევ კარის თავია.
 ერთმანეცს ეუბნებიან:
60. „ეს ჩვენზე ძალიანია“.
 შაიყრებიან დევები,
 საცა დიდ მავდანია,
 გაარიგებენ იმასა:
 „ერთუც უჭირათ მკარია.
- 65 ხთიშვილთ კობალა მაუკლათ,
 თავში დაუცნათ ქვანია!“
 შვიდის წლის ბალდი მავიდა,
 ეგ შავგვრემალა არია,
 კელში უჭირავ მათრაკი
- 70 შვიდ-კეცად შვიდი მკარია.
 მემრე შვიდის წლის გოგო,
 ეგ თამარ დედუფალია.
 ქიჩილა გადაიხურა,
 გადააყენნა ზღვანია.
- 75 შუა ზღვას ჩადგა სამანი,
 არ გარმავარდეს ცვარია,
 ლაშარის გორზე დაბრძანდა,
 ლალი ლაშარის ჯვარია.

- პირ-და-პირ ჩამოუჯდების,
80 ქალ თამარ დედოფალია.
ამაგის მალექსებელი
ალვანში თუშის ქალია.
სალექსოდ გამამიგზავნეთ
კვამლად შიშაგი ცხვარია.

95. ბრძანებდა დამბადებელი

- ბრძანებდა დამბადებელი:
რომ დავდგი მიწამყარო,
სუ თავის მორთულობითა
შამხდარი მთა და ბარიო.
5 მურგვალთ მოვავლე სამი ზღვა-
თეთრი, წითელი, შავიო,
ზედ გადავხურე ზეცადა
სინა, ჭიქა და რვალიო;
შიგ გავაჩინე მზე-მთვარე,
10 მავალი დღე და ღამეო,
დუნია გამიჩენაეის
რჯულად ათასი გვარიო.
სამოც და სამ წმინდა გიორგა.
ოთხსავ კუთხეზე ჰბძანია,
15 ქრისტიანთ სალოცავადა
გამოსახული ჯვარია,
ღვთის შეილთა, ღვთის ნაბადებთა
ქრისტიანთ სალოცავია.
ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი
20 თამარი დედოფალია,
უფლისგან ჰქონდა ბრძანება
შაერთყა მამის ხმალია,
მამის სანეფო აილო,
თითონ ბრძანდება ქალია,
25 ხმელეთ თავისათ მაივდო.
იმდენიც აქვის ძალია,
შუა ზღვას დადგა სამანი,
სამანი, რკინის სარია.
სატახტოთ, საბრძანებლადა
30 თითონ ხმელ გორზე ჰბძანია,

- პირდაპირ უდგა გორზედა
 ლალი ლაშარის ჯვარია!
 შაძლებულ მიდგებ-მოდგება,
 წელზედ არტყავის ხმალია,
 35 გვერდს უდგას ნისლის ფერაი,
 ტრედვიითა ჰქონ მხარნია,
 ოქროს უნაგირ ზედ ადგა,
 ოქროსწყლის ლაგმის ტარაი;
 დალოცვილ შამზადებულა,
 40 დაფანტული ჰყვან ყმანია,
 მიეშველება ერთგულთა,
 არ იყოს მისვლის ხანია.

96. ფიწალი

- ჩვენსავე რა გინდა, ფიწალივ...
 დარიბთას, ცალიერთასა,
 ვერცას დაგიტოვტ ჯარ-ყოჩთავე
 ბერთა და რქა-ჯანგიანთა;
 5 ვერცას დაგიტხრით ჯაროთა
 ძველსა და კირკილიანსა.
 ჩვენსავე რა გინდა, ფიწალივ...
 მთა-მთა მოდ ბატონ ფიწალი,
 ნაბრალს მამტერევეს მთიასასა,
 10 ჭალაზე გმირი კოპალე,
 ალთოს მამჩხვრევეს წყლისასა.

97. ბულის კერძება

ვინ იცის, კიცვო რემო,
 შენის თეჭალთოს კეცება?
 აეგრევე, ჯვარო, ხთიშვილო,
 მემრ შენის გულის კერძება?

98. ნაბღებურ ბამასთილივდა

დიდის ხთიშვილის გამძღონ ხართ,
 ჰკვაც დიდი მაგეჰელებათ.
 დიდი ას თქვენი ხთიშვილი,

- ცის კიდელ-კიდელთ დადგება.
5 ვისაც შამცოდეს მაიგლებს,
ნაბღებურ გამასთელევედა.

99. შე ხახმატის ჯვრის დროშაო

- შე ხახმატის ჯვრის დროშაო,
რა გაჟრიალებს, რა არი?
ჩემს სალოცავად გაჰხადე,
საცა კი ერთი ქვა არი.
5 ერთი კაცი გყავ მსახური,
სადაც საურმე გზა არი.
სუყველგან გიდგა ლოგინი,
საცა სათიბი მთა არი.
თავით საფოცხველ უყუდაკ,
10 ხელ მოსაკრავად მზა არი.

100. ხორასნის ლაშქრად ვიყავი(ი)

- ხორასნის ლაშქრად ვიყავით
ჩვენ ლომნი ლომისისანი,
მანდ შამაგვესმა ჟღერანი
ჟამურ ბერციხის კლდისანი.
5 მუქლი გვექონდა და ვიქმარეთ
მაგ ჩვენის კარმაგისანი,
სადილობითა სამხრამდე
ჟამურ დავლახნეთ ქვიშანი.
შუა ზღვას ჩავსვით სამანი,
10 ჩვენკენ დავიგდეთ ხმელეთი.

101. ბერბეტულა

- დიდია წმინდა სამება
ცისკიდურამდე ელავსო,
თავის ყმის გამჯავრებელსა
ნაბადივითა სთელავსო.
5 ზღვის იქით დადვა ბეგარა,
ზღვის აქათ მოუდიოდა.
შუა ზღვას დაასვა სამანი,
ხმელეთი ჩვენკენ დააგდა.

102. პირმა დაგლოცასთ ღვთისაგა

- პირმა დაგლოცასთ ღვთისაგა,
ნაწილმა ბარძიმიისამან,
ქალაქჩი სიონისამა
დარეკამ ზარებისამან.
- 5 მცხეთაჩი სვეტიცხოველმა,
გადმომცქერელმა მტკვრისამან,
ლომისამ თორმეწამემა,
პატრონმან არაგვისამან.
- მა კობის წმინდა გივარგიმ,
10 პატრონმა დიდის მთისამან,
მა ბერმა წმინდა სამებაჲმ,
პატრონმა ხმელეთისამან.
- ივანე ნათლისმცემელმან,
პატრონმა ბალღებისამან,
მა ბახტრის წმინდა გივარგიმ,
15 პატრონმა მგზავრებისამან.

103. ვარდობის დღეობა

- დიდება ჰქონდეს შენსა ვარდის დღეობას,
გაუმარჯოს რჯულსა საქრისტიანოსას!
მიეცი მადლი და ბარაქა ჩვენს ნახნავ-ნათესს.
გაჰვივრებულს ხელი მოუშართე,
- 5 სნეული მოარჩინე და ჭანზე დააყენე!
მგზავრსა და ცხვარ-მეცხვარეს ხელი მოუშართე.
ვინმე წმინდა გულით გეხვეწებოდეს,
იმასაც დაეხმარე,
შინა მშვიდობა მიეცი,
მშვიდობის მგზავრობით ატარე,
სნეულსა ულხინე,
გაუმარჯვე ხარ-გუთანსა!

104. ადგილის დედაო

ადგილის დედაო,
დედაო ხვთისაო,
შენ დაგვიტანე ბარაქა
ხარის ნახნავს, ფურის ნაწველს.

- * * *
- 5 ენ ადგილის დედაო,
შენ გებარებოდეთ!
შამინახე შენისა
მადლით, დავლათითაო!

105. წყაროსთაველი

წყაროსთაველი ჩიოდა, —
უნდა პირქუში ვნახო,
აშურმა ავასხმეინო,
საყელო გადვინათოო.

106. თავადი წყაროსთაველი

- თავადი წყაროსთაველი
ღვეების ნაფრენს მისდევდა,
ისროდა კილო-წითელსა
მშვილდ ყორნებულად მიჰყეფდა.
- 5 ბარბარეს ქალნატირდეს,
რა ცუდი დილა გათენდა:
ჩვენ თავადს დევი მოუქლავ,
კაწალხევს ძაღლებ ათრევედა.

107. წმინდა გიორგი ცხენზე ზის

- წმინდა გიორგი ცხენზე ზის,
ქვეშ უქრის ნიავქარია,
მკარზედა ჰკიდავ მათრახი
სამოცდა სამი მკარია.
- 5 ვისაც დაუქნევს, დააჩნევს —
მაგის დაკრული მწარია.
შამაჟარა საყმოთა,
სუ შაგროვა ყმანია,
- 10 უგულოს გული ჩაუდვა,
წელზე შააბა კმალია.

108. პირველათ ღმერთი ვახსენოთ

პირველათ ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,

- მემრე ის წმინდა გიორგი,
ყველაში წილდებუღია.
5 ღმერთო, იმასაც უშველე,
ვინც რომ წყალწადებუღია,
შენი მადლით ჩვენა ვცხოვრობთ,
ცა შენი აგებუღია.

109. ამღენი ლაპარაკითა

ამღენი ლაპარაკითა
ენას არა აქვს სისველე,
ხეთისმშობელო, შეგვეწიე,
წმინდა გიორგი, გვიშველე.

110. გორიჯვრის წმინდა გიორგი

გორიჯვრის წმინდა გიორგი,
გადმომცქერალი მტკვრისაო;
მლოცავი ბევრი წამოვა,
ქარელისა და სკრისაო.

111. ძილისა

- ღავწეები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი,
სულ თავით დამესვენება.
5 ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ჯვარი პატიოსანი,
მწყალობს წმინდა გიორგი,
ვერას მიზამს მაცდური.

112. ცა ჭიხდეს

- ცა ჭიხდეს, ქუხდეს, ეღავდე!—
წმინდა გიორგი იქნება.
ნოგიროს წვერზე ღაბრძანდა
გიორგი დობიღიანი,
5 მთის ძირში შემოეგება
კობალე ბოვრაციანი.

113. საღმრთო

ყოვლად წმინდაო, ცხოველო,
მე შენ კარზეგან მოველო,
ზურგზეგან გულა მკილია,
შენგან წყალობას მოველო.

114. ეს ჩვენი წმინდა გიორგი

ეს ჩვენი წმინდა გიორგი
მალლა გორაზე სვენია,
ნადირი ბევრი მოუღის:
არჩვი, ირემი, შველია,
5 დათვს რალა მოარბენინებს,
ვაი რო შიში ძნელია.

115. წმ. გიორგის სალოცავები

წმინდა გი ოდიშისაო,
წმინდა გი აფხაზისაო,
წმინდა გი გურჯაანისაო,
5 წმინდა გი წინანდლისაო,
წმინდა გი წყაროსთავისაო,
წმინდა გი საგარეჯოსაო,
10 წმინდა გი ატოცისაო,
წმინდა გი ბეთლემისაო,
წმინდა გი კავთისაო,
წმინდა გი ვარდისუბნისაო,
წმინდა გი ჩოჩეთისაო,
წმინდა გი კალოუბნისაო,
15 წმინდა გი ქვაშეთისაო,
წმინდა გი კასპისაო,
წმინდა გი თელავისაო,
წმინდა გი თელეთისაო,
20 წმინდა გიორგი ჩალუბნისაო,
წმინდა გი ნიაბისაო,
წმინდა გი გომრეთისაო,

წმინდა გი: წილკანისაო,
წმინდა კი: გავაზისაო,
წმინდა გი: იელუსალემისაო,
25 წმინდა კი: ზენუნდრისაო.

116. წმინდა გიორგის მშვენება

წმინდა გიორგის მშვენება
შორს მიაღებება გორსაო,
შორით მაიყვანს მლოცავსა,
დაკუტებულსა მონასა.

117. აჰა, წმინდა გიორგი

აჰა, წმინდა გიორგიო,
შეხტი: შემოტრიალდიო,
გაიქეცი, კარს ეციო, —
არა სჭერა ეს კაციო.

118. წმინდა გიორგის ყმა ვარო

წმინდა გიორგის ყმა ვარო,
ხარ-კამბეჩივით დავალო;
თუ მინდა ლაფში ჩავწვები,
თუ მინდა მშრალზე გავალო.

წმინდა სამების ყმა ხარო,
ხარ-კამბეჩივით დახვალო.

119. ალავერდს წმინდა გიორგი

ალავერდს წმინდა გიორგი,
თელეთში მარიაშია,
ლომისას მთავარ მოწამე,
ფშაფში ლაშარის ჭვარია.

120. ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია

ალავერდს ჯაჭვი ჰკიდია
წმინდის გიორგის კარზედა,
ქალმა იცნა და ატირდა —

ძმისა ნაცომი ტანზედა:

- 5 ვაჟი ჯანგი მოგვიღებია,
შე ოქრის პატრონისაო,
დღით ხუთჯერ ომში ნამყოფს,
პირშიშველას ყმისაო!“

121. წმინდა გიორგი კლდისაო

წმინდა გიორგი კლდისაო,
ნუ ამატკივებ კბილსაო;
არც ვქამ მწარე ბოლოკსა;
არც ნიახურის ძირსაო.

- 5 არა მწამს ქინძი ქონდრათა,
არც ნიახური მხლათაო,
არც მინდა წითელი კაბა,
არც ბერიკაცი ქმრათაო!

122. წმინდის გიორგის კარებზე

წმინდის გიორგის კარებზე
ხე-ალვა ამოსულაო,
ცხენსა ზის წმინდა გიორგი,
სიფიცხით ნიავ-ქარია.
ხელში უჭირავს მათრახი
სამოცდასამი მხარია;
რასაც გადაჰკრა, გარდასწვა,
მაგის დაკრული მცხარია!

123. ანტატის კალო შემეკვრის

ანტატის კალო შეიკვრის,
სულ რიცხვის სულის ყანთარი,
კვირობს თეარანგელოზი,
ამდენი ცოდვა რათ არი?

- 5 წმინდა გიორგი ბრძანებდა:
მოდე ავწონოთ რაც არი.
აწონეს ცოდვა და მადლი,
ცოდვა დევს გორის ოდენი.
მადლმა დასძლია ცოდვასა,
10 მადლი დევიდა ქვევითა,
ცოდვას ასწიე ზევითა,

- ეშმაკს დააწყდა მკლავები,
 სასწორის თოკის წვევითა.
 ძალი დავარდა ეშმაკსა,
 15 გამცრუვებელი წვევიდა,
 სამოთხეში მიდიოდნენ მართლები,
 წინ მოეგებენ შვილები.
 მანდ არის პაპა მთავარი,
 20 აბრამ-ისაკის შვილები.
 ღმერთმა ბრავალი მოგგვაროს,
 ქრისტი აღდგომის ხსნილები.
 ხელში ცეკვიროთ კვერცხები,
 სულ წითლად შეღებილები.
 25 ღმერთმა ყველა გადღეგრძელოს!

124. წმინდა გიორგიმ დაკაზმა

წმინდა გიორგიმ დაკაზმა
 თავისი ალისფერიო,
 შამაუარა საყმოსა,
 შამაიგროვა ყმანია.
 უგულოს გული ჩაუდგა,
 წელზე ჩააბა ხმალია,
 შამაუარა საყმოსა
 გარშემოავლო ყაელია.



სადიდებელნი

125. დიდება უინდა
ღმერთო, დიდება შენდა,
ძეო ღვთისაო,
მამაო უფალო,
ცა-ქვეყნის დამარსებლო!
- 5 შენამც იმრავლე —
მალა ცის ნამო,
დაბლა მწვანილო,
ხორციელთ საცხოვრებლადა!
ქრისტეო და ღმერთო,
- 10 დასწერე ჯვარი,
ზღვენსა და ულუფას,
მაცილსა და კაოტს
ნუ დაადევნებ!
შენამც იდიდებ, წმინდაო გიორგო,
- 15 წმინდა პირისა სახსენებლო!
დედაო, ღვთის მშობელო,
ღვთის პირის მეღვინეო,
ძალ-ბძანება თქვენია,
თორო ხორციელისგან
- 20 სახელ არ შემოგედებოდათ!

- ბატონა გაუმარჯოს, წმინდა გიორგის.
 ღვთის კარს იღვენ—საჩივარსა ჩიოდენ,
 საჩივარ დაარჩიოდით.
- საყმოსა გთხოვდენ, გეხვეწებოდენ,
 25 საყმოს მახსნოდით, უხუიწნოდით.
 წულისა იყენენ მანუკვარნი —
 წულის წყალობა უბოძიდით.
 გასაზღოს განხვეწებდიან —
 გაუზარდონით!
- 30 თქვენ ვედრება-ლალადებასა
 სასინაუღვლოდ ნუ გაუხდით,
 სასინხარულოდ გაუხადე,
 თაობით პურს მაუმატე!
 მაგის სახლში კაცს, კაცრიელობას,
 25 შიშით ხმა მტრისა ახადოდი,
 სიკვდილის ხმა მათოროდი.
 საც თქვენ ბედი უძღურთ იძახონ—
 შენ კაბის კალთა დაათაროდი,
 დაცენ-დაფარენ ლალ მტრისაგან.
- 40 მოლაშქრე-მონადირეს გაუმარჯოს,
 მაგათ სახშით წულს ეს ზაფხული
 უჯავრო გადაყრენე,
 შემოდგომა ლალიან—
 ბარაქიან ჩამაუყენე.
- 45 ხარის ნახნაესა, ფურის ნაწველსა
 მადლი და ბარაქა დაუდევნე.
 რაც ჩემის უცოდინარობითა
 ბატონო — ბედნიერო,
 ქება-დიდება გკლდებოდეს—
 50 შენს წყალობას ნუ დააკლებ.
 შენი, ღვთისასა და კვირეისასა
 დადგმული ჭიქა-ბარძიმი,
 დანთებულნი კელაპტარნი,
 დაქვრეთილი სეფი,
 55 ღვთისად გინდოდეს —
 ღმერთს მახსენოდი,
 კვირეისად გინდოდეს—
 კვირეის მახსენოდი,

- მოდე-მოდმეთად გინდოდეს—
 60 მოდე-მოდმეთ მაახსენოდი,
 არა, თავისად გინდოდეს—
 თვითონ მიითვალოდი.
 ივანე ოქროპირისაო,
 ღმერთო დიდებისაო,
 65 გიორგი გამარჯვებისაო!

126. შენამც იდიდები

- შენამც იდიდები სახელო ღვთისაო, მადლო კვირეისაო,
 ერთურთის მოთანახმენო, მოდე-მოდმენო, ღვთის დანაბადებნო,
 დიდებულო კვირაო, ლაშარის ჯვარო!
 შენამც გამარჯვება, წმინდაო გიორგი, ქმოდის გორელო!
 5 წმინდის წვერის ანგელოზო, მთავარ-ანგელოზო.
 ირემთა კალოს შაშვენებულო კოპალო,
 ციხე-გორს შაშვენებულო ჭვეტის ანგელოზო!
 კოპალო, დევ-კერპთ მეომარო,
 დევ-კერპთ გადამსხვევებელო,
 10 და ხორციელთ დამხმარებო!
 შენ უშველე შენ წამებულთაო,
 რომლებიც მოსულან, შემომდგარან
 შენ კარზე სამსახურითაო,
 სეფე კვერითაო, ჰანთლითაო,
 15 მართლის გულითა თაყვანს გცემდენო.
 გაქებს ღმერთიო, გადიდებსო:
 არ მოგიწყენ, არ ჩამოგყრი ძალასაო.
 ქუდოსან-მანდილოსანსაო,
 თუ ბოროტი საქმე ეღირსებოდეს—
 20 დაეხმაროდო გამარჯვებულო,
 კეთილად შაიწირეო
 მსხვერპლი და სამსახურიო.

127. ხალხთა დამფარველო

ღმერთო, ხალხთა დამფარველო, კოპალავ, იახსარო!
 გმირო კოპალავ, ბერო ბექთრიანო, ლალო იახსარო.
 გამარჯვებულო ქმოდის გიორგიო,

- მუქუს დედაო ღვთიმშობელო,
 5 ღვთის ნაბადებნო,
 თქვენამც იქნებით დიდებულნიო,
 გამარჯვებულნიო.
 დღეს მოსულან თქვენ კარზედა მლოცავნი,
 მხვეწნი, ყმანი, ქალნი, ქალ-ქალაშვილნი,
 10 გეხვეწებიან წყალობას.
 მუქუს დედაო ღვთიმშობელო,
 მოსულებს წყალობა დაახვედროდი,
 წასულებს გააყოლოდი.

128. დიდება

- დიდება შენდა, ღმერთო მაღალო,
 ცათა სწორო, ხმელეთის ბადალო.
 ქრისტეო-დ, ღმერთო, დასწერე ჭვარი
 ანთებულ სანთელსა, დაჭვრეთილ სეტეს,
 5 დადგმულ ჭიქა-ბარძიშსა.
 ძალი და ბრძანება თქვენია,
 თორო ხორციელნი ხმელზეით
 სახელსა ვერა გკადრებდით.
 რადგან ღმერთმა ხმელეთი დაარსა,
 10 ცა-რგვალი დახურა,
 მზე და მთვარე დაფინა,
 გაკურთხნათ ღთისშვილნი ღთისშვილნადა,
 ჩაგაბარათ ხორციელნი მოსამსახურედა.
 ჩვენც კი გაბარებთ თავსა,
 15 გაბრალებთ, გახვეწებთ შენ საყმთათა
 საყმთაშიით ალალ-მართალთა,
 აგებულ-წამებულთა!
 შენი კარის და გორის მლოცავთა,
 წესრიგის დამყენებელო,
 თუ რამე ეხედვებოდეს
 20 ხვეწნა-მუდარა სასიხარულოდ გაუხადე!
 თუ რამე ეხედვებოდეს
 ცუდი, მავნე-ხიფათი საქმე,
 ბევრი გყავთ მგმობიარ-მოლაღატე —
 იმეებზედვე გადაილოდით.
 25 დიდება თქვენ ძალსა ღთისშვილნო,
 ფშავ-ხევსურეთისაო,

- ქართლ-კახეთისაო,
 მთიულ-გუდამაყრისაო,
 ერთად გაქებთ, გადიდებთ!
- 30 თქვენ თქვენი გამჩენ არ მოგიწყენთ
 და არ მოგიძულებთ დღეს,
 თქვენი კარის და გორის მლოცავათა
 და ჩემ ყურთა გამგონეს,
 სანთელში ნათლის გამრევთა,
- 35 სეფეში ზედაშის ნურცა მე შამიცოდებთ,
 თუ ღირსი არ ვიყო. თუ ვერ ვასრულებდე
 წეს-მოდენილობასა.
 ღირსად აიღე; ღირსეულადა,
 ხსნილადა-კურთხეულადა,
- 40 ანთებული სანთელი,
 დადგმული ჭიქა-ბარძიმი.
 მოხსენებული ზედაშე
 ღმერთსა გინდოდეს
 ღმერთს გაახმარე,
- 45 კვირეის, მოდე-მოძმეთა,—
 თავის საქმისა
 მონაგარიშე თითონა ხარ!
 ივანე ოქროპირისაო,
 სანატრელო ღვთისაო,
- 50 ღმერთს დიდება,
 წმინდა ანგელოზს გაუმარჯოს!

129. დიდება ღმერთსა, დღესა დღესინდელსა

- დიდება ღმერთსა, დღეს დღესინდელსა,
 მზესა, მზისმყოლთ ანგელოზთა!
- დიდება დიდ კვირასა, მალლის ხთის მოკარესა!
 ხთისაგან გამარჯვება შენდა, შენის გამჩენისაგან!
- 5 სახმთო ბერო ბადუურო,
 წინა ჭიქა-ბარძიმზედა
 შენ გადიდას, შენ გაგიმარჯოს!
 მეორე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, წმინდაო ხთიშობელო.
- 10 მესამე ჭიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, კვირაო ხთისგან კარავიანო.

- აემ ჰიქა-ბარძიმზედა, შენ გადიდას,
და შენ გაგიმარჯოს, სახმთო-საბატეს მდგომო ანგელოზო.
აემ იქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
15 და შენ გაგიმარჯოს, პირქუშო პირცეცხლიანო.
აემ ჰიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
და შენ გაგიმარჯოს, გმირო კოპლავ, ლალო ლახტიანო.
აემ ჰიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას
და შენ გაგიმარჯოს, მთავარო მთავარანგელოზო.
20 აემ ჰიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
და შენ გაგიმარჯოს, წმიდაო ხთიშობელო ადგილის დედაო,
აემ ჰიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
და შენ გაგიმარჯოს, კვირია თელა-ნერგისაო.
აემ ჰიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
25 და შენ გაგიმარჯოს, სანება ახოსწვერისაო.
აემ იქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
და შენ გაგიმარჯოს, გიორგი წყაროსთავისაო.
აემ ჰიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას.
და შენ გაგიმარჯოს, ხელო სამძიმარო, ჯულიან-უჯულოთ
სალ:იკაკო.
- 30 აემ ჰიქა-ბარძიმზედა თქვენ გადიდასთ,
და თქვენ გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხთისანო, ხთიშობლისანო.
ხთისაგან გამარჯვება თქვენდა,
ხთისგან ნაკსენებო ანგელოზნო,
თქვენ დიდის შაძლებისა,
35 თქვენ დიდის გავედისა.
თქვენ თქვენი მორიგე ღმერთი გადიდებსთ,
გაძლიერებსთ, არ მაგიწყენსთ, არ მაგიძულებსთ.
თქვენ თქვენს მეხვეწურს, ჰიქა-ბარძიმის,
სანთელ-საწირის შამქსენეს,
40 კოღისა, ბადაგისა მამქსენეს ნუ მაიწყენთ.
თქვენთ ქსენება-დიდებას მეემატების,
სცევდი, ხფარავიდი ავი დლისად,
მწარი სიკვდილისად, მონისად, მავნისად .
შველდი, სწყალობდი მაგათ თავს ყუღროს ჯალაფობისა,
45 მაშერალ-ნამუშავლისა კაცისა,
საქონისა მეშველიმც, მწყალობელიმც იქნებაი.
მოგცას წყალობა ნაკსენებ ანგელოზთა სახლისა ყუღროთ
პატრონს.

130. წინას შინა-ბარძიმში

წინას შინა-ბარძიმში, მაღალი ღმერთო, შენ გადიდას.
მეორეს შინა-ბარძიმში, დიღო კვირეე, შენ გადიდას.
მესამეს შინა-ბარძიმში, წმინდა გიორგიე, შენ გადიდას.

- 5 აემ შინა-ბარძიმში, კვირე თელის ანგელზო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, ლალო-ლაბტიანო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, სანება კმელის-გორისაო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, თეთრო გიორგი მინდორისაო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, გიორგი ნაღვრისპირსაო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, გიორგის თავადო, კელო სამძიმარო, შენ
გადიდას.
- 10 აემ შინა-ბარძიმში, სანებო ახოსწერისაო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, ხთიშობელო ადგილის დედაო, შენ გადიდას.
აემ შინა-ბარძიმში, კმაღას თავარანგელოზო, შენ გადიდას!

131. პირველ შინა-ბარძიმშიდა

პირველ შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, მაღალო ღმერთო!

მეორე შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, კვირია მაღლიანო.

- 5 მესამე შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, გიორგი ნაღვრისპირისაო.
აემ შინა-ბარძიმშიდა თქვენ გადიდათ,
გაგიმარჯოსთ, კეესურეთელნო ხთიშვილნო.
გიორგიე, გიორგის ლაშქარ-აზანდო,
10 თქვენ გადიდათ, ღმერთმა გაგიმარჯოსთ.

132. წინა სანთელ-შინა-ბარძიმშიდა

წინა სანთელ-შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, მაღალო ღმერთო.

აემ სანთელ-შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, კვირაა ხთის კარზე კარავიანო.

- 5 აემ სანთელ-შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, ლუბისთავ ჰეგეტის ანგელოზო.
აემ სანთელ-შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს. ხთიშობელო.
აემ სანთელ-შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,
10 გაგიმარჯოს, სახმთო-სახატეს მდგომო ანგელოზო.
აემ სანთელ-შინა-ბარძიმშიდა შენ გადიდას,

- გაგიმარჯოს, პირქუშო ცეცხლის-ალიანო.
 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, გმირო კოპალავ ლალო ლახტიანო.
- 15 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, თავადო მთავარანგელოზო,
 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, ხთიშობელო ადგილის დედაო.
 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
- 20 გაგიმარჯოს, კვირაევ თელის ანგელოზო
 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, სანებაო აქოსწვერისაო.
 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, გიორგივ წყაროს-თავისაო.
- 25 აემ სანთელ-ქიქა-ბარძიმზედა თქვენ გადიდასთ,
 გაგიმარჯოსთ, ლაშქარნო ხთიშობლისანო.
 აემ ქიქა-ბარძიმზე, სანთელ-სალადებელზე შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, გიორგივ ნაღვრისპირისაო!

133. წინა ზიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას

- წინა ქიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, ღმერთო მალალო!
 მეორე ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ
 გაგიმარჯოს, კვირაევ ხთის შაკარვეო!
- 5 მესამე ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ
 გაგიმარჯოს, სახმთო ღუბისთავ სვეტის ანგელოზო.
 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, პირქუშო ცეცხლის-ალიანო.
 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას,
- 10 გაგიმარჯოს, პირქუშო ალვის ტანისად მყოლო ანგელოზო.
 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, პირქუშო მედერბასეო ანგელოზო.
 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა თქვენ გადიდასთ,
 გაგიმარჯოსთ, პირქუშ მოლაშერე-მორაზმენო.
- 15 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, თეთრო გიორგი მინდორისაო.
 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას,
 გაგიმარჯოს, გიორგი აზადო ჭაჭმატის ჭვარისაო.
 აემ ქიქა-ბარძიმითა, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას,
- 20 გაგიმარჯოს, თავადო მთავარანგელოზო!

ქრისტეო ლმერთო, დასწერე ჯვარი
 ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრათა.

ბალინჯსა, კავატსა, ძალს ხთისასა,
 სამართალსა კვირაისასა,

5 იმასთან ნაკსენებ ანგელოზთა!

დიდება ლმერთსა, მადლი ლმერთსა!

პირველ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა,
 თავითო-ნათაერთო ლმერთო, შენამც იდიდებო.
 შენ ძალი, შენ სამართალი.

10 აემ სანთელ-ჭიქა-ბარძიმი, შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, დიღო კვირეა ხთის მადლის მაკარვეო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ
 გაგიმარჯოს ლმერთმა, თავადო მთავარანგელოზო, რჯულიან-
 ურჯულოთ სალოცავო.

15 აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, მარიემ წმიდაო, დედაო ხთისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ
 გაგიმარჯოს ლმერთმა, კეხ-მენავედრეე ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ
 გაგიმარჯოს ლმერთმა, კელმწიფე ხთიშობელო.

20 სამით სანთელ-ჭიქა-ბარძიმი, შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, ბორაყ ალვის-ქრისად მყოლო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, კოპალავ წვერის ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

25 გაგიმარჯოს ლმერთმა, გიორგი მუხის ანგელოზო

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, გიორგი ნალვრისპირისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, გიორგი ნაკემ მაბურთალო ანგელოზო.

30 აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, გიორგი სომხოზ გორისაო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ლმერთმა, მედერბასეე ანგელოზო, უამის მამკლებო,

ლოცვა-წირვის მასმინარო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა შენ გადიდას-

35 გაგიმარჯოს ლმერთმა, ქვაბ-საკიდელზე მდგომო ანგელოზო.

აემ ჭიქა-ბარძიმი, სანთელ-სუფრითა თქვენ გადიდას-დ

გაგიმარჯოს ღმერთმა. მთავარანგელოზის ლაშქარნო.
დიდება ძალ ხთისასა, სამართალ კვირაისასა,
იმასთან ნაკსენებ ანგელოზთა!

135. წინა ჰიქა-ბარძიმიტა

- წინა ჰიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, მაღალო ღმერთო!
მეორე სანთელ-ჰიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, დიდო კვირეა.
- 5 მესამე ჰიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს ღმერთმა, ჯელმწიფე ხთიშობელო.
აემ ჰიქა-ბარძიმიშედა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, თავადო გორის ანგელოზო.
აემ ჰიქა-ბარძიმიშედა შენ გადიდას,
- 10 გაგიმარჯოს, ლალო განძის ანგელოზო.
აემ ჰიქა-ბარძიმიშედა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, კილდის გორს ზღუბლის ანგელოზო.
აემ ჰიქა-ბარძიმიტა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს, თავადო მთავარანგელოზო, რჯულიან-ურჯულოთ
სალოცაევო.
- 15 შავ სანთელ-ჰიქა-ბარძიმიტა გადიდას,
გაგიმარჯოს, ღმერთმა, გიორგი მეკენგორ მამურთალო ანგელოზო,
მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა,
კოპალავ წვერის ანგელოზო.
მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა,
- 20 კოპალავ წვერის ანგელოზო.
მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა,
გიორგი მუხის ანგელოზო.
მაგით თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა,
გიორგი ნაღვარ შშვენიერო.
- 25 მაგათ შენ გადიდას, გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა,
მედარბასეო ანგელოზო.
მაგით შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა,
ქვამ-საკიდლის ანგელოზო.
მაგით თქვენ გადიდასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა,
- 30 ხთიშობლის ლაშქარნო,
ხოდაბურჩი მორაზმენო ანგელოზნო.

სამი სანთელ-ქიქა-ბარძიმითა შენ გადიდას,
გაგიმარჯოს ღმერთმა,
ნაქარელა ზღუბლის ანგელოზო.

136. ღმერთმამ ადიდას შენი ძალი

- ღმერთმა ადიდას შენ ძალი, სამართალი
ამ ქიქა-ბარძიშზედა, სეფე-სანთელზედა;
კოდ-საფუარზედა, ნათელ-ბნელზედა, ღამისთევაზედა.
მიქელ მთავარ-ანგელოზო, შენ მეხვეწურთა საყმოთადა,
5 საგლეხოთადა, მაგათ თავისადა, ჯალაფობისადა.
მაგ ქიქა-ბარძიშზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს,
მიქიელ წყაროსთავისაო, მოძმე მიქიელისაო.
მაგ ქიქა-ბარძიშზედა გადიდას, გაგიმარჯოს,
კვირაო ძალო-ხთისაო,
10 ხთის კარზე მარჯულო საბამ-კარავიანო
გწყალობდესთა!

137. ღმერთო, გაუმარჯვი

- ღმერთო, გაუმარჯვე ღუმაცხოს სამღვთო მადალსა.
გაუმარჯოს წვერის ანგელოზს, შეეწიოს ყმათა და უყმოთა.
გაუმარჯოს წმ(ინდა) გიორგის წიფორისასა.
გაუმარჯოს კვირიას ხორციელს ხელუხლებელსა.
5 გაუმარჯოს მთავარანგელოზს.
გაუმარჯოს პირიშე ახალციხით მობრძანებულსა.
გაუმარჯოს ფუძის ანგელოზს,
ყმის მეშველს, უყმო ყმის დამშველლებელს.
გაუმარჯოს ჩოხის წმ(ინდა) გიორგის
10 ცირასებ ჩამობრძანებულს, ჩოხს დაბრძანებულს.
გაუმარჯოს ხახმატის ჯვარს, გიორგი მგზავრთ ანგელოზს.
გაუმარჯოს ღომისას ხორასანს ტყვეთა დამხსნელსა.
გწყალობდეთ, ხალხნო, ჩემი ხმის გამგონეო!

138. ღომისის სადიდებელი

- ღმერთო, დიდება შენთვინაო.
ღმერთო, შენთვინაო.
ღმერთო, გაუმარჯვეო დიდ ღომისასაო.
ხორსანიდან მობრძანებულსაო, შველა ათასი ტყვის დამხსნელსაო.
5 ქსნის და არაგვის დამყურებელს დიდ ღომისასაო!

ღმერთო, გაუმარჯვე ღუდის ყოვლად წმიდასაო,
ქვა-წულად მქცეველსა.

ღმერთო, გაუმარჯვე გერგეტის ხეთისშობელ დედასა.

ღმერთო, გაუმარჯვე ხადის მთორმეწამესაო,

10 იალბუზზე დაბრძანებულსაო.

ღმერთო, გაუმარჯვე, კიდავ ნაღვარევის წმიდა გირგისაო...

ღმერთო, კიდა გაუმარჯვე წითორის წმინდა გიორგისა...

ღმერთო, გაუმარჯვე გუდამაყრის სალოცავს ფუძის ანგელოზსა...

ღმერთო, გაუმარჯვე მთელი ქვეყნიერობის სალოცავებსაო...

15 იმათ ძალო და სამართალო, შენ უშველე მთელ საქრისტიანოსა!

ღმერთო, შენო ძალო და სამართალო, შენ უშველე საბურღუ-
ლოსაო.

შენ მხვეწარს, შენს მლოცავს, შენს მაქებ-მადიდებარსაო.

მშვიდობით ამყოფე, ხელი მაუმართე...

ლოცვა ჩენი,—რგება ღვთისაო!

20 შაგეწიოთ წყალობა მაღალ ღვთისაო!

139. დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა!

ღმერთო გაუმარჯვე ფუძის ანგელოზსა.

(გაუმარჯვე) დიდ პირიმზეს იალბუზზე ბრძანებულს,
უყმო ყმის მეშველს, ორი წყლის ბატონ-პატრონსა.

5 გაუმარჯოს ფუძის ანგელოზსა ჟამ-უჟამოდ მოარულსა,

მკლავსა იმისასა და ლახტს იმისასა.

გაუმარჯოს გმირსა კოპალესა

ფუძის ანგელოზის მოძმე-მომხრესა.

გაუმარჯოს დუმაცხოს სამღვთო მაღალსა

10 და თავის ყმა თდაშედავ წვერის ანგელოზსა.

გაუმარჯოს ფშარაველს მთას ლალსა,

წვერის ყარაულსა, თავის ძმათა და ყმათა ზედამხედველსა,
ჩენის ბატონ-პატრონის შემნახავსა.

გაუმარჯოს მაღაწალ წვერის ანგელოზს,

15 ჩენის ფშარავლის მოძმე-მომხრესა,

დიდ იალბუზზე ბრძანებულს

ძმათა ყმათ მოიმედესა.

იმათო ძალო, სამართალო ღვთისაო,

უშველე ნიკუასა, თავს გახვეწებს,

20 თავის ცოლსა და შვილსა,

რასაც გულზე და მხარზე გეხვეწებოდეს,
ისე უშველე, გაუმრავლე საქონელი, ხიზანი...

140. მოხეშური საღიღებო

- დიდება ღმერთსა და მოწყალესა.
დიდება ჰქონდეს სამებას ერთარსებას.
დიდება ჰქონდეს ბეთლემის ყოლაწმიდას.
დიდება ჰქონდეს ნინო წმიდასა.
- 5 დიდება ჰქონდეს ყირენის წმიდა გიორგის,
მაღალი მთებში დიდებულსა.
დიდება ჰქონდეს ოხარეშის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს ნათლისმცემელს.
დიდება ჰქონდეს კვირე ღვთის შვილსა.
- 10 დიდება ჰქონდეს ბახტრის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს ჯარკის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს შემღის ნათლისმცემელს.
დიდება ჰქონდეს ქუშეთ წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს ბურთუ სავანესა.
- 15 დიდება ჰქონდეს სპარსთ ანგელოზთა,
ჰოსეთით მობრძანებულსა.
დიდება ჰქონდეს ახალციხის ყველაწმინდას,
დიდება ჰქონდეს ღალანგის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს ყანანაზის წმიდა გიორგის.
- 20 დიდება ჰქონდეს არშის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს გარბნის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს მამა წმიდასა.
დიდება ჰქონდეს კობის წმიდა გიორგის.
დიდება ჰქონდეს ლომისა მთავარ-მოწამესა.
- 25 დიდება ჰქონდეს ღუდის ყველაწმიდასა.
დიდება ჰქონდეს ღუშეთის სამებასა.
დიდება ჰქონდეს ქალაქის ღვთიშობელსა.

141. პირიმზის საღიღებელი

ღმერთო, შენა ხარ სახსენებელი და ღმერთო შენა ხარ
სავედრებელი...

რამანაც ცანი დახურე და ქვეყნიერება შემოჰქმენდე!

ღმერთო, გაუმარჯოს სამბთოს მაღალსა...

ღმერთო, გაუმარჯოს ღუმაცხოს სამბთოსა...

- 5 ღმერთო, გაუმარჯოს კვირე ძრიელსა,

ბთის იასაულსა ზორციალთ კელუქლებარსა.

ღმერთო, გაუმარჯვე მთავარანგელოზსა,

მთავარათ სახსენებელსავედრებელსა.

ღმერთო, გაუმარჯოს კელმწიფეს პირიმზესა—ახალციხით

მობრძანებულსა

- 10 ღმერთო, გაუმარჯვე ფუძის ანგელოზსა,
ყმის მეშველსა, უყმო ყმის დამშველებელსა,
ცამდე მალასა და ზღვამდე მაგარსა...
ღმერთო, გაუმარჯვე ჩოხის გიორგისა,
ცირასევით ჩამობძანებულსა, ჩოხს დაბძანებულსა.
- 15 ღმერთო, გაუმარჯვე ქაკმატის ჯორსა,
გიორგის ნალორშვენიერსა.
ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისასა —
შეიდი ათასის ხოროშანთ ტყვის დამხსნელსა...
ღმერთო, გაუმარჯვე ლუდის ყველა წმიდასა,
ქვის წულათ მქცეველსა.

142. დიდება ღმერთსა და მაღლი ღმერთსა

დიდება ღმერთსა და მაღლი ღმერთსა.

დიდება ჰქონდეს წმიდა სამებასა.

დიდება ჰქონდეს ყინეარაში ბრძანებულთ ანგელოზთა.

დიდება ჰქონდეს ყირენის წმიდა გიორგის.

- 5 დიდება ჰქონდეს ქობის ბეთლემს.

დიდება ჰქონდეს ნინო ქართველთ განმანათლებელს.

დიდება ჰქონდეს კობის წმიდა გივარგის,

მგზავრების პატრონს.

დიდება ჰქონდეს ღთვება უცვალებელსა,

დიდება ჰქონდეს გარბნის წმიდა გივარგის.

- 10 დიდება ჰქონდეს ყანანაზის წმიდა გივარგის.

დიდება ჰქონდეს სპარსანგელოზს.

დიდება ჰქონდეს მთავარანგელოზს.

დიდება ჰქონდეს ნათლიმცემელს, ბაღღების პატრონს.

დიდება ჰქონდეს ხორხის და ბახტრის წმიდა გივარგის,

- 15 მწყემსების პატრონს.

დიდება ჰქონდეს მინდვრის წმიდა გივარგის.

143. თუშური ჯვარული

პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია,
მემრე ვადილოთ კვირაე, კვირაე კარაღეთისია,

- მემრე ვადილოთ ფიწალე, ლაშქრისა წინმღვარია,
 მემრე ვადილოთ კოპალე, კოპალე კარატისია,
 5 მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი ქაჟმატისია.
 მემრე ვადილოთ მარიაჲ, მარიაჲ დედა-ღვთისია,
 მემრე ვადილოთ თევდორე, თევდორე შავგვრემანია,
 მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი სახეოსია.
 მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი გომეწრისია.
 10 მემრე ვადილოთ ისრაილ, ისრაილ ბუქურთისია,
 მემრე ვადილოთ სანება, სანება საქარისია,
 მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი მუხრუენისია,
 მემრე ვადილოთ ჭიხალე, ჭიხალე ხისოს მთისია.
 მემრე ვადილოთ მიქაელ, მიქაელ ხეავგორისია,
 15 მემრე ვადილოთ გიორგი, გიორგი ლაშარისია.
 დიდნიმც ხართ, დიდებულიც ხართ, საქსენებელნო
 ღვთისშვილნო!

144. ძალო კვირანისაო

- მაღალო ღმერთო, შენ გეძახიან!
 ძალო ხთისაო, ძალო კვირანისაო.
 შენ გეხვეწების შიშია (სახელია, ვინც სახმთო-საკვირაოს იხდის).
 შენ შეიხვეწე, ოქროს ტახტში მჯდომელო!
 5 ოქროს ბურთის მსროლელო.
 ხორციელთ გამწესებელო!
 შენ არა მაგეკსენების კმელთაზეით,
 არც არა გამეგების მზე-მთვარით გამწესებულო!
 უფსკრულების მარსკვლავების გამშლელო!

145. ფირკისა

ღამწყები: ჰოი დიდება, ღმერთსა დიდებააა.
 პირველი ნახევარწრე—დიდება და ჩვენ სალოცავსაა.
 მეორე ნახევარწრე—დიდებაა, დიდება, დიდებააა და ჩვენ
 სალოცავსა.

- | | |
|------------|-------------------------------|
| პირველი | ჯერ პირველი ღმერთი ხსენებულა, |
| 5 მეორე | პირველად ღმერთი ვახსენოთ. |
| პირველი | ის უფრო დიდებულა, |
| მეორე | ეგ უფრო დიდებულააა. |
| პირველი | ეგ უფრო დიდებულა |
| მეორე | ყველაფთან და წილდებულაააო. |
| 10 პირველი | ჰოი დიდება სამხვთო მატალსა! |

- მეორე დიდება და სამხვთო მაღალსა!
 პირველი დუმაცხოს პაპავ მკედელოო
 მეორე დუმაცხოს პაპავ მკედელო.
 პირველი ჩადგი დუმაცხოს ქეითკირი
 15 მეორე, ჩადგი დუმაცხოს ქეითკირი.
 პირველი ალაღალეე ლალეო დაღალე
 მეორე აი დიდება ჩვენს სალოცავსა.
 პირველი კარგი გამოგყვა საეტლოო.
 20 მეორე კარგი გამოგყვა საეტლოო.
 პირველი კარგა მიწყოზ მხრებსაო.
 წამოძახილები: დიდება წვერის ანგელოზსა!
 დიდება ჩვენს სალოცავსა!
 პირველი დიდებაა და სალოცავსაა...
 მეორე ჰოი დიდება ჩვენს სალოცავსაა...
 25 პირველი ბატონი დაგხვდა ყმიანი...
 მეორე ბატონი დაგხვდა ყმიანი...
 პირველი რამ ჩამოგაგდო მკედელო...
 მეორე აი, რამ ჩამოგაგდო მკედელო...
 პირველი არალე ალაღალე დაღალე...
 30 მეორე ოი დიდება ჩვენს სალოცავსა...
 პირველი დიდება ჩვენ სალოცავსა
 მეორე აი დიდება ჩვენ სალოცავსაა...

(ასე გრძელდება მთელი ლექსი „დუმაცხოს პაპავ მკედელო“).
 ბოლოს:

- პირველი თუ გინდა კიდე ვიმღეროთ,
 35 მეორე თუ გინდა კიდე ვიმღეროთ.
 პირველი თუ გინდა დავათავოთო.
 მეორე თუ გინდა დავათავოთო.
 პირველი ეს ხატიჲ გამარჯვებისა
 მეორე ეს თქვენი დღეგრძელობისა.
 პირველი მცხეთა გათავდა კირითა
 40 მეორე თქვენი დუშმანი ჰირითა!..

146. დამწყალობება

ჯადება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა!
 ღმერთო, გაუმარჯვე დღესა დღევანდელსა!
 ღმერთო, გაუმარჯვე ზედაშის პატრონსა-

- მოსულან შენს კარზეა გულს კელ-დახვეულნი,
 5 შემოგძახიან შევლასა.
 უშველე ამითთ გასრულს კაცსა, საქონსა,
 მოლაშქრე, მონადირესა!
 უშველეთა-და შუაკაცად ჩამოუხვიდნიდით!
 გზა უკულმა აუქციდით ამათ მტერსა!
 10 ქირის ნამათრაქვეზე ლხინის წამალ დააყრიდითა!
 ნურას ჩამაგდებ ამათ სახლ-ყუდროში
 მტრის ქმასავ, სიკვდილის ქკვასავ!

147. მარიობის მობრძანება

- დღარ მარაშონაში მოზოჯუა,
 სქანი ტიბინი ქომუჩი სი,
 სოთ იშეველათი,
 ხუმელა გამილაღირი,
 5 ჯერღ გამგარ,
 გურ გამგარ,
 სქან ტიბინი ქომუჩი.

მარიობის მობრძანება

დღეს მარიობა მობრძანდება,
 შენი წყალობა მომეცი მე.
 სადაც ავიდე
 ხმელი გამინედლე,
 ნედლი გაამაგრე,
 გული გამიმაგრე,
 შენი წყალობა მომეცი!

148. ზეციერო ანთარო

ზეციერო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო,
 ჩემი საქონელი შენ გაამრავლე,
 ასობით ვიქერდე და არაფერი აკლდებოდეს,
 უშობელსა და ხბოიანს ვერ ვარჩევდე ისე!

149. ჯერეთ ვადიდოთ ლაშაი

ჯერეთ ვადიდოთ ლაშაი, ლაშაი თამარისიო,
 მერე ვადიდოთ კოპალე, კოპალა ფარსმის მთისიო,

მერე ვადიდოთ ფიწალე, წიფალე დოჰოს მთისია;
მერე ვადიდოთ ჭიხალე, ჭიხალე ზისოს მთისია.

150. პირველად ღმერთსა ვახსენებთ

პირველად ღმერთსა ვახსენებთ,
ის უფრო დიდებულია,
ქვესკნელიცა და ზესკნელიც
სულ მისგან აგებულია.

5 მერე ვახსენებთ ლაშარსა,
ლაშარიც დიდებულია!
ვინც ლაშარს ემსახურება,
სულ მუდამ მოგებულია.

მერე ვახსენებთ კოპალას,
10 დიდ ღმერთთან წილდებულია.



ნაწილი მეორე

უენიუვნები

და

პარიანტები



მზე, მთვარე, ვარსკვლავები

1. მზეო, ამოდი, ამოდი

ფართოდ გავრცელებული ლექსია. ბიბლიოგრაფია: „თეატრი და ცხოვრება“, 1914 წ., № 41; გ. ჯაბადარის წერილი „დიქცია“. კვლ. გვ. 7; ჩიქ. გვ. 19; სურ. გვ. 27; გოგ. V, გვ. 335 (აქ მას „ამომავალი მზე“ ეწოდება); სიხ. 1, გვ. 47; სიხ. საბ., გვ. 49, ჩამწ. აღ. მირაქიშვილი. ერთგან ამ ლექსს „მზე და სიკვდილ-სიცოცხლე“ აქვს სათაურად (ხალხ. შემოქმედება, 1928, გვ. 3). მოიპოვება ახალი იმერული ჩანაწერიც. ფ. არქ. 34941. მთქმ. ივლიანე თედორეს ძე ტუჯვაძე, სოფ. ზარათი, ჩამწ. თ. ოქროშიძე, 1951 წ., შდრ. ფ. არქ. 32887.

მკვლევართა მიერ განიხილება, როგორც მითითური შინაარსის ნაწარმოები (მ. კელენჯერიძე, ქართული ლიტ. ისტორია, 1, 1920, გვ. 7). ლექსი საგაზაფხულო-სადღეობოა და მზის საგალობელს წარმოადგენს. იმღერება ნადურის სახითაც, თუმცა როგორც სახალხო მთქმელები შენიშნავენ, იგი სპეციალური ნადურის ნიმუშს არ წარმოადგენს (ფ. არქ. 34941). ჩანს, მეორადი ფუნქცია გვიანაა შეძენილი.

ლექსი „მზეო, ამოდი, ამოდი“ მთლიანად უნიფიცირებული და ერთნაირი სახითაა გავრცელებული მთელ საქართველოში. მას ვარიანტები თითქმის აღარ მოეპოვება. თითქმისთქო, ვამბობთ, რადგან მცირეოდენი ვარიაციები, ერთგვარი კილოები მაინც შეიმჩნევა. ასეთია ჩვენს მიერ პირაქეთა ხევსურეთის უკიდურეს სოფელ ხახმატში, 1964 წლის 5 ოქტომბერს, ჩაწერილი ტექსტი. სხვაობა ლექსის მეორე ნახევარში შეიმჩნევა.

ა

მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორას,
კაცი სიცივეს მოუკლავ. გახენე, აგერ გორავსა.

მთქმ. მამუკა ხეთისოს ძე ალუდაური, სოფ. ხახმატი, ხევსური, 56 წლის, გზის მუშა. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, 1964 წლის 5 ოქტომბერი. ხევსურეთის სამეცნიერო ფოლკლორული ექსპედიციის მასალებიდან (ექსპ. ხელმძღვ. მ. ჩიქოვანი). ფ. არქ. ხ—192.

შენ.: გახენე—გახედე, დაინახე, მიხედე.

მამუკა ალუდაურმა მითხრა: ეს ლექსი ყველამ იცისო, მართალია ხევსური ინფორმატორის დასკვნა. სხვებთან ერთად, მასაც აღმღერის სახით ბევრჯერ მოუშენია გიორგის სახელობის ორივე ხატში, რომლებიც ხახმატში არსებობს, ერთი—სოფლის დასაწყისში, ბისოს ნახლობლად, ხოლო მეორე—სოფლის თავში, ველკეთილის მისადგომებთან.

იგივე სიმღერა 1964 წლის 7 ოქტომბერს სოფელ გველეთშიც ჩაწერეთ თათარა ივანეს ძე არაბულის თქმით. მამუკასეული ტექსტისგან განსხვავებით აქ „გახენეს“ მაგიერ „სულესკე“ იხმარება (ფ. არქ. ხ—192. ხეცსურეთის ექსპ. მასალები, №16). დასაშვებია ვიფიქროთ, რომ მზის ეს ოდინდელი საგალობელი მთაში იყოს შექმნილი, სადაც ღრმა ხეების ბუნებრივი ვითარება პრაქტიკულად სახავდა მზის ამოსვლის დაჩქარების აუცილებლობას. ერთ ხეცსურულ ლექსში, მაგალითად, ნათქვამია:

ბ

მზო, ჩამოდი ჩიქოსო, გორულთას რას ეფარებო,

ქალო ივანურთ ნაყვანო, წოვა-თუშს ნუ ეპირებო.

მთქმ. თათარა არაბული, სოფ. გველეთი, ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, 7, X.1964 წ. ფ. არქ. ხეცს. № 17.

მზის ეს საგალობელი ერთნაირად გასაგებია როგორც მთის, ისე ბარის ზონაში.

2. მზო, მზო

მზის სადიდებელი, რომელიც ფერხულის დროს სრულდებოდა გაზაფხულზე. ხახ. გვ. 12; ხურ. გვ. 28 (აკლია პირველი ტაეპი).

მკვლევართა აზრით, წარმართული სარწმუნოების ამსახველია და განიხილება, როგორც წესჩვეულებებთან დაკავშირებული მითოლოგიური ლექსი (ა. ხახანაშვილი, ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1, 1904 წ. გვ. 12). მოიპოვება ადრე, პ. უმიკაშვილის კოლექციაში დაცული, შორაპნის მაზრაში ჩაწერილი ვარიანტი, სადაც ცხვრის მაგიერ თხის დაკვლაზეა საუბარი (ფ. არქ. უმიკ. 1221). ჩვეულებრივ საქართველოს მთიანეთში ხატობის დროს სალოცავად ცხვარი ან კურატი ივლის (თხა—ციკანი//თიკანი დობილებისათვისაა განკუთვნილი). თხა უფრო დას. საქართველოს უნდა ახასიათებდეს და ეს ვარიანტიც ყოფ. შორაპნის მაზრაშია მოპოვებული, მაშასადამე, იმ ე რ უ ლ ი ა (ჩამწ. „შემკრები მეც ვიყო“). თხის შეწირვა ძველთაძველი რიტუალის ანარეკლია, ინდოეთში, მაგალითად, ღურგას გარკვეულ დროს თხას სწორავენ (ბენარესი). თხის შეწირვა იქნებ უფრო წარმართულიცაა; ხეცსურები მგელთუქმესა და ჩიტფაფობისას თიკანს ჰკლავენ და არა ცხვარს, უკანასკნელის დაკვლა გაბატონებულია ქრისტიანულ ან ქრისტიანიზებულ რიტუალში.

ა

როცა ცივა და მზე ღრუბლებში იმალება, პატარა მწყემსები ჩტიან და მზეს მოუწოდებენ:

მზეო, მოდი ვაქესა, ცხვარს დაგიკლავ მაქესა,
შეგიწოვ, დაგიმარილებ, შენ შეგაქმევე მარტოსა.
(ფ. არქ. 2040).

ბ

ახლა გავეცნოთ იმერულ ვარიანტს.

მზეო გამოდი ვაქესა, თხას დაგიკლავ მაქესა,
შეგიწვაე და შეგიბრაწვაე, წინ დაგიდგამ გობითა;
შენც გობითა, მეც გობითა, სწორა ამხანაგობითა.
(ფ. არქ. უმიკ. II 619).

იმერულ ვარიანტში ყურადღებას იქცევს კაცისა და მზის თანამეგობრობის მოტივი („შენც გობითა, მეც გობითა, სწორა ამხანაგობითა“). მგოსნის მიერ ღვთაება ადამიანურ ფორმაშია წარმოდგენილი და კაცთა შორის ცხოვრობს; ეს რწმენაც არ არის ახალი. იგი დარგობრივი მითოლოგიის დროინდელია. მაშასადამე, საერთოდ წინ უსწრებს ქრისტიანობას. ზოგი ჩანაწერი პირდაპირ მიგვითითებს ლექსის საწესჩვეულებო ხასიათზე. XX საუკ. 30-იანი წლების ხელნაწერში ერთგან აღნიშნულია: „წვიმის დროს ბავშვები მიმართავენ ხოლმე მზეს ამ ლექსით“ (ლიტ. მუზ. 8517—ხ, ყდა 95). ახალ ფიქსაციასში, სადაც ტექსტი ზუსტად იმეორებს ჩვენს ძირითად ტექსტს, გარდა ერთი შემთხვევისა (ტაბაკითა//ბაკითა), კიდევ არის შემორჩენილი ხალხური ნაწარმოების რიტუალური ბუნება — მზის საგალობლისა გამოამინდების მიზნით. აქედან ისიც ცხადია, რომ საქართველოში არა მარტო წვიმის მოყვანის, არამედ გამოამინდების, გამოდარების ლექს-საგალობლებიც არსებობდა ტაროსის ღვთაების მიმართ.

3. მზეო, გამოდი

ქართლი. ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, სიხ. საბ. გვ. 49; სიხ. ქრესტ. 1,48. ჩიქ. იგვ. 20. ლექსი მესაქონლეთა, მეცხვარე მწყემსთა შორისაა შექმნილი და მზის საგალობელს წარმოადგენს. ამაზე მიუთითებს მზის „ერდოში ჩამოსვლა“, „ბაკების განათება“ და ცხვრის დაკვლა-შეწირვით მნათობის გულის მოგება.

4. მვეყნის სანთელი

იმერეთი. ჩამწ. თ. ოქროშიძე, შთქმ. ივლიანე თედორეს ძე ტუქვაძე, სოფ. ზარათი. 1951 წ., ტყიბულის ექსპ. სიხ. ქრესტ., 1, გვ. 48, ნაბეჭდში უკანასკნელი ორი ტაეპი შეტანილი არაა. ფ. არქ. 34938.

შინაარსითაც და ფუნქციითაც ჰგავს ლექსს „მზეო ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“ (იხ. აქვე). იგი გვხვდება ნადურში თოხნის დროს (ქ. სიხარულიძე, ელ. ვირსალაძე, თ. ოქროშიძე, ქუთაისისა და ტყიბულის ექსპ. ანგარიში. ლიტ. ძიებ. VIII, 1953, გვ. 394—95). მთქმელებს ეს ლექსი ნადური სიმღერების შესათერისად მიაჩნიათ (ფ. არქ. 34938).

5. მზე ჩაღმა ჩამავალია

იმერეთი. სოფ. კურსები. სიხ. ქრესტ. 1, 48. მიჩნეულია ამინდთან და მნათობებთან დაკავშირებულ საგანათხულო ლექსად (სიხ. 1, გვ. 48). მოეპოვება სატრფიალო ხასიათის ვარიანტი:

მზე ჩაღმა ჩამავალია, ჩივა, ჩაწევა, ბუღესა,
საცა ლამაზი ქალია, ჩავეყონები უბესა.

(სიხ. ქრ. 1, 48).

პირველ წყაროში იკითხება „მზე აღმა ჩამავალია“, რაც ნაკლოვანია ჩანს (ალიტერაციული ბგერის ჩაყარდნის გამო). სრულდება სიმინდის თოხნის დროს ნადური სიმღერის სახით.

6. მზე შინა და მზე გარეთა

ბარ. გვ. 82; კელ. გვ. 8; ხურ. გვ. 27—28; კოტ. გვ. 6; ჩიქ. გვ. 20. პირველი ჩანაწერი გამოქვეყნებულია 1851 წელს „კავკაზში“ (№ 11).

„მზე შინაო, მზე შინაო“ მრავალჯერ იყო დაბეჭდილი და განხილული. 1. კრებულა, 1873 წ., № 7; ჩამწ. რაფ. ერისთავი. 2. დროება, 1882 წ. № 173. იხ. ზ. მთაწმინდელის წერილი: „ზოგი ჩვენი ამოდ მორწმუნეობის წესები“. 3. დროება, 1882, წ., №№ 264, 265. იხ. გლუნი ი. (ოსებ) დ. (დავითაშვილი): „ჩვენი ხალხის ცრუმორწმუნეობანი (სახალხო სატყვიერების მასალად)“. 4. ივერია, 1901 წ. № 166. იხ. აკაკი: „მცირე რამ ცნობა“, იგივე, ავ. წერეთლის თხზულებათა სრული კრებული, ტ. 14, გვ. 31, 1961 წ. გამოცემა. 5. ივერია, 1902, № 115. იხ. ა. ყუმისთაველი: „ქართული საეკლესიო გალობა“. 6. ივერია, 1909 წ., № 16. იხ. მ. ჯანაშვილი: „მზე“. ჩვენ მიერ აქ ძირითადად მიჩნეული ტექსტი მცირეოდენი განსხვავებით ჩაწერილი და დაბეჭდილი იყო სევ. გაჩეჩილაძის მიერ იმერული პოეზიის ნიმუშად (ხალხური სატყვიერება, 1, ექვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 34—35).

მზის საგალობელი მითოლოგიური ლექსია, რომელიც შემდეგ საძებრო სიმღერადაც გარდაიქმნა და ასეთა მითითებებიც აქვს ზოგ თანამედროვე გამოცემაში (ხურ., გვ. 27; ჩიქ. გვ. 20). ლექსის პანგისა და

მისი ძირითადი სიტყვიერი ტექსტის ძეგლის ჩვეულებაში გამოყენება მეორადი მოვლენაა, თავდაპირველად ეს უშუალოდ მნათობისა და მისი სახით ქალღვთაებისადმი უნდა ყოფილიყო მიმართული. ვ. კოტეტიშვილი ლექსის ამ მეორად ფუნქციას გასაზრავს ხოლმე: „აღნიშნული ლექსი ეკუთვნის ბავშვებს დაბადებისათვის განკუთვნილ წესს და იწოდებოდა გუნდის მიერ“ (კოტ., გვ. 287). მითოლოგიური სიმღერის საძეგობოში გადაზრდა ჩანს ლექსებში, რომლებიც აკვნის სიმღერათა ვარიანტებს წარმოადგენენ და კარგად არიან ცნობილი მათი ლატერატურული ვარიაციების მიხედვითაც (ი. ბატონიშვილი, კალმასობა, 1, გვ. 293). ლექსში ნაწილობრივ გვიანდელი საფეიქრო შრომის ელემენტებიც არის შეჭრილი. ასეთია, მაგალითად, პერანგის, კაბის შეკერვაზე მითითება, „ძილო რას მეძინებო“ და სხვ. ლექსის წმინდა საძეგობო და სააკვნო სამღერის ვარიანტები მოტანილი და განსილული იქნება საწესჩვეულებო პოეზიის კრებულში. ქართლის კარბული ვარიანტი (მთქმ. ეკ. ბიძინაშვილი, ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი) კონტაშინირებულია, მასში სულ მცირე სამა ფენა მაინც გამოიყოფა: ა) მზის ძველი საგალობელი, ბ) საძეგობო სიმღერა და გ) კვლავ მნათობისადმი მიმართვა:

მზევ, შემოდი ბაეხსაო, მზევ, შინ შემოდიო.

ცხვარს დავიკლავ მაქესაო, მზევ, შინ შემოდიო.

(კოტ. გვ. 6).

როგორც ჩვენი დროის მკვლევარები, ისე წინა თაობათა წარმომადგენლები ხშირად ეჭვობდნენ ქართული კულტურის ამ ღირსშესანიშნავ ძეგლს. „მზე შინა“ პ. კარბელაშვილს წარმართობის დროინდელ ღვთაებათა სადიდებელ ნაწარმოებად მიაჩნა. „ღღესაც იმ ღმერთთა, კერბთა პატივად შექმნილ საგალობელთაგან ბევრია დარჩენილი ქართლ-კახეთში: იავნანა, მზე შინა“... პროფ. შ. ალანიშვილი შენიშვნის გარეშე იმოწმებს ამ მოსაზრებას (ნარკვევები, 1, 1954, გვ. 91). ამავე შეხედულებას გამოთქვამს პროფ. გრ. ჩხიკვაძე („ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა“, გვ. 14). საბავშვო ლიტერატურის მკვლევარის ა. ლვინიაშვილის აზრით „მზეს ქართველი ხალხი სახავდა ქალ-ღმერთის სახით“, „მზე პერსონიფიცირებული იყო ქალის სახით“ (ნარკვევები, 1962, გვ. 109). ამგვარი კონცეფცია მთლიანად ემყარება ისტორიკოს ივ. ჯავახიშვილის დასკვნას. „მამასადამე, ხალხს მზე მხოლოდ და მხოლოდ ქალურ ღვთაებად ჰყავდა ნაგულისხმევა და წარმოდგენილი“ (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, 1950, გვ. 189). „მზე შინა და მზე გარეთა“ ამაჟამად აკვნის სიმღერად გამოიყენება და საბავშვო-სააღმზრდელო ფოლკლორულ რეპერტუ-

არში შედის. ლექსის საძეობო და სააკვნო ფუნქცია მეორადია, იგი გარკვეული ტრანსფორმაციის შედეგს წარმოადგენს. პართალია, მატრიარქატის პერიოდში ჩამოყალიბებული ქალღვთაების—მზის საგალობელი ნაწილობრივ იმთავითვე იქნებოდა დაკავშირებული შვილიერეზასთან, როგორც ნაყოფიერების განმასახიერებელი ქალღვთაების რიტუალური ლექს-სიმღერა, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც სხვაუნდა ყოფილიყო. ძეობისა და აკვნის სიმღერად „მზე შინა“ შედარებით გვიან იქცა, კერძოდ მის შემდეგ, რაც მზე-ქალღვთაების ადგილი სხვა ღვთაებამ დაიკავა, უფრო სახელოვანმა და შემოქმედმა (სპეციალურად აკვნის სიმღერებზე იხ. ფ. ზანდუკელის ნაშრომი, მაცნე, II, 1964 წ.).

უდავოდ ღრმა ცვლалებებისა და ტრანსფორმაციის ნიშნებს შეიცავს „მზე შინას“ ვარიანტები, რომელთა სრული სახით წარმოდგენას აქ არ ვაპირებთ, რადგან მათი სპეციალური განხილვა საწესჩვეულებო პოეზიის მასალებთან, სახელდობრ იავნანებთან დაკავშირებით არის განზრახული. გავიცნოთ რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუში.

„მზე შინას“ ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი გვხვდება ვ. ცვეტკოვის 1851 წელს გამოქვეყნებულ წერილში: „Гамнистева“ (ღამისთევა), Сирис-Куда (სირის კუდა)“. ავტორი აღწერს რა საძეობო დამისთევას, იქვე იძლევა ფერხულის შესრულების სურათსა და სამღერელ ტექსტს ლექსას სახით:

ა

	მზე შინაო, მზე შინაო, მზე ში[ნ] შემოდიო.	
	მზისასა და მთვარისა, მზე ში[ნ] შემოდიო.	
	იაგუნდის მარანშია,	—„—
	მინა დგას, ლალი ქვირსო,	—„—
5	შიგ ალვის ხე ამოსულა,	—„—
	იაღონი მხარსა. შლისო.	—„—
	მზე დაწვა და მთვარე შობა,	—„—
	ჩუჭნ ვაჟი დაგვბადებია,	—„—
	დუშმანსა ქალი ჰგონია.	—„—
10	ვაჟის მამა შინ არ არის,	—„—
	ქალაქს არის აკვნისათვის,	—„—
	აკვნის იარაღისათვის.	—„—

Кавказ, № 11, 1851

მოულოდნელ სათაურს ატარებს ზელნაწი. ინსტიტუტის არქივში დაცული ჩანაწერი:

ხმანი და შაბუჰნი

- მზე შინაო, მზე შინაო, მზეე შინაო.
 ვაჟის მამა შინ არ იყო, მზეე შინაო,
 სკეინჩა იყო ნაცვლად მისსა, მზეე შინაო,
 უმას ესმა კმა კიკიკისა, მზეე შინაო,
- 5 ჩასულიყო სანადიროდ, მზეე შინაო.
 აქ რას ისმენს, ეს არ იცის, მზეე შინაო,
 აქ რას ისმენ, ეს არისო, მზეე შინაო.
- ჩრემს მოჰკლავს, თავს მოიტანს, მზეე შინაო,
 მეხი ეცეს, თავს დაატანს, მზეე შინაო,
- 20 მეხი ვგონებ ვერ დაატანს, მზეე შინაო.
 ჩანაშის სახ. საქართველოს მუზეუმის A ფონდი*, 1762.
 ა. ლენინაშვილი, ნარკვევები, 1962, გვ. 122; ე. ვირსალაძე,
 ქ. სამონადირო ეპოსი, 1964, გვ. 150.

ამჟამად გამოხატულ საძეობო შინაარსს შეიცავს ლექსი, რომელშიაც ვაჟის დაბადებაზეა საუბარი და იმაზე, თუ რა მოუხდება ახალშობილის მამას (ყაბახი, ნადირობა, თეთრი კაბა, ცხენზე ჯდომა, ჯირითობა, ბურთაობა).

- მზეე-შინა [და მზე გარეთა], მზეე, შინ შემოდიო!
 უყვილია მამალსაო, მზეე, შინ შემოდიო.
 გათენდი თუ გათენდები, მზეე, შინ შემოდიო.
 მზე დაწვა და მთვარე შობა, მზეე, შინ შემოდიო.
- 5 ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზეე, შინ შემოდიო.
 ღუშმანსა ქალი ჰგონია, მზეე, შინ შემოდიო.
 ვაჟის მამა შინ არ არის, მზეე, შინ შემოდიო.
 ქალაქს არის აკენისთვისა, მზეე, შინ შემოდიო.
 ვაჟის მამას მოუხდება, მზეე, შინ შემოდიო,
- 10 თეთრი კაბა ატლასისა, მზეე, შინ შემოდიო.
 ცხენზე ჯდომა, ჯირითობა, მზეე, შინ შემოდიო,
 ყაბახს სროლა, ბურთაობა, მზეე, შინ შემოდიო,
 მზეე, შემოდი ბაკებსაო, მზეე, შინ შემოდიო.
 ცხვარს დავიკლავ მაკესაო, მზეე, შინ შემოდიო.
- (კოტ. 61, ლვ. 116).

საძეობოდ ქცეულ მზის საგალობელს მრავალი ვარიაცია გააჩნია. მისი ძირითადი ტექსტი, ასე ვთქვათ, ლეგენდა, ყველგან ერთნაირია თითქმას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კუთხეში მის გაგრძელებას, ადგილობრივი ელემენტების ჩართვის შემთხვევებს. რაც

შეეხება მისამღერ რეფრენს, ის უცვლელ სიდიდეს წარმოადგენს და 6-მარცვლოვანი ტაეპის სახე აქვს. ერთი ასეთ „ჩამატებული“, აკვნის მოსართავი სათამაშოების—„იარალის“ ხსენებით გამოირჩევა ერედვეული სიმღერა. აი ისიც:

დ

საქმოზო

- მზე შინაა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო.
უეივლა მამალსაო, მზევ. შინ შემოდიო.
მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ, შინ შემოდიო.
ვაეის მამაა შინ არ არი, მზევ, შინ შემოდიო.
- 5 ქლაქს არის აკვნისათვის, მზევ, შინ შემოდიო.
აკვნის იარალისათვის, მზევ, შინ შემოდიო.
უეიდნია, შინ ბრუნდება, მზევ, შინ შემოდიო.
ფარჩა-დიბაა, მელოგინე, მზევ, შინ შემოდიო,
აკვნის იარალსა კითხავს, მზევ, შინ შემოდიო.
- 10 ფარჩა დიბაას გაადასინჯავს, მზევ, შინ შემოდიო,
გადასინჯავს, კიდევ მოაწონს, მზევ, შინ შემოდიო“.
ჩამწ. ელ. ვირსალაძე, სოფ. ერედვი, შოქმელი ელისა-
ბედ ღვინაშვილი-ოსებაშვილი, კოლმეურნე. ღვ. გვ. 115—16.

ზოგ ვარიანტში ხაზგასმულია ვაეის დაბადება—მემკვიდრის გაჩენის პატრიარქალური წესი. მაგალითად, „აქ ვაეი დაბადებულა, დუშმანს ქალი ჰგონიაო“, არის ნათქვამი ფოლკლორულ არქივში დაცულ ჩანაწერში (ფ. არქ. 1215). მოვიყვანთ მთლიანად ამ ვარიანტს.

ე

მზე შინაო

- მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ, შინ შემოდიო!
მზე დაწვა და მთვარე შობა, მზევ, შინ შემოდიო!
ლალმა იაგუნდი შობა, მზევ, შინ შემოდიო!
აქ ვაეი დაბადებულა, მზევ, შინ შემოდიო!
- 5 დუშმანსა ქალი ჰგონია. მზევ, შინ შემოდიო!
ვაეის მამა შინ არ არის, მზევ, შინ შემოდიო!
ქლაქს არის აკვნისათვის, მზევ შინ შემოდიო!
აკვნის იარალისათვის, მზევ შინ შემოდიო!
საბან-არტახ-ზეწრისათვის, მზევ, შინ შემოდიო!
- 10 მზევ შინაო, მზევ შინაო, მზევ, შინ შემოდიო!
(ფ. არქ. 1215).

ს. გორგაძის ქრესტომათააში დაბეჭდილი ამ ციკლის მოკლე ლექსი უფრო საფეიქრო საქმიანობის წარმატებაზე მეტყველებს, ვიდრე შვილის შეძენასა და აღზრდაზე.

მზის საბალნოგელი

მზე შინა და მზე გარეთა, მზე, შინ შემოდის!
 უყვლია მამალსაო, მზე, შინ შემოდის!
 ძილო, რასა შეძინები! მზე, შინ შემოდის!
 გათენდი, თუ გათენდები! მზე, შინ შემოდის!
 ტანს პერანგი არ მაკვია, მზე, შინ შემოდის!
 მზე შინა და მზე გარეთა, მზე, შინ შემოდის!

(ლვ.გვ. 113).

ს. გაჩეჩილაძეს მზას საგალობელი ლოცვა ზე მო იმერეთში, სოფ. წვევაში ჩაუწერია და „ძველ საქართველოში“ გამოაქვეყნა (ტ. III). მას უკეთ აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი სახე.

ზ

ლოცვა მზისადმი

მზე შინა და მზე გარეთა, მზე, შინ შემოდის,
 უყვლია მამალსაო, მზე შინ შემოდის.
 გათენებულაო, მზე, შინ შემოდის.

გათენდი თუ გათენდები, მზე შინ შემოდის.

გათენებულხარო, მზე, შინ შემოდის.

5 ძილო, რასა შეძინები, მზე, შინ შემოდის.

მე საბრალოსაო, მზე შინ შემოდის!

ტანს პერანგი არ მაკვია, მზე, შინ შემოდის.

თითისტარო, კვირისტაო, მზე, შინ შემოდის.

ჩქარა დაბრუნდიო, მზე შინ შემოდის.

10 მალე პერანგს შევიკერავ, მზე, შინ შემოდის,

წითელ კაბას შევიკერავ, მზე, შინ შემოდის.

სანატრელსა, ფრიალასა, მზე, შინ შემოდის,

ჩქარა დაბრუნდიო, მზე, შინ შემოდის.

ძეობით გამოწვეული სიხარული და მამის სამზადისი ნაჩვენებია ა. ღვინიაშვილის დაბეჭდილ ერთ ლექსში, რომელსაც აქვე ვათავსებთ.

ც

მზე შინა

მზე შინა და მზე გარეთა, მზე, შინ შემოდის.

ვკეის მამა შინ არ არის, მზე, შინ შემოდის.

შინ არ არის, ქალაქს არის, მზე, შინ შემოდის.

აკენის სასყიდლად წასულა, მზე, შინ შემოდის.

5 უყიდნია, წამოსულა, მზე, შინ შემოდის.

შინაც მშვიდობით მოსულა, მზე, შინ შემოდის.

გიხაროდეთ, ქალბო, მზე, შინ შემოდით.
გიხაროდეთ ძეგბო, მზე, შინ შემოდით.

(ღვ. 114—15).

როგორც ვხედავთ, რთული რეფრენი „მზე შინა და მზე გარეთა“, „მზე, შინ შემოდით“ ყველგან ერთნაირად მეორდება. ყოველ მუხლს თან ახლავს „მზე შინ შემოდით“, რაც პოეტური სიტყვის განვითარების მეტად ადრინდელი საფეხურასთავის არის დამახასიათებელი. აქ რეფრენი უცვლელი, მყარი და მუდმივია; შესამჩნევად იცვლება მხოლოდ ლექსის ტექსტი, სასიმღერო მუხლები, თქმულება, ლეგენდა. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლექსის მელოდიური, ინტონაციური მხარე სანოტო ჩანაწერებას კვალობაზე (შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, 1, გვ. 195).

მზას კულტთან „მზე შინას“ კავშირის შესახებ მე-19 საუკუნეშიც იწერებოდა. ნ. გამრეკელს ეკუთვნის ქართული წარმართობის საყურადღებო შიმოხილვა, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა 1872 წელს (№ 48). ავტორს გამოყენებული აქვს ლექსი „მზე შინა“. აქ ის აზრია გატარებული, რომ მზე დედაა, მთვარე კი მამა. მთვარის ლაქები დედის ცომიანი ხელის ანარეკლიაო და სხვ. აი იქ დაბეჭდილი ლექსიცი:

მზე შინა, მზე გარეთა, მზე, შინ შემოდით.
ვაეის მამა შინ არ არის, მზე, შინ შემოდით,
ქალაქს არის აკენისათვის, მზე, შინ შემოდით.

(ეთ. არჯევანიძე, ანოტირებული ბიბლიოგრაფია გაზეთ „კავკაზში“ მოთავსებული ქართული ხალხური სიტყვიერების მასალისა, 1965, გვ. 54).

გამრეკელის ვარიანტი თითქოს არაფრით განსხვავდება რ. ერისთავისა და პ. უმიკაშვალის პუბლიკაციებისაგან.

7. მზა, მთვარე და ვარსკვლავები

მეგრული ხალხური ლექსია. პირველად გამოყენებულ იქნა ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართველი ხალხის წარმართული სარწმუნოების კვლევის დროს (ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1913 წ. გვ. 118; შესულია ამ თხზულებს ყველა გამოცემაში). ჩაწერა და ისტორიკოსს მიაწოდა კონდ. თათარიშვილმა (იხ. ი. ჯავახიშვილი, 1, გვ. 118, შნშ.). ლექსი ასახავს უძველეს რწმენას, რომლის მიხედვით ქართველ ტომებს მზე მდებრობითი საწყისის მქონედ მიაჩნდათ, მთვარე კი მამრობითისა. ჩანს, მზე ქალღვთების სახით ყოფილა წარმოდგენი-

ლი, რაც ძველი მითოლოგიის ადრანდელ საფეხურს ასახავს; ქალღვთაებანი მატრიარქატის დროინდელია და, მაშასადამე, უძველესნიც. აქ მოცემული ტექსტი აღებულია იმ თარგმანიდან, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ქართული ხალხური სიტყვებების ისტორიაში“ საწესჩვეულებო პოეზიის განხილვის დროს (ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952 და 1956 წ. გამოცემები, გვ. 267). „ზვიჩა-ზვიჩა მურიცხები“ ი. ჯავახიშვილის პუბლიკაციაში ასეა თარგმნილი: „სხვადასხვა ვარსკვლავები“ (ქართ. ერის ისტორია, 1, 1913, გვ. 118). იგივე მუხლი 1928 წლის გამოცემის მიხედვით კიდევ სხვაგვარადაა— „წვრილ-წვრილი ვარსკვლავები“ (ხალხ. შემოქმ., 1928, გვ. 3; ხურ., გვ. 27).

8. ლ ი ლ ე

ჩამწ. აკ. შანიძე, სოფ. ცხუმარი, 1923 წ., ზ. სვანეთი. სვ. პ., გვ. 314.

ფართოდ გავრცელებული ძველთა ძველი საგალობელია. დღემდე კარგად არაა გარკვეული ლექს-სიმღერის სტრუქტურა და ისტორია. ხალხური მუსიკის ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ იგი „ჰიმნია უმაღლეს ღვთაებზე“ (დ. არაყიშვილი, სვანური ხალხური სიმღერები, 1950, გვ. 22), ანდა არის „მზისადმი მიმართვა“ (გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, 1, 1960, გვ. X) და ასახავს ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმართულ კულტურას (გრ. ჩხიკვაძე, ქართული მუსიკა, საბჭოთა ხელოვნება, 1939, № 11, გვ. 13). ერთთავად აქ წარმოდგენილი ტექსტების ანალიზი, მუსიკალური და ეთნოგრაფიული მხარეების გათვალისწინებით, ნათელიყოფს ამ შესანიშნავი გუნდური სიმღერა-გალობის ნამდვილ ბუნებას. „ლილეს“ ტექსტი ჩვენამდე არ მოღწეულა უცვლელი სახით, მასში შექსოვილია სხვა დარგობრივ ღვთაებათა საგალობლებიდან მომდინარე ფრაზები (მაგ.: „დიდება თარგლეზერს“). თავდაპირველ ლექსში ალბათ არც შესაწირა ხარებისა და მათი ბულრაობის შესახებ იქნებოდა საუბარი. ხარი აქ კურატის მონაცვლე უნდა იყოს და არა ისეთი სამსხვერპლო მუშა საქონელი, რომელიც ხატის საძოვრებზე ჯოგებად დადის და მინდვრებს ამტკერებს.

სახელი ლილე//ლილა მხოლოდ მისამღერში გვხვდება, სასაუბრო ტექსტში ან ლეგენდებში არსად იხსენიება. საფიქრებელია, წარმართული ღვთაებისადმი მიმართვას შემდეგში დამატა ქრისტიანული ღვთაების სავედრებელი სტროფები (თარინგლეზერი, მთავარანგელოზი).

სახელდებით ლექსში მზე ნახსენები არაა, მაგრამ იგი პოეტური სახეებით უნდა იყოს გადმოცემული. ამნაირ მიმნიშნებელ ატრიბუტებად მოჩანს: „ოქროს სამკაულითა სავსე“, „ზღუდე ოქროსი“, „თასები მოიქროვილი“, „ოქროს სვეტი“; მის შესაწირ ხარებსაც ოქროს რქები აღგია და სხვ.

ჩანაწერების სიმრავლით ხასიათდება „ლილე“. პირველად იგი 1890 წელს გამოქვეყნდა „მასალათა კრებულში“, უშგულური ვარიანტის მიხედვით, შემდეგ კი 1917 წელს არსენ ონიანის ქვემო სვანეთში მოპოვებული ტექსტის საბით. ახლა ჩანაწერთა რაოდენობა ათს აღემატება, მუსიკალურის ჩათვლით (შეკრებილი ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა მიერ. იხ. ვ. ახოზაძე, ქართულ-სვანური ხალხური სიმღერების კრებული, 1957 წ., № № 82, 83). ქრონოლოგიურ თანმიმდევრობით გაციცნოთ დამახასიათებელი ნიმუშები:

ა

ლილა

- ვოიდა ლილა, ისევამ დიდაბინ გვოშია, ვოიდა ლილა ვო, —
 დიდება თარინგლეზარს,
 ოქერეშ სამკარინ გვოშია,
 ძღუდილ ჭეცხა დი ვოქრეში,
 5 სუფილ მეტყვეფე ოვ ჭარენა.
 ლალგენა ისგვი ქანარე
 მურგვორდ ხოგენახ შონდა გარ,
 ყიას ხარკედახ როენარე
 მახხფარ ზაგ'არ იყვა ჩხიელს
 10 ისლამ ბერიანთ ალსგეაჩნილი,
 ჰიძას მიჩეს ყორს ხაგენა,
 ლუნქროვე მიჩა თასარ ვოჰდ,
 ლეშკად მიჩა თეფარე,
 ლემურყევამ მიჩა ლალზიგალ!
 15 ხუნვას ზეყურეხ ლაჩუვარე,
 შდურვას ხაცხიზ დიმუცვარე,
 ალა ღერთემ ჩაგვამზურას.

ლილა

- შენი დიდებთაა სავსე,
 დიდება თარინგლეზარს.
 ოქროს სამკაულითაა სავსე.
 ზღუდე გერტყა ოქროსი,
 5 გადათხრილია შენი მოედანი.

- შესაწირავი შენი ხარები
 გარს შემორტყმია სეანტს.
 ყელზე ეკიდათ ევენები.
 მანხუარის ქელზე დაბტიან
- 10 ისლამ ბერიანთი (?) მობრძანებულა,
 თავის ძიძას მისდგომია კარზე,
 მოოქროვილი მისი თასები,
 მოქედლილი მისი თოფები,
 კოშკებიანი მისი სამოსახლო.
- 15 საძირკველთან ირმები წვებიან,
 ქონგურებს დიშუცვარე(?) არტყია.
 ეგ ღმერთმა დაგვლოცოს.

მთქმელი ბეგი ბეჯიძე, უშგული, ჩამწ. კ. დადემქელიანი. *Св. матерьялов*, 1890, X, განყ. 2. გვ. 31.

დადემქელიანისეული ვარიანტისგან განსხვავებით ქვემო სვანურ ტექსტს მისამღერი არ გააჩნია, მაგრამ ეს ჩამწერისა და გამომცემლის მიზეზით უნდა მომხდარიყო. როგორც წესი ლილე-ლილას ყველა ლექსს თითოეული მუხლის შემდეგ სტანდარტული მისამღერი მოსდევს.

ბ

- დიდებ-დიდებ თარიგქელას,
 ლელქერალედ ლიშედს გუშგვე,
 მაშედ გუშგვე ჭეა სგოჯილა!
 ძლუდი მურგვალდი ხაცხეპა,
- 5 სვეტი ვოქრეში ხაგენა,
 ისგან დიდებან გოში ლი,
 ჩხერაალაა მიჩა თასარე,
 თას ი ამჯარიეშ გოშილე,
 ლეშკადე მიჩა ავჯარე,
- 10 ლენქეჭა მიჩა მურყუვამე,
 ძირვას რიონი ხოგენდა,
 შდულვას შაურდენ ხაცხეპა,
 ლესგას ღეაშარი ხოყურდა,
 სარკი ლასგიდის ხოჩნნდა,
- 15 ლალგენა მიჩა ქანარე,
 მუქეარ ლეშკადილ ხარენახ,
 სუფილ მეტყვეფილ ხარენა,
 ზაგნიშ ზაგარნ იბირღველეხ,
 ლალცხატაა მიჩა გიცრალე
- 20 ზაგნიშ ზაგარნ იბაკქეველეხ.

- დიდება, დიდება თარიგქელას,
შევსებოვთ შეწვენას,
ის ბრძანდება ჩვენი მფარველი!
ზღუდე არტყია ირგელივ,
5 ოქროს სვეტი უდგას,
შიგნით დიდებითაა სავსე,
ჩხრიალა მისი თასებია
თასითა და აბჯრითაა სავსე.
მისი მოკედელი აბჯარი,
10 მისი წარბადახატული კოშკი
საძირკველთან მდინარე ჩაუდიოდა,
ქონგურს შავარდენი ვერტყა,
გვერდით ჯიხვები უწკა,
საყურებლად სარკესა სჯობდა,
15 მისი შესაწირავი ხარები.
მოკედელი რქები ჰქონიათ,
მოედანი გადაუთხრიათ,
დაბულრაობენ ქედიდან ქელამდე,
მისი შესაწირავი ვერტყები
20 ქედებზე რქენენ ერთმანეთს.

არსენ ონიანის წიგნიდან „ლუშნუ ამბვარ“, პეტროგრადი,
1917 წ., გვ. 27, მთქმელი მითითებული არაა.

გ

ლილე

- ისგემ დიდებინ გოშია,
დიდება თარინგლეზერის!
ზღჯრანლელ ლიშედს გუშგეეა,
ლიმზირ დიდებ ლურჯვარუ გვარ!
5 ძღვიდილდ ჭეცხვდა ოქვრანში,
ოქვრან სამჟვრინ გოშია.
ლალგენა ისგუ ქანარე,
მუქვარ ხავანდახ ოქვრანში,
იბირღველხ ზავნი-ზავარ,
10 სვიფილდ მეტყუფე ხეროლებ;
ლალგენა ისგუ გიცრარე,
მუქვარ ხავანდახ ყორყოჯანა,
იკვანხალეხ ზავნი ზავარ.
დიდებ ოთქვლ ყერის ისგვა!
15 ისგვა დიდებლ მამგვეშ ნიცხა;
ლიშედ ნიშგვეა სი ჭიცხანდელს,
ამ ლერსგვანთე გირი მურგვალდ.

ლილე

- შენი დიდებითაა საესე,
დიდება თარინგლუზერის!
შევსთხოვთ შეწვენას,
შესაწირი დიდება ჯერიანი გეჟონოდეს.
- 5 გარს ოქროს ზღულდე გერტყა,
ოქროს სამკაულით საესე.
შენთვის შესაწირავ ხარებს
ოქროს რქები ადგათ,
ბულრაობენ ქელიდან ქვლაძდე,
- 10 მოედანი გადაუთხრიათ.
შენთვის შესაწირავ ვერქებს
რქები აქეთ დაგრეხილი,
დააბოტებენ ქელიდან ქელამდე.
დიდება ძლიერებას შენასა!
- 15 შენს დიდებას არა გვირჩევენია რა;
შენ ჩვენი შეწვენა გერჩიოს;
სულ ასე წალმა გვატარე.

ჩამწერი სები გულედანი, სოფ. ლენჯერი, 1923 წ. სევანური პოეზია, 312—314.

ღ

ლილე

- დიღბ, დიღბ თარგლუზერანს,
ძლიდი ჯაცხები ოქერეში,
ოქერეში სამკალინ გოშია,
ლალგენა ისგვი ჯანარე...
- 5 ლალგენა ისგვი გიცრანლე,
მუქენარ ჯაგდღახ ოქერეში,
ისგვი ნბბრღვიმლე...
ლალგენა ისგვი ჯანარე,
სვიფილ მეტყოფი ჯეროლებ,
- 10 ნაბირღვიმლე ისგვა ჯანარეშ,
ლალგენა ისგვა გიცრალეშ,
სვიფილ მეტყოფი ჯეროლებ,
ისგვე ნბბრჯვიმლე
შდულუას ჯაცხები შაურდე
- 15 ხუნეას ჯიყურდა ლწიარე.

ლილე

- დიდება, დიდება თარგლუზერებს,
ოქროს ზღუდე გარტყია,
ოქროს სამკაულით სავესე.
შესაწირავი შენი ხარები:...
- 5 შესაწირავი შენი ვერძები,
ოქროს რქები გედგათ,
თქვენი ნაბულრავები...
შესაწირავი შენი ხარები,
გადათხრილია მოედანი,
- 10 შენი ხარების ნაბულრავები,
შესაწირავი თქვენი ვერძებისა.
მოედანი გადათხრილია,
თქვენი ნაბულრავები.
ქორგურზე შავარდენი გარტყია,
- 15 საძირკველთან ირმები წყანან.

მთქმელი სიმონ გასვიანი, ჩამწერი ვ. ბარდაველიძე, 1935 წ. კა-
ლა. ვ. ბარდაველიძე, „სევანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“, 1939,
გვ. 40.

ე

ლილე

- პოე -და ლილე და დიდება თარინგლა-
ზელის, ეოე -და ლილე, პო!
ისევანი დილაბინ გოში,
ძღვიდილდი ჭაცხიპი ეოქერეში
ლალგენე ისგვი ქანარე
- 5 მაჩხუარ ზავარ იბირღეღელხ
სვიფილდი მეტყვეფე ხეროლხ
ნაპირღეღალე ქანარეში;
ლალგენე ისგვი ფუკვარე
ზავნა ზავანი იკეზჩხიღელხ,
- 10 ლალგენე ისგვი გიცრალე,
კარკოლდაჲ ხავანდახ მექვარე;
ქაბეშხან ისგვი ლახვარე
ერსქანდი ი კეიცნარე უი გვეშაი;
სვიფი მეტყვეფე ჭეროლე
- 15 უსხვარეშე ნაძქანდალე.

ქოა -და ლილე და დიდება თარინგლა-
ზელის! ვოა-და ლილე. ქო!

შენი დიდებითაა სავსე.
ოქროს ზღულე გარტყია.
შესაწირავეი შენი ხარები

5 მაჩხთარის ქელზე ბულრაობენ;

მოედანი გადათხრილია
ხარების ნაბულრავები;
შესაწირავეი შენი ვაცები

ქელიდან ქელზე დააბოტებენ.

10 შესაწირავეი შენი ვერძები,

დაგრეხილი რქები ედგათ;

გარეთ შენი იალალები

არჩეითა და შუნითაა სავსე;

მოედანი გადაგიტყავებია

15 უსხების დაკვლით.

მთქმელი ნ. ნავერიანი, ჩამწერი მ. გუჭეჯიანი, მულახი, 1936 წ.
სვანური პოეზია, 314—316.

ლილე კლასიკური გუნდური სიმღერაა. მისი ვაჟკაცური გუგუნის
ბოლო დრომდე გაისმის ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებში.

9. მზისა და მთვარის ბაასი (ჟველაჲ კარგათ მაისხანეთ).

ივ., 1889 წ., № 275. ჩამწ. ვანო გომელაშვილი (ივანე გომელაუ-
რი). კ ა ხ ე თ ი, სოფ. ქვემო ხოდაშენი, ხელნაწ. ინსტ. H 1999 მ. ლექ-
სი მიეკუთვნება იმ ნაწარმოებთა წყებას, რომელიც მზისა და მთვა-
რის (ქალღვთაებისა და კაცღვთაების) დავას, ბრძოლას ასახავს. დაა-
თაურება ჩვენია.

მთვარის დაბადებას, გამოჩენას ხალხის გარკვეული რწმენა უკავ-
შირდება. მთვარეზე ბევრი რამაა დამოკიდებული: იწვევს ამინდის
შეცვლას, ხის დაჭიანებას და სხვ. ამის გამო მთვარეს სხვადასხვა რი-
ტუალს მიუძღენიდნენ. არსებობდა მთვარის სათვალავი. ახალ მთვა-
რეს თავისი სიმღერაც ჰქონდა. ზემოთ ნაჩვენები ლექსი აშკარა ურთი-
ერთობას ასახავს. მოიბოვება მზისა და მთვარის „ჩხუბის“, ურთიერთ
დავის ამსახველი სიმღერების ციკლი. ერთი ასეთი ნიმუში ჩაწერილია
ქ ა რ თ ლ შ ი კომპოზიტორ გ. სვანიძის მიერ, რომლის ტექსტი ხე-
ლოვნურ შთაბეჭდილებას ახდენს. ნოვიყვანთ აქ როგორც გარკვეული
რწმენის ამსახველ ნიმუშს.

მზისა და მთვარის ჩხუბი

— რამდენი ხანია გითელი, რას დახეტილობ ღამე,
 თუ შენ კაი სულისა ხარ, თვალი რათ დაახამხამე?
 მოიკრიფევი ეგ ქეუა, ნულარა ხარ ეგრე ანცი.

- მიკვირს შენი გაბრაზება, რად არა ხარ ჩემთან ტყბილად,
 5 ისეთი რა დაგიშავე, რომ გაგიხდი გასაკილად?!
 მე ჩემი დრო-ჟამი ვიცი, ვიცი, თუ რა გავაკეთო;
 კუზი გამოისწორევი—შეიბრალე გლეხი კაცი!
 თორემ გასაქანს არ მოგცემ, მოგცემ წამალს მათრობელას.
 ჩემ სხივების სიციხვლით, გლეხკაცს არ მოვაკლებ შევლას!
 10 ზოგს თუ გზასა გავუნათებ, ზოგის უნდა ეანელოთო!
 შენ ხომ მაინც არ გავივა ჩემთან ჩხუბი და ქიშპობა,
 გირჩევ კვლავ არ ამიწეწო, ჩვენი ამდენი ხნის ძმობა!
 (სვ., 28)

მთვარის განახლებას გამომამინდებაც მოსდევს ძველი რწმენათა
 ამაზე მიუთითებს შემდეგი ტექსტი:

ბ

მეორე დღეს ამოვიდა, ამოცურდა ცაზე მთვარე,
 შეეხედე და შემომხედა—სულით-გულით გვიხარე! (სვ. 28)

მთვარეს ქართლში სხვა სამღერეელიც ჰქონია:

ბ

მეორე დღეს ამოქუშდა ის უემური ყეყე მთვარე.
 შეეხედე და შემომპყიტა, სევდით გული დავიღარე (სვ. 29).

ჩამწერის განმარტებით „ამოშუქდა“-ს პირქუშზე იტყვიან, ყეყე—
 დოყლაპიას ნიშნავს. არსებობს სანოტო ჩანაწერი (სვ. 174).

10. მზი და მთვარე (ნათელმა მთვარემა ბრძანა)

იბეჭდება ხელნაწერების ინსტ. H 1999 გ მიხედვით. გამოქვეყნე-
 ბულია სხვადასხვა დროს: „ნათელმა მთვარემა ბრძანა“, ივ. 1887 წ.
 № 145, ჩამწ. ს. ღონღაძე; ივ., 1909 წ. № 16; მ. ჯანაშვილი „იმზე“,
 ნაკადული (მოზრდილობათვის), 1912, № 11. მ. ჯანაშვილი „საქართვე-
 ლო“; კოტ. 1961 წ. გამოც., გვ. 191; ქართლი, თონეთი. მთქმ. მ. მან-
 ველიშვილი, ჩამწ. ქართველი ოსებში (ნ. ბაკურაძე); გოგ., V, გვ. 411;
 ხურ., გვ. 27; ჩიქ., გვ. 19—20; სიხ., 1, გვ. 16; ზალხ. შემ., 1, გვ. 3.

მოიპოვება უახლოესი დროის ტექსტუალურად ერთმანეთთან ძლიერ ახლო მდგომი ჩანაწერები. ქართლური ვარიანტები:

1. „მთვარემა თქო პირად ბადრმა, ძალიანა ვკობნი მზესა“, მთქმ. ვანე პეტრეს ძე ირემაშვილი, სოფ. კავთისხევი, ჩამწ. თ. კუკავაძე, 1961 წ. ქართლის ექსპ. ფ. არქ. 167, გვ. 104. 2. „ნათელმა მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვკობივარ მზესა“, მთქმ. ვანა კაპანაძე, სოფ. ახალქალაქი, ჩამწ. ბ. სივსიავაძე, 1961 წ. 14. VII. ქ. ექსპ. ფ. არქ. ქ. 73, გვ. 328. 3. „მზისა და მთვარისა“ (ნათელმა მთვარემა ბრძანა. ბევრით ვკობივარ მზესაო). მთქმ. ზურაბ სიღამონიძე, სოფ. ოკამი, კასპის რ., ჩამწ. ს. ბახია. 21. VII. 1961 წ. ქ. ექსპ. ფ. არქ. ქ. 69, გვ. 119. 4. „მზე და მთვარე“. მთქმ. გრაგოლ შუკაკიძე, სოფ. ოკამი, კასპის რ. ჩამწ. თ. კუკავაძე, 1961 წ. ქ. ექსპ. ფ. არქ. ქ. 67, გვ. 150. 5. „მზე და მთვარე“. მთქმ. ნ. ტეტუნაშვილი, ს. ტირძნისი, გორის რ. ჩამწ. ა. ასანიძე, 23. VII. 1961 წ. ქ. ექსპ. ფ. არქ. ქ. 70, გვ. 157.

ქახური ვარიანტები: 6. „ნათელმა მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვკობივარ მზესაო“. მთქმ. ქ. ნარინდოშვილი, სოფ. შრომა. ჩამწ. ი. ძამიაშვილი, 6. IV. 1960 წ. ფ. არქ. 13417. 7. „ნათელმა მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვკობივარ მზესა, ადგა, დაწერა წერილი, მზესა ქალსა მიართევსა“. მთქმ. გ. ოქრომკვედლიშვილი, ს. ნაფარეული, ყვარლის რ. ჩამწ. დ. წერედიანი. II. VI. 1961 წ. კახ. ექსპ. ფ. არქ. კ. 5, გვ. 458. 8. „ნათელმა მთვარემა ბრძანა“, მთქმ. სონა ყუფთარაშვილი, სოფ. ნორიო. ჩამწ. ნ. კოტეტიშვილი, 1961 წ. კახ. ექსპ. ფ. არქ. კ. 12, გვ. 22. 9. „ნათელმა მთვარემა ბრძანა“, მთქმ. რობინზონ ვარლამის ძე გივიაშვილი, სოფ. ახალსოფელი, ყვარელის რ. ჩამწ. ნ. შაქრიაშვილი, 1961 წ. კახ. ექსპ. ფ. არქ. კ. 46, გვ. 658. 10. „მთვარემა თქო პირნათელმა ბევრით ვკობივარ მზესაო“. მთქმ. ა. ტაბლიაშვილი, სოფ. ნორიო. ჩამწ. ს. ქეთელაური, 23. V. 1961 წ. კახ. ექსპ. ფ. არქ. კ. 6, გვ. 86. 11. „მთვარემა თქვა მშვენიერმა: ერთხელ მეცა ვკობდი მზესა“. მთქმ. ა. სტატიტაშვილი. სოფ. წნორი, სიღნაღის რ. ჩამწ. გ. შეთეკაური, 17. VII. 1962. კახ. ექსპ. ფ. არქ. კ. 115, გვ. 45. 12. „ნათელმა მთვარემა ბრძანა“. მთქმ. ვარო ვახტანგის ასული ალადაშვილი, სოფ. ჭერემი, გურჯაანის რ. ჩამწ. ნ. ჯავაშვილი, 1962 წ. კახ. ექსპ. ფ. არქ. კ. 145, გვ. 5.

იმერული ვარიანტები: 13. „მზე და მთვარე.“ მთქმ. ე. ტაბატაძე, სოფ. ხევი, ხარაგოულის რ. ჩამწ. ლევ. ტაბატაძე, 26. XI. 1934 წ. ლიტ. მუხ. 20023-ბ, ყდა 332, გვ. 37. ზელნაწერს ახლავს შენიშვნა: „ეკ. თურქაძის ჩაწერილი „ღამის მეტრე“ დამახინჯებულია და ლექსის ნამდვილი სახე ასეთიაო, და მოჰყავს ცნობილი ტექსტი. არც

ეს ვარიანტია კანონიკური, მასში კონტამინაციის კვალობაზე ჩართულია ტოროლას გავრცელებული ლექსი“.

ტოროლას მიხედვით არ მოკლამ ბევრიც რომ მქონდეს წამალი;
საწყალი ღამის მეხრეა, ის არის იმის მამალი.

ლექსი მთავრდება ცისკრის მოსვლით, აკლია შუქურ-ვარსკვლავის გამოსვლა. 14. „გუთნის ლექსი“. მთქმელი რუხიაშვილი გიგო ნიკოძე, ჩამწ. ნ. შამანაძე. ფ. არქ. 165, გვ. 6. მთქმელის შენიშვნა: „ეს ლექსი როცა მოვიგონე ღამის მეხრე ვიყავი ფუთანზეო“, „მოგონება“ კი არა, გაგონებაზეა ალბათ ლაპარაკი. 15. „მზე და მთვარე“. მთქმ. სესიკაშვილი თალიკო ივანეს ასული, ჩამწ. ნ. შამანაძე, ფ. არქ. 165 ბ. გვ. 81, 16. „მზე და მთვარე“, მთქმ. ბობლიაშვილი მამუკა გიორგის ძე, სოფ. უკანა ფშავი; ჩამწ. ნ. შამანაძე, 1964 წ.

არსებობს ამ სიმღერის საანოტო ჩანაწერი ალ. ხადელიშვილის შენასრულების მიხედვით, რომელიც რობერტ ლახს მოუპოვებია პირველი მსოფლიო ომის ჯარისკაცთა რეპერტუარის კვალობაზე: Robert Lach. Gesänge russischer Kriegsgefangener. III. Georgische Gesänge. Wein und Leipzig. 1928. № 52, გვ. 40. იწყება: „ნათელმა მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვჯობივარ მზესსაო“... მთავრდება: „ხალათი გამოუცვალეს, კარგი ჩოხა ჩააცვესა“.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთნაირი, ან ძლიერ ახლოს მდგომი ტექსტების გავრცელებას მწიგნობრული ტრადიციაც უწყობდა ხელს. ლექსი ხშირად იბეჭდებოდა სახელმძღვანელოებში მე-19—20 საუკუნეების მანძილზე (ი. გოგებაშვილი, ს. გორგაძე, პ. კელენჯერიძე, ვ. ხუროძე, მ. ჩიქოვანი, თ. ბეგიაშვილი, ქ. სიხარულიძე). ვარიაციულობის მიზეზი ერთი მხრივ დაეიწყება, რასაც მთქმელებიც აღიარებენ ზოგჯერ. ასე, მაგალითად, კახეთის ფოლკლორული ექსპედიციის დროს ნორიოელმა მთქმელმა კოლმეურნე ა. ტაბლიაშვილმა შემკრებ სულხან ქეთელაურს განუცხადა: „მზე-მთვარის ლექსი ძრიან დიდი იყო, მაგრამ მე აღარ მახსოვსო“ (ფ. არქ. კ. 6, გვ. 86). დაბეჭდილი ტექსტები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, გარდა რამდენიმე გამოთქმისა. ასე, მაგალითად, ძირითად ტექსტში იკითხება: „ერთი მაზარა უბოძეს“... ვ. კოტეტიშვილის კრებულში ეს ადრე გამოქვეყნებული ადგილი შემდეგი სახითაა დაბეჭდილი: „ერთი ნაბადი უბოძეს“ (ასევე, სიხ. 1, გვ. 47). ხალხურ ჩანაწერებში, სადაც კი ეს მუხლი გვხვდება, ყველგან „მაზარაა“ ნახსენები (ფ. არქ. ქ. 73, გვ. 328; კ. 145, გვ. 4; ლიტ. მუზ. 20023-ხ, ყდა 332), ასეა ზოგ გამოცემაშიც (გოგ., V, 411, ჩიქ. 20). წაკითხვათა ვარიანტულობა სხვა ადგილ-

საც შეიმჩნევა: „მივრეკავ ხარსა“—„მივრეკ საქონელსა“ გოგ., V, 411 ქ. 67, გვ. 104; ქ. 73. გვ. 328; ქ. 67. გვ. 150; ქ. 70, გვ. 157; ფ. არქ-13417. ჩანს 1961—62 წწ. ქართლში ჩაწერილი ტექსტები გოგება-შვილის „ღედა ენის“ გავლენის ქვეშ იმყოფებიან). „ზენა ქარი მი-ართმევსა“—ზენა ქარი მიათრევსა (გოგ., V, 411; კ. 12, გვ. 220: ლიტ. მუზ. 20023-ხ, ყდა 332, 1934 წ.), „ზენა ქარ გააფრენსა“ (ფ. არქ. კ. 6, გვ. 86)—მოაფრენსა (ქ. 67, გვ. 104). „ღამე მავალია ესა“—ღამით მავალია ესე (გოგ., V, 411; ფ. არქ. კ. 145, გვ. 4), უმთავრესი განსხვავება ახალ ჩანაწერებში მოცულობითი ხასიათისაა. აქვე მოვიყვანთ უფრო თავისებურ ჩანაწერებს, რომლებსაც მთქმელის შემოქმედებითი კვალი ამჩნევია.

დავიწყოთ ქ ა რ თ ლ ი დ ა ნ. 1934 წელს შოთას კულტურული ლაშქრობის დროს გაზეთ „კოლექტივიზაციის“ რედაქციამ მცხეთიდან მიიღო ხელოვნური იერის მქონე ტექსტი, ჩამწერია ვ. მეგულოვი, მთქმელი არა ჩანს.

ა

მზე და მთვარის საუბარი

- მზემ უთხრა მთვარესა: მე გჯობიარ ღამესა,
ყველანი მე მაქებენ, ვინც ღელამიწაზე ცხოვრობენ.
მთვარემ უთხრა მზესა: მე ვანათებ ღამესა,
გლეხსა და მესხრებსა—გზას ვუშუქებ იმ საწყლებსა.
- 5 მზემ უთხრა მთვარესა: მე მუღამ ვანათებ ღლესა,
ყველა დიდი და პატარა, გადიან სამუშაოთა.
მთვარემ უთხრა მზესა: მართალი ხარ შენცა,
ხან ისე ამოხვალ შენა, მთლად აახმოზ მცენარებსა.
- 10 მთელი ღამე გაყინამ, მთლათ აახმოზ სუყველაფერსა.
მთვარემ უთხრა მზესა: შენი გამხმარი მცენარეები
ღამით ვაგრილე შენა, მცენარეებს სიცოცხლეს უმატებ.
მზემ უთხრა მთვარესა: მართალი ხარ შენცა,
შენი გაყინული მცენარეები—ღლით ვათბობ შენცა.
- 15 მთვარემ უთხრა მზესა: უერთმანეთოთ ჩვენ
ვერ გაეძლებთ ერთ ღლესა, რალას იტყვი შენა?
მზემ უთხრა მთვარესა: რასა ბოღამ შენა,
ურემოთ კი ვერ გასძლებს, რაც ღელამიწაზე ცხოვრობსა.
მთვარემ უთხრა მზესა: რასა მიტევ შენა,
- 20 მეც იმათინ საქარო ვარ, ღამეს უშუქებ საწყლებსა.
მზემ უთხრა მთვარეს; კიდევ ბოღამ შენა,
უშენოთ კი გასძლებენ, ურემოთ კი ვერა.
(ლიტ. მუზ., 20009-ხ, ყდა 42, 1934 წ. იენისი).

ახლა ვნახოთ კ ა ხ ე თ შ ი მოპოვებული ტექსტები:

ნათელმა მთვარემა ბრძანა

ნათელმა მთვარემა ბრძანა, ბევრით მე ვჯობივარ მზესა,
დაჭდა და წიგნი დასწერა, ზენა ქარი მიართმევსა.
ეს რომ მზეს მიუვიდეს, მზე ძალიან გაჭაერდესა:

—მე და ვარ და ის ძმა არის, რათ ვძულდებით ერთმანეთსა.

- 5 აბა ვკითხობთ ღამის მეხრეს, თუ ტყუილი არის ესა.
ღამის მეხრე დაიბარეს, უღვაშებზე ისვამს ხელსა;
—დაჯეჟი ბიჭო, სწორეთ სთქვი, თორემ მოგცემთ სატანჯველსა.
დასეეს და ალაპარაკეს, მეუფე ყურს დაუგდებსა.
—მე უმზეოთ კი ვერ გავძლფ, ღამით კი გავტეხავ ბნელსა;
- 10 დღისით შევხვერავ ბალახებს, ღამით მივრეკ საქონელსა.
გათენებისას ცისკარი მიგუნგულობს, თავის ტყავსა მიათრევსა.
კარგი პანჩური უჭირეს და უკანვე გააგდესა.
შუქურ ვარსკვლავი მობრძანდა, ის ძალიან დაათურესა.
ხალათი გამოუცვალეს, კარგი ჩოხა ჩააცვესა,
- 15 ღვინოზე კაცი გავზვენეს, ორივე შაარიგესა.

მთქმ. ქ. ნარინდოშვილი, სოფ. შრომა, ჩამწ. ი. ძამიაშვილი. ფ. არქ. 13417.

1962 წლის სამეცნიერო ექსპედიციამ მოიპოვა ასე თუ ისე „დამოუკიდებელი“ ვარიანტი, აი ისიც:

მთვარემა თქვა

მთვარემა თქვა მშვენიერმა, ერთხელ მეცა ვჯობდი მზესა,
მოციქულებმა გაუგეს, ეს სიტყვები მზესთან თქ(ე)ესა.

მზემ ეს სიტყვა გაიგონა, ძალიან გაჭაერდესა;

—მე და ვარ, ის—ჩემი (ძმა), რად ვძულდებით ერთმანეთსა!

- 5 ღამის მეხრე დავიბაროთ, ფიცისა ვკითხობთ მასა.
დაიბარეს ღამის მეხრე, ფიცხლა ბიჭი მოვარდესა,
უღვაშებზე ისვამს ხელსა.
—აბა, შვილო, სწორედა თქვი, თორემ მიგცემთ სატანჯველსა.
— მე უმზეოთა ვერ გავძლფ, იგრეე გავტეხ ღამე ბნელსა.
- 10 დღისით ბალახსა გავთიბავ, ღამე მოვლავ ხარებსა,
ცისკარი მოძუნძულდება, მოათრევდა ღურა ტყავსა,
ჭკრეს ხელი და გააგდესა, პოლიციას ჩააგდესა,
გათენების ხანა მოდის, ეგ ხო კაცს არას არგებსა!

მთქმ. ა. სესიტაშვილი, სოფ. წნორი, სიღნაღის რ. ჩამწ. გ. შეთე-კაური, 17. VII. 62. ფ. არქ. კ 115, გვ. 45.

მთქველია თუ ჩამწერის მიზეზით ხელნაწერ ტექსტში წერია: „მე და ვარ, ის ჩემი და“, უკანასკნელ სიტყვას ვასწორებთ: „ძმა“.

მზა და მთვარი

მთვარემა თქო პირნათელმა: ბევრით ეკობიჯარ მზესაო.

დაქდა და წიგნი ღაგურა. ზენა ქარ გააფრენსაო.

ქაჭთ ხელმწიფემ წაიკითხა, მზე ძალიან გაჭაერდესაო:

—მე და ვარ და ის ძმა არი, რათ ვძულდებით ერთმანეთსაო.

5 ავი ამინდი რო დადგეს, ის ხომ ვერ დააშრობს გზებსაო.

ციუნა კაცს ვერ გაათბობს. თუ არ დაანთებდეს ცეცხლსაო.

თუ ეს სიტყვა ტუილია. ვკითხოთ ღამის მეხრეებსაო.

ღამის მეხრე დაიბარეს, უღვაშებზე ისვამს ხელსაო.

—დაჭექ, ბიჭო, სწორათა თქვი, თორემ მივცემთ სატანჯველსაო.

10 დასევს და ალაპარაკეს. მეუფეიც უგდებ ყურსაო.

—მე უმზოდ ვერა გაეძლებ, ღამეს კი გაეტეხავ ბნელსაო.

ცისკარი მოჩანჩალობდა. თავი ტყავსა მათრევესაო.

შუქურმასკვლავი მობრძანდა, ის ძალიან მიიღესაო.

ხალათი გამოუცეალეს, კარჭი ჩოხა ჩააცვესაო.

(მზე-მთვარი ლექსი ძრიან დიდი იყო, მაგრამ მე აღარ მახსოვს. მთქმელის შენიშვნა — ს. ქ.).

მთქმ. ა. ტაბლიაშვილი, სოფ. ნორიო, კოლმეურნე. ჩამწ. ს. ქეთელაური, 23. V. 1961 წ. კახეთის სამეცნ. ექსპ. ფ. არქ. კ. 6, გვ. 86.

II. ახალი მთვარი

იბეჭდება ფ. არქ. 2047 მიხედვით.

საწესო ლექს-მიმართვაა. მას წარმოთქვამენ ახალი მთვარის დანახვის შემთხვევაში. ზალხის რწმენით, როგორადაც ახალ მთვარეს ნახავ, იმგვარად გაატარებ მთელ თვეს. მითოლოგიური წარმოდგენით მთვარეზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის ბედი. ამის გამო მოულოდნელი არაა, თუ ახალ მთვარესაც თავისი ლექსი აქვს. აქ არაა უი ასეთ რიტუალურ ტექსტს „ახალ მთვარესთან შეხვედრა“ ეწოდება და ვარიანტების სახითაა ფიქსირებული. აი ისინიც:

ახალ მთვარესთან შეხვედრა

მთვარე ვნახე ნებაზე, ჩვენსა გახარებაზე.

—მთვარე, რა მოგვიტანე?—თავი მთელი, გული მთელი,

ხელნაქმარი ხეაერიელი, ჩემი ნაშად-ნარიგები,

მიწის უხეაერიელესი, თაფლის უგემრიელესი.

მთქმელი ნოღაიდელი ფეროზი ხასანის ასული, 65 წლის, ქობულეთის რაიონი, სოფ. წყავეროკა. ჩაწერა ჯ. ნოღაიდელმა 1934 წელს. (ჩამწერის კოლექციიდან).

აჭყვის თავში ჩაწერილ ლექსში დოვლათიანობის ატრიბუტები უფრო გამრავალფეროვნებულია.

ბ

მთვარე ვნახე ნებაზეო, ჩემსა გახარებაზეო.

—მთვარევ, რა მომიტანე?—წელი მთელი, გული მთელი.

ხელნაქმარი ხეაერიელი, მიწათ უხეაერიელესი.

ჩემი სკივრი გააფსე, მტერისა თვალი დააფსე.

მთქმელი: რ. რ. ანანიძე, 68 წლის, სოფ. აჭყვისთავი. ქობულეთის რაიონი. ჩამწ. ნ. ცქიტიშვილი, 1963 წ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი.

თუ ერთი ჯგუფის ნაწარმოებები მთვარესთან ნათესაობის მოტივებს გადმოგვცემს, მეორეში მთვარის ადამიანთან კეთილმეგობრული დამოკიდებულება მეღვანდობა, წყალობის გაცემის ფორმით.

ახალი მთვარის ლოცვა რუსულადაც გამოქვეყნდა ფონ დერ ნონეს ჩანაწერის მხედვით. ეს უკანასკნელი განსხვავებულ წაკითხვასაც იძლევა:

გ

მთვარე ვნახე ნებითა, ჩემსა გუნებაზედა,

პურის ცომი ღვიანი, საქმე ბარაქიანი.

იხ. Кавказ, 1872 წ. № 67.

ნონეს ტექსტში სწერია: „პური, ცომი“. ვფიქრობთ, აქ „პურის ცომი“ იქნებოდა. 1872 წლისა და ფ. არქ-ის ტექსტები ერთმანეთს მნიშვნელოვნად ემთხვევა.

12. ზივას ვიჟავ

ჩამწ. ერ. მაჭარაძე, სოფ. ივანდიდი, ქუთაისის მაზრა. იმერეთი უმიკ. 711, 1964 წ. გამოცემა. ბიბლ: კრებული, 1873 წ. № 7, ჩამწ. რ. ერისთავი; ნაკადული (მცირეწლოვანთათვის), 1905 წ. № 16.

ლექსში კონტამინირებულია ცაში მოგზაურობის ზღაპრული მოტივი. მას სატრფიალო იერიც დაჰკრავს, გამოიყენება აკვნის სიმღე-

რებში. უმიკ. არქივში დაცულ დედანში რამდენიმე განსხვავებული ფორმა გვხვდება, ვიდრე დაბეჭდილშია: თვარე—მთვარე, დვენახე—დავენახე (უმიკ. 1316), ზოგჯერ—დავენახეს—დავემძრაჲე—ცვლის.

13. მთვარეს კაცი მოაგზავნა

მთქმ. ხელთუბნელი ქალი. ჩამწ. გ. თუმანიშვილი, თბილისი 1870—71 წწ. იგივე, ხევი, ჩამწ. მიხ. ჩქარეული, 1884 წ. უმიკ. 710.

უქანასენელი მუხლას (დაბეჭდ. 1937 წ. გამოც.) „ვეკრავდიო“—ს ვასწორებთ დედნის მიზედვით: „ვეკმსამდიო“ (ახალი, 1964 წლის გამოც., გვ. 172).

14. მზის დაბნელება

ჩამწ. ა. გორგაძე, იმერეთი. უმიკ. 430.

ლექსი აქ შემოგვაქვს მზის მოვლენების უქანასენელი პერიოდის ასახვის თვალსაზრისით. მზის დაბნელება, როგორც ცნობილია, ასახულია აგრეთვე ქართულ დრამატურგიაშიც (ზ. ანტონოვი). დაბეჭდილ ტექსტში სწერია: „გვიპატრონოს“, ხელნაწერშია: „გვიპატიოს“, „გამოაცხადეს“—„გამომაცხადეს“, „დედამიწასა“ — „დედასამიწასა“ (უმიკ. 430, ფ. არქივ.). მზის დაბნელების შესახებ საქართველოში რამდენიმე ლეგენდა არსებობს. მისი პირველი ფიქსაცია „ქართლის ცხოვრებაში“ მოხდა, შემდეგ კი სხვა საერო ხასიათის ძეგლებში (იხ. მ. ჩიქოვანი, ვეფხისტყაოსნის მითოლოგია. ყ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 11 1962 წ.).

15. ბათენებისა მასკვლავი

ჩამწ. ვ. ბიბილაშვილი, სოფ. კარალეთი, ქართლი. ივერია, 1890 წ. № 6. გვხვდება სხვა ჩანაწერთა შორისაც: ივერია, 1890 წ., № 258, შემქრ. ნაქარმაგვეელი (ვ. ბიბილაშვილი). ჯეჯილი, 1913 წ. № 9, გვ. 494; ჩამწ. ნ. კეცხოველი, სოფ. ტყვიავი.

16. მზის რომ მთვარე გამოუორდა

თვითჩამწერი ვასილ მუსელიანი, სოფ. მაზა, ქვ. სვანეთი. ფ. არქ. 23322 (ა. ხინთიბიძე, აღზრდის იდეები ქართ. ხალხ. შემოქმედებაში. 1963, გვ. 32—33).

ქრისტიანიზებული ლექსია, სადაც ცის სხეულებთან ერთად ღმერთი და ანგელოზები მოქმედებენ, ბოროტ ადამიანს სატანჯველით აშინებენ.

მთქმ. გ. ლიქოელი, სოფ. ბარისახო, ხევსურეთი. ჩამწ. შ. გოზა-
ლიშვილი, 1925 წ., არქ. 33270.

მიეკუთვნება იმ ციკლის ლექსებს, რომლებშიც გადმოცემულია
ცისა და ქვეყნის, მზისა და მთვარის, წლის დროთა თუ თვეების შე-
ჯიბრი, კამათი, გაბაასება. ამგვარი ტიპის ლექსები ლიტერატურაშიც
არის ცნობილი (თეიმურაზი). თავისი ტიპით ლექსი არაა ახალი.

18. დილის მზე

ივ., 1890 წ. № 6, ჩამწ. ვ. ბიბილაშვილი, ს. კარალეთი, ქართლი.
ხელნაწ. ინსტ. H 1999.

სასიძლერო ლექსია მზის ციკლიდან, რომელსაც სატრფიალო ხა-
სიათიც აქვს. მოიპოვება მე ს ხ უ რ ი ვ არიაცია ქ. ახალციხეში ჩაწე-
რილი ნიკო გაბრიელის ძე ასათიანის მიერ (კოტ. გვ. 7). განსხვავებას
იძლევა პირველი მუხლი: დილის მზე დაბნეულიყო//ცაზე მზე დაბნე-
ლებულა. აზრობრივად ორივე ვარიანტი დასაშვებია.

ცაზე მზე დაბნელებულა, მთვარე აყრიდა შაქარსა,
მთვარე ნუ აყრი შაქარსა, არავინ მოგცემს მაგ ქალსა.

ი. ჯავახიშვილს ეს მოკლე ლექსი მზისა და მთვარის სქესის და-
სადგენად აქვს გამოყენებული: „ამ ოთხმუხლედის უკანასკნელი სტრი-
ქონითგან ირკვევა, რომ ცაზე დაბნელებული მზე, რომელსაც მთვარე
შაქარს აყრიდა, ქალი ყოფილა, ხოლო რაკი იქვე ნათქვამია, რომ
„მთვარე... არავინ მოგცემს მაგ ქალსა“-ო, ცხადი ხდება, რომ პირი-
ქით, მთვარე ამ ოთხმუხლედში ვაჟად არის ნაგულისხმევი“ (ქართ-
ველი ერის ისტორიის შესავალი, I, 1950, გვ. 189).

19. შუაშრ პარსკვლავი

გოგ., V, 211. ი. გოგებაშვილი აღნიშნავს ხალხურიად. ჩაწერილი
უნდა იყოს მის მიერვე ქართლში. დაიბეჭდა „დედა ენაში“, 1876 წ.
ლექსი ვარსკვლავთა, ძველი წარმოდგენით—ადამიანების დაძმების,
სადიდებელს წარმოადგენს. შუქურ-ვარსკვლავი როგორც ლირიკული
გმირი თავს იჩენს აგრეთვე ლექსში „მზე და მთვარე“, ხშირად
იხსენება პროზაშიც.

მთქმ. ივანე ხაჭვანი, 45 წლის, ს. უშგული, ზ. სევანეთი, ჩამწ. ვ. თოფურია, 1927 წელი. სვ. პ., გვ. 318.

ბარბალეს სახელზე დღეობა არსებობდა დას. საქართველოში, რომელსაც ბარბალობა ეწოდებოდა და განსაკუთრებით ხელშესახებად სევანეთსა და ლეჩხუმში შემორჩა. ბარბოლ-ბარბალობა სევანებს დღეობის თავად მიაჩნდათ; წლის მანძილზე დღეობების გამოთვლაც აქედან წარმოებდა (ვ. ბარდაველიძე, სევანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1939, გვ. 1). ხალხს კარგად აღარ ახსოვს ამ ქალღვთაების პირველადი ფუნქცია. სავარაუდებელია, რომ მისი სახით მზე ღვთაების გადანაშთთან გექონდეს საქმე (ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941, გვ. 102—03). სალოცავი ტექსტების მიხედვით ბარბალეს უმთავრესად საქონლის გამრავლებას სთხოვენ. აქ მოტანილ ლექს-საგალობელში ლამარიაც იხსენება, ვითარცა ქალღვთაებანი მათი ფუნქციები ურთიერთშერწყმულია; ეს ფოლკლორული ტექსტებითაც თვალსაჩინოდ ირკვევა.

მორიგე, კვირია, დალი, სამძივარი, ლაზარე, ოროვილი, გონჯა

21. მორიგე ლმერთო

მთქ. წიქა ლიქოკელი, შატილი, ხევსურეთი. ჩამწ. თ. ოჩიაურა 1945 წ. თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. 1954 წ., გვ. 43; მისივე, მთიბლურთა და ხმით ნატირალთა ურთიერთობის საკითხისათვის. მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960, გვ. 175.

ქადაგის მიერ ხახმატის ჯვარში წარმოთქმული ტექსტი, რომელიც პოეტურად არის გაფორმებული და 10 მარცვლოვან ლექსს წარმოადგენს. ამგვარი ნაქადაგარი ტექსტები ზეპირად ვრცელდება და მტკიცე ფორმასაც ინარჩუნებს. თვითონ ეს ლექსნაქადაგარი ხახმატის ჯვრის სამძივარ-ხელ ყელდილიანის სახელითაა თქმული, ქადაგ მაიას მიერ ელჩობის მიზნით. მაიას ნაქადაგარი წიქა ლიქოკელს დაუხსწავლია და ჩვენამდე მისი მეოხებით მოაღწია. მთქმელ-ინფორმატორი აცხადებს: „ერთ დიაც იყვის, იმის ქადაგობა მქონდის დასწავლილი. მუჟიდის ჯვარი, მაია ექვინისად: მორიგევე ღმერთო, გეხვეწებო“... (თ. ოჩიაური, უძვ. სარწ., გვ. 43). ამ ნაქადაგარს ფუნქცია მთავარი ღვთაების მორიგე//მერიგე//მარიგისგან წყალობის გამოთხოვასთან

ერთად, გამწყრალი ხატის გულისმოგებაც იყო. ამგვარი ტექსტები არ წარმოადგენენ სუფთა ინდივიდუალურ მოვლენას, მათ ჩამოყალიბებაში უნარის დამახასიათებელ რიტმსა და „რითმასთან“ ერთად ტრადიციული ფორმულებიც თამაშობდნენ საგრძნობ როლს. ტექსტები ზოგჯერ გაბმით—პროზაულად არის დაბეჭდილი (თ. რჩ. დასახ. ნაშ. გვ. 43), მაგრამ საკმარისია რიტმიულ ტაქტებად დალაგოთ, რომ ლექსი გრაფიკულადაც გამოჩნდეს.

22. დალი (დალილღ)

მთქმ. ბიზარუყვ ხვინთელანი, სოფ. ლატალი. ზემო სვანეთი. ჩამწ. ბესარიონ ნიუარაძე. 1881 წ. სვ. პ., გვ. 270—73. სვანურიდან სიტყვა-სიტყვითი თარგმანი აქ, და სხვა შემთხვევაშიც, შესრულებულია რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნ. თანამშრომლის დ. წერედიანის მიერ.

პირველყოფილი დარგობრივი მითოლოგიის ამსახველი ლექსია მონადირეთა წრეში შექმნილი. დამახასიათებელია, საკუთრივ დალის ლექსი არ გვხვდება მონადირის მონაწილეობის გარეშე. დალი და მონადირე განუყრელი პერსონაჟები არიან ამ ჯგუფის ნაწარმოებებისა. თავისთავად ეს გარემოება უკვე მიუთითებს მათ არქაულ კავშირსა და სიახლოვეზე. მართლაც, როგორც პოეტურ, ისე პროზაულ თქმულება-გადმოცემებში და ჩვეულებებში დალის სახელი ყოველთვის რომელიღაც მონადირესთან არის შეტოლებული. თითქმის ყველა გამოჩენილი მონადირე ამ საოცარი სილამაზის მითიურ არსებასთან უთუოდ რაღაც მხრივ არის დაკავშირებული; ან მისი კეთილისმყოფელი და მადიდებელია, ან მიჯნური და ნამალევი თანამეცხედრე, ან გამედანებული სატრფო და დალისაგან განწირული. სვანური ხალხური წარმოდგენით დალი ნადირთა ბატონია, მათი მწყემსი და გამრიგებელი. დალი მატრიარქატის დროინდელი ქალღმერთია, გარკვეული ფუნქციითა და სამოქმედო ასპარეზით. მშვენიერი დალი მიუვალ კლდეებში ცხოვრობს, ალპიურ ზონაში მოქმედებს, იქაა მისი სამწყისო-საბადებელი. ტყის მხეცები დალს არ ექვემდებარებიან, მის გამგებლობაში შედის მაღალი მთის კეთილშობილი ცხოველები: ირემი, არჩვი, ჯიხვი, შუნი. მრავალრიცხოვანი ჯოგები დაუდის იალაღებზე ოქროსნაწნავეებიან ქალღმერთს და დღემუდამ თავზე დასტრიალებს. რაკი დალი მაღალი მთის ცხოველებს მფარველობს, მასთან პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ იმ მონადირეებს, რომლებიც მთებში მოგზაურობენ და „დალის საქონელს“ ხოცავენ.

დალის ციკლის ნაწარმოებები რელიგიურად წარმოადგენს ამ ღვთაების ყველა ძირითად თვისებას. დალი ერთი არაა; ისინი მრავლ-

დებიან და ადამიანური წესით მშობიარობენ. ძეობის დროს ისე ჰკივიან, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი და სამრევლოშიც მარტოვდებიან. დალი დასახლებულ ადგილებს გაურბის, მისი საყვარელი სამყოფი ფრიალო კლდეა. ეს ლექსიც ასე მიუვალ კლდეს აგვიწერს ქალღმერთის სამშობიაროდ. კეთილშობილ ნადირთა მწყემსს მტაცებელი მხეცები მტრობენ. მგელი გამოქვამულთან დარაჯობს, რათა ჩვილი ყრმა გამოხტაცოს. მართლაც, ყველა ლექსის მიხედვით მგელი ახერხებს ჩვილის გატაცებას, მაგრამ გზაზე გადაეღობება ან დაეწევა მონადირე, რომელიც მგელს სიცოცხლეს მოუსპობს, ყრმასაც ვადაარჩენს და დედას დაუბრუნებს. დალი ოქროს ნაწნავებით აიყვანს კლდეზე ბავშვს და სამარადისო კეთილისმყოფელად ექცევა უცნობ მონადირეს. „ჩემი სალოცავი შეეწიოს ჩემს მშველელ მონადირეს! მონადირევ, თუ რამე სათხოვარი გაქვს, მთხოვე და შეგისრულებ“, მიმართავს ქალღმერთი მოკვდავს. თავმდაბალ მონადირეს ქალღმერთი თვითონ განუმარტავს, რის მოთხოვნა შეუძლია სანაცვლოდ: გერჩიოს, დედობა, გერჩიოს—დობა, გერჩიოსდა სიყვარული. თუ ამ სამიდან არცერთი არა ჰსურს, მაშინ ნადირობის ბედს ჰპირდება: „თუ არადა ყოველ სექტემბერს მოგცემ რვა ისეთ ჭიხვს, სამი მტკაველი რქა რომ ექნეს; ყოველ ბარბარობას შეიდ ჭიხვს, წვრილ არჩვს კი—ყოველ კვირას“. ამითაც არ კმაყოფილდება ხელუხვი ღვთაება: „ყველა მონადირეს, რომელიც შენი გვარის იქნება, მარჯვენა მხარში ამოვუღებო!“

ასეთია ადამიანთა მოკვთე დალი. ამგვარია მისი საუყუეთესო დამოკიდებულება მონადირეებისადმი. ამნაირად, დალი მატრიარქატის დროინდელი ღვთაებაა, ალბიურ ფაუნასთან ერთად ნადირობის საქმის გამგებელი. ამის გამო მას თავყანს სცემდენ, გარკვეულ საკულტო რიტუალს უსრულებდნენ მონადირეები, განსაკუთრებით ახალწლის დღესასწაულის დროს. ერთი ამგვარი მითიური სცენა ვერცხლის საამისზეც არის გამოხატული შუა ბრინჯაოს ხანაში (მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1, 1959, გვ. 106—119; დ. ხახუტაიშვილი, უფლის ციხე, II, 1970).

დალის კლდეში მშობიარობა სვანური ფოლკლორის საყვარელ თემას წარმოადგენს. ჩვენ ამჟამად ხელთ გვაქვს რამდენიმე განსხვავებული ლექსი, რომელთა ტექსტები დამოუკიდებელი ნაწარმოების დონეს აღწევს ერთსა და იმავე სიუჟეტზე. ისინი ჩაწერის თარიღების კვალობაზე დავალაგეთ და ორენოვანი სახით შემოვიტანეთ კრებულში. მიზანდასახულობით ასეთი ლექს-სიმღერები სათავგადასავლო-რომანტიკულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ, კულმინაციას კი მონადირეობის

რისა და ნადირობის ქალღმერთის ბედნიერი შეხვედრა შეადგენს. ძირითად ტექსტად ამჟამად ის ჩანაწერი მივიჩნით, რომელიც ყველაზე ადრინდელია და სვანური ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნის ბესარიონ ნიჟარაძის (თავისუფალი სვანი) მიერ არის მოპოვებული (ამ უკანასკნელს შესახებ იხ. ალ. რობაქიძის ნაშრომი ბ. ნიჟარაძის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებზე დართული, 1962 წ.). მონადირე მთაში წასასვლელად ემზადება, დედა საგზალს უმზადებს, მუხლმაგარი ვაჟკაცი საყვარელ ქედებისაკენ მიიჩქარის, სადაც საკვირველი შეხვედრანი მოელის.

მონადირის ბედნიერებას შეხარის სახალხო მგოსანიც ალი დავითიანის ფიქსირებულ ლექსში. აქ მონადირის ხელობა, გამბედაობა და მთათმსვლელობა აღფრთოვანებული ქების საგანს წარმოადგენს. „ნეტავი შენ, მონადირე კაცო“,—დასაწყისშივე მიმართავს კუთხვა თოფით შეიარაღებულ ვაჟკაცს მგოსანი და ყოველგვარი შემზადების გარეშე იწყებს მგლისგან გატაცებული ჩვილი ყრმის თავგადასავლის გადმოშლას. ჩვენც ამ ვარიანტს აქ სრულად წარმოვადგენთ.

ა

მითხვან მარე

- 'ვო. ბედნიერ მეთხვან მარე|
 'ლწხვართ' ესხრი მუბეირ ტეიბას,
 ბარჯას ჟასდა კუთხვა თეფი,
 სგებინ ლაახვიდ თხერე განგაფ,
 5 თხერილს ჩინჩელიდ ჳწუფუ ხელეფ.
 —თხერილ, ჩინჩელიდს მი დო მაჳედო|
 —უდგარდგ მიშგვა დწს მოშ ხეაჳედო|
 —დაგრა ისგვი უგარჯგ გეშ ლი.
 კიხ ათლანე კუთხვას მიჩა,
 10 თხერილს ჩინჩელიდ უმბლწრ ოთშჳწდო
 მეთხვარდ ე'ანკიდ, კალთწს ლწჳქენ,
 ლეჳქ'ესაგან, მინდერ ლეჳქვა.
 მინდერიშ წგსხა კოჳარხენჩუ
 კწფუ-კწფუდ ლილწწლ ახგმდ.
 15 —შწ როჳ ტუწრ-ბედნიერ სგეჳი?
 მწ როჳ ხწყრა, მწს როჳ ხელწწლ?
 —ჳი ლალ როჳ ლი კოჳწშ დწლგლდ.
 ლუთი ლწწწილას რომ ლგმწრდ,
 თხერილს ჩინჩელიდ როჳ ოთჳქითა.
 ' 20 მადილშე გეში ხოჩა მეთხვან,
 ეჳ თხერილ როჳ ხოწვა მაუ?

- ეჭ თხერილ როქ მიჩ ოთდაგრა.
 დწლგლდდ ლაცეწმ ყათარ ხაჯიდ,
 ჩუ ანქვიქე ვოქრე ლუსდვიგე,
 25 ჩინჩელიდ კოჯწრეი ეწდიყე,
 ღვე ანქვიქე ეწწერწმ კეღალ,
 მეთხვარ კოჯწრეი ეწდიყე,
 სვა ლახჩინდღ ღვაწმწმ ფათვწრს.
 ნებოზს აფსათ ანსგოჯინე:
- 30 „ღედე, ამსოღწმწმ ქეინ როქწან!“
 დწლგლდდ აფსათს ქობემბავე
 —ღეთი როქ ლწწიღალს ღმწარდ,
 თხერიღს ჩინჩელიდ როქ ოთქღითა,
 ეჯი როქ მეთხვარს ოთდაგრა,
 35 ჩინჩელიდ მიჩეწე როქ ოხტიხა.
 —მწ როქ ომღენ ეჯი მეთხვარ?
 დღღღ ნწთხვარწმ ფწთე ქესფხინჯღღღ.
 მეთხვარ აფსათთე ქა ანჯიდ.
 —ჩიგეაწე ეჯრდ რომ მწგემ ხოცხა?
 40 —ჩიდ როქ ხოცხა ღვაწმწმ ფხოტღწწწ.
 —ღახ როქ ამგეწწრს ოღმწარგელი,
 გღღღღღ ხახღღწ მგეკხაწ ტვაწწარ.

ღ

მონადირი კაცი

- ნეტავი, შენ, მონადირე!
 სანადიროდ მიღიხარ ბნელი ხეღით,
 მხარზე გღღღღღ კუთხეა თოფი,
 წინ მგელი შემოგხეღა,
 5 პირში ჩეიღი ბავწეი გაუჩრია.
 —მგეღო, ჩეიღი მე მომეცი!
 —ეოცხღღი თავით არავის მიეცემ!
 —შენი მოკეღა იოღი საქმეა.
 დღღღღღ მონადირემ თეისი კუთხეა,
 10 დღღღღღღ მგელს ჩეიღი.
 აიყვანა, კღღღღღი გღღღღღი,
 დღღღღღ თავღღღღღღ.
 მინღღღღღი ძიღღღღ კღღღღღღღღღ
 მწწარე მოთქმა მოესმა.
 15 ტყის რომელი ბეღღღღღი ბინღღღღი ბრძანღღღი?
 რა მოგეღეღღა, ეის დღსტორი?
 —მე კღღღღი დღღღი ვარ,
 წუხელ სღმრეღღღღი ეიყავი,
 მგეღღღა შეიღი მომტღღღა.

- 20 მაღლიანო მონადირეე,
 ის მგელი ხომ არ გინახავს?
 —ის მგელი მე მოკალი.
 დაღმა სიცილის ხმა დასცა,
 ჩამოუშვა ოქროს ნაწნავი,
- 25 აიყვანა კლდეზე შვილი,
 შემდეგ არყის წნელი ჩამოაწოდა,
 აიყვანა კლდეზე მონადირეე,
 ჭიხვის ბალანში დამალა.
 საღამოს აფსათი მობრძანდა:
- 30 „ღედავ, ადამიანის სუნი მცემს!“
 დაღმა უამბო აფსათს:
 —წუხელ სამრელოში ვიყავი,
 მგელმა შვილი მომტაცა.
 ის მგელი მონადირემ მოკლა,
- 35 შვილი უკანვე მომიყვანა.
 —რა იქნა ის მონადირე?
 დაღმა გადასწია ნადირის ბალანი,
 მონადირე აფსათთან გამოუყვანა.
 —ყოველგვარ წყალობას რა ვირჩევნა?
- 40 — ყველაფერს მირჩევნია ჭიხვის ბეჭი
 — რაკი ასე გვივაქაცენია,
 ვალად მეღვას სექტემბრის ჭიხვები.

ჩამწერი ალი დავითიანი, სოფ. ლახამულა, 1939 წ. სვანური პოეზია, 1, 1939 წ., გვ. 274—76.

ზემოსვანურ ლახამულურ ჩანაწერში დაღთან ერთად სხვა მითოლოგიური პერსონაჟიც გამოჩნდება აფსათის სახით. აფსათი ამ ლექსში დაღზე უფრო გავლენიანია, ქალღმერთი მას დაყვავებით უამბობს: წუხელი სამრელოში ვიყავი, მგელმა შვილი მომტაცა, ის მგელი მონადირემ მოკლა და შვილი უკანვე მომიყვანაო. აფსათს, რომელსაც პირველად ზღაპრული დევების მსგავსად, „ადამიანის სუნი“ აშფოთებდა და ბოროტად განაწყობდა, ახლა გული დაუშვიდდა და მონადირეს ქებით ეუბნება: რაკი ასე გვივაქაცენია, ვალად მეღვას სექტემბრის ჭიხვები! აფსათის გამოჩენა შემთხვევითი მოვლენა არ არის ლექსში. ისიც ღვთაებაა, ნადირთა მწყემსის შვილი, მაგრამ არა მატრიარქატის, არამედ პატრიარქატის ეპოქისა და ახალი პლასტის გაჩენას გვიდასტურებს ამ საყურადღებო მითიურ ლექსში (აფსათზე იხ. მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1, გვ. 153—557; E. Вирсаладзе, Грузинский охотничий эпос, 1963, გვ. 12).

კიდევ ახალი სიტუაცია და ფანტასტიკური მოტივები იჩენს თავს მ. გუჯეჯიანის ჩამწერილ მულახურ ვარიანტში. პირველად წავიკითხოთ იგი (ბ).

დწლილ კოჯას ხელღვაჟალე

- დწლილ კოჯას ხელღვაჟალე,
 ხელღვაჟალე თვეთნამ კოჯას.
 იგეზალ ისგვი ქაე ჯაშყედა,
 ქაე ჯაშყედა კოჯას ჯამენა“.
- 5 ჩუქეან თხეროლ ხოდარაჯი,
 ეიე ხოფხიჟა ჩუქეან თხეროლს.
 ეშ ლახქარვე მინდვერ ლექვა.
 ესნარ ზარგუმ მეთხეჟარ ანღრი,
 მეთხეჟარ მეფსჟა ანღლგრი,
- 10 მეთხეჟარ მეფსჟად თე ხარეკი;
 ზაგრუმე მეთხეჟარ კურ ანღგრი,
 მინდრუმე თხეროლ ესღგრგდა.
 ჩუ ლოხდარჯე მეთხეჟარ მეფსჟად;
 მეთხეჟარ მეფსჟად ჰალგ აგის,!
- 15 თვეფ ხატყეფი ნებგეაისგა,
 [დწლუმ გეზალ ჩუ ლახკვარნე.
 დალუმ გეზალ ეი ლაჟგთხე,
 თხერემიშ ტუფ ფოყს ლმჩიხნე.
 დალილ კოჯას იყფიელე,
- 20 ხომამ კოჯარჟიყფიელეს,
 მეთხეჟარ მეფსჟა სგა ლმჟედლი,
 სგა ლმჟედლი თვეთნამკოჯამ ძირათესგა,
 —დედე მიშგუ, ლუსდიგე ახქვიქ!
 —ვოდავ დოდვე სი ჯეროლე,
- 25 დედუმ მჟქერისგ მი დორ მირი,
 დედუმ მჟქერისგ ნადირდ ვმლე|
 —მი ხეირლლე გეზალ ისგვი!
 —ისგვი მაშედ ანრ იროლუ?
 —მიშგვი მაშედ-მეთხეჟარ მეფსჟა.
- 30 —სამ ნალეკვიქეს ალას ლალჟედლი:
 ხოცხენდელს ი ლადწლისგა
 კვიცრა-დაჯგლსი ლეჟდინილ;
 ჰე ეჯა მწდეჟ მჯკახისგა
 ჩხარა ყვილ ღვაშარს ლეჟდინილ;
- 35 ჰე ეჯა მოდეჟ მიშგუ ლილყურ.
 —ლილყურს ისგვა მი დემჟანშგდე,
 ჩხარა ყვილ ღვაშ ლამო!
 ჰა ლოხგენე ჩხარა ყვილ ღვაშ,
 ეშხუ ვოქერემ ლუმჟიკ ლოხენანღდე.
- 40 მეთხეჟარდ ვოქერე ლუმჟიქეს ოთნანშენე,
 ეჯნემ ფინდიხ მამა ადნიხ.

მეთხემარს ლაბტიხ ნებგვიისგა,
მეთხემარ მეთსნაჲ ჟი ლაგურნე.

ბ

დალი კლდეზე მშობიარობს

- დალი კლდეზე მშობიარობს,
მშობიარობს თეთრ კლდეზე.
„შეილი გადმოგვარდნია,
გადმოგვარდნა კლდიდან“.
- 5 ქვემოთ მგელია დადარაჭებული,
პირი დასტაცა მგელმა,
გააქანა მინდერისკენ.
ამ დროს ქელიდან მონადირე მოდის,
მონადირე მეფისა მოდის.
- 10 მონადირე მეფისამ თვალი მოჰკრა.
ქელიდან მონადირე მოდის,
მინდორზე მგელი მიდის.
ჩაუსაფრდა მონადირე მეფისა,
მონადირე მეფისა ვიწრო გასასვლელში.
- 15 თოფი მოარტყა შუბლში,
დალის შეილი დაატოვებინა,
დალის შეილი ხელში აიყვანა,
მგლის ტყავი ქამარში გაიარკო.
დალი კლდეზე მოთქვამს,
- 20 უარესად კლდეები მოთქვაქენ.
მივიდა მეფისა მონადირე,
მივიდა კლდის ძირას.
—დედაჩემო, ნაწნავი ჩამოუშეი!
—ისე შენ შეგწეიოს დედის მადლი,
- 25 როგორც მე არავინა მყავს, დედა რომ დამიძახოს,
დედის დამძახებული ნადირმა წამართვა!
—მე ვარ შენი შეილი!
—მერედა ვინ გადაგარჩინა?
—ეუნ გადამარჩინა და მონადირე მეფისამ.
- 30 —სამ არჩევანს მივცემთ:
ერჩიოს და ყოველდღე
თითო შუნს მივცემთ;
თუ არა და ყოველ სეჭტემბერს
ცხრა ჯიხეს მივცემთ;
- 35 თუ არა და სარეცელა გავუყოფ.
—სარეცელის გაყოფას ვერ გაკადრებ,
ცხრა ჯიხეი მომეცი!
გამოლუყვანა ცხრა ჯიხეი,
მათ შორის ერთი ოქროსრქიანი.
- 40 მონადირემ დაუმინა ათფი ოქროსრქიანს,

მაგრამ ჯიხვს ტყვია არ შიეკარა,
მონადირეცვე მიუბრუნა შუბლში,
გააგორა მეფისა მონადირე.

მთქმელი დავით მარგიანი, ჩამწერი მ. გუჯეჯიანი, მულახი, 27.
VII. 1936 წ. სვანური პოეზია, 1, გვ. 268—270.

რა სიახლეს შეიციავს მულახში 1936 წელს ჩაწერილი ლექსი? ეს დალის შვილს შეეხება განსაკუთრებით. ივანე ცისკრისა არ იყოს, ან-ლადშობილი დალის შვილი ლაპარაკს ახერხებს და ისიც კარგად იცის, თუ ვინაა მისი დედა. მონადირე მეფისამ როგორც კი მგელი მოკლა და ქალღმერთს გამოქვაბულთან ეახლა ბავშვით ხელში, ჯერეთ დედის რძის უნახავმა ბავშვმა ენა აიდგა და კლდეს შესძახა:—დედაჩემო, ნაწნავი ჩამოუშვი!—ისე შენ შეგეწიოს დედის მადლი, როგორც მე არავინა მყავს, დედა რო დამიძახოს. დედის დამძახებელი ნადირმა წამართვა.—მე ვარ შენი შვილი!“ ეს საუბარი გვირკვევს, რომ გადარჩენილი ყრმა სისწაულეებრივი ყრმაა, მან მხსნელის ვინაობაც იცის. შვილს დალი დაუფარავად აცნობებს, რომ კეთილ მონადირეს სამაგიეროს გადაუხდის თუნდაც სარეცლის გაყოფით. სარეცლის გაყოფა—ისეთი მოტივია, რომელიც მოკვდავთა საბედისწერო ქვედ იქცევა მომავალში.

სარეცელის გაზიარება პირველ ადგილზეა მოხსენებული ქვემო-სვანურ ვარიანტში: „თუ გირჩევნია ჩემთან დაგიწვენ, თუ გირჩევნია არჩვის ჯოგს მოგცემ“... ამ ჩანაწერის მიხედვით დალის შვილი ქალია („გოგონავ, ვისი შვილი ხარ?“). სქესის გარკვევისათვის ონიანის ჩანაწერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება; ჩვენც მას მთლიანად ვაქვეყნებთ (ვ).

8

დალგდ

დალგდ კოჯას ხელღვაჟაღე,
გეზალ დალ კოჯას ხაშუედა,
ჩუქვან თხეროლ ხახვიენა,
ქა ლოხთირნა მინდორთეჟა.

5 ეიქან ზაგრუშ მეთხვმარ ანდრო,
ტყვიფ ახლანე კუთხვას მიჩა,
შლიქარ შკიკილ ხსედა,
თერალ მგჰყირილ ხსედა.

—სი დინოლა, აეშა გეზალ?
10 —მი ხვიროლე დალიშ გეზალ.
—დედე ისგვი იმე სგოჯი.
—შიშგუ დედე კოჯას სგოჯი.

- ჩუ ლაიფიშედ ლუსდგეარ მიჩა,
 ეი ლაიყე კოჯა თხუშთე
 15 მეთხვიარ ი მიჩა ბობშილ.
 ათხე დაღელ მეთხვიარს ხაყლე.
 —ჯიცხენდესი მიშგვი ლილყურ,
 ჯიცხანდესი აერსკინშ ჯოგილ,
 ჯიცხანდესი ღვაშიშ ჯოგილ,
 20 ისგვი ლილყურ მი მად მაკუ,
 მე ლალ მაკუ ღვაშიშ ჯოგილ.
 ეჩქა ლადელ ჩუ ოთმეზრე,
 ი მეთხვიარ ჩუი აფიშედ.

ბ

დალი

- დალი კლდეზე შშობიარობს,
 შეილი გადმოუარდნია კლდიდან.
 ქეუთოთ მგელი დახვედრია,
 გაუთრევია მინდვრამდე.
 5 ზემოთ მალღობიდან მონადირე მოდის.
 დააჰქეა თავისი კუთხვა.
 მგელს კბილები დაკრეპილი დარჩა
 თვალები ღია დარჩა.
 —გოგონავ, ვისი შეილი ხარ?
 10 —მე ვარ დალის შეილი.
 —დედაშენი სად ბრძანდება.
 —დედაჩემი კლდეზე ბრძანდება.
 ჩამოუშვა დაღმა ნაწნავები,
 აიყვანა კლდის წვერზე
 15 მონადირე და თავისი შეილი.
 ახლა დალი მონადირეს ეუბნება:
 —თუ გირჩეენია ჩემთან დაგიწვენ,
 თუ გირჩეენია არჩვის ჯოგს მოგცემ,
 თუ გირჩეენია ჯიხვის ჯოგს მოგცემ.
 20 —შენთან დაწოლა მე არ მინდა,
 მე მინდა ჯიხვის ჯოგი.
 შაშინ დალოცა
 და ჩამოუშვა მონადირე ძირს.

შექმელი: ერასტი დევდარიანი, ჩამწერი: არსენ ონიანი, სოფ. ჯახუნდერი, 1936 წ. ფ. არქ. 8299.

1936 წელს, ჩემს მიერ ზემო სვანეთში მოწყობილ ექსპედიციამ, დალის სახის შესწავლას განსაკუთრებულ ადგილს ეუთმობდა. ექსპედიციის მონაწილეები თანდათან ავლენდნენ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც დალი ცენტრალურ პერსონას წარმოადგენდა. სვანური ფოლ-

კლორის ენთუზიასტმა პოეტმა სეტი გულედანმა წამოსვლის ხანს ერთი საკუთარი ჩანაწერი მომეწოდა. მასში ეპიკური სტილით გადმოცემულია დალის მძიმე მშობიარობა და მეფისას თავგადასავალი. ამ ვარიანტის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ქალღმერთი თვითონ ეხვეწება მონადირეს მგელი მოკლას და შვილი დაუბრუნოს (დ).

დ

დწლი კოჯას ხელღვაჟალე

- დწლი კოჯას ხელღვაჟალე
თემი ხადა გეზუნ ლითეე.
ჩუქვან თხერილ ხოეკლეკენე,
კოჯა ნაშეზდე გეზას ხოლი.
- .5 დწლის გეზალ ქან ხაშედა.
ენწარ თხერილს ეი ესეუხიქა,
ჩუქვან ანარი მეფსანა მეთხეანარ,
ამის დწლიდ ლახსემწალე:
—ჰა, ხოლა სი, მეფსანა მეთხეანარ,
- 10 თხერილ გეზალ მი ქა წმდე
მეე ჩიჩემინა ხოჩა მეფსანა,
გეზალ მიშგუ ჩუ ათურინ.
მეფსანა თხერილს ვეშეიმ ხადაქა,
თეეფილდ ხაქიდ ბარჯისგა,
- .15 ბეფშეილდ ამეი ჩუე ხოცერუნა,
სგა ხოჯირდა კოჯან ძირთე.
—მალო, დწლი, გეზალ სგაჯიქდ,
ათხე სერ მი მანა ჩეემინე?
დალდ თქერა ლესღეგე თხეკეიქე.
- .20 ეჩნუეშე ექგარდა ერე ხომა.
—მალო, მეფსანა, მანა ეგრე ქაქე:
ჩიხანდელის მიშგუ ლილყურ.
ეჩას ლახე დემ ლახშეგდენე,
იშგენ ერას აჩად ლაქექედენე.
- .25 მგახა თხემჩი ჩხარან ლეაშას
ზაეისგა ჩიგარ ქექედინი,
წან თხეიარე ძვირ მან ქერი,
ლეთოფდ ისგეათე ხოთერუნი.

დ

დალი კლდეზე მშობიარობს

- დალი კლდეზე მშობიარობს,
ძალიან უვირდა შვილის შობა.
ქვემოდან მგელი თვალს არ აცილებს,
კლდეზე გადმოვარდნილ შვილს ელოდება.
- .5 დალს შვილი გადმოუვარდა,

- მგელმა პირი დასტაცა.
 ქვემოდან მოდის მეფისა მონადირე,
 მას დალი შეეხვეწა:
 —აბა, შენ იცი, მეფისა მონადირევე,
- 10 მგელმა შეილი წამართვა.
 რაც გიქნია კარგო მეფისა,
 ჩემი შეილი დაატოვებინე!
 მეფისა მგელს გაეკიდა,
 თოფი მხარში მოარტყა,
- 15 ბავშვი დაატოვებინა.
 მოიყვანა კლდის ძირთან.
 —აბა, დალო, შეილი მოგიყვანე-
 ახლა როგორ მოვიქცე?
 დაღმა ოქროს ნაწნავი ჩამოუშვა
- 20 ორივე ზემოთ აიყვანა.
 —აბა, მეფისა, რა წყალობა გინდა:
 თუ გირჩევნია, ჩემთან დაგაწვენ,
 თუ ამას არ იკადრებ
 სხვა წყალობას მოგცემ,
- 25 სექტემბრის დამდეგს ცხრა ჭიხეს
 ყოველწლიურად მოგცემ,
 ნანადირევი არ დაგიძვირდება,
 დასათოფავად შენთან გამოვგზავნი ხოლმე.

ჩამწერი ს. გულედანი, 1936 წ. ფ. არქ. 8036.

დალის ციკლის ლექსები საუცხოვო მასალას იძლევა იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ იქცევა მითითური არსება ეპიკური შემოქმედების საგნად და თანდათანობით როგორ მხატვრულ ხორცმცხმას პოულობენ ჩვეულებრივი მონადირეები, როცა ისინი მითითურ გარემოცვაში ექცევიან. როგორც სოფ. მულახის მცხოვრები ნინო-ალიმის ასული გარდაფხაძე-მარგოანი განმმარტავს, დალის ყველა ლექსი, განსაკუთრებით „კოჯა დალას ხელღვაჟალე“, ადგილობრივი გამოთქმით, ფერხულში სამღერია. ცხადია, ფერხული, გუნდის მიერ სიმღერით შესრულებს ფორმა ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა სიუჟეტი ეპიკურ ფონზე იქნას გაშლილი. მიუხედავად ამისა დალისა და მის სახელთან დაკავშირებული მონადირის თითოეული თავგადასავალი ეპიკურ სტილში ვითარდება და ვრცელი ნაწარმოების სახეს იღებს. როგორც წესი თქმულების თითოეულ ტაეპს მისამღერი რეფრენი ახლავს (ამ შემთხვევაში—„რერო რაშა და რაშა რაი“), მთლიანად აღებული კი შაირის სრულ 16 მარცვლიან ტაეპს წარმოადგენს („დალა კოჯას ზელღვაჟალე“ + „რერო რაშავ, რაშა რაი“).

საილუსტრაციოდ წავიკითხოთ ვატი გუჯეჯიანის თქმით ელ. ვირსალაძის ჩაწერილი ტექსტი (ე).

ე

დალა

- დალა კოჭას ხელღვაალე, რერო რაშე და რაშა სია
 ხელღვაალე თენამ კოჭას.
 ჩუქვან თხეროლ ხოყგლანე.
 ჟიქან ღვემღწრ ხენდერაელეხ.
- 5 დალას გეზალ ქვე ხაშყედა,
 ჩუქვან თხეროლს ეივ ხოყლაპა (ხოფხიქა),
 ქვე ხოგენა ზაგერლევა.
 ღერთან ნამზგრ მეფსნა მეთხეაწრ,
 მეფსნა მეთხეაწრ ზაგრუშ ანღრი.
- 10 სეგბინ თხერე, ეშეგინ მეთხეაწრ,
 თხუმხუნნ ოხინშ მეფსნა მეთხეაწრ,
 თეფილდ ხატყეფე ნებგვაისვა.
 დწლამ გეზალ ჩუე ხოყკრინა,
 სგავ ხოგენა ღიად მიჩა.
- 15 —ღეღე მიშგუ, ლუსღიგე ლწმქვიქ,
 მი ხეიროლე გეზალ ოაგუ.
 —ღეღე ლწმზგრ დოვ ლაქშედა,
 მი როქ გეზალ დოსა მავა.
 —ადუ, ღეღე...
- 20 მი ხეი ისგუ წწმღვილ გეზალ
 ღეღედ მიჩა ლუსღიგე ლოხქვიქ,
 ეი ლაიყე გეზალ მიჩა.
 —მი ხეი მეთხეაწარი ქვინ ნაციირ.
 მერმედ მეფსაა მეთხეაწარ აღიყ,
- 25 ამის ლახეებ სეგი ნალკივიპ:
 ხოცხენს ქსერ ლილეურ მიჩა,
 მადეა ესერ მაკახისვა
 ეშდგორი ყვილ ღვაშწარს ხაქვი
 ნეცინ ერსწან უხვი ეტკლებდ.
- 30 —ლილეურს მიშგვა მი დემ ქწშგდემ,
 მიშგუ წწლკვიპ ისგუ ქგრ ლი.

ე

დალი

- დალი კლდეზე მშობიარობს,
 მშობიარობს თეთრ კლდეზე.
 ქვემოთ მგელი ელოდება,
 ზემოთ ყორნები დაფრენენ („ეში ზნებიან“).
- 5 დალს შვილი გადმოუვარდა.
 ქვემოთ მგელმა პირი დაავლო,
 გააქანა მალღობისაკენ.
 დალოცვილი მეფისა მონადირე,

- მეფისა მონადირე მალლობიდან მოდის.
- 10 წინ მგელი, უკან მონადირე,
მეფისა მონადირემ თავს დაუარა
თოფი მოარტყა შუბლში.
დალის შვილი დაატოვებინა,
მიიყვანა დედასთან.
- 15 —დედაჩემო, ნაწნავი ჩამოუშვიკ
მე შენი შვილი ვარ.
—ისე დედის სალოცავი ნუ შეგეწევე,
როგორც მე შვილი არა მყავს.
—კი, დედა.
- 20 მე ნამდვილად შენი შვილი ვარ.
დედამისმა ნაწნავი გაღწოუშვა
აიყვანა ზემოთ თავისი შილი.
—მე მონადირემ გადაპარჩინა.
მეორედ მეფისა მონადირე აიყვანა.
- 25 მას სამი რამ შესთავაზა:
თუ გირჩევნია, სარეცელს გავიყოფ,
თუ არა და სექტემბერში
თორმეტ ცალ ჯიხვს მოგცემ,
წვრილ-წვრილი არჩვი უღვეელი გექნება.
- 30 —ჩემთან დაწოლას ვერ შეგკადრებ,
მაგრამ შემოთავაზებაც წყალობაა.

მთქმელი: ვატი გიორგის ჯე გუჯეჯიანი, შემკრები ვ. ვირსალაძე-
1951 წ. ფ. არქ. 34369.

ოდინდელი ტრადიცია უკანასკნელ დრომდე ცოცხლობს. დალის
ლექსები დღესაც გვხვდება ზეპირსიტყვიერ ბრუნვასა და საფერხულო
შესრულებაში. ამგვარ გამძლეობას მრავალი მიზეზი აქვს. ჩვენ ახლა
სხვა რამეზე გვინდა მივუთითოთ, სახელდობრ დალის მშობიარობის
ლექსში ნეოლოგიზმების არსებობაზე (დურბინდი, თოფი, შვილება,
ცოლობა). სანამდე სათანადო მაგალითებს ვაჩვენებდეთ გავიცნოთ
კიდევ ერთი ვარიაციული ხასიათის ჩანაწერი (ვ).

3

დალა კოჯას ხელღვაჟალე

- დალა კოჯას ხელღვაჟალე
თვეთნა კოჯას...
ჟიქან ღვემღარ ხენდევრალდახ,
ჩუქვან თხეროლ ხოყვლბუნახ.
- 5 დალა ჩინჩილ ქავ ხაშყედა,
ჟიე ხოფხიჟია თხეროლს.
დედე მიჩა ილეჟალე

- მელციმ ბაჩას ქიმ ხაგენა.
 ქა ალიე მინდვერთეჟა,
 10 შლიქმი ნაზიმს ღეშ ხაგენა.
 მეფსნა მეთხეანარ ზაგრუმ ანლრი,
 სათლარ ლახვენე მინდვერთე.
 კუთხვა მიჩა ბარჩას ხასდნწ.
 თეეფილდ ხაქილ, ჟი ლნაგურნე.
 15 შდგქარ მიჩა მღლიქ ოთხად,
 თერალ-მეტრიკ... დალნ ნალეჟურ
 ჟი ლაღსგურე მირსგვენ ბარჩას
 —ქე ჟიცხა ი ლიგულ მიშგვი.
 —ქაქი სურნ ღედმე ლიტეხ.
 20 აშ გვიბინა ლიზ-ლიჩედი,
 გავ მეჩდელიშდ კოჯნ ძირთე.
 —ღედე მიშგვი, ლუსდგვარ ამბიშ.
 ჩუე ხობიშა ოქვარნ ლუსდგვარ.
 ეიე ხომა ჩეინჩილ.
 25 მერეაჟ ეიე ხომა მეფსნა მეთხეანარ.
 —სამ ნალკვიჟს მი ლაქხედ
 ჟიცხენს ლიხახეს,
 მადეა მჯახისგა აშირ ერსკენწ.
 მადეა ნაგზახისგა ეშხეი ღეაშ
 30 —ლიხახეს მი ღეშ ჟნშგდე,
 ნაგზა თხემეი ღეაშ მადელს.

3

დალი კლდეზე მშობიარობს

- დალი კლდეზე მშობიარობს,
 თეთრ კლდეზე...
 ზემოდან ყორნები დასტრიალებენ,
 ქვემოდან მგლები შექყურებენ.
 5 დალს ჩვილი გადმოუეარდა,
 მგელმა პირი დააელო.
 დედამისი მოთქვამს.
 ქვებსაც ცრემლი მოსდის.
 წაილო მინდვრამდე,
 10 კბილი ეერ დაასო.
 მეფისა მონადირე მოდის მაღლობიდან.
 დურბინდით გახედა მინდორს.
 თავისი კუთხვა მხარზე ეკიდა,
 თოფი მოარტყა, გაავორა.
 15 მგელს კბილები დაკრეჭილი დარჩა,
 თვალეზი—გახელილი. დალის ვაჟი
 მარჯვენა მხარზე შეისვა.

- თუ გირჩენია, მეშვილე.
 —დედასთან დაბრუნება მირჩვენია.
- 20 გავდგომივართ გზას.
 მივსულვართ კლდის ძირამდე.
 —დედაჩემო, ნაწნავეები მომაწოდე!
 ჩამოაწოდა ოქროს ნაწნავეები.
 აიყვანა ჩილი.
- 25 მეორედ აიყვანა მეფისა მონადირე
 —სამ რასმე შემოგთავაზებ.
 თუ გირჩენია ჩემს ცოლობას,
 არადა სექტემბერში, ას არჩეს.
 არადა კვირაში ერთ ჟიბეს.
- 30 —ცოლობას ვერ შემოგკადრებ,
 კვირაში ერთი ჟიბე მომეცი.

მთქმელი დ. იოსელიანი, შეკრებილი ელ. ვირსალაძის მიერ, 1951 წ. ფ. არქ. 34372.

ლექსი ჩვენ ახალი გაფორმებისად გვეჩვენება, რადგან მასში ლაპარაკია ღურბინდით (სათლარ) მინდვრების დათვალიერებაზე, ნადირის თოფით მოკვლასა და დალის ცოლობაზე. მონადირეებთან დალის პეტერული სიყვარული ფართოდ გავრცელებული სიუჟეტია, მაგრამ მას არასოდეს ცოლობის შეთავაზების ფორმა არ აქვს. თუ სხვაგან მორიგებით საუბარია სარეცლის გაყოფაზე, ერთად წოლაზე, აქ კი ღმერთქალი პირდაპირ ცოლობას სთავაზობს შვილის გადამრჩენ მონადირეს. ცხადია, ახალი საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ანარეკლია და არა თავდაპირველი მოტივი.

დალის ირგვლივ ლიტერატურა თანდათან იზრდება. მითოლოგიური ლექსების კომენტარები უკვე დამთავრებული გვექონდა, როცა გამოქვეყნდა ელ. ვირსალაძის სადოქტორო ნაშრომი „ქართული სამონადირეო ეპოსი“, სადაც სვანური მითოლოგიური სახეებიცაა განხილული.

23. თემური მანუშრი

მთქმ. თაისაე უდესიანი, 94 წლის, სოფ. ლენჯერი, ზემო სვანეთი. ჩამწ. სები გულედანი. სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 276.

ამ ლექსით დალის ახალ თვისებას ვეცნობით: ნადირთა მწყემსს სამიჯნურო დამოკიდებულება აქვს სახელოვან მონადირეებთან. დალთან ტრფიალი ტაბუირებულია. ყველა სვანმა მონადირემ კარგად იცის, ვინც ამგვარ ქსელში გაეხმის, საიდუმლოება უნდა დაიცვას, თუ სიცოცხლის შენარჩუნება სურს. სამაგიეროდ უზრუნველყოფილია

ღვთაებრივი მფარველობით. თუ წინა საფერხლო ლექსებში მონადირეებთან დალი კეთილგანწყობილებას ამყარებდა მგლის მოკვლისა და შვილის დაბრუნებისათვის, აქ ქალღმერთი მონადირეებს პეტერული მიჯნურობის გამო მფარველობს. ეს ხარისხობრივად განსხვავებული თვისებაა მატრიარქატის დროინდელი ღვთაებისა. ამ სიუჟეტში შეიძლება მამაკაცის სამეურნეო ძლიერების ანარეკლიც დავინახოთ, მოდგმის გაგრძელებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ძნელად მისაწვდომ მთებში მოგზაურს მრავალი ხიფათი მოელის, სხვათა შორის იგი წყეულ არსებათა ე. წ. საეების (სავიარ) მსხვერპლი შეიძლება გახდეს. ასე შეემთხვა თეთრ მანგურსაც.

როცა შინისაკენ გამობრუნდა მანგური, გზაზე წყეული საეები შემოეხვივნენ და რვა თუ ცხრა დაპკრეს. არც მანგური აღმოჩნდა ლაჩარი: რვა თუ ცხრა სავი მოკლა. დაიღალა, მისკირდა თეთრ გმირს და ფავორიტს შეღაღადა: „დალო, სადა მყავხარ? საეები მკლავენ“. როგორც ზღაპრებშია, ქომაგი არსება სახელის ხსენებისთანავე გაჩნდება ხოლმე, დალიც ასე გამოფრინდა ჭიუხიდან, იფნის ტოტით დაერია თავდამსხმელებს და „ამბის მიმტანიც არ გაუშვა“. ბოლოს დაღმა მანგურს ჭირილობებიც მოურჩინა ჯადოსნური ფრთის შეხებით და „სალად გაუშვა შინ“. მოკვდავი მანგურისა და ქალღმერთ დალის სამიჯნურო ურთიერთობა ანტიკური ხანის ბერძნულ მითოლოგიას გვაგონებს; ამავე დროს მსგავსება მას ინდურ მითოლოგიასთანაც აქვს. აქ თავს იჩენს გენეზისის პრობლემები, რაც ჩვენი ამჟამინდელი მსჯელობის ფარგლებს სცილდება.

24. ბამიკილი

მთქმ. თენგიზ დადიშქელიანი, სოფ. მაზერი (ბეჩო), ზემო სვანეთი. ჩამწ. ა. შანიძე, 1923 წ., 6. IX. სვ., 3., გვ. 280.

თუ აქამდე დალის მფარველობის სიუჟეტებს ვეცნობოდით, ახლა საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბეთქილისა და მისი ტიპის მონადირეების თავგადასავალი ტრაგიკულად მთავრდება შურისძიების ნიადაგზე. მიზეზი ერთია: რად უღალატე პირობას, ნაჩუქარი მძივი რა უყავ — მკაცრად მიმართავს მთებში შეტყუებულ მონადირეს განრისხებული ქალღმერთი. დაირღვა ტაბუ და სახელოვან მონადირეზე ხელი აღმართა შეურაცხყოფილმა დაღმა. ბეთქილის ფეხქვეშ მიწა ირღვევა, კლდეები იშლება. მხოლოდ მარჯვენა ხელის მოსაკიდი და მარცხენა ფეხის დასადგამი დარჩა ბეთქილს უფსკრულია წვერზე. გადაჩეხვის წინა წუთებში მონადირე, ავთანდილის ხალხური ბა-

* ძველი წარმოდგენით ჩრდ. კავკასიური ტომები.

ლადის კვალობაზე, ანდერძს უთვლის თავის ტოლ-ამხანაგებს, დედ-სა და ცოლს.

„ბეთქილი“ და მისი ვარიანტები სინკრეტული ხასიათის კლასიკური საფერხულო ლექსებია. სინკრეტიზმი შესრულების ფორმაში მელანქოლიკურია: სიტყვა+სიმღერა+ცეკვა. ერთ ადრინდელ შრომაში ბეთქილის ამ ლექსს განვითარებული წყობის საკულტო-საფერხულო სიმღერა ვუწოდეთ (ქართული ფოლკლორი, 1946, გვ. 28). ამგვარი გაგება ამჟამად კიდევ უფრო შეგვიძლია გავშალოთ და გვაღრმავოთ. სხვა ღირსებებთან ერთად უნდა გავხაზოთ ლექსის მნიშვნელობა ისტორიული პოეტიკის თვალსაზრისით. საზოგადოდ სევანური ლექსი ქართული ხალხური ლექსის წინა საფეხურს ასახავს. ის, რაც ქართლ-კახეთსა და ფშავ-ხევსურეთშიც პოეტიკის თვალსაზრისით საძიებელი და თითებზე ჩამოსათვლელია, სევანეთში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ნორმის სახით და მასიური გავრცელებით. ესაა სევანური ფოლკლორული პოეტიკის გუნდობრივი სინკრეტიზმის საფეხური, რასაც ახასიათებს ღირიკული და ბალადური ლექსის ურთიმობა, ტაეპის უქონლობა და რთული რეფრენის ბატონობა. სამივე ეს თვისება „ბეთქილში“ მათემატიკური სიზუსტით იჩენს თავს. ამიტომაც ბეთქილის, ისე როგორც დალის ციკლის მიმართ, პოეტური სიტყვის ისტორიკოსთა ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს.

ახლა განვიხილოთ ვარიანტები, სხვადასხვა დროის ჩანაწერები. დაგროვილი XX საუკ. 20-იანი წლებიდან. 1923 წელს აკ. შანიძეს პერსონალურ ტექსტიც აღმოუჩენია ზემო სევანეთში (უნდა შევნიშნოთ, რომ ქვემო სევანეთში დალის ციკლის არცერთი ლექსი არაა მოპოვებული). ჩუბეხევეური ვარიანტი პირდაპირ მიუთითებს, საბრალო მეთქი (ბეთქილი) ლენტეხურ ფერხულში იყო ჩაბმული, როცა შურისმძიებელი შავ ეშმაკად ქცეული დალი ლაჯებში გაუხტა. სახელოვანი მონადირე დაედევნა შავ ეშმაკს, ეს უკანასკნელი უჩვეულო თეთრ შუნად იქცა და უფრო შორს, ლაკვრამის მწვერვალამდე გაიტყუა მეთქი. დალმა რამდენიმეჯერ იცვალა სახე: ჯერ შავი ეშმაკი, მერე თეთრი შუნი და უკანასკნელად კვლავ ეშმაკი. დალი საკუთარი სახით არც კი სჩვენებია მონადირეს, ისე დაკიდა იგი ლაკვრამის თვალუწვევ კლდეზე მარჯვენა ხელითა და მარცხენა ფეხით. კლდეზე გადმოკიდებული ბეთქილი, აგრეთვე მისი შემცველი სევანი მონადირეები იმავე ბედს იზიარებენ, რა ბედიც ხევსურ ჯარჯს ეწვია ჭიხვებზე ნადირობის დროს და ალექსანდრე ყაზბეგმა ასე ოსტატურად გამოიყენა „მოძღვარში“ (თხზ., II, გვ. 387—88, 523—25). სევანური მასალა სა-

შუალეხას იძლევა აღვადგინოთ ჯარჯის ბალადის წინა ისტორია., მი-
სი მითოლოგიური წინამძღვრები. ის, რაც ჯარჯის თავგადასავალს აა-
ყოფაცხოვრებო ელფერს აძლევს (კეკლუცი ცოლის მოსვლა, ლოგინ-
წამოკიდებული დედა, კობტა ბიჭი), უკანასკნელი საუკუნეებისა დანა-
შრევეებს წარმოადგენს. აღრინდელ საფეხურზე ვეთქის ისეთი საბე-
უნდა ჰქონოდა, როგორც აქვს ქალღმერთისაგან დასჯილ სხვა გმი-
რებს (ვირს. სამონ., გვ. 43—44).

ბევრი სხვა რამითაც იქცევა ყურადღებას ა ვარიანტი. გავეცნოთ
მას სვანურ დედანსა და სიტყვასიტყვით თარგმანში.

ა

მეთგი

- ვოდ საბრელა, მეთგი ლეერი!
 ე'ოვ ხაგენა ლელტხაშ მურგვალს,
 მეშხა მამგზარს ნაბრჯეს ხოსენა.
 ვოდ საბრელა, მეთგი ლეერი!
- 5 ლელტხა მურგვალ ჩუ ომხვერლა.
 „ამლა სგ ან ნომ ფეშენიდ:
 ალას მეთგი ლახქემნიი!“
 ვოდ საბრელა, მეთგი ლეერი!
 მეთგის კუთხა ბარჯას ხოდა,
- 10 ხეჰემინალ ნაზვარს აწიშ.
 მეშხე მამგზარ კვიცრად ოლსიბ.
 თეთნამ კვიცრილს ხაღვიჰ მეთგი,
 ე'ოვ ხაოლა ლაქვეურითე.
 სგებინ ლაქან შუკვარ ოსეელ,
- 15 ღოშგიმ ლაკვრანშ სოტარ ხაქიმ.
 ეი ლახქედგნ ლაკვრანშ თხუმთე,
 თეთენე კვიცრილ მამგზარდ ესსაგდ:
 ვოდ საბრელა, მეთგი საბრალ!
 ე'ოვ ხასედა ლაკვრანშ თხუმას,
- 20 სგოვ ხასედა ლერსგვან მექვარს,
 სგოვ ხასედა ლერთან ნაბრჯეს.
 ვოდ საბრელა, მეთგი ლეერი!
 მეთგი ლაკვრას იშყედურალ-
 ძინარს მგრჰილ ანღარინე,
- 25 მეთხვარ მარილს თე დამ ახრეკ!
 —ხოჩა გზარობ მეთხვარ მარილს!—
 მეთგი ლახშემ ლაქვანშ თხუმხენ.
 —ღმიდ ხოჩა მეთგისოღე ხარ!—
 მეთხვარ მარილდ ჩუქა ოსცად.
- 30 —მეთხვარ მარილ, ქავ ხონუბავ ქორშარს მიშგვა:
 მეთგი ლაკვრას იშყედურალ.

- ისგავ ხასიდ ლერსგვან მეკვარს,
 ისგავ ხასიდ ლერთან ნაბრწყის
 ქოვ ხონუბავ ბაბას მიშგვა:
- 35 რანგ ი ლეინალ ფარსნვლ მიფგრის;
 ქოვ ხონუბავ დიას მიშგვა:
 ქუთ ი კიშღვარ მასწარ მიფგრის;
 ქოვ ხონუბავ ლახეხას მიშგვა;
 ჩწრჩი ფარსნვლ ქა წწგენახ;
- 40 ქავ ხონუბავ ლადრუხას მიშგვა;
 ფათვარ მასწარ იქუტურახ;
 ქოვ ხონუბავ ხახე მიშგვა:
 ბოფშარ ხოჩამდ ეი წწგოქრას;
 ქოვ ხონუბავ ლელტუს მიშგვა:
- 45 ლელტულ მიშგვა უშდილ-უშდილ ემლექალახ;
 ქოვ ხონუბავ ლაცლას მიშგვა;
 ლაცლად მიშგვა ჰი მისკარცხახ,
 კვათხას ლაკფალშე ეი ამქვღეხ,
 ნაკას წწრი მიჩღჩხეხნახ!
- 50 ვოდ საბრელა, მეთგი ლეერო;
 მეთგი ლაკვრას იშყედურალ:
 ექან ლეემალ ჭიყულქუნე.
 მუგვლა მეთგიშ თეილდლ გვი ხარ;
 ჩუქა მანკრულდ ჭემურტვანელ.
- 55 მუგვლა მეთგიშ ძერილდლ გვი ხარ.
 ვოდ საბრელა მეთგი საბრალ,
 მეთგი ლაკვრას იშყედურალ.

—
 ეშოდე ქრისდეს ჩოდმეზერად
 შერდე მარე ამეჩულაშ!

5

მეთქი

- საბრალო, საცოდავი მეთქი
 ლენტეხურ ფერხულს რომ უვლიდა,
 შავი ეშმაკი გასძრომია ლაჭებში.
 საბრალო, საცოდავი მეთქი
- 5 დაშლილა ლენტეხური ფერხული
 „ამაზე ნუ იდარდებთ,
 ამას მეთქი გაეკიდება!“.
 საბრალო, საცოდავი მეთქი
 მხარზე გადაიდო კუთხვა თოფი,
- 10 გაჰყვა ეშმაკის კვალს.
 შავი ეშმაკი შუნად იქცა,
 მისდევს მეთქი თეთ შუნს,
 საჭიხეებამდე მიიყვანა შუნმა.

- წინ შარა-გზა მიღის.
- 15 უკან ლაკერაშის კლდეები.
მიღწია ლაკერაშის თხემამდე.
თეთრი შუნი ეშმაკად იქცა
საბრალო, საცოდავი მეთქი!
დაკიდებული დარჩა ლაკერაშის წვერზე
- 20 დაკიდებული დარჩა მარჯვენა ხელით,
დაკიდებული დარჩა მარცხენა ფეხით.
საბრალო, საცოდავი მეთქი!
ვარდება მეთქი ლაკერაშიდან.
ღილით, როცა ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა,
- 25 უეცრად თვალი მოკვრა მონადირეს!
—გზა მშვიდობისა მონადირეს!
შეეხმიანა მეთქი ლაკერაშის წვერიდან.
—მშვიდობა ნუ მოუშალოს ღმერთმა მეთქის!—
მიუგო მონადირემ ქვემოდან.
- 30 —მონადირევ, უამებ ჩემს სახლელთ:
მეთქი ლაკერაშიდან ვარდება.
დაკიდებულია მარჯვენა ხელით,
დაკიდებულია მარცხენა ფეხით!
მამაჩემს გადაეცი,
- 35 რანგი და ლენო ბლომად დადგას
ჩემს საკურთხად;
დედაჩემს გადაეცი,
ხაჭაპური და კიშღვარი ბლომად
დადოს ჩემს საკურთხად;
ჩემს ძმებს გადაეცი,
ღიღი წვერი მოუშვან,
- 40 ჩემს დებს გადაეცი,
თმა მოიკვეცონ;
ჩემს ცოლს გადაეცი
ობლები კარგად გამიზარდოს;
ჩემს საყვარლებს გადაეცი,
- 45 ჩუმ-ჩუმად დამიტრონ;
ჩემს ტოლებს გადაეცი,
საკაცით წამასვენონ,
აღმართში მოთქმით ამიტანონ,
ვაკეზე ზარი მითხრან!
- 50 საბრალო, საცოდავი მეთქი!
ვარდება მეთქი ლაკერაშიდან,
ზემოდან ყორანი დასჩხავის,
მეთქის თვალების ამოკორტნა უნდა;
ქვემოდან დათვი გიტრიალებს,
- 55 მეთქის გვამის შექმა უნდა.
საბრალო, საბრალო მეთქი,
ვარდება მეთქი ლაკერაშიდან.

ჩამწერი ა. შანიძე, თავარაი (ჩუბეხევი), 1923 წ. სვანური პოეზია, 1, 1939, გვ. 284—288.

თითოეულ ჩანაწერს ერთი თავისებური შტრიხი მაინც შემოაქვს დალისა და ბეთქილის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ ენგურის ხეობის სვანეთი დიდ ტერიტორიას არ მოიცავს, მაინც საუკუნეთა მანძილზე თითოეულ ხევს, საზოგადოებას, თავისებური ვერსია შეუქმნია საყვარელი გმირის თემაზე. ამას ადასტურებს ვ. თოფურაიას მიერ უშუალოდ ჩაწერილი „ბეთქანიც“.

ბ

ბეთქანი

- ბეთქან კუცირას მეშუედლი.
თოთანზნჯა კვიცროლ ანღრი,
ბეთქან კალოს აკელწვი,
ჩუ ლუზვერლი მგლზწ ლუზვერ.
5 ამე ლეჟა კვიცროლ ანღრი.
— მწრვალ' წლას ჩუ ლადღაგრი,
მუჟალ-მგლახ ჰადს ლახვედნე!
— ალას ბეთქან ჩუ ლადღაგრი!
ჟა ხოსკინა კალულღზწჯა,
10 სგა წმჩედლი თვეფ-ჰავეჟთე (ქორთე მიჩა)
— დედე მიშგვი, იმ ხიჩოდწწ?
დედე მიშგვი, კვიცროლ ამქწდ,
თვეფ ი ჰავეჟ მიშგუ მიკუ!—
ეჩის ბეთქან ვეშგინ ლახქიმ.
15 — ეჩქად დედეს ნოე ათღაგრა!
ლეთი ლეგ ისნაე ლწმრსნაე:
სეგნი შდიქილდ მეშუდე მწდა.
— ეჩქად დედე ნოე ამღაგრა:
ლწდი ლითხეჟარს დემის ხეჟემე!
20 სგობინ კვიცრა, ვეშგინ ბეთქან,
სგობინ შუკეწრ ზედომენი.
ვეშგინ შუკეწრ შაროლ ხწრა,
ხობინაე ლიზი-ლიჩედლი.
ცოდა მიჩა ნოე ხაშდწხა
25 თამარ(ს), მიჩა თულაღერას:
„ურწყულ ლამზგზე ლათხეჟარჟე!“
სგა ლწმჩედლი თოთანთწსგა,
თოთანინშა უხე-ნთწსგა,
სგობინ კვიცრა, ლოშგინ ბეთქან,
30 საბრალ ბეთქან, ლეჟრი ბეთქანი!

- მამას მიშვეა ოთონბავედ:
 კვიცრს თოლილდს მიფნედეს;
 დედეს მიშვეა ოთონბავედ:
 ქუთ-ჭიშღვარის მიფნედეს;
- 35 ხეხვილს მიშვეა ოთონბავედ:
 წგრნიდ იღაფის ლაჩაქი
 საბრალ ბეთქან, ლეერი ბეთქან!
 წაერარე ისგვე წგრწკენა
 ისგა ისმი რაჰ-ლაჩხუმთე,
- 40 წაერარეშ ისგვე წგრწკენა
 ლექვა ისმი აეცერ-ლახმღლდთე.
 „საბრალ ბეთქან ეჩქას ხვირა,
 ლახ მუქალვარ ფუსნარ მერახი
 აერხის ახლობ თაქვანს ქაფარ,
 45 აერხის ახლობ ნაბდიშ ქაფარ,
 აერხის ახლობ კიჩხი ქაფარ.
 ჩუქენ კიჩხარს მიგანშლის,
 მერყევამ ეიბავ ბრეწენილა;
 ეიქან თაქვარს მახიშნლის,
- 50 ჩუქენ ნაბდარს ემგრანშლის,
 მურყევამ ჩუბავ ბრეწენილა.
 საბრა ყურშა, მამა ლუჩქანედ?“
 ყურშა მიჩა ჩუ ლახძაჰა,
 ლედვილდ მიჩა დემ ლახძამა,
 55 ქა ხოსკინა მურყევამხანქა (?!)

ბ

ბეთქანი

- ბეთქანი ჯიხეზე ნადირობისას გაღმოვარდნილა.
 თოთანიდან შუნი მოდის,
 ბეთქანი კალოს ლეწავს.
 შეგროვილია მთელი ჰულახი.
- 5 ქვემოდან შუნი მოდარა.
 —ეინც ამას მოკლავს,
 ჭილღოს მისცემს მულახ-მუქალის
 —ამას ბეთქანი მოკლავს!
 ბეთქანმა კალო მიატოვა,
 10 თოფ-იარაღისთვის შევიდა შინ.
 —რასა იქმ, დედაჩემო?
 დედაჩემო, შუნი მომივიდა,
 ჩემი თოფიარაღი მინდა—
 დასდევს მას ბეთქანი.
- 15 მანამდე დედას არ მოუკვდე!
 წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე:

- სამი კბილი ამოშვარდნოდა.
 —მანამდე დედა არ მომიკვდეს,
 დღეს ნადირობას არ დავიშლი.
- 20 წინ შუნი, უკან ბეთქანი,
 წინ შარაგზები მიუღით,
 უკან გზები ეშლება.
 გასდგომია გზას.
 მისი ცოდვა არ დაეღეოდეს
- 25 თამარს მის რძალს:
 „უწმინდურად გამიშვა სანადიროლი“
 შევიდა თოთანში,
 თოთანის კიუხში,
 წინ შუნი, უკან ბეთქანი,
- 30 საბრალო ბეთქანი, საცოდავი ბეთქანი
 —მამაჩემს უთხარიო,
 შუნის ტენის მიღებდეს საკურთხად;
 დედაჩემს უთხარიო,
 ხაჭაპურსა და კიშდვარს მიღებდეს საკურთხად;
- 35 ჩემს ცოლს უთხარიო,
 ლეჩაქი წითლად შეიღებოსი
 საბრალო ბეთქანი, საცოდავი ბეთქანი
 შენი მწვევრების წკმუტუნი
 რაჭა-ლეჩხუმამდე ისმის.
- 40 შენი მწვევრების წკმუტუნი
 ეცერ-ლახამულამდე ისმის.
 „საბრალო ბეთქანი მაშინ ვაქნებო
 თუ მუჟალი ბატონი ვაქნებო.“
 ზოგს თოკის ტვირთი მოაქვს,
- 45 ზოგს ნაბღის ტვირთი მოაქვს,
 ზოგს კიბის ტვირთი მოაქვს.
 ქვემოლან კიბეებს ღვაშენ,
 კოშკი მალა იწვეს,
 ზევიდან თოკებს მაწვდიან,
- 50 ძირს ნაბღებს მიგებენ,
 კოშკი ძირს იწვეს,
 საბრალო ყურშავ, რა ვიღონოთ?“
 დაუკლავს თავისი ყურშა,
 მისი ხორცი ვერ შეუქამია,
- 55 გადმომხტარა კოშკიდან.

მთქმელი ივანე ხაჭვანი, ჩამწერი ვ. თოფურია, უშგული, 14. VII.
 1927 წ. სევანური პოეზია, გვ. 282—284.

უშგულელი მთქმელის წარმოდგენით ბეთქანი კალოზე მუშაობის
 დროს გაიტყუა შუნმა. ქვემოლან ამოდის შუნი, ალბათ მულახ-მუჟყა-
 ლის ახალგაზრდობა უკან მოსდევს და ჭილდოს ჰპირდებიან მის მომ-
 კვლელს. ცუდის მომასწავებელი სიზმრის მნახველმა დედამ ბევრი

უმალა ბეთქანს ხელი აელო დევნაზე. სიზმრის მოტივთან ერთად უმჯულური ტექსტი სხვა ვითარებაზეც მიუთითებს. ბეთქანი მაშინ მიღია სანადიროთ, როცა, ჩვეულების თანახმად, გამგზავრება არ შეაძლება: ოქახის წევრს, რძალს უწმინდურება (მენსტრუაცია) ახლავს. დალის მითოლოგიური ხაზი ამ ლეგენდაში დაფარულია. დალი საკუთარი სახით არ ჩნდება, ის მხოლოდ შენიღბული, სხვადაქცეული (შუნი) აწყობს ბეთქანის ტრაგიკულ ისტორიას.

ვით მონადირეს, ბეთქანს მწევარ-მეძებრებიც ჰყავს. ძაღლების წკმუტუნის შორს რაჭა-ლეჩხუმამდე ისმის. ხალხიც შეზარა მონადირის ამბავმა. ყველა შემთხვევის ადგილისაკენ გარბის მისაშველებლად. „ზოგს თოკის ტვირთი მიაქვს, ზოგს ნაბდის ტვირთი მიაქვს, ზოგსაც კობის ტვირთი მიაქვს“. მაგრამ ყოველივე ამოდ, ქალღმერთის შურისძიების აღკვეთა არავის ძალუძს. ბეთქანს ამ შემთხვევაში ივანე ქვაციხელისა და მისი ყურშას ამბავიც შერწყმია ბოლო მუხლების სახით.

1936 წელს ზემო სვანეთის ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნის დროს ბეთქანის ბალადა მეც ჩამიწერია. ახლა იგი რუსთაველას სახ. ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივშია დაცული და ამ ტომზე მუშაობის დროს კვლავ გადავსინჯეთ.

რით იქცევს ყურადღებას ეს ვარიანტი? აქ არა ლენტეხის, არამედ სამთის ფერხულია გაჩაღებული მულახ-მუჟალის ვაჟკაცთა მიერ. ლაქებში ბეთქენს თეთრი არჩვი, შუნი გაუძვრება და მთებისკენ გაიწევს ამაყ მონადირეს. მალე ჭიუხებში შუნი-არჩვი ქალღმერთის სახეს მიიღებს და მკაცრ მოსამართლედ დაუდგება ოდესღაც სასურველ მონადირეს. „ჩემი მოცემული მძივი გქონდა, მითხარი ერთი, რა უყავი?“, ვერაფერმა იხსნა ბეთქენი. სახალხო მთქმელი გარკვევით ამბობს: „დალს თავისი შერცხვენისათვის სამაგიერო გადაუხდიაო“. ამბავი აქაც შეუწინაღებელი სიმძაფრით ვითარდება, გავეცნოთ მას (გ).

8

ბეთქან

ჩემ ლუზერ ლიხ მგლახ-მგვალ,
ბითქუშ ესღრიხ სამთი ქეშხშს,
თვეთნა ღერსენილს სგანე ზოსკინა,
ბეთქენს ოთჩნდ ნაბრჯიჭა.

5 —ამი მექემ ძარ იროლე?

—ძარ იროლე ი ბეთქენი.

სგვებინ კვიცრა, ღვეშგიმ ბეთქენ

იმქარნლეს შუკვარლუჟა.

- სგებინ ნაღანე შუკე ხოვლიხ,
 10 დეშგიმ უხენარ კურ ხეტხენი.
 სგე ხაქდგნახ უხენ კოჭთე,
 ამჩუ დალი ჩუე ხახეია.
 —ბეთქენ მიშგუ, შვიდებლ ლამეტლ.
 მაგვარდ ჟირდა, იმერნ ხარი,
 15 მიშგუ ნაჰოდ ქეშმილდ ჟუშენ.
 ეჟა მწდე, ჟა ტალ ლამთენ.
 —ისგუ ქეშმილდ ჩუე მასედა,
 მიშგეა ლაყერა თხემანშისგა.
 —მაგვენარ სი ეჟა ჟანხენენა,
 20 ლიზალ-ლიტხალს ეჟგენ ს ჟარო.
 ლერსგვენ შინა ლაგვიდორ ლოხეცვირ,
 ლერთენ კუშხა ლანგა ლოხეცვირ
 ბეთქენ კოჟას ქვე ხაწედა.
 მაშელ მარე დარ ხათხენა.
 25 ჩუქენ მეთსან მეთხეჟარ ანდრი.
 —მეთსან მეთხე ვარ, ამხვე ლანსგი,
 ჟვინალდე მი სი ნაჟაჟე შერი.
 ეჟა გუხან ნომ ლანხეშე.
 დედეს მიშგეა ჟა ხაქენინე,
 30 რახი ლვინალს მიფანდეს;
 ხეხესი მიშგეა ჟა ხაქენინე,
 ბოფშარ ლაეჟარდ ნომფუშდეს.
 ლაცლას მიშგეა ჟა ხაქენინე,
 ხავისგა აშხე ეი მარშეენდედხ.
 35 ცოდა მიშგუ თამარს ხერა,
 თამარს, მიშგეა თელეღვრას!
 ურწყულ ამფვიშდ ლანთხეინართე.
 მიშგუ თხეიმ ლახ ჟა ხეშყდენდეს,
 ეშხუ ქესმანდ ჟა ლამსიპენას,
 40 ეჟდა მიჩარ მშა ხოჟირ.
 ბეთქენს ლალი ქვე ხოსკინა,
 ჩვალდნეშელი კოჟარისგა.
 დალს მიჩა შგვირ ლოხეტიხ-ელა.
 ალა ლერთემ ჩუ გენმზერას.

8

ბეთქენი

- შეკრებილია მულახ-მულაღი
 სამთის ფერხული გაუჩაღებიათ.
 თეთრი არჩეი შემოვარდნილა,
 ბეთქენს გაუძერა ლაჟებში.
 5 —ამის მდევარი ვინ იქნება?
 —ვინ იქნება და ბეთქენი
 წინ შუნი, უკან ბეთქენი

- ეჭიბრებიან ერთმანეთს გზებზე,
წინ შარაგზა მიუღით.
- 10 უკან გზა იშლება.
მოხვედრილან კიუხებში,
იქ დალი გამოჩენილა.
—ბეთქენ ჩემო, მშვიდობით მომიხვედ,
როგორ ყოფილხარ, რასა იქმ?
- 15 ჩემი მოცემული მძივი გქონდა.
მითხარი ერთი, რა უყავი.
—შენი მძივი დამჩენია
ჩემს თავსასთუმალში.
—როგორც ის შენ შევინახავს,
- 20 წასვლა-დაბრუნებასაც ისეთს გიზამ.
მარჯვენა ხელის მოსაკიდებელი დაუტოვა,
მარცხენა ფეხის დასადგმელი (ად გილი) დაუტოვა.
ბეთქენი კლდეს გადმოკიდებია,
მშველელი არაეინ გამოსჩენია.
- 25 ქვემოდან მოდის მეფისა მონადირე
—მეფისა მონადირევე, აქეთ მომხედე.
ძველად, მე შენ დამიჭრიხარ,
ახლა ის (ამბავი) გულიდან ამოიღე.
ღეღაჩემს უთხარი, —
- 30 რაზის ლეინოს (მიღგამდეს) საკურთხად
ჩემს ცოლს უთხარი —
ბავშვები ობლად არ დამიტოვოს.
ჩემს ტოლებს უთხარი —
წელიწადში ერთხელ მახსენონ.
- 35 ჩემი ცოლვა თამარს ჰქონდეს,
თამარს, ჩემს რძალს:
უწმინდურად გამიშვა სანადიროდ.
როცა კი გავახსენდებოდე,
ლეჩაქი ამისთვის არაფერი უჭირს.
- 40 ბეთქანი გადმომხტარა,
დალუპულა კლდებზე.
დალს თავისი შერცხვენისათვის
სამაგიერო გადაუხდია.
ღმერთმა დაგვლოცოს!

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, 1936, წ., ფ. არქ. 8037.

დალისა და მონადირეების ყველა ლექსი ზამღერი და საფერხულაოა. თუ რომელიმე ჩანაწერს მისამღერი გამოხატული არა აქვს, ამას არსებითი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან ეს ტექნიკური მომენტია მხოლოდ.

სინამდვილეში ყოველთვის ისეა ვითარება, როგორც არსენ ონიანის ჩანაწერშია მოცემული(დ).

დ

მეთხვამარ ბეთქილას ლილრალ
(მგშხაშ)

ბაილ, ჩუე ლუზერ ხიდ ენშიშ სუფერ,
ბაილ ილბა, ილბა, ბაილ,

ხენზორალუხ სამთი კვშხას
სგავ ხოსკინა თვეთნა კვიცრას
—ამიშ მეღვექ ძარ იროლე,
—ამიშ მეღვექ ბეთქილ ირი.

5 ბეთქილ ჭაბარაშს იკაზმალე.
ბაენ ლწკანდ ქორთეისგა.

ბეთქილს ჰავეჯდ ეივ ხოფხი ა,
მეთხეძარ ბეთქილს ქავ ხოსკინა.

10 სგეებინ კვიცრა, ვეშგინ ბეთქილ.
სგეებინ ნალქან შუკვ ჩიყოლი
ვეშგინ შუკვა ხეტეხენი
სგა ლწკანდენ უხვანთემსგა.

15 საბრალ ბეთქილ, ლეღრი ბეთქილ!
ბეთქილ, ისგუ ლილეპალე
ლექვა ისმი მგლახდ ლექვა.

აერხის ოხლვახ თეკვეშ ქაფარ,
აერხის ოხლვახ ნაბდიშ ქაფარ,

20 —ლაკლას მიშგვა ხოამბავედ.
ეშხუ კიშხაშ ქა ესქემანახ.

მიჩა წვერალე წურწყუნა
ლექვა ისმი ლეჰა-ლახმელდდ,
სგა ისმოლე რაკ-ლეჩხუმთე.

25 —ცოლა მიშგვი ნომ ხაშდებხა
თამარს, მიშგვა თერედღლას,
ურწყულ ამფიშედ ლაკვირაათე.

ალე ლემლახუ ლექს ლი, მარა
კინურჟი იღრალხ

იშგენ სოფლარი (მთქმელის შენიშვნა).

დ

მონადირე ბეთქილის სიმღერა
(ფერხული)

ბაილ, შეგროვილხართ ენაშის მოედანზე,
ბაილ-ილბა, ილბა ბაილ.

„ გროვლებიან სამთის ფერხულისათვის.
შემოვარდნილა თეთრი შუნი.

—ეინ გაედევნება შუნს?

- 5 —ვინ გაედევნება და ბეთქილი.
 ბეთქილი ბანდაჲს იქნევს
 შეგატუობინეს შინ.
 ბეთქილმა იარალი აილო,
 გარეთ გამოვარდა.
- 10 წინ შუნი და უკან ბეთქილი.
 წინ შარაგზა მივიდის,
 უკან გზა იშლება,
 მოხვედრილხარ კიუხში
 მარჯვენა ფეხის დასახგმელი (ადგილი) და გაქვს,
- 15 საბრალო ბეთქილ, საცოდავი ბეთქილ
 ბეთქილ, შენი მოთქმა
 მულახამდე ჩამოდის.
 ზოგს თოკის ტვირთი მოაქვს,
 ზოგს ნაბდის ტვირთი მოაქვს.
- 20 —ჩემს ტოლებს უამბოთ,
 ერთი ფერხული დაუარონ,
 მისი მწვერების წკმუტუნი
 ქვემოთ ლეჰა-ლახამულამდე ისმის.
 ზემოთ რაჰა-ლეჩხუმამდე ისმის,
- 25 —ჩემი ცოდვა არ დაელიოს
 თამარს, ჩემს რძალს,
 უწმინდურად გამიშვა შუნზე სანადიროდ.
 ეს მულახური ლექსია, მაგრამ სხვა
 სოფლებიც მღერიან
 კიანურზე (მთქმელის შენიშვნა)

მთქმელი: ალექსი მარგველანი, ჩამწერი: არსენ ონიანი, 10. VIII, 1936, ფ. არქ. 8298.

ფერხულის აუცილებლობას თვითონ გმირიც გრძნობს და მის გამართვას ანდერძით ავალებს ტოლ-ამხანაგებს. როგორც ჩანს ბეთქილის გარკვეული ლექსების შექმნა ამა თუ იმ თემს მიეკუთვნება, ასე, მაგალითად, მთქმელის შენიშვნის თანახმად, მოყვანილი ვარიანტი მულახში ყოფილა შემუშავებული. ეს მეტად საგულისხმო ტრადიციია, საგანგებო შესწავლის ღირსი (ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 399—400).

მ

ბაილ ბეთქან

ინზორალეს აენა სუფის
 ეაბშიშა მახელვაჲარე
 სგა ხოსკინა თვეთენა კვიცროლს,
 ბეთქენს ოთჩად ნაბრაჰიქა.

- 5 —ამიშ მექემ მარ გვეროლე?
 —ამის ბეთქენ ხეკმინალე!

- ლაულაშ შიჩა სგობინ ოთჩაშ,
 სგობინ კეიციროლ, ღოშვინ ბეთქენ,
 სგა ლოხეოდვდა უხვანთეასა.
- 10 სგობნავ ისგდი, ნალქან ხოეოღვ,
 ღოშგმავ ისგდი, შუკვ ხედემენი;
 ერქა კოჯღ ლიცხემ ეღბინე,
 ბეთქენ ქამენჩუ ხაწბენა.
 ბეთქენს შაირ ქა ლოხშუმა:
- 15 —მუას მიშგვა ხოამბავეღ,
 ეშხუ კათხ ჰარყილ მიფანას;
 დიას მიშგვა ხოამბავეღ.
 ქუთ-ჰიშტვარილი ემფანას;
 მიშგვა ხეხვარს ხოამბავეღ,
- 20 ბობშარ ლაქარღ ნო აფუშღის,
 ლახებას მიშგვა ხოამბავეღ,
 ლიზგე ლაქცად ნო აფუშღის.
 აერხის ოხლვას კიჩხიმ ქაფარ.
 ბაილ, ბეთქილ კოჯას შყედენილა,
- 25 ბაილ იღბა, იღბა-ბაილ
 „ბეთქილ ლედგარ სგაუ ჩიქიდახ,
 „სამ უშკვ ლაზრუმ სგა აჭიქიდახ,
 დიდარ ლაშღღვალ ქა ჩიქმინახ
 საბრალ ბეთქილ, ლეერი ბეთქილ.

მ

ბაილ ბეთქენ

- გროვღებინ წმ. იოვანეს მოედანზე
 ეაბშიაანთ (ზემოური) ახალგაზრღები.
 შემომხტარა თეთრი შუნი,
 ბეთქენს ლაჯებში გაძვროშია.
- 5 —ვინ გაედვენება ამას?
 ამას ბეთქენი გაედვენება.
 გაასწრო თავის ტოლებს,
 წინ შუნი და უკან ბეთქენი,
 კიუხებში.
- 10 წინ იყურება, ნახნავი მიუძღვის
 უკან მოიხედავს, გზები ეშღება.
 მაშინ კლდემ გაზრდა იწყო
 ბეთქენი გაღმოკიდებულა.
 ბეთქენს (ლექსად ღაუმღერებია):
- 15 —მამაჩემს უამბეთ,
 ერთი კათხა არაყი დამიდგას საკურთხად;
 დედაჩემს უამბეთ
 ხაქაპურ-ჰიშტვარი დამიდგას საკურთხად;
 ჩემს ცოლებს უამბეთ,

- 20 ბავშვები ოხრად არ დაყაროს;
ჩემს ძმებს უამბეთ,
საცხოვრებელი არ დააქციონო.
ზოგიერთს მოაქვთ კიბის ტვირთები,
ბაილ, ბეთქილი კლდეზე გადმოვარდა,
ბაილ ილბა, ილბა-ბაილ
- 25 ბეთქილი მკდვარი მოგისვენებოთ
სამპირი შეყრილობით მოგისვენებოთ.
დიდი ქელები გადაგიხდიათ.
საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი!

ჩაწერილი: იაკობ მარგიანი, 1936 წ., ფ. არქ. 8143.

ამ ვარიანტის ჩაწერილი ი. მარგიანი ჩვენს ფოლკლორულ ექსპედიციამში მონაწილეობდა 1936 წელს. ის მისამღერები, რაც ტექსტის ბოლოს გამოჩნდება ხოლმე დასაწყისშიც ახასიათებს ამ საფერხულს. ერთი თავისებურება იჩენს თავს მარგიანისეულ ტექსტში: ბეთქენი ანდერძს თვითონვე გამოთქვამს შაირის სახით და დაუმღერებია კიდეც. ამით ირკვევა, რომ შესრულებაში გმირის მონაწილეობის მოტივი, რაც გურულ ფირალის ეპოსში იჩენს რელიეფურად თავს, საერთო ქართულ მოვლენას წარმოადგენს მონადირული ეპოსის მონაცემებითაც.

3

ბათქილ

- ბეთქან ქეშხაშს ინზორაღე
ეი ლონაზერე სამთი ჭეშხაშ,
ეი ლონაზერე მანს სვიფეი,
ბითქუშ ესღრიხ სამთი ჭეშხაშს.
- 5 ქაე ხოსკინა თვეთნამ კვიცრას,
ბეთქანს ოთჩანდ ნაბრჯიქა.
—ამიშ მექემ ძარ იროღე?
—ამიშ მექემ ბეთქან ირა.
ბეთქან ჭეშხაშს ქა ხაყეღა,
- 10 თვეთ ი ჰაეჟ ეი ხოკიღა,
მწერარ მიჩა ვეშგიმ ლაქემ,
სგეებინ კვიცროლ ჭურ ხოჯოდღა,
ვეშგიმ ბეთქან ალას ესკიმ
სგეებინ ლალქან შუკვ ხარ ალას,
- 15 ბეთქანს ვეშგიმ ეი ხოდმენღა,
სგა ლაღლორევე უხვანთესგა
ქი ჟიციღრა კოჯა სანაღდ.
ბეთქანს ლითოფ ჭურ ხობინა,
თოფარემ მიჩა ტყურფუნა,

- 20 ლექვა ისმი ლქა-ლახმულდ
წევრალმ მიჩა ლიშურშეჟნი
აშ ისმოლდა მგლახლექვა.
ალა მგელენარს ხობაეახ,
აერს ესლენდახ კიჩნარ ბარჯარშ
- 25 აერს ესლენდახ თაქვ ქაფარ
აერს ესლენდახ ნაბდი ქაფარ
ჩუქვანეი კიჩნარს ხოკერეილახ,
ეჩქას კოლდ ლიციემ ზდბინე
ეიქანეუ თაქვარს შიღეხ
- 30 კოჭ ეიქანქა ხედეფანე.
თაქვერე ლაქაწე ბეთქილს დეს ხარ.
—ციიდ იმნარ ღალ ხითაილდ სგა.
ოოდა მიშგუ ნოე ჟაშღეხა
თამარს, მიშგვა თელელგრას,
- 35 ურწყეილ ამფიშღვ ლაქეცირათე.
ეი ლახენაზრდელ სამთი კეშხნშ
თამარ მიშგუ თელელგრა
თხუმ ლოხქერენდ...
- ეჭა ლაქეცანი ლამსიანას.
- 40 თერარს მიშგვა ქა ლოხეცირე
ქაი ოხესკინი კოჭხანქა.
ჟი ლონაზერეხ სამთი კეშხნშ
თამარ მიჩა თელელგრა
თხუმ ლოხქერენხ...
- 45 ხოჩა ებჭუე ჩუ ჟესდენიხ,
მიშგვალა სგა ნომ' აფნეშედ
იგს მი ანად ტეზდი ქუთულდს,
იგს მიფანად რანგი კათხგლდს.
თამარდ ლაქეცანილ ლოხსიანე,
- 50 თერარ მიჩა ალას ლახეციორ,
ქაე ჟისკინა კოჭახანქა.

3

ბეთქილი

- ბეთქანი ფერხულსთვის (ხალხს აგროვებს)
შეგროვილან სამთის ფერხულსათვის,
შეგროვილან იანის მოედანზე,
გაუჩაღებიათ სამთის ფერხულა.
- 5 გადმომბტარა თეთრი შუნი,
ლაჭებში გაუძვრა ბეთქანს.
—ამისი მღევარი ვინ იქნება.
—ამისი მღევარი ბეთქანი იქნება.
ბეთქანი გამოეყო ფერხულს.
- 10 თოფი და იარაღი აიღო,

- მწეერები უკან გაიყოლა,
 წინ შუნი მიუტღვის,
 უკან ბეთქანი მისდევს.
 წინ შარავზა მიუღის (შუნა),
- 15 ბეთქანს კი გზას უფუჭებდა.
 შეიტყუილა კიუხებში.
 დატოვა კლდის ქიმზე
 ბეთქანს თოფის სროლა დაუწყია,
 მისი თოფის ხმა
- 20 ლეკა-ლახამულამდე ისმის.
 მისი მწეერების წკმუტუნნი
 მულახამდე ისმის.
 მუჟაღულეებს გაუგიათ.
 ზოგს კიბეები მიაქვს,
- 25 ზოგს-თოკები,
 ზოგს-ნაბდეები.
 ქვემოდან კიბეებს უდგამენ:
 მაშინ კლდემ ზრდა იწყო.
 ზემოდან თოკებს ყრიან.
- 30 კლდე ზემოდან ეფარება.
 თოკებს ბეთქილი ველარ წვდება.
 —ტყვილა ნუ ირჯებით.
 ჩემი ცოდვა არ დაელიოს
 თამარს ჩემს რძალს,
- 35 უწმინდურად გამიშვა სანადიროდ.
 დაუარეთ სამთის ფერხული.
 თამარი ჩემი რძალი
 თავში დაიყენეთ,
 მისი ხელსახოცის ტრიალი
- 40 თვალს მომტაცებს.
 და გადმოვხტები კიდევ კლდიდან.
 გააჩაღეს სამთის ფერხული
 თამარი, მისი რძალი
 თავში დააყენეს.
- 45 —კარგი ებჭუეი თქვენთან იქნება,
 ჩემზე ნუ იდარდებთ.
 საკურთხად დამიდებდეთ თბილ ხაქაპურს,
 საკურთხად დამიდგამდეთ რანგია კათხას,
 თამარმა ხელსახოცი დაატრიალა.
- 50 (ბეთქილს) თვალები ამან მოტაცო,
 გადმომხტარა კიდევ კლდიდან.

ჩამწერი: ელ. ვირსალაძე, 1951, ფ. არქ. 34390.

ეპიკური გმირის კვალობაზე ბეთქილი ბოლომდე შეუღრეკელი რჩება. მას ოჯახის წევრებიც არ ავიწყდება. მონადირის რძალ თამართან დაკავშირებული მოტივი 'ხელსახოცის ჩვენებისა ჯარჯის ბალადა-

შიც იჩენს თავს და ცოლის მიერ ქმრის კლდეზე გადმოსახტომად წახალისებაში გამოიხატება.

დასასრულ, კიდევ ერთ მოკლე ვარიანტს მოვიყვანო, სადაც შეკუმშული სახით წარმოდგენილია ბეთქილის მთელი ისტორია.

ზ

ბეთქენ

- ბეთქენ საბრალ, ბეთქენ ლეერა,
დნლ კოჭქა ქამეყედელი.
ეჩალ ბეთქილს დნლ ხალტენა,
საბრალ ბეთქილ, ლეერი ბეთქილ.
- 5 ეიქან კოჭა იშთებუნლ.
ჩუქვან ბელე ხოულაპანე.
—მიშგვა ცოდ მიშგვა ხეხესუ ხარ,
ურწყულ ამფიშტ ლაკეცირათე.
ეიქან კოჭა ხერლვენი,
- 10 ჩუქვან მი სგა ლოხვექე.
ი ქა ახჩნლვ კოჭ,
ეჩხანქა დნლდ ლახშანალე:
—ალ ესეს მიჩ ხოჩმინა.

ზ

ბეთქენი

- ბეთქენი საბრალო, ბეთქენი საცოდავი
დალის კლდიდან გადმოვარდნილა.
ბეთქილს თურმე დალი ჰყვარებია,
საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი.
- 5 ზემოთ კლდე ქანაობს
ქვემოთ ნაპრალი ელოდება.
—ჩემი ცოდვა ჩემს ცოლს,
უწმინდურად გამიშვა საჭიხვედ.
ზემოდან კლდე ენგრევა,
- 10 ქვემოთ მე მივებარე (გავინაბე),
გადმოინგრა კლდე.
იქიდან დალმა დაიძახა:
—ეს მე ვქენიო.

ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1951, ფ. არქ. 34396. ელ. ვირსალაძე.
ქართული სამონადირო ეპოსი, 1964, გვ. 207.

ფოლკლორულ არქივში კიდევ არის ორი ჩანაწერი, შეკრებილია
ისინი 1951 წელს იაკობ მარგვიანისა და ელენე ვირსალაძის მიერ (ფ.

არქ. 35390) და სიუჟეტური თვალსაზრისით ახალს არაფერს იძლევიან. ამის გამო კრებულში მათ შემოტანაზე თავი შევიკავეთ.

დალის ისტორია სრული სახით ვერ იქნება გათვალისწინებული, თუ მის ქვემოსვანურ გაგებასაც არ გავიხსენებთ. დალი, როგორც ნადირთა მწყემსი და კეთილი ქალღეთაება, უმთავრესად ენგურის ხეობას შემორჩა, თუმცა კლასიკური სიცხადე იქაც დარღვეულია და აშკარად იგრძნობა მითოლოგიური სახის დეგრადაცია. თანდათან დალი ბოროტ არსებად იქცა. ეს ყველაზე აშკარად ცხენისწყლის ხეობის სვანური მასალების საფუძველზე ირკვევა; 1917 წელს დასტამბულ კრებულში „ლუშნუ ნინ“ არს. ონიანი ლაშხური გადმოცემების საფუძველზე შემდეგნაირად ახასიათებდა ამ ღმერთქალს:

„დალი ქალის სახით ევლინება კაცს, შეაცდენს, შემდეგ ტყეში შეიტყუილებს და დალუპავს. თურმე აგიყებს დალი კაცს, თუკი თავისთან დაიწვენს. თუგინდ არ აცოუნოს და მთიდან დაენახოს, კაცი მაინც გიყდება შიშისაგან. დალის დანახვის შემდეგ თუნდაც შინ ცოცხალი დაბრუნდეს, მაინც გიყდება და ტყისკენ მიიწევს. თოკით თუ არ დააბეს, ტყეში გაიქცევა; ეძახის დალს და თვალეზს ქაჩავს... ასეთი ავადმყოფობა უფრო ლენტეხშია გავრცელებული. ლაშხეთში იშვიათია. ეს ამბავი, ლაშხების თქმით, იმითაა გამოწვეული, რომ ლენტეხელები ხევ-ხუცებში ცხოვრობენ. დალს ისედაც შეუძლია ადამიანის დალუპვა, თუკი მოინდომებს. მონადირეებს ძალიან ეშინიათ მისი“ (ლუშნუ ნინ, 1917, გვ. 13).

მატრიაარქატის დროინდელი ქალღმერთის ამგვარი ტრანსფორმაცია კანონზომიერი მოვლენაა (მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 62. E. Вирсаладзе, Груз. охотн. эпос, 1963, გვ. 26), და მას საკმაო მიზეზები ჰქონდა როგორც სოციალ-ეკონომიური, ისე იდეოლოგიური ხასიათისა.

25. მონადირე ჩორლა

მთქმ. სონია შერვაშიძე, სოფ. ქოლაში (მულახი), ზ. სვანეთი. ჩაწერილია ვ. თოფურიას მიერ სოფ. ეცერში. 28. VIII 1927 წ. სვ. პ., 1, 288.

ნამდვილი მითოლოგიური პოემა მოკვდავი მონადირისა და ქალღმერთ დალის თემაზე. მასში დაცულია ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი წესჩვეულებრიობა, საგმირო-სათავგადასავლო ეპიკური სტილი და მიმზიდველი ენა, სიუჟეტის განვითარების დაძაბულობა, სიმძაფრე. თავისი მალალმხატვრულობითა და ღრმა შინაარსით ეს

ნაწარმოები ადგილს იკერს ქართულ ეპოსში ამირანისა და ეთერის თქმულებების გვერდით.

მრავალმხრივ არის საინტერესო ჩორლას ეპოსი, ჯერ ერთი, უძველესია, მეორე მხრივ მასში სხვადასხვა ეპოქის შენაკადებია შერთული და მრავალფეროვან პოეტურ ტილოს წარმოადგენს. მსმენელი თუ მკითხველი თავიდანვე გრძნობს რაღაც მოსალოდნელ უბედურებას: ჩორლამ ფეხდაფეხ მოიარა სოფლები და თანამგზავრი ვერავინ იშოვა. მხოლოდ ერთგული მეძებრის თანხლებით მიდის ცხრა მთა იქით. საგზლად წესისამებრ მშრალი უხორცო საქმელი მიაქვს (ხაქაპური). მხოლოდ მეათე მთაზე იპოვა, ამირანის მგავსად, ნადირის კვალი. დაეწაფა ჯიხვებსა და არჩევებს, ერთის ნაცვლად „ასოცი მოკლა“. შორს მსროლელი კუთხვათი შეიარაღებულს მხოლოდ კოკლი თხა გადაურჩება მოამბეთ. დალებს „მეტათ საწყენი ამბავი მიუვიდა: სულ გაუწყვეტია ჯიხვი და არჩვი სისხლმღვრელ ჩორლას“. ოდესღაც სასურველი, საყვარელი ვაჟკაცი ახლა სისხლისმამელის ეპითეტს იმსახურებს ნადირის მწყემსთა შორის. გაწირეს მონადირე, კლდეზე დაკიდეს შეკრული.

ნადირთა ბატონი ნორმალურ ვითარებაში ხელს არ უშლის მონადირეს. ყველას შეუძლია გარკვეული წილი მიიღოს ჯოგ-საქონელიდან, მაგრამ საჭიროა ზომიერების დაცვა. დაუწერელი სამონადირეო კოდექსის თანახმად მონადირეს შეუძლია იმდენი ნადირი მოკლას რამდენი თანამგზავრიც ეგულვება ხელცარიელი. კეთილშობილ ცხოველთა თავშეუქცევბელი დათოფვა და ამოწყვეტა დაუშვებელია (მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, გვ. 112—14). ჩორლა დაუზოგავად მოიქცა, დაარღვია წესი და ამის გამო დაისაჯა; განწირული მონადირე მარცხენა მკლავით და მარჯვენა კოკითაა კლდეზე დაკიდებული. ამ მდგომარეობაში მისი დანახვა „ტყის ფოთოლსაც კი ურჯოლას მოგვრიდა“, ხოლო გოდება „ქვას ცრემლს დაადენდა“. იმედი გადაუწყდა უშიშარ მონადირეს, თითქოს ბედს შეურიგდა და ერთგულ ძალს საყლას შინ გზავნის მოამბეთ: ძმებთან მიდი, „თოფ-იარაღი არ დაკარგონ, ჩემი ძელები შინ წაიღონ“. უნდა შესრულდეს დაკრძალვის სეპტური წესი: უეცრად დაღუპულის უცხო ადგილას დამარხვა არ შეიძლება, მშობლიურ სოფელში უნდა მიაბარონ მიწას, თუნდაც ძვლების მიტანადა გახდეს შესაძლებელი! ძალი ასრულებს პატრონისა სურვილს, მიაქვს ანდერძი და საშინელი ამბავი.

აქედან პოემაში ახალი თავი იწყება. ასპარეზზე გამოდის ბერაკაცის სამოსში გამოწყობილი წმ. გიორგი (ჯგრაგი) ქრისტიანობის დროის დეტაება, ძველი ქართული პანთეონის წევრი, მაგრამ მრავალგზის ტრანსფორმაციაქმნილი. ირკვევა, რომ დაღები ჯგრაგს მორჩალებენ, მის ნება-სურვილს წინ ვერ აღუდგებიან, ხოლო ჯგრაგი ჩორლას მხარეზეა, გადარჩენა სურს. ჯგრაგის კეთილშობილური გეგმები იმ ხაზისა, რომელიც წმ. გიორგის აღმოსავლეთ-ქართული თქმულების მიხედვით ახასიათებს და დაწვრილებით აქვს გამოკვლეული ივ. ჯავახიშვილს „ქართველი ერის ისტორიაში“.

დაღებთან მისულ ჯგრაგს დამახასიათებელი სურათი წარმოუდგება თვალწინ. სახელოვან ვაჟკაცს გულშემატკივარი აღმოჩენია შურისძიებით გაკერპებულ ქალღმერთთა შორის. ერთი მშვენიერებით შემკული დალი განმარტობით დგას, „ცხარე ცრემლებს ღვრის“, ჩორლას მოთქვამს, დანარჩენები კი კიცხავენ, „ჩორლას სიყვარულს აბრალებენ“. სწორედ ამ ქალის საშუალებით გაიგო ჯგრაგმა, რით შეიძლება შეაცვლევინოს მკაცრი გადაწყვეტილება დაღებს და რა ხერხით იზანას კლდეზე დაკიდებული მონადირე. „ან ანსენით, ანდა ასეთი არჩევანი მომიცია: მეძავი ქალის ნაფეხურზე ფეხის დამდგმელს მოგიყვანთ აქ“. ჯგრაგის სიტყვას კანონის მნიშვნელობა აქვს: „რას გვერჩი, უფალო ჩვენო? — აცხადებენ დაღები. მხოლოდ ერთი კოჭლი თხა დაგვიტოვა ჩორლა მონადირემ. მაგრამ შენს ბრძანებას ვერ გადავალთ, დაგვიბრუნებია შენთვის ჩორლა“.

განთავისუფლდა მონადირე ჯგრაგის წყალობით. სარწმუნოებრივი ბრძოლების კვალობაზე ჯგრაგს არ შეუძლია დაუსჯელად დატოვოს წარმართული პანთეონის დედოფლები. აპიტომაც მოავლენს მეწყერსა და ნიაღვარს, რითაც დაღების მთელ ლაშქარს წაღუკავს, შთანთქავს. მხოლოდ ერთი დალი გარბის წინ, გადარჩენის მიზნით „ყოველ ნაბიჯზე სახლის სიმაღლე (იგულისხმება სვანური კოშკი) ნახტომს აკეთებს, ცოტაც და წამოეწევა ნიაღვარი“. განწირულ ქალღმერთს ახლა ჩორლა გამოექომაგება: „ამას ჩემთვის ბევრი სიკეთე უქნია, ხშირად გათოშილი გაუთბივარ, ხშირად მშვიერი დავუპურებივარ. გევედრები, უფალო ჩემო, ამ დალს ნუ დავახრჩობთ“. თხოვნამ გაკრა, ჯგრაგი სამართლიანობას იცავს, დაუთმო ჩორლას მისი კეთილისმყოფელი დალი.

ბევრი ფუნქცია აქისრია ჯგრაგს ხალხის წარმოდგენით. ზოგი მათგანი სწორედ ამ პოემაში წამოჩინდება. დაღა დრო ჯგრაგის და ჩორლას გაყრისა, სხვადასხვა გზით უნდა წავიდნენ ისინი: ნანადირევით დატვირთული ბედნიერი ჩორლა საკუთარ სახლს დაუბრუნდეს, ჯგრაგს სხვა რამ აქვს საზრუნავი, კვლავ კეთილი საქმე შესასრულე-

ბელი. „ჩემო ჩორლა, ახლა არა მცალია, ქვედა ქვეყანაში, ქვედა მზარეში, ქვედა სოფელში, თეთრი ყვავილი მობრძანებულა. იქ ერთი ქალი მეგულება... მას ერთი ვაჟი ჰყავს. ყველაზე უწინ შავი ქაჩები (მასთან) მივიდნენ, რომ მისი სული თავიანთ მეუფეს წაუღონ... (იმ) ქაჩებს რკინის მათრახს დავკრავ. ახლა, ჩემო ჩორლა, იქით მივიჩქარი!“ ასე დაცილდნენ ერთმანეთს მოკვდავი და სამარადისო სიცოცხლეს მიღწეული ჯგრაგი. მიდის თითქოს ბედნიერი ჩორლა, მაგრამ ნადირთა ამოხოცვის ცოდვა მაინც თან სდევს. აგერ კლდის დალი დახედა გაშოტილი, მის მიერ გადარჩენილი მშვენიერი დალი მიცვალებული. მიუალერსა მწუხარე ჩორლამ სატრფოს და მასთან ერთად სულიც განუტევა.

ტრადიკულად დაასრულა სიცოცხლე სახელოვანმა მონადირემ. სევანური ბალადის ფინალი შორეულად აბესალომისა და ეთერის უიღბლო სიცოცხლის დასასრულს მოგვავაგონებს.

ურთიერთშორის მეტნაკლები სიახლოვით ხასიათდება ჩორლას ბალადის ვარიანტები. 1936 წელს ჩაწერილ მულახურ ბალადაში კვლავ ხაზგასმულია ჯიხვების ამოწყვეტის საშიშროება. მარტოდ მონადირეს უფლება აღარ აქვს მეოთხე ჯიხვსაც დაჰკრას თოფი. როცა ეს განიზრახა, კარგი მონადირე ჩორლა „დალებმა გათოკეს. დატოვეს კლდეზე მარჯვენა ხელითა და მარცხენა ფეხით დაკიდებული“. საბალხო, მთქმელი გულმხურვალედ მოთქვამს საბრალო ჩორლაზე: „ნუთუ მის თოფ-იარაღს უნავი შესჰკამს!“ და აი, გავიცნოთ ეს საინტერესო ჩანაწერიც (ა).

ბ

ხოჩა მეთხვიარ ჩორლა

ხოჩა მეთხვიარ ჩორლა: გუშგვე
 ლწთხვიართე იმარაღე,
 აფხნეგ-მარე დარ ხეჯაღდა.
 მეშხე ღვაღაღდ ვეშგინ ხეჯაღ.

5 ხობინა ლიზივ-ლიჩედი,
 ლათხვიარ თეთნა კოჭთე ხაშთქეა;
 ქა ლაშჩეღლი თეთნა კოჭთე,
 ამე მამაგვეშ ხათხენა.

ქა ხოქონა დაღაღდ დაბთე,
 10 სგა ხაჯვესგა კვიცარა ბარგიღდს,
 ქა ლოხაგაჯე, ეშხვი ნაკლევიკე,
 ეშხვი ნალკევიკე ღვაღ ქიღგარა.
 მერმე უცეღდ ეი ნატგარხნე,
 მერმეა აჯაღ ჩუ ქიღგარა;

- 15 მესმე აქალ ჟია წტგრხნე
მესხმეა აქალ ჩუ ხოღარა.
ვოღე მუშთხვამ რტგრხნდა,
ეჩქალ დალზრდ ეი ანბორკლებ,
ეიე ხოციირახ კოჩათეი
- 20 მურსგეენ ტოტმე ი მგრთენ ქეშხმე
ჩორლზა საბრალ, ჩორლზა ლეერი,
იმეე ისგვი ჩიჭვი ასესი
ოღ ნ-კალენ თვეფ ი ჰაეეჩ,
თვეფ ი ჰაეეჩ გნ:ჩი ლეზობდი!
- 25 ეშ ეეშგმავი თე ლახჩედა,
ღემლზდ ეეშგიმხან მაწურწკენდა.
„ღემლზდ საბრა, მამ ქამ ეღააა?
წგით' ნღე, ლახებას მიშგეა.
ლახებას მიშგეა ქა ოხრმბავ.
- 30 ტვიბრუმ ლეეა ჰურ წკღენიხ,
თვეფს ი ჰაეეჩს ღემ აღქარეიხ,
ჩიჭესი მიშგეა წგით' ნღიხ!“
მწღებუ. ხოკლი წგითქესგა,
ჩგგრწგ, ფუსღა სგა ლახხვიღდა!
- 35 ღემლზდ, იმთე როქე ესღრი სი?
—ხამა იმთე, ჩორლზა მიშგვი,
ჩორლზა შიგში კოჩას ლწხსნდი
ლახებას მიჩა ლეე' წტვეერი,
ჩორლწიშ ჩიჭეს წგით' წკღეხ,
- 40 თვეფს ი ჰაეეჩს, ღემ აღქარეიხ.
ჩგვრავ ფუსღა თხუმშ ანგვეეჩი,
ღემლზდ ჩორლწიშთე ატიხ:
„მიშგეა ლიქღლღე ეი ლწაბგენსი
ტვიბრუმ ლეეა ჰურ წკღენი,
დაღწრს ლიმციეულს ოხბინი“
- 45 ჩგგრწგ ფუსღა ლეე' წსგვეეჩღა,
დაღწრს ლიმციეულ ლოხბინე!
„ჩორლზა ეი მოშ ლამფეშღურახი!“
აღა დაღარღ დაგმბაეეხ.
- 50 მწრმწღ მეეკვიღ ქწღ როქე ლახტახ;
ხოცხენღეღს ი წმფეშღურახ,
ჰე ეეა მოღე[.] ჩორლწ.ს როქევი
სემი ათწს ლეეშ ხოღარა,
ნეინ ერსაწწ უშღღღა ლი,
55 ეეა ლწ დი ქეშხმე ამტგხეხ,—
ხეღწა ხოცხენს, აღა მწყრისი
—აღამაგს ნა- იმხან წკღეღეღ?
ჩორლწ დ სემი დაქლიღ გარ ენციირი!

- ჩორლუმს ეს როქე ოხუეშდერიდ,
 60 მურსგვენ ბარჯს ლანშანდ ოხუეჩედ!
 ჩორლუმ ეს როქე ლაფუშდურეხ,
 მურსგვენი ბარჯი სგაა ახუეჩხ.
 ჭგვრანგ ფუსლა ჩუქეან ხოლლი,
 ჩორლამ ლაფუნცლუეშ ანდრი,
 65 —ჩორლამ მიშგვი, იმეე ხარი?
 —იმეი ღალ ხვირდი?
 ედ ალას ანრ ანდელდა,
 ჰაეე მი ლეანრ ამსედხენსე?
 მურსგვენ ბარჯი სგა ღალ ამუეჩხ.
 70 —ჩუ ღენ აღე მიშგვათეჩუნ,
 სამ ღეაშგლდს უშხეარ (ლ)ანქლანენე,
 ქე მოშ ბარჯას ეიე ვთრეენე.
 ეჩქა ლანთხეარს მავინ მამ ჭანრ...
 სემი ღეაშანრ უშხეარ ლოხელანქ,
 75 ალა ჩორლუმს ეი ლახაცეე,
 —ათხე მი სგეებინ ეჭოლა,
 ქე მოშ ზაგარე ეიე ალდრინედ,
 ეჩქა ლანთხეარს მავინ მამ ჭანრ.
 ხობინახ ლიზიე-ლიჩელი.
 80 მადხენამ ხოკლის ზაგართეეი:
 „ჩორლამ მიშგუ, ეეშგიმ ლანსგი,
 აშხე სეირს ათხეე ჩაწეწნი!“
 ჩორლამდ ეეშგმაე კურ ლამისჩეე,
 ტვიბრუშ სეარხალ კურ ანდერი,
 85 ჩეპლს ი ნალვრეეს მანგესლენდა,
 დალარ ჩეპლ-ნალვრეეს ახანადე.
 „ისგეა ბარჯანში ნანეჩური
 ალა დალარსუ ხერიხი!
 ჩორლამ, მიშგოე ხენამ ჩიმსახერა:
 90 ეშდამორი ჩანეში ლანბი
 ლეტერე-საემელ გარ ჩიკმარა,—
 ეჭ ნამსახურს დნსა ჩითეფე,
 ათხე ჰაქსა ქა ლაქვეელი:
 ლადპლისგა ღეაშ ჭულენდედს,
 95 ნეცინ ერსკან უდურეა ჭანც
 ვოდ ჩეკეეს, დო ამეი მერდე,
 შომენამ დაგრა სი ჩიცხენდედს,
 ეჩქად ეჭა ვადშე ჭულენდელს,
 შომენამ ეჭა ეი ანხლკუჰა,
 100 ეჩქა მერდე ნიშგვეაჯახან, —
 ალ ჰაქ ისგოე ქა ლანპოდენს!
 ალა ლერაუმ ჩუ ქამბერეხ?

კარგი მონადირე ჩორლა

- ჩენი ჩორლა, კარგი მონადირე,
სანადიროდ ემზადება,
თანამგზავრი არავინ ჰყავდა,
უკან მისდევდა შავი ყორანა.
- 5 გაუდგა გზას.
თეთრ კლდეზე სჩევეია ნადირობა
მივიდა თეთრ კლდემდე,
აქ ვერაფერი ინადირა.
დალის ყანისაკენ გაუხვია,
- 10 მიეპარა შუნის ჭოგს.
ესროლა და ერთი რჩეული,
ერთი რჩეული ჭიხვი მოკლა.
მაშინვე მეორესაც ესროლა.
მეორე ჭიხვი კიდევ მოკლა,
- 15 მესამესაც ესროლა —
მესამე ჭიხვი კიდევ მოკლა.
მეთთხედ რომ აპირებდა სროლას,
დალებმა გათოკეს,
დატოვეს კლდეზე
- 20 მარჯვენა ხელითა და მარცხენა ფეხით დაკიდებული,
საბრალო ჩორლა, საცოდავო ჩორლა.
სადმე თუ დარჩება შენი ძვალი!
ნუთუ შენს თოფ-იარაღს,
შენს თოფს-იარაღს ჟანგი შეკამს?
- 25 უკან გაგეკეცა თვალი,
ყორანა შემოგწმუტუნებდა უენიდან.
—საბრალო ყორანავ, არ შეგიძლია
შინ წახვიდე და ჩემს ძმებს,
ჩემს ძმებს უთხრა,
- 30 ხეე-ხეე ამოვიდნენ,
თოფ-იარაღი არ დაქარგონ,
ჩემი ძელები შინ წაიღონ!
ცოტა რომ უკლდა შინამდე,
შემოხვდა უფალი წმ. გიორგი.
- 35 —ყორანავ, სად მიხვალ?
—როგორ თუ სად ჩემი ჩორლა,
ჩემი ჩორლა კლდეზე დარჩა დაკიდებული.
მის ძმებს წამოვიყვან,
ჩორლას ძელებს შინ მოიტანენ,
- 40 თოფ-იარაღს არ დაქარგავენ.
უფალი წმ. გიორგი თავად მობრძანდება,
ყორანა უკან დააბრუნა:
„ჩემს მოსვლამდე გამაგრდეს!

- მე ხევ-ხევ ამოვალ.
- 45 დალებს მოციქულს მიუუგზავნი".
ამობრძანდა წმ. გიორგი,
დალებს მოციქული მიუგზავნა.
ჩორლა ახსენითო, შეუთვალა.
ეს დალებმა გაიკვირვეს.
- 50 მეორედაც მიუგზავნა მოციქული:
ერჩიოთ და აუშვან,
თუ არა და ჩორლას რომ
სამი ათასი ჯიხვი მოუკლავს,—
წვრილ არჩეს ხომ თვლა არა აქვს,
- 55 ყველა ეს დღევე თავისი ფეხით მომგეარონ აქ.
რომელიც ერჩიოთ, ისა ქნან!
ამდენ ნადირს საიდან მოგგვრით?
ჩორლამ სამად-სამი თხა დაგვიტოვა!
ჩორლას ავსხნით,
- 60 ნიშანი რომ დარჩეს, მარჯვენა მხარს მოტეხთ.
ახსნეს ჩორლა,
მარჯვენა მხარი მოსტეხეს.
უფალი წმ. გიორგი ძირს ელოდებო,
ჩორლა ბარბაცით მოღის.
- 65 —ჩემო ჩორლა, როგორა ხარ?
— როგორ უნდა ვიყო?
თუმცა ან ამას ვინ იფიქრებდა,
რომ ცოცხალი დავრჩებოდი?
მარჯვენა მხარი მომატეხეს.
- 70 —ჩამოდი აქ,
სამ ჯიხვს ერთმანეთზე გადაგიბამ,
თუ შესძლებ რომ მხარზე მოიკიდო,
მაშინ ნადირობის დროს ხიფათს
აღარ გადაეყრები.
სამი ჯიხვი ერთმანეთზე გადააბა
- 75 აკიდა ჩორლას.
ახლა მე წინ გაგიძღვები,
ბორცვზე თუ ავალთ,
მაშინ ნადირობის დროს ხიფათს აღარ გადაეყრები.
გაუდგნენ გზას.
- 80 ბორცვის თხემამდე ცოტა-ლა დარჩათ:
„ჩემო ჩორლა, უკან მიიხედე,
ერთ სეირს განახებ ახლავე!“
მიიხედა ჩორლამ,
ხევში სეტყვა მოდიოდა.
- 85 მეწყერსა და ნიაღვარს ყველაფერი მიჰქონდა.
დალები მეწყერსა და ნიაღვარს გაურია.
„შენი მხრის მოტეხისათვის,
ასეთი სამაგიერო მოეუზღე დალეჯი,

- ჩორლა, ჩემთვის ბევრი გიმსახურნია,
 90 თორმეტი ცხენის საპალნე
 სანთელ-საკმეველი დაგიხარჯავს, —
 ამ სამსახურს არ დაგიკარგავ,
 ახლა წყალობასაც გიზამ:
 დღეში თითო ჩიხვი გექნეს,
 95 წერილი არჩვის მოკლას ხომ არაიენ დაგიშლის.
 ვიდრე გინდოდეს, ასე იყავ:
 სანამ სიკვდილს არ მოისურვებ.
 მანამდე ეგ ნატვრა შეგისრულდეს.
 როდესაც სიკვდილი ისურვო,
 100 მაშინ ჩვენთან ერთად იქნები
 ეგ წყალობა მიბოძებია შენთვის.
 დაგლოცოთ ღმერთმა!

მთქმელი დავით მარგიანი, ჩამწერი მ. გუჯეჯიანი. მულახი, 1936 წ.
 სევანური პოეზია, I, გვ. 296—302.

ჩორლას მხსნელად აქაც ჯგრაგი გვევლინება, მაგრამ დალებთან შის დამოკიდებულებას სხვა ნიუანსი გააჩნია. ჯგრაგი ქალღმერთებს მოციქულს უგზავნის, მოლაპარაკებას აწარმოებს. ელჩობა „დალებმა გაიკვირვეს“. მეორედაც მივიდა ელჩი, ახლა უკვე ულტიმატუმით. დალებმა ჩორლა შეიწყალეს, დაუთმეს წმ. გიორგის, მაგრამ ერთი პირობით: „ნიშანი რომ დარჩეს, მარჯვენა მხარს მოეტეხთ“. ჯგრაგ—წმ. გიორგის მონადირისადმი კეთილი დამოკიდებულება ღვთისმოსაობით არის ახსნილი: „ჩორლა, ჩემთვის ბევრი გიმსახურნია: თორმეტი ცხენის საპალნე სანთელ-საკმეველი დაგიხარჯავს“. ჯგრაგი ნადირთა მწყემსის ფუნქციასაც ასრულებს, იგი ისე აჯილდოვებს მონადირეს ჩიხვებითა და არჩევებით, როგორც ქალღმერთი დალი. აქ ფუნქციათა შენაცვლება აშკარაა. წინა ბალადისაგან განსხვავებით ერთი მეტად საყურადღებო მოვლენაც იჩენს თავს: ჩორლა უკვდავებას აღწევს, საპარადისო სასურველს დაიმკვიდრებს წმ. გიორგის მეოხებით. „როდესაც სიკვდილი ისურვო, მაშინ ჩვენთან ერთად იქნები. ეგ წყალობა მიბოძებია შენთვის“. ღმერთთა სასუფეველამდე ამადლება დალის ციკლის სხვა ლეგენდებიდან ცნობილი არაა. ამ მხრივ ეს ჩანაწერი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის სიუჟეტის თვალსაზრისით (М. Чиковани, Сюжет ищущего бессмертия юноши в древнем фольклоре и литературе. XXIV Международный Конгресс востоковедов (Дели). Доклады делегации СССР. Мისივე, ქართული ეპოსი, II, 1965).

ჩორლას სახელმონაცველე ჰყავს ზოგიერთ ჩანაწერში. ასეთია, მაგალითად, ხალდეში მოპოვებული ვარიანტი. აქ ქალა ასრულებს ჩორ-

ლას ფუნქციას. მხსნელი კვლავ წმ. გიორგია, დაღების განრისხებას მოზეზი კი ნადირის უზომოთ ხოცვა: „ყოველ კვირა ღღეს თოფის კვამლში გვხვევდა ხოლმე“,—გულისტკივილით აცხადებენ ნადირთა მწყემსნი. მონადირე ძალღის სახელიც სხვაა, არა საყლა ან ყორანა, არამედ ყურმა, ამირანისა და ქეციხისეღის თქმულებებში რომ გვხვდება. ბალადის მიხედვით დაღები უბრალო კლდის გამოქვაბულებში კი არ ცხოვრობენ, არამედ ოქროს კარებში, წმ. გიორგისაც ხელში ოქროს კომბალი უჭირავს. აწლა გავსინჯოთ სევანური ეპოსისა ეს ღირსშესანიშნავი ნიმუში (ბ).

ბ

ქალა

- ხოჩა ქალა პმჩედელი,
 პმჩეოლი ლთხვიართე,
 სგა საქვესგა ღეაშა ჭვევიღღს.
 ეშხუ თვეფიღღაშ ნაკვარჷ
- 5 (ვ) ოხვიშღ ღეაშიღღ ჩუ ჭიდგარა.
 ალი დაღარს ჩუ ხობაჷახ.
 „ქალაჷს ამეი ღემის ლუფეშღედ:
 ლერთენ ქიშხიღღს ქა ლოღქიფედ.
 ლერსგეენ მაჷეშღაგს ქა ლაჷყვიჩედ.
- 10 მახა მგსყა ყაბრიშ კანცხღღღშე
 ეოქერემ ხანთაღს ეი ლოღრეკენედ!“
 „ალი გაცხანდ ამეი მაჷერხ:
 ქა როქე ლამქიფხ ლერთენ ქიშხიღღ.
 ლერსგეენ მაჷედღგ ქა როქ ამჷყვიჩხ“.
- 15 ქალაჷს ყურშაჷ ეზერ ხაქიმ.
 „საბრაღ ყურშაჷ პგით' აღერ,
 ღედღს მიშგე ამეი ხექარ:
 ჭიჭენარს მიშგეა ნომ ხეთაღლი,
 ქუთს ი კიშღღენარს ქა მიფანღღს!“
- 20 ესღრი, ესღრი, ყურშაჷ ესღრი,
 ყურშაჷს ჭგგრაგღ სგევიზინ ლახხვიღღ.
 —საბრა ყურშაჷ, იმთე ესღრი?
 ჰამა იმთე, ქალაჷს ანშყანდ უხვენისგა,
 ღედღს მიჩა ქა ხეგბჷინე.
- 25 მიშგეა ქალაჷს შაჷ ანკეანა,
 ჰე ღო დაღარ ღომ ხოღღატნახ?—
 ყურშაჷს ჭგგრაგღ ეჩ ლახქონენე.
 ესღრი, ესღრი, ჭგგრაგ ესღრი,
 იმეჩუ ქალაჷს უშგულ ხორიკ,
- 30 უშგულ ხორიკ ეოქერემ ხანთაღს.

- ჭგერაღდ ლაკეცანილ ჯა ლახქემ.
 ქალმა ხორტურფილ ჯა ლამტიხ.
 სგეებონ ჭგერაგ. ვეშგომ ჭალმა,
 იქემურმაღდა უხვანიშე კაცხარისგა.
- 35 ეი როქ ათლაყ ვოქერემ კარავს,
 ჭგერავს ხულვე ვოქერემ კეაბლანდ,
 სგა ლობზგრგნე ვოქერემ კარავს,
 ჯა ლმსგიდახ სემი დალარ.
 —საბლუ დალარ სმა ლჭგემენნხ?
- 40 მიშგუ ქალმა იმნარ ახვეარდ!
 ლარდა-ლანგნას ეი ლაჭშვიხე,
 ისგვე უხვენს მინდვერდ ოთსყი!
 მდილ ჭერა, ფუსდ ჭგერაგი:
 ლარდა-ლანგა ნუმ ანშდიხა;
- 45 შაწ ნიხემინნ, ფუსდ ჭგერავი:
 მახა მიშლადლიში შელდეი
 თეფეიშ კენშილდს სვა ნანჩნდა.
 ლარდა-ლანგნასლმ ანშდიხე,
 ისგვა ქალმას საჩქეპარს ხეაჰედიდ:
 55 მკეხნ თხუმეი მეგრა ლვაშარს,
 ნეცინ ესრკან ულვედ ხულჴნი,
 გეპარიშ მიჩა მამგ მეთხევიარ(ს)

—
 ამ ლამზგრე უშბულ ლირდე!

ბ

ქალა

- კარგი ქალა წასულა,
 წასულა სანადიროდ;
 მიჰპარგია ჭიხეის ჭოგს,
 თოფის ერთი გასროლით
- 5 ხუთი ჭიხეი მოუკლავს.
 ეს დალებს გაუგიათ.
 „ასე ნუ გვეუშვებთ ქალას.
 მარცხენა ფეხი ამოუგდოთ,
 მარჯვენა ბარძაყი მოტეხოთ,
- 10 ახლანშეკერილი ქალამნის წვერით
 ოქროს საყიდზე ჩამოეკიდოთ!“
 მართლაც, ასე უყვეს.
 მარცხენა ფეხი ამოუგდეს,
 მარჯვენა ბარძაყი მოტეხეს.
- 15 ქალას თან კარგი ყურმა ჰყავდა,
 „საბრალო ყურმა, შინ წადი,
 დედაჩემს ასე უთხარ:

- ჩემს ძელებს ნულარ ეძებს,
 ხაჰაური და ჰიმღვარი გამომიცხოს სა კურთხაღ.
- 20 მიდის, მიდის ყურშა,
 წინ წმ. გიორგი შემოხვდა.
 საბრალო ყურშა, სად მიხვალ?
 როგორ თუ სად, ქალა გადმოვარდა კიუხიდან
 დედამისს შევატყობინებ.
- 25 ჩემს ქალას რა გადმოვადებდა,
 თუ დალებს არ დაუღალატებიათ!
 უკან გააბრუნა წმ. გიორგიმ ყურშა.
 მიდის, მიდის წმ. გიორგი,
 იქით, სადაც ქალა თავდაყირა ჰკილია.
- 30 თავდაყირა ჰკილია ოქროს საკიდზე.
 ხელსახოცი გაუსვა წმ. გიორგიმ,
 ქალა განკურნებული გამოიყვანა.
 წინ გიორგი, უკან ქალა,
 დარბოდნენ კიუხების თავზე,
- 35 აქ ოქროს კარავს წააწყდნენ.
 წმ. გიორგის ოქროს კომბალი აქვს,
 დაურახუნა ოქროს კარავს.
 გამოიხვდა სამმა დაღმა.
 —საბრალო დალებო, ეგ რა გიქნიათ?
- 40 ჩემი ქალა რად გადმოვადღეთ?
 ახლავე მოეშლი თქვენს სამყოფელს.
 თქვენს კიუხს ტრამალად ვაქცევი!
 —გვედრებით, უფალო წმ. გიორგი:
 ნუ მოშლი ჩვენს სამყოფელს,
- 45 რა უნდა გვეღონა, უფალო წმ გიორგი:
 ყოველ კვირადღეს
 თოფის კვამლში გვხვევდა ხოლმე.
 თუ არ მოშლი ჩვენს სამყოფელს,
 შენს ქალას კარგად დავასაჩუქრებთ:
- 50 ყოველი სექტემბრის დამდეგს
 მსხვილ ჭიხვს მივცემთ,
 წვრილი არჩვი გამოუღვეველი ექნება,
 მისი გვარის ყველა მონადირეს.

—
 დალოცვილ იყოს ერთად ყოფნა!

მთქმელი ბექა გასვიანი, ჩამწერი მ. გუჭეჭიანი. ხალდე, 1936 წ-
 სვანური პოეზია, გვ. 302—304.

ქალასა და ჩორლას თავგადასავალი ხალხური ვარიანტის მიხედ-
 ვით ბედნიერად სრულდება: მონადირე გიორგის მეშვეობით ქალ-
 ღმერთებისაგან სამემკვიდრეო საჩუქარს იღებს: „ყოველი სექტემ-
 ბრის დამდეგს მსხვილ ჭიხვს მივცემთ, წვრილი არჩვი გამოუღვეველ
 ექნება მისი გვარის ყველა მონადირეს“.

1951 წელს ჩაწერილ ვარიანტში კვლავ თავს იჩენს უკვდავების მოტივი და ჩორლატ იმავე სიტუაციაში ექცევა, რაც მულახური ვარიანტის მიხედვით ვიცით. სისრულისათვის ჩანაწერსაც აქვე წარმოვადგენთ (გ) (შდრ. ვიჩსალ. სამონ., გვ. 212-14).

გ

ჩორლა მემხმარ

- ხოჩა მეთხემარ ჩოლამ (გუშგეეა)
ეჩა აჩად ლთხეიართე,
სგა ათქეესგა კე-ცრწ ბარგილდს,
ეშხუ ნალკეიპ ღეაშ ჭიდგარა,
5 მერმე უცებდ ჟიდ ანტერხნე,
მერმე ღეაშ აჯალ ჭიდგარა,
მესმე აჯალ ჟიდ ანტერხნე
მესმე აჯალ ჩუდ ჭიდგარა.
ოღე მესმეხემ იტერხნდა
10 ეჩქად დალარდ ჟი ანბერკლეს.
ჟიე ჭიციერას კოქად
მურსგვენ ჭიშხში მურსგვენ ტოტმ.
ალას ხექამ ჟელილდ წეებარ.
წეებარ მიშგუ, აგით' აღე,
15 ლახეხას მიშგვა ჟი ახმეკრინ.
ტეიბრუშ ღეაა ჭურ ანქედენიხ,
თეეეს ი ავეეჟს ღემ აღქარეიხ,
ჭიქეს მიშგვა როქ აგით' აღხ.
ამნემ ლიზი ჭურ ლაბიენე.
20 ჭგერანგ ფუსდა სგა ლახვილდა.
ტეემლგდ, სი როქ იმთე ელარი?
ხამა იმთე, ჩოლამ მიშგვი,
ჩოლამ მიშგუ კოქას ლხხსდა.
ლახეხას მიჩა ღეე' ათქერნი.
25 ჩოლამშ ჭიქეას აგით' ანქედხ,
თეეფს ი ავეეჟს ღემ აღქარეიხ.
—ჟი ღენ ესქონ, ღეაა ღენ ატხ,
ჭგერანგ ფუსდა თხუმშ ანსგეეჟი,
ტეიბრუშ ღეაა ჭურ ანქედენი
30 დალარს ლიმციქილის ლახეხინი,
ჩოლარამს ჟი როქე თხფუმღურნი,
ღემლამ ჩოლანიშთე ატხ
ჩოლამ საბრა ჟი ლახბანგან;
ჭგერანგ ფუსდა თხუმშ ანსგეეჟი.
35 ჭგერანგ ფუსდა ღეე' ანსგეჟდა,
დალარს მეცქილ ქა ლოხზხე.

- ჩოლმა ეი მოშ ანთუშდურახ.
 ალა დალარდ ადგნბაეხ,
 მერმად მეცივილარ ქად ლახტიხ.
- 40 ჩოლმას მიშგოე ხემა ხომსახერა,
 ექ ნამსახურს მი მამ ხოთფე
 ეშდიორი ჩაქი ლაბ
 ლეტერე-სამეველ ხომარა,
 ხოცხანდები ე' ანთუშდურახ,
- 45 ექა მოდუე მეთხეპარ ჩოლმას (სემი ათას ღვაშ ხოდგარე)
 ნეცინ ესრკან უშგლდა ლი,
 ექა ლადი კანშეშ ამტეხეხ
 ხოცხანდედი ამთუშტურახ.
 ხოცხანდედი ალ ამტეხეხ.
- 50 ალამგეს ნმა იმხან ანქედელ.
 ჩოლმად სემი დაქლიდ ენციორ
 ჩოლმას ეი როქ ოხთუშდირნედ,
 მურსგევენ ბარჯს ლანშანდ ოხევიჩედ.
 ჩოლმა ეი ანთუშდურეხ
- 55 მურსგევენ ბარჯს ლანშანდ ახევიჩხ
 ჭგარბე ფუსდა ჩუქენა ხოლი.
 ჩოლმა ლათუნელეუშ ანლრი.
 —ჩოლმა მიშგუ. იმეი ხარი.
 —იმეი ხეინდი მარ ანლელდა
- 60 ავე ლანმარ ჩამსედელხეხს.
 მურსგევენ ბარჯს ლალ სგა ამევიჩხ
 ჩუ ღენ ალე მიშგვათეჩუ.
 სამ ღვაშარს უშხეარ აქლაჩენე.
 ემოშ ბარჯას ეი ვთრეკენე,
- 65 ეჩქა ლათხეპარს მავინ მამ ქარ,
 სემი ღვაშარს უშხეარ ოხლანქ,
 ალა ჩოლმას ეი ლახეცე
 ათხე მი სგეებინ ექოლა.
 ემოშ ზაგე ეი ალღრინედ.
- 70 ეჩქა ლათხეპარს მავინ მამ ქარ.
 აშ ხობინმხ ლიზ-ლიჩედი.
 მათხემა ხოკიხ ზაგვართეი.
 ჩოლმა მიშგუ ეეშგამე ლოხსგი,
 აშხე სეირს ეი აქსგიდნენი.
- 75 ტვიბრუს სეარხალ კურ აქგნრა,
 ჩეალს ი ნალერეხს მანგ ესღვენდა.
 დალარ ჩეალ-ნალერეხს ათნაჩდე.
 ისგვა ბარჯან ნაევიჩი ალა ხადეხ.
 ათხე სი კანქს ქა ლაქეკედი.
- 80 ლადლისგა ღვაშ ქულევენდელს.
 ნეცინ ესრკან უდურეა ქაცს

- ოდ ჭეკვისი, ამეი მერღე.
 შოქეა დაგრა სი ჭიხანდელს,
 ეჩქას მერღე ნიშქეეა ცახან.
 85 ალ ჰეჯ ისგოვ ქა ლანშოდენს.

8

ჩოლა მონადირე

- კარგი მონადირე ჩეენი ჩოლა
 სანადიროდ წაეიდა,
 ჭიხვის ჭოვს მიეპარა.
 ერთი საუკეთესო ჭიხვი მოკლა.
- 5 მეორედაც ესროლა —
 მეორე ჭიხვი კიდეე,
 მესამედაც ესროლა—
 მესამე ჭიხვი კიდეე მოკლა.
 მეოთხის მოკვლას რომ აპირებდა.
- 10 დაღებმა გათოკეს,
 კლდეზე დატოვეს
 მარჯვენა ფეხითა და მარცხენა ხელით დაკიდებული.
 მას თან მწვეარი ჰყავდა.
 —ჩემო მწვეარო, შინ წადი,
- 15 ჩემს ძმებს შეატყობინე:
 ტეიბრუშზე ამოვიდნენ,
 თოფ-იარაღი არ დაკარგონ,
 ჩემი ძელები შინ წაიღონ.
 წაეიდა მწვეარი.
- 20 გზაში წმ. გიორგი შეხვდა.
 —ყარანავს, სად მიდიხარ?
 როგორ თუ სად, ჩემი ჩოლა,
 ჩემი ჩოლა კლდეზე დარჩა დაკიდებული.
 მის ძმებს წამოვიყვან,
- 25 ჩოლას ძელებს შინ წაიღებენ,
 თოფ—იარაღს არ დაკარგავენ.
 დაბრუნდი უკან.
 უფალი წმ. გიორგი თავად წამობრძანდება,
 ტეიბრუშზე ამოვა,
- 30 დაღებს მოციქულებს მიუგზავნის,
 ჩორლას აახსნევიანებს.
 ყორანა ჩოლასთან დაბრუნდა.
 —საბრალო ჩოლა, გამაგრდი,
 თავად წმინდა გიორგი მობრძანდება.
- 35 წმინდა გიორგი მობრძანდა,
 დაღებს მოციქული მიუგზავნა.
 ჩოლა ასხენითო, შეუთვალა.
 ეს დაღებს სიცილადაც არ ეყოთ.

- მეორედაც მიუგზავნა მოციქულები.
- 40 ჩოლას ჩემთვის ბევრი სამსახური გაუწევია,
იმ სამსახურს მე არ დაუქარგავ.
თორმეტი ცხენის საპალნე
სანთელ-საკმეველო დაუმზადებია.
არჩიოთ და აუშენ!
თუ ეგ არ უნდათ, ჩარლა მონადირემ
- 45 სამიათასი ჭიხვი რომ მოკლა
(წვრილ-წვრილ არჩევებს ზომ თვლა არა აქვს),
უველა ეს დღესევე თავისი ფეხით მომგვარონ აქ.
თუ ურჩევნიათ ახსნან
თუ ურჩევნიათ ეს დამიბრუნონ.
- 50 ამდენს ნადირს საიდან მოვიყვანთ,
ჩოლამ სამად სამი თხა დაგვიტოვა.
სჭობია ისევე ჩოლას აესხნით,
ოლონდ ნიშანი რომ დაუტოვოთ მარჯვენა მხარს მოეტყუბო,
ჩორლა გაათავისუფლეს.
- 55 ნიშანი რომ დაეტოვებინათ—მარ ჯვენა მხარი მოსტეხეს.
წმინდა გიორგი ქვემოთ ელოდება,
ჩოლა ბარბაცით მოდის.
—ჩემო ჩოლა, როგორა ხარ.
როგორ ვიქნები, ვინ იფიქრებდა,
- 60 რომ ცოცხალად გადავრჩებოდი,
ოლონდ მარჯვენა მხარი მომტეხეს.
—ჩამოდი ერთი ჩემთან,
სამ ჭიხვს ერთმანეთზე გადავიბამ,
თუ შესძლებ მხარზე აკიდებას,
- 65 მაშინ ნადირობა სახიფათო აღარ იქნება შენთვის.
სამი ჭიხვი ერთმანეთს გადააბა,
აჰკიდა ჩორლას.
ახლა წინ გაგიძღვები,
თუ ბორცვზე ავალთ,
- 70 მაშინ ნადირობა სახიფათო აღარ იქნება შენთვის.
გაუდგნენ გზას.
ბორცვის თხემამდე ცოტალა დარჩათ.
ჩემო ჩოლა, უკან მიიხედე,
ერთ სეირს განახებ!
- 75 ხეში სეტყვა მოდიოდა,
მეწყერსა და ნიაღვარს მიჰქონდა ყველა ფერი.
დალებიც ნიაღვარს გაურიე,
შენი მხრის მოტეხისთვის.
ახლა წყალობას გიზამ:
- 80 დღეში ერთი ჭიხვი მომიცია,
წვრილი არჩვის მოკვლას ზომ არაეინ დაგიშლის
სანამ გენდომება ასე იქნება,
ვიდრე სიკვდილს არ მოისურვებ,

ფ. არქ. 34389.

ჩორლაქალას ყველა ბალადაში თანაბარი სიძლიერით წარმოგვიდგება ვერაგი დალებიდან უარყოფითი დამოკიდებულება. ამაში გასაკვირი არაფერია. საუკუნეების განმავლობაში წარმოებულ ულმობელი სარწმუნოებრივი ბრძოლა არ შეიძლებოდა დარგობრივი მითოლოგიის ძირითად ძეგლებსაც არ შეხებოდა. უძველეს კაცდვთაბათა ზოგიერთი თვისება ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მითოლოგიურ პერსონაჟებსაც დაუკავშირდა (ჯგრაგი—წმ. გიორგი).

26. კელსამძივარი

მთქმ. ჯურხა უთურგას ძე გოგოჭური, სოფ. ბუჩუკურთა, ხევსურეთი. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი. მ. X. 1964 წ. ხევსურ. ფოლკლორული ექსპედიცია (ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი), ფ. არქ. ხ—192.

ტიქსტის უკეთ გაგებისათვის ზოგიერთ სიტყვას განმარტება სჭირდება. ასეთია: ვაქერებ — ვაჟღრიალებ. კელსამძივარი ანუ სამძივარი ხატია სხვათა მსგავსად. კელსამძივარის ხატი სოფ. ჭორმეშავეში არსებობს. თვითონ ქალია, გიორგის მიერ თითქოს ქაჯავთიდან მოყვანილი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ასე არაა, ე. ი. კელსამძივარი დამოუკიდებელი ღვთაება არის დალის მსგავსად. საკმაოდ გათვითცნობიერებული და მითოლოგიურ გადმოცემათა კარგი მცოდნე ჯურხა გოგოჭური (ბუჩუკურთა) ერთ სიანტიერესო დეტალს იგონებს. სანადიროზე მყოფი ხევსური ნადირობის ბედს კელსამძივარსა და გიორგის თხოვს: თუ მომავლევინებ, რქებს მოგართმევო. ამიტომაც ბოლო დრომდე ინახება სამძივარის ხატში შეწირული ირმისა და ჯიხვის რქები. ბუჩუკურთელი დეკანოზის სიტყვით კელსამძივარი უფროსია, მეტი ძალისაა. იგი ხატია და არა ღობილი, როგორც ზოგჯერ ამბობენ ხოლმე. შორის სამგზავროთ მიმავალი ჭორმეშაველი თან მასანთოს (სამი ქადა, — ხავიწის გულიანი) წაიღებდა და პირველი ღამის გასათევად გილას მოილოცავდა, შესთხოვდა წმ. გიორგისა და კელსამძივარს. მგზავრი იტყოდა: „კელსამძივარო, წმ. გიორგი, თქვენ გეხვეწებით მგზავრნი მოგზაურნი, მოგვეცით მშვიდობიანი მგზავრობა და ნურც დაგვაზარალებ“.

ამნაირად, იკვება, რომ წარმართულ ქალღმერთ კელსამძივარს ნადირის მოვლის ფუნქციაც გააჩნდა თურმე.

ხანმატელი მამუკა ხეთისოს ძე ალუდაურის ცნობით, ხანმატის წმ. გიორგის ხატში დეკანოზი ასე დაილოცებოდა: „ქელსამძიმარო, გიორგის მოღე-მომწრენო, ჳმელეთზე მოსაიციენო, თქვენამჲ იდიდე-ბოდესთ ამ ჳიქა-ბარძიმით. თქვენ თქვენს მახვეწურებს, მოსალმეებს ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ“. ამის წარმოთქმის შემდეგ დეკანოზი სვამს ლუღს და სხვებიც ილოცებიან.

სამძივარის სახელი ხანმატის წმ. გიორგის სახელთან არის დაკავ-შირებული. ამ დაქინებით ცნობას ახსნა სჳირდება. ჳერჳერობით ეს საკითხი საკმარისი სიღრმით შესწავლილი არ არის.

ქაჯებთან გიორგის შერკინება კარგად არის ასახული ხევესურულ პოეზიაში. ხალხის რწმენით ხანმატის წმ. გიორგის ქაჯეთიდან საშუ-ქალი წამოუყვანია და დად გაუფიცებია. ესენია: სამძიმარი, მზექალი და აშექალი. სამძიმარის სახე პოეტურ ფორმებში აირეკლა და სათა-ნადო ლექსები აქამდეა შემონახული ხევესურეთის არაგვის სათავეებში. ხანმატელთა წარმოდგენით სამძიმარი კისტნელ ჳაბუკს მოჩვენებია ჳუათ ელენეს სახით და ცოლობაც შეუჳვეთია. უმიზნოთ და ანაზღე-ულად არ მღეროდნენ ხატის მსახურნი რიტუალური ლუღის შესმისას ხანმატის ხატში:

აბულეთაურთ ხოლიგასაო
ქალი საცოლეთ მოესწონდიდო,
ჳუათ ელენე ვეგონიდიო.

ყმაწვილს საჭლშიც მოუყვანია მაქცია ქალი. მალე უცხო თვა-სებანი შეუმჩნევია და დედა გაუფრთხილებია: თვალყური ადევნე, ადამიანი არ უნდა იყოსო. ცოტახნის მოღმა პატარაძალმა დედამთილს თხოვა: ხანმატის ხატში მივდივარ და სამი პატარა მასანთო გამომიც-ხვეო. — თვითონ შენ გამოაცხვეო, უთქვამს დედამთილს. დაუკიდე-ბია ქვაბი ცეცხლზე — ერბო უნდა გაადნოს. დედამთილს გაკვირვე-ბია, ცეცხლზე ძალიან დიდი ქვაბი რომ გამოჩენილა. ამდენი ერბო არა მქონდა, საიდან მაიტანაო. გაუსინჯავს ერბოს ქილა. სამკან ჳქონია თითი მოსმული, სხვა უჳკლებლივ იყო. ასე მიმხედარა, მისი რძალი სხვა რამ იყო. გამოაცხო სამი კვერი. დაემშვიდობა დედამთილს. გა-მოფრინდა იქიდან და ლებაისკარს ციხის წვერზე დაჭდა. იქ დაიძახა, ამ ციხეში მრევლი არ შევიდესო.

კვლავ გადახტა და მთა გადაიარაო. ეს ალბათ იმიტომ, რომ დე-დამთილმა გამოიცნო და გაჳელავნებულს იქ აღარ ედგომებოდა, უს-და დავუმატოთ ჩვენ გიგია ალუდაურის ცნობებს. ხალხურ ლექსში ხშირად გვხვდება გამოთქმა: „იქავ აჩნიან ნაკოჳარნიო“, რაც ციხიდან გაფრენაზე უნდა მიუთითებდეს.

მთქმ. სამძივარ სუმბათას ასული არაბული, 81 წლის, სოფ. გველეთი. ხევსურეთი. ჩამწერნი მ. ჩიქოვანი და გ. შეთეკაური. 7. X. 1964 წ. ფ. არქ. ხ—192.

სიტყვების განმარტება: ნაოჭიანი—ჯუბა. ქოქომონი—ხევსური ქალის კაბის ბოლოზე მოკერებული ზოლებიანი ქსოვილი. ნაოჭარნი—ნაფეხურები, ნაკვალევი, ფეხის დანაკრავი. პურ-სატანი—პური და ყველი.

გავრცელებული რიტუალური ლექსია, რომელსაც ახლა ძნელად მოიგონებენ. გველეთელმა მოზრეცმა სამძივარ არაბულმა პირველად ყოველგვარი ლექსის ცოდნაზე უარი განაცხადა. მერე და მერე საუბარში ჩაყოლითა და ხეთისშვილთა სალოცაეების ჩამოთვლით რამდენიმე საყურადღებო ტექსტი მოიგონა. ჩვენც, მე და ასპ. შეთეკაური, ვუყვავებდით მზის გულზე ჩვილ შვილიშვილთან მკდომ მოხუცს. როცა მის საკუთარ სახელთან დაკავშირებით სამძივარზე ჩამოვაგდე სიტყვა, მოხუცმა ჯერ ჩაიჭირაქილა, მერე სვენებ-სვენებით აი ის ლექსი წარმოსთქვა, რომელიც ცალკე გამოვიტანეთ, სხვა ნაწყვეტებთან მსგავსებისდა მიუხედავად.

1964 წელს ხევსურეთში მოგზაურობამ, სხვათა შორის, იმაშიც დამარწმუნა, რომ სამძივარა//სამძივარა ძველი ქართული პანთეონის წევრი იყო და ნადირის მოვლა-მწყემსობა ევალებოდა ხევსურული მონაცემების კვალობაზე. ჯერჯერობით სამძივარა//სამძივარას ხატის არსებობა ხევსურეთის (ქორმეშავი) გარდა დადასტურებული არ არის. მომავლმა ძიებამ ახალი მასალები უნდა შეგვმატოს მატრიაჩატის დროინდელი ქალღმერთის ბუნების გასარკვევად.

28. სამძივარა

ჩამწ. თ. ოჩიაური, ხევსურეთი (თ. ოჩიაური, ქ. უძვ. სარწ., გვ. 45—47). ჩამწერილია სხვადასხვა სოფელში: „ამაში მქონდა შაძლებაო“ და „ქმელეთზე ვიარებოდიო“ ს. ხახმატში; „აბულეთაურთ ციხეჩიაო“—ლულში, „მაში ძლივ მქონდა“—გველეთში, „ამაში მქონდა“—ს. ქობულოში, „აბულეთაურთ“—ხადუში, „ჯერხო-კალოთა“—არხოტში. „ზებირ ვიარებოდიო“—გიორგიწმინდაში, „აბულეთაურთ ხოლიგასაო“—კისტანში და „ამაში მქონდა“—შატილში.

სამძივარა (სამძივარა) პოპულარულია ხევსურეთში. ეს სახელა ხატის გარეშეც გვხვდება მოსახლეობაში, მაგრამ მას ლექსებთან კავშირი არა აქვს. სამძივარას ზემოთ მოტანილი ლექსების უმრავლესობა

გაღვთაებრივებულ ნასახიანი ქალის სამიჯნურო ეპიზოდებს გვაცნობს. თითოეულთან თქმულებებია დაკავშირებული, შინაარსითა და წარმოშობით იმავე ციკლს განეკუთვნება, რასაც ნადირობის ქალღმერთ დალის ლექს-სიმღერები სევანურ ფოლკლორში. ხალხის წარმოდგენით სამძივარი (სამძივარი) ყველაფრის მცოდნეა („იმის გაუგო-შაუტყო არაფერი არ იქნების“; ოჩ., გვ. 42). ეს ლამაზი და კობტა შესახედაობის ქალღვთაება მაქციია; შეუძლია სახე იცვალოს, სოფლელი ქალივით იაროს, გამოეწყოს რომელიმე ადგილობრივის მსგავსად და ნაცნობ ქალიშვილად მოაჩვენოს თავი საცოლე ბიჭებს (შუათ ელენე, ამირათ ქალი, ჩუათ კმარა, ჯუათ ელენე). მაქციობისა და ყოვლისმცოდნეობის მიზეზით სამძივარი ქაჯის ქალად არის მიჩნეული. მას საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ალის თვისებები გააჩნია და სევანური ქალღმერთის დალის აღმოსავლეთ-ქართულ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. ამჟამად სამძივარი და დალი ერთმანეთის ორეულები არიან, თუმცა წარმოშობით შეიძლება ერთნიც იყვნენ. სამძივარს არა მარტო ხატის წინაშე ელჩობა და შუამდგომლობა შეუძლია, არამედ უნარი შესწევს ხორციელ ქალად გამოეცხადოს ხეცურეთის რჩეულ ჭაბუკებს და მათთან რომანული კავშირი გააბას. სამძივართან პეტერულ კავშირს ამყარებენ აბულეთაურთ ხოლიგა, იმედა და საღირა. გოგოთურა, გახუა მეგრელაური და ფშაველი ფერაულისძე. ქალღმერთთან სამიჯნურო თავგადასავალი უფრო ხშირად ტრაგიკულად მთავრდება, განსაკუთრებით სევანური მონაცემების მიხედვით. მონადირე ჭაბუკები ბოლომდე ვერ იცავენ საიდუმლო პირობას და განრისხებული ქალღვთაების მსხვერპლი ხდებიან. ჯერჯერობით სამძივარას მიჯნური ვაჟების ცხოვრება შესწავლილი არ არის. ფოლკლორული მონაცემების მიხედვით, როცა სამძივარის ხორციელი დამოკიდებულება გაცხადდება, მავანი ქალის სახით ვაჟთან დაახლოვებული სამძივარი თავის რჩეულს სტოვებს და იმ არე-შარეს ისცილდება. გამოირიცხული არ არის, რომ ეს ბედნიერი დასასრული ყოველთვის ასეთა არ იყო; მას ტრაგიკული ბოლოც შეიძლება ჰქონოდა დალის მოტრფილ მონადირეების მსგავსად. ამას გვაფიქრებინებს სამძივარის მაქციობა და ოჯახში შეჩვევა, „ოქროს ზალტისა და ბეჭდის გამაღების“ ცოდნა. უკანასკნელი მოტივი იმ პირობით ნიშანს გვაგონებს, რაც ოჯახში ალის მორჩილად ყოფნას იწვევს. აკი ცნობილია, სახლში მოყვანილი ალი (ოდინდელი ქალღმერთი) მანამდე არ გაიქცევა, სანამ თავის ნივთებს—ფრჩხილებსა და თმას—არ იბოვის, ოჯახის უფროსის მიერ გადაამალულს. ხოლიგა უცოლოა. მას ხახმატის ჯვარი (იქნებ იგივე სამძივარა) ქორწინების ნებას არ აძლევს. ხოლიგაც ბერულად ცხოვრობს, რადგან „ნება არ ხქონივ, დედაკაცსთან ჯალაფობაში

ყოფის ნებაი“ (თ. ოჩ., დას. ნაშ., გვ. 44). ვითარებას კარგად იყენებენ სამძივარი. „ქაქამატის ჯვარ ქალის ალით შჩვენებზე ხოლიგას კისტან... თავის ნებით მასვლივას დიაცად (სამძივარი) — ჯუთ ელენა ვითომ ოჩავ. დედამთილს ლგონებზე ჩემის შვილის დიაციავ“ (იქვე, 44). აქედან დასკვნა: სამძივარის ლექსებიც ისე უნდა შემოვიღეს მითოლოგიურ ნაწარმოებთა წყებაში, როგორც დალისა.

29. ნადირთ პატრონი (ოჩოპინტრე)

მთქმ. გ. ლობჯანიძე, ს. ლები, ზემო რაქა. ჩამწ. ალ. რობაქიძე. რ. მისივე: შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაშ. 1, გვ. 189. საწესჩვეულებო მაგიური ტექსტია. სრულდებოდა მონადირეთა მიერ სანადიროდ გამგზავრებისას. ასევე ადგილზე მისვლისას.

ნადირთა პატრონი ანუ მწყემსი, ნადირობის ღვთაება ქართულ წარმართულ პანთეონში ჩანს რამდენიმე ყოფილა. სევანური მასალების მიხედვით მას დალი ეწოდება, აღმოსავლეთ საქართველოში კი, სახელდობრ ხევსურეთსა და კახეთში, ოჩოპინტეს (ოჩოპინტრე) სახელითაა ცნობილი. 1945 წელს პანკისის ხეობაში, სოფ. ყვარელწყალში, შამილ ჩეკურიშვილმა „ნადირთა მწყემსის“ სახელებით დამოუკიდებელი თქმულება ჩამაწერინა (ფ. არქ. № 31432; ობ. აგრეთვე ელ. ვირსალაძის პუბლიკაცია: „ნადირთ პატრონი და-ძმა“, „ხალხური სიბრძნე“, ტ. 111, 1964, გვ. 180; შდრ. ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 31). ნადირთ მწყემსი ქალიც შეიძლება იყოს და კაციც. ოჩოპინტრე კაცია, ამ სახელს ისტორიულად მამაკაცები ატარებდნენ (ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., 1. 1928, გვ. 79).

ოჩოპინტრეს ნადირთ უფროსობა ანუ გამგებლობა სულხან-საბა ორბელიანსაც აქვთ აღნიშნული. ლექსიკონში იგი გარკვევით წერა: „ცრუმონადირენი ნადირთ წინამძღვრად იტყვიანო“. გართლაც, ნადირთა მფარველობა რომ ოჩოპინტრეს ევალება, ეს კარგად ჩანს ხალხში დაცული ჩვეულებების მიხედვით. სიცხადისათვის აქ ხევსურულ და კახურ ცნობებზე მივუთითებთ. ხევსურთა ზნე-ჩვეულებების დახასიათების დროს ცნობილ ხევსურ მთქმელს ბეს. გაბურს ნათქვამი აქვს: „მენადირეები როსაც ჯიკვთ სანადიროდ წავლენ, წინ-წინ თუ ნადირთ მწყემსს არ შახეხევენეს, ოჩოპინტეს, გულში, მენადირე ნადირს ეუ მახელავს. ეს ოჩოპინტე საფარველ-დადებულნი ას, მენადირე თვალთ ვერ დაინახავს და, როსაც ნადირთ მიეპარების, მამინ ეს ოჩოპინტე ეტყვის ჯიკვთ: „აბა მაიქცენით! მენადირე გეპარებისთ“, და ჯიკნი მა-

შიავ მაინქეცვიან იმ ალაგშით, მთა-წვერთ მენათოზებთან“ (წელი-წდელი, I—II, გვ. 153). თუ შონადიოე გულით ეხვეწება ოჩოპინ-ტეს, ისიც შეიწყალებს და სურვილს აუსრულებს. „როსაც მენადირე ჯიკვთ ეპარების, იტყვის: „ნადირთ მწყემსო ოჩოპინტევ, შენ გეხვეწე-ბი, მამეცი ჯიკვთ თავი, მამაკელიე! სულნი ხო შენნია ნადირთანია?! რას მაკლდების შენთ ნადირთ?“ მაშინ ოჩოპინტე მისცემს მენადირეს გამარჯვებას“ (იქვე, გვ. 154). ნადირის მოკვლის შემთხვევაში ხევსუ-რი ოჩოპინტეს მადლობას უხდის და ლოცავს. დაახლოებით ასევე იქცეოდნენ კახელი მონადირეებიც. გ. ბოქორიძეს 1915 წელს გარე-კახეთის სოფ. შიბლიანში შემდეგი მოუსმენია: „ნადირს თავისი ან-გელოზი ჰყავს, სახელათ ოჩოპინტრე. უწინ, როცა მონადირე ნადირა ვერ მოკლავდა, მაშინ პატარა პერანგს შააკერინებდა, წაიღებდა და ოჩოპინტრეს ზღვნად მიართმევდა, ხის კენწეროზე დაჰკიდებდა და თან შეეხვეწებოდა: „ნადირის ანგელოზო, ნუ გამიწყრები, გთხოვ წყალო-ბა მოილო ჩემზე, ბევრი შენ და ცოტა მეო!“ (ი. ჯავახიშვილი, 1, გვ. 78). ოჩოპინტრეს განრისხებაც შეუძლია, მაგალითად, თუ მონადირე ჩვილ ნადირს დახოცა, მას დააბრმავებს ან დაწყევლის (იქვე, გვ. 79).

აქ ანგელოზის ხსენებამ არ უნდა შეგვაკრთოს, იგი ქრისტიანო-ბის გავლენის შედეგია; ძველი ღვთაება ახალი სარწმუნოებრივი პერ-სონაჟით არის შეცვლილი. მაგრამ თვითონ ძირითად ხალხურ ცნობებ-საც სჭირდება ჩაკვირება. სარწმუნოებრივი ხასიათის გარდაქმნანი ქრისტიანობაზე ადრე თვით წარმართობის პერიოდშიაც ხდებოდა. ამ შემთხვევაში იგი ქალღვთაების მამაკაცღვთაებად გადაქცევაში გამოიხატა უმთავრესად. მატრიარქატის დროინდელი ნადირთა ქალ-ღვთაება პატრიარქატის დამკვიდრების შემდეგ კაცღვთაებით შეიცვა-ლა. ასე რომ, სვანური დალისა და მისი ხევსურული ორეულის სამ-ძივარას ფუნქცია ჯერ ოჩოპინტემ, ბოლოს კი ნადირთ ანგელოზმა იკი-სრა (იხ. შესავალ წერილში. „კელსამძივარი“).

30. ლაზარე—წვიმის მომხვანი

ჩამწ. ი. ჯავახიშვილი, კახეთი (ქართველი ერის ისტორია, I, 1928 გვ. 71), ფ. არქ. 1609, 1211, 6026, 1564, 21270. კ 15, გვ. 75. სონდ. 83, დროება, 1875 წ. № 57, თეოფ. კანდელაკი, „გორი“, ივე-რია, 1889 წ. № 45; ვაჟა-ფშაველა „ჩვენი სოფელი“. მოამბე, 1894 წ. № 5; ან. ერისთავი, „ლაზარემ გადააჭარბა“. გაზ. „ისარი“, 1907, № 117; ს. განსაცდელი... „ეხ ლაზარე, ლაზარე“.

ლაზარე ტაროსის გამგებელია, მის სახელზე არსებობს აგრარული ხასიათის ჩვეულება „ლაზარობა“. ლაზარობას გვალვიან ამინდში

მართავდნენ „ცის ნამის“, ე. ი. წვიმის მოსაყვანად და ტალახის გააჩენად. ჩვეულების აღწერა ბევრჯერ გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში და მისი განმეორება საჭირო არაა (მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 255—56).

საგალობელს, რომელსაც სამჯერ წარმოთქვამდნენ, თავისი ვარიანტები მოეპოვება, თუმცა მცირე ვარიაციული სხვაობით. ქართლში, 1949 წელს სოფ. გალავანში (მცხეთის რაიონი) ქს. სიხარულიძემ ჩაწერა ქართლური ვარიანტი. მთქმ. ნატო კინკარაშვილი, ლაზარობის მონაწილე, ლექსის შემსრულებელი (ქრესტ., I, გვ. 49).

ა

ლაზარ მოდგა კარსა, მიდგა-მოდგა მთასა!
ცხავი აცხავებულა, წვიმა მოჩქარებულა,
ღმერთო, მოგვეც ტალახი, აღარ გვინდა გორახი.

(დაბეჭდილ ტექსტში „ცხავის“ მაგიერ „ცხვარი“ (წერია, ქრესტ. I, 49, რაც შეცდომა, უნდა, იყოს). სოფ: გალავანში ლექსის სხვა ვარიანტიც გვხვდება ქალების შესრულებით.

ბ

ლაზარ მოდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო.
მიდგა-მოდგა მხარესა, დაემსგავსა მთვარესა!

მთქმ. მაყვალა ამირხანაშვილი, ს. გალავანი. ჩამწ. ქს. სიხარულიძე, 1949 წ. (სიხ. ქრესტ., I, 150; შედრ. ფ. არქ. 21270). ტაროსის ღვთაების ფუნქციები ხევსურეთში პირიმზგეს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი ასახულია ამირანის თქმულებაში (მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1959 წ. გვ. 173).

მესხეთ-ჯავახეთში ასეთი ტექსტია დადასტურებული:

გ

ლაზარ მოდგა კარსა, აცანცალებს თავსა,
აღარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვეც ტალახი.

ჩამწერი ნ. ასათიანი, ფ. არქ. 12311.

ქართლშიც ფართოდაა ცნობილი ლაზარობის საგალობელი. ასე, მაგალითად:

დ

ახ, ლაზარე, ლაზარე!
მიდგა, მოდგა თაროსა, დაემსგავსა მთვარესა.
ცხავი აცხავებულა, წვიმა გაჩქარებულა.

ორღობ-ორღობ ტალახი, მინდორს კაი ბალახი;
ალარ გვინდა გორახი, ღმერთო მოგვეც ტალახი.
ჩვენ ღაგიკლავთ ციკანსა, შენ მოიყვან წვიმასა.

სონდ. 84, ქართლი. ჩამწ. ჯ. სონდლულაშვილი. მთქმ. ლაზარობის მონაწილე დიდმელი ქალი ეფ. ჯამუტაშვილი. ჯამუტაშვილისეული ტექსტიც შერწყმულია, მასში მე-3 ტაეპის სახით წარმოდგენილი „ორღობ-ორღობ ტალახი“ კვლავ ტაროსის შეცვლაზე მიუთითებს. ლაზარობას მესხეთ-ჯავახეთში ზოგჯერ „კოტი-კოტი“ ეწოდება. წვიმის მოსაყვანად ლაზარეს სახელზე მღეროდნენ: „ლაზარ მოდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო“ (მაკ. მესხ.-ჯავ. 110).

ლაზარეს ლექს-საგალობელს აქ არა ც კარგად იცნობს. აქ გვხვდება როგორც გვალვის, ისე ხშირი წვიმების საწინააღმდეგო სიმღერები. გამოსაამინდებლად აქარლები ე. წ. „ქაშატობას“ მართავდნენ.

ამ ჩვევას დიდი გულმოდგინებით ასრულებდნენ აპრილის პირველ შაბათს. რკინეულს ყანაში არ გაიტანდნენ (ხერხს, ცულს, სახნისს, ჯილღას), რათა ნიაღვარს ნათესები არ გაეფუჭებინა.

ლექსის პირველ ნაწილში გვალვის წინააღმდეგაა საუბარი, მაგრამ თუ წვიმა მოხშირდებოდა, ლექსის უკანასკნელ ტაეპს შეცვლიდნენ.

მ

ლაზარ მოდგა კარსა, აღურღულებს თავსა.
შინაო, შინო, შინაო, ჩიტმა შეგაშინაო,
ცალი მხარი მომტეხა, ცალი შემარჩინაო.
აბლახანუმი, ყალხ სანა², აღ ქულეგა ვარ სანა³.
აბლა მიდგა თაროსაო, დიემსგავსა მთვარესაო.
ალარ გვინდა მზისა თვალი, ღმერთო მოგვე წვიმა-წყალი.

ანდა, თუ გამოამინდება იყო საჭირო:

„ალარ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო მოგვე მზისა თვალი“.

ჯ. ნოდაიდელი, „ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“. თბილისი, 1935, გვ. 49.

სიტყვების განმარტებანი.

1. აბლახანუმი — ბიცოლა (თურქ.),
2. ყალხ-სანა (თურქ.) ადექი,
3. აღ ქულეგა ვარ სანა (თურქ.) კარაქი გაქვს კოთხოში.

წვიმის მოყვანის სპეციალური ლექსიც არსებობს. მას შემდეგი სახე აქვს:

ლაზარია მოდგა კარსა, აღარღლებს თავსა.
 აბლამ (ბიკოლა) მიადგა თაროსა, დაემსგავსა მთქარესა.
 ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი. შიგვინახე მზისა თვალი.

მთქმელი სალიე ფუტყარაძე, შუახევის რ., შუბანი.
 ჩამწ. ე. მახარაძე, 1949 წ. აქარის სახელმწიფო მუზეუმი,
 ფონდი № 106. ბათ. აქარის ხალხური პოეზია, I, 1969, გვ. 78.

ტაროსის ღვთაების ლექს-საგალობლებს საყოველთაო ხასიათი აქვს; ისინი ცნობილია საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი მიწათმოქმედებას მისდევდნენ ისტორიულად.

ლაზარობის ლექს-საგალობლების მოპოვება არ კირს. მისი რამდენიმე ვარიანტია იქნა ჩაწერილი ქვემო ქართლში 1970 წლის ზაფხულში სტუდენტ კ. დავიდოვას მიერ.

ახ, ლაზარე, ლაზარე!
 ლაზარ მოდგა კარსა.
 მიდგა-მოდგა თაროსა,
 დაემსგავსა მთქარესა.

ანდა:

აი პაპუნა, პაპუნა,
 წვიმა მოდის შხაპუნა.
 ისეთი გუბეებია
 ფეხებზე გაგვეშხაპუნა!

ზოგჯერ ელიასაც არ ივიწყებენ:

აი ელია, ელია,
 რაზედ მოგიწყენია.
 თუ მოიყვან წვიმასა —
 ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა.

მთქმელი სათინო მელიტონის ასული დავიდოვა. სოფ. უნაკეთი.
 ჩამწ. კ. დავიდოვა. 1970.

31. ლაზარე

ჩამწ. მ. გეგეშიძე, სოფ. ხურვალეთი, ქართლი. მ. გეგეშიძე, რწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე. მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, VI, 1953, გვ. 81.

ტაროსის ღვთაების საგალობელი, სადიდებო სიმღერა. ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. „ცას ღრუბელი აშაღე“—წვიმის გამოთხოვას ნიშნავს, ე. ი. იგალობებოდა გვალვის

დროს ლაზარობაში. ქართლის სოფ. ბერშუეთში, მაგალითად, გვალვის უამს თიხისგან გაკეთებულ თოჯინას ფეხშიშველი ქალები კარდაკარ ჩამოატარებდნენ. მეზობელ სოფლებსაც ეწვეოდნენ, ხორაგულს მოაგროვებდნენ და დაბრუნებულნი საერთო სუფრას გაშლიდნენ. აქ უკვე მამაკაცებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. ჩამოვლისას თოჯინას წყლით წუწავდნენ, რაც სიმპატიური მაგიის ერთ-ერთი სახეობა იყო. სოფ. ახალ ქალაქში (ქართლი) თოჯინას მაგიერ ქალს ამოირჩევდნენ, დედოფალივით მორთავდნენ და კარდაკარ ჩამოვლისას შასაც დაასველებდნენ, გაწუწავდნენ (ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ., I 1928 გვ. 72). ქალდედოფლის ჩამოტარების ჩვეულება ძველი ჩანს, იქნებ თოჯინა—შემცვლელზე უფრო ადრინდელია. ლაზარობის დღეობაში ქალისა და ქალთა გუნდის განმსაზღვრელი მონაწილეობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს ჩვეულება მატრიარქატის პირობებში ჩამოყალიბდა.

32. ლაზარა-დარის მომცემი

ჩამწ. ი. ჯავახიშვილი, კახეთი (ქართ. ერის ისტორია, I, 1928, გვ. 71). ფ. არქ. 6026, 21270, 12311, 1609.

იმავე ლაზარეს გამოამინდების საქმეც ეხება. ახლა კარდაკარ ჩამოვლა და თოჯინას გაწუწვა არაა საჭირო.

მღერიან საგალობელს, რომელიც, ტექსტის თვალსაზრისით, წვიმის მოყვანის ლექსის შებრუნებულ სახეს გვაძლევს, ახალ სიტუაციაში ლაპარაკია გორახის გაჩენა—ტალახის გაშრობაზე, მზის თვალის ანუ მზის გამოჩენასა და დაროს აჩქარებაზე. ამ სიტყვების ჩართვა ლექსს სხვაგვარ შინაარსს აძლევს. ჩანაწერებში უფრო ხშირად ერთადაა მოცემული როგორც წვიმის მოსაყვანი, ისე გამოსაღარებელი საგალობლები.

ქართულ ბაზალეთელ მთქმელს ოლა ლალიაშვილს „ლაზარობა“ შემდეგნაირად აღუწერია ფოლკლორული ექსპედიციის წევრისათვის 1939 წლის 15 ივლისს: „როცა დაიჭერდა ავდრებს, მოვქუჩდებოდით რამდენიმე ქალი, ბავშვები. მოვრთავდით (დედოფლებს), სარკეს დავიჭერდით ხელში. წავიდოდით სოფლებში, მივდიოდით სუ ყველა მეკომურთან და ვიმღერებდით:

ა

ლაზარ მოდგა კარსა, იფრილა მთასა.
მიდგა-მოდგა მხარესა, დემზგავსა მთვარესა!
ცხავი აცხავებულა, დარი მოჩქარებულა!
ღმერთო, მოგვე გორახი, აღარ გვინდა ტალახი.

- 5 ახ! ელიავ, ელიავ, ახ, ელიავ, ელიავ!
შენთვის რა გვიწყენია.
თეთრი პური, პურბეწვი შენთვის მოგვირთმევენია.
ახ, ბარბარე, ბარბარე, სახლი დაგვიკარკარე,
რომ მააქუნო, ჯოხებთში ჩაყარე.

ეგრე დავამთავრებდით. თუ გვალვას დაიპერდა. მაშინ ვიტყვოდით. მოგვეცი წვიმაო, ჩამწ. ქს. სიხარულიძე, ფ. არქ. 21270.

„გორახის მომცემი“ ანუ გამოამინდების საქმის გამგებელი უფრო ხშირად ლაზარეა; ერთ კონტამინირებულ ტექსტში ქრისტიანულ წმინდანადაც იხსენიება.

ბ

ახ, ლაზარე, ლაზარე.
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
წმინდა ლაზარეო.

გ

- ცხრილი აგორებულაო
წვიმა გაჩქარებულაო.
5 წმინდაე ლაზარეო,
ალარ გეინდა გორაბიო,
ღმერთო მოგვეც ტალახიო,
წმინდაე ლაზარეო.

ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი, მესხეთ-ჭავჭავთი, 1930, ფ. არქივი 6026.
ლაზარე წვიმის მომყვან-გამომამინდებელი არ უნდა იყოს ამ ღვთაების თავდაპირველი სახელი; იგი გავრცელებული მოჩანს ქრისტიანობის საფუძველზე.

ლაზარეს სიმღერა და ჩამოვლა აქარაშიც იცოდნენ. იქ ჩაწერილ ტექსტს, თურქიზმებისდა მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს ადრინდელი სახე. თვითონ ჩვეულებას აქ „ქაშატობა“ ეწოდება.

დ

ქაშატობა

ლაზარ მოდგა კარსა, აღუღულებს თვალსა
(ზოგან აკაქუნებს კარსა)
შინო-შინო შინაოო, ჩიტმა შემაშინაო.
ცალი ფხარი მომტეხა, ცალი შემარჩინაო.
აბლა ხანუმ ყალხ სანა, (აბლახანუმ აღექი)
ალი ქულეგა ვარ სანა (თაროზეა კარაქი)
აბლა მიდგა თაროსაო, დიემგზგავსა მთეარესაო.

ალარ გვინდა ბზისა თვალი, ღმერთო მოგვე წვიმა-წყალი.

(თუ წვიმა საჭირო)

ალარ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო მოგვე ბზისა თვალი.

(თუ გამოდარება საჭირო)

ქაშატობას შეიძლება შევადაროთ ლაჭანურის ხეობაში დადასტურებული გოგაშობა, რაც მაქსიმე აღმსარებლის კულტს უკავშირდება ლეჩხუმში, მაქსიმე კი ამინდის საქმეს განაგებდა.

მეორე ჩანაწერში აღნიშნულია:

გააკეთებენ ლაზარეს თიხისას, დაასვენებენ ფიცარზე, შეგროვდებიან ქალები მარტო. დაიწყებენ თითოეული მოსახლის კარზე სიმღერას.

2

ლაზარე, ლაზარე! ლაზარე მოდგა კარსა,

მოდგა მოდგა თაროსა, დაემსგავსა მთვარესა.

ცხელი აცხავებულა, წვიმა დაჩქარებულა.

ღმერთო, მოგვეც ცის ნაში!

5 ალარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვეც ტალახი.

ერთი თიკან-ბატკანი შენთვის მოგვირთმევია.

შენ მოიყვან წვიმასა, ჩვენ დაგიკლამთ ციკანსა.

გამოაქვთ საჩუქრად ფქვილი და გასწუწამენ წყლითა. წაასვენებენ ლაზარეს და ჩამარხავენ წყლის პირას. სანთელს უნთებენ.

იმ ფქვილს გაჰყიდნიან და სადილს გააკეთებენ.

მთქმელი ხუციამეილი მაშო, სოფ. ერთაწმინდა.

ჩამწ. ვ. კოტეტიშვილი. ფ. არქ. 1609.

აქაც ერთმანეთშია შერეული გამოამინდებისა და გვალვის ტექსტები. სინამდვილეში წვიმის მოყვანის ლექსი გამოამინდების საგალობელში არ წარმოითქმოდა.

33. ელია

ჩამწ. მ. გეგეშიძე, სოფ. დიდი ლილო, გარე-კახეთი. მ. გეგეშიძე, არწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე. მასალ. საქ. ეთნ. VI, 1953, გვ. 81.

ზოგან ლაზარეს მაგიერ ელიას სახელზე გალობდნენ, რადგან ისიც წვიმის მომყვან ღვთაებად ითვლებოდა. ელიას საგალობელს იმავე წესით ასრულებდნენ, როგორც ლაზარესას ლაზარობის დროს. სიტყვიერ მაგიას მოქმედებაც სდევდა თან. სიმბატიურ მოქმედებას ფეხშიშველობა, გუთნის წყალში გატარება, თოჯინის გაწუწვა, დედოფალას დასველება ან ქვალოდების დანამევა-გადაბრუნება წარმო-

ადგენდა. შეიძლება მოვიგონოთ ე. წ. ქალაქები, რომელთა შესახებ რამდენიმე გადმოცემა არსებობს სოფ. ენისელში გრემის სიძველეთა მახლობლად. აქაური ქალქვა თითქოს გაქვავებულ დედაშვილს წარმოადგენს. დედა-შვილი ლეკებს გამოექცნენ და ტყვეობას თავი გაქვავების საშუალებით დააღწიეს (დედამ შესთხოვა უფალს). აი, ამგვარი ქალქვა, მოზრდილი უფორმო ლოდი ახლაც ძვეს ენისელის განაპირას სარწყავ რუში. როცა წვიმის გამოწვევა სურთ, ამ ქვას გადააბრუნებენ. 1961 წლის აგვისტოში კახეთის სამეცნიერო ექსპედიციაში ყოფნის დროს ქალქვის ფოტოსურათიც გადავიღეთ. ეს უკანასკნელი ფოლკლ. არქივშია დაცული. ამინდის გამომწვევი ქვეები ვახუშტისათვისაც იყო ცნობილი. „პატივანს ქვევით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო—იქნების უწვიმრობა“ (აღწერა სამეფოსა, გვ. 46).

ეთნოგრაფიული ცნობით ამგვარი ქვა კავთისხევშიც არსებულა „ჩადრის ქვის“ სახელწოდებით. დიდ ლილოში, სადაც ზემოთ ნაჩვენები ლექსია ჩაწერილი, დადასტურებული არის ელიის ჩოფურა ქვის არსებობა. „ეს ქვა ელიასავით ჩოფურაა და ცალი თვალით ბრმა არისო“, აცხადებენ ადგილობრივნი (მ. გეგეშიძე, დას. ნაშრ.; მასალ. ს.აქ. ეთნ., გვ. 81), ცნობა ელიას სიბრძნავის შესახებ შესულა ხალხურ ზღაპრებშიც.

თ. რაზიკაშვილს ჩაწერილი აქვს „ლეგენდა ილიაზედ“, საიდანაც ვგებულობთ, რომ ელია ღმერთს ცა-ღრუბელის წინამღვრად დაუყენებია. „ბრმა ილია უძღვება წინ სეტყვასა და წვიმას. რადგანაც ბრმა არის, იმიტომ ველარა ჰხედავს ქვეყანასა და ხან სად დაჰკრავს სეტყვას და ხან სად“ (ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ, 1909, გვ. 264). უწინ, როცა შავი ღრუბლები წამოიგრაგნებოდა და ქარიშხალი ან სეტყვა იყო მოსალოდნელი, სამრეკლოებზე ზარის რეკვას ატებდნენ, რათა ილიას ხმა მიწვდნოდა და გზა აეჭკია. ზარი ქრისტიანული ეკლესიის განუყრელი ნაწილი იყო და მისი საშუალებით ილია იგებდა, თუ სად იმყოფებოდა და ქრისტიანებს აღარ აზიანებდა. ილიას სიბრძნავის მოტივს სათავე ბიბლიაში ეძებნება.

ილიას ხატი და შესაბამისი ტოპონიმიკური სახელები ხშირად გვხვდება საქართველოში. თბილისში მახათას მთის აღმოსავლეთით არის ადგილი ელია; ლეჩხუმში, სოფელ ცხუჯუშერშიც არის ელიის სახელობის გორაკი, სადაც დიდი ცაცხვის ხე იდგა და მლოცველები ზედ სანთლებს ამაგრებდნენ. სამამულო ომის დროს ერთ პლოცველ

ქალს ხის ფულუროში ჩაუდგამს სანთელი ქარის შიშით და ასწლოვანი ხე დამწვარა. იმავე სოფელში ელიობაც იცოდნენ.

ზოგან ლაზარობის ჩვეულებისაგან არაფრით გამოირჩეოდა ელიობა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ლაზარეს მაგიერ ელიას სახელზე მღეროდნენ. ეს სიმღერა კი არა, ნამდვილი მოთქმა იყო, როგორც სოფ. ენიელში აგვიხსნეს 1961 წელს მომღერალთა გუნდის წევრმა ქალებმა (მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. ქართული ფოლკლორი, 1—11, 1964, გვ. 229—30). გავიცნოთ 1961 წელს მოპოვებული ერთი ცნობა:

ა

„როცა გვალვა იყო, შეიყრებოდნენ ქალები. გააკეთებდნენ ნაქარის კუქს, ჩააცმევდნენ და ფენშველი ფენით დადიოდნენ და გალობდნენ:

ელიაო, მელიაო,
რაზე მოგიწყენიაო.
შენთვის რა გვიწყენიაო.
ცხავი აცხავებულაო,
წვიმა გაჩქარებულაო.
ალარ გვინდა გორახი,
ღმერთო, მოგვე ტალახი.
5 შენ მოგვიყვან წვიმასა,
ჩვენ დაგიყლამთ თიქანსა.

მეორე დღეს, ე. ი. ორშაბათ დილით ისევ ის ქალები შეებმევიან გუთანში, წაიყვანენ რიყეებზე, მიწაზე. (გუთანი) რიყეზე დააქვთ და ტირიან.

ბ

ღმერთო, მოგვეც წვიმა—ნამი, წყალი და ბალახი,
საზრდო და პური, ნუ გაგვიშვებ მშიერსა.
თუ ჩვენ არ გებრალებით, ქორფები შეიბრალე!
უგუნურებს, პირუტყვებს, უფალო, გვაპატიე შეცოდებანი.
5 შენი გაჩენილი სულელები ვართ, ნუ გაგვტანჯავ ხორციელად.
გავგაძლე და დაგვაპურე.

მერე დაჰკლამენ ციქანსა და ადიდებენ ილიას“. კახეთის 1961 წლის ექსპ. მასალებიდან. ფ. არქ. კ. 51, გვ. 172. მოქმ. სოფიო გიორგის ასული კახაბრიშვილი, სოფ. მარტყოფი, კახეთი, ჩამწ. ეთერ ასლამაზაშვილი.

სოფ. უჯარმა. კახეთი. ჩამწ. მ. ჩიქოვანი, 1961 წ. აქაც უღელში შებმული ქალები გუთანს უჯარმის ხევში გაიტანდნენ და წყალში გაატარ-გამოატარებდნენ. ამ დროს წარმოითქმებოდა სწორედ „ეს ელია, ელია“. ტექსტი არქაულია და მას მწყობრი შვიდმარცვლოვანი ფორმა აქვს, რითმა თანმიმდევრულად რკალურია (აა) ყველა სტროფში. ტექსტი დაბეჭდილია (მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. „ქართული ფოლკლორი“, I—II, 1964, გვ. 230).

35. ა, ელია, ელია

მთქმ. მაყვალა ამირხანაშვილი, ს. გალავანი (მცხეთის რ.), ქართლი, ჩამწ. ქს. სიხარულიძე, 1949 წ. (სიხ. ქრ. 1, გვ. 50).

ელიას სავედრებელი ლექსია წვიმის მოსაყვანად. თხა და თიჯანი ტაროსის ღვთაების შესაწირს წარმოადგენს (შდრ. ინდურ ღურგას). თიჯნის დაკვლა ელიას სახელზე დას. საქართველოში, კერძოდ რაქაშიცაა დადასტურებული. სოფ. ირსა და ჩორღში ელიობას აღდგომის ხუთშაბათს იხდიდნენ. ელიობას მტკიცე კალენდარული განაწიება ჰქონია რაქის მოსახლეობაში. აქ სამჯერ დღესასწაულობდნენ ელიობას: პირველად აღდგომის ხუთშაბათს, მეორედ აღდგომის ხუთშაბათის სწორზე (შუა ელიობა), მესამედ აღდგომის ხუთშაბათის მეორე სწორზე (გარდამავალი ელიობა). ცერემონიალის მიზანი წმ. ელიას გულისმოგება იყო, რათა მოსავალი არ დაესეტყვა.

ელიობა „ღრუბელზედ და ჰაერზედ იყო შეთქმული“ (ნ. ბრეგაძე, მემინდვრობასთან დაკავშირებული წესჩვეულებანი რაქა-ლეჩხუმში. „მაცნე“, II, 1964 გვ. 130). ლეჩხუმში, სოფ. ცხუკუშერში, გეოგრაფიული სახელიც არსებობს ელია, ელნარას სახელწოდებით, სადაც დიდი ცაცხვის ქვეშ იხდიდნენ ტაროსის ღვთაების დღესასწაულს. დას. საქართველოში ცნობილი ელიობა განსხვავდება ქართლურ-კახურ ელიობისაგან. თუ დასავლეთში მას სეტყვის საწინააღმდეგო ფუნქცია ეკისრებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში პირიქით, წვიმის მოყვანას უკავშირებდნენ მის სახელს.

36 ელიაო, მელიაო

მთქმ. მარიამ იაკობის ასული სტეფანიშვილი, ჩამწ. ე. ასლამაზიშვილი, სოფ. მარტყოფი, 1961 წ. ფ. არქ. კ. 51 გვ. 51. კახეთი.

1961 წლის მაისში გარეკახეთში, სოფ. ნორიოში ჩაწერილი იქნა ელიობის თაობაზე შემდეგი გადმოცემა: „შეიკრიბებიან პატარა, აი.

ჩემი ტოლა გოგო-ბიჭები. წელსაც იყვნენ. დაითრევენ რკინის ნაკრებს, ვითომ ხნავენ, ვითომ არცხვენენ ბუნებას, — აი გვაღვა რაიანო, მოსავალი გადახმა და ხელახლა უნდა გადავხნათო. დადიან უბან-უბან. ჩამოუვლიან სახლებს, აი, როგორც ალილოშია აგროვებენ პურს, ღვინოს, კვერცხებს, ეზოში მიადგებიან და დაიწყებენ:

ელიანო, მელიანო, რაზედ მოგიწყენიაო,
აღარ გვინდა გორახიო, ეხლა მოგვეცე ტალახიო.

სახლის პატრონი ჯერ წყალ მოასხამს, დასწუწუწამს და მერე მას-
ცემს, რაც ემეტება. მთქმელი: მ. ფეიქრიშვილი. ჩამწ. ს. ქეთელაძე
21. V. 61 წ., ნორიო. ფ. არქ. კ 6, გვ. 146.

37. ელიანო

ჩამწ. გ. ნათაძე, ქართლი, ნათ., გვ. 83, № 127. ელიას, ღრუბელ-
თა წინამძღოლის მოქმედება ხალხურ ლექსებში ხშირადაა დაგმოზი-
ლი. ანალოგიური ლექსი, მხოლოდ შემოკლებული, დაცულია ფოლ-
კლორულ არქივში (2704). აი ისიც:

დახე რა ჰქნა ელიანო

დახე, რა ჰქნა ელიანო, რა საქმე ჩაიდინაო.
ჯერ ჩამორეგვა ელევო, წიქორს დაიღო ბინაო.
წიქორელები ჩივიან: რა ძლიერ წაგვახდინაო,
ზედღიზედ აღარ გვიაჯა, როგორც მისის წვიმაო.
5 ისე გახადა ბეხილი, ცხრა არ შეარჩინაო!
ან მკვდარი რითი დაემარხოთ, ან ჩვენ რა ვკამოთ შინაო!

სეტყვა დიდ უბედურებას მოასწავებდა მეურნისათვის, კერძოდ
მევენახეებისა და ხორბლეულის მთესველთათვის. ამის გამო ძნელი
მისაბვედრი არაა გლეხის საყვედური წარმართობის დროინდელი
ღვთაების მიმართ.

38. გონჯაობა

მთქმ. მ. ქებაძე-არჩვაძისა, სოფ. ღარი, რაჭა, ჩამწ. ნ. ბრეგაძე.
მაცნე, II, 1964 გვ. 133. „გონჯა მოადგა კარსაო“, ივ. 1902 წ. № 15.
ე. ვაშაყიძე—რაჭა; გაზ. „სიმართლის ხმა“ (ქუთ.) 1913 წ. № 21, „და-
ბა—სოფლები“. გვალვის საწინააღმდეგო წესჩვეულებაა, რომელსაც
სპეციალური სამღერი ტექსტი მოეპოვება. სახელწოდება „გონჯაობა“
გონჯიდან მომდინარეობს და საგონჯაოდ წასვლას, სოფელში კარდა-

კარ ჩაშლისკენ ნიშნავს ჯგუფის მიერ, გონჯა შეგონჯე-ლი, ნაშრომით გამორუღი, ძონქებში გამოწყობილი კაცია, რომელიც გვალვის დროს ჯგუფთან ერთად კარდაკარ ჩამოივლიდა. რაქაში გონჯა და მისი 3-4 თანამგზავარი წელს ზევით შიშველი იყო. ლექსები ერთმანეთისაგან დიდათ არ განსხვავდებიან. მოეიტანთ რაქაში ჩაწერილ ვაიდანტებს, რომლებიც, გამოუკლებლივ, ლეჩხუმშიც მომისმენია.

ა

გონჯა მოღვა კარეზსა

სახელი გამომიცვალეს, მე დამარქვეს ქიტესაო.
ღმერთმა ყველას გაგიყეთოს შენი ნახნავ-ნათესიო,
ვინც არ მოგვეცეს საციქველი—გადაეწვას საძირკველი!

სოფ. სორი, რაქა. მთქმ. მ. კერვალიშვილი, ჩამწ. ნ. ბრეგაძე. მაც-
ნე, II, 1964, გვ 133.

პატარა ონში მღერიან:

ბ

გონჯა მოღვა კარსა, აყვრილებს ოვალსა.
რილოსა და ცხრილოსა, ღმერთი მოგვეცეს წვიმასა.
ორშაბათსა დილასა.

(იქვე, გვ. 133).

გონჯაობა წვიმის მოსაყვანად იმართებოდა და არა გამოსაამინდე-
ბლად. ჩვენ არ შეგვხვედროია ტექსტი, სადაც ლაზარეს მსგავსად, გონ-
ჯას წვიმის შეწყვეტას სთხოვდნენ. ლექსში მოხსენებული „ცხრილო-
სა“ ცხრილზე ან ცხავზე მითითებას ნიშნავს; ცხრილის ან ცხავის გაჩ-
ქარება კი სიმბოლიურად ხშირ წვიმას განასახიერებს.

შესასწავლია გონჯაობისა და ლაზარობის ურთიერთობა, ქრონო-
ლოგია, მონაცვლეობა. გონჯაობა გავრცელებული რიტუალია, რო-
მელსაც დაახლოებით ერთნაირად ასრულებდნენ საქართველოს სხვა-
დასხვა კუთხეში. სავოწაოდ ჩამოვლის წესი ქვემოთაქული ვარიან-
ტის მიხედვით შემდეგ სახეს ატარებდა: „გვალვის დროს რამდენიმე
ახალგაზრდა კაცი შეამბანაგდებოდა. მათგან ერთს „გონჯად“ აირჩე-
ვდნენ, რომელსაც გააშიშვლებდნენ (მუხლებამდე ამოკაპიწებულ ქვედა
საცელის გარდა არაფერი უნდა სცმოდა) და შავად შექურავდნენ.
ხელში გრძელ ეკალს მისცემდნენ, რომელსაც საკულტო ანუ „წმინდა“
ხის მნიშვნელობა ჰქონდა. ასე მოკაზმული „გონჯას“ მესვეურობით
რიტუალის მონაწილეები კარდაკარ ჩამოივლიდნენ, ეზოში შესვლისას
სიმღერას წამოიწყებდნენ.

გონჯა მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა,
რილოსა და ცხრილოსა, ღმერთი შოგცემს წვიმასა.

ამ დროს სახლის პატრონი ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრი უქნიდან წაშოეპარებოდა და დიდი ჭურჭლით წყალს შეასხამდა. „გონჯა“ თავს იცავდა ეკლიანი წყნელით; ვისაც მიეწეოდა, ყველას ურტყამდა. ამ პირს ყოველი ოჯახი ასაჩუქრებდა ყველით, ქათმით, კირნახულით და სხვ.“ (ა. სოხაძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, 1964 წ. გვ. 28—29).

39. გონჯა

ჩამწ. სევასტი გაჩეჩილაძე, სოფ. წვევა, იმერეთი (ხალხური სიტყვიერება, I, ე. თაყაიშვილის რედ. გვ. 21). ტექსტში „განჯას“ სწერია „გონჯას“ მაგიერ. (სიხ. ქრესტ., I, გვ. 50).

დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში გავრცელებული გონჯაობა ქართლ-კახეთში ცნობილ ლაზარობას შეესატყვისება. გონჯაობის ტექსტები ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ შერწყმული სახით ელიასა და ბარბარეს ლექსებთან ერთად. კ ა ხ ე თ შ ი, სოფ. აღმატში ფიქსირებულ ტექსტს შემდეგი სახე აქვს:

- გონჯაობას შოვიარე, გონჯა მოდგა კარზედაო,
მიდგა-მოდგა თაროსაო, დემშგავსა მთვარესაო.
ახ, ელიავ-ელიაო, რასა მოგიწყენიაო.
თეთრი ფერის ფურბეწვი შენთვის მომირთმევიაო.
- 5 ახ, ბარბარეე, ბარბარეე, ცას ღრუბელი აყარეო!
აღარ გვინდა ცის ნამი, ღმერთო, მოგვე მზის თვალიო,
აღარ გვინდა ტალახი, ახლა მოგვე გორახიო.

მთქმელი: სოფიო ქიტეასას ასული თავდიდიშვილი, 74 წ., წ/კ უცოდინარი, შესწავლილი აქვს დედამთილისაგან სოფ. აღმატში. ჩამწ. ა. ცანავა, ფ. არქ. 30742, დაახლოებით ასეთივე ტექსტია მოცემული ელ. ვირსალაძის ჩანაწერში (ფ. არქ. 30501). საინტერესოა, რომ საგონჯაოდ წასულნი განწობილებელ ოჯახს წყევლით მოიხსენებდნენ და ცოცხით ეზოს გაუგვიდნენ: ასე გამოიხვეტოს თქვენი ცხოვრებაო.

40. გონჯოს ლაჟსი

ჩამწ. გაბრ. ნიყარაძე, სვანეთი, 1871 წ. ფ. არქ. უმიკ. 1135. ლექსი სვანური ტექსტიტურთ დაბეჭდილია კრებულში „სვანური პოეზია“, I, 1939 წ., გვ. 246—47 შენიშვ. გვ. 423. 1937 წლის უმიკაშვი-
260

ლი-გოგიჩაიშვილისეულ და 1939 წლის პუბლიკაციებს შორის თარგმანის მხრივ არის განსხვავება: მოღვა (I სტრ)—მიადგა, აბრიალებს (2 სტრ)—ატრიალებს, არა (3 სტრ)—არ, თხოვს (4 სტრ)—სთხოვს, ღორსა (10 სტრ)—ნეზვებს, ფაფასა (II სტრ)—ფაფებსა.

ამ შეიდმარცვლოვან სასიმღერო ლექსში გადმოცემულია გონჯოს მოქმედება სოფელში: კარდაკარ ჩამოვლა, სასმელის გამოთხოვა, ხალამიდან ყველის ამოღება, დალოცვა ბარაქიანობაზე.

41. გონჯა მოღვა

სოფ. წედისი. რაჭა, ჩამწ. ნ. ბრეგაძე (მაცნე, II, 1964, გვ. 133). გონჯას უკან ხალხი აედევნებოდა და წყლით დასველებას უპირებდა. ამგვარი მაგიური მოქმედება წვიმის მოყვანას განასახიერებდა.

42. ბურთ იარა, იარა

ჩაწერილია აღმ. საქართველოში. კელ. გვ. 8.

ბური იგივე ნისლია, რომელიც ვაჯა-ფშაველას გასულიერებულ ბუჯვს („ნისლი ფიქრია მთებისა“) აღრინდელ წარმოდგენათა მიხედვით. ნისლს მავნებლობა მოაქვს მოსავლისათვის, განსაკუთრებით ვაზსა ვნებს. არც მწყეშებისათვის არის სასურველი სტუმარი. ამის გამო მის თავიდან მოშორებას ცდილობენ, სახლისაკენ უთითებენ, ცოლ-შვილი ავადა გყავს და ფეხს აუჩქარეო. „მალე მიხვალ—მოგირჩება, გვიან მიხვალ—მოგიკვდება“. ზოგ მკვლევარს ბური ღვთაებად მიაჩნია. ასეთი აზრისაა, მაგალითად, მ. კელენჯერიძე (ქართ. ლიტ. ისტ., 1, 1920, გვ. 8).

არსებობს ქვემო სვანეთში ჩაწერილი ვარიანტები:

ა

ნისლი-ნისლი მოსულია, შენი ქალი ვორსულია,
თუკი წახვალ—მოგირჩება, თუ არ წახვალ—მოგიკვდება.

ან

ბ

ნისლი-ნისლი ვორსულია, ვოსეთიდან მოსულია.
შენი ქალი ვორსულია, ადრე წახვალ—მოგირჩება,
გვიან წახვალ—მოგიკვდება.

მთქმელი გელა ონიანი, 28 წლის, სოფ. სასაში (ლენტეხის რაიონი). ჩამწ. ა. ონიანი. ეთნოგრ. განყ. არქივი, საქ. 52. აღ. დავითიანი

„სვანეთის ეთნოგრაფიისათვის“, არს. ონიანი—მითოლოგიისათვის, 1939 წ. მასალები, რვ. მითოლოგია, № 10, გვ. 112.

ტექსტი უჩვენებს, რომ იგი ბურისადმი მიმართვას წარმოადგენს. ამგვარი სიტუაციური მიმართებობათ ცდილობდნენ მთებში ჩამოწოლილი ნისლი თავიდან მოეცილებინათ და მზე გამოეწვიათ. შესაძლებელია, ლექსი კალოზასთან, მომკილი პურის ლეწვასთანაც იყოს დაკავშირებული, რადგან ნისლი კალოს ჩადგმას ძლიერ უშლის ხელს.

43. ღრუბლის ბასაქროზი

მთქმ. მანა ვიბლიანი, სოფ. ფარი, ზემო სვანეთი. ჩამწ. ა. დავითიანი. ფ. არქ. სვან. XII X 116, რვ. 2.

მწეყმსების წარმოსათქმელი, როცა ღრუბლები მზეს დაფარავს. ჩანაწერს ახლავს შემკვრების შენიშვნა: „მთქმელი მიაჩერდება ღრუბლის ქულას, იმეორებს ტექსტს და ღრუბელს თვალს არ აშორებს. ეჩვენება, რომ ღრუბელი ნელ-ნელა ქრება“.

არსებობს ამავე ლექს-ლოცვის ვარიანტი, რომელიც დარის შენარჩუნებას ან გამოამინდებას ემსახურება. გავიცნოთ ისიც.

ა

ლაგლალაჷ წინ

ერე მერე, დეცე მერე,
ბურღუ-ბურღუ ბალა ხანგარ.
ზეთი, ზეთი სკვანხალა,
ისგუ დია-ბუა ბოგს ხოწიბს
5 მაგ ესხრი, სი იმლა დემ ლერი
ქაბა ლეკვანე.

ბ

გამოდარეპის ენა

ერე მერე, ცის ღრუბელო,
ბურღუ-ბურღუ ბალის ხანგარი,
ზეთი, ზეთი სუფთა,
შენი დედ-მამა ხიდზე ჰკიღია.
5 ყველა მიღის. შენ რად არ მიღიხარ,
შე ამოსაგლებო!

ერთხელ ფეტვს ვმარგლიდით და ავდრის შეგვეშინდა. დედაჩემმა მითხრა, ეს შელოცვა სთქვიო და გამოიდარებსო.

მთქმელი მერე კვიციანი, ჩამწერი ა. დავითიანი. სოფ. ჰკიდიანარი, ფ. არქ. სვან XL IX, 116 რვ. №2.

სვანური ტექსტები იმავე თემაზეა დამუშავებული, რასაც ქართული „ბურო, იარე, იარე“ გულისხმობს.

44. ოროველი

კელ. გვ. 8. იმღერება ორპირულად („ერთობა“, 1920, № 117. ღრობა, 1900, № 14. ზ. ჩხიკვაძის მოგონება). იშვიათი ჩანაწერია. სხვა ვარიანტი არა ჩანს. „ოროველი“ წარმართობის დროინდელი ბარქიანობის ღვთაებაა, რომელსაც ეკითხებოდა ხენათესვისა და კალოს ლეწვის საქმე. მის ფუნქციას ამჟღავნებს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული გუთნურისა და კალოურის სიმღერები. „ოროველა“ ცალკე ცნების სახით შესულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (БСЭ, ტ. 31. გვ. 219). ოროველას თაობაზე გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი. მ. კელეჩერიძემ აღნიშნა, რომ „ქართველებს სწამდათ მიწის მოსავლის კეთილი ღმერთი ოროველი, მისი ჰიმნი დღემდისაც ქართული სიმღერა-მუსიკის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია“ (კელ. გვ. 8). თ. ოქროშიძე სიმღერას კალოს სამუშაოთა სამზადისის ნიმუშად თვლის (შრომის ლექსები, 1961, გვ. 12; ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 95). დ. შენგელაიას აზრით, ოროველი სიცხისა და მზის სადიდებელს წარმოადგენს (ორომი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1941, № 21, აგრეთვე „წერილები“).

შ. ასლანიშვილი მასში „აგარაული ღვთაების ანდა სტიქიურ ძალთა ღვთაების სახეს“ ჰხედავს (ნარკვევები, 1954 წ., გვ. 287). ოროველა-ორიველ სომხურ სიტყვიერებაშიც გვხვდება (Комитас, Народные песни, 1931, №№ 37, 75, 186). მუსიკალური თვალსაზრისით „ქართლში ჩაწერილ ოროველების ნიმუშებს საფუძვლად უდევს ისეთივე სტრუქტურა, როგორიც კახურ ოროველებშია დადგენილი“ (თ. მაჰალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, 1963 წ.). ოროველის სიძველესა და სამიწათმოქმედო ფუნქციაზე მიუთითებს უთარილო ხევსურული ლექსი, რომელიც პ. უმიკაშვილის არქივშია შემონახული: „ოროველა და გოგია—მოხან პური და მოგია“ (უმიკ., გვ. 338). ოროველას სიმღერები ვარიანტებითურთ სპეციალურად განიხილება მრავალტომეულის იმ ნაწილში, სადაც წარმოდგენილი იქნება შრომის პოეზია. თუ ადრე ოროველი გარკვეულ რელიგიურ პერსონად გვესაზებოდა, რომელსაც მოსავლიანობის ზრდა და ხელისშეწყობა ეხებოდა (ქართული ხალ. სიტყ. ისტ. 1956, გვ. 238), ამჟამად მისი სახე უფრო გამორკვეულია და იგი უძველესი ქართული პანთეონის წევრად მიგვაჩნია. შინაარსობრივად ჩვენი ტექსტი მარცვლის შესანახად მომზადების პროცესს ასა-

ხავს. ორმოს ამოთხრა და შიგ პურის მარცვლის მოთავსება, ძველი სამეურნეო წესის გადანაშთს წარმოადგენს. ამნაირი წესის კვალი სხვა იშვიათად გადარჩენილ ლექსებშიც შეიმჩნევა. ასე, მარცვლეულის ორმოში ჩაყრის ჰიმნს წარმოადგენს შემდეგი ლექსი:

ორმოს ჩაღი ძველად გაღი, შენ ძველი და სხვა ახალი!
ღმერთო მოახმარე პატრონს ლხინში და ქორწილში,
ვაეების დაქორწილებაში, ქალების გათხოვებაში.
ვინც ჩვენ ავი თვალით შემოგვხედოს, თვალი აავოს ეკალზეო.
(თ. ოქროშიძე, შრ. ლექსები, გვ. 126)

45. ოროველ, მოღი კალოსა

ჩამწ. ალ. გარსევანიშვილი, სოფ. მერიისი, გორის მაზრა, ქართლ. 1891 წ. ხელნაწ. H 1992 იბ, 138; იქვე, მესხეთი, № 1992 პ, № 27. ფ. არქ. 33806. მთქმ. სიმონ ივანეს ძე ბალახიშვილი, 80 წლის, კოლმეურნე, სოფ. ს. უღე, ადიგენის რ., ჩამწ. გ. ასატუროვი, 1948 წ. ქართლი, ს. ტყვიავი, გორის რ. ჩამწ. ნიკო კეცხოველი (შ. ასლანიშვილი, ნარკვევები, 1954, გვ. 287). ჩამწ. ქს. სიხარულიძე, საგურამო, 1936 (სიხ. ქრესტ. 1, გვ. 32). ეს ტექსტი ჩვენ ხშირად შეგვხვედრია ქართლ-კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორულ ექსპედიციებში მუშაობის დროს. განსაკუთრებით, მას აღმოს. საქართველოს ყველა რაიონი იცნობს. ეს ტიპიური კალოური სიმღერაა. მასში საკარნაველო-რიტუალური ელემენტიც იჩენს თავს, რაკი ოროველის ანუ მისი შემცვლელის წაყვანა—შესმა-შეჭმაზეა მითითება.

46. პირველად ღმერთი ვახსანოთ

ჩამწ. თ. მამალაძე, კახეთი (თ. მამალაძე, შრომის სიმღერები კახეთში, 1963 წ., გვ. 15). ტექსტს შემკრების განმარტება ახლავს: „პირველ დღეს, როცა ველზე სახნის-საკვეთელს გაიტანდნენ, ოროველას წამოიწყებდნენ“ (იქვე). ეს ცნობა გარკვეულ წარმოდგენას ჰქმნის თვითონ ლექსის ფუნქციაზე. ირკვევა, ლექსი ოროველის სამხვეწრო საგალობელია, წარმოითქმოდა ჰიმნის სახით ველზე სახნავ-სათესად გასვლისთანავე. მიწის მუშებს, გუთნისდელას და მის ირგვლივ შემოკრებილ გლეხებს, ხვნის დაწყების წინ ვისთვის შეიძლებოდა მიემართათ? ცხადია, მხოლოდ ისეთ ღვთაებისათვის, რომელსაც მოსავლიანობის საქმე ებარა და ბარაქის მომნიჭებელი იყო. მართალია, ტექსტი ტრაფარეტულია და სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება, მაგრამ აქ მაინც უმაღლესი რანგის გამგებლის — ღმერთის ხსენების შემდეგ ერთადერთი ოროველის სახელი ჩანს და ტექსტის მიხედვითაც მიწათ-

მოქმედნი მხოლოდ მას მიმართავენ: ოროველ, ოროველ. ღმერთი მხოლოდ ნომინალურად მოიხსენიება ლექსში. აწით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტიც, რომ სოფ. იყალთოში (კახეთი) „გუთანზე სამღერელ ლექსებს ოროველას ლექსები ჰქვიან“.

(მ. ჩიქოვანი. მთქმელი გიორგი მრელაშვილი. „სახალხო მთქმელები“, 1956, გვ. 122). ამავე ოროველას სახით იქვე იმღერებოდა: „სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ ხარსა“ (ფ. არქ. 31850, ჩამწ. მ. ჩიქოვანი, მთქმ. გ. მრელაშვილი, ს. იყალთო, 1948 წ.). მეურნეობის სხვა სახეების ისტორიიდან ვიცი, რომ უშუალოდ პრაქტიკულ მოქმედებას წინ გარკვეული რიტუალი და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სიტყვიერება უსწრებდა. რიტუალი დარგობრივი ღვთაების სადიდებლად და გამოსაწვევად გამოიყენებოდა. აქედან დასკვნაც გამომდინარეობს: „პირველად ღმერთი ვახსენოთ“ ხენათესვისა და ქირნახულის ბარაქიანობის გამგებლის სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს.

47. აზუნა

თ. სახოკია, გურია-აქარა, „მოამბე“, 1898, 6, გვ. 14—15. რიტუალური ლექს-ფორმულა, რომელსაც წარმოთქვამდნენ ვენახში ახალწლის დილით თუ მეორე დღეს, ან მარანში საწნეხელთან. გურიაში, მაგალითად, საწნეხელზე აკაკუნებდნენ და თან ამ მაგიურ ტექსტს რეჩიტატიულად იმეორებდნენ. მკვლევართა აზრით აგუნა ადგილობრივი ყურძნის ღვთაებაა, ბერძნული ბაკხუსის მსგავსად. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „აგუნა—ყურძნის ღვთაების საპატივცემო რიტუალი“ (I, გვ. 107). მან ქართულ მნატურულ ლიტერატურაშიც ჰპოვა ასახვა (ა. ბაქრაძე, მითოლოგიური ენგაღი, 1969, გვ. 178). აგუნას მთელი დასავლეთი საქართველო იცნობს. ლეჩხუმში, კერძოდ, ოჯახის უფროსი ვენახში ღვინოს გადაღვრიდა, ვაზის ძირებს მიუსხამდა, და სხვათა შორის იტყოდა: „გაღმა ფურცელი, გამოღმა ყურძენი“, ან „სხვისას ფურცელი, ჩვენსას ყურძენი“... მიულოცავდა, მიუხმატკილებდა მამულს და შინ იმედინად დაბრუნდებოდა, რომ მომავალ წელს ბევრი და კარგი ღვინო ექნებოდა.

ლაშარი, ბაადური, თერგვაული, კოკალა, იახსარი, პირაშუმი, ლომისი, ფიწალე, ადგილის დედა, გიორგი

48. ლაშარილას ლურჯასა

ჩამწ. გ. აფშინაშვილი, კოტ. 238; მაკ. ფშ., გვ. 203. ფშავი. პოპულარული ლექსია, არსებობს მისი ვარიაციები. ლაშარი საერთო ფშა-

ური სალოცავია, რომლის სახელზე ყოველწლიური დღეობა იმართებოდა.

ფშაველ მოლექსებს ფართოდ აუსახავთ ოდინდელი ხატობა და მისი მთავარი გმირი თეთრი გიორგი, თავისი ყმების მოსარჩელე და მშველელი.

ბ

ლაშარის ჭვარის ლურჯასა

ლაშარის ჭვარის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშლისა.
ნახანის გეშართება, კოტორ გაჰყევა ნისლისა;
მიუვა თავის მოყმეთა, რო ხან არ იყოს მისვლისა.

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ფშავი (ხალხ. სიტყვ., 111, გვ. 18). აგრეთვე „ივერია“, 1889 წ. № 177: დ. ხიზანაშვილი, ფშავეთი და ფშაველები.

ჩამწერის განმარტებანი: ასხავის—ფაფარი ასხია. გიშლისა—გიშრისა, ვითომ გიშერივით შავიო. ნახანის—როცა. კოტორ—ხროვა, გროვა ნისლისა.

იგივე საგალობელი ჩაწერილია ჩვენს დროშიც:

ბ

ლაშარის ჭვარის ლურჯასა ფაფარი ასხავს გიშრისა;
თავის ყმათ მიეშველება, ხან რო არ იყოს მისვლისა.

გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურებში, II, გვ. 148.

ბ

ლაშარელის ლურჯასა

ლაშარელის ლურჯასა ფაფარ დასხმია გიშრისა,
გაიწევს, გადაფრინდება, კვალი გაყევა ნისლისა.
თავის ყმად ჩეშველება, ხან რომ არ იყოს მისვლისა.
ლაშარელის ისარი ცის უღვასავით ისერისა.

5 სულ დაითხიენ თათრები ლაშარელის შიშითა.

ერთ საარქივო ჩანაწერში ვკითხულობთ შემდეგს: ლაშარის ჭვარი ფშაველების სალოცავი ხატია. მას ფშავში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი. ვითომც ის ყოფილიყოს მეომარი მტერთან ბრძოლის დროს. ლაშარის ჭვარს ფშაველები დიდ პატივს სცემენ. იქ ყოველი ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე სული საკლავი იხოცება. თითქმის ყველა ფშაველი, კვამლად, ვალდებულაა ორ წელიწადში ერთხელ მაინც დაუქლას ჭვარს საკლავი. სხვა რაიმე სამახსოვრო ამბავი ლაშარა

ჯვარზე არაფერია. „ლაშარი“ ადგილის სახელწოდება არის და „ჯვარი“ ფშავ-ხევსურულად „ხატია“, „ანგელოსი“ (უხილავი ძალაქ. (ა. ჭინჭარაული. ხევსურული წესები. 1939 წ. ქუთაისი. ქუთ. მუზ. 6418. 52—54, № B. იხ. ხევსურული მასალები შეკრებილი დ. მსხრავაძის მიერ).

ღ

ლაშარელა

ლაშარელაის ლურჯისა ფაფარი ასხავ გიშლისა,
მტერთავე გაემართების, კოტორ გახუვების ნისლისა.
ჩაეშველების საყმოსა, დრო რო არ იყვას მისეღისა.

მთქმ. თამარ გიგაური, 70 წ. სოფ. ბოდაევი, ფშავი, დუშეთის რ-ნი, 1969 წ. 18 ოქტ. ჩამწ. დ. გოგოჭური, ფ. არქ. ამ ჩანაწერიდან ისიც ჩანს, როგორ ინახავს თავს უძველესი პოეტური ძეგლები მთის თანამედროვე პირობებში.

49. ლაშარის ჯვარი ჯავრობდა

მთქმ. მამუკა გიორგის ძე ბობლიაშვილი, 65 წლის, უკანა ფშავი. ჩამწ. ნ. შამანაძე, 1964 წ. ფ. არქ. ფ—207.
ლაშარის სამღურავი დაკავშირებულია ხევსურეთში ხურაბიზ ლაშქრობის ისტორიულ ამბავთან. ბერმუხის მაგიერ ზოგჯერ ალვისხეა მოხსენებული სხვა ლექსებში (იხ. შუტრის ციხე. შან № 541).

3. ღღესამ ღღეობა ვისი

ჩამწ. ს. მაკალათია, ს. ჩილო. მთათუშეთი, 1933 წ. მაკ. თუშ., გვ. 202.

ლექსი სასიმღეროა და ორსართულიანი ფერხულის—ქორბელელას დროს ასრულებენ ლაშარის ხატში (სურათი იხ.: თუშ., გვ. 202). ეთნოგრაფიულ აღწერილობაში ცვითხულობთ: „მამაკაცები ხელებით და მხარბეჭებით ერთმანეთს გადაუბნენ და გაკეთდა მაგარი წრე, რომელზედაც ავიდა მეორე წყება და ეს ორსართულიანი წრე ხატისაკენ დაიძრა სიმღერით: „ღღესამ ღღეობა ვისია?—წმინდისა გიორგისია“... ქორბელელას ხალხიც მიჰყვა, რადგანაც მათი რწმენით, ვინც ქორბელელაში არ ჩაეზმის, ხატი დაამიზეზებსო. ქორბელელა ხატის კარებამდის მწყობრად და დაუშლელად უნდა მივიდეს, რაც გინდ ცუდი და გრძელი გზაც არ უნდა იყოს გასავლელი. ხატის კარებთან ქორბელელა სამჯერ შემოტრიალდება და დაიძახებს: „გწყალობდეთ ლაშარის ჯვარიო“, და იქვე დაიშლება“ (მაკ. თუშ. გვ. 201—02). აშკარაა, ქორ-

ბედელა რიტუალური ფერხულია და საკულტო მოქმედების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მის წესიერად და უხიფათოდ ჩატარებაზე ადამიანისა და საქონლის მომავალი დამოკიდებული. ამის გამო ფერხულის დაბმას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან, როგორც ახალგაზრდები, ისე მოხუცნი. „ზოგჯერ, როდესაც ცეკვის მოსურნე ახალგაზრდობა ბევრი იყო, ქორბედელას ორ-სამ წრეს გააკეთებდნენ. მაშინ თვითეული წრე რიგრიგობით იმეორებდა სასიმღეროს ერთსა და იმავე მუხლს ორჯერ; ჯერ ერთი წრე ორჯერ ერთ მუხლს იმღერებდა, შემდეგ ამავეს მეორე წრე ორჯერვე გაიმეორებდა და ასე შემდეგ. ქორბედელაზე თუში იკვლევდა თავის მომავალს: თუ ქორბედელა იქცეოდა და სიმღერაც ირეოდა, მაშინ საქონელი და ადამიანი დაგვეხოცებო და პირიქით, თუ ქორბედელა კარგად მიდიოდა და სიმღერაც შეწყობილ-შეზმატებილებული იყო, მაშინ საქმე კარგად წაგვივაო, ფიქრობდნენ ძველად თუშები“.

(ვ. ბარდაველიძე, მას. საქ. ეთნ., I, გვ. 9.

გავეცანით თუშურ ვარიანტებს:

ა

ლაშარის ჯვარისა

დღესამ დღეობა ვისია?—წმინდისა გიორგისია.
 წმინდა გიორგი გაღვანზე გამოსულაო,
 გაღვანზე აღვის ხე ამოსულაო,
 ზედ ხილი მოუსხამ დია,
 საქმელად მოწეულსაო.

5 წმინდა გიორგი ქალ-ვაჟთ შემცოდ
 ბედს უდროვოდ ჩამოშაულანო.

(ვ. ბარდაველიძე, მას. საქ. ეთნ., I, გვ. 9.).

I, გვ. 39. შდრ. იქვე, გვ. 41).

იმავე მთათუშეთში ლაშარის ჯვრის ქორბედელა რამდენიმე ვარიანტად გვხვდება. მათი ურთიერთ შედარება სხვადასხვა ფუნქციასთან ერთად ხატის მიმართ ადამიანების დამოკიდებულებასაც გვიჩვენებს. ხატს ასეთ სიმღერებში ახვეწებენ როგორც ადამიანის, ისე საქონლის სიკეთესა და სიმრავლეს (მასალ. I, გვ. 41).

პროფ. შ. ასლანიშვილმა შეისწავლა თუშური ქორბედელას სიმღერები მუსიკალური თვალსაზრისით. მან სანოტო ჩანაწერებთან ერთად სიტყვიერი ტექსტიც გამოაქვეყნა.

ლაშარის სიმღერა

დღესამ დღეობა ვისია, წმინდისი გიორგისია.
წმინდის გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულიყო.
ზედ ამოსხმიყო ყურძენი საკმელად მოწეულია.
იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო.

- 5 ცხვარსა უმატე, გიორგი, თუ გინდა რქა ჟანგაინი;
ყმასა უმატე, გიორგი, თუ გინდა ქუდიანია,
მთა-მთა მოალის გიორგი, ნაპრალს მოამტკრეეს მთისასა.
ქალაზე წმინდა თევდორე აღთოს მოარღვეეს წყლისასა.

მთქმელი კინთე კოლიკიძე, ქვ. ალვანი, ახმეტის რაიონი, ჩამწ. შ. ასლანიშვილი (ასლ. ნარკვ. II, გვ. 144). გამოქვეყნებულია ნოტე-ზიც (იხ. იქვე, გვ. 163).

სოფ. დიკლოში, დაღესტნის საზღვარზე, შ. ასლანიშვილს მეორე სიმღერაც ჩაუწერია, მელოდიურად პირველისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, თუმცა ტექსტები ერთმანეთთან ახლოს არიან.

ლაშარის სიმღერა

დღესამ დღეობა ვისია, წმინდისი გიორგისია.
გიორგი გალავანზედა უქაპრო იარებოდა.
გიორგის გაღმონავალზე ხე ალვად ამოსულიყო.
იმას მოესხა ყურძენი, საკმელად მოწეულიყო.

- 5 იმის შემცოდე ქალ-ვაჟი უდროოდ დაშაულიყო.
ყმათა უმატე, გიორგი, თუ გინდა მოსახელენი;
ქალთა უმატე, გიორგი, თუ გინდა მოლხინარები;
ცხვარსა უმატე, გიორგი, თუ გინდა რქა ჟანგაინი;
ხარსა უმატე, გიორგი, თუ კოდნი გინდა სავესენი.

მთქმ. სამსონ ბააძე და აბრამ ვარდიძე, ს. დიკლო. ჩამწ. შ. ასლანიშვილი (ნარკვ. II, გვ. 144; ნოტები, იქვე, გვ. 164).

51. ჩვენი ბატონის კარზედა

ჩამწ. ალექსი ოჩიაური, სოფ. არხოტი, ხევსურეთი. მასალ., I, გვ. 42; შან. № 551 ბ; მაკ. ფშ. 203.

ხატში სამღერო ხევსურული ლექსია. უფრო მეტად ღამის თევის დროს იტყვიან ხატის საქებად ჭვარიონნი (ბ. გაბუური, ხევსურული მასალები. წელიწადეული, გვ. 122). ასეთი ჩვეულება დადასტურებული აქვს პ. უმიკაშვილს სამეგობრის აღწერის დროს ყაზბეგში 1875 წელს.

„ჩვენი ბატონის“ მაგიერ ზოგჯერ ხთიშვილი ითქმის. ამის ნიმუშია ლექსი: „ჩვენი ხთიშვილის კარზედა ხე ალვა ამასულაო“ (ბ. გაბუური, წელიწდეული, გვ. 122). ხატის კარზე ხეების ამოსვლა და მათზე ყურადღების გამახვილება ჩვეულ ხერხს წარმოადგენს. ლაშარს ამ მხრივ კოპალაც არ ჩამორჩება.

ა

წმინდა კოპალას კარზედა დიდი იფენები დგანანო.
ზედ ანგელოზნი დამხსდარან. ბნელ ლამეშიაც ჩანანო;
მათი შემყურე დეეები სუ ზეზე ჩამომხმარანო.

მთქმ. ბერიძე სადულას ძე ხახონიშვილი, დაბ. 1878 წ. სოფ. გოგოლაურთა, ფშავი. ჩამწ. ნ. შამანაძე, 1964 წ., ფ. არქ. ფ-204.

ბ

კოპალა გაღავანზედა უსართყო გამოსულაო;
იმის გამოწავალზედა ხე ალვად ამოსულაო;
ზედ ყურძენი დაუსხამს, მწიფეთაც შემოსულაო;
იმისი მკამელი ქალ-რძალი შავითა შემოსილაო.

თუშეთი. ჩაწერილია XIX წ. 60-70 წლებში, ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), I, 1957, გვ. 335. ლექსი სასიმღეროა: ამხუზუნდა მიუთითებდეს შემკრების მინაწერიც: „ქორა მეორე“.

52. ურუია ხახმატის ჯვარი

მთქმ. მამუკა ღვთისოს ძე ალუდაური, 56 წლის, ს. ხახმატი, ხევსურეთი. ჩამწ. მ. ჩიქოვანი, 5. X. 1964 წ. ხევსურეთის ექსპ. ფ. არქ. ხ-192.

ამ სამღერალ-საწესო ლექსში ერთმანეთზე შედარებულია ძლიერი ხატ-სალოცაეები: წმ. გიორგი ხახმატისა, კოპალა კარატისა და სახმთო გუდანისა. მთქმელმა ლიმილით განმიმარტა: ყრუა-ყრუ არ გეგონოს, უხილავს, დაუნახავს ნიშნავსო.

დ

ჯვარული სიმღერა

დღეს აქ დღეობა ვისია, წმინდისა გიორგისა.
წმინდის გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულიყო.
ზედ ამოსხმია ყურძენი, საკმელად მოწეულიყო.
კარზე მოსულა მუხაო, ზედ დაედოდე კიბითაო,
5 ქალ წყალზე დაგვიანდება ხელპირის დასაბანადაო,
ბიჭი დარბაზს. დაგვიანდება ბარძიმის დასალევადაო.

მთქმ. შოთა ხუციძე, 26 წლის, სოფ. ფარსმა. მათათუშეთი. ჩამწ. თინათინ უგრეხელიძე, 1967, ოვლისი. თსუფა, № 5300.

53. საჩალის წმ. გიორგი.

მთქმ. ჯურბა უთურგას ძე გოგოჭური; 60 წლის, სოფ. ბუჩუქურთა, ხევსურეთი. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, 8. X. 1964 წ. ხევსურეთის ფოლკლორული ექსპედიცია. ფ. არქ. ხ—192.

იშვიათზე იშვიათი ლექს-სიმღერაა, რომელსაც თან ახლავს ლეგენდა. განმარტების გარეშე ტექსტი გაუგებარია. და ჩვენც გადმოვცემთ იმას, რაც სოფელ ბუჩუქურთას მოვისმინეთ ხევსურეთის ექსპედიციაში ყოფნისას. თავისთავად სინტერესოა იმ გარემოს გაცნობა, რომელშიც ქვემოთ ნაჩვენები ლეგენდა არსებობს. ბუჩუქურთა და ჩირდილი ერთ ხეობაშია გაშენებული. პირველი უფრო მაღლაა და გუდამაყარის გადასასვლელ გზაზე მდებარეობს ჩირდილისწყლის ხეობაში, ხოლო მეორე ცნობილია ზამთრის უმზეობით და სახელწოდებასაც აქედან იღებს. ორივე პატარა სოფელია, 8—10 კომლათ. თითოეულს მოზრდილი საძოვრები და საქერე ყანები ახლავს, მათი მისასვლელები ვიწრო დაკიდებულ ბილიყებს წარმოადგენს. როგორც კი ბუჩუქურთის წყალს მიუახლოვდები, იქვე ჩირდილის განთქმული სამკიბალის წმ. გიორგის ხატის მიდამოები გადაგეშლებათ თვალწინ ფართო ყანებითა და ტყით, ხოლო ზემოთ, დაკლანკილი ბილიკის თავზე, ბუჩუქურთის ორსალოცავიანი ხატია გამართული პლატოზე. ერთსა და იმავე ზეივანში, ერთმანეთის გვედით ორი ხატ-სალოცავი: ერთი ადგილის დედა, შემდეგ ღვთისმშობლად ქვეული, მეორე—მთავარანგელოზი. განსხვავებული და ხნოვანებითაც დაცილებული ხატები ერთ დღესასწაულზე მოილოცებიან ხოლმე ადგილობრივთაგან (10 ნოემბერი). ცხადია, ადგილის დედა, აქ დობილად წოდებული, უფრო ძველია, ვიდრე მთავარანგელოზი. პირველისათვის ქადაგანთელს ამზადებდნენ, მეორეს საკლავის სახით ცხვარსა და კურატს. მოართმევდნენ. ადგილის ღვთისმშობლად სადობილოს აკეთებდნენ, რომელშიც შედიოდა ერთი დიდი ქადა და 25 მცირე კვერ-აშალი. თითოეული კომლი მოიჭანდა აშალს (10 კომლი X 15 აშალი). ამ 150 კვერს დააგორებდნენ ფერდობზე, ბავშვები აკრეფდნენ და სქანდნენ. როგორც სხვაგან, აქაც დიაცები ხატს არ ეკარებოდნენ, მოშორებით იდგნენ და სუფრაც დამოუყიდებლად მიერთმეოდათ.

საერთო სასოფლო სალოცავის გარდა ბუჩუქურთელები სხვაგანაც მიდიოდნენ, კერძოდ, საჩალეს მაღალ მთაზე გიორგის ხატის მოსანსენებლად. და აი, ეს მაღალი მთის გიორგი ამბობს: ეხლა ის აღარა ვარ.

რაც აღრე ვიყავი, როცა შესაწირავად, საკლავ-კურატად ჩემთან ჩლიქ-მრგვალნი მოყავდათ და არა ჩლიქგაყოფილნიო. ჩლიქმრგვალთა სახით, ანუ როგორც ლექსშია მოხსენებული—ჩლიქმირგვალნი, ის ცხოველები იგულისხმება, რომელთაც ფეხი გაუყოფელი აქვთ: ცხენი, ჯორი, კარაული. საჩაღის წმ. გიორგი ხატში შესაწირად მხოლოდ კვიცები მიჰყავდათ თურმე. ახლაც, ჩემი ინფორმატორის ჯურხას გადმოცემით, საჩაღეს მთაზე ქვის ბაგაა შემორჩენილი, სადაც უწინდელი გმირები ცხენებს აბამდნენ. ლეგენდის თანახმად, შესაწირავ ცხოველს მხოლოდ კვიცი წარმოადგენდა, და ეს იშვიათზე იშვიათი ცნობაა ქართული მითოლოგიის თვალსაზრისით. ცხადია, ეკვი არ შეიძლება დაეუშვათ, რომ საჩაღეს ხატობაში მართლაც კვიცები იკვლებოდა და არა ცხვარი ან კურატი—მოზვერი. კვიცის დაკვლა ერთადერთი შემთხვევაა ქართულ წარმართულ რიტუალში. ასეთი ცნობა არსად არ გვხვდება, ეს კიდევ უფრო მეტ ინტერესს აღძრავს. ამდენად საკითხი სპეციალურ შესწავლასაც მოითხოვს. ჯერჯერობით წინასწარი ვარაუდის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საჩაღის ხატის შესაწირავ კვიცებსა და ბორის ლამბაქზე სამსხვერპლოს წინ გამოხატულ ცხენს შორის რაღაც კავშირი მეღავენდება. ცნობილია, ქართველი ცხენის ანუ კვიცის ხორცს არ სქამს. ამ მხრივაც საჩაღის ლეგენდა განცალკევებით დგას ჩვენს მითოლოგიაში. ერთადერთ ზეპირსიტყვიერ ლეგენდას აწვევ ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლი უჭერს მხარს. უეკველია ეს იშვიათობა მომავალში თანდათან გაიშფოვება და ჩვენთვის უცნობ სამყაროს გადაგვიშლის თვალწინ.

ჯურხა გოგოჭურის ნაამბობის თანახმად, საჩაღეს მაღალ მთაზე მრავალი კვიცი უდენიათ შესაწირავად. აქ კლდეში გამოკვეთილ ბაგაზე დაბმული ჰყოლიათ რაშები ძველ გმირებს ამირანს, ბადრსა და უსუფს. ამაზე მიუთითებსო ამბობს ჯურხა, ფართოდ გავრცელებული ლექსი:

ამირან, ბადრი, უსუფი ობლები დაიყარენით;
სახლ არ ვიციოდით, კერაი, საჩაღეს მოვიზარდენით.

ხევსურული გადმოცემით, დევებისაგან შეშინებულმა ობლებმა თავი საჩაღის მაღალ მთას შეაფარეს და იქ დაიხარდნენ. საჩაღეს დავაქაცებელი ძმები ქვეყნის დამპყრობ დევებს შეებრძოლნენ და დამარცხეს. საერთოდ ყველას თავისი მიუზღეს, კბილი კბილის წილ. სისხლი სისხლის წილ:

„ვინც კა გვიყვა ობლებსა, მუშაში დავეტანენით
ვინაც ავ გვიყვა ობლებსა—ზებანზე გავეყარენით.

ამგვარად, საჩაღის სახელს ხთისშვილთა კულტთან ერთად ამირანის სახელიც უკავშირდება.

საჩაღის წმ. გიორგის ხატის შესახებ მასალები თანდათან ვომი-
მრავლდა. 1964 წლის ოქტომბრის სამეცნიერო ექსპედიციიდან დაბ-
რუნების შემდეგაც ადგილობრივ შემკრებ-ენთუზიასტებს არ შეუ-
წყვეტიათ ხევისტო მითოლოგიაზე მუშაობა და ახალ-ბალი ჩანაწე-
რებით ამდიდრებენ ფოლკლორულ არქივს. 1965 წლის 24 მარტს სოფ.
ბუჩუკურთის მასწავლებელმა თინა ლოსეურაშვილმა შემდეგი ცნობე-
ბი მომაწოდა. „საჩაღეს, რომელიც ბუჩუკურთის მთაში მდებარეობს,
ლოცულობენ წმინდა გიორგობით. ადრე შესაწირავად უხოციათ კვა-
ციები. „ძალია მანამდე მქონდა, მანამდე ჩლიქმირგვალს (კვიციები) მა-
მილიოდესო“. ამ ხატს ლოცულობენ ჩირდილელები (სოფელი ჩირდი-
ლი ბუჩუკურთის მახლობლად, მ. ჩ.). წმინდა გიორგი ზეციდან სვე-
ტად ჩამოსულა საჩაღეს და შუქი დაუკრავს სამკიბალისათვის (სამკი-
ბალი მდებარეობს ჩირდილის ბოლოზე). აქ არის წმინდა გიორგის ხა-
ტი. აქაური დეკანოზები ლოცულობენ: „წმინდაო გიორგი, საჩაღეს
სვეტად ჩამოსულო, სამკიბალ შუქის დამკრაო“.

საჩაღეს დგას ქვის ბაგა, გახვრეტილია სამ ადვილას და ექნევა
სამი ცხენის ნაბამი. ბაგის კლდეში გამოსწორებულია 3 ცხენის და-
სადგომი ადგილი. აქ უცხოვრიათ დარეჯანისძეთ და ყოლიათ თითო
ცხენი.

„ვინც კა გვიყვა ობლებსა, მუშაში დავეტანენით (მივეხმარენით)
ავი ვინც გვიყვა ობლებსა —ზე ბანზე გავეყარენით
(ბანზე მიუეცვივითო).

სამნი ჩვენ, ცხრანი დევები შაბალხეთს შავიყარენით.

ბალხს მივხვდით ბალხის ბაზარსა, ბოლოში გავიყარენით.

ჩვენ ისენ ვერას ჩამოგვრჩენ, ფარს ქვეით ჩვენ მოვიყარენით.

(დარეჯანისძეთ დევებისათვის ფარები დაუმტკრევიათ). ბევრი
ტანჯვა-წვალების შემდეგ გამოსულან გმირები. „ამირანმა თქვა, არა
სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა; ჩუთჯერ ვირჩიე სიკვდილი, სულ მუდამ
დაღონებასა“. ამირანის ხმაზე თურმე ცა დაიპროდა. სიკვდილის დროს
ამირანს თავისი ხმა ჩაუბარებია ცა-ღრუბელთად. არის თქმულება,
თითქოს ქუხილი მისი ხმა იყვეს“.

ჯურხა გოგოჭურის ნაამბობის მიხედვით ჩაწერილი ეს ძველთა-
ძველი თქმულება მრავალმხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, აქაც
იგივე ცნობა მეორდება, რაც ზემოთ ერთხელ უკვე ვნახეთ (ამირანის
თქმულების საჩაღეს მთასთან დაკავშირება), მეორე, კექა-ქუსილი ამი-
რანის ხმას მოაგონებს ხალხს. ეს უკანასკნელი მოტივი ჯერჯერობით
დაწვრილებით შესწავლილი არაა. ხალხურ ნაწარმოებში ხაზგასმულია,
რომ ამირანი გარეგნობით ჰგავს „შავსა ღრუბელსა საწვიმრად გამზა-
დებულსა“, მაგრამ აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი, თუ ციდან მომდი-

ნარე ქუხილის ხმა ამირანისა იყო. ახლა საძიებელი ხდება, თუ რამდენად ფოლკლორულია ცნობა: „ამირანს თავისი ხმა ჩაუბარებია ცადრუბელთად“.

54. ძაჯავით რად იარები

მთქმ. ხ. ნ. წიკლაური, არხოტი. ს. ამლა. ხევსურეთი. ჩაპწ. თ. ოჩიაური (ქართველთა უძვ. სარწმ. ისტ., 1954, გვ. 53).

სვილის ან მგლის ფერა გიორგი ღვთისშვილია, ხახმატის სათემო ჯვარი. იგი ქალღვთაების სამძივარას ძმობილად ითვლება და მასთან ერთად იყოფს ფუნქციებს. ამქამად გიორგი უფრო ძლიერია, მეტი ძალისა და საქმეთა გამგებელი. იგი ქაჯთა ქვეყანაში დადის სალაშქროდ სხვა ღვთისშვილებთან ერთად. რადგან ლაშქრობის საქმე ევალება და მეთაურობს, თანდათან ჩრდილავს წინანდელ ქალღვთაებას—სამძივარას და პატრიარქატის დროინდელ კაცღვთაებად გვევლინება. მის სახელს კარგად იცნობს ფშავ-ხევსურული პოეზია. ზოგჯერ წმ. გიორგის გვერდითაც იხსენიება.

ბოლო ტაეპს ხევსურეთში მეორენაირი სახეც აქვს: „ქაჯთა მქედელმა კელკვერი ცხენს მიცა გავაზედლო“ (ოჩ., გვ. 103).

არსებობს თ. რაზიკაშვილის ჩაწერილი ფშავური ვარიანტი.

ა

ქაჯეთს რას იარები, გიორგი სვილის ფერაო?

—ვალი მივიდავ, ვალსა ეთხოვ, რას მკითხავ, ქრისტეს დედაო.

(ხალხ. სიტყ., III, მ. ჩიქოვანის რედ., 1953, გვ. 19).

ამ ტექსტს თან ახლავს შემკრების განმარტებანი: ქაჯუეთს ფშავლები, უფრო კი მკითხავ-ხევისბერები ქრისტეს უძახიან; გიორგი ლაშარის ჯვარიანო; სვილი—ქვავე; სვილი—ქვავე ლეგა ფერისაა.

ლეგენდის მიხედვით გიორგის სახელს მეგრულათ გახუას თავგადასავალი უკავშირდება. გიორგიმ გახუას სული ამოარადა, გვამი დატოვა და სული თან გაიყოლა ქაჯეთში (ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 594—5; თ. ოჩიაური, ქართ. უძვ. სარწმ., გვ. 52; ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა ზოგანის მინდიაზე; 1959 წ.; მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა, ლიტ. ძიებანი, ტ. XV, 1964), სულისგან მიტოვებული გვამის მოტივი მინდიასეული არ არის. (იხ. ჩვენი 1964 წლის ხევსურული ჩანაწერები, ფ. არქ. № 17, მთქმელი ჯურხა გოგოქური, ს. ბუჩუქურთა).

„ქაჯავეთს რად იარები“ ახლაც პოპულარული ლექს-სიმღერაა ხევსურეთში. ამის დასამტკიცებლად უნდა დავასახელოთ ის ფაქტი,

რომ ერთსა და იმავე სოფელში ლექსის განსხვავებული ტექსტები იქნა ჩაწერილი.

1964 წლის 5 ოქტომბერს. ხახმატელმა მამუკა ალუდაურმა მიკარნახა:

ბ

—ქაჯავეთს რად იარები, გიორგიე, მგლისა ფერაო?

—ვალი მიმიღვეს, იქ მივზღვე, შამინდვე ქრისტის ღედაო.

შავესწარ ქაჯთა მქედელსა სიმურის ქედაზედაო,

ქურთემულიც კი მოვპარე, შაუდე სიმურზედაო.

მთქმ. მამუკა ხეთისოს ძე ალუდაური. ხახმატი. ხევსურეთი. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, 5—X. 1964 წ. ხევსურის ექსპ. ფ. არქ. ხ—192.

ეს ლექსი თასებით ლუღის დაღევის დროს წარმოითქმის ხატის მსახურთა მიერ. მთქმელის წარმოდგენით გიორგის გამოტაცებული ქურთემული ანუ გრდემლი ახლაც წმ. გიორგის ხატში ძევს სოფელ ხახმატს (ქურთემულის მნიშვნელობის შესახებ იხ. ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964, გვ. 98—89). სამღერო რიტუალური ლექსი იმავე სოფლის მეორე მთქმელმა განსხვავებული ტექსტის სახით მომამწოდა იმ დღესვე. აი ისიც:

ბ

—ქაჯავეთს რად იარები, გიორგი, მგლისა ფერაო?

—ვალი მიმიღვეს, ვალს მივზღვე, რას მკითხავ ქრისტის ღედაო.

მივასწერ ქაჯთა მქედელსა სინგულის ქედაზედაო.

მარცხენა კელ მკარზე დაშჩა, მარჯვენა კელკვერზედაო.

მთქმ. გიგია ხირჩლას ძე ალუდაური, ს. ხახმატი, ხევსურეთი. 48 წლის, კოლმეურნე. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი. 5.X. 1964 წ. ფ. არქ. ხ—192. (ქურთემულის მნიშვნელობის შესახებ იხ. ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964, გვ. 88—89).

ძველთაძველი ტექსტის ლექსიკა ზოგჯერ გაუგებარია თვითონ ხევსურებისათვის, სადაც ჯერჯერობით ასე ხელშესახებადაა შემონახული ადრინდელი ენობრივი ნორმები. პირველ მთქმელს „სიმურის“, „სინგულის“ მნიშვნელობა ადარ ესმის, მეორე კი მას ფოლადის სახით განმარტავს. სოფ. ბუჩქუთოთაში 1964 წ. 8 ოქტომბერს უკანასკნელი ორი ტაეპი კიდევ განსხვავებული ფორმით ჩამამწერინა მდიდარი რეპერტუარის მქონე ხევისბერმა ჯურხა გოგოჭურმა:

ღ

შავასწერ ქაჯთა მქედელსა სინისა წრთობაზედაო,

ქურთემულ მავგლაჯიე, ცხენი შაუგდი ზედაო.

ხევსურეთის ფოლკლორული ექსპედიცია, 1964 წ. ოქტ. ფ. არქ. ხ—192. ჩამწ. ჩიქოვანი.

მთქმ. თაზია ქეთელაური, ბარისახო. ხევსურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე (მას., 1, გვ. 42—43).

ამ გიორგისთან, ხახმატის ჯვართან, რომელიც სამძივართან არის მეზობლობაში, ბევრი თქმულებაა დაკავშირებული. ერთი მათგანი გახუას შეეხება, რომელიც ღვთისშვილმა უსხეულოდ ატარა თურმე ქაჯთა ქვეყანაში (ვ. ბარდაველიძე, მასალ. 1, გვ. 42 შნშვ). ტექსტში მოხსენებული მკედელ-მემკედურების ცისაკენ გაქცევა ამირანის თქმულებაში პოულობს სათავეს. აკი ამირანიც სამკედლოში შედის, ამზადებს საბრძოლო ხმალს და ამ დროს მკედლები—მემკედურები ერთმანეთს ეფარებიან (მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 193—94).

ლექსი საფერხისოა და დღეობაში სიმღერით სრულდება ხატიონის მიერ. ეს, ისე როგორც სხვა სადიდებელნი და ქორბედელანი, საგაზაფხულო საფერხისოთა ციკლის ნიმუშია. სოფ. ახიელში ცოტად განსხვავებული ტექსტია ჩაწერილი:

ა

ქაჯავეთ რას იარები? გიორგი, ქალის ფერაო.
—ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ, რას მკითხავ ქრისტის დედაო.
(მასალ., 1, გვ. 43).

59. კაკმატის გიორგი

მთქმ. მამუკა ქეთელაური, ს. ხახმატი, ხევსურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე (მას., 1, გვ. 43—4).

ლექსში მოხსენებული გულდამაყრელთი ქალი“ ქადაგი თორელა ყოფილა. გიორგი ქადაგს სიზმარში უნახავს და მისგან მიუღია დავალება ხევსურები ალექსეო. სიზმრის მოტივი ხშირად იჩენს თავს ქადაგ-მაქებართა ცხოვრებაში. გახუა მეგრელაურის თავგადასავალი ლექსში სრული სახით გადმოცემული არაა, მისი ამბავი დაწვრილებით მხოლოდ თქმულებებშია წარმოდგენილი.

60. ლაშარის ჯვარი

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი, ფშავი (ხალხური ლექსები თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მ. ჩიქოვანის რედ., ხალხ. სიტ., III, გვ. 17).

ლექსს განმარტებები ახლავს შემკრებისა: ბერი გიორგი — ლაშარის ჯვრის წმ. გიორგის სახელი. „ზედ ავდიოდი კიბითა“ — გადმოცემა ამბობს, მუხას წვერზე ოქროს შიბი (ჯაჭვი) ება და ერთი წვერი ამ შიბისა ცაში ადიოდო. ზედ ღვთისშვილნი დაბძანდებოდნენო, ე. ი. ოქროს ჯაჭვით მოგზაურობდნენ ცაში. „შამონაზენი“ — შემონაძენი, შემოწირული თაჲ-განძი, ფული, საკლავი. „ერისთვისშვილმა“ — იგულისხმება არაგვის ერისთავი ზურაბი. „ძირითა“ — ეს მუხა, რაკი ვერ იქნა და ვერ დაიმორჩილა ფშავლები, ბოლოს იმათი უდიდესი სიწმინდის შელახვა და შეგინება განიზრახა. „დავლიე“ — ამოეწყვიტე, შთამომავლობა მოუქსპე“. „მონაგართ“ — ჩამომავალთ. ქართლში მონაგარი შექენილს ჰქვიაო.

ლაშარი პოპულარული ხატია და ლაშარობა მკათათვენი იმართებოდა. ვაჟა-ფშაველას მოეპოება ამ დღესასწაულის ერთ-ერთი ადრინდელი აღწერა (თხზ. V, 1961, გვ. 49). ლაშარში სალოცავად მოდიოდნენ თუშები, ფშავლები, ქისტები, ხევსურები, ბარის ქართველები ყვარელიდან და ქართლიდანო. ზოგჯერ იმდენი ხალხი მოგროვდებოდა, გორზე რომ ველარ ეტეოდნენ, გორის ძირს ჭალაში ბინავდებოდნენ თურმე.

ვაჟას 1888 წლის წერილში „ლაშარობა“ ერთი ვარიანტიც აქვს გამოქვეყნებული:

ა

იჩივლა ლაშარის ჯვარმა ღვთის კარზე თავის პირითა;
„ხმელს გორზედ მედგა ბერმუხა, მორთული ოქროს შიბითა;
სულძაღლმა ერისთვისშვილმა გადმამიბრუნა ძირითა“.
სანამღე იმის ძე არი, ის ამაგებს ძირითა.

ბერმუხა მართლა ყოფილა გალავანში და მის მომკრელს მუდამ აუგად იხსენიებენ ფშავლები. დიდათ არ განსხვავდება ამ ტექსტისაგან ახალი ჩანაწერი.

ბ

ტიროდა ლაშარის ჯვარი ღვთის ნაბადების პირითა.
ხმელ გორზე მედგა ბერმუხა მორთული ოქროს შიბითა.
სულძაღლმა აფციურმა ამობრუნა ძირითა.
უკულმ ჩაუღვეს საყელო თავის ქალ-ქალის შვილისა.

ჩამწ. გ. თედორაძე (ხუთი წელი, II, გვ. 73). აქ განსხვავებული ვერსიაა წარმოდგენილი ბერმუხის მოკრისა: ხე მაღალი ყოფილა და ზედ სათვალთვალო მოუწყვითათ ფშავლებს. ამის გამო მტერს იგი მოუჭრია (იქვე).

ჩამწ. ვ. ბარდაველიძე. სოფ. დოქუ, მთათუშეთი (მასალ. I, გვ. 39).

ჩამწერის მიერ 14 სტრიქონი ლექსი („სიმღერას უთხროთ ერთსაო—განა კი ყველას თქმა უნდა“) სქოლიოშია ჩამოტანილი, იგი ჩვენ ძირითად ნაწილში მოვაკციეთ და ამით მთქმელის ვერსია აღვადგინეთ. მართალია, ეს ადგილი ერთგვარ გადახვევას წარმოადგენს ხეწწნა-ღალოცვიდან, მაგრამ ფერხულის დროს მაინც სრულდება და უმჯობესია მისი გავრცელებული სახე გვქონდეს საკითხავადაც. სიმღერაში ერთი აფორიზმიც არის შესული მცირეოდენი ცვლილებით:

ქელში მოსულსა ბარძიშსა განა კი ყველას სმა უნდა,
პირში მოსულსა სიტყვასა განა კი ყველას თქმა უნდა!

ამის პარალელს ხშირად ვპოულობთ სასიმღერო რეპერტუარში:

წითელსა ღვინოს კახურსა განა სუ ყველას სმა უნდა,
პირში მოსულსა სიტყვასა განა სუ ყველას თქმა უნდა!

დიდების ლექსში ზოგჯერ თხოვნის მაგიერ მოთხოვნასაც მიმართავს მახეწარი. ამ მხარეს ჯეროვანი შესწავლა უნდა. აქ ღმერთთან ბრძოლის ცალკეული მოტივები გამოსკვივის. საკუთარი ნების კარნახი და ერთგვარი მოთხოვნის წაყენება დარგობრივი მითოლოგიის მძალადი საფეხურისათვისაა დამახასიათებელი. აი რას ეუბნება გიორგის გუნდი, მეფერხისე მომღერალი:

ყმათღ უმატე, გიორგი, თუ გინდან მოსახელნი;
პურსად უმატე, გიორგი, თუ გინდან კოდნი საესენი;
ცხვარსად უმატე, გიორგი, თუ გინდან რქა-ჯანგიანნი!

აქ ყველაფერია ჩამოთვლილი, რაც, ჯერ ერთი, რიტუალისათვის არის საჭირო და აუცილებელი, ხოლო მეორე, დოვლათისა და ბარაქის შემქმნელია ოჯახში. რქაჯანგიანი—ვერძს ეწოდება, ხატობის დროს რომ მიყავთ შესაწირ-დასაკლავად. ხეწწნა-თხოვნიდან მოთხოვნაზე გადასვლა, უძველესი ქართული სარწმუნოების მკვლევარს პროფ. ვ. ბარდაველიძეს, სამართლიანად, ქორბელელას ტექსტების არქაულობის მაჩვენებლად მიაჩნია (მასალ., I, გვ. 8).

შეიძლება გავიცნოთ კიდევ ორი თუ შუარი ვარიანტი ლაშარის ჯვრის ლექს-სიმღერისა. ტექსტები, მართალია, ძირითადში ერთი და იგივეა, მაგრამ სტრიქონთა თანმიმდევრობა მაინც გარკვეულ თავისებურ ტრადიციასე მითითებს.

ლაშარის ჯვარისა

დღესამ დღეობა ვისია? — წმინდისა გიორგისია.
წმინდა გიორგის კარზედა, ხე ალვად ამოსულაო,
იმის შემცოდე ქალ-ვაიე უდროოდ დაშულაო.
თუ გინდა რქა-ჩანგინი, ცხვარს ალუმატე, გიორგი.

5 მამ გაგვიმარჩე, გიორგი!

ჩაწერილია ს. ჩილოში სტ. მენტეშაშვილის მიერ (მას., 1, 41).

იგივე სტრიქონები, მაგრამ სხვა თანმიმდევრობით წარმოდგენილია იმავე ჩილოში ლაშარობის დროს ჩაწერილ სიმღერაში (მას., I, 41).

62. ბრძანებდა ლაშარის ჯვარი

ჩამწ. უჩა ჯაფარიძე, ს. ჩილო, მთათუშეთი (მასალ., I, გვ. 48); მკ. თუშ., გვ. 48.

ლექსში ისტორიული რემინისცენციები იჩენს თავს ერისთავთა ბრძოლის სახით (XVII საუკ). სხვა ლექს-თქმულებებითაც არის ცნობილი ოქროს შიბის მოტივი. ეს შიბი ცაში გაფრინდა მის შემდეგ, რაც მღვდელმა საიდუმლოება გასცა და სიმბოლიური ხე კატის სისხლით შესვარეს („შურის ციხე“). ლექსი ხე ვ ს უ რ უ ლ ი წარმოშობისაა.

ასეთი ტექსტები არა ერთგან გვხვდება თუშეთსა და ფშავში.

ბრძანებდა ლაშარის ჯვარი, ცას ღბიეარ ოქროს შიბითა.
ხმელ გორში ბერი მუხა მიღ, ზედ ღბიეარ ოქროს შიბითა.
ბერი ეცადა მოყმეი, ვერვინ დამბედა შიშითა.
სულძალმა ერისთვიანმა გადმომაბრუნა ძირითა.

5 ძირში გამოვლო კედები, კალისკენ გამაჭირითა.

სახელ შეუთქვამს ციცითა, იმ შავის ძაღლის სისხლითა.

ლაშარის ჯვარი ლაშქრობის საქმის გამგებელია, სალაშქროთ მიმავალთ მისი დროშა უძლოდათ წინ. აი რას ამბობს კიდევ ერთი მელექსე:

მიენატრი დაბადებასა ხოშარის ხახისასა,
აისხამს იარაღებსა, ანგელოსსა ჰგავს ცისასა.
მხარზე გაიდებს დროშასა, ლალი ლაშარის ჯვრისასა.
თერეთეგოზე გაივლის, ქეიშას არ დასძრავს მთისასა,

5 თარესში წამოაყენებს ნაჩვენებს ფშავლის შეილებსა.

ჩამწ. გ. თედორაძე, ხუთი წელი, II, გვ. 76.

63. დიდობდა ლაშარის ჯვარი.

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ფშავი (ხალხ. სიტ. 111, გვ. 18).

ფშაველთა ტომობრივი სალოცავის სადიდებელი ლექსია. ჩამწერს განმარტებები მიუტია ნაკლებად ცნობილი სიტყვებისათვის. „შიბითა“ ვარ.: ცაში მიბმული კიბითა: „ძირითა“—ძირიანად მოქრა; „დალიე“— გაწყვიტე: „ვინამ“ — ვინმე.

64. ფშაველთა ლაშარის ჯვარი

დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ლაშარობა“, 1888 წ. (თხ., V, 1961 წ., გვ. 53), ჩანს დროთა განმავლობაში ლაშარობას ხალხმა თანდათან მიანება თავი. ხატის ძალის შერყევის კვალი მოჩანს საყოფიერო ლექსში, რომელიც ვაჟას აქვს გამოყენებული:

ა

ამ ზაფხულს ლაშარს ვიყოდი, არაყსა ვსომდი, ებიკობდი.

პირში პაპიროზ მექირის, რატიშვილზედა ვსდილობდი.

საცა ბუზიკანტ აჩქამდის, წინ-წინ მე გადავფრინდობდი.

გაეყარნოდი დოინჯი, წელშია გავიდრიცობდი;

5 შამაქის გულის წაწალმა, მხრებშიაც შავიჩიკობდი;

ის აღარ მაგონდებოდა, ზამთარო მამიხვიდობდი,

ამკიდეს ნეკრის კონაი, დამქვიმის, დავიკვიმობდი.

ჩემი კვირისა ყვიროდის, მე რომ სამძელსა ვხდილობდი.

რა ვქენ, ამ თავმოსაკვდავმა, რად არ ღამითიც ვთიბდობდი!

ლექსის აზრი ვაჟას ასე აქვს განმარტებული: „ხალხურ მოშაირეს ლამაზადა აქვს დახატული სურათი ლაშარობისა: იგი დასციინის კიდევ იმათ, ვინც მეტისმეტად გართულან ამ დღეობა-ხატობებით და თავის სახლსა და საქმეს კი აკლდებიან“ (თხზ., V, გვ. 54). ზურაბ რატიშვილი მაზრის უფროსად ყოფილა თიანეთში.

ვაჟას ფიქსირებულ ლექსს თავისი ვარიანტი გააჩნია, მაშასადამე, იგი ზეპირბრუნვამია და თანამედროვე მთქმელთა რეპერტუარშიც დასტურდება. გავცნოთ მასაც:

ბ

ლაშარში ვიყავ

ლაშარში ვიყავ ხატშია, ორ ქალთ შუა ვიჯდობდი,

სადაც ბუზიკა აჩქამდის, წინწინ მე გადავფრინდობდი.

დამკვლივის გულის წაწალმა, ბეკებში შავიჩიკობდი,

წინწინ ჭვარელამ შაჰვეირის, როცა საბძელს ყარტს ვხდილობდი..

5 შავხლობდი კირცხილაზედა, დაპკროლის, დავიბღვლითობდი,

მეკიდის ნეკრის ტვირთაი, დამკვივის, შაეჩიოვლი:
ადარცა წავალ ხატშია, გამიწყრეს, დავიფიცოლი,
რა ექენ ამ დასაღუპავმა, რად არ ღამეცა ვთიბლოლი

მთქმ .ვახტანგ ლევანის ძე ქისტაშვილი, 32 წლის, ს. არატანი, თი-
ანეთის რ. ჩამწ. თინა შიოშვილი, 13. VI, I, 1968. თსუფა № 6111.

ხატობა, კერძოდ ლაშარობა, მთის მგოსანთა მხატვრული შემოქ-
მედების თემა. ამ ბოლო ხანში იშვიათი არაა ნახევრად ფოლკლორუ-
ლი თუ ლიტერატურული გზით შექმნილ ნაწარმოებთა ფიქსაცია. ამ-
გვარი ხასიათისაა მთათუშეთში ჩაწერილი ტექსტი, რომელიც ტრადი-
ციული დღესასწაულის ქებას წარმოადგენს.

ვ

ლაშარობა

რა ღამაზია თუშეთი და ლაშარობა თუშური,
რქებ ჩაგრეხილი კედლია, სანთლით შუბლგადატუსული!

ფერდებზე ჩამწყრივებულა კოხტა ქალი და ვეფია,
ხევებში ამღერებულა შმაგი ალაზნის წყალია.

5 ჭიხვის რქით შავი ლუდის სმა, ცეცხლზე შიშხინი მწვადისა:
გარმონზე აცეკვებული თითები თუშის ქალისა.

თვალეზს დავხუჭავე; კვლავ მოსჩანს, სადოღე ცხენთა თავები,
და ქორბელეღას ფერხულში მგლისმუხლა მწყემსი ბიჭები.

რა ღამაზია თუშეთი და ლაშარობა თუშური,

10 რქებ ჩაგრეხილი კედლია, სანთლით შუბლგადატუსული!

მთქმ. ნანული აშაძე, 15 წლის. ს. ფარსმა, მთათუშეთი. ჩამწ.
სტუდ. თ. შიოშვილი, 1967. თსუფა, № 5355.

აქვე ვაჩვენოთ 1965 წელს მოპოვებული ფშაური ვარიანტი.

ღ

ღალი ვარ ლაშარის ჯვარი

ღალი ვარ ლაშარის ჭვარი, ცაში ავდივარ შიბითა,
ხმელ გორზე მიღვა ერთ მუხა, ცაზე: მობმული შიბითა;

ბევრ ოხერა ემუქრება, ვერა შკრის ჩემი შიშითა;
სულძალდა ერთთვის შვილმა ამამაბრუნა ძირითა..

5 გაბოშა, ხელი გაუსვა, მინდორზე გააჭირითა.
ღეთის კარზე შავიყარენით სამასსამოცნი დლითა,
გამამივიდა ბრძანება დამბადებლისა პირითა.

—ჭერ ვაჟიშვილით გასწყვიტე, მერმე ქალ-ქალიშვილითა:

რაც კიდეე გადავირჩება, ამაავლოდი ქირითა.

10 უკუღმ ჩაუღდეე საყელო, ქალითა ქალიშვილითა.

მთქმ. დავით ჭრელას ძე თურმანაული, 82 წლის, წ/კ უცოლდინა-
რი. ს. გოგოლაურთა. ჩამწ. ლ. გრიგოლაშვილი. თსუფა, №1958.

ასევე საყოფიერო ხასიათის ლექსი გვაწვდის ცნობებს ლაშარის ხატში სალოცავად წასვლის სამზადისზე. ეს ლექსი, როგორც პირველი, არაა სატირულ ელფერს მოკლებული.

2

ლაშარობა

მოვიდა ჩენი დღეობა, რო ვიტყვით ლაშარ-ღელესა,
ემზადებიან ქალები, კაბებსა ჰკერვენ ჭრელებსა.

ეს ჩემი სწორი ბიჭებიც კარგა უელიან ცხენებსა.
ტუგურულ ბახალისად იპირებს თივის მთრელებსა.

5 ქავთარი— იაგორასა ნეკრით უკვებავს ცხენებსა.

ე გოგოთურიც თამარსა კოვზებს უკეთებს ჭრელებსა,
სახლებ კი ჩამეშალა საგრეხელაის მთლელებსა.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი (ხალხ. სიტყვ. 111, 183). შემკრების განმარტებანი. ტუგურულ — ვაჟის სახელია; ბახალა — კაცის სახელი; მთრელებსა — საზამთროდ [თივის მთიდან ჩამომტანნი]. ეს ტუგურულა ამ ბახალას ქალის წაწალა იყო და ეფერებოდა; ქავთარი იაგორასა — ეს ქავთარი ამ იაგორას ცოლთან წვებოდა; გოგოთური — გოგოთური თამართან წვებოდა და კოვზებს უთლიდა. ჩამეშალა — სახლები კი ჩამოენგრათ. საგრეხელია — თითისტარს ატრიალებენ შიგ (ხ. ს., III, 183).

ლაშარი ძლიერ ხატად ითვლებოდა მთაში და მის „სიტყვას“ დღით უჭეროდნენ. ლაშარის აღწერილობა ვახუშტისაც მოეპოვება. „აქუსთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც ხევსურნი, უკეთუ იმოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერარაიდ იხმარებენ თავისად, არამედ მიუძღნვიან ლაშას-ჯვარსა“. ვახუშტის სიტყვით ლაშარის ჯვარის ქადაგსაც დიდი გამავლობა ჰქონდა. „გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და ღალადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვის, სთნავთ და ჯერ-იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა“. (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 92). ქადაგის საქმე და სიტყვა ფართოდ არის ასახული ფშავ-ხევსურულ პოეზიაში. სანიშნოდ ჩვენ უახლოეს ჩანაწერს მოვიხმობთ, სადაც, ჩანს, ლაშარობის ხატის წინასწარმეტყველებაა გალექსილი.

3

ლაშარის ჯვარის დროშით გალაშქრება მისტიზი

გადაიკრიფა თოვლები, ბილიკებ დაჩნდა მთებისა;
ცხენებ ფეხს კარგად იკიდებს, ქუჩზე აღარა სხლტებისა.

- ყველანა გავლის მხედარი, ზოვებ აღარა სქდებისა.
 ლლო ზაფხულო, ბუნება, დამშვენეე თვალთა ხედვისა...
 15 ცოცხალთა, მკედართა იმედო, სულის ჩამდგმელო, ქშენისა,
 მარჯვენა ბარაქიანო, ღუძუს ქირიმე შენისა!
 მთაში გავიდა ცხვარ-ძროხა, არ ედგომლება ბარშია!..
 ცალკით ვეისხმიან ქისტები, სხვაენ ლეკები მთაშია...
 ცხვარ-ძროხას გაირეკავენ, ჩამოჩეუელნი ფშავშია...
 10 ფშავლებიც იმას შერებიან, მტრისად ჩამდვრები კვალშია.
 ხატს გაიკითხავს მკითხავი, ქადაგობს, იცემს თავშია:
 ქისტეთს გადადით, ფშავლებო, ყველან გამოდით ჭარშია!
 ფშავლებო, ფშავლის შვილებო, საიმედონო ძალშია...
 დიდი ხანია ქისტის ხარს აღარ მასკრიყო თავია...
 15 გაუმადლარის ლეშითა აღარ გამძლარა ყვეია...
 ის იყო,—გარიერაჟია, მზე გააბრუნა ლამეა...
 ზედიზედ დატყერა მარები,.... სიათაების ჩქარია...
 ბოლი ჩამაწვა ხეებში. ბრძოლა ჩამოწვა მწარია...
 დამარცხდა ქისტის ლაშქარი,., თან გაქევა სისხლის კვლია...
 20 ლაშარის გორზე შამოდგა ორასი ქისტის ცხვარია,
 ასი კურეტი, რქათეთრი, ორასი ნისლა ხარია...
 ორას მარგილზე დააგეს ორასი ქისტის თავია...
 ორასი ქისტის მარჯვენა, ფარ-ხმალი, ნადავლარია.
 ლაშქარის სამზელად მოდგა უხვად ქალი და რძალია...
 25 ახარებს ვეფხეების გულსა, არ მაშორდების თვლია...
 ერთგნით დაუნთეს ცეცხლები, სხვაგნთ უბერავს აღია...
 აღიდეს ლაშარელი, ეგ თამარ მეფე წყნარია...
 კარგ ყმათ საყარგყმოს ასმევენ, გაიქსენიეს მკედარია;
 ვინც იყო პიროფლიანი, ლაშქარჩი მოკლულ არია,
 30 ხატ-თემის ნამუსისადა ვინც არ დაზოგა თავია...
 დალიეს შასანდობარი, მიხსენიეს მკედარია.

მთქმ. ხეთისო პაპას ძე ფანოზაშვილი, სოფ. გამარჯვება. წითელი წყაროს რაიონი, ჩამწ. ნ. გოგოჭური, 1961 წ. ფ. არქ. კ. 18, გვ. 148.

ლექსი მოსაგონარი ხასიათისაა, მაგრამ ასახავს იმ რეალურ ვითარებას, რასაც ადგილი ჰქონდა ტომების ცხოვრებაში და შინაარსითაც და მოქმედებითაც ლაშარის სახელს უკავშირდება. ტექსტი იქნებ ნაქადაგარსაც წარმოადგენს. აღწერილია ქისტებზე ლაშქრობა და მასში ხატის მონაწილეობა. ტექსტის მიხედვით ლექსი ძველი არაა. აქ ვათავსებთ იმის გამო, რომ უფრო ადვილი წარმოსადგენი იყოს სატომო ხტისშვილების ხალხთან დამოკიდებულება, მათი მთლიანობა გარკვეულ საფეხურზე. ამ ტიპის ნაწარმოებები იშვიათი მოვლენა არაა. სხვებთან შედარებით ლაშარის ხატის სამოქმედო ასპარეზი დიდი იყო; აქ სალოცავად ფშავლებთან ერთად სხვა ტომის წარმომადგენლებიც მოდიოდნენ. ამის დასადასტურებლად ნ. ხიზანაშვილი ხალხურ ლექსს მიმართავდა 90-იან წლებში.

თუშთა, ხევსურთა, ფშაველთა
 ლაშარს პირობა შაკჳიან;
 უბრძანებს ლაშარის ჳვარი —
 ახვაში ჩასვლა მწაღიან,
 ერთმანეთს ნუ უღალატებთ...

„ფშაველების ლაშარს ფართო სამფლობელო ექირა, ამას ემორ-
 ჩილებოდნენ, მარტო ფშაველები კი არა, ხევსურნი და თუშნიცა“
 (ნ. ხიზანაშვილი, ეთნ. ნაწ., გვ. 104). ამით აიხსნება სწორედ ის გა-
 რემოება, რომ ლაშარის ხატის ლექსების მოპოვება არ კირს საქართ-
 ველის მთიან რაიონებში. ელ. ვირსალაძეს გამოქვეყნებული აქვს
 მთიულეთში ჩაწერილი ნიმუშიც.

თ

ჩემ მტერს ჩემ გადანაყარი რომ მამივიდა გუროსა.
 კბილებსა გააქე კაწკაწი, როგორც კედელში ხუროსა.
 ვეხვეწე ლაშარის ჳვარსა, ნაბადი გადმომხუროსა,
 ჩემკენ წამოსულ ქისტები სხოკანას გააბრუნოსა.

(ვირსალ., გვ. 128; მთქმ. გიორგი ბეჭაური).

განსაკუთრებული სიუხვით თუშეთი გამოირჩევა. მთათუშეთში
 ფშავ-ხევსურთა ზიარი ზატ-სალოცაევი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ეს
 ვარემოება თუშების ტომობრივი შედგენილობის საკითხსაც ნათელს
 ჰფენს ნაწილობრივ.

65. თამარ დედოფალი და ლაშარის ჳვარი

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ფშავი (ხალხ. სიტყვ., III, 14).

განმარტება: გადაიქნია—ისეთი ძლიერი იყოვო. ხიდადა—ლაშა-
 რის ჳვარსა და ღელეს შუა (აქ თამარის ნიშია) არაგვი ჩამოდის, ორი-
 ვე ხატი ზევით გორებზეა აღმართული.

ლექსი, ცხადია, არაა წმინდა მითოლოგიური. აქ შემოგვაქვს იმის
 ნიმუშად, ღროთა განმავლობაში თუ როგორ უკავშირდებიან ისტორი-
 ული მოღვაწეები მითოლოგიურ პერსონაჟებს და რეალური პირები
 რა სახეს იღებენ მხატვრული იდეალიზაციის პროცესში. ეს ლექსი
 იქნებ თამარის ხატში მისგლის აღსანიშნავადაც არის შექმნილი.

ფშავში თამარის სალოცავის გაჩენას ასახავს ტაეპი: „ერთურთის
 პირპირ დავდგეთ, ვიმსახურნოდეთ ფშავენია“. მართლაც, ლაშარისა და
 თამარის ხატები ერთმანეთს საპირისპირო მთებზეა გამართული (იხ-
 ამის შესახებ შესავალში).

მთქმ. გ. ჭინჭარაული, სოფ. შატილი, ხევსურეთი. ჩამწ. დავაჲ მსარკიკაჲ, პედაგოგი, 1935 წ. ჭუთ. მუხ. 6418, № 6, რვ. 41.

ტექსტს შენიშვნა ახლავს: „ნათქვამია ძველათ“. ამის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედანში მოხსენებული „ამაგის მალექსობელი ტუსადი რუსებისაო“, მთელი ლექსის ავტორი არ არის; მას მეორე ნახევარი უნდა ეკუთვნოდეს, სადაც ნადირობის ამბავია გადმოცემული. პირველ ნაწილში ნაჩვენები ლაშარელის, პირქუშისა და სხვა ღვთისშვილების თავგადასავალი ძველთაძველი წარმართული მსოფლგაგების ანარეკლია და შექმნილი არის საუკუნეების წინ. მთავარი პირქუშის სახეა. იგი ესარჩლება თავის ყმებს, აწარმოებს უფალთან მოლაპარაკებას, ხოლო სიკვდილს პირისპირ ეკამათება და მეტი თუ არა, ორი-საჲ დღის თავისუფლებას — სიცოცხლეს მაინც მოითხოვს. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ლექსის ის ნაწილი იქცევს, სადაც პირქუშის ენერგიული გამოსარჩლება და ადამიანებთან მეგობრობაა ნაჩვენები.

ყმების მიმართ პირქუშის კეთილი განწყობილება მოულოდნელი არ არის. „გადმოცემით პირქუში მქედელი იყო, კოქლი კაცი. პირქუშს ყველაზე ადრე გამოუქვდია სახნისი, ცული, წალდი და სხვა რკინეული. ხალხიც ძალიან აფასებდა. იტყოდნენ: ესაა ჩვენი ღმერთიო“. (მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. ქართული ფოლკლორი, I—II 1964, გვ. 241). უკვდავება მქედელყოფილმა სწორედ უანგარო სამართლიანობითა და ერთგულებით მოიპოვა. ამის ნიდაგზე დაწესდა პირქუშობა და სალოცაეი ხატი.

პირქუშის ლექსები ნაკლებად მოგვეპოვება. ჩანს, ისინი დროთა მსვლელობამ შთანთქა. შემორჩა დამწყალობების რამდენიმე რიტმული ნიმუში, მაგრამ მათ სამღერი ლექსის ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ. ამ ფონზე დ. მსხარაკაძის ჩანაწერი საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. ვებქდავთ ჭუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალების მიხედვით.

ტრადიციული მითოლოგიური ლექსები გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან ჩვენს დროში. ამის ნიმუშად გამოდგება პირქუშის ლექსის ის ვარიანტი, რომელიც 1961 წელს იქნა ფიქსირებული სოფ. პალდოში (თიანეთი) ფოლკლორული ექსპედიციის მიერ. როგორც პირველი ვარიანტი, ისე მეორე ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ტიპიური ღვთისშვილთა ციკლის ნიმუშია, ხოლო მეორე მარტო პირქუშის მონაწილეობას შეეხება და მოსაგონართა ნიმუშს წარმოადგენს მონადირის (ღვთისო ბერიძისშვილის) დაღუპვაზე. გავეცნოთ ამ ახლ-

ბურად დამუშავებულ ტექსტს უ. ცინდელიანის ჩანაწერის მიხ
მთქმ. გიორგი ჩალხიას ძე არაბული ფ. არქ. კ. 2. გვ. 218.

ა

ლეთის კარზე შავიპარანით

- ლეთის კარზე შავიპარანით ლეთისშვილი ყველა მხრითაო,
დაგვივიანდა პირქუში ოსტატი ყაწიშისაო.
ნელათ მოიდა მტირალი, ცრემლით იბანდა პირსაო.
—რა ამბავია, პირქუშო, რა იცი ხმელეთისაო?
- 5 შევეედრება უფალსა, ჩოქს უხრის, მუბლზედ ზისაო:
—რად არ ინებე კიდევ სიცოცხლე ჩემი ყმისაო?
არა მემეტება ბნელშია — ღირსია სინათლისაო.
შუქი მოჰფინე, უფალო, შენისა წყალობისაო.
სამღურავს ეტყეოს უფალი:—მშველელი ვერ ხარ ყმისაო!
- 10 —რა გაუჭირდა ჩემ ყმათა, რო ვერ უმქარვებ ჰირსაო!
ბარს ჩაველ ყმათა გულისთვის, სიო დაეტოვე მთისაო.
ზღვაში გავიდენ, გავიგე, სიმური ვჩქიფე წყლისაო.
სულეთით დაუბარებავ ლეთისოს ბერიძის შვილსაო:
წამოვე ნადირობადა მაგ საყანაფის ძირსაო.
- 15 მამამ მიშალა, ნუ წახვალ, ამინდი არა ტყისაო.
გამიშვი ჩემო, მამაო, კაი სიზმრებსა ვშინჯაო.
ხვალ მოვალ, უთხარ. მამაო, დრო იყოს შუა დღისაო..
როგორც მოსელა მე შერგო, ეგეთი ჩემი მტრისაო!
შამომეყარა სიკვდილი, შამომეცინა პირსაო.
- 20 ვგონე შენა ხარ ლეთისოი, სილაღე დედ-მამისაო,
გამომეყ, უნდა გაჩვენო კარები სულეთისაო.
ბევრი ვეხვეწე უფალსა დიდის ვედრებითაო.
სახლში გამიშვი, სიკვდილო, ვადით ორ-სამი დღითაო..
ხელი გამიბა, არ მიშეებს, უღელ უჭირავ მხრითაო.
- 25 ღირსება ჩამოგეყარა, დახედრა ახალწლისაო.
დღეიდან ველარა ნახავ დედასა სიცილითაო.
ვაი რა ძნელი ყოფილა სამყოფო შავეთისაო.
როგორ ყოფილა მაგარი კარები სულეთისაო,
ვებრძოლე გასატეხათა, სუსტი მეგონა ხისაო,
- 30 მაგრამ ყოფილა მაგარი რკინისა, ფოლადისაო.
უთხარი ჩემი ნათქვამი ლეგას ჩემ ბიძაშვილსაო:
დედ-მამა შამინახოდე მიმბაძავები სხვისაო,
რა ხანის ისხდნენ მარტონი მტირალნი კერათ პირსაო..
მიხიდი, მათირნოდოი ტბილისა სიტყუებითაო,
- 35 მე ზო გყვევივარ ცოცხალი, არ მეძახითა შვილსაო!
მაგით მენანი ლეგაო, მკერელ არ დავრჩა მკრისაო,
შენახვა როგორ შეიძლო ორ-პირი დედ-მამისაო!
მომავგონდები, ხინკალო, სალხინო ფშაელებისაო..
სანამდე გქონდეს ხსენება, სანამ ძალაა ლეთისაო.
- 40 სანამ ერთი რამ მუშაობს ცისა და კმელეთისაო..
სანამდე მამა უფალი ხორცივლად მოვა ძირსაო!

ე მაგის მალექსობელი ეხლა ციხეში ზისაო,
არ ვამბობ გალაღებული, შუქი მენატრის მხისაო.

ჩანს, ხევსურეთში დაძვრებული ლექსი ბარში ჩამოსულა და
ცივგომბორის მიდამოებში დამკვიდრებულა.

პირქუშის ხატი და მისი რატულური სამღერე ბოლო დრომდე
ინარჩუნებს პოპულარობას. ამას მოწმობს 1964 წლის ოქტომბერში
ხევსურეთის ფოლკლორული ექსპედიციის მიერ მოპოვებული
ტექსტები. გავიცნოთ ისინიც.

ბ

პირაქუში

ხთის კარზე შევიყარენით ხთის შვილებ ყველა მხრისაო
შაგვიგვიანდა პირქუში, ოსტატი ყაწიმისაო.

ნელა მოვიდა პირქუში, ოფლით იბანდა პირსაო.

დამდღურების უფალი: მშველელ ვერა ხარ ყმისაო!

5 ბარს ვიყავ ყმის გულისადა, სიო გავწირე მთისაო.

ქვე რაქელ ნდობა ხქონია ერთისა ხორციელისაო.

მელოდების უფალი მშველელ ჩემისა ყმისაო.

მთქმ. ბაბო არაბული, ბაცალიგო. ჩამწ. მ. ჩიქოვანი, 6. X. 1964.
ფ. არქ. ხ—192.

სულ ახლახან სოფ. ბუჩუქურთაში ჩაწერილ ტექსტში ბოლო მუხ-
ლები განსხვავებულ წყაითხვას გვაძლევს.

ბ

ხთის კარზე შევიყარენით ხთის შვილნი ყველა მხრისაო,

გაგვიგვიანდა პირქუში, ოსტატი ყაწიმისაო.

შუქიც კი მალე მოვიდა იმ ლალის იახრისაო.

მთქმ. ჭურხა უთურგას ძე გოგოჭური, სოფ. ბუჩუქურთა, ჩამწ.
მის. ჩიქოვანი, 8. X. 1964 წ., ფ. არქ. ხ—192.

ხალხური ლექს-სიმღერები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ პირ-
ქუშის სახე და თავისი ადგილი მიუღწინოთ ქართულ პანთეონში. რო-
გორც ვხედავთ, პირქუში ძლიერი ხატია და მისი საბრძანისი ბაცალიგ-
ში არის, იმ სოფელში, რომელიც ხევსურეთის არაგვის ნაპირას აღ-
პურ ზონაშია გაშენებული და გუდანის ხატის პირველ საბრძანისს—
სანელელეს გაჰყურებს. პირქუშის ცოცხალი სახე დღემდე არის შე-
მორჩენილი მთის ზეპირსიტყვიერებაში. 1969 წლის 27 ოქტომბერს
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუ-
ტის ფოლკლორულმა ექსპედიციამ ერთი ასეთი გადმოცემაც მოიპოვა.

დ

პირაქუში

პირქუში ძალიან ლამაზი ყოფილას, ისრ ლამაზი, რომ სამოცამდე
ქალი თუ ეცილებოდ იმისთავს ერთუცს. ხევარობდიანა. თაოდ თუ

ქვე არ დაენახოდნან ქალები. უთხოვავ შორიგეს ღმერთისად, რო უღურ მამეცივ. მორიგეს ღმერთს პირქუშისად ყვავილ აუჩენავ თორ-პალზედა, პირქუშიც მემრ დახქევიენებთან.

პირქუშ მარკე ჯვარი, განა კაკმატურს ლგავ. დედროვანს არ იკდენს, მამივ მამიზეზებს. კაკმატურის დობილთ ვერცხლის ყაწიმნ მაუშალიან პირქუშისადა, მას აქეთ შურობს ქალებს. არც წოლა-დგო-მა დაენახვის:

ჯვარო, ბაცალიგოურო, შენ დამეკსენ, მამინება,
ქალებსთან წოლას ნუ მიშლი, თორე შამაგავინება.

მთქმ. ძილა ბეწიწურის ასული არაბული. 83 წლის, წ/კითხვის უცოდინარი, ხევსური, სოფ. ფუძნარი, დუშეთის რ-ნი, 1969 წ. 27 ოქ-ტომბერი. ჩამწ. დ. გოგოქური. ფ. არქ.

67. აგგოგა ბუღანის ჯვარი

მთქმ. ყუღია გიას ძე ჰინჰარული, 64 წ. ს. კაწალხევი. ჩამწ. დ. გოგოქური, 1964 წ. 10 ოქტომბერი, ს. მალაროსკარი. ხევს. ექსპ. ფ. არქ. ხ—193.

გუღანის საქებარი ლექსია, სადაც ხატი აცხადებს: დიდი ვარ, როგორც ყაენიო.

68. ბუღანის ჯვარი (ქადაგოგს ბაიდაური)

ჩამწ. ალ. ოჩიაური. ხევსურეთი. თ. ოჩიაური, ქ. უძვ. სარწმ. ისტ., 1954, გვ. 78.

ქადაგ გაიდაურის წარმოთქმული ზიტყვა ლაშქრობის წინ. მთის კავკასიელებს, მათ შორის ხევსურებს, ცალკე თემებს; ურთიერთთავ-დასხმა სხეოდათ. ასეთ შემთხვევაში ხატებიც მოლაშქრეთა შეგული-ანებას ახდენდნენ, თათქოს გუღანელები გუღანის ჯვრის დროშით სხვადასხვა მხარეს ეწვეოდნენ: ქისტეთს, ხევს, არხოტს, არდოტ-ხახა-ბოს და სხვ. „ბევრგან ადგილ დაიჭირესად, ბევარ დაზდევს“,—გად-მოგვეცემს ალ. ოჩიაური თავის შეკრებილ მასალებში (თ. ოჩიაური, ქართ. უძვ. სარწმ. ისტ., გვ. 78).

ნაქადაგარის ტექსტები საინტერესოა არა მარტო ტომთა შედა-რებით გვიანდროინდელი ურთიერთობის ასახვის, არამედ მასში შემო-ნახული უძველესი მსოფლმხედველობრივი მოვლენების, ხატ-სალო-ცავებისა და ღვთისშვილთა ფუნქციის გაგების თვალსაზრისითაც.

ხატები ურთიერთშუღლობენ, იმუქრებიან, ახლოს არ იცარებენ. როცა გუღანის ხატის სალაშქრო გადაწყვეტილება შეიტყო არხოტის ჯვარმა, თვითონაც შეიარაღდა („წელთ შამაირტყა კმალიო“). და მო-წინააღმდეგეს თავისი ქადაგის პირით მოახსენა: „სხვაკნით ამიღავ

ბეგარი, დამპალო, სად მიხვალისო!“ ამით აუწყებდა: შენი მოლაშქრენი მე და ჩემს მრევლს ვერას დაგვაკლებენ, ჩვენ თვითონ სხვებსა ვლაშქრავთ და ვბეგრავთ. გვხვდება სხვა ვარიანტიც:

ა

ქადაგობს გაიდაური: ბრძანებს გუდანის ჯვარიო;

საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო.

სამი აბან დროში, სამსაე შაბან ზარიო.

ხეუსურებ დაამწყალობნან, უკულმ არ გახყვას ჯვარიო;

5 გაბეგრან არხოტიენები, კვამლზე აიღან ცხვარიო.

(შაკ., ხეეს., გვ. 79).

ჩანს, გუდანის ხატის იმედით მისი ყმები შორს მიდიოდნენ სადავლაოდ და ანგარიშის გასასწორებლად — მდევრად. როცა ხატქადაგნი დაავციანებდნენ, მაშინ თვითონ მლოცველები, სახალხო მელექსეთა პირით „შეახსენებდნენ“ ზთისშვილებს მოვალეობას. ამგვარი „შეხსენების“ მაგალითს წარმოადგენს სოფ. გუდანში 6. X. 1964 წელს ჩაწერილი ლექსი:

ბ

ხაშიათულ გავდმართე, გამოეუცვალე ლარიო;

რას ფიქრობ გუდანის ჯვარო, ერთ სხვას მაგიხვდეს ყმანიო;

გადაგისვარეს სისხლითა ბედელ-ბუღელის კარიო.

მთქმ. ბაბუა გიგიას ძე ჭინჭარაული, დაბად. 1920 წ. სოფ. გუდანი, ჩამწ. გ. შეთეკაური, ხეუსურეთის ფოლკლორ. ექსპედიცია, ფ. არქ. ხ—194.

აქაც მელექსე ტრადიციულ კილოზე იწყებს ხატისადმი მიმართვას: მე ჩონგური (ხაშიათეული) გავმართე სალექსოთ, შენ კი რას დაღუმებულხარ გუდანის ჯვარო. ჩანს, ჩვენს დროშიც ცოცხლობს მამაპაპისეული სალექსო წესი და სალაშქროთ ხატის დამგზავრების ჩვეულება. „ხატის მონაწილეობა“ ლაშქრობას გამარჯვების პერსპექტივებს უშლიდა და წმინდა წყლის ამ ქვეყნიურ საზრუნავს მითოლოგიურ ბურუსში ჰხვევდა.

ხევისურთა შორის ოდიდან მტკიცედ იყო დამკვიდრებული ქადაგის რწმენა, მისი მართალი სიტყვა. ქადაგის გარეშე ლაშქრობა არ ხდებოდა. ზოგ ლექსში ქადაგის გამათრთხილებელი სიტყვა მის მშობარობად არის მიჩნეული. დაუჯერებლობას ზიანის მეტი სარგებლობა არა მოაქვს. ეს შეიძლება ილუსტრირებულ იქნას პოეტური ტექსტის საშუალებითაც.

- ბევრამ გაბანდა ქვესურმა სამითხოვოდა ჭლანია.
 ბევრამ გაკვება ქალამა სათარეშოდა ქმარია.
 ემზადნეს შვილ დღეს, შვილ ღამეს, ელვენ სიწმინდის ცანია.
 ჩაღიან კისტნის ქალასა, ხვადებმ დაღეწნეს ნალია.
 — შიშით ქადაგობ ფუნჩია, არ გაქადაგებს ჭვარია!
- 5 — აბა თუ შიშით ვქადაგობ, გექნებ-თ წინამძღვარია.
 ქისტეთში მოხდა ქოცაი, გაწყდა თუშ-ფშავლის ჭარია.
 გამაჰქიეს ქისტებმა, ტყვია მამასწერეს ჩქარია.

მეტქმ. მამუქა ხვთისოს ძე ალუღაური, ხახმატი. ჩამწ. მიხ. ჩიქო-
 ვანი, 5. X. 1964 წ. ფ. არქ. ხ—192.

მკაცრ ბუნებრივ პირობებში მოქცეული ხეესური თვითონაც შე-
 საბამის გამომეტყველებას იღებდა. კავკასიონის ალპიურ კალთებზე
 ცხოვრების ბევრად განსხვავებული პირობები არსებობდა, ვიდრე
 ქართლ-კახეთსა და იმერეთ-გურიაში. ამ გარემოებამ ასახვა პპოვა
 ფოლკლორში, უქკნობ ხეესურულ პოეზიაში.

გუდანის ჭვარზე ახალ დროშიც იქმნებოდა ლექსები. ისინი ხატ-
 თან დამოკიდებულების გარკვევაში გვეხმარებიან. სანიმუშოდ მოვფ-
 ყვანთ ა. შანიძის ჩანაწერ ლექსს.

დ

- კვირაეს გათენებადა დაღვა სიწმინდის ღარია.
 გარმოვიტანე ფანღური, მამწაღდა საუბარია;
 ვერ დავაყენებ ენასა, რაის-რა შენათვალა:
 იწროდ გავბანდე ქულჩაი, ფეპზე ჩაეიციე ჭლანია.
- 5 ქვე რა-ქელ შაწუხებულან ე ჩენი ჭვარის ყმანია?:
 აღარც გვეძლევა ბეგარი, მტერმა შაგვიყრნა გზანია.
 ემზადე, გუდანის ჭვარო, წელთ შამიორტყი კმალა!
 თავის საფერკე შახვაზე, ოქროს დააკარ ნალია
 გადაჭე თავის ლურჯასა, აიღი დელამფარია!
- 10 პირიქით გადაიარე, არდოტ ჩაყარენ კმანია
 ზოგთ აჩინე ბნედაი, ზოგს წამასთხარე თვალაი
 გამაუწყვიტენ ჭალაფნი, ცეცხლზე დაუსხი წყალაი!
 დაბრუნდი ნასახლარი, დაიბარინდი ყმანია
 ბელლის კარ შააქუჩინდი, არ სწვდების წვიმის ცვარია!
- 15 შაყრილებს მაგანძურებსა შენ ხყვანდი კამანდარია
 ქვე რა კარგია, ვაეებო, ე მარტო საუბარია!
 მაშინ იქნება მონაი, ტყვიას მახქონდას ჩქამია,
 გამადოღეს თოფები, ებას კირიმებს ალია,
 კა ვაე ღვედრებდეს ფრანგულსა, გაილის სისხლის წყალაი.
- 20 მეაც ლიშანში გავხედავ ამაგის მოღექსარია;

დავდვდრე ბატონთული, კნიაზის ნაჩუქარია;
არ შემოვაცლებ გილდებსა, — წელზე მასრების ქარია.

შან. ხეეს., № 257. მთქმ. ბათაკა ქინკარული. ჩაწერილია 13. VII.
1913 წელს.

69. ბაადურს გუღანის ჯვარსა

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყ. არქივი, საქ. 19. ნიკო მაკალათია, მელანია ბალიაური, ხეესურულა დლესასწაულები, 1937, რე. № 3, გვ. 161—162. მოგვაწოდა ფ. ზანდუკელმა. შერწყმული ზევსურული ლექსია. ხახმატის ჯვართან ერთად მასში სხვა ხატებიც იხსენიება, შდრ. „ქაჯავეთ რად იარები“ (აქვე). გიორგი ღვთისმშობლის შეკითხვაზე პასუხობს: ქაჯებს ვალი შიმართებს, ერთხელ რკინის წრთობისას მივუსწარი სამკვედლოში, ცხენი ზედ მივაგდე და გრდემლსაწრთობელი მოვალახვინე, გავანადგურებინეო. ტექსტი შერეული ხასიათისაა, მასში შემოსული უნდა იყოს დიალოგიც (აქვე, № 75).

70. ხამსურამ ბადავს ლაშქარსა

იბეკლება ნ. ურბნელ-ხიზანიშვილის მიხედვით (ეთნ. ნაწ., გვ. 104).

71. ლალი გუღანის ჯვარიო

ჩამწ. ალ. ოჩიაური, გამოაქვეყნა თ. ოჩიაურმა (ქართ. უძვ. სარწ., 1954, გვ. 76).

მორიგე ომის განმგებელია. იგი ყოველთვის არ რთაფს ნებას ღვთისშვილებსა და მის მახვეწართ დალაშქრონ ვინმე. ამ შემთხვევაში მორიგემ ერთი წლის ვადით ჩამოხსნა გუღანის ჯვარს ფარხმალი, ე. ი. ომი აუცრძალა.

72. მოღიან. მოიძახანა

მთქმ. ბერდია ხირჩლას ძე წიკლაური, 81 წლის, ბალის დარაჯი, კოლმეურნე, სოფ. მლაშე, დუშეთის რ. ხეესურეთის სოფელ არხოტიდან 1959 წელს ჩამოსახლებული. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, 13. X. 1964 წ. ხეესურეთის ფოლკლორული ექსპედიცია. ფ. არქ. ხ—192.

სიმბტომურია ამ ტექსტის ისტორია. მთქმელმა იგი ძველ სიმღერად ჩამაწერინა. მთავარანგელოზის ხატში ვმღეროდით არხოტშიო (13 მკათათვეს იმართებოდა). ბერდია წიკლაურმა „მთავარანგელოზის სიმღერის“ სახით პირველად სხვა ტექსტი დამაწერინა, მაგრამ შემდეგ მოთხრა: „ესაა სწორი, ახლა მომაგონდაო“. აქ იმ პირველ ვარიანტსაც

მოვიყვანთ, თუმცა ტექსტობრივად ძირითად ნაწილში წარმოდგენილ ლექსთან მნიშვნელოვანი შეხვედრები აქვს.

5

- ვინც რომ ვერ იცნობს ჩვენს ბატონს,
ხთის კარზედა დგას ვიციით;
წელს ხმალი, სისხლით ნაღები,
მხარს ლენტი ოქროს შიბისა.
- 5 სხვა ხთისშვილი ვერვინ მიდისა,
კარს უდგას საკიღლიანი,
მტერთა დამცემი რისხვისა.
შამასძახებენ გუშაგნი
დრო რო მაიდას ბინდისა.
- 10 ცის კიდურთ შამაივლიან
დრო რო არ იყოს მისვლისა.
ვეშავთ ნადენსა მთა-წვერთა
თან ბურს დასდებს ნისლისა.

მთქმ. ბერდია წიკლაური, სოფ. მლაშე, დუშეთის რაიონი, არხო-
ტიონი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი, 13. X. 1964 ფ. არქ. ხ—192.

73. თევდორე და ქავთარი

ჩამწ. ვ. ბარდაველიძე, სოფ. ომალო. მთათუშეთი (მას. I, გვ. 40).
თევდორე და ქავთარი ძმა ხატები არიან. თუ ჩაუტყვირდებით ზე-
მთ მოყვანილ ქორბედელას ლექსებს, ვნახავთ, რომ როგორც გიორ-
გის, ისე თევდორე და ქავთარის ლექსები ტექსტის მხრივ ახლოს არი-
ან ერთმანეთთან. ეს უცანასკნელი ჩვენ უფლებას გვაძლევს იმავე
ტექსტის დამოუკიდებლობა უარვეყთ სხვა ღვთისშვილთა საგალო-
ბელში. რაკი ჭერჭერობით გარკვეული არაა ხატ-ჯვართა გაჩენის ის-
ტორიული თანმიმდევრობა, მათი სადიდებელი ტექსტების სიძველ-
სიახლეც გადაუწყვეტელი რჩება. თუ ვაყის მომატებას გიორგის
სთხოვდენ, აქ ქალთა მომრავლებაზეა საუბარი. ხატმა თხოვნა უნდა
შეასრულოს, რადგან მას მაქებარნი სჭირდება. ქალები ტრადიციულად
თუშეთში კარგ მოლექსეებად, პოეტებად ითვლებიან: „ქალთალუმატე,
ქავთარი, თუ გინდა მოშაირენიო“. ამით ისიც ირკვევა, სადიდებელი
ლექსი იგივე შაირია, მხოლოდ განსხვავებული თემატიკითა და განწყობით.

74. ალვა

ჩამწერი ბესარიონ გაბუერი, ხევსურეთი (წელიწდული, I, გვ. 122). მოგვყავს ნაწილობრივ ა. შანიძის კომენტარი ვარიანტებითურთ:
ხე ალვა ამასულაო—ეს ორნაირად შეიძლება გავიგოთ: ხე ალვა(დ)
ამოსულა, ან: ალვის ხე ამოსულა. ლექსი ჯვარიონთ საქებ სიმღერეთა

რიცხვში შედის (ნ. ბესარ. გაბუური, ღამის თევა ანუ ჭვარის სტუმრება შინ. წელიწდეული, 121), შან. № 551.

ხეცსურულის გარდა ცნობილია ფ შ ა უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ი :

ა

ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო,
წვერში დაუსხამ ყურძენი, საკმელად შამოსულაო.

(ვაჟა-ფშაველა, ფშაველები. ივერია, 1886, № 39).

ტუქსიშვილს სხვაგვარი ტექსტი მოუპოვებია ფშავეში, რომელიც დ. ხიზანაშვილის ჩანაწერისაგან მხოლოდ ბოლო სიტყვით განსხვავდება: დაშაულაო//გადასულაო.

ბ

ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამოსულაო,
წვერში დასხმია ყურძენი, საკმელად შამოსულაო.
იმის უქმელი ქაბუკი უდროოდ დაშაულაო.

მოიპოვება შ ო ხ ე უ რ ი ჩ ა ნ ა წ ე რ ი ც :

გ

წმინდის სამების ძირსაო ხე ალვად ამოსულაო,
მაგას შასხმია ხეხილი, საკმელად დამწიფულაო,
სამების მადლი გწყალობდეს, აქ მოკრეფულთა სულაო!

აკ. შანიძეს ჩააწერიანეს ელიობას, 20. 7. 1913, სამებაში, ხევში.
შასხმია—ვარ. მოსხმია.

„ხევში ეს იმღერება სმურის ხმაზე. სმური მოხეურად ქებაა, შესხმა. ვისი შასხმაც უნდათ, ხელში მისცემენ ავსებულ ჭიხეს (ე. ი. ჭიხვის ყანწს) და შეჭმღერებენ, დასახვენ რომელიმე გმირად (შაგ. ამირანად, ავთანდილად, ტარიელად) და საგმირო ლექსს უმღერენ“.

თ უ შ ე თ შ ი ბ უ ქ ე რ ა უ ლ ს წ მ . გ ი ო რ გ ი ს ს ა ხ ე ლ ზ ე გაუგონია:

დ

წმიდა გიორგის კარზედა ხე ალვად ამოსულაო,
ზედა დასხმია ყურძენი, საკმელად შემოსულია.
იმის ნახვევი ქალ-ვაჟი შავადა შემოსულია.

(ხალხ. სიტყვ. I, თაყ. რედ., გვ. 52).

„აქ ეს მუხლები მიბმული აქვს მთის სალოცავების ლექსს, ვითომც იმისი ნაწილი იყოს“.

ანალოგიური ტექსტები გავრცელებული ყოფილა ქართლში და კახეთში ბილანიშვილისა და ბიბილაშვილის ჩანაწერების თანახმად.

2

ჩენი მასპინძლის კარზედა ხეივანი ამოსულიყო,
ზედ ბუღეშური დასხმოდა, საკმელად შემოსულიყო.

(ჩამწ. ზ. ბილანიშვილი).

„ძალიან საინტერესოა სიტყვის გადაკეთება: ხე ალვად: ხეივანი“.
ლექსი სუფრულ სიმღერას ჰგავს.

3

წმინდა გიორგის კარზედა ალვის ხე ამოსულიყო,
წვერზედ დაესხა ურძენი, საკმელად შამოსულიყო.

(ივერია, 1890, № 6).

ასე ჩაუწერია ვ. ბიბილაშვილს ს. კარალეთში, ქართლში.

4

წმინდა გორგის კარზედა ალვის ხე ამოსულიყო,
დამწიფებული ურძენი საკმელად შემოსულიყო.

(ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, № 115. ჩაწ. 1893 წელს, ლიტ. მუზ. № 12277, ს. ხელთუბანი).

პირველი დასაწყისი ლექსისა ხვთაშვილზე იქნებოდა მიძღვნილი, წმ. გიორგისა და ბატონის ხსენება შემდეგ გაჩენილად ჩანს.

75. სალოცავები

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, H 2025, გვ. 43, შან. № 548.

გიორგის-ხანმატის ჯვარის ქაჯეთში მოგზაურობის შესახებ თქმულემა გამოქვეყნებული აქვს ა. შანიძეს (გვ. 594—5; შდრ. მინდიას, მ. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველას ეპიკური შემოქმედების წყაროების პრობლემა. ლიტ. ძიებანი, XV, 1964). ტექსტის პირველ კომენტატორს საყურადღებო ცნობები შეუტკრებია. გავიცნოთ ისინი.

„1. თეთრი კლდეია ბეთლემი — იგულისხმება ალბათ ხევის ბეთლემი, მყინვარს ქვეშ რომ არის (რომელიც ი. ჭავჭავაძის „განდეგილიდანაა“ ცნობილი); 3. მარიაშ — აქ რომელი იგულისხმება არ ვიცი; 6 ვარიანტი კი თელეთისას გულისხმობს; 10. ქაჯეთს რად იარები, გიორგივ ქარის ფერაო—ეს სიტყვები კაკმატის ჯვარს განეკუთვნება, მაშინ როდესაც იგივე სიტყვები 8 ვარიანტისა ლაშარის ჯვარს გულისხმობს.

„ქაჯუეთს სიარულის შესახებ ბ ა ბ უ ა მგელიკას ძე ქეთელა-
ურმა, ბისოელმა, შემდეგი მიაბო 1911 წ.: „გიორგის მანწონს, თუ
ქაჯუეთში წასულ იქ და გაუყოლებავ ერთ კაც, კორციელ. მთაზე სა-
დამ კლდეი სულებ ამაურიდებავ და თან გაუყოლებავ ქაჯუეთში.
რ(ქ) ქაჯებსა საფენხო ხქონივ გაკეთებულ. სინის მქედელ ყოფილ. ქედს
თუ ი სინასა. შავიდ თუ წმიდა გიორგი ი სამქედლოჩი და ი კაციის
სულ თან შახყვა, მქედლის საქედი სინა მათხიბლავ. გამაიდ თუ ი სი-
ნა და გრდემზე შააგდა და კვერ დახყრა. ი სინა უნ გატყვრას და ხალხ-
(იგულისხმება ქაჯები. ა. შ.) სრუ გალუპას. გიორგის ისე მათხიბლავ
ი სინა. გადადვ თუ ი სინა მქედელმ, გამოვიდ კარზე, სოფელჩი წავიდ.
იქ ერთ ქაჯ (პირველად თქვა: კაც) ეგულეების. აქსნას ეს რა ამბავია.
მეუფროსე იქნებოდის, რაღა, მათი. მაიყვან თუ სამქედლოჩი ი ქაჯი.
ე სინა ამნაირად შერებისო, რა ამბავიაო, თუ უთხრა. იმ ქაჯმ თუ უთხ-
რა: ეს მე ვიცი, ეს გიორგი არის, ესკაიძეო. მემრ გიორგიმ ჯანლებ თუ
გააჩინ ი სამქედლოჩი. მემრ თავის ძალა მაიქმარა და ე სამქედლომ
იქუხა სრუერთიანა და ნაგაბარ ცისკე გევიდინ. იმ გრდემს მათრაჯი თუ
შამოხყრა და ცხენზე აიდ ი გრდემი, კვერიც თან ამაყოლ იმას. რაც
იმ ქაჯებს საქონელ ხყვანდა, ის აქისკეს დალალ. აქ თუ მარეკეს ის სა-
ქონელი და აქ რო ეკლესია დგას, იქ დააქუჩეს. ერთი ძროხა ცალა-
რქა მაყოლ იმაშიგ. აი ზევით სოფელჩი (ქაქმატზე მიმითითა. ა. შ.) ორ
ღიაც თუ ას თავის ოთახჩი. ერთს გოგო ხყავრ, სხვას—ბიჭი. ბიჭის
დედა კარებზე გამოსულ, რო გათენებულ. უნახავ ი ქაჯუეთით მასულ
საქონელ. „ჟავაჟ, ის რაიაო“?! თუ დაიძახა. იმ გოგოს დედამ თუ
თავის ოთახშიით უძახა: ქაქმატის წმიდა გიორგის ძალიაო ეგოო. იმ
ღროს თუ ი ბალღებ აკავანჩი ატირდეს. დედებიც თუ ოთახებში შე-
ვიდეს. გოგოს დედამ აკავანშიით ბიჭ ამაყენ, ბიჭის დედამ გოგო თუ
ამაყენ. იმ თქმაზე ას, რო იმ ხატს გაუცვლია, მაუქეკეავ ის გოგოჟ
და ბიჭი.

„ი ცალარქა ძროხა რო მოუყვანავ, იმისთვის რქაი მაუტეხავ.
უთქვამ ი წმიდა გიორგის, რო ჩემს ლუდს რო მოხარშავთო, ამ ქაჯ-
ვეთური ფურის რქით აწყევით სალუდე ფორიო. აი ეხლა მაშინდელ
საწყავ გვიდგას, იმ ფურის რქის წყეი, ის რქაი კი აი ციხეში დგას,
ზევით. აღარ იქნების ახლა,—დალბებოდა. აი ის გრდემიც მაშინ მოღე-
ბული ას, წმიდა გიორგის მოულავ ი ქაჯების სამქედლოდან. იქით
მოუტანავ კიდევ ოქროს ფანდური, ცხრა-ძალიანი, ოქროს საცერი, სა-
მართებელი, სასრევი“.

„უქეველია, ქაჯუეთს მავალი გიორგი ხანმატისა ხევსურული ვა-
რიანტია ქაშოეთის გიორგისა, რომლის სახელზედაც საქართველოში

ეკლესიებია რამოდენიმე ადგილას და, სხვათა შორის, ტფილისშიც (Б. Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. Тифлис, 1875).

ბ

ქაჭუეთს რას იარები, გიორგი სვილის ფერაო?
—ვალი მიკიდავ, ვალსა ვსთხოვ, რას მკითხავ, ქრისტეს დედაო.

(რაზ. ფ. 239).

1. ქაჭუეთს „ფშავლები ქისტეთს უძახიან, უფრო კი მკითხავ-ხევისბრები“, რაზ.; გიორგი სვილის ფერაო—„ლაშარის ჭვარი. სვილი—ქვავი. ქვავი ლეგა ფერისაა“, რაზ.

ბ

ალავერდს წმინდა გიორგი, თელეთში მარიამია,
ლომისის მთავარ-მოწამე, ფშავში ლაშარის ჭვარია.

(რაზ. ფ. 244).

რითმის მიხედვით არ ჩანს, რომ ეს ნაწყვეტი იმავე ლექსის ნაწილი იყოს, მაგრამ შინაარსით კი რამოდენადმე უდგება“ (შან. № 548, შენშ.).

76. თუშეთის წმინდანები

ჩამწ. ივ. ბუქურაული. ხალხ. სიტყვ., I, ე. თაყ. რედ., გვ. 52. თითოეული წმინდანი ანუ ხატი, ღვთისშვილი, ცნობილია სხვა კუთხეებშიც: ფშავსა, ხევსურეთში და თუშეთში (ლაშარის გიორგი, კოპალა, ხახმატის გიორგი, მაგეხ გიორგი, თევდორე და სამება).

77. ლომისის ჯაპვი

მთქმ. ისაკო აბრამის ძე სეთურიძე, 78 წლის, სოფ. სეთურნი, მთიულეთი. ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1958 წ. ვირსალ. მთ. № 343.

მისსავე ვარიანტს წარმოადგენს სოფ. ქიმბარაანში (მთიულეთი) ელ. ვირსალაძის ჩაწერილი ლექსი (მთ. № 344), მთქმ. სიმონ ადამის ძე ბუჩუკური.

ბ

ლომისას ჭაჭვი ჰკილია, არავინ იცის ვისია,
ბებერი ქალი ატირდა — ეგ ჭაჭვი ჩემი ქმრისია.
სიკვდილის ჟამსა ნათქოში დაბარებულიც მისია,
„ისეთმა ყმამა შაირტყას, ვინც ქმარებისა ღირსია“.

ახლო მდგომი ტექსტი მოპოვებულია მთიულეთში, რომლის მთქმელი ჯღუნა გიორგის ძე ნარაიძეა, 86 წლის, სოფ. წკერე, ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1946 წ., ვირსალ. მთ. № 342; აგრეთვე, მაკ. მთიულეთი.

ლომისის ხატისა და იქ არსებული ჯაჭვის ლექსი საკმაოდ პოპულარულია ფოლკლორსა და მითოლოგიაში. ხატი ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის გამგებლად ითვლება. მას სასწაულმოქმედებანიც მიეწერება: ლომისის ხატმა ხორასნის ქვეყანა შეკრა, საქონელი გააბერწა და დედმიწას ნაყოფი არ მისცა, სანამ სულთანმა ათასი ქართველი ტყვე უკლებლივ არ გაათავისუფლა (მ. ჩიქოვანი, ქართ. ხალხ. სიტყვისტორია, 1956, გვ. 259). ლომისის სალოცავი აღწერილია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ (საქ. გეოგრაფია, 1941, გვ. 65), მოიპოვება ეთნოგრაფიული ცნობებიც (ს. მაკალათია, მთიულეთი). ლექსის ერთი ვარიანტი დაბეჭდილია „ქართ. ხ. სიტ. ისტორიაში“ (1956, გვ. 259), აგრეთვე, ფ. არქ. 34056, ოსუფა № 5009.

78. ბროლავში დასაფარავი

მთქმ. მოსე ხიზანის ძე ბუჩუკური, დაბ. 1873 წ. სოფ. ქვეშეთი, მთიულეთი, ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1934 წ. (ვირსალ. მთ. 232).

79. კაფია

ჩამწ. ელ. ვირსალაძე; სოფ. დუმაცხო. 1950 წ. ვირსალ. მთ. 223. კაფიობა პოეტური პაექრობის გავრცელებული წესია ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთში. ჩანს, საყოფიერო თემატიკის გარდა კაფიობაში სასულიერო თემებიც თავის ადგილს იჭერდა. ლექსის ჩაწერის გარემო ამაზე აშკარად მიუთითებს. შემკრების ცნობით, ლექსი აფციურთა საგვარეულო ხატობაში „ზეგარდობასა“ ჩაწერილი დუმაცხო-ათნახის ახალგაზრდობის შესრულებით. ხევსურეთში კაფიას თავისპირის ლექსი ეწოდება (ქართული ფოლკლორი, I—II, 1964, გვ. 252). აქ წარმოდგენილია ორფა კაფია, რომელშიც პოეტური შეჯიბრის ორი მონაწილეა ჩაბმული; ორფა კაფიას ცალფა კაფია უპირისპირდება, ეს უკანასკნელი კაფიის შესრულების ინდივიდუალურ ფორმას ემყარება.

80. მთივხილთ დაბაფება

მთქმ. ბაბო უჩონაური, ხევსურეთი, 1891 წ. 17 თიბათვე, ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ხევს. ლექსები. H 2025, გვ. 44. ტექსტს, რომელიც ლექსნარევ ლეგენდას წარმოადგენს, თ. რაზიკაშვილის მინაწერი ახლავს. „სწორეთ სიტყვა-სიტყვით ჩაწერე, როგორც ბაბო უჩონაურ-

მა მიამბო. არ ვიცი, სწორეთ ისე გადმომცა, როგორც ქადაგისაგან გაიგონა ხატში, თუ მოუმატა ან დააკლო რამე. არ იქნება კიდე არავინ ჩასწეროს ეს დიდად საიტერესო თქმულება“.

შემკრები ცალკეულ სახელთა თუ ეპიზოდთა განმარტებასაც გვაწვდის: „ბერი ბაადური დრონილი (ბებური) ხატია, დაბერებული. განა მართლა ბერდება, მაგრამ ღვთისაგან ისეა დასახული. ღვთის ნასახების (ქმნილებათა) უფროსი ის არის. ბაადურს ლოცულობს მთელი ქვესურეთი. სალოცავია გუდანში, სანე-ღელესა. ასე მიამბო ხვესურმა ბაბო უჩონაურმა. ამან წერა-კიოხვა ჩვენსა ისწავლა და შერე ბევრი ლექსი ჩამიწერა და ეს „დაბადება“. ამას „სხვას“ ქვესური ადვილად არ აღირსებს“.

ეს სიტყვები იმაზე მიუთითებს, რომ „დაბადების“ ტექსტი ძნელი მოსაპოვებელი ყოფილა გასულ საუკუნეშიც, დავიწყებია ხალხს და ამით უნდა აიხსნას ნაქადაგარის დაულაგებლობა. საინტერესოა სიტყვების განმარტებანი: ქუდ აღარ მამცა მორიგემა—ქუდსაქდელაზე მიტომ იხლიან ქუდებსაო; ქაჯთ ბუბუნეებით—ქადაგ-მკითხავთა ენაზე ხარებასა ჰქვიან; სასაგნავი—სასაროლი; მყვირალან—მკითხავ-ქადაგთა ენაზე—ღვევები; აოხებულნი—გაძლიერებულნი. გახელებულნი; სთქმევდეს—ჰყლაპავდენენ; ცინთვალ იყო—ცალთვალი; სახედვისად—მკითხავ-ქადაგთა ენაზე — თვალები; საარსოს — ქვეყანაზე.

ქაჯების მიერ შავ ზღვაში კოპალას დატყვევება ანალოგიურია იანსარის აბუდელაურის ტბაში დატყვევებისა.

ლექსი-თქმულება „ღვთიშვილთ დაბადება“ ქართული წარმართული მითოლოგიის მრავალ საკითხს აღძრავს. პირველყოვლისა გასარკვევია ხატ-სალოცავთა უფროს-უმცროსობის პრობლემა. ხალხური გადმოცემა თავდაპირველ ხატად, ღვთისშვილად, ნასახად თუ დანაბადებად ბერ ბუქნაი ბაადურს მიიჩნევს, რომელსაც თერგვაული მოსდევს, შემდეგ კი კოპალა და დანარჩენი ხატები (ბაადური—თერგვაული—კოპალა და სხვ.). სიძველე ამ ლექსს ფორმაშიც ემჩნევა. ღვთისშვილთა შორის ქიშპობა სუფევს. ხვესურულ გადმოცემაში პირდაპირ ნათქვამია: თერგვაული და კოპალა მტრები არიან, არ შეიძლება ერთის მლოცავმა მეორე ილოცოსო.

ამჟამად ბერი ბაადურის დამოუკიდებელი სახე გამჭარალა, მას მხოლოდ გუდანის წმინდა გიორგის ხატთან დაკავშირებით ახსენებენ, უკეთ ამ უკანასკნელთან ათანაბრებენ. შორეულ წარსულში ბაადურს საკუთარი სალოცავი ჰქონია სანე-ღელეს მწვერვალზე, შემდეგ იგი გუდანში გადმოუტანიათ. სანეს ძველ სალოცავში ახლა წელიწადში ერთხელ მიდიან ივლისის ბოლოს შაბათ ღამეს და კვირას კი გუდანაში

ჩამოდიან. ბუჩუკურთის სკოლის მასწავლებელმა თ. ლოსეთრაშვილმა 1965 წლის 26 მაისს შემდეგი გაცნობა:

„ბერი ბაადური არის იგივე წმინდა გიორგი, რომელსაც ლოცულობენ გუდანის ხატში. ეს ხატი არის საერთო და აქ მიდის სალოცავად ხალხი სხვა სოფლებიდანაც. „საღმთო ბერო ბაადურო, ადგილი თავ სვეტის ანგელოზო“. ბაადური პირველად ზეციდან იქ ჩამოსულა, სადაც „სანეოს“ ლოცულობენ (სანეო არის გუდანის მალა, სადაც აშენებულია მხოლოდ ერთი კოშკი). სანეოდან ჩამოსულა გუდანში, სადაც მთავარი ეკლესიაა აშენებული. სანეოს ადიან მხოლოდ წელიწადში ერთხელ ათენგენობას. ივლისის ბოლო რიცხვებში შაბათ საღამოს, ღამეს იქ ათენებენ და კვირას ბრუნდებიან გუდანის ხატში. ბაადურზე მეტი არაფერი იციან, თერგაული სულ არ გაგვიგონია. ეგ ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე არ არსებობსო, ასე მითხრეს“.

მე-19 საუკუნის დასასრულსაც ბაადურის სახე ბურუსით იყო მოცული. ამიტომ გაუჭირდა ცნობების შეკრება თ. რაზიკაშვილს, რის გამო უკვე ციტირებულ ნაწყვეტშია ლაპარაკი. ახლა საჭიროა სრულად გავეცნოთ შემკრების აღნუსხულ სხვა მასალებსაც. თ. რაზიკაშვილს ძირითად ტექსტში განმარტებები ჩაუერთავს, ჩვენ ის შენიშვნებში გადმოვიტანეთ.

„ეს თერგაული აქამდის არა ჩანდა, ანდრეზი (ანდერძი) კი იყო, რომ უწინ ძრეელი სალოცავი ყოფილა. „ქუღსაქდელას“ ეტყვიან, გორზე გზა გადადის, ამ გორის პირდაპირ ერთი დიდი გორია, იმ გორისკენ თუ ქუდი არ მოახდა და არ დაიჩოქა გაპვლელმა, არ იქნება. იმ დიდ გორზე დიდი ნახატარიც არის. იქა ყოფილა ის თერგაული. ხალხსაც მართო სახელი სცოდნია, რომ თერგაული მდგარა იქა. ის ხატი ახლა გამოცხადდა. იმ ხატს ოთხი ქადაგი ჰყავს. ის ქადაგები ისე წმინდობენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ქალისა კალთაც კი არ უნდა მოხვდეთ“.

ფშავ-ხევსურეთის ყველა ხატ-სალოცავი შეურიგებელ მტრობას იჩენს დევებისა და ქაჭებისადმი. უნდა ვალიაოთ, დევებთან მებრძოლებად მართო იახსარი და კოპალა არ გამოდიან, როგორც ვაჟა-ფშაველა ჰფიქრობდა. ამ წყვილს ბერი ბაადური და თერგაულიც უნდა დამატოს. თ. რაზიკაშვილის ჩანაწერში ვკითხულობთ:

„იმ დროს მყვირალნ იყვნეს აოხებულნი,
კი ნაქებს კაცს სოქმევედეს,
და წყალში და მორევი სხდებოდეს.

სუბმატა ექვივნა ერთ დევსა, ის დევი ყველაზე ქებული იყვა. ჯმელეთზე დავიდოდა, დაეძებდა ხალხსა. იმის ფიქრზე იყვა: ბაადურსაც და-

ვიქერო, გოორგი ნაღვარშვენიერიც ტყვედ ჰყოლია. სანე-ლეღეს იყვა სუმბატა დევი. ეს სუმბატა ცინთვალ იყო, შუბლში ეჭ-და ერთი თვალი. ის ღვთის ყაღარ იყო, ღმერთანამღე აღარა ეკლდა. თუნდ იმის სახედავისად შაგებუნდა, თუნდა მთვარისად, სუ ერთ იყო. ერთხელ სუმბატა დევი იყო სანე-ლეღეს წამოსული, აგებ ბაადურ და-ვიქირაო. იმ დროს კოპალა ჩამოსვეტდა საარსოს სადგომს ბაადური-სას. ესრე ეგონა სუმბატასა: ახლა მოვიდა ბაადურიო, ხელდახელ დე-ეტივ სუმბატაი. კოპალასაც სუმბატა ბაადური ეგონა: ჩემი შაშინება უნდაო და სუმბატად იმით მამეჩვენაო. კელი არ შაუქცია. სუმბატასაც კოპალა ბაადური ეგონა. მაგრამ შაატყო კოპალამა, რო კორცივლის ლეშ ეღვა მუტელშია. მალლა შახტა (კოპალა), ღთის ნასახი, ოქროს ქსოვილი გადაჰფინა ჰაერზე და იმაზე დადგა, როგორც არწივზე დად-გეს კაცი ცაში დამღვარზედ. იქით ესროლა კოპალამა. მაშინ ცეცხლ ასჩინდ სუმბატა დევსა. მაშინ ღთის ნასახნ ზეცით უყურებდეს, დიდად გაჰკვირდეს იმ საქმესა.

ბაადურმ უთხრა კოპალასა: ბედის ბედაურს შენ მოგცემო. რო სუმბატ დევი მამაშორეო.

„თერგვაული გვიამბობს: ავდეგ, ღთის კარით გავემზადე, წამუელ ქაჯუეთისაკე, ქაჯთა ბაზარი ჩავიარე. ქაჯთ ერთ ღთის ნასახ დაექირათ, სახედარივით ხმარობდეს, ზედა სხდებოდეს. რო დამინახეს, მეც შამატ-ყვეს, რო ღვთის ნასახიაო. შამამეხვია ქაჯთ ლაშქარი თეთრსა მთის ქო-რსა თერგვაულსა. ერთი მწვევარ მეტანა იქა. კაბის კალთებს ბეფარე-ბოდა შიშითა. ქაჯებ დამიჰქერნო. საგმირო დავმალე კაბის კალთაშია. შავისა ბადე გადავიცივი. მაშინ ქაჯთა ბუქრას შაატყობინეს კემწიფესა. ყვირალ ყოფილა საკვირველი: ცხრა თავ ჰბიძყვა, ცხრა სახედავ ჰქონი-ყვა, თითო თვალ თითო თავზედა. ბუქრა მოვიდა, როგორც გორი ისე-თი იყო. მკლავებს იხვასტევედა ბუქრაო. ცხრა სახედავ დაეცქვიტა. გავ-შალე ოქროს ქსოვილი ჰაერზედა. შავის ბადეც გადავაგდეო, საგმი-რონიც გავაელვე ჰაერშიაო. ცა რვალივითა აჩქამდისაო. ბუქრამ შაი-ტყვა, რომ ცეცხლი აჰჩინდა, ცხრა სახედავითა მანანა დაყარანა (ცრემ-ლი). ქაჯნი შავს მორევეს მიებარნესო. ბუქრამ მე ჩოქ მამიხარაო. მარ-გალიტ იყვა ზღვისპირზედა, კაბის კალთაით წამოვიღეო, ღთის კარს მოვართვი მორიგესა.

„ერთხელ კოპალა წასულიყვა ქაჯეთს ქაჯების საომრადა. ბუქრაი ზღვიდგან გამოსულიყო. კოპალას საგმირო ენახვია. ბუქრა ზღვისაკე გაჰქევიყო. მორევეში ბუქრა ჩასულიყო. კოპალაც მანდ ჩაჰყოლიყვა. იქ დეეტყვევათ კოპალაი, ნაპირზე ქაჯნი დაჰდგომიყვნეს, ერთს წელს ტყუილად ილოცეს ხორციელთა, სამსახურ აღარ მიჰღიოდა. მეპრე

გაგია მორიგემა, ქრისტეს ნასახი სად წავიდაო? მეგრ ნება მოგვცა ღთის ნასახთა, გამოგვეყვანა კოპალაი. მაშინ წავედით შავს ზღვაზედა, ქაჯთა ბაზარიც გავამტვერეთა, ქაჯთა მორევი დავძარითა. მაშინ კოპალა ამოშუქდა, ქაჯთა მორევიში ნატყვევარი“.

თერგვაული წარმართულ სალოცავად ჩანს. მიზი ფუნქციების დაწვრილებით შესწავლა მომავლის საქმეა. ჯერჯერობით იმას აღვნიშნავთ, რომ მისი სახელი საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს შორეულ წარსულში ფიქსირებულ ონომასტიკასთან და პიდრონიმებთან. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველთა მამამთავარი თარგამოსის და მდინარე თერგის სახელები: თერგვაულ—თერგაულ—თერგ—თარგამოს. შესაძლებელია ეტიმოლოგიურმა ძიებამ ამ სამი სახელის საერთო ძირიდან მომდინარეობა დაადასტუროს!

„ღვთისშვილთა დაბადება“, ანუ, როგორც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, „ქართული თეოგონია“, ხალხის შემავიწროვებულ დევების გამოჩენასთანაც არის დაკავშირებული. ამგვარი რწმენა ღრმად იყო ხალხში ფეხგადგმული და მის ფრაგმენტებს, ლექსითს თუ პროზითს, კვლავ ვხვდებით ფშავ-ხევსურულ გადმოცემებში, აქვე შეგვიძლია ვაჩვენოთ სულ ბოლოდროინდელი საექსპედიციო ჩანაწერიც.

ღვევები

ღვევები ჯვარსა და ჯვარის კარს ახლოს ვერ უდგებოდეს, ჯვარის მამულებში გავლა არ შეეძლია. იმათ თავის სამყოფელოებ ზქონივას. მშავში ბელელთანასა და ციხეგორ მდგარან, ხევსურეთ ღინიფხოსა და როშკის გორზე მდგარან.

მემრ ის ღვევები ისრ ახვივლებულან, როთ აღარც კაცთ ღრიდებდესა, აღარც ხთიშვილებს. ღამით ჯვარებში შამდინარანა, ლუდ უსვამ. დილასავ ლუდიანებ კოდებივ ცალიაებ დაველიდითავ. ხალხიც უზარალებავ.

შასწვდომივ ეს ამბავი მარიგეს ღმერთსა, უთქვამ რო:—ეს რა ამბავიასავ, ჩემამდე ზღვენ—საწირ აღარ მადისავ. უთქვამ ხთიშვილთ, რო ღვეთავ ძალ უყვესავ შენს საყმოსავ. მაშინ მარიგეს ღმერთს ხთიშვილნ ძალ-ღონეში გამაუცდიანა, იაჯსარ გამაურჩევავის. საგმიროიცი (ლახტი) იმისად მიუცავისა, ღვე-კერპთ გაწყვეტა გაუმწესებავის იმისად.

მასიქითად ღვევები აბუდელაურის ტბაში იმალებიან, ღამ-ღამით გამადიანა. მაშინაც ზევ-ხუეთას, უგზოთას დადიან. უფერი (ღვევი) წმიდა ალაგს ვერ მიეკარების, ის უფერიანში უნდა იყვას, თორე კოპალა ცეცხლს გააჩენსა, მაშივ დასწვავს.

მთქმ. ძილა ბენჭინაძის ას. არაბული, 83 წ. წ/კითხვის უცოდინანარი. ხევისჭური, სოფ. ფუძნარი, დუშეთის რ-ნი, 1969 წ. 27 ოქტ. ჩანწ. დ. გოგოჭური, ფ. არქ.

81. კოპალა

ჩანწერი თ. რაზიკაშვილი, ხევისჭურეთი, H 2025, გვ. 34, შან. № 543. კოპალა პოპულარული ღმრთისშვილია ფშავ-ხევისჭურებისა და თუშების გაღმოცემების მიხედვით. კოპალას სალოცავი სხვადასხვა ადგილას გვხვდება როგორც ხევისჭურეთში, ისე ფშავში, კახეთში, ერწოსა და თუშეთში. კოპალას სახელი იახსართან არის მჭიდროდ დაკავშირებული, ისინი მოძმე ხატები არიან და დევებს ებრძვიან. საგულისხმო სათური აქვს ვაჟა-ფშაველას ერთ ადრინდელ (1889 წ.) წერილს: „კოპალა და იახსარი დევების მებრძოლნი“ (თხ., V, ტ.). ლექსთან ერთად შემკრებს თქმულებაც ჩაუწერია, რომელიც კომენტარის სახით აქვს დართული თ. რაზიკაშვილის მიერ შეკრებილ ხევისჭურულ რელიგიურ ლექსებს. გავეცნოთ მას (H 2025).

„კოპალა ქაჯეთს იყო. იქიდან მოდის, ჰკითხავს: საიდან მოხვალო? კოპალაც უამბობს თავის თავგადასავალს. წავიდენ ხატებაც და მორეკეს ქაჯეთის ცხვარ-ძროხა. კარატის მთაზედ [ლიქოკის მთა] ორი ქალი ყოფილა ძროხებში, ერთი ფშავლისა და ერთი ხევისჭურისა. იმათ უნახავთ, რომ ცილამ ერთი ხატი და შიბი ჩამოსულან. ორივესა სდომებია ხატის წაღება. ერთმანერთისათვის არ უნებებიათ. მერე უთქვამთ: მოდი წყლიანი ჯამი დავდგათ და რომლისკენაც წყალი დაიღვაროს, ხატი იმან წაიღოსო. წყალი ხევისჭურის ქალისკენ დაღვრილა. წაუღია ის ხატი ხევისჭურის ქალს კარატეს, შიბი კიდე ფშავლის ქალს. ის შიბი ციხეგორს არის და ის ხატი კარატეს,—კოპალაა. მხრინანია, ფრინავს, დადისო. კოპალას მოძმე შუბნურია. შუბნური თათრებში ყოფილა. თურმე თათრები მიუყვანენ და ცხენებს დაუკლავენ. შუბნურს თურმე სძულს ცხენები, ცხვარი უნდა. იქცევა თურმე ყორნად და დაიწყებს ყრან-ყრანტს და სულ დაიღუპება ის ხალხი და ცხენებიც თავდასაჭრელები დარჩება. წამოიღო თურმე თათარმა ის შუბნურის პირლამაზი (ხატი, იკონა ლიქოკს, სოფ.) ხევისჭურეთს მოიტანა. გათხარა ცხრა ადლი მიწა და შიგ ჩაავდო და წავიდა. შუბნურის პირლამაზი ვერცხლისა ყოფილა, თვითონ შუბნური კი ღმრთისშვილი.

კოპალა რომ წინაპირველად გაუჩენია ღმერთს, იმ დროს ფაღლურის ბოლოს (ფშავშია) დუნიის ოდენა დევები მდგარან. ერთადევი ჰყოლიათ ისეთი ღმრთიერი, რომ ღმერთსაც კი შეეჭიდება თურმე. წავიდა კოპალა იმათთან კაცის აღით (სახით), იმ ღმრთიერ დევთან.

თავი მომპარსეო, ეტყვის დევს კოპალა, თურმე კოპალას გრძელი თმა ჰქონდა. თავის პარსვის დროს, დააჭერს თურმე ეს დევი თავზედ კოპალას და კინალამ კისერს მოსტეხს. კოპალა ამის შემდეგ წასულა და უთხოვნია ღვთისთვის: თუ ძალას და საგმიროს არ მომიმატებ. პე იმ დევებს ვერაფერს დაეაკლებო (შდრ. ამირანს).

მოუმატა ღმერთმა ძალაც და საგმიროც. წავა ამის შემდეგ კოპალა, მოჰკლავს იმ დევსა. ის დევებიც სულ გაწყვიტა. იმ დევთ დარჩენიათ: კამეჩი, აქლემი; ლომი იმათი ძალი ყოფილა. ესენი არიან დევთ ნადირნი, დანარჩენნი—ღვთისაო. კოპალას ეკლესია ჩაილურშიაც არის კლდის თავზედ, ჯაგინშიო“. აქ მთავრდება ეს საგულისხმო ლეგენდა.

შემკრების ჩვეულების მიხედვით, კოპალას ლექსს თან ახლავს თ. რაზიკაშვილის (ტექსტობრივი) განმარტებანი, ასე, მაგალითად, ხელნაწერში „სადმრთოს“ გასწვრივ მოცემულია ბერ ბაადურის განმარტება, თუმცა ასეთი სახელი ამ ტექსტში არ გვხვდება და იგი „გუდანის ჯვარს“ უფრო შეეფერება. აი როგორ ხსნის თ. რაზიკაშვილი ბერ ბაადურის ხასიათს.

ბ ე რ ბ ა ა დ უ რ ი — ღვთის ნასახთ ბატონია. იმასა და ერეკლეს წილი უყრიათ, ღთის ნასახთ ბატონი რომენი ვიყოთ და ხორციელთი რომელიო. ხორციელთ ბატონობა ერეკლესა რგებია და ღთისნასახთი (ხატებისა) ბერ ბაადურსა. ერეკლეს კაცთ ბატონობა და ქაჯთ ქალის ცოლობა ჰრგებია და იმის შეიღებსაც, იმას რომ ქაჯთ ქალი ევლია, ხატებს პირში ედგებოდა, მაგრამ მაჰწონებია გლეხის ქალი, შაურთავ და წასულა იმისი კაცობაცა და ხემწიფობაცაო“.

მეორე განმარტება „შუბნურ მათრახიანს“ ეძღვნება, იგი „ხატია ლიქოკშიო“, მესამე შემთხვევაში „გიორგი დავლათიანს“ გვიხსნის შემკრები, — „ხახამატის ჯვარიო“.

ს. მაკალათიას ასეთი ვარიანტი ჩაუწერია:

5

მეც მინაწილე, მიქაო, წყემსი ვარ თეჰიანი.

მეც მინაწილა მიქამა, წყემსი ვეგონე ცხერიანი.

წყალზე გამგზავნა მიქამა, ქელ(თ) მომცა ვეშლაპიანი,

ქალზე შამამავალი ირემ ვეგონე რქიანი.

5 წამომყარეს ისარი, ფოცხ-მაკრატელა, თბიანი.

სიმურში შამოვიჩქვიფე, რქის წვერთ გაიღეს გრიალი.

შემომყარა მოძმეი პირქელში, ნავთის წყლიანი.

„საიდან მოხვალ, გიორგი, დაღალულ-პირ-ოფლიანი?“

(შან. № 543 შენ.).

ბ

ფანდურს დაუკარ, ბერქუნდო, — გიყვარდა სამ-ძალიანი.

მარიგემ მე მამილოცა საგმირო შვილ-ლიტრიანი.

უნდოდ, რომ სახმთოს ეელა,—ვერ იყვა იმედიანი.

მიაგ ავილი, კოპალამ, — მკლავით(თ) ვარ იმედიანი.

5 ვეშაგურთის გორ ვესტუმრე, წყემსი ვარ თექაიანი.

სახლს აგებიებს მიქაი, ზე ხურო უდგას ხთიანი.

„წილი-ლ ჩამიდევ, შიქავო, წყემსი ვარ თექაიანი“.

კარის თავ შამადებია საგმირო თექაიანი.

წყალზედ წამალა მიქამა, თუნგ მამცა ვეშრაპიანი.

10 ქალაზედ შამამავალი ირემ ვეგონე რქიანი.

წამამაყარეს ისარი, ფოცხ-მყარატელი, თბიანი.

სიმურშ(ი) გამაეჩქვიფე, რქებმ(ა) გაილა ძგრიანი.

ჩამამყოლიყვა მოძმე(ი) შუბნური მათრაქიანი

ქელში ვჭირნეს კოკობნი დავსვილნი, ნავთის წყლიანი.

მთაში ბევრი ლეგენდაა გავრცელებული გმირ კოპალას შესახებ. ერთი ასეთი გადმოცემა „კოპალას ქვის“ სახელს ატარებს. მისი მოკლე შინაარსი შემდეგია: „ჩერ კიდევ მაშინ, როდესაც თოფი არ იყო გაკეთებული და მის მაგიერ ხმარობდნ მშვილდისარს, ფშავ-ხევსურეთის არაგვზე არ ყოფილა ჩამოსასვლელი (დევეების გამოისობით და არც ყოფილა იმ დროს ჩერ კოპალა. როგორც ასეთი ძრიელი ხატი.

დევეებს ფშავისათვის ბეგარი დაუდვიათ, კვამლად თითო ბავშვი, წლიური გადასახადი. როცა უკვე მთელი ქვეყანა შოიცივა დევეებით, დაისვა საკითხი ხატებს შორის თუ რა უნდა ექნათ დევეებისათვის. წასულან ხატები ხვთის კარზე, ე. ი. ღმერთთან. უთქვიათ, ისეთი ძალა გვიბოძე ერთ რომელიმეს, რომ დევეები დავხოცოთ, ამოვწყვიტოთ. ღმერთს გამოუყრდია ხატები ძალაში, სიმძიმის აწევაში, კოპალას ყველა ხატისათვის უმჯობნია და ასეთი ლექსი დაუბარებია ქადაგის პირით ხალხისათვის:

ბ

ხთის კარზე შავიყარნით სამოცდა სამი ჯვარიო,

სამოცდა სამსა ჯვარშიგით ერთსაც არ გვება ხმალიო.

ქვეით ბოლოზე ჩამოვჩე, ყველას ჩემზე ხქო თვალიო.

გადმოდგეს საწონ-ჩარეჭი, კვირავე, დაუგი თვალიო,

5 ყველამ ასწია იმასა, ვინც იყო ძალიანიო.

ბვკრი ეცადეს ხთიშვილთა, ვერ გაუყარეს ქარიო.

გავიარე და ავწიე, ღმერთო, შენგან მაქვს ძალიო.

შვიდმეტ ლიტრასა რქინასა ძირს გაუყარე ქარიო.

ერთმანეთს ეუბნებთან ეგ ჩვენზე ძალიანიო.

ღმერთმა როცა ნაზა კოპალა ყველაზე მძლავრი გამოდგა, აიღო და ლახტი მისცა კოპალას დევების დასალაგმავად, კოპალა თერთაჲ ამბობს ლექსად:

ღ

ღმერთმა ლახტი გადმომაწავდა დევების სამეხრავიო,
ხევსურეთისკე დაეიძარ, ღმერთს დაუქარი თავიო.

ღმერთმა დალოცა, მერე კოპალა გამოფრინდა ხევსურეთს და დარია ხელი დევებს, ბევრი ამოხოცა. როცა კოპალა ღმერთთან წასული იყო, დევი წასულა ერთი და სადგომიდან მოუპარია ქვა, კოპალას საჭლო-ში. მოსულს არ დახვედრია ქვა. კოპალასთან მოსულა ერთი პატარა ღირსების ხატი და უთქვია: შენი ქვა მე ვნახე დევს მიჰქონდაო.

კოპალას ქვა საცა არის, იმის მარჯვეს ყოფილა დევების სოფელი. ეს ქვა სწორეთ ამ ნანგრევებს ახლო არის დარჩენილი.

ამადა ამ ადგილზეო, კოპალა გაფრინდა მაშინათვე და დაეწია ამ დევს. დევმა შეამჩნია, კოპალა მოდიოდა და ქვა გადააგდო და თვით სურდა გაქცევა. მაგრამ კოპალამ ესროლა ლახტი და იქვე სული გააფრთხობინა. კოპალას არ ჰქონია ჯერ კიდევ დევების ამოხოცვა გადაწყვეტილი. ერთხელ კოპალას შეხვედრია ფშაველი, რომელსაც ერთი ბავშვის ძეტი არა ჰყოლია რა და ისიც მიუყვანია დევთან შესაქმევად, ბეგარი. უკითხია კოპალას: სად მიგყავს ან რისთვის მიდიხართ? ფშაველს არაფერი უთქვია და ბავშვს უთქვამს: სტუმრად მიუღივართ, მამის ნაცნობთანო. კოპალამ თუმცა იცოდა სად მიდიოდნენ ისინი. დაურიგებია ფშაველი, ასე ქენო: შენ, როცა მიხვალ სოფლის ახლოსო, ვინც შეგხვდება ისარი ესროლეო და ნუ გეშინიაო. ფშაველი მართლაც ასე მოქცეულა და კოპალას გადაუწყვეტია, სულ ამოეხოცა დევები, დაურეგია ლახტები და მთელი სოფელი ამოუხოცავს.

კოპალას ქვა მას შემდეგ არის ისე დარჩენილი. ქვას ეტყობა (თითქოს) ნაზურგალი, ე. ი. წამონაკიდები და ნასაბლარი. კოპალას ქვა უკვე ნაშთად ქცეულა. ქვასთან ფშაველები მოდიან და ათობით იხოცება საკლავები კოპალას სალოცავად. კოპალას ქვაზედ დარჩენილი „ამბავი“ ასეთია ფშავ-ხევსურეთში“ (ა. ჭინჭარაული, ხევსურული წესები. ქუთაისის მუზ. 6418(52—54, №8).

ეს ლეგენდარული ქვა ჩვენ 1964 წლის 11 ოქტომბერს ვნახეთ ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციაში ყოფნის დროს. ჩანს, უზარმაზარი ლოდი მაღლა მთის წვერზე მდგარა ჩამოგორებამდე და მისი „ნაზურგალი“ ქარების ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს. კოპალას ქვის, იგივე ხატის მასწორ, არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მთაზე შუროს ავთანდილის საქანს უწოდებენ. ავთანდილი კოპალას მოკლუ-

ლა დევის ამხანაგი იყო თურმე და მთიდან ამ „გზით“ გამოქანდა, ჩამოეშვა, რაკი ღვთისშვილმა დევების ამოხოცვას მიჰყო ხელი.

კოპალას ორეულივით თან სდევს იახსარი. ბევრი ლექსი მათ შორის საერთოა და ლეგენდებიც ხან ერთს მიეწერება და ხან მეორეს. ზემოთ მოთხრობილი ლეგენდა მხოლოდ კოპალას შეეხება და მის პერსონალურ სახელს ატარებს.

ბოლოდროინდელ ჩანაწერს შემდეგი სახე აქვს:

2

კოპალას ლექსი

(კოპალე იყო ბერი, დევებს ეომებოდა)

შვილდ-ბეიქარი! ბერისა², მალა ცაზედა ხვიოდა,
მუზას³ რო დაქრა ისარი, ბელელას⁴ გული სტკიოდა.
კაშრულან⁵ იმდენ არ იყო, რაც იმას სისხლი სდიოდა.

ფ. არქ. კოლ. 19, ტ. VII, გვ. 35, მთქმ. ნ. ლაჩაშვილი, არტანი, თიანეთი, ჩამწ. აბ. ცანავა, 1955 წ.

კოპალას წინააღმდეგ 9 ძმა დევი იბრძოდაო, რის შესახებაც ლექსი არსებობს:

3

ცხრანი ძმანა დევები, მეთუ სტანენ მამაო,
კართანას⁷ შაკრეს არაგვი, შუაფხოს შამომდგარაო. (იქვე).

82. კოპალას ბალმარჯვები

მთქმ. გიორგი ბაბოს ძე ლიქოკელი. სოფ. ლიქოკიდან თბილისში ჩამოსახლებული ზვესური (აჭარის მეორე შესახვევი, №16). ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, 30. IX. 1964 წ. შემკრების პირადი არქივი.

ლექსი მთლიანად აღარ ანსოვს მთქმელს, თუმცა ბოლოს მან სხვა ყუვზე საშიოდე მუხლიც დაუმატა და ისინი აქ შემოვიტანეთ — აი ეს მუხლები:

4

ქისტნი დაგლევეს ქვესურო. გიშველათ თათარულმა;
ხახიკის ხახონ გიშველათ, ეულაკმა მარიემულმა,
ბებერ გიშველათ ჟაქნამა. ჩაბაკის ივანეურმა.

ლექსის გაგებისათვის საჭიროა განმარტებანი: ბორბალ (2 სტრქ.) — მთა; თუშეთს ბეგარსა (4 სტრქ.) — თუშები ცხვარს აძლევდნენ ბეგ-

1. ისარი, 2. ე. ი. კოპალესი, 3. მუზა დევი იყო, 4. ბელელაც დევი იყო, 5. მღონარეა ფშევი. 6. მეთუ მამა იყო, მეთუც მათთან იყავო, 7. კართანა ადგილია კლდინი, სადაც ვიწროდ გამოდის არაგვი.

რად კარატის ჯვარს; ლიბუ (7 სტრქ.)—ლიბო, საძირკველი; ვადასა (7 სტრქ.)—ხმლის ტარი, ხელსაყიდი; ხახონი (8 სტრქ.)—კაცის სახელია; ჯახნაი (10 სტრქ.)—კაცის სახელია; ჩაბაკი (12 სტრქ.)—კაცის სახელი; ხეჭრად (13 სტრქ.)—ხე ჰერად, ხის ჰერი, საბურავის ნაწილი; გალო (13 სტრქ.)—ძვალი; მითხოვლისასა (14 სტრქ.)—მითხო ქისტების სოფელია; ადეშად (15 სტრქ.)—ადეში, სახურავის ფიჩხი (ხევსურეთში პრატყელ სახურავიან, ბანიან სახლებს ასე ჰხურავენ: ჯერ ხეჭერს სდებენ, ზედ ფიჩხს აყრიან, მერე ბალახს და ბოლოს მიწას); ფერცხალი (15 სტრქ.)—ნეკნი. ფხოვეხლისასა (16 სტრქ.)—ფხოვეხა სოფელია ქისტეთში; გადართვენ (17 სტრქ.)—შეხურავენ; თავჟუჟულასა (17 სტრქ.)—სახურავის ბოლო ნაწილი.

ლექსში აღწერილია ხევსურების მთათუშეთში სამისიონერო მგზავრობა, ბორბალოს მით უკან დაბრუნებულთ ქისტები ჩასაფრებიან გზაზე და მტერზე გაუმარჯვნიათ. ამ გამარჯვებაში დიდი წილი მიუძღვის კობალას. ეს უკანასკნელი გარდასახული სახით მონაწილეობს ბრძოლაში. ამაზე თვითონ სახალხო მოქმედიც მიუთითებს ვაც-ვერძის გამოჩენის გამო: „ეგ ვაც-ვერძ არა ყოფილან, კობალა იყო ხმლიანი“. ლექსი კონტამინირებულია.

ფშავში გურ. ბარნოვს კობალას შესახებ თქმულება და ლექსიც ჩაუწერია (მთქმ. ბიჭური (გიორგი) ჰრელას ძე ბადრიშვილი), სოფ. შუაფხო, ფ. არქ. X₂, გვ. 67—71, 1956 წ.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კობალას მაცქიობა, მისი გარეგნული სახის ცვლა ხან კეთილშობილ ნადირად, ხან კიდევ ადამიანად, მწყემსად. ღვთაებათა მსგავსი გარდაქმნები, მეტამორფოზა, დამახასიათებელია უძველესი მითოლოგიისათვის. კობალას, აგრეთვე სხვა მითოლოგიური პერსონაჟების, ეს თვისება ამ სახის შექმნის ძალიან შორეულ ისტორიაზე მიუთითებს; იგი მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

83. კობალავ, მშვენიერო

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ხევსურეთი, H 2025, გვ. 37, შან. № 544. არსებობს სხვა ვარიანტი „აკაკის კრებულში“ 1900 წელს გამოქვეყნებული:

ა

კობალას მშვილდო მშვენვარო, გოზა-წითლო, ფართოო,
 რა ლამაზ სასინჯაეი ხარ, ბორბალს რომ დაემართოვო!
 წინ კი ვერავინ დაგიდგა, რახან ლახტ მიმართოვო.

(აკაკის კრებული, 1900, № 1).

კოპალას ეპითეტია „მშვენიერი“; მას მშვილდ-ისარსაც უძებნენ, რაკი თავისი საყმოს, მრეგლის, მახვეწართა სასარგებლოდ იყენებს. კოპალას დღესასწაულს ან ხატობას ფშავში ივლიას ბოლოს (28 მკათათვეს) იხდიან. ხევესურებს კოპალას ნიშები გუროსა და კარატეში აქვთ, ფშავლებს — ციხეგორსა და მალაროს, თიანელებს — იხინჭის მთაზე. ხატობა საერთოდ მიღებული ცერემონიალით იმართება, „შესაწირ-მოსაკითხავთა გარდა მოსალოცად მოსულნი მართავენ „ხატიონის ფერხულს“, რადგან სწამთ, თუ მახვეწარმა არ იცეკვა, ხატი არ შეიწყალებს. ეწყობა აგრეთვე დოღი, თოფოსნობა, წაწლობა. თვითელი მათგანი რიტუალთანა დაკავშირებული და სადღესასწაულო ჩვეულებათა გაფურჩენის კლასიკურ პერიოდში უკლებლივ სრულდებოდა. ბოლო ხანებში წესჩვეულებრიობა თანდათან „შესუსტდა, დაიშალა და იშვიათობად იქცა. ამიტომ ზემოთ დასახელებულ ჩვეულებებს ყველა სალოცავში როდილა შეხვდებით. ასე, მაგალითად, თოფოსნობა ჩიქოსა და ყვარაში შემორჩა, დოღი—უბილაურთასა, აფხუშოსა და მათურაში (ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 194). 1961 წელს ჩვენ იხინჭობას დავესწარით, იქ დოღსა და თოფოსნობას ადგილი აღარ ჰქონია.

ხევესურეთში კოპალას დიდ პატივს სცემენ. ამის მიზეზი ისაა, რომ წარმართული რწმენის მიხედვით ამ გმირს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს ავ და ბოროტ სულებთან. ასეთი სულების სამყაროს მიეკუთვნებიან ალები, ქაჯები, მაჭლაჯუნები, დევეები, მაცილები, ეშმაკები, რომელთა დედას, მეთაურს, მეუფეს, დევთ-დედა წარმოადგენს. კოპალას, თავის მოძმე იახსართან ერთად, დევეებთან დაუსრულებელი ომი და ჭიდილი აქვს. კოპალასა და იახსარის დევეებთან ბრძოლა ღმერთთან მებრძოლობის უძველესი მოტივის თავისებურ გამოხატულებასაც გვიჩვენებს; დევეები უძველესი მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით აღმოსავლეთის უძლიერეს კეთილდეთაგებებს წარმოადგენდნენ და მხოლოდ შემდეგ გადაიქცნენ ბოროტ სულებად, როცა მათ წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებები ჩაატარეს, ე. წ. ანტიდევეური კანონები გამოსცეს.

84. კოპალამ კარაბიონმა

მთქმელი ყუღია ვიას ძე კინჭარაული. ს. კაწალხევი. ფშავი. ჩამწ. დ. გოგოჭური, 10. X. 1964 წ. ფ. არქ.

ლექსის შინაარსი ნაკლებ გასაგები იქნება თუ იმ ლეგენდას არ გავითვალისწინებთ, რომელიც კოპალას დევეებთან ბრძოლის ისტორიას გადმოგვცემს. ჩანს, ძველად ნავთს („ნავთის წყალს“) ქვის ქოთნებით ინახავდნენ მთაში. ამ „წყლით“ აჩენდნენ ცეცხლს და დევეებიც იმით დაუწყვიათო, შენიშნავს მთქმელი. ნავთიანი ქოთნების მოპოვება

კოპალას ერთ-ერთ გმირობას წარმოადგენს. აქ კოპალა ნაეთის მომ-
გონაღმომჩენლადაც ხომ არ იგულისხმება? ეს საკითხი შემოწმებას
მოითხოვს. ამჟამად სათანადო მასალები არ მოიპოვება.

85. კოპალა კარაბიონი

მთქმელი ხეთისო ბოიგარისძე რკინული, 43 წლის, დაწყებითი
განათლების მქონე, ს. ფუძნარი, ფშავი, დუშეთის რაიონი, 1969 წ.
28 ოქტომბერი, ჩამწ. დ. გოგოჭური. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ.
ისტ. ინსტიტუტის 1969 წლის ფშავის ექსპედიციის მასალებიდან (ფ.
არქ.).

86. გმირი კოპალაო

მთქმ. ყუღია გიას ძე ჭინჭარაული, 64 წლის, ს. კაწალხევი, ფშავი.
ჩამწ. დ. გოგოჭური. 1961 წლის 10 ოქტ. მაღაროსკარი. ხევსურ. ექსპ.
ფ. არქ.

ლექსი საწესო ხასიათისაა და გამოიყენება გარკვეული შემთხვე-
ვისას. ერთსა და იმავე დროს ლექსი წყევლასაც წარმოადგენს და
ლოცვასაც. ლოცულობენ კოპალაზე, სწყველიან კი მავნე სულებს,
კერძოდ, დევებს. წარმოითქმოდა ძილის წინ, მსგავსად ქრისტიანული
ლოცვებისა. ხევსური მთქმელი სწორად განმარტავს მაგიური ფორმუ-
ლის ტრადიციულ დანიშნულებას: „ამას მაშინ იტყოდეს ღამით თუ
დევ-კერპნ მეჩვენებოდეს. როცა ამას იტყოდა, მემრ ცით ქარ მავი-
დოდ, თან ცეცხლის ბურჯღუმნ მახყვებოდესა, დევ დაიწვებო, გაქ-
რებო“. ამგვარი პასპორტი ნაწარმოების სარწმუნეობრივ ფუნქციას
ზუსტად განსაზღვრავს, მაგრამ არაფერს გვანიშნებს ტექსტის პოე-
ტურ მხარეზე. მხატვრული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს კოპა-
ლას მუღიმვი ეპიტეტები: „გმირი“, „ლალი“, „ლახტიანი“, რომელთა
თაობაზე კრებულის შესავალ ნაწილშია საუბარი.

87. გმირი კოპალა

მთქმ. უიუაშვილი ვლადიმერ ვანეს ძე, სოფ. ხორხი, ფშავი, დუ-
შეთის რ. ჩამწ. ფილოლოგ. მეცნ. კანდიდატი პოეტი ნოდარ შამანაძე,
1969 წლის ნოემბერი. ფ. არქ. 1969 წლის ფშავის სამეცნიერო-ფოლ-
კლორული ექსპედიციის (ხელმძღ. მ. ჩიქოვანი) მასალებიდან.

კოპალა აქაც დევების წინააღმდეგ მებრძოლ გმირადაა დასახუ-
ლი. მითოლოგიური პერსონაჟი რეალური ადამიანის თვისებების მატა-
რებელია, მას ცხენიც შესაფერისი ჰყავს. ბედუურის ქროლვა გოგმანს
ჰგავს; მიმზიდველი და წარბეჭი სვლა იცის. ღვთისნასახის სალაშქ-

როდ გამგზავრება ტრადიციული სახეებითაა გადმოცემული, რაც ხალხურ მგოსანს იდეალად დაუსახავს: ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო... დიახ, ასეა ამ შემთხვევაშიც: „გმირი კოპალა ცხენზე ზის, მიღს და მიუხარია“.

88. ხატის ლეკი

მთქმ. გოგოჭური ბერდება, 90 წლის. ს. გიორგიწმინდა.

ჩამწ. ლ. გუნთაიშვილი, 1963 წ. თბილისის სახ. უნივ. ფოლკლორული არქივი (თსუფა), №1051.

ლექი ნარევი, მასში სხვადასხვა მხრიდან მომდინარე მუხლებია შერწყმული. საინტერესოა, რომ ამგვარ ნაწარმოებთა ჩაწერა შესაძლებელია ჩვენს დროშიც.

89. დევიბის მელანია

მთქმ. დ. მქედლური, ს. მიგრიაულთა, ფშავი. ჩამწ. გ. თურმანაული. 1964 წ. ფ. არქ. ხ—203. კოპალას ქვის მოტაცების შესახებ სხვაგვარი გადმოცემაც არსებობს ფშავში. ამ თქმულების მიხედვით ქვა ციხეგორის ხატიდან წამოუღია დევ-დედაბერ მელანიას. გამოუდგა თურმე კოპალა და ქვა იქ დააგდებინა, სადაც ახლა ძევის არაგვის მარჯვენა ნაპირას, კოპალას სალოცავთან. ღვთისშვილს თითქოს ამაზე ლექსიც უთქვამს.

(თქმულება-გადმოცემები კოპალაზე: ხალხური სიბრძნე. ტ. III, ელ. ვირსალაძის რედ., 1964 წ.; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, მ. ჩიქოვანის რედ., 1964 წ.).

ქვის მოტაცებლად ქალ-დევის ასახელებს მუქუელი 82 წლის საღირა ნადირაშვილიც. ქვა სკამი ყოფილა, უმისოდ უამს ვერ სწირავდა თურმე ბერი კოპალა. წმინდა ბერებს რომ ხელი შეუშლოდა, ამისთვის მოუტაცნია ეს ქვა-სკამი დევის, მაგრამ შორს მიინც ვერ წაუღია, კოპალა მალე დასწევია: კოპალასა და იახსარის ნახოც დევთა ნასახლარებს დღესაც კართანასთან აგულეებენ ფშავლები. ნასახლარები კიდობნის ოდენა ქვებითაა ნაშენებით.

კოპალას თავგადასავალი მრავალ საკვირველ ლეგენდაში იჩენს თავს. ჩვენ აქ ისეთ გადმოცემებს მოვიყვანთ, რომლებიც ნაკლებ ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში და ახალი ჩაწერილაც არის.

ხუთ ძმა-დევის უცხოვრია ხევსურეთში. ისინი მქედლები და მოსამართლეები ყოფილან. დანარჩენი დევები კართანასთან ფშავში მდგარან. იქაურ ციხეებში უცხოვრიათ. ხოშარას, ვერხველშიც მდგარან წყეული დევები. ციხეგორის დევებს კოპალა მიხდომია და უთქვამს: ეს გორი მე მინდაო. დევებმა მოახსენეს: თუ გმირი ხარ, დაგი-

შობთ, თუ არა და არაო. გადმოუღეს ცული და გრდემლი, ეგ დაანა-
ფოტეო. კოპალას შემოუტარავს და დაუნაფოტებია რკინის კუნძი, ამის
მნახველ დევებს მოსწონებიათ კოპალას ძლიერება და ფერ-ფურმა გა-
დაუარათ თურმე. კოპალას ქვა დევებს ჰქონიათ სკამად ციხეგორს.
იქ დაჯდებოდნენ და საპართალს იზამდნენ. ქვის სკამი ჰქონდათ. აბა
იმათ ხის სკამი რას გაუძლებდაო, შენიშნავს 80 წლის მოხუცი კრე-
ლა კოჭლიშვილი (სოფ. უძილაურთა).

იჯილდავეს. ირემთკალოზე შეჯიბრებულან დევები და კოპალა
ქვის სროლაში. ავიდენ მთაზე. ციხეგორის დევებმა სხვა დევებიც მო-
წვიეს ხაშრიდან, ვერხველიდან, კართანიდან. ფალავანი უნდა ამო-
არჩიონ თურმე და ის შეაჯიბრონ კოპალას. 'შახდა კოპალაც ირემთ
კალოზე. იქ იცდის, საკელფულო დელეში. აჩნდნენ დევებაც. როცა
დევები მიდიოდნენ მუხლამდე მიწას ამაპყრიდნენ, ისე მიარღვევდნენ
გზას, ძლიერები იყვნენ. შავშინდიო, უთქვამს კოპალას მერე. მიწაა
მაპყვალავდენ როგორც თოვლიო. მე ღვითთ მქონდა ძალა, თორემ იმ
დევებს რას ვაჯობებდიო.

მოიტანეს ორი დიდი ქვა: ვინც უფრო შორს გადააგდებს ამ ქვეს,
ციხეგორი იმისი იქნებაო. გაუსროლიათ თავ-დაცერებით. დევებმა იქ,
სადაც ქვები უნდა დაეცეს, ქაჭები დააყენეს თურმე, რომ თუ კოპალა
დევებზე შორს გაისროდა, მაშინ დევების ნასროლი ქვა ქაჭებს კოპა-
ლას ქვაზე შორს უნდა გაეტანათ, გაეგორებინათ. მართლაც, კოპალამ
უფრო შორს გადააგდო ქვა, ვიდრე დევთ ფალავანმა. დაინახეს თუ
არა ქაჭებმა, დაიწყეს დევის ნასროლი ქვის გადაგორება. მაგრამ დე-
ვის ნასროლი ქვა კოპალას ქვას ზემოდან მისდებია და ველარ გადაუ-
ცილებიათ, ისე დარჩენილა. ახლაც ისეა ის ქვები ერთმანეთზე მიწყო-
ბილი! კოპალამ ლოდი უფრო შორს გასტყორცნა და გაიმარჯვა. ამის
შემდეგ ციხეგორი მას დარჩა, იქაური დევები კი კართანას ჩასულან
ჩარგლის ხიდთან, ნათესავეები ჰყოლიათ.

მერე ამდგარა ერთი ღონიერი დევი და ციხეგორს წამოსულა კო-
პალას ქვის მოსაპარავად. წაულია კიდევ, მაგრამ იახსარს მოუტარავს
თვალი. კოპალავ, ქვა მოგპარესო, უთქვამს. მაშინ კოპალა და იახსარი
ისრივ ხორციელადა ყოფილან. დევს ქვა წყალ და წყალ წამაუღია.
კოპალა გამასდგომია, დასწევია და ლახტი დაუტარავს. მერე ხორციელთ
ის ქვა ზემოთ ამოუტანიათ, სადაც კოპალას სალოცავია და ხალხი
მიღის.

დევის ძმა ავთანდილი სანადიროთ იყო ამ დროს წასული. როცა
ლახტის ხმა გაიგონა, იფიქრა, ნამდვილათ ჩემი ძმა ან ნათესავი მოკ-
ლესო. ცალმხარზე ველის მხეცი (ირემი) სდებია, მეორეზე წიფელა.

გახოშა წიფელი და ესროლა კოპალას. წიფელი წვერით დაესო. კოპალამ ავთანდილსაც ლახტი დასცა და მოკლა. მაშინ დევი გამოქანებულა და მთელი ტყე წამოჟღია, დიდი რუვი გაუტეებია და არაგვში ჩახერგია. ღვთის მადლით დევი ქვათ ქცეულა, ეს ქვა კი ახლაც ჩანს გზიდან ავთანდილის საქანთან არაგვშიო.

წამოსულა კოპალა და კართანას მოსულა, სადაც დევები ცხოვრობდნენ. დევებმა მწესავით ქალი შემოაგებეს; ნუ დაგვბოც, ეს ქალი შენ გყავდესო. დედებერი თურმე ჯარას ართავდა, ძაფსა სძახდა. როცა ჯარას აბრუნებდა, სულ გაღმა-გამომმა ტყე ხვიადა. კოპალას დევების ხოცვაში იახსარი და ლაშარიც შევლოდნენ.

ქარი იყო და ხვიადა. ფოთოლი ჩამოდიოდა.

მშვილდ-ქაიბური ბერისა (კოპალასი), ქულიუზება (მთა) ცვიოდა.

ხაზარშიც ჩასულან კოპალა და იახსარი, იქაც უხოციათ დევები.

ბარ და ბელელა ჩახოცა, მუსასაც გული სტკიოდა,

ხაზრულა (მდინარე) იმთვენ არ იყო, რაც იმათ სისხლი სდიოდა.

მთქმ. ჭრელა კოკლიშვილი, 80 წლის, სოფ. უძილაურთა, ფშავი-ჩაიშ. გ. თურმანაული, 1964 წ. ფ. არქ. ხ—203.

ფშავში იმასაც მოუთხრობენ, რომ კოპალა ხუთ წელს დევებს ტყვეთ ჰყოლიათ. მერე გაქცეულა და იხინჭის (ჩაბანოს ხევი) ეკლესია აუგია. ლოცვა რომ დაასრულა თურმე, დასძინებია. ქალებს ჯვარი მიუციათ. გაუღვიძია, ხატს როგორც ხეს, ფესვები გაუდგამს. იქვე უღელი ხარც გაჩენილა. წამოსულა ხარები, კოპალაც გამოჰყოლია. ერთი ხარი კართანას დაკარგვია, მეორე ციხეგორს (სოფ. უძილაურთა) გაბნევიდა. მერე მისულა კოპალა დევებთან. რა კარგი სადილი მოგვივიდაო, უთქვამთ დევებს, კოკალიაიო (პატარააო), არაფრად ჩაუგდიათ. კოპალამ უთხრა: ეს ადგილი დამიცალეთო. დევებმა დასცინეს, კარგიო, ვიჯირითოთ ქვებითო. ეგერ ირემთკალოზე მთავარი ქვაა, ის გამოვკრათო. ორშაბათი ყოფილა. მეორე ორშაბათს მოვალო, დაუბარებია კოპალას და წასულა. დევებს მოუტანიათ 29 ლიტრიანი ჯირათი, სიპებულ ჩაუყრიათ ხარის ტყავის ტოლი ქვები.

მოსულა ორშაბათს კოპალა. აუღია ქვა და უთქვამს: ეს რა არის, უფრო დიდი მოიტანეთო, 49 ლიტრიანიო. დევები შეშინებულან და ქაჯები დაუყენებიათ; თუ კოპალამ ქვა გადააცილოს, მიჯნაზე უკან დასწიეთო. აურჩევით დევებს ფალავანი. არა შენ ისროლე პირველად, არა შენაო. კოპალას კვირია დაშველებია და პირველად გაუტყორცნია. დევმა იქამდე ვერ გაჰკრა. კოპალას დაკრათო უთქვამთ დევებს. ერთს მუხა მოუწევია და უსვრია. კოპალა შორს გაფრენილა. დარევია

ლახტით და ერთის გარდა სულ ამოუწყვეტია. ის დევი იასაულად დაუყენებია ბერს და გვერდში ჰყავს, ნადირობს. კართანელ დევს კოპალას ქვა წამოუღია ციხეგორიდან. მსახურ დევს უთქვამს: კოკოლიაო, ქვა წაიღესო. დასწევია კოპალა და დევი მოუკლავს. კართანის დევებსაც სწევევია კოპალა. სამ დღეს მწყემსად დამდგარა, ზვერაუდა თურმე. დევებს კართანასთან არაგვის შგვებებეა დაუწყიათ, რათა სოფლები მოესპოთ. კოპალამ გაუგო და ყველა ამოხოცა.

(მთქმ. იოსებ ბეწუკლიშვილი, 78 წლის, სოფ. გომეწარი. ფ. არქ.).

კოპალას იახსარი უდგა გვერდში. როცა კოპალას საჭირითო ქვა გაუსროლია, იახსარს მათრახის წვერი შამოუკრავს და მეტი ძალა მიუცია, დევების დედა მეტად საშინელი არსება ყოფილა. როცა ჭარას აბრუნებდა, მისი ხმა ცასა სწვდებოდაო.

ჭარასა სძახდა წყეული,
ცას ეყურება ჩქამია.

(მთქმ. მაყვალა ლოსეურაშვილი, 70 წლის, მალაროსკარი, ფშავი. ჩამწ. გიორგი თურმანაული. 1964 ფ. არქ. ხ—203).

სხვა გადმოცემით კოპალა წარმართი ყოფილა. სიზმარი უნახავს: ბრძოლას თავი დდანებეო, უთქვამთ წმინდანებს. მაშინ ბერათ შემდვარა იხინჭაში (თიანეთი). ღმერთს უღელი ხარი მიუცია. თანაც ერთი ხე. ხარები შეუბამს და ხე წაუღია. სადაც ეს ხე მოსწყდეს უღელს, შენი სამუდამო სამყოფიც იქ იყოპო, სადაც ხარები დაიხოცონ—იქ ხანდახან საზყოფელიო. წაუსხამს კოპალას ხარები. პირველი, ხატი რომაა სოფელ უძილაურთას, იქ მოსწყვეტია ხე უღელს, მერე კიდევ გაურეკია ხარები და ციხეგორს დაზოცილან. ამ ციხეგორს დევები ყოფილან და კოპალას ისინი გაუდევნია.

ფშავში ახლაც კარგად ახსოვთ ლექსი კოპალაზე: „შაიყრებიან დევები საცა დიდ მოედანია“. კრელა კოქლიშვილის თქმით ჩაწერილი ტექსტი (ფ. არქ.). არაფრით არ განსხვავდება წინა ჩანაწერების თუ აქვე წარმოდგენილ ვარიანტებისაგან. ამ ლექსის ერთი ნაწყვეტი პირქუშის ლექსთანაც არის შეხორცებული დ. თურმანაულის ნაამბობში.

90. არ გეშინია კოპალა

ჩამწ. ვ. ბარდაველიძე, ს. დოქუ, მთათუშეთი, მასალ., I, 47. იქვე, სქოლიო. მეორე სტროფი ნაწყვეტია ლექსისა „კოპალა“ (აქვე, № 81).

იბეკლება H 1999 ბ/გ-ის მიხედვით.

ლექსი ფშაური ჩამომავლობისაა. ამას ადასტურებს შემკრების განმარტებანი:

ბერი—ბერს ფშავლები კობალს ეძახიან.

მუზა—დევის სახელია.

ბელელა—დევის ცოლის სახელია. ხალხის გადმოცემით, მუზასა და იმის ცოლს ბელელას უცხოვრიათ ზოშარის ხეობაში, ბელელთანაში, სადაც სახლისა და ციხის ნანგრევები ეხლაც მოჩანს (H 1999 ბ).

92. იახსარი და კოპალა

მთქმ. ზოშარაული იმედა ახალას ძე, 61 წლის, სოფ. ზოშარა, ფშავი. ჩამწ. ნ. შამანაძე, 1964 წ. ფ. არქ. ფ—204.

ბერების სახით იახსარისა და კოპალას წარმოდგენა ლეგენდარული ხასიათისაა. იგი შეიძლება წარმომობილიყო იმ რწმენის საფუძველზე, რომლითაც ივარაუდება ხეთისშვილთა ადამიანებთან სიახლოვე, ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობა და ლაშქრობისას გვერდში დგომა, მსგავსად ჰომეროსის პოემის ლეთაებებისა.

93. ში გეხვეწები იაკსარსაო

მთქმ. ლელა სულხანის ასული წიკლაური-ბალიაურისა, სოფ. ახიელი, ხევსურეთი, ჩამწ. თ. ოჩიაური, 1944 წ. (თ. ოჩიაური, ქართ. უძვ. სარწმ., გვ. 43).

ნაქადაგარი ლექსი, რომელსაც მეენე-მოქადაგე წარმოსთქვამს ხაზმატის სამძივარის სახელით კობალას გულის მოსაგებად. ასეთ შემთხვევაში ივთლისხმება, რომ ხატი—კობალე გამწყრალია და ადამიანებთან შესარიგებლად საჭიროა შუამავალთა ჩარევა, შუაჯაცობა, ელჩობა. შუამავლობის გაწევა მხოლოდ გამწყრალი ხატ-ჯვრის კეთილ მეზობელს, მოძმე ხატ-ჯვარს შეეძლო. როგორც სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გარკვეულია, ამ ფუნქციას ჩვეულებრივ სამძივარი ასრულებდა. ეს უკანასკნელი იმავე ხაზმატის ჯვრის გიორგი ნაღვარმშვენიერის მოდე იყო. ხალხის რწმენით, ტკბილბმანი, კოხტა და ლამაზი; სამძივარი წარმომობით ქაჯის ქალი იყო და ყელზე ღილს ატარებდაო. აქედან მისი ეპითეტი: ყელლილანი. სამძივარი გულმოდგინედ ცდილობდა გამწყრალი ღვთისშვილის (ამ შემთხვევაში იახსარი) გული მოეღბო და შეერიგებინა მის ამლიარებულ ადამიანებთან, „ხორციელებთან“. ხეწნის დროს ხატი ზოგჯერ შუამავალსაც გაუჯავრდე-

ბოდა ხოლმე, მაგრამ ამას კეთილი ელჩი არას დაუდევდა და სათხოვარს კვლავ გაუმეორებდა (შეადრ. დიალოგი ამ ლექსში).

94. იაკსარი

ჩამწ. გიგაური აბა აფშინას ძე. ხ ე ვ ს უ რ ი, სოფ. ბლოდან ჩამოსახლებული, ივრის ხეობის სოფ. ფიჭვიანში. თანამშრომლობდა ა. შანიძესთან ხევსურეთში მოგზაურობის დროს 1913 წლის აგვისტოში (წმნ. № 542).

ეს ლექსი სხვადასხვა ვარიანტების სახით ფართოდაა გავრცელებული ხევსურეთსა, ფშავსა თუ თუშეთში, კახეთში. კონტამინირებულია. მისი ნაწილები ზოგან ფრაგმენტების, უკეთ დამოუკიდებელი ლექსების სახით გვხვდება. ხევსურები ამგვარ საგმირო-მითოლოგიურ ლექსებს „სიმღერეს“ უწოდებენ. იახსარის სახელობაზე ყოველწლიურად ხატობა იმართებოდა. არსებობს რამდენიმე აღწერა დღეობისა ამ ლექსის გამომქვეყნებელსა და კომენტატორს ა. შანიძესაც მოეპოვება იახსრობის აღწერა. გავეცნოთ მას, როგორც რევოლუციამდელი ჩვეულების დამახასიათებელ მაგალითს. „იაქსარი სალოცავია როგორც ხევსურებისა, ისე ფშავლებისა. იაქსრობა, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდება, უმთავრესად შუაფხოში იციან. მე დავეწიარ ამ დღესასწაულს 1911 წ. შუაფხოში. დაიწყო 7 ივლისს, ხუთშაბათს, ხატს თავისი მამულები ჰქონდა ბარში, რომელსაც ფშავლები ხნავდნენ და ღვინოც მოჰყავდათ. იმ დროსთვის მოეტანათ ხატის მამულიდან ერთი საპალნე ღვინო (საპალნე ფშავში 31 ჩაფია). ქვევრი, რომელიც ერთ საპალნეს იტევსო, კლდეშია ამოჭრილი და ხატობამდე ხელუხლებელიაო, მითხრეს. წინაღ საშობაოდაც მოჰქონდათ ღვინო, ახლა კი არაო, დასძინეს. მეორე დღეს, შუაფხოშივე, საყვენო ღვინოს სვამდენ; აავსებდენ დიდ თასს ღვინით, ჩააგდებდენ შიგ ფულს, ვისაც რამდენი უნდოდა, ადღეგრძელებდა ვისმე ან სულს მოიხსენებდა იმისას, ვინც უნდოდა და შემდეგ დაეწაფებოდა ღვინოს. ზოგი ცოტას მოსვამდა, ზოგი კი, ვისაც შეეძლო, სულ შესვამდა. ხელშიც კი არ აიღებდა ზოგიერთი: დასწვდებოდა მიწაზე, ჩარგავდა თასში სახეს და ისე სვამდა. თანაც ამ დღეს ღაბაზი დადგეს და ვისაც თოფი და პატრონა ჰქონდა, ესროდა. ზოგმა მოარტყა ღაბაზს. შედეგად ერთმა მანეთი აიღო, ერთმა კი ქალმან-წინდა. მეორე დღეს ცხრა ივლისს, შუადღემდი ხალხი იქვე შეექცეოდა სმა-ჰამას და ქეიფს. ნაშუადღევს კი გაემართა მარცხენა კარატისაკენ (რომელიც არაგვის მარცხენა მხარეს იმყოფება, მთაზე). იქ ორი დაბალი სამრეკლოა, რომლებიც ძროხებს თავის ბინად გაეხადათ. ხალხი ბლომად იყო მოგროვილი. დააბეს

ფერხული (ფერკისა). ესროდენ ღაბახსაც. ვერავინ მოარტყა. შემდეგ ხალხმა ერთად მოიყარა თავი, შუაზე დაასვენეს იაქსრის ხატი, გამართეს ფერკისა და ცეკვა-თამაში. რომ ითამაშებდენ, შემდეგ იაქსრის სასარგებლოდ ვერცხლის თასში ფულს აგდებდენ. ამნაირად შეგროვდა 15 მან. 50 კ. ამ ფულს ეძახდენ შაბაშის ფულს. შაბაშის ფულს, ისე როგორც საკლავების შემოსავალს, სამ ნაწილად ყოფენო: ერთი ჯევისბრისაა, მეორე მღვდელ-დიაკვნისა და მესამეც ეკლესიისაო. შაბაშის ფულს და საყუენოს ყველგან კრეფენ ხატობაშიო, მითხრეს.

ერთი ნიში იაქსრისა ერწოვლ ხევსურებსაც აქვთ ტოლათ-სოფელში“ (შან. გვ. 575).

იაქსარი როგორც ღვთისშვილი მრავალ საჯმირო საქმეს ჩადის. მისი უპირველესი მოვალეობა დევებთან ბრძოლაა. თუ იახსარი უფრო ხევსურეთშია შემონახული, კოპალა ფშაველთა წარმოდგენაში დგას მისებრ მტკიცედ. ლექსები ორივე მხარეში ბლომადაა ჩაწერილი. კოპალასა და იაქსარის მსგავსი პოეტიზებული მითოლოგიური სახეება ქართულ მითოლოგიაში არც თუ ბევრი გვხვდება. ამის გამო აქ შენიშვნებში მთლიანი სახით წარმოვადგენთ ყველა ძველსა და ახალ ჩანაწერს, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება და აღრიცხული გვაქვს.

ბარისახოელ ხევსურ გიგია გიორგის ძე ჭინჭარაულს 1930 წელს თუ მის წინ ჩაუწერია ვარიანტი, რომელსაც შემდეგი სახე აქვს.

ა

ხთის კარზედ შავიყარენით ხთიშვილნი ყველა მქრისაო.

გარმადგეს სასწორ-ჩარეჭი; „კვირავ, დაუგი თვალიო“!

ეუბნებოდეს ერთუცსა: „აიტანს იაქსარიო“.

გარდაქედ, ღმერთსა შავსთხოვე: „ღმერთო, შენგან მაქვ ძალიო“,

5 მაშიავ მორიგემ ღმერთმა გარმამიმეტა სამიო.

აესწიე სასწორ-ჩარეჭსა, ძირს გავადინე ქარიო.

შაიყრებოდის დეეები, საცა დიდ მიედანიო.

გაარიგებენ იმასა: „ერთუცს უჭირათ მქარიო,

ხთიშვილთ მაუკლათ კოპალა, თავშიგ დაუცნათ ქვანიო“.

10 ეგ რო გაიგეს ხთიშვილთა, წალალეს იაქსარიო,

დეეებს ხქონიყვა ქორწილი, ეჩქეიფა სიმურ წყალიო.

ცხრა-თავ ხყოლიყო დედაი, ცხრათ შვილთ გამზდელი ქალიო.

თავს ედგა სალუდე ქობი, მე იმან შამდვა ზარიო.

მაველი-დ' იმას ამბობენ: „რას იქამს იაქსარიო?!“

15 დამცხვენდა, ისევ დავბრუნდი, გამაუცვალე ეამიო.

საკმისკრით ლახტი ჩავღრიე, ზედ გამავხურე ბანიო.

გამამივარდის ერთაი, რომენიც ძალიანიო.

საგმირო გამაეიმადლე, კლდეს მამიტოლა ტანიო.

კლდე ოთხად დავანაფოტე, დეეს წამავსთხარე თვალიო.

- 20 კარგად სცოდნიყვენს ვოქერსა აბულელაურ ტბანიო.
 დევი ჩავიდა შორეუში, მე ჩახეყე იაკსარიო.
 ჩაველა-დ' ველარ აშავედ,—სისხლზღედ ჩამებნენ მქარნიო.
 ოთხს წელს იძიეს ჩემ უმათა ოთხბქა, ოთხური ცხეარიო.
 მაიყვანეს და დამაყლეს: „იაქსარო, აქსნენ მქარნიო“.
- 25 შამაყედ ბროლის ქვაზედა, შამაიქუქუქენ თბენიო.
 ჩახეზენ ჩემსა ნაჭდომსა, იყვენს წითელნი ქვანიო.
 აქით რომ კარატემდინა თოკე-შიბი გასაყალიო,
 მე ვგრე გავიარიდი, ვერ მაპიდიან თელიო.
 დივის გორ ციხეს აგებენ დევები ცხრანი ძმანიო.
- 30 ეზიდებიან ერთ ქვასა, — „უნდ დავდვათ კარის თაეიო“.
 ავსწი, ავილი მარტომა, დაუდევ კარის თაეიო.
 ერთმანეთს ეუბნებიან:“ ეს ჩვენზედ ძალიანიო“.

* * *

პირდაპირ ჩამამდგომიყვა თამარი დედუფალიო.
 ქელშიგ ეჭირა მათრაქი შვიდ-კეცი შვილი მქარიო.

* * *

- 35 ამაგის მალექსებელი ალვანში თუშის ქალიო.
 სალექსოდ გამამიგზავენეთ კვამლის შიშავი ცხეარიო.

(შან. 542 ბ)

როგორც ძირითად ტექსტში, ისე ამ ვარიანტში მათქვამად, მალექსებლად მიჩნეულია ალვანელი თუშის ქალი. ასეთი მითითება ლექსის ორგანიულ ნაწილს არ წარმოადგენს, იგი საერთო კლიშეს შეადგენს და სხვა ქანრის ნიმუშებშიც იჩენს თავს. ცხადია, იახსარისა და კოპალას ლექსები არაა თუშის ქალის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი.

„იაქსარის“ სახელწოდებით ერთი ტექსტი მოიპოვება თ. რაზიკაშვილის შეკრებილ ხევსურულ ლექსებში, მთქმელი გიორგი ხიმიკაური, ხოლო ჩაწერის ადგილი აღნიშნული არ არის (H 2035, გვ. 37).

ხევსურული მითოლოგიური პოეზიის თანამედროვე ვითარების გასათვალისწინებლად წარმოვადგენთ სულ უახლოეს ჩანაწერს, რომელიც ჩვენს მიერ სოფელ ხახმატში იქნა შესრულებული.

ბ

იახსარი

- ხთის კარზე შაეიყარენით ხთისა ნაბადნი ცხრანიო.
 სამოცდასამი ხთისშვილი, შვიდ რივად დასხდა ჯარიო.
 გამადგეს სასწორ-ჩარექი²—კეირავ, მ დაუბი თელიო.
 მიდიან, ეზიდებიან, ვინც უფრო ძალიანიო.
- 5 მაგას ვერაეინ ვერ ასწევს, თუ ასწევს იახსარიო.
 მე რომ წამოდექ სკამითა,⁴ ღმერთო შენგანა ძალიო.
 კეირავს ორი მავსთხოვეუ, გარამამიშეტა სამიო.

- ას-ლიტრიანსა სინასან ძირში გაუგლი ქარიო⁷.
წალაღეს ჯაქმატის ჯუარი, დევებს მაველი თვალიო.
10 მოვიდა შაშინებული, დევთ შამეედვა ზარიო⁸.
თავს ეცვა სალუდე ქვაბი, იმით შამამდვა ზარიო.
საკვამით⁹ ლახტი ჩავლრიე, ზე გამავეხურე ტანიო.
ერთ კიდე დამჩა ცოცხალი, კლდეს მამიტოლა ბანიო.
კლდე ოთხათ გავახეთქიე, დევს წამოვსთხარე თვალიო.
15 კარგა სცოდნიყო ოხერსა აბუდელაურთ ტბანიო¹⁰.
ჩავიდა დევის პატრუქი,¹¹ თან ჩავყეე იახსარიო.
ჩავედ და ველარ ამოვედ, სისხლმა დამიბნა მხარნიო.
ეხლა იკვლიან ჩემ ყმათა ექვსრქა¹², ექვსურა ცხვარიო.
წითელაურთას მოქელვენ, ღმერთო, უმრაველე ცხვარიო.
20 მიიყვანეს და ჩამაკლეს, მიაც ავიხსენ მხარნიო.
შამავეჩე ბროლიანს ქვასა, ტრედნ შამავებერტყენ მხარნიო.¹³
ჩაეხედენ ჩემსა ნაქდომსა, კრელ მომრჩალიყვენს ქვანიო.

(მთქმ. გიგია ხირჩლას ძე ალუდაური. ს. ხახმატი, ხევსურეთი, 48 წლის, ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი. 5.X.1964, ხევსურეთის ფოლკლორ. ექსპედიცია. ფ. არქ. ხ—192).

აქ საჭიროა ზოგი სიტყვის განმარტება.¹ ნაბადნი-გაჩენილი, დაბადებული². სასწორო-ჩარექი—სასწორომ³; კვირაე—ხატი⁴. სყამიდან⁵. მავსთხოვე—ორმაგი ძალაო⁶. სინა—ლითონი, სინი⁷, ქარიო—აფწიე, ქვეშ ქარი გაუტარეო⁸, ზარიო—შემზარა, შემაშინაო⁹. საკვამით—საკვამილიდან¹⁰. ქაუხების მახლობლად არის, უძირაო¹¹. პატრუქი — ტანი¹². ექვსრქა — ექვს რქიანი და ექვს ყურიანი ცხვარი. ასეთი იბადება, მაგრამ იშვიათად, განმარტეს ხევსურმა და ფშაველმა მთქმელებმა. უფრო ხშირად ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი ჩნდება. აქაც მრავალყურიანობა ძნელად დასადსტურებელია¹³ მხარნიო—მტრედის სახით ამოვიდა წყლიდან.

არხოტიონმა ბერდია წიკლაურმა, სოფ. მლაშეში ჩამოსახლებულმა, 13.X. 1964 წ. იახსარის სიმღერის განსხვავებული ტექსტი ჩამაწერია. უკანასკნელს აკლია პირველი ნაწილი, ამბავი პირდაპირ დევებთან ბრძოლით იწყება და იახსარის ტბაში ჩარჩენის ეპიზოდს გვაცნობს საზგასმით.

ბ

- ხთის კარზე შავიყარენით ხთის ნაბადნი ცხრანია,
ბრძოლაში წინვე დაგვიდგა, ჩვენ გვკობდა იახსარია.
ამოსწყვიტენით დეეები, — ხთისგან მიიღო ძალია.
მაგრი ერთ დევი გავვექცა, შორს გაგვიკაფნა გზანია.
5 მაინც უვნებლად წავიდა, ლოდს მათფარა თავია.
ლოდიც ხო დაახეთქია, დევს გამოსთხარა თვალია.
ცალთვალსაც კარგად სცოდნიყო აბუდელაურთ ტბანია.
წავიდა, შიგ ჩაგვივარდა, თან ჩაჰყვა იახსარია.

ჩახყვა და ვერ ამოვიდა, სისხლმა დაუბნა მხარია.

- 10 ვინც რო დავრჩით, ვიკვლიეთ ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.
მივედით, ტბას ჩაეკალით,—დავიხსნათ იახსარია!
შამაქდა ბროლის ქვაზედა, შამაიბერტუნა მხარია.

შტქმ. ბერდია წიკლაური, არხოტიონი. სოფ. მლაშე. ბაზალეთთან. ჩამწ.
მ. ჩიქოვანი, 13. X. 1964. ფ. არქ. ხ—192.

ტექსტის ჩაწერის დროს ყურადღება „ოთხრქა, ოთხყურა ცხვარ-
მა“ მიიქცია განსაკუთრებით. რას ნიშნავს ამგვარი გამოთქმა? მხატვ-
რული აქსესუარია თუ სხვა რამ? სხვადასხვა ადგილას გამოკითხვამ
დაადასტურა, რომ ოთხრქა ცხვარი არაიშვიათად იბადება თურმე ფა-
რაში. ბერდიამ მითხრა, მეც მყავდაო. ეს აზრი ჩემმა მლაშელმა გამ-
ყოლმა ალექსი ციხკარაულმაც დაადასტურა: „ჩვენ გვყავს ახლა ასეთი
ვერძიო“. ოთხრქა—ცხვარი ხშირად უნაბავთ, მაგრამ ოთხყურა ნაკლებ-
ბად. ზოგჯერ ვარიანტებში ექვსყურა, ექვსრქაც იხსენება. ამნაირი
ცხვრები მეტად ძნელი მისაგნებია, თუმცა ბიოლოგიურად მათი არსე-
ბობაც დადასტურებულია მეცხვარეთა შორის. მაშასადამე, აღნიშნული
გამოთქმა მხატვრულ ფორმაში გადმოგვეცემს რეალურ ფაქტს, რო-
მელსაც თან ახლავს გაუცხოების გარკვეული ელფერი.

მე-20 საუკ. 30-იან წლებში ჩაწერილი ხევსურული ლექსი „ხთის
კარზე შევიყარენით“ გამოქვეყნებულია გ. თედორაძის წიგნში „ხუთი
წელი ფშავ-ხევსურეთში“ (1939 წ.), იგი საინტერესოა იმიტაც, რომ
ჩაწერილია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში. გა-
ვიცნოთ იგი.

დ

ხთის კარზედ შევიყარენით სამოცდასამი ჯვარია,
ჩამოდგეს საწონ-ჩარქი, კვირავ, დაუგდე თვალია.
ოც ლიტრიანსა სინასა ვერ შაუყარნეს ქარია,
ბოლოსკე მე დაემჯდარიყავ, ყველას ჩემზედ აქეს თვალია!

- 5 ორი შორიგეს მოვთხოვე, გარმოიშვეტა სამია,
გამოვიარე, ავსწიე, ქვეშ გაულიე ქარია.
დევებს ხქონია ქორწილი, უჩქეფავ სისხლის წყალია.
გაიგეს ხეთის ნაბადებთა წალღულე იახსარია,
ცხრათავ ხყვანია დედაი — ცხრათ დამზღელი ქალია.
- 10 საკმისას ლახტი ვესრიე, ზედ გადმოვხურე ბანია.
ერთი სადამ იქ დამემალა, რომელიც თავი არია,
მაგას ლახტი გამოვაყოლე, კლდეს მომიფარა თავია.
კლდე ორად გავახეთქიე; დევს გამოვთხარე თვალია,
კარგად სცოდნია ოხერსა აბუღელაურ ტბანია,
- 15 ცალთვალა ჩავიდა ტბაშიდა, თან ჩაყვეე იახსარია.
ჩავედ და ველარ ამოველ, სისხლმა გამობნა მხარნია.

- კარგა იკვლიეს ჩემ ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარი, მაიკვანეს და დამაკლეს, ღმერთო, დასწერე ჭვარია.
- 20 შამოვდევ ბრძოლის ქვაზედა, შემოვებერტყენ მხარნია, ჩაეხედე ჩემთა ნაჯდომთა, კრელ მომრჩალიყვენე ქვანია, ღმერთო, თუ მაჲ შეძლება, შენავ გამიხსენ მხარნია.

(თღრ. II, 112).

იახსარის ლექსების ცენტრალურ მოტივს დევთან ბრძოლა და ხეთისშვილის ტბაში ჩაყოლა წარმოადგენს, სადაც დევის სისხლმა მას გზა შეუტკრა და დაატყვევა. აქ თავს იჩენს ნახევრად ჯადოსნური თვისების ოთხრქა და ოთხყურა ცხვრის ძეხნის მოტივი. ეს ვითარება განაზღულია როგორც ხევისურულ, ისე დანარჩენი კუთხეების მასალებში. 1935 წელს ს. მაკალათიამ „ხევისურეთში“ მის მიერვე ჩაწერილი ამგვარი ვარიანტი გამოაქვეყნა.

2

- ღვთის კარზე შევიყარენით ღვთის ნაბადები ცხარნია,
 დევთ ხონიყო ქორწილი, ეთქვიბათ სიმურწყალა.
 საკმისას ლახტი შევლირე, ზე გამოვხურე ბანია.
 ერთ დევ კი გამოვარდა, ქვას მიატოლა თავია,
 5 კლდე ოთხად გავანაყიე, დევს ამოეთხარე თვალა.
 კარგა სცოდნიყო ოხერსა აბუღელაურთ ტბანიო.
 დევი ჩავიდა მორეეთა, თან ჩაუყეე მეომარიო.
 ბევრი იკვლიეს ჩემ ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო,
 მოვიდეს, ისიც ჩამოკლეს, კვირავ დასწერე ჭვარიო.
 10 შამოვქვექ ტრედის სახითა, სისხლისა გაებენ მხარიო.
 აქეთ კარატემდინა საშობით გასაეალიო,
 მე აგრე გავიარიდი, ვერ მომკიდიან თვალიო.

(მაკ. ხევს., 240).

ტექსტს ხშირად ემჩნევა მნიშვნელოვანი ცვლილებანი სიტყვებისა და ცნებების გაგების თვალსაზრისით. მაგალითად, „სამურ წყალი“ ზოგიერთთა განმარტებით მდინარეა დაღესტანში „სიმურ-წყლის“ სახელწოდებით (თ. რაზ.) და სხვ.

ნ. მაკალათიას და მ. ბალიაურს 1937 წელს „ხევისურულ დღესასწაულებში“ შეტანილი აქვთ „კოპალას ლექსი“ (დაცულია ხელნაწერის სახით).

3

შაყრილან დევთა შვილები, უქნავის სამართალიო;
 მაძიეს ხთის ნაბადებთა, გაგზავნეს იაქნარიო.
 გადაუხენე საკემითა რა მონა დამდეს ფერია.

- დევეებს ქონიყვა ქორწილი, ეჩქვიფა სიმურ წყალია.
- 5 ცხრათაე ყონიყვა დედაი, ცხრა შვილთა გამამზრდელია.
თავს ეცვა სალუდე ქვაბი, ქვე რაქე საშინელია.
მავედ, ამბობდეს ხთიშვილნი, რას იქაშს იაქსარია!
დამცხენდა, ისევ დაებრუნდი, გამოუცვალე ეამია.
საყვით ლახტ გადავესრიე, ზედ დაეჟკიე ბანია.
- 10 ერთი კი გამამიყარდა, აღარ მიბრუნა თავია;
კლდე ოთხად გავანაყიე, დევს ამოვსთხარე თვალთა.
კარგად სკოდნიყვენეს წყეულ აბულელაურ ტბანთა.
ჩავიდა, შიგ ჩამიყოლა, სისხლში ჩამიბნა მქარნთა.
დიდ ხანს ეძიეს ჩემთ ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.
- 15 მიიყვანეს და ჩამაყლეს, ღმერთო, დასწერე ჭყარია!
ამიშვი, დამბადებელო, შენგან თუ მქონდა ძალია,
შამავეჯექ ბროლის ქვაზედა, შამავეიბერტყენ მქარნთა.
ჩაეხედე ჩემსა ნაჭდომსა, კრელნ მამრჩალიყვენეს ქვანთა.
ღმერთო, შენ მამეც შაძლება, შენავ დამიქვენ მქარნთა.
- 20 იქით კარატეს გამიბი თოკ-შიბით გასაყალია,
მაგაზე ეგეთ გავივლი, ვერვინ მაჰკიდას თვალთა
დიდ გორ შამამიკიდან ჩემი პატარა ზარია.
ხმა დავქკრა, აჯადს მივიდას, პირმ დაიწერან ჭყარია.

ეთნ. არქ. 19. ნიკ. მაკალათია, მელანია ბალიაური, ხევსურეთის
დღესასწაულები. 1937. რვ. № 3, გვ. 160.

იმავე შემკრებთა მასალებში მეორე ლექსსაც ვნახულობთ:

ზ

ხთის კარზე შავიყარენით

- ხთის კარზე შავიყარენით ხთიშვილნი ყველა მქრისათ;
25 გავგიგვიანდა პირქუში, ოსტატი ყაწიმიისათ.
ნელა მავიდა პირქუში, ჩოქს უყრის მუხლის კვრითათო.
შამასწყურა მამათუფალი, მშველელ ვერა ხარ ყმისათ!
—ბარად მავედ, თქვა პირქუშმა, სიო გავწირე მთისათ!
ხთის კარზედ შავიყარენით სამოცდა სამი ხატია.
- 30 გაღმადგეს სასწორ-ჩარექი: კვირაჲ, დაუგდი თვალიო
ამაგას ეზიდებიან ვინ უფრო თავიანთა.
ქვემოთ მე ვზიორ, ბოლოში, ხთიშვილთ ჩემზე აქთ თვალია.
მაგას იაქსარ აიღებს, არაგვის ყარაულია.
ავდე, ავწიე, ავილი: ღმერთო, შენგნივა ძალია!
ოცდათხუბმეტს ფუთს რკინასა ძირში გაუვდი ქარია.

(იქვე, გვ. 161).

აქ ორი ლექსია შერწყმული, ერთი პირქუშს შეეხება, მეორე იახ-
სარს.

ვ. ბარდაველიძეს სოფ. ლეზაისკარში ჩაუწერია ხევსურული

ლექსი „კოპალა“, რომელიც ძლიერ ჰგავს იახსარის ციკლის ნაწარმოებებს. დაიბეჭდა იგი 1938 წელს (მას., 1,45).

ფ

- ხთის კარზე შავიყარენით სამოცდა სამი ჭვარია.
ღევებ ხქონიყო ქორწილი, სიმურ ეჩქვიფა წყალია.
ცხრათა გამზრდელი ღედაი ცხრათავიანი ხყოლია.
ქვემთ ბოლოჩი ჩამოვჭე, ჩემკენ ხქონიყოთ თვალია.
- 5 გადმოდგეს საწონ-ჩარეკი; კვირაჲ, დაუგი თვალია!
მე ხუთი ვთხოვე კვირასა, გარამაძმეტა სამია.
ხუთმეტ ლიტრასა რკინასა ძირზე გაუგდი ქარია,
საკმით ლახტ გადაუტეი, ზე დავაქციე ბანია.
ერთ კიდეე გამამეხვეწა, აღარ უბრუნე თავია,
საგმირო წამავიმაღლე, კლდეს წამამიბა მკარია.
- 10 კლდე ოთხად გავანაფოტე, ღევს წამოვსთხარე თვალია.
კარგა სცოდნიყვეს წყეულსა აბუღელაურთ ტბანაო,
ჩავიდა, მუც ჩავყევი, სისხლმა დამიბნა მკარნია.
ჩვენ ყმანი კარგ ეცადნესა: ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია.
- 15 მიყვანეს და ჩამაკლეს, ღმერთო, დასწერე ჭვარია!
შამოვსჭე ბროლის ქვაზედა, შამავიბერტყე მკარნია.
ჩაეხედენ ჩემსა საჯლომსა, კრელ მამრჩალიყვენეს ქვანია.
ღმერთო, თუ მამე შეძლება, შენაე ამიკსენ მკარნია.
აქედან თოკი გამიბი კარატის გასავალია;
- 20 აგრე გავივილი იმაზე, ვერვინ მამიკიდის თვალია.
ღიის-გორ სახლს აკეთებენ ჩემს ქვემთ ცხრანი ძმანია,
ცხრანიე ქეას ეზიდებიახ, დაუდგათ კარის თვალია.
მიეედი, მუც ავსწიე, ღმერთო, შენგან მაქე ძალია!
ერთმანეთს ეუბნებიახ,—ეს ჩვენზე ძალიანია.
- 25 ეგენიე გამემართენ, დაეშაღეთ აწინწელია.
ღიის-გორს შამამიკიდეს ჩემი პატარა ზარია.
დახკარ, ქმა აქად გავიდას, პირს დაიწერონ ჭვარია.
ლოცვა-წირვაზე დამიდგან ჩემი პირქუშის ყმანია.

ასეთია ძირითადად იახსარის (ხშირად კოპალას) ხევისურული ვარიანტები. ახლა მიემართოთ ფ შ ა ვ ს, სადაც იახსარი „ადგილობრივ“ ხატად მოჩანს.

თ

- ლთის კარზე შავიყარენით სამოც-და-სამი ხატია.
გამოჩნდა სასწორ-ჩარეკი: „კვირაჲ, დაგვიგე თვალია!“
მავა და ეზიდებოდა, ვინც უფრო ძალიანია.
ხუთი მე უთხარ კვირასა, გარდამამიმეტა სამია.
- 5 სამოც ლიტრასა რკინასა ქვეშ გაუტარე ქარია.
ღევებს ხქონიყვა ქორწილი, ეჩქვიფა სიმურ წყალია.
ცხრა-თავი ღედა ხყოლიყო ცხრა-თავ გამზრდელი შვილთ იყო.

- თავს ედგა სალუდე ქობი, რა ძნელი სანანკია!
 დავშინდი, უკულმ მავბრუნდი. მეცვალა პირზე ფერია.
- 10 ანგელოზნ ეუბნებოდენ: „იაკსარმ რა ქნის ისია?“
 მავბრუნდი, დავშინებულმა ლახტს გამუცვალე უამია,
 ირმულად ჩამავებარე, ზედ დავაქციე ბანია.
 ერთი ისივაც გამექცა, აღარ უბრუნე თ:ვია,
 საგმირო წამაუქადლე, კლდეს მათფარა თ:ვია.
- 15 კლდე სამად გავაგლექინე, ერთ გამოვსთხარე თვალია.
 იმასაც კარგა სცოდნიყვა აბელაურის ტბანია.
 მივედ და მეაც თან ჩავხყევე, მე, თვითონ იაკსარია,
 ჩავედ და ველარ ამოვედ,—სისხლით დამებნეს მქარნაა.
 ჩემ უმათაც კარაგა იძივეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.
- 20 მაიყვანეს და ჩამოკლეს; ღმერთო, დასწერე ჭვარია!
 წინწინ რო კლდეზე შამაქე, შამოვიბერტყენ მქარნია.
 პირწალმა შამაქერიალი, გამასახვიყო ჭვარია.
 „ღმერთო, შენ მამეც შაძლება. შენვე ამიქნეს მქარნია!“
 მანდით კარატეს ამოვედ, მანდ დავაქუჩენ ყმანია.
- 25 ლახტზედა შამამიკიდეთ ჩემი ბატარა ზარია.
 დავხყარა და აქადს წამოდღეს ჩემი პირქუშის ყმანია.

(შან. № 542 გ).

თ. რაზიკაშვილის ამ ჩანაწერს თან ახლავს განმარტებანი, რომელთა გათვალისწინება უფრო გასაგებს ხდის ტექსტს: „კვირა — ძლიერი ხატია“.

ვაჟა შენიშნავს: „კვირა ანგელოზი ყოფილა, ფშაელების წარმოდგენით, და იმის სადიდებლად, მოსახსენებლად არის დადებული კვირადლე უქმად“ (თხზ., V, 71). განვაგრძოთ თ. რაზიკაშვილის კომენტარები: დ ა გ ვ ი გ ე — „გვიციქირე, თვალი დაიჭირე“; მ ა ვ ა — „მოვ ა“, გ ა უ ტ ა რ ე ქ ა რ ი ა — „ვითომ ავიწიეო“; ს ი მ უ რ წ ყ ა ლ ი ა — „დალისტანშია ეს მდინარე“; სალუდე ქობი—„სპილენძისაა შაქრის თავივით მოყვანილი, ზოლო განიერი პირი ზემოთ არი და ძირო მწვეტია, რომ ალაო აღარ დაიკრას ძირზე. 2—3 არშინამდე სიმაღლე აქვს, 5 კოდზე მეტი იხარშება შიგა“. ამ განმარტების წაკითხვისას ინდოეთში გავრცელებული ლერწმის შაქრის სახარშავი ქვაბი მოგვაგონდა, მას მართლა ფართე თავი და ვიწრო ძირი აქვს, ჩაის მკრეფავთა ქუდების მსგავსად; 1964 წლის იანვარში დელიდან აგრას მიმავალმა, ასეთი ქვაბი პირადად ვნახე ფენჯაბის შტატში (იხ. ინდოეთში მოგზაურობა, ახალგაზრდა კომუნისტი, 1964, № 41, 42, 43, 44).

ი ა კ ს ა რ რ ა ქ ნ ი ს ის ი ა — „ვითომ რად შეშინდაო“. ირმულად—„როგორც ირემს ებარებიან“. საგმირო წამაუქადლე—„დაუმიზნე, ვესროლე“. აბელაურის ტბანი—„მე ეს ტბა არ ვიცი. ფშაურ ვარბანტში ბაზალეთურნია“. ლექსში მოხსენებული ტბა რეალურად არსე-

ბოზს ხევსურეთში, ჭაუხების მახლობლად, აბუდელაურთ ტბის სახელწოდებით, ოთხეურა ცხვარია—„რაკი წაბილწა დეგების სისხლით, ახლა ოთხრქა, ოთხეურა ცხვარილა გაჰნათლავდა“. გამასახვიყო ჯვარია—„ჩემს ნადგომზე ჯვრის სახე გამოიხატაო“, კარატე—სოფელი, აქადი—სოფელი.

1911 წლის 2 ივლისს ა. შანიძეს სოფ. ახალში, ფშავი, ხევისბერ ქერჩო (ელიზბარ) გოდერძაულისაგან ამ უკანასკნელის ჩანაწერიც მიუღია, რომელშიც სიტყვები ხშირად მხოლოდ თანხმონებით ყოფილა წარმოდგენილი და სრული სახით შემკრებ-გამომცემელს აღუდგენია (შან., გვ. 577). ახალურ ჩანაწერს, „ნიშების ლექსს“ შემდეგი სახე აქვს.

0

ხთის კარზედ შევიყარენთ ხთის ნაბადებნი დილითა.

ბძანება გამოგვივიდა მამა უფლისა პირითა.

დაგვიდგა სასწორ-ჩარეკი, ჩვენ ცლა ეწადა იმითა.

რანიც არიან ხთის შვილნი, სულ ჩემზედ აქვის თვალიო.

5 მაგრამ ქვენათით გადმოვქედ საბრლო იაქსარიო.

„მავს იაქსარ აიღებს, — ეგ უფრო ფალავანია“.

მივედ, ავსწიო სასწორსა, „ღმერთო, მიკირე მქარიო!“

თორმეტსა ლიტრას რკინასა ქვეშ გაუვლიე ქარიო.

* * *

დევთა ჰქონიყო ქორწილი, ეჩქვიფა დიდი წყალიო.

10 მივედ და გამამბრუნეს, ფინთი ჰქონიყო ზავიო.

მოვედ, ამბობდეს ხთის შვილნი: „რას იქამს იაქსარიო?“

შამცხვა და ისევ გავბრუნდი, გამაუცვალე უამიო.

საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დავაქციე ბანიო.

ცხრა-თავი დედა ჰყოლიყო, ცხრათ შვილთ გამზღელი არიო.

15 ცხრანიე იმაში დაექოცენ, ვადინე სისხლის წყალიო.

ერთი კი გადმომიფრინდა, კლდეს მამიფარა თავიო.

კლდე სამად დავანაფოტე, დევეს გამოვსთხარე თვალიო.

იმ დევსაც კარგა სცოდნიყო აბუხალეთის ტბანიო.

დევი იმაში ჩავიდა, თან ჩაუყვე იაქსარიო.

20 ჩავედ და ველარ ამოვედ, სისხ(ლ)მ გამიბანა მქარნიო.

ჩემს ყმან ატირდეს ცხარე ცრემლითა:

„აქ რომ იაქსარ ჩავიდა, ღმერთო, დასწერე ჯვარიო!“

სამ სისკარს წაღმა ვილოცე, დავმართენ შარა გზანიო.

ამოვქედ, ამოვიწიე, ამოვიბერტყენ მქარნიო.

25 აონ-გორს შემამიკიდეთ წმიდის გიორგის ზარიო.

დავკრა, ქმა აქადს მივიდეს, პირს დაიწერონ ჯვარიო.

(შან., № 542 დ).

ჩანს, სოფ. ახალში ერთი და იგივე ტექსტი ტრიალებდა. ამას ადასტურებს ხევსურული პოეზიის ცნობილი შემკრებისა და გამომცემლის ცნობა.

„იმავე ახადში იმავე დღეს ეგვე ლექსი ჩავიწერე ზურაბ ხელა-
შვილისაგან, რომელმაც თითქმის ისე მიაბო, როგორც ქერჩო ხეის-
ბერს ჰქონდა ჩანაწერი. მცირეოდენი განსხვავებანი: 1 შევიყარენით
შავიყარენით; 2 მამა უფლისა] დამბადებელის; (პირველად ხელა-
შვილმაც „მამა უფლისა“ თქვა); 4 სულ ჩემზედ აქვის] სუ ჩემზედა
აქვთ; 7 ავსწიო] ავსწიე; 9 დიდი] სიმურ; 12 ისევ] იქავ; ცხრათ შვილთ
გამზდელი არიო] ცხრათ შვალთა გამამზდელიო (ასე თქვა პირველად,
შემდეგ ქერჩოსავით გადასწორა); 16 გადმომიფრინდა] გადამიფრინ-
და; 19 ჩავიდა] ჩავარდა; 20 სისხლმ გამიბანა მკარნია] სისხლით გამე-
ბნეს მკარნო; 23 წაღმა] წაღმე; 25 შემამიციდეთ] შამამიციდეს; ამას
გარდა, ზ. ხელაშვილმა მე-20 მუხლს შემდეგ ესე ჩაურთო: მოიდეს,
ჩამამაკოცეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო (შან., გვ. 578—79).

მიუხედავად ღვთისშვილთა ლექსების რიტუალური ფუნქციისა,
და აქედან გამომდინარე, პირველსახის შენარჩუნების აუცილებლობი-
სა, ამ რკალმა მაინც დიდი ცვლილებანი განიცადა. ახლა ტექსტისა და
სიუჟეტის სრული სახით აღდგენა სპეციალურ კვლევა-ძიებას მოით-
ხოვს. აქ მოთავსებული ჩანაწერების სიუხვე ამ ამოცანის გადაწყვე-
ტას გვიკარნახებს.

ჩვეულებრივ იახსარის ლექსი რიტუალური ხასიათისაა. იგი ფერ-
ხულის დროს იმღერება ხატიონის მიერ. ჩვენ მოგვეპოვება უშუა-
ლოდ ცეკვა—ფერხულის დროს, 1911 წელს, ჩაწერილი ტექსტი, მარ-
თალია, გარკვეული ლაქუნებით, მაგრამ მაინც ერთადერთი, და ამ-
დენად უნიკალური. ჩანაწერი აკ. შანიძეს ეკუთვნის.

იბ

(პირველად ღმერთი ვაკსენოთ), მემრე ბატონი ჩენია.

ღვთის კარზედა შავიყარენით 63 ხეთის შვილი.

გადმოდგ(ეს) სასწორო-ჩარეჟი...

თორმეტ(სა) ლიტრა რკინა(სა)...

5 მე ხუთი ვთხოვე იმასა...

ავიდე, ისრე ავსწიე...

ხუთმეტსა ლიტრა რკინასა...

ღევებსა ჰქონდა ქორწილი . წვიმურ წყალიო.

ცხრა-თა(ვი) დედა ჰყოლიყო, ცხრა(თ)შვილ(თ) გამზდელი (არიო).

10და (გა)მომბარუნეს... ისი დამდევს ფერიო.

რომ მივედო, მე დამცინოდენ: „რას იქამსო იაკსარიო?“

..და ისრივ დაებრუნდი, გამოუცვალე ჟამიო.

საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დავაქციე (ბანიო).

ის ისრივ გამომივარდა...

15 არალო და ვარალა(ლო), გამოვიდა რთოსაკნო.

კლდეს მამიფარა თავია.

კლდე ოთხად გაენაფოტე, დევს გამოვთხარე თვალთა.

იმათაც კარგად ცოდნიყვენეს აბუხალეთის ტბანიო.

გამქეცა და შიგ ჩაგვივარდა, თან ჩაეყეფ იაკსარიო.

20 ჩაეყეფ და ეერა ამოვქედ, სისხლის გამებნეს მქარნიო.

ჩემს ყმათაც კარგა ცოდნიყ... ოთხ(რქა, ოთხყურა) ცხვარიო.

გაიყვანეს, სხვაგან ჩამოკლეს, „ღმერთო, დასწერე ჭვარიო“.

ქალი თამარი მეფე შობრძანდა, ისიც... კმალია.

შემოვქეო ბროლის ქვაზედა; შემოვიბერტყენ მქარნიო.

25 წამო(ებ)რძანდი და დაეხედე, სულ ჭრელნი დარჩენ ქვანიო.

აეის გორზე შამომიყიდეს(?) ჩემი ბატარა ზარიო.

რომ დაჰკრან, აჰადს გაეარდეს, პირს დაიწერონ ჭვარიო.

ლოცვა-წირვა წინ(?)... ჩემის პირქუშის ყმანიო.

* * *

ამასა, ძმანო, გელასა, კიქა ეკიდის ყველასა.

30 გამოთქე(ამს), მაუტრებელსა ჭვარი ეწეროს ყველასა!

გაუმარჯოსი გაუმარჯოს, გაუმარჯოსი

(შან., გვ. 579).

კოპალა-იახსარის ციკლის ლექსების ჩაწერა და მოპოვება ადვილი არ არის. ძნელია მათი მიგნება არა მარტო ჩვენს დროში, როცა ნაწარმოებთა წესჩვეულებრიობა დარღვეულია, არამედ ასეთივე მდგომარეობა ყოფილა მე-20 საუკ. 10-იან წლებშიც. კოპალასა და იახსარის ლექსების მოპოვება მე-19 საუკ. 90-იან წლებშიც გასაპირი იყო. ამაზე ვაჟა-ფშაველა 1889 წელს წერდა: „თუმცა კოპალაზედაც გვინდოდა გვეპოვნა ხალხური ლექსი, მაგრამ ხალხში კოპალაზედ ლექსად არაფერია ნათქვამი. აი ლექსი იახსარზე...“ (თხზ., V, 1961, გვ. 70). ამ სურათის ნათელსაყოფად მოვიყვანთ პროფ. ა. შანიძის ცნობებს, საინტერესოს როგორც შესრულების ტრადიციის, ისე ტექსტის მოპოვების სიძნელის გათვალისწინებისათვის.

„ეს „სიმღერე“ მე თამარ-ნეთის ხატობაში ჩაწერე ფერკისის დროს 5. 7. 1911. (სამშაბათს). საქმე ასე იყო: ხალხური ლექსების ჩაწერის საქმე არ მიმდიდოდა წინ. მე უკმაყოფილო ვიყავ და ხალხს შევესჩივლე. თანაც დავსძინე: აი მე გეტყვიოთ ლაშარის ლექსს და სირცხვილი თქვენი, რომ თქვენ არას მეუბნებიოთ-მეთქი. წავუკითხე ლეგენდა ლაშარის ოქროს შიბიანი მუხის მოჭრის შესახებ, რომელიც 1908 წელს მქონდა კორკში გ. ხუცურაულისაგან გაგონილი და შემდეგში გალექსილი. ისე მოეწონათ ეს ლექსი, რომლის შინაარსიც ყველამ კარგად იცოდა, რომ ერთბაშად ნდობა მოვიპოვე და ხევისბერმა

დარჩია მისრიაშვილმა! მიჰმართა იქ მყოფთ: „მოდით, ფერკისა ეუბანოთ ამ იმერელს“-აო². წამსვე ხალხი გაიპო ორ რივად. მე ჩავდექი შუაში, მოვიმარჯვე უბის წიგნი და ფანქარი და შევუდექი წერას. იწყებდა ერთი, ამბობდა სიტყვებს, სხვები კი ბანს ეუბნებოდნენ. როცა ერთ მუხლს გაათავებდნენ, მეორე რიგი შეენაცვლებოდა იმავე წესით და თუ პირველად სიტყვებს კარგად ვერ გავიგონებდი, მეორედ თქმის დროს შევასწორებდი. ამრიგად ჩაწერე მთელი ფერკისა, მაგრამ ზოგიერთი მუხლის ჩაწერა მაინც ვერ მოვასწარი. ამის გამო აქა-იქ ხარვეზებია და ცუდად ჩანაწერი ფორმებიც. სამწუხაროდ, არ ჩამიწერია თავის დროზე, თუ ვინ იყვნენ სიტყვების მთქმელები ორსავე გუნდში; აღვნიშნოთ მეთაური პირველი გუნდისა M ასოთი, მეორისა კი N-ით. — ვარიანტები N ისა: 1 ბატონი] გამჩენი N; 3 ლიტრა] ფუთ(სა?) N; 8 ქორწილი] ყრილობა N; 15 [და ვარალა(ლო)] ჩვენო ბატონო N; 18 აბუზალეთის] აბუდალეთის N; 20 ვერა ევლარ N; 25 და დავებდე] გამოვექანე N; ავის გორზე] თავის(?) გორზე N.

ცხადია, ჩაწერის პირობათა თავისებურობის გამო, შეცთომებია დაშვებული, რომელთაც არ მოვერიდე და აქაც შემოვიტანე. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ; 8 წვიმურ] არა მგონია ეს ეთქვას ან M ს, ან N ს, — ალბათ „სიმურ“ იყო და მე „წვიმურ“ მომეჩვენა; 15 რთოსაკნით] რალაც ამგვარი მიწერია უბის წიგნში, მაგრამ ამ წუთში არაფერი მომდის თავში ისეთი, რომ ცუდად ჩაწერილი აღვიღო გადავასწორო; 26 ავის გორზე] M-ისაგან ასე გამიგონია: ავედ გორზე, N-ისაგან კი: თავის(?); 27 აქდს] მიწერია: აქაც; 28 ლოცვა-წირვა წინ] ალბათ ასე თქვეს: ლოცვა-წირვაზე; 29 ამასა] ალბათ „ელასა“ თქვეს: ეკიდის ყველასა] ალბათ: „ყელასა“ უნდა. 15 რალო და ვარალალო...] ეს რეფრენია, რომელიც იშვიათად იყო ხმარებული ამ სიმღერაში. სამაგიეროდ ხუმარისა და ბიჭურის ლექსში, რომელიც კარატეში დაიძახეს 10.7. 1911, რეფრენი უფრო ხშირი იყო. თავში დასაწყისი სიტყვები (ფრჩხილებში რომაა ჩასმული) აღდგენილია თ. რაზიკაშვილის შენიშვნის მიხედვით: როგორც იგი ამბობს, ასე იწყებენ ფერკისას ფშავშიო (6. № 62, შნშ., აგრეთვე ბუქ. № 11). ეს შენიშვნები და შესწორებანი, რა თქმა უნდა, მთლად ვერ ამოსწურავს ტექსტის აღდგენის საკითხს. მაგრამ ამ სახითაც ეს მასალა მეტად ძვირფასია, რადგანაც იგი

1 ეს ის დარჩიაა, რომელმაც თამარ-ნეფისა და ლაშარის ნიში ჩაიტანა იორზე, რის გამოც მლოცველები დააკლდა და ამით შემოსავალიც შეუმცირდა ამ სალოცავებს არაგვის ხეობაში. ამაზეა ნათქვამი:

ნუ გასჩინებარ დელასა. შე მისრით დარჩიაო!

თამარ ნეფე და ლაშარი ჩაიტანე ბარჩიაო, და სხვა.

2 იმერელი ზოგადი გავებით, ე. ი. ლიხის მთას გადაღმელი.

ჩაწერილია „სიმღერის“ ბუნებრივ პირობებში, როცა სიტყვებთან შეერთებული იყო გალობა და პლასტიკური მოძრაობანი“. (შან., გვ. 579—80).

უკანა ფშავში, სოფ. შუაფხოში იაკსრობის მეორე დღეს, 1911 წლის 8 ივლისს, ა. შანიძეს „ხეთის კარზე შავიყარენის“ კვლავ განსხვავებული ტექსტი ჩაუწერია ზემო-თიანელი დავით გიანაშვილისაგან. მოქმელი, ჩანს, თიანეთიდან იყო ხატობაზე მოსული.

იბ

- ხეთის კარზე შავიყარენით სამოცდასამი ხთისშვილი.
გადმოძღვეს სასწორ-ჩარქვი; კვირაჲ. გვიქირე თვალია!
ერთმანეთს ეუბნებიან: „ვინ უფრო ძალანია?“
ვერვინ შააბედა რკინასა, მიბძანდა იქსარია.
- 5 სამოც-სამ ლიტრა რკინასა ძირს გაუტარა ქარია.
შაიყრებრან დევები, სადაც დიდ შეიდანია.
ცხრა-თავი დედა ჰყოლიათ, ცხრა დევთ გამზდელი არია.
ერთმანეთს ეუბნებიან: „რას გვიზამს იქსარია?“
ის რო იქსარამ გაიგო, დაჩქვიფნა სიმურ წყალია.
- 10 რო მიველ, გამამაბრუნეს, ფინთი ჰქონიყო ზავია.
მიველ ხეთის კარზე, ამბობენ: „რას სჩადის იქსარია?“
დამრცხვა და ისიე მოვრბუნდი, გამოვუცვალე ყამბა.
საკმისას ლახტი ვესროლე, ზედ მივაქცივე ბანია.
ერთ კიღენ გამამივარდა, რომენიც მუტლად ჩქარია.
- 15 თან ლახტი გამუყაოლე, კლდეს შამიფარა თავია.
კლდე ოთხად გავანაფოტე, დევს გამოვსთხარე თვალია.
იმასაც კარგა სცოდნიყო აბუდალევის ტბანია.
გაიქცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩაეჭყე იქსარია.
ჩიველ და ველარ ამუელ,—სისხლმა გამიბნა მქარნია.
- 20 ჩემ ყმანიც ბევრსა დაღონდნენ. ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარია.
მაიყვანეს და ჩამოკლეს. მაშინ გამეკსნა მქარნია.
შამოვქე ბროლის ქვაზედა, შამო(ვ)იბერტყე მქარნია.
იქ თამარ-ნეფეც მობრძანდა, მიძრა და მოძრა მქარნია.
კარატით კარატემდენა გზა მქონდა გასავალია.
- 25 ავის გორს შამიკიდოდეთ ჩემი პატარა ზარია, —
დაჰკრავს, კმა აკადს მივიდეს, იქ დაიწერონ ჭვარია.
ლოცეას-წირვაზე დააღვოდეთ ჩემისა პირქუშის ყმანია.

„დავითოს გადმოცემით დევეების ყრილობა შაბათ საღამოს მომხდარა. — 2 გადმოძღვეს] დავითოს გამოთქმით უფრო: გადმოძღვეს; 11 რას სჩადის] გამოთქვა დაახლოვებით ასე: რაჲ სჩადის; 17 კარგა სცოდნიყო] გამოთქვა უფრო: კარგად სცოდნიყო; 26 დაჰკრავს) გამოთქვა უფრო: დაჰყრავს“.

ლექსი „ღვთის კარზე შავიყარენით“ გრ. აფშინაშვილს 1893 წლის 18 დეკემბერს „მოამბის“ რედაქციაში გაუგზავნია, სადაც იგი

არ გამოქვეყნებულა. ლექსი დაიბეჭდა უფრო გვიან, 1900 წელს „აკაკის კრებულში“ (№ 1, 1900).

ივ

- ლეთის კარზე შვიყარენით სამოცდასამი ხატია.
დავიდგეს სასწორ-ჩარეჭი, ოქროთ ნაქელი ტახტია.
სამოცსა ფუთსა რკინასა ვერვინ შაუგლო ძალია.
ქვემოთით დაეჭე ტახტზედა, კვირას ჩემეე აქვ თვალია.
- 5 „მაგას იაქსარ აიღებს, — არაგვის შვრისა არია“.
ავსწიე, ისე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია.
მაჩუქა დამბადებელმა მშვილდ-ლახტი საომარია.
შაიყრებიან დევები, სადაც ღიღ მოედანია,
გაარიგებენ იმასა „ერთ ურთს უქიროთ მქარია.“
- 10 ღვთიშვილთ მოუკლათ კოპალა, თავში დაუცხეთ ქვანია.“
ჩამეეტია კოპალა, ბატნებურ გასქრა თავია.
საყაქვს წმინდა გიორგი ყველაზე მეომარია.
თუ დევებს ჩამეეტია, ვაი მაგათი ბრალია!
ავის გორს სახლი ააგეს, შიგ დგანან ცხრანი ძმანია.
15. დედა ჰყოლიათ ცხრათავი, ცხრა ვაეის დედა-ქალია.
დევებს ჰქონიყო ქორწილი, სიმურნ ეჩქეიფნეს წყალნა.
თავს ედგათ სალუღე ქობი, მეც იმით მომცეს ზავია.
ფალანდ გაამიყვანეს ღვთიშვილთა იაქსარია.
მიველირე და ვერ მივედ, პირს დაეწერე ჭვარია.
- 20 იმას ამბობენ ღვთიშვილნი: „რას ჩადის იაქსარია?“
საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დაეაქციე ბანია.
ერთი-ლა გამომქცევიყო, გამოუარნეს კარნია.
კოჭლა გამექცა პირ-თავქვე, კლდეს მოაფარა თავია
კლდე ოთხად გავანაფორტე, დეეს გამოვსთარე თვალია.
- 25 წყეულს კარგადა სცოდნიყო ბაზალეთის ტბის გზანია.
გამექცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩაყუევ იაქსარია.
ამოსვლით ვეღარ ამოვედ,—სისხლმა გამიბნა მქარნია.
ცხრა წელსა ძებნეს ჩემს ყმათა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია,
დაკლიან ტბისა პირზედა „ღმერთო, დასწერე ჭვარია!“
- 30 შეეკე ბროლისა ქვაზედა, შამოვიბერტყენ მქარნია.
დაეკვლიე ჩემსა ნაქლომსა, რა კრელნი დარჩნეს ქვანია!

* * *

- შვიდის წლის ქალი თამარი მეფედ თქვეს, ღედოფალია.
ზღვის პირზე შვიყარენით, შაგვექნა საომარია.
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა, გადააქარნა წყალნია.
- 35 შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადმოსცილდეს ცვარია.
შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჭვარია.
სახელი თამარ-მეფისა ზედ დააწერა, გვარია.
ურჯულოთი და თათართი ყველას !არწმუნომც არია!
- * * *
- კარაბით კარატეს მამე თოკი, ზედ გასაეალია.
- 40 ასე გავიღე თოკზედა, ვერვინ მომკიდოს თვალია.
ავის გორს შამიკილოდით ჩემი პატარა ზარია.

დავკრა, კმა აქადს გავიდეს, გამოისახონ ჭვარია.
რომ დადგენ ლოცვა-წირვაზე ჩემის პირქუშის ყმანია.
მიღუღეთ სალუღე ქობი, ყმანო, გეწეროსთ ჭვარია'

(მღრ. ნათაძე, გვ. 14).

1931 წელს „ხევსურული პოეზიის“ გამოცემის დროს ა. შანიძეს ერთმანეთისათვის შეუღარებია დედანი და ნაბეჭდი ტექსტი. მათ შორის განსხვავება უპოვია და ისინი აღურიცხავს.

3 ფუთსა] ლიტრა; 8 მოედანია] მეედანია; 14 ააგეს] აუგოთ; 16 დევებს] იმათ; სიმურნ] სიმურ; 17 ქობი] ქვაბი; მომცეს] მამცეს; 22 ერთი-ლა] ერთ კიდევე; გამოეარნეს] გამოერბინნეს; 24 გავანაფოტე] დავანაფოტე; 25 წყეულს] იმას; 40 ისე] ასე; 41 ავის გორს შამიკი-დოღით ჩემი პატარა ზარია] მიტანილ გამამიგოროდა ჩემი პატარა ზარია; 42 დავკრა, კმა აქადს გავიდეს, გამოისახონ ჭვარია] დავკარ, კმა აქადს გავარდა, გამაისახეთ ჭვარია; 43 რომ დადგენ ლოცვა-წირვაზე) ლოცვა-წირვაზე დადგოდენ.

ამ ლექსს თან ახლავს გრ. აფშინაშვილის შენიშვნები, რომლებიც ზოგჯერ სხვადასხვანაირად იკითხება ხელნაწერსა და ნაბეჭდში (ხელნ. — ხელნაწერში, ნაბ. — ნაბეჭდში). მომყავს ზოგი იქიდან და ზოგი აქედან, იმის მიხედვით, თუ სად უფრო ნათელია ახსნა-განმარტება: 2 დაგვიდგეს სასწორ-ჩარქეი] „ფშაველსა სწამს, რომ, როცა კაცი ამიერ სოფლიდამ მიიცივლება და საიქიოს მივა, იქ პირველად ღვთისა და მის წმინდანთა წინაშე წარსდგება, სადაც სასწორზე ასწონენ და ისე გაიგებენ მის კეთილსა და ბოროტს ჩანადინარს“ (ხელნ.); ვერვინ შაუჯდო ძალია „ე. ი. ვერავინ მოვიდა იმისი წონაო, ძალი და ღონე ვერვინ გაუსწორაო“ (ხელნ.); 4 კვირას ჩემკე აქე თვალია] „კვირა ფშავლის რწმენით ცალკე არსებაა, ხატია, რომელსაც ლოცულობს და ემსახურება, როგორც წმინდანს“ (ხელნ.); 5 მაგას იაქსარ აიღებს] „იაქსარი ხატია. ამ ხატს თითქმის ყველა ფშაველი სცემს თაყვანს, უფრო კი ქისტაურის თემის ხალხი, რომელთა ბატონად ითვლება, ხოლო ქისტაურები მის ყმებად“ (ხელნ.); 10 ხეთიშვილთ კობალა მოუკლათ] „ხეთიშვილთ ხატებს და წმინდა სულებს უწოდებს ფშაველი. კობალა ხატია. ამ ხატსაც თითქმის ყველა ფშაველი ლოცულობს, განსაკუთრებით კი უძილაურების თემისა. ამ თემის ხალხის ბატონ-პატრონად ითვლება „გმირი კობალა“ (ხელნ.); 12 საყაქეს წმინდა გიორგი] „საყაქე მთის სახელია ფშავეში. ამ მთაზედ ორგან თუ სამგან არის წმინდა გიორგის ნიში“ (ხელნ.) 14 ავის გორს სახლი ააგეს] „ავის გორი ადგილის სახელია სოფ. შუაფხოს ახლო. აქ თურნე დევები სცხოვრობდნენ. ესენი იაქსარს ამოუყულებთ და განუღვენია აქედამ“ ხელნ.; ნაბეჭდში კი: „ეს დევები იაქსარმა და კობალამ თურ-

მე ამოწყვიტეს და განდევნეს, მხოლოდ ერთი კოქლი დევი-ლა გაექცა და კლდეს მოეფარა“ და სხვ. 23 კოქლა] „დევი ყოფილა“ (ხელნ.); 23 დევს გამოვსთხარე თვალთა] „ხალხის გადმოცემით, როცა კოქლა გაექცა იაქსარს და კლდეს მოეფარა, მაშინ იაქსარის ლახტი კლდეს მოხვდა, კლდე ოთხად გაამსხვრია, ერთი ნატეხი მოხვდა დევს და ცალი თვალი გამოსთხარა“ (ხელნ.) 27 სისხლმა გამიბნა მქარნია] „იაქსარს, ფშავლების წარმოდგენით, ფრინველივით მკრები აქვს“ (ნაბ.); 28 ცხრა წელსა ძებნეს ჩემს ყმათა]! როდესაც თვალგამოთხარილს კოქლა დევს საშველი აღარა ჰქონდა, იაქსარის ლახტს გადაპრჩომოდა, მაშინ თურმე კოქლამ ბაზალეთის ტბისკენ მოჰქურცხლა, უკან იქსარი გაჰყვა. დევი ტბაში ჩახტა, იაქსარიც თან ჩაჰყვა, ტბის ძირში დევი მოკლა, მაგრამ იქიდან უკან ამოსვლა კი ვეღარ შესძლო, — „სისხლმა გამიბნა მქარნია“. დაპრჩათ „ყმათ“ თავის „ბატონი“ ტბის ძირში. მაშინ იაქსარის ყმანი (ქისტაურები) ძალიან შესწუხდნენ, დაფაცურდნენ თურმე, ბოლოს მიჰმართეს ქადაგ-მისანს რომელმაც უთხრა „თქვენ უნდა იშოვნოთ ისეთი ცხვარი, რომელსაც ოთხი რქა და ოთხი ყური ჰქონდესო, ის დაჰკლათ ტბის პირზე და იმისი სული გამოიხსნის; შეაძლებინებს ტბის უფსკრულიდან ამოსვლასაო. როგორც ლექსიდანაცა ჩანს, იაქსარის „ყმათ“ ცხრა წლის ძებნის შემდეგ ძლივს იპოვნეს ოთხ-რქა, ოთხ-ყურა ცხვარი, დაკლეს ტბის პირზედ და ამით დაიხსნეს თავისი „ბატონი“ იაქსარი, რომელიც „შედგა ბროლისა ქვაზედა, შემოიბერტყნა მქარნია“ (ხელნ.); ოთხ-რქა და ოთხ-ყურა ცხვრის გამო ნაბეჭდი დასძენს: — რწმენაა, რომ ამგვარი მახინჯი ცხვრის სულს მართო ეშმაკეული იწირავს“. 39 კარატით კარატეს] ორი ნიშია, რომელნიც ერთმანეთს უპირდაპირებენ“ (ხელნ.); „ნიშებია იაქსარისა“ (ნაბ.); 43 ჩემის პირ-ქუშის ყმანია] „პირ-ქუში აქადელების თემის ხატია“ (ხელნ.); 44 მიდუღეთ სალუღე ქობი]“ ე. ი. ლუღი აღუღეთ და მადიდეთო“ (ხელნ.) (შან. № 542 ზ).

გვ. აფშინაშვილის შენიშვნები მეტად საინტერესოა, იგი ადგილობრივი ფშაური ყოფის კარგი ცოდნითაა შედგენილი და მკვლევარისათვის ბევრის მთქმელი: აქ ზოგი დამატებითი მასალაა მოტანილი, ვიდრე ამას ვხვდებით ვაჟა-ფშაველას ცნობილ წერილში (თხზ., V. გვ. 70).

1889 წლის „ივერიის“ № 41-ში გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული ნარკვევი „კობალა და იახსარი დევების მეზრძოლნი“. ეს პირველი საფუძვლიანი, და დღემდე თითქმის ერთადერთი სპეციალური ნარკვევია, რომელიც ამ ორი გმირის მხატვრულ-მითოლოგიური სახის გარკვევას ისახავდა მიზნად. ვაჟას წერილს დართული ჰქონდა შემდეგი ფშაური ლექსი იახსარზე.

ლთის კარზე შავიყარენით ღთიშვილნ სამოცდაცხრანო.
 ქვემოთ. ბოლოში ჩამოვქე მე, ხატი იაქსარიო.
 გადმოდგეს სასწორ-ჩარქი: „კვირაჲ, გვიჭირე თვალიო!“
 ჩამაირიგეს ღთიშვილთა, ვერვინ ვაუგლო ქარიო.

- 5 გადაქე, ერთი ავწი: „ღმერთო, შენ მამე ძალიო!“
 სამოც ლიტრიანს რკინასა ქვეშ ვაუვლიე ქარიო.
 ავის გორს შამამიკიდეთ ჩემი პატარა ზარიო, —
 დაქრან, ქმა აქადს მოვიდეს, იქ დაიწერონ ჳვარიო.
 დევს მათქნიე საგმირო, კლდეს მათარა თავიო.
- 10 კლდე ოთხად გავანათოსე, დევს გამოვსთხარე თვალიო.
 წაწადას ტბაში ჩავარდა, მიძრნა და მოძრნა ტბანიო.
 ღთისაგან ვიყავ შათვლილი, თან ჩავეყე იაქსარიო.
 დევი მავიგე ტბაშია, თავს დავამტერიე ფარიო.
 ამოსვლით ველარ ამუელ, სისხლით შამიკრი წყალიო.
 „ხატი დავგრჩება ტბაშია“,—შაწუხდენ ჩემნი ყმანიო.
 მაიყვანეს და ჩამოკლეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო.
 ღთისაგან იქნა ბძანება, მემრე გაიქსნა წყალნიო,
 შამოვქე ბელის ქეახედა, შამოვიბერტყენ მქარიო.

(ვაჟა-ფშაველა, თხზ. V, 1961, გვ. 71). ვაჟას იახსრისა და სხვა შესაბამ შემთხვევათა დაწერილობა მოცემული აქვს ჩვეულებრივი ხ-ანის საშუალებით, კ აღდგენილია ა. შანიძის კრებულში. ასეთი შემთხვევები სხვა დროსაც შეიმჩნევა.

თ. რაზიკაშვილის შეკრებილ ფშაურ ლექსებში შეტანილია ლექსი „იახსარი“, რომელიც ამკარად ფშავეში არის ჩაწერილი, მაგრამ არ ვიციით სახელდობრ სად და როდის. ლექსი ვრცელა, გამოქვეყნდა ორჯერ, პირველად ა. შანიძემ დაბეჭდა ხევისურული ლექსების ვარიანტებში (შან. № 542 თ), მეორედ ჩვენ გამოვეციით თ. რაზიკაშვილის ჩანაწერთა შორის (ხალხური სიტყვიერება, 111, 1953 წ., გვ. 19—20). აი ეს ვრცელი ჩანაწერიც.

იი

ლთის კარზე შავიყარენით სამოცდასამი ხატიო.
 დავიდგეს სასწორ-ჩარქი: „კვირაჲ, გვიჭირე თვალიო!“
 სამოც ლიტრასა რკინასა ვერვინ ვაუგლო ქარიო.
 ქვემოთით დავქე ტახტზედა, ყველას ჩემზე აქე თვალია:
 5 „მაგას იაქსარ აიდებს,—არაგვის მკრისა არია.“
 ავწი, ასე ავიდე, ქვეშ ვაუტარე ქარიო.
 მაჩუქა დამბადებელმა, მშვილდი და საომარაა.

* * *

- შაიკრებიან დევები, სადაც დიდ მეუღანიო.
 გარაკებენ იმასა: „ერთურთს უჭიროთ მქარია.
 10 ღთიშვილთ კოპალა მათკლათ, თავში დაუტენთ ქვანიო“

- ჩამეეტია კობალა, ცხერებულა გასკრა თავია!
 შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს, დედუფალია.
 საყაქეს წმინდა გიორგი ყველაზე მეომარია.
 თუ დევებს ჩამეეტია, ვაი მაგათი ბრალია!
- 15 ავის გორს სახს იშენებენ დევები ცხრანი ძმანია,
 დედა ჰყოლიეთ ცხრათავი, ცხრის ვაჟის დედა-ქალია.
 დევებსა ჰქონდა ქორწილი, სიმურ ეჩქვიფნენ წყალნია.
 თავს ედგა სალუდე ქობი, მეც იმათ მამებს ზავია,
 ფალანდ გამამიყვანეს ღთის შვილთა იაქსარია.
- 20 მივეღირე და ვერ მიველ, პირს დაეწერე ჭვარია.
 იმას ამბობენ ღთის შვილნი: „რეს შერება იაქსარია?“
 საკმისას ლახტი ვესროლე, თავს დაეპეციე ბანია...
 ერთი კიდევ გამაქეციეყო, გამეემტერია კარია.
 კოქლა გამექცა პირთავექვე, კლდეს მათვარა თავია.
- 25 კლდე ოთხად გავანაფოტე, დევს გამოეთხარე თვალთა.
 სულელს კარგავდა სცოდნიყო ბაზალეთურნი ტბანია.
 გამექცა, შიგ ჩამივარდა, თან ჩაეყეე იაქსარია.
 ამოსვლით ველარ ამოველ,—სისლმა გამიბა მქარნია.
 ცხრას წელს ეძებეს ჩემს ყმათა ოთხრქა ოთხყურა ცხვარიაო.
- 30 დაკლიან ტბისა პირზედა: „ღმერთო, დასწერე ჭვარიო!“
 შამოკეც ბროლის ქვაზედა, ჩამოვიბერტყენ მქარნიაო.
 დავკელიე ჩემსა ნაქდომსა, რა ჰრელნი დარჩნენ ქვანიო!

* * *

- შვიდი წლის ქალი თამარი ნეფე თქვეს, დედუფალიო.
 ზღვის პირზე შავიყარენით, შაგვექნა საუბარიო.
- 35 ზღვისა გადაჰკრა ლეჩაქი, გადააქანა ზღვანიო.
 შუა ზღვას ჩადგა სამანი, არ გადაჰკილდეს ცვარიო.
 კლდეზე გაშართა ქალაქი, შააბა რკინის კარიო,
 შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჭვარიო.
 ურჭულოთი და თათართი ყველათ სარწმუნომც არიო!
- 40 კარატით კარატეს მამცა თოკი ზედ გასავალიო.
 ასე გავიდი თოკზედა, ვერვინ მამიკიდის თვალიო.
 მიტანილ გამამიგორდა ჩემი პატარა ზარიო.
 დავკარ, ქმა აქადს გავარდა, იქ დაიწერონ ჭვარიო.

* * *

- ლოცვა-წირვაზე დადგოდენ ჩემნი პირქუშნი ყმანიო!
- 45 ავის გორს შამიკიდოდით ჩემი პატარა ზარიო,
 მიღუღეთ სალუდე ქობი, ყმანო, გეწეროსთ ჭვარიო!

თ. რაზიკაშვილის ჩანაწერს დართული აქვს შენიშვნები, რაც სრული სახით დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში. კობალა—„კობალა ძალიანი ხატია ფშავლებისა“, დაუცნეთ—დავეკეთ; შვიდი წლის ქალი თამარი... „ეესეც ხთიშვილებში ურგვია“. საყაქეს—„ნიშია აქ წმ. გიორგისა“, სიმურ—„სიმური მდინარეა პირიქით დაღისტანში. სულ ეს წყალი იხსენება დევების საბანაოდ“; ეჩქვიფნენ—„ეტოპათ შიგა“; გავანაფოტე—

გავლენე, დავაქციე; სულელს — (მ)ყრალს, სუნინანს, და არა მართლა სულელს“. ბაზალეთურნი ტბანია—„ბაზალეთის ტბა. ხალხსა სწამს, რომ ძირი არა აქვსო, რომ შეერთებულია“. ცხვარიო—„რომ ის ოთხ-რქა, ოთხყურა ცხვარი არ დაეკლათ, დევების ძალა არ შეიმუხრებოდა და იახსარი ვერ იხსნიდა თავსა“: კარატეს—„კარატეშია იახსარის ხატი, ნიში“. ახადს — „ახადი სოფელია პირდაპირ“. „შაიყრებიან დევები“—ასე იწყება ამ ლექსის ფშაური ვარიანტი, რომელიც დაბეჭდილია გ. ნათაძის შეკრებილ „ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებში“ (1950, გვ. 14).

თ. რაზიკაშვილს ფშავეში სხვა ტექსტიც მოუპოვებია. გავეცნოთ მასაც (შან. № 542ი).

ი3

დევებსა ჰქონდა ყრილობა, სადაც დიდ მეიდანია.
დევებს ის გაურიგებავ: „ერთურთ უპიროთ მკარია!
ხთიშვილთ მაუკლათ კობალა, თავში დაუცნეთ ქვანია“.
გაიგო დამბადებელმა, ჩაგზავნა იაქსარია.

5 წამაუარა ზემოთა, ცხვრებულა გაპკრა თავია.

* * *

ქალი შოვიდა ცხრის წლისა, ეგ თამარ დედუფალია.
ზღვასა გადაპკრა ჩიქილა, არ გაღმუარდა ცვარია.
პირდაპირ ჩამოუჯდება ლალი ლაშარის ჯვარია.
ქელში უპერავ ლურჯაი, ფეკს უკრავ ოქროს ნაღნია.

10 მკარზე ჰკიდავის მათრაქი შვიდ ადლი, შვიდი მკარია.

1925 წელს ვასილ ტუქსიშვილ-ჩოხელაშვილს ფშავეში ჩაუწერია ლექსი ლუკა მანჩხოშვილის თქმით.

ი8

ღვთის კარძე შაიყარენით ღთიშვილნ სამოცდა ცხრანია.
გადმოდგეს სასწორ-ჩარეჭი. „კვირავე, გვიპირე მკარია!“
ქვემოთით გაღმაქდინეს მე, ხატი იაქსარია.

ის უფრო ეზიდებოდა, ვინც უფრო ძალიანია.

5 გადავქე, ერთხელ ავსწიე: „ღმერთო, მამეცი ძალიო!“
სამოცდასამ ფუთ სინასა ქვეშ გაუტარე ქარია.

ღევს მაუქნიე საგმირო, კლდეს მიაფარა თავია.
კლდე ოთხად გაეანაფორე, ღევს გამოვსთხარე თვალა.

იმასაც კარგად სცოდნიყვენს ნაბუღალევის ტბანია.

10 დევი ჩავიდა ტბაშია. მიჩქვიფ-მოჩქვიფნა ზღვანია.

ღვთისაგან იყო ბძანება, თან ჩავეყე იაქსარია.

დევი მოვიგდე ზღვაშია, თავს დავამტვრიე ფარია.

ჩავედ და ვეღარ ამოვედ, სისხლით შამეკრნეს გზანია.

„ხატი დაგვრჩება ტბაშია“.—ღაღონდენ ჩემნი ძმანია.

15 ეძებეს, კიდევ მოკლეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.
მაიყვანეს და ჩამოკლეს: „ღმერთო, შენ მიეც ძალია!“

- ღეთისაგან იქნა ბძანება, გაიქსნეს სისხლის გზანია.
 შამოჯვე ბელის ქვაზედა, შამოვიბერტყენ მქარნია.
 კარატეს დამოცილოდით ჩემი პატარა ზარია, —
 20 დაქრან, კმა აქადს მივიღეს, იქ დაიწერონ ჭვარია.
 კარატეთ-კარატემინა შიბითა მქონან გზანია.

(შან. № 542-ია).

ზოგ ტექსტში ლაპარაკია არა ხეთისშვილთა შეკრებაზე, არამედ დევების შეყრაზე, სადაც იმაზე მსჯელობენ თუ როგორ მოკლან კობალა და თავიდან მოიცილონ დაუძინებელი მტერი. ასეთი დასაწყისი აქვს დავით ხიზანაშვილის მიერ 1887 წელს ფშავურ კრებულში გამოქვეყნებულ ლექსს „შაიყრებიან დევები“ (ხიზ. გვ. 237, შან. № 542 იბ.).

იყ

- შაიყრებიან დევები, სადაც ღიდ მეღდანია.
 გარიგებენ იმასა: „ერთერთს უჭიროთ მქარია.
 ღეთის შვილთ მაუკლათ კობალა, თავში დაუცნეთ ქვანია“.
 გაიგეს ესა ღეთის შვილთა, ჩაგზავნეს იაქსარიო.
 5 ცხრა დეეს რომ დედა ჰყოლიო, ცხრათივ გამზღელი არიო,
 ცხრანივ იმაში ჩაქოცნა, თავს დააქცია ბანიო.
 მეთე თაე-ქვე გაიქცა, თავს დააქცია ბანიო.
 იმასაც კარგა სყოდნიყენენ საბაზალეთო გზანიაო.
 უძირო ტბაში ჩავარდა, თან ჩაყუა იაქსარიო.
 10 იზიდნა, ვერ ამოვიდა, სისხლით გაებნეს გზანიაო.
 იმის ყმათ ბევრი ეძებეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო.
 მიიყვანეს და ჩაუკლეს, ამოვა იაქსარიო.

გ. ნათაძეს მცირე განსხვავებით იგივე თქმულება აქვს ჩაწერილი (ნათ., გვ. 14).

ფშავურ ჩანაწერებში ხშირადაა საუბარი დევების შეყრასა და კობალას მოკვლის გარიგებაზე, თუმცა ამგვარ ვერსიაში ყოველთვის არ გვხვდება, რომ შეთქმულებას თვითონ კობალა ჩაფუშავს. ამ ფუნქციას უფრო ხშირად კობალას ძმა-ხატი და თანამებრძოლი იახსარი ასრულებს. სოფ. გოგოლაურთაში ჩვენ შემთხვევა მოგვეცა ჩაგვეწერა სწორედ ის ვარიანტი, სადაც კობალა სხვის დაუხმარებლად უსწორებს ანგარიშს მოსისხლე დევებს. გავიცნოთ ეს უახლოესი ჩანაწერი:

იო

- შაიყრებიან დევები საცა ღიდ მოღდანია,
 გარიგებენ იმასა. ერთერთ უჭიროთ მქარია.
 ხეთისშვილთ მოუკლათ კობალა, თავში დაუცნეთ ქვანია.

- მივიდა საკმისის პირსა, იყურა საუბარია.
- 5 დევებს ესროლა საგმირო, თავს დააქცია ბანია.
 დევს გამოსთხარა თვალია.
 დევი ჩავიდა ტბაშია, თან ჩაყვა იახსარია.
 —მიშველე ლაშარის ჭვარო, შენი დამკირდა ძალია.
 მიიყვანეს და ზედ დაელეს—ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.
- 10 შამახნა ბროლის ქვაზედა, შამაიბერტყა მხარია.

(მთქმ. დავით გიორგის ძე მგელაშვილი, 32 წლის, სოფ. გოგოლა-ურთა, ფშავი. ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი, II, X. 1962 წ. ფ. არქ. ხ—192).

კოპალას თქმულებების ადრინდელი ჩანაწერები პ. უმიკაშვილის არქივში გამომქდაგნდა და ახლა ისინი უკვე დაბეჭდილიცაა (პ. უმიკა-შვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, 1964. გვ. 31—40). ელ. ვირსა-ლაძემ „ხალხური სიბრძნის“ III ტომში კოპალას ვრცელი გადმოცემა გამოაქვეყნა (ჩამწ. გ. ხორნაული), რომელშიც ლექსიცაა ჩართული. გავეცნოთ მის ტექსტსაც.

კ

ქარი იყო და ხვიოდა, ფოთოლი ჩამოდიოდა,
 მშვილდ-ქაიბური ბერისა ქუდიელზედა წიოდა.
 ბარდა, ბედელან ჩახოცნა, მუსასაც გული სტკიოდა.
 ხაშრულა იმთვენ არ იყო, რაც იმათ სისხლი სდიოდა.

ხალხური სიბრძნე. ტ. III, გვ. 195.

კპ

ღევიბი და იახსარი

- შაიყრებიან დევები, სადაც დიდ შეიდანია,
 გაარიგებენ იმასა, ერთურთ უქიროთ მხარია,
 ზეთის შვილთ მოუკლათ კოპალე, თავში დაუცნეთ ქვანია.
 გაიგეს ესე ღეთის შვილთა, ჩაგზავნეს იახსარიო,
- 5 ცხრა დევს, რომ დედა ჰყოლიყო, ცხრათა გამზრდელი არიო,
 ცხრანიე იმაში ჩახოცნა, თავს დააქცია ბანია,
 მეთუ თავქა გაიქცა, თან ჩაპყვა იახსარიო,
 იმასაც კარგა სცოდნიყვნენ საბაზალეთო გზანიო,
 უძირო ტბაში ჩავარდა, თან ჩაპყვა იახსარიო.
10. იზიღნა, ვერ ამოვიდა, სისხლით გაებნეს გზანიო,
 იმას ყმათ ბევრი ეძებეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო;
 მოიყვანეს და ჩაუკლეს, ამოვა იახსარიო.

(ნათ. გვ. 14).

1924 წლის მკათათვეში ხატობის დროს ეთნოგრაფ. ს. მაკალათიას ციხე-გორს, ფშავისა და ზვესურეთის საზღვარზე, ჩაუწერია გავრცე-

ლებული ლექსი „ღვთის კარზე შევიყარებით“, რომელიც დიდ სი-
ახლოვეს იჩენს ვაჟასეულ ჩანაწერებთან. რადგან ყოველი ლექსის თვი-
თეულ ვარიანტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და არსებობის სრუ-
ლი უფლება აქვს, სხვა ჩანაწერების მსგავსად, მასაც მთლიანად მოვი-
ყვანთ აქ.

კბ

- ღვთის კარზე შევიყარებით ლეთიშვილნ სამოცდაცხრანო,
გადმოდგენს სასწორ-ჩარქენი: „კეირაჲ, გევირე თვალიო“.
ქვემოლ, ბოლოში ჩამოვქე მე, ხატი იახსარიო.
ჩამაირიგეს ლეთიშვილთა, ვერვინ გაუგლო ქარიო,
5 გადავხე, ერთი აესწიე, „ღმერთო, შენ მომეც ძალიო“,
სამოც ფუთიან რკინასა ქვეშ გაუელიე ქარიო.
ღეეს მოუქნიე საგმირო, კლდეს მოაფარა თავიო,
კლდე ოთხად გაეანათოსე, ღეეს გაბოუთხარე თვალიო,
წაწადას ტბაში ჩაეარდა, მიძრნა და მოძრნა ტბანიო,
10 ღეთისაგან ვიყუე შათელილი, თან ჩაუყუე იახსარიო.
ღევი მოვიგდე ტბაშია, თავს დავამტერიე ფარია,
ამოსელით ველარ ამოველ, სისხლით შაიკრა წყალიო.
ხატი დავგრჩება წყალშია, — შაწუბდენ ჩემი ყმანია.
მაიყუანეს და დამაკლეს ოთხრქა, ოთხურა ცხვარიო,
15 ღეთისაგან იქნა ბრძანება, მერე გაიხსნა წყალიო,
ჩამოვქე ბელის კარზედა, შამევიბერტყენ მხარნია“.

(მაქ. ფ. 190).

ხელნაწერების ინსტიტუტში დაცულია ლექსი იახსარ-კოპალეზე,
სადაც ღევთა შეთქმულებაზეა ლაპარაკი (H 1999/ბ), რომელიც აქ
დაბეჭდილ ით ვარიანტს ემთხვევა.

1948 წლის 7 აგვისტოს, კახეთში საექსპედიციო მუშაობის
დროს, სოფ. ყვარელწყალში (პანკისის ხეობა. ღუისის საბჭო, ახმე-
ტის რ.) შამილ იოსების ძე ჩეკურიშვილის თქმით ჩავწერეთ ცნობი-
ლი ლექსის ვარიანტი. მას ჩემმა ინფორმატორმა გარკვეული სათაუ-
რი მისცა:

კბ

კოპალასა და იაკსარის გმირობა

შაქუჩნდებიან ღეეები, საცა დიდ მოედანია,
გაარიგებენ იმასა, ერთურთს უჭიროთ მჭარიო,
ღეთიშვილთ მოუკლათ კოპალა, თავში დაუცნათ ქვანია.
გაიგეს ხთის ნაბადებთა, ჩაგზაუნეს იაკსარიო.

- 5 მგლებურად გამეერივა, — ცხერებურად გასჭრა თავია.

- მე ხო არ დამმიწყებია საბაზალეთო გზანია,
 უძირო ტბაში ჩაიღდა, თან ჩაყვა იაქსარია,
 ჩახტა და ველარ ამოხტა. სისხლი დადგება მყარალი.
 ჩემ უმათა მალე მოგვისწრეს ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია.
- 10 შამოხდა ცივსა ქვაზედა, შამაიბერტყა მხჯარია.

(ფ. არქ. 31410).

ლექსში მოხსენებული გმირი საკუთარი სიტყვით მთქმელმა ასე დაახასიათა: „კოპალა იგივე წმინდა გიორგია. მას ძალიან შურობენ დევები. იმაზე არის ნათქვამი ლექსიო“. იახსარის ხატი პანკისის სათავეში მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირას მდებარე პატარა სოფელ ომალოშიც არის (ჯოყოლოს სას. საბჭო), რომელიც ჩვენ თვითონ ვინახულებთ.

პანკის ხეობაში მცხოვრებ ფშავლებში იახსარ-კოპალას ლექსები ფართოდაა ცნობილი. ამას ადასტურებს აპ. ცანავას მიერ სოფ. ბაყილოვანში დავით მახარას ძე ლუბიანურის თქმით, 1948 წლის აგვისტოში, ჩაწერილი ლექსი.

ქმ

იახსარი

- შაიყრებთან დევები, საცა დიდ შეედანია,
 გაარიგებენ იმასა, ერთურთს უჭიროთ მხარია.
 ლეთიშვილთ მუელათ კოპალა. თაუზე დავხურნოთ ცანია.
 გარეეს ღვთის ნაბადებთა, ჩაგზავნეს იახსარია.
- 5 ცხრა დევთ დედაბერ ყოლიყოთ. ცხრათივე გამზრდელი არია.
 ცხრანივე მაშინვე ჩახოცა. თაუც დააქცივა ბანია,
 მეთათე პირთავექე გაექცა, თან გააყვა იახსარია,
 იმასაც კარგად სცოდნიყო საბაზალეთო ტბანია,
 ჩაუხე და ველარ ამოუხე, სისხლმა გამაზნა მჯარია.
- 10 შე-დი წლის ქალი შორდა თამარი დედუფალია,
 ზღკასა გადააქრა ჩიქილა, გადააქნა ზღვანია.
 შამოუხე დარსა ქვაზედა, შამოვიბერტყე ფრთანია.
 ღელის გორს შამიკიდოდეთ ჩემი პატარა ზარია.
 დაქკან. ხმა ახადს გაუარდეს, პარს დიწყრონ ჯვარია,
- 15 დადგოდეს სალოცავადა ჩემის პირქუშის უმანია.
 გარავე გამოდოურიძე ქორ-შავარდენი ჩქარია.
 დაარჩევს ფშავის შვილებს. მოკლუზე უცანი გზანია,
 მეორე დღესა ჩაყვიდეს ტერელოშია ხარნია,
 აყრიან სეტყვისავითა, ტყვიას არ მიაქვს ძალია,

1 ღვთის გაჩენილთა.

2 სახელია, ფშავების მთავარი გმირი იყო.

- 20 ნუ გეშინია ფშავებო. ერთურთს უკირეთ მხარია, გვერდს გიღვათ ლაშარის წვარი, გუკრით დაელათისჲ ქარია, ლაშარის გოიზე შიძობთა ბევრი ხარი და ცხვარია, ბევრ ფშაველ ცოცხალ მოიდა. ბევრ იქავ დარჩა მკედარია. იმას შენდობა უთხროდით. თუ გელგეთ ლუღის ცვარია.
- 25 ე მაგის მოღვესებელი აღვანში თუნის ქალია, სიღვესოდ გამოძახავენთ თეთრო ქორა ხარია, ან თითო საურ-ბეველი. ავრიალებდეს ქარია, დარბაზის კარზე დავილო. ჩემ სწოროთ ექნება თვალა.

(ფ. არქ. 31455).

კახეთში ამგვარი ტექსტები 1961 წლის სამეცნიერო-ფოლკლორულ ექსპედიციის დროსაც იქნა მიკვლეული. სოფ. სართიქალაში, შიო დანიელის ძე ჩოხელის თქმით უჩა ცინდელიანმა 27 ივნისს ჩაწერა ორი ლექსი.

კვ

შაიხრეზიან ლეთიშვილნი

შაიხრეზიან ლეთიშვილნი უბრალო მეიდანხედა, ერთმანეთს ეუბნებიახ. მაგრა უკიროთ მხარო. ტბაში ჩაკვიდნენ დევები. თან ჩაკევა იახსარო.

(დაიკარგა ხატი. აღარ ამოვიდა ტბიდან. ოთხი დღე დაკარგული იყო).

ჩემს ყმასა სადმე ეშოვნა ოთხრქა, ოთხურა ცხვარო,

5 (დაკლეს და ზღვაში ჩაჰყარეს)..

მეოთხე დილა გათენდა შამოხდა იახსარო.

(ფ. არქ. კ. 2. გვ. 147).

ჩენი დროის ბარში მცხოვრებ მთქმელებს, თუნდაც ისინი ფშავესურებიც იყვნენ წარმოშობით, ხშირად აღარ ახსოვთ ძველი ტექსტი და აცხადებენ: მეტი აღარ ვიცითო. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ჩოხელთანაც.

1961 წლის კახეთის ექსპედიციამ ივრის ხეობა მთლიანად მოიარა. მან ერწოს ყველა სოფელი გამოიკვლია. აი, სოფ. მაგრანეთში ექსპედ. წევრმა პედაგოგმა ნათელა შაქრიაშვილმა გოგი ხეთისოს ძე მათურელისაგან საკმაოდ სრული ტექსტი მოიპოვა.

იახსარის ლექსი

- ღეთის კარზე შავიყარენით, ღეთის შვილს სამოცდაცხრანია,
 გადმოდგეს სასწორ-ჩარეკი. კვირავ, გიკვირე თვალია.
 ჩამაირიგეს ღეთისშვილთა. ვერკინ გაუელო ქარია.
 მივე და მენაც ავწიე; ღმერთო, შენ მამეც ძალია
- 5 სამოც ლიტრიან რკინასა ქვეშ გავუვლიე ქარია.
 ღვეს შაუქნიე საგმირო, კლდეს მამიფარა თავია.
 კლდე ოთხად გავანათოსე, ღვეს გამოვთხარე თვალია.
 წაწადას ტბაში ჩავარდა, მიძრა და მძძრა წყალია.
 ამოსვლით ველარ ამოვე, სისხლით შამიკრა გზანია,
- 10 ღეთისაგან იყო ბრძანება, მერე გაიხსნა წყალია.
 შამაეჯექ ბელის კარზედა, შამაგიბერტყე მზარნია,
 მტრედით შამაველუღენე; მენა ვარ იახსარია.

(ფ. არქ. კ 43, გვ. 64).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ზოგიერთი გამოტქმის გამო. 1. „გავანათოსე“ (7 სტრ)—ღედანში „გავანათოსე“ სწერია, მაგრამ იგი უფრო შეცდომა უნდა იყოს. 2. „წაწადას ტბაში“ (8 სტრ) შემკრებს ღედანში „წინასწარ“ უწერია, მაგრამ ისიც შეცდომა უნდა იყოს, რაკი სხვა ლექსებში „წაწადას ტბა“ მოხსენებული, ამიტომ ვასწორებთ.

თიანეთში, ივრის ხეობაში მუშაობამ ფოლკლორულ ექსპედიციას იახსარის ციკლის რამდენიმე ნიმუში შემატა. ექსპ. წევრმა უჩა ცინდელინამა სოფ. ყუღროში (თიანეთის რ.) სამძიმარა ბეწინას ასულ არაბულისაგან ჩაწერა ლექსი“ ღეთის კარზე შავიყარენით ღეთის ნაბადებნი ცხრანო“. პირველ ტექსტივე ჩანს ვარიანტული თავისებურება, აქ საუბარია 9 ნატამალზე, ღეთის ნაბადებზე ანუ ღეთისშვილებზე.

კზ

- ღეთის კარზე შავიყარენით ღეთის ნაბადებნი ცხრანო,
 გადმოდგეს სასწორ-ჩარეკი: კვირავ, დაუდგი თვალიო!
 მიდიან, ეზიდებიან, ვინც უფრო ძალიანო.
 მაგას ვერავენ ვერ ასწევს, თუ ასწევს იაკსარო.
- 5 მე რო წავიდე სკამითა, ღმერთო, შენგნიე ას ძალიო.

(ფ. არქ. კ 47, გვ. 88)

ყველა მოქმელი, რომლის რეპერტუარშიც კოპალა-იახსარის ციკლის ნაწარმოებები დადასტურდა, მთიელია. სულ ერთია სად იქნა ჩაწერილი ტექსტი, უშუალოდ მთაში, თუ ბარად კახეთში. შუა კახეთის, სოფ. ქისტაურის მცხოვრები მოქმელიც წარმოშობით მთიელია—

ალუდაური თაძია გიორგის ძე. ჩამწერი უ. ცინდელიანი. (ფ. არქ. 1 კ, გვ. 308. კახეთის ფოლკლორული ექსპ. მასალებიდან).

34

ლვთის კარზე შაიურებიან

- ლვთის კარზე შაიურებიან ლვთის ნაბადებნი ცხრანიო.
სამოცდასამი ლვთიშვილი, შვიდ რიგად დასხდა ჭარიო.
გარმოდგეს სასწორ-ჩარეჟი: კვირაჲ, დაუგი თვალიო.
მიდიან, ეზიდებიან, ვინც უფრო ძალიანიო.
- 5 მაგას ვერაჲინ ვერ ასწევს, თუ ასწევს—იაქსარიო.
შე რო წამოვდე სკამითთა, ღმერთო, შენგნივ ას ძალიო!
კვირაჲს ორი მოვსთხოვე, გადმომიშეტა სამიო.
ას ფუთიანსა სინასა ძირში გაუგდი ქარიო.
წალაღეს ქაქმატის ჭვარი, დევებს მათელი თვალიო,
- 10 დევებს ხქონიყო ქორწილი, ეჩქეიფა სიმურ წყალიო.
საკეამითთ ლახტი გადუშვი, ზედ წამოვაგე ბანიო.
ერთ კიდენ დამრჩა ცოცხალი, კლდეს მომიტოლა თავიო.
კლდე ოთხად გავახეთქიე, დევს წამოვსთხარე თვალიო.
ამ ოქერს კარგა სცოდნიყვეს აბუღალაურ ტბანიო,
- 15 ჩაიღდა დევის პატრუჟი, თან ჩავეყე იაქსარიო.
ჩაველ და ველარ ამოვე, სისხლმა გამოიბნა მქარიო,
ჩემ მოძმეთ ეხლა იძიან ოთხრქა, ოთხყურა ცხვარიო.
წამაიყვანეს, ჩამაკლეს, სისხლმა ამიშვნა მქარნია,
შამავეყე ბროლის ქვაზედა, შამაიებერტყე მქარია,
- 20 ჩაეხენე ჩემსა ნაჭდომსა, კრელ მომრჩალიყვენეს ქვანია.
აქედან კარატემდენა თოკ-შიბით გასაველია.
ამაზედ ეგრე გავიელი, ვერეინ მამკიდას თვალია!
გზას ყმაწვილ შამომეყარა, შვიდის წლის უმეცარია:
—საით მახვ, გმირო კოპალავ, დაღალულ, პიროფლიანი.
- 25 კულაც მე გამიყოლიდი, ენით ორ ლაქარდიანი.

ტექსტს დართული აქვს განმარტებანი, რომელთა შინაარსი განსხვავდება ანალოგიურ ცნებების სხვა კუთხის ახსნისაგან, კვირაჲ — „ღმერთის მოადგილე, ანგელოზი“. სიმურ წყალი—ნარევი, მღვრიე წყალი“. ლაქარდიანი — „ენა მოსწრებული, ფოლორცი“.

1962 წელს წითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვებაში, შ. ფიროსმანიშვილის თქმით, გ. შეთეკაურმა ჩაწერა კიდევ ერთი კახური ვარიანტი.

დევებს ჰქონიათ ურილობა

- დევებს ჰქონიათ ურილობა, საც დიდი მოედანია.
 დევებს ეს გაურიგებაჲ, ერთურთს უჭირათ მკარია.
 ღვთისშვილთ კოპალა მოუკლათ, თაჲნი დაუცნათ ქვანია
 გაიგო დამბადებულმა, ჩაგზავნა იაკსარია
- 5 ზღვას წაუქნია ჩიქოლა, ზღვა აღარ შამაბრუნაო.
 ცხრა წლისა ეგეც ჩამოვა, თამარ დედოფლის ქალია.
 ქელში უჭირავ ლურჯაი, ფეკს უკრავს რკინის ნალია.
 უბრძანა ფშავლის შვილებსა, მთას შამოკავლათ თვალია.
 დალაღებულმა ფშავებმა მარდად გაღესეს კმალია.
- 10 ვინც არ გაღესა, გადაკრა, ომი გაჩაღდა ცხარია.
 ჩაიდნენ ერელოშია, ციხეა გაულეა კარია,
 იქდან გამარკევა ცხვარ-ცხენი, ქაოჯანია,
 უკან შაიდევდა მღვეპარი, ნარჩევი ქისტი უმანია.
 სეტყუასაეითა აურთან, ტყვიას არა აქე ძალია.
- 15 ნუ გიხარიათ, ქისტებო, არ არი ჩენი ბრალია
 თქვენ გიხაროდეთ ფშავებო, გტანოდეთ ლაშრის ჭვარია,
 აჟადი ღელეს დამკიდეთ ჩემი პატარა ზარია,
 დაკრას, კმა აჟადს ჩავიდეს, იქ დაიწერან ჭვარია.

(ფ. არქ. კ. 118, გვ. 165).

ზემოთ არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ღვთისშვილთა ლექსები ხატობის დროს რიტუალური ფერხულის სახით სრულდება და სიმღერით წარმოითქმის. ასეთი „სიმღერე“ სანოტო ჩანაწერის სახითაც მოგვეპოვება. იგი შესრულებულია შ. ასლანიშვილის მიერ სოფ. დართლოში (მთა თუშეთი) საბა კაბუჯაის ძის შესრულებით. ლექსს „იახსარის სიმღერა“ ეწოდება და ნოტებთან ერთად გამოქვეყნდა 1956 წელს. გავეცნოთ ამ თ უ შ უ რ ვარიანტს, რომელიც თითქმის არ განსხვავდება მისი ფშავ-ხევსურული სეხნიებისაგან.

ლ

იახსარის სიმღერა

- დევებსა ჰქონდათ ურილობა, საცა დ-ღ მოედანია.
 დევებს ეს გაურიგებაჲ: ერთურთს უჭირათ მხარია:
 ღვთის შვილთ მოუკლათ კოპალე, თაჲში დაუცეთ (დაუცნათ)
 ქვანია.
 ვიორგი (ვირია) დამბადებულმა ჩაგზავნა იახსარია.
- 5 ჩაიდიდა, იგრე ჩამთხო, როგორც ნადრმა ცხვარია.
 ცხრა წლისა ქალი გადმოხტა—ის თამარ დედოფალია.
 შუა ზღვას დაკრა სამანი, არ გადმოვიდეს ნამია.
 პირდაპირ ჩამომდგარიყო ნაღდი (ლაღი) ლაშარის ჭვარია.

- ხელში გეპირა ლურჯაი, ფეხს ეკრა ოქროს ნაღია;
 10 წელში მეტანა მათრახი, გაშალოს, შვიდი მხარია.
 უბრძანა ფშაელის შვილებსა: „მთებს გადაეაელოთ თვალია“.
 გალაღებულმა ფშაველმა უველამ გალესა ხმალია.
 ეინც არ გალესა, გადაჰკრა, იმის ნაქერი მწარია.
 ჩავიდეს არხოტის თავსა: „ციხეე, გაგვრღე კარია!“
 15 არხოტით შემაბრუნეს ცხვარ-ცხენო, ხაროვანია,
 უკან მისდევდა ქისტები, სულ ნარჩეე მეომარია.
 სეტყვასაისეთ მოდიოდ. ტუეიას არ მოჰქონდ ძალია.
 „გეტანათ ლაშარის ჭვარი, ბედის გიქროდათ ქარიო.
 დელისა გორსა დაჰკიდონ ჩემი პატარა ზარიო
 20 დაჰკრან, ხმა ახატს გაეიდეს, პირ დაიწერონ ჭვარიო“.
 ემაგის მომღექსობელი ალენში თუშის ქალია.
 საღექსოდ გამომიგზავნეთ თეთრი ქორაი ხარიო.
 გულლადი არა გეგონოთ, მეე მად მომიცლეს ქმარიო.

(ასლ. 11, 145, 167).

სიმღერას საერთო ტრადიციული დაბოლოება აქვს მალექსებლის შესახებ, რომლის მსგავსი რამ ხევესურულ ტექსტებშიც იჩენს თავს და მაშასადამე, იახსარის არც დამახასიათებლად, და არც გამლექსავად არ ჩაითვლება.

70 წლის ნინი აფციაურის, ყოფილი დეკანოზის, თქმით სოფ. დუმაცხოში, მთიულეთი, 1950 წელს ჩაიწერა საფერხულო ტექსტი, რომელსაც სათაურად აქვს „იახსრის ლექსი“.

ლა

- ხთის კარზე შაეიყარენთ სამას სამოცდა შვიდნია,
 —სამას სამოც ფუთ რკინასა ძირ ეინ გაუდენს ქარია?
 ყველას ბოლოში მე ეზოეარ, ყველას ჩემზე აქ თოლია;
 მაგას იახსარ აიღებს, მაგას აქვს მაგის ერია.
 5 წავე და იმას აუწიე, ძირს გაუდინე ქარია.
 კიდევაც უთხარ კვირესა, დაჰკარბოდეს სამია.
 ავდე და კარზე მუუდექ, მეე მამცეს დიდი ზავია.
 კარიდან ველარ დაეწონე. ცხრათავი დედა ჰუოლია.
 რჭულძალი ეჭდა ჭარასა, ცხრა ვაეის გამდელ ქალია.
 10 ჟრიაბული დგას ცაშია, ჩამოდის დიდი ჩქამია.
 გადმოიხედეს ხთისშვილთა, რას სჩადის იახსარია?
 ერთი მათ მუეჭირითე, ქვას მათარა თავია (დევმა),
 ერთ კიდევ გამამექცევა, გამაიქცევა ჩქარია.
 რჭულძალსა ახლო სცოდნეუო მიდელაურის ტბანია.
 15 ერთ იმას მუეჭირითე, ქვას მათარა თავია.
 ქვა ოთხად გაანაფოტა, დევს გამოსთხარა თოლია.
 დაბრუნდა, ზღვაში ჩაეარდა, თან ჩაეყეე იახსარია.
 იქაც ხო ბეერი ვიომე, სისხლით გამემა მხარნია.

- ჩემ ყმათაც მოუყვანია ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია...
- 20 მოიყვანეს და ჩამოკლეს, იმით გამეკვნა მქარნია.
ჩამოვჩე თეთრსა ქვაზედა, შემოვიბრუნე მქარია.
მტრედღივით შემოვლულუნე:—მენა ვარ, იახსარი!
შევ კლდეზე თოკი გაუბამს, იახსარ გამოვალისა...
—გაუღდე შავსა გორზედა, იქაც ყოფილან კერპნია.
- 25 ცხრანივე ძმანი ყოფილან, ცხრათა უგია სახლია.
ცხრანი ქვას ეზიდებოდენ: „აქ დავდვით კარის თავია“
მივე და იმას ავწივე, მე დავდევ კარის თავია...
ერთმანეთს უთხრეს იმათა: „ეს ჩვენზე ძალიანია...“
- 30 თუ ჩვენ ჩვენი გზა არ ვნახეთ, ჩვენ დღე აღარა გვექონია.
თავთავექვე ჩამეემათნენ ჩემზე დაყარა თოლია
ერთი მათ მალეჟირითე, მიწას ავარდა ბოლია...
შავგორზე შამოკიდოდეთ ერთი ბატარა ზარია...
დაუკრან დღეობაშია, აქქას გავიდეს ჩქამია.
აქწამი ქალმა და რძალმა იწერონ პირჯვრის ჭეარია.

(ვირსალ. მთ. 233).

მთიულურ ვარიანტს ზოგი ადგილობრივი თავისებურება გააჩნია. ენობრივი გარსის გარდა ამაზე მიუთითებს კერპებზე საუბარი („იქაც ყოფილან კერპნია“) და ტოპონიმიკური სახელები.

ზმირ შემთხვევაში იახსარისა და კოპალას ლექსები ერთმანეთშია შერწყმული, უკეთ ერთი და იგივე სიმღერა ორივეს მიეწერება. ის, რაც იახსარს შეეხება, კოპალაზეც ითქმის. ამის მაგალითს წარმოადგენს 1964 წელს ფშავში ჩაწერილი ლექსი:

ლა

კოპალას ლექსი

ხთის კარზე შავიყარნით სამას სამოცდა რენია;
სამასსამოც ფუთ რკინასა ძირს ვერ გაუგდეს ქარია!
ყველა მე შამომყურებდა, ჩემზე ეკირათ თვალთა:
—მაგას კოპალა აღდებს, მაგას აქვს მაგის ძალია.
ავწიე, მკლავი დავკვიმე, ძირს გაუყენე ქარია.
სუყველა გაიძახოდა: „ეს ჩვენზე ძალიანია“...

მთქმელი ბადრიშვილი ბიკური კრელას-ძე, 76 წლის, ჩაწერა ნ. შამანაძემ 1964 წ. სოფ. შუათხოში. ფ. არქ. ფ—204.

იახსარის ლექსი საოცრად გამძლე ნაწარმოებია. წარმართობის ხანიდან მომდინარე ტექსტი სხვადასხვა სიტყვიერ ვარიაციებში დღესაც იჩენს თავს. ამის მაჩვენებელია ბუჩუკურთელი მასწავლებლის თინათინ ლოსეთრაშვილის მიერ 23. I. 1965 წელს მოწოდებული ჩაწერი, რომელიც შესრულებულია ჩემი იმ სოფელში ყოფნის შემდეგ (1964. 7. X).

განსხვავება პირველად ენობრივი სამოსელის მხრივ იგრძნობა: ძველი დიალექტური ფორმები ხშირად ლიტერატურული ნორმის მიხედვითაა გამართული. ეს გასაგებია: ახლად ჩამწერი კლოურ ფორმებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. გავეცნოთ ამ უახლოეს ტექსტსაც.

ლგ

იახსარის ლექსი

- შაიყრებიან დევები, სადაც დიდ მოედანია,
გაარიგებენ იმას—ერთურთს უკეროთ მხარია.
ხთიშვილთ მოუკლათ კოპალა, თავში დაუცნეთ ქვანია.
ეს რო კოპალამ გაიგო, გაგზავნა იახსარია.
- 5 ცხრათავა დედა ჰყოლიო, ცხრათა გამზრდელი ქალია,
ჯარასა სძახდა რჯულძალდი, ცას ეძლეოდა ჩქამია.
საკმისას ლახტი ვესროლე, თავს მივაქციე ბანია,
ერთაი კიდევ გამექცა, კლდეს მოაფარა თავია.
- კლდე ოთხად დაენაფოტე, დეეს გამოვთხარე თვალთა.
10 კარგად სცოდნიო რჯულძალსა აბუდალეთის ტბანთა.
ჩამივიდა და მეც ჩაეყე, სისხლმა გამიბა მხარნთა.
მიშველე, ჩემო გამჩენო, ღმერთო, დამიბსენ გზანთა.
მოიყვანეს და დამაკლეს ოთბრქა-ოთხყურა ცხვარნთა.
შამოხეხე ბროლის ქვაზედა, შამოვიბერტყენ მხარნთა,
- 15 კარატე მომცეს სანაცვლოდ, ზედ თოკი გასავალია.

მთქმელი დ. ლოსეურაშვილი. ჩაწერა თ. ლოსეურაშვილმა სოფ. ბუჩუკურთაში (დუშეთის რ.) 1965 წ.

იახსარის თემატური რკალის შეკვრისათვის კიდევ ერთ ვარიანტს ვაჩვენებთ სულ უკანასკნელ ხანში ჩაწერილს.

ლდ

- კარატის წვერზე ვშვენდები სთიშვილი იაკსარია.
კარატით შუბნურამდენა შიბოთ მაჭის გასავალია.
ხუთი შავსთხოვე უფალსა, გაღმამრეტა სამია.
საგმირო წამოვიმარჯვე, დეეს წამავსთხარე დე.ლია.
- 5 დევი ჩავიდა წყალშია, თან ჩაქყეე იაკსარია.
შამამწურა მარივე ღმერთი—დიად გიქნაეის ძალია.

(მთქმ. მათე გიორგის ძე ბინიგაური, 51 წლის, დამთავრებული აქვს 6 კლასი. ს. ჟინვალი, დუშეთის რ-ნი, 1969 წ. 19 ოქტ. ჩამწ. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი დ. გოგოჭური, ფ. არქ.).

მთქმ. გ. აფინაშვილი, ჩამწ. დ. ხიზანაშვილი. კოტ. გვ. 259—60.

უძველესი საეკლესიო პოეზიის გარდაქმნის მაგალოთს წარმოადგენს. საშუალო საუკუნეებში, როცა თამარ მეფე ქრისტიანული ეკლესიის მიერ წმინდანთა შორის იქნა შერაცხილი და მისი გამოხატვა დაიწყო ეკლესია-მონასტრებში, მან ხალხურ მითოლოგიაშიც კპოვა ასახვა, მაგრამ არა მარტო ქრისტიანული, არამედ უფრო წარმართული ფორმითაც. ხალხის მიერ თამარი ღვთისშვილად იქნა აღიარებული და ძველ ხატობა-დღესასწაულებს, კერძოდ ლაშარობას დაუკავშირდა. ამ ნიადაგზე გაჩნდა თამარის ხსენება რიტუალურ ლექსებში, ხოლო ფშავში სათანადო ხატიც შეიქმნა და 2—3 ივლიანი მის სადიდებელ დღეებად გამოცხადდა. ხატის წარმოშობას წესჩვეულებრიობა მოჰყვა: დაწესდა—თამარის ცხვარი, გაჩნდა თამარის ზეარი, მამული სხვადასხვა პირთაგან შეწირული, მსგავსად ლაშარის ჯვრის და მთავარანგელოზის მამულებისა. საყურადღებო ცნობებს იღვევა ამაზე ვაჟა 1902 წელს დაწერილ ნარკვევში: „თამარის ცხვარი ფშავში“ (თზზ., V, 191).

თუ ამის კვლობაზე ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ. რომ ლექსი „ბრძანება დამბადებელი“ შექმნილი უნდა იყოს მე-12 საუკ. ბოლოს ან მე-13 ს. დასაწყისში. ჩვენამდე ლექსს, რა თქმა უნდა, თავდაპირველი სახით არ მოუღწევია, მასში შერწყმულია სხვა ნაწარმოებებიდან მომდინარე ტაეპები. მაგალითად, როგორცაა ლექსები: „თამარის ეპიტაფია“ და „თამარ დედოფალი ვიყავ“. საკმარისია ორივე ტაეპის შედარება, რათა აღნიშნულის სისწორეში დაერწმუნდეთ. ლექსში „ბრძანება დამბადებელი“ ნათქვამია:

ხმელით თავისად მაიგდო, იმღენი აქის ძალია,
შუა ზღვას დაადგა სამანი, სამანი რკინის სარია.

ახლა გავიხსენოთ რა არის თქმული ცნობილ ხალხურ ეპიტაფიაში:

ზღვაში ჩაყარე სამნები, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე...

(კოტ., 144)

ამრიგად, თამარის სალოცავის შექმნა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ღვთისშვილთა ამსახველ პოეზიაში შემოსვლა ძველი დარგობრივი მითოლოგიის საშუალო საუკუნოებრივ გადამუშავების თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს (შედრ. აქვე. III, 15, 16). ლექსის მეორე ნაწილი დამოუკიდებლადაც გვხვდება (მაკ. ფშ. 209).

ჩამწ. ვ. ბარდაველიძე. სოფ. დოკუე. მთათუშეთი, ომალოს საბჭო, ახმეტის რაიონი. მასალ., 1, 47.

იშვიათი ლექსია ისე, როგორც თვითონ „ღეთისშვილ“ ფიწალეს ხსენება იშვიათი. ფიწალეს ბატონობით მიმართავენ და კოპალეს უთანაბრებენ. შესაძლებელია, „ფიწალე“ ხატის სახელი არც იყოს და ადგილს აღნიშნავდეს, სადაც, ხევსურეთის მაგალითის მიხედვით, მართლაც არის ხატი, მაგრამ არა „ფიწალეს“, არამედ იახსარისა. მაშასადამე, ლექსი ხატის მსახურთ მოსვლას ასახავს თუშეთში. ამ უკანასკნელთ კი სალუდე ქერის წაღება და ხარ-ყოჩთა ჩაყვანა ჰქონდათ დაკისრებული.

97. ბულის კარძება

ჩამწ. ბეს. გაბური, სოფ. კიმლა, ხევსურეთი. 1926—28 წწ. შან. № 550.

98. ნაბღებურ გამასთელეზდა

თვითჩამწერი ბესარიონ გაბური, სოფ. კიმლა. ხევსურეთი. ჩაწერილია 1926—28 წლებში. შან. № 552. ამგვარად მიმართავენ ჯვარობაზე მოსულ მახვეწრებს.

ერთი ვარიანტი ჩაუწერია ალექსი ალექას ძე ოჩიაურს, სოფ. ახი-ელში, ხევსურეთი, 1925 წლამდე. შან. № 552 ბ.

ა

დიდის ბატონის გამძღონო, ქვეა დიდი მოგეკელებათ.
დიდი ას თქენი ბატონი. ცის ვღელ-გიღელ დაღება.
ვისაც შამცოდეს მიიგდებს, ნაბღებურ გამასთელეზდა.

იგივე ტექსტი დადასტურებულია ბაბუკი არაბულის რეპერტუარში 1913 წელს (შან. გვ. 597).

იმავე ლექსს წმინდა სოციალურ სფეროში გადატანაც ემჩნევა. ასეთია თ. რაზიკაშვილის ხევსურული ჩანაწერი:

ბ

ბატონის დიდის გაზდილო, ქვეა დიდი მოგეპოვება.
შამცოდეს ვისაც მიიგდებ, ნაბღებურ გამოსთელედა.

(შან. გვ. 598).

ჩამწ. თ. რახიკაშვილი. ხალხ. სიტ., III, გვ. 22.

ხახმარის ხატი ძლიერ ხატად ითვლება მთელს ხევსურეთში. სახელწოდება სოფლის სახელიდან მიმდინარეობს. ხახმატში, ხევსურეთის არაგვის სათავეში მდებარე ამ პირაქეთის უკიდურეს სოფელში ორი ჯვარია, ერთი ქვევით ბისოს საზღვარზე და მეორე ზემოთ ველკეთილის მახლობლად. ორივე გიორგის სახელს ატარებს. ორივე სალოცაევი, განსაკუთრებით პირველი, გზის მშენებლობის დროს გადმონაყარი ქვა-ლორლით დაზიანებულა, როგორც ეს 1964 წლის 5 ოქტომბერს ვნახეთ ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნის დროს.

100. ხორასნის ლაშქრად ვიხავით

მთქმ. სეთურიძე ისაკო აბრამის ძე. წერა-კ. მც. მცოდნე, ყოფ. დეკანოზი, 76 წლის, სოფ. სეთურნი. მთიულეთი. ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1950 წ. ვირსალ., 230; ფ. არქ. № 34046.

ელ. ვირსალაძემ გამოაქვეყნა ამ ლექსის სხვა ვარიანტებიც:

ა

ხოროშან ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი.
 იქ გავიგონეთ ქლერანი ქამურ ბერციხის კლდისანი.
 მუკლი გვექონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ქარმაგისანი.
 სადილით სამხრობამდისა ქამურს დავლახეთ ქვიშანი.
 5 შეიღნი ჩვენ, შეიდას ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენით:
 გაშქრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით.

იხ. უმიკ. № 96, ჩამწ. 1876 წ. (ლომისობას მღერიან მღეთს დამის გარშემო, პ. უ.) ლექსში ამირანიანის კვალი შეიმჩნევა (იხ. პ. უმიკაშვილი, I, გვ. 355). იგივე ლექსი გავრცელებულია სიმღერის სახითაც, მხოლოდ დამატებული აქვს სხვა ლექსის ნაწილი: „ლომისას ჯაკვი ჰკიდიდა“.. ქართ. სიმღ., I, 79—80.

ბ

მანდ შამოგვესმა ქლერანი ქამურბეგ ციხე-კლდისანი.

ბუჩქუკური გიორგი გამეზარდას ძე, ფ. არქ. № 32286 ა. სოფ. ქიმბარიანი, ჩამწ. ა. ცანავა.

გ

ხოროშანს ლაშქრად ვიყავით ჩვენ ლომნი ლომისისანი.
 წინ შამოგვესმა ქლერანი ქამურ ბერციხის კლდისანი,

მუკლი მქონდა და ვიკმარე ის ჩემი ჰარმაგისანი,
სადილით-სამპრობისინა ვამურ დავლახე ქეიშანი.

მთქმელები მნათობიშვილი ნინიკა. 100 წლის და ბურდული შაქ-
რო., სოფ. უკანამხარი. ფ. არქ. № 32220, ფ. არქ. № 34039.

ღ

ლომისა ლაშქარად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი,
იქ შამოგვესმა ჯღერანი ვამურ ბერციხის კლდისანი.
მუკლი გვექონდა და ვიკმარეთ იმ ჩემი ჰარმაგისანი.
სადილობიდან სამკრამდი ვამურ დავლახენ ქეიშანი.

მთქმ. ბურდული ზაალ, სოფ. ქვემო მლეთა. ფ. არქ. № 34029.

ახლო ვარიანტი იხ. დ. არაყიშვილი: Грѣхъ. Мѹхъ. Иаръ. Тѹрѹхъ.,
1916.

მთქმ. ბურდული შაქროს, სოფ. ქვემო მლეთა, განმარტებით:
თავდაპირველად ლომისა ბურდულებისა არ ყოფილა. ყოფილა პატა-
შურების. თურქები სცარცვაედენ ხატებს. ლომისას ხატი წაუღიათ ხო-
რასანში. ბურდულების მეთაურობით ხატი ხორასნიდგან მოუტანიათ.
ამაზეა ლექსი (ვირსალ. 504).

ლომისის ხატის დახასიათებისათვის საინტერესო თქმულებებია
ფიქსირებული მთიულურ ზეპირსიტყვიერებაში (ვირსალ. გვ. 229—30,
305—7, 502—505).

101. გერგებულა

ჩამწ. ს. მაკალათია (მაკ. ხევი, 223). სამების ტაძრის ეზოში სამ-
ღერელი ლექსი, რომელსაც ხალხში „გერგეტულას“ უწოდებენ. არ-
სებობს ვარიანტები.

ა

დიდია წმ. გივარგი, ცისკიდურამდე ელავსა,
თავის ყმის გამჭავრებელსა ნაბადივითა სთელავსა.
ხელნი უპირავს მათრახი შვიდეცი, შვიდი მხარია,
რასაც გადაკრა-გადასწვდა, მაგის დაკრული მცხარია.

(მაკ., ხევი. 233).

სამების ტაძარი დიდებულ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც აგე-
ბულია მყინვარწვერის მახლობლად გერგეტის მთაზე. აქ ხატობა ორ-
ჯერ იმართებოდა, პირველად ფერისცვალებას, მეორედ აგვისტოში
„მარიამობას“. 1945 წელს ჩვენც გვექონდა შემთხვევა დავსწრებოდით

მარიამობის დამისთევასა და დღეობას. ადრინდელი ცნობები შეკრებილი აქვს პ. უმიკაშვილს (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. 4, 1964 წ.).

1875 წელს პ. უმიკაშვილი დასწრებია ტრადიციულ დღესასწაულს და მოზრდილი ნარკვევიც დაუწერია: „სამებობა სოფელ გერგეტს“ (ფ. არქ. უმიკაშვილის კოლექცია). სამების ძეგლის ისტორია საკმაოდ არის ცნობილი. ტაძრის დამცველებად თავიდანვე გერგეტლები ყოფილან გამოყოფილი, რაზედაც მტკიცედ მოუთხოვრებს ზეპირსიტყვიერი ტრადიცია. უნდა ვიგულისხმოთ, იმ ადგილას, სადაც ახლა ქრისტიანული საკულტმსახურო ძეგლი დგას, უწინ წარმართული ხატ-სალოცავი იყო აღმართული. ამით აიხსნება ის საოცარი სიმბიოზი, რომელიც დღესაც შეიმჩნევა წესჩვეულებათა შესრულებისას. როგორც ყველა სხვა დიდ ხატს, სამებასაც თავისი რიტუალური სიმღერა და ფერხული ჰქონდა. ადგილის მიხედვით დროთა განმავლობაში ხალხურ სიმღერას „გერგეტულა“ შეერქვა. „გერგეტულას“ ტექსტები სხვადასხვა შინაარსისაა; სასულიეროსთან ერთად მასში საგმირო-სავაჟაკო მოტივებიც მკაფიოდ ისმის. „აქაური სიმღერები მეტად შესანიშნავი სიმღერებია, — წერს პ. უმიკაშვილი, — ამ მთის წვერიდამ გაისმის მშვენიერი ხმა სიმღერისა და უპირველესი ხმა მელოდია. ის მელოდია, რომელსაც შავლეგოს სიმღერას ააყოლებენ ხოლმე ბარათა. ამ ხმას ფერხულს ვეძახით. პირველში ამ ფერხულში კაცები არიან და მერე ქალებიც ერგვიან. ამ სიმღერებში მრავალი აზრია: სიყვარული, მტრობა, სტუმართმოყვარეობა და ყველაზე მომეტებულათ ვაჟკაცობა და თავისუფლების სიყვარული. ამ მთის წვერიდგან გასძახის ეს ხალხი თავის სიმდიდრეს, სიქადულს თავმომწონეობით.

3

ღიღია წმიდა სამება, ცისკიდურამდე ელავსო,
თავის ყმათ გამჭავრებელსა სულ წიხლის ქვეშა სთელავსო...

3

წმინდა სამება

ღიღია წმინდა სამება, კილით-კიდემდე ელავსო,
თავის ყმის გამჭავრებელსა ნაბადივითა სთელავსო.

მთქმ. ანზორ მიხეილის ძე მარსაგიშვილი, 27 წ. სტუდენტი, სოფ. სიონი, ყაზბეგის რ. ჩამწ. სტუდ. ლია პოლიაქტორის ასული გოგელია, 1965. თსუთა. № 3412—13.

გერგეტულა ზოგჯერ, და უფრო ხშირად, იმის სახელს ატარებს, რომელი ხატისადმი იგია მიძღვნილი—„წმინდა სამება“. ამ მცირე სასიმღერო ლექსში მყიფეარწმუნის მახლობლად აგებული X—XI საუკუნის ტაძრის გარეგნული ეფექტიც არის ჩართული. ალპიურ ზონაში მთის წვერზე აღმართული შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი სწორედ რომ „კიდით კიდევსდე ელავს“, ყველა მსოიდან ჩაბს მიაი მოქათ-ქათე სამრეკლო.

პ. უმიკაშვილს პატრიოტული სავაჟაკო ლექსებიც ჩაუწერია 1875 წელს.

დ

ჩვენ ბევრის ხმალი გვექადნის, ზევით მთის, ქვევით ბარასა;
ვერავენ ვერას დაგვაკლებს, ხორცი ძანძლია ვაჟისა.

გერგეტი საყოფიერო სიმღერებშიც არის ნახსენები (უმიკ. I, № 586).

„გერგეტულა“ პირველყოელისა გერგეტელთა შემოქმედება უნდა იყოს. ამგვარი სიმღერები ბოლო დრომდე შემორჩა, ნაწილობრივ ისინი ჩვენც მოვისმინეთ 1945 წელს სამების გალავანში. ამას მტკიცების საფუძველს გვაძლევს ძველი ტრადიცია, სოფელ გერგეტში რომ შემორჩენილა. ტაძრისა და ხატის დაცვის უზრუნველსაყოფად ათეულ გერგეტს გარკვეული პრივილეგიები ჰქონია მინიჭებული. პ. უმიკაშვილისათვის 1875 წელს უამბიათ: „გერგეტელის სიახლი სამი კაცის სისხლათა ღირს. ვახტანგ გორგოსალი მეფის თარხანი ვართ. ოთხი ყარაული გვიყენია მუდამ საყდართან ზამთარ-ზაფხულსა. სამთა მეფის აშენებულის ყმანი ვართ. ბაგრატიონთა ნაწყალობები ვართ“.

102. პირმა დაბლოცასთ ღვთისაგა

ჩამწ. ს. მაკალათია, გამოქვეყნდა 1934 წ. (მაკ. ხევი, 233), ხატობაში სუფრაზე სათქმელი ლექსია, რომელსაც ზოგჯერ „სმურსაც“ უწოდებენ. შინაარსით დალოცვას წარმოადგენს და გუნდურად სრულდება. მასში ჩამოთვლილია უძლიერესი ხატ-სალოცაეები.

103. ვარდოზის ღლეობა

ჩამწ. ს. მაკალათია, დაიბეჭდა 1934 წ. (ს. მაკალ. ხევი, 217). ხატობა იმართებოდა 28 აგვისტოს სოფ. სიონის (ხევი) ხატის ტყეში, იგი გერგეტის მარიამობასთანაა დაკავშირებული. სალოცავად მეცხვარეები მოდიან. სიონელ ქალებს საკლავი და საწირავი მოაქვთ. დეკანოზთან დასამწყალობებლად მისვლის ნება მხოლოდ მკირეწლო-

ვან და უმანკო ქალებს აქვთ. რატომ ჰქვია ამ ხატობას „ვარდობის დღე-ობა“ ჯერჯერობით საბოლოოდ გარკვეული არაა; ჩანს, იგი საგაზაფხულო დღეობათა ციკლს მიეკუთვნება და შორეული წარსული აქვს.

104. ადგილის დედაო

პირველი სტროფი ჩაწ. ა. ჰინჭარაულის მიერ 1939 წელს (ქუთაისის მუზ. 6418) 52—54, № 8, „ხევსურული წესები“, მეორე ამოღებულია ვაჟა-ფშაველას ნარკვევიდან „ფშაველები“ (თხზ., V, 1961, გვ. 11). ეს მოკლე სასიმღერო თუ სალოცავი ლექს-ფორმულები ასახავს იმ ძველ რწმენას ქართველი ხალხისას, რომლის მიხედვით თითოეულ კუთხესა და გარემოს თავისი გამგებელი ჰყავს. წარმართობის დროინდელი ვითარების შესახებ უძველესი ცნობა შემონახულია ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილების ქართული თარგმანის მინაწერის სახით. უკანასკნელში, სხვათა შორის, ნათქვამია: „...რომელნი უჩინოთა ჰმსახურებენ სადაც სახლად, გინა გარე ველთა ანუ სადაც კლდის პირთა, ანუ ხეთა“... (თ. ყორღანია, Описание, II, გვ. 200). ამ უნიკალური ცნობის შემდეგ წავიკითხოთ ვაჟას ეთნოგრაფიული წერილი მე-19 საუკუნის ფშაველების ცხოვრებაზე და ადვილად დაგწმუნდებით, თუ რა სიმტკიცით შემონახულა მთაში ქრისტიანობამდელი სარწმუნოებრივი წარმოდგენები. ვაჟა გარკვევით წერს: „როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, ფშაველი არის ცრუმორწმუნე: ეშმაკებით და დევებით სავსე ჰგონია ქვეყანა. თვითეულს ადგილს, მთას, გორას, ხევს, მისის წარმოდგენით, ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახის“ (თხზ., V, 1961, გვ. 11). მეორე მოკლე ლექსი მიმართავს წარმოადგენს, რომლითაც მთაში დარჩენილი მონადირე მიეზარება ადგილის დედას და გულდამშვიდებული ღამეს გაათენებს იმის იმედით, რომ მეორე დღეს ადგილის დედა დააჭილდოვებს დოვლათით ანუ ბედით ნადირობაში.

უძველესმა წარმოდგენამ დიდიხანია დაკარგა პირვანდელი სახე და უფროსთა რიტუალური რეპერტუარიდან ბავშვების სამყაროში გადაინაცვლა. ნათქვამის დასადასტურებლად წარმოშობით ხევსურის ეთნოგრაფიულ ჩანაწერს მივმართავთ, რომელსაც ჩვენდა მოულოდნელად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წავაწყდით 1963 წლის ივლისში. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ადგილის დედის რწმენას ფშავ-ხევსურეთში საყოველთაო ხასიათი აქვს. მას ყოველ სოფელში ლოცულობენ, როგორც შიგნით, ოჯახში, ისე გარეთ, ხატის ადგილას. ხშირად ადგილის დედა, როგორც გამრავლების სიმბოლო, ხეთისმშობლის სახელთანაც არის დაკავშირებული. გვხვდება სოფლები, სადაც ადგილის დედის სალოცავის სახით ხეთისმშობელს გულის-

ხმობენ და პირიქით (სოფ. გველეთი, 1964 წ. ოქტომბრის დღიური).
ახლა გავეცნოთ სამუზეუმო ჩანაწერს.

ადგილის დედა ყველა სოფელშია დაწესებული. ის ხატი არ არის,
და არც ერიდება მას ვინმე ისე, როგორც ხატს. პატარა კოშკის მსგავ-
სია, აგებული ქვებისაგან, აქვს: ორი პატარა საკვამი (ანუ განჯინის
ნაირი). მიდიან ბავშვები გაზაფხულზე, როცა ბალახი ამოვა და ხენა
დაიწყება. დიასახლისები (დედები, ოჯახის მოძველები ქალები) კვე-
რებს გამოაცხობენ, ერბოთი გაპოხავენ (ერბოთი დაასველებენ), სამ
ცალს ასეთს გამოაცხობენ და ზედაც ერბოს დაადებენ. ბავშვს ასწავ-
ლიახ, როგორ მოიქცეს კოშკთან მისული. ბავშვი მივა, ღოიხდის
ქუდს, იმ პატარა განჯინებში—საკვამში დააწყობს კვერებს. დაუდგე-
ბა წინ ცოტა მოშორებით და ასე ეტყვის:

ა

„ადგილის დედაო, დედაო ხეთისაო,
შენ დაგვიტანე ბარაქა, ხარის ნახნავს, ფერის ნაწილს!
შენ წაიყვანე წალმე ჩვენი სახლის ბარაქა.
შენ მოგვეკვარე მრავალი გაზაფხული
მშვიდობის და კარგად ყოფნისა!“

მერე აიღებს ერბოს, გაპოხავს ადგილის დედას (ქვებს) და თანაც,
როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, ისე ბუტბუტებს. კვერები შეიძლება და-
ტოვოს განჯინაში (საკვამში), ან ზედაც დააწყოს და დატოვოს.

ადგილის დედას მეტი არაფერი მნიშვნელობა არ აქვს. მისგან
„ელიან“ ბარაქას და მოსავალს, მათი აზრით მხოლოდ ის განაგებს
ასეთ რამეებს. ადგილის დედაზე მხოლოდ ბავშვები დადიან (სულერ-
თია ქალი იქნება თუ ბიჭი, ამას არა აქვს განსხვავება). შესაძლოა ერთ
სოფელში რამდენიმე ადგილის ასეთი დედები იყოს, 5—4—3 და მეტ-
ნაკლებ ალაგას. რამდენი იქნება არ არის განსაზღვრული და სად. ად-
გილის დედა, ბავშვის სიმალეა, ე. ი. მეტრნახევარი, მეტი არ შეიძ-
ლება მისი სიმალლე. ნიშს ზევიდან სამი ცალი ბროლი ადევს, ან შეიძ-
ლება ერთი ცალიც ედოს.

თითოეული ოჯახი ვალდებულია მოყვანილი წესი შეასრულოს ად-
გილის დედაზე, თითოეულ ადგილის დედაზე უნდა შესრულდეს. ბავ-
შვებისათვის ადგილის დედაზე წასვლა დიდი დღესასწაულია. (ალ.
კინკარაული, ხევსურული წესები. ქუთ. მუზ. 6418/52—54, № 8).

მართალია, ადგილის დედის ანუ დედოფლის შესახებ გაშლილი
ხასიათის მხატვრული ტექსტები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს ორიოდ
ნიმუშიც კი იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ, თუ რა როლი ეკუ-
თვნოდა ამ უმარტივესი სახის კულტს დარგობრივ მითოლოგიაში და
რა ფორმით შემორჩა იგი ხევსურთა შორის.

მთქმ. დ. თურმანაული, ფშავი. ჩამწ. გიორგი თურმანაული. მალაროსკარი. ფ. არქ. წყაროსთაველი ხატია, პირქუშის ნაცნობი და ახლოსმდგომი. პირქუში ოქრომკედელი ჩანს, ის თურმე წყაროსთაველს ღილ-შესაბნევებსა და სამკაულებს უკეთებდა.

პირქუშის ხელობასთან სხვადასხვა გადმოცემებია დაკავშირებული. შუაფხოელ ბ. ბადრიშვილის (80 წლის) თქმით იახსარმა პირქუშს სამი თასი გააკეთებინა. როგორღაც დევებმა დაატყვევეს პირქუში და ოქროულობა აკეთებინეს თავიანთთვის. მაშინ იახსარმა გამოიხსნა თურმე, ბოლოს იახსარსა და პირქუშსაც დავა მოსვლიათ, და მის მიერ გაკეთებული თასები დააბრუნებინა თურმე იახსარს (ფ. არქ. გ. თურმანაულის ჩანაწერები, რვ. № 1, გვ. 41). ერთხელ ხოშარელი ქალი ხიკოკურა მისულა პირქუშთან ვერცხლისა და ოქროს ნივთების გასაკეთებლად. მალაროსკარელ ბ. ქისტაურის (92 წლის) ცნობით, ხიკოკურა იმ ღამეს პირქუშს თავისთან დაუტოვებია, მეორე დღეს ქალს თავი მოუკლავს (იქვე, გვ. 41). იმავე მთქმელის ცნობით პირქუში დედისერთა და ძალიან ღამაზი ყოფილა, ქალები აწუხებდნენ და თავისი თავი გაუჭულურებია (იქვე, გვ. 42). ლექსი პირქუშის ოქრომკედლობაზე მოგვითხრობს.

106. თავადი წყაროსთაველი

მთქმ. დ. თურმანაული, ფშავი. ჩამწ. გ. თურმანაული. მალაროსკარი. ფ. არქ. კოპალას, იახსარის და პირქუშის მსგავსად წყაროსთაველი დევებთან მებრძოლი ყოფილა.

107. წმინდა გიორგი ცხენზე ზის

მთქმ. ელიზბარ ხარაძე, ს. კაწალხევი, ფშავი. ჩამწ. ი. ხორნაული. 1941 წ. ფშ.—ხევს. 227. იგივე ლექსი მთიულეთში საფურხისოდ გამოიყენება (ვირსალ. № 346).

ა

ლომისურნი (ფერკისა)

წმინდა გიორგი ცხენზე ზის, მუხლი და ნიკაქარია,
მხარზე ჰკიდია მათრახი სამოცდა სამი მხარია,
ვისამ დაარტყამს, დაჩნის, მაგის დაკრული მწარია.

მესხეთში, ს. ხიზაბავრაში ვინმე მესხს (ივ. გვარამაძე) 1834 წელს ჩაუწერია:

წმინდა გიორგი ცხენსა ზის, ქვეშ უქრის ნაეჭარია,
 იაგუნდებით მორთულა ბარათაშვილის ქალია,
 დღეობისათვის ვილას სცალს, ვინც არ მგონია მთვრალაა.

უმიკ., II, 479 (1081).

108. პირველად ღმერთი ვახსანოთ

ხატობაში სამღერია ფერხულის დროს. ჩაწ. სოფ. მღეთს,
 1876 წ. უმიკ. II, 468 (1070). ვარიანტი. იხ. ვირსალ. გვ. 230.

109. ამდენი ლაპარაკითა

მთქმ. მაქსიმე მზარეულიშვილი, 78 წლის. ს. დილომი, ქართლი.
 ჩამწ. ჯ. სონღულაშვილი. 1950 წ. სონღ., I, 88.

110. გორიჯვრის წმინდა გიორგი

მთქმ. ანტონ სონღულაშვილი, 70 წლის. ს. დილომი. ჩამწ. ჯ. სონ-
 ღულაშვილი, 1951 წ., სონღ., I, 88.

111. ძილისა

მთქმ. მიხეილ სონღულაშვილი, სოფ. დილომი ჩამწ. ჯ. სონღულა-
 შვილი, 1953 წ. სონღ. I, 86.

112. ცა მახდის

მაკ. თუმ., 34. წმ. გიორგი ლექსებსა და გადმოცემებში ამინდის
 გამგებლადაც გვევლინება. თუშების წარმოდგენით მას კოპალე ბოვრა-
 ყიანი უდგას გვერდში.

113. საღლეოგო

ჩამწ. ი. ბარიკალაშვილი, სოფ. უდე, მესხეთი. 1889 წ. უმიკ. II,
 467 (1069). ვარიანტი: სონღ. I, 87. ქართლი. ხელნაწ. ინსტ. H 1992
 იბ. № 22, ფ. არქ. კოლ. 11, ყდა 2, გვ. 64, მთიულეებში ფერხისა ეწო-
 დება.

ფერკისა

წმიდა გიორგო ცხოველო, შენ სალოცეად მოველო,
 ერი ლისუ დარალე, ლისუდარალეო,

მოსვლითა მოგვე წყალობა, ლისუდარალო,
წასვლით თან წაგვიყოლო, ლისუდარალო.

მლოცველთა ჯგუფი ხატობაში შემოკლებითაც მღერის: ხატო და
ღმერთო ძრიელო, შენ სალოცავად მოვალო. ვირსალ. მთ. № 349.

ყურადღებას იქცევს მისამღერი „ლისუდარალო“, შესაბამისი
ფორმა საბაიას ლექსში გვხვდება: „ლისიმ დალალო“ (კოტ.
1961, 59).

ბ

წმინდა გიორგი ცხოველო, შენ სალოცავად მოველო.
წმინდა გიორგი ცხენსა ზის, ცხენსა ლურჯსა და ჰარმაგაა
ვისაც გაუწყრა, გადაჰკრა, ხელსა უჭირავს მთრახი,
დაამდი წმინდა გიორგი გაუძეხ მშვიდობიანად.

ფ. არქ. კოლ. 11, ყდა 2, გვ. 65, მთქმელი თ. მეტრეველი, ჩაწერა
ე. ვირსალაძემ. 1961 წლის ჩანაწერი: ფ. არქ. კ 14, გვ. 271.

„სადღეობოს“ სახელით რამდენიმე ლექსი გვხვდება (იხ. სონდ.
1, გვ. 87—88. „ძველ საქართველოს“ მესამე ტომში, გვ. 32) თ. რაზი-
კაშვილს განსხვავებული ტექსტი აქვს დაბეჭდილი:

ბ

წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო,
მამირეკია ცოლ-შვილი, შენსა წყალობას მოველო,
დაღონებულსა ჩემ გულსა შენი წყალობა მოეო!

114. ან ჩვენი წმ. გიორგი

ფ. არქ. 2877. იგივე ითქმის ქართლში ატოცის ხატზე.

ბ

ხატის ძალა

ატოცის წმინდა გიორგი მალა გორაზე ჰსენია,
ნადირი ბევრი მოუღის, არჩვი, ირემი, მშველია,
დათეს რალა მაარბეინებს? — ვაი, შიში რა ძნელია!

ძვ. საქ. III, გვ. 32, ჩაწ. თ. რაზიკაშვილი.

115. გიორგის სალოცავები

ფ. არქ. კ 26, გვ. 267. ჩაწ. 1961 წ. მთქმ. ჩხუბიანაშვილი მანანა
ივანეს ას. ჩამწერი ა. შიშმანაშვილი.

ლექსში ჩამოთვლილია წმ. გიორგის სალოცავი ადგილები. როგორც აღიარებულია, საქართველოში იმდენი წმ. გიორგია, რამდენიც დღეა წელიწადში. ჩამოთვლაში მოხსენებულია მთქმელისათვის ცნობილი ძლიერი ხატები.

116. წმინდა გიორგის მუხანათობა

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ფშავი. ხალხ. სიტყ. III, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. 22. შენ.: დაკუთრებულსა მონასა — დეარდნილს. გიორგის მშვენიებაზე მითითება ლექსს აკავშირებს იმ ძეგლებთან, რომლებიც ბერძნული ენიდან ითარგმნა საშ. საუკუნეებში. ეს ძეგლები გვაცნობს ახოვანისა და მშვენიერი მხედრის გიორგი კაპადოკიელის წამებას. (მ. ჩიქოვანი, უცნობი პოეტი დათუნა ქვარიათი ა. ს. პუშკინის ინსტ. შრ., II). ცნობილია მრავალი ვარიანტი და ვარიაცია. 1880 წელს ს. კაკაბეთში, კახეთი, ვ. ეფთვიმოვს ჩაუწერია.

ა

წმინდა გიორგის შეენება შორს მიადგება გორასა,
შორით მოიყვანს მლოცავსა, გაიხდის თავის მონათა.

უმიკ. II, 473 (1075)

ქართლში ს. კარალეთში ვასო ბიბილაშვილს ასეთი ტექსტი შეხვედრია (ფ. არქ. II. 14, გვ. 51; ივერია. 1890 № 6, H 1999-ია):

ბ

წმინდა გიორგის შეენება შორს მიადგება გორასა,
შორით მოიყვანს მლოცავსა, ბრმასა, კოკლსა და მონასა.

გიორგის ხსენება ბოლო დრომდე შემორჩა პოეზიაში. 1961 წლის ფოლკლორულმა ექსპედიციამ ალავერდში ჩასწერა:

გ

წმინდა გიორგის მშვენიება შორს მიადგება გორებსა,
შორით მოიყვანს მლოცველსა, დაკუთრებულსა მონებსა.
წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო,
წყალობა შენი გვიბოძე, მოვსულვარ, ისევ წვალო.
წმინდი გიორგის კარზედა ალვისზე ამოსულიყო,
დეესბა წვერში ყურძენი, საკმელათ შამოსულიყო.

მთქმელი: დალაქიშვილი დარჩო მიხეილის ძე,

ჩამწერი: ე. ქიტიაშვილი ფ. არქ. კ. 50. გვ. 72. ნ. აგრეთვე, თსუფა № 5010.

ხელთუბნელი ქალის თქმით თბილისში 1868 წელს ჩაწერა გ. თუ-
მანიშვილმა. უმიკ. II, 474 (1076).

118. წმინდა გიორგის ყმა ვარო

ჩამწ. ლ. ჩერქეზიშვილი. კახეთი, 1871 წ. უმიკ. 1354; დროთა
განმავლობაში ლექსს სოციალური გააზრება მიუღია და ბატონყმობის
ამსახველ ნაწარმოებად ქცეულა. ამას ადასტურებს სოფ. არაფეთში,
1871 წელს ბურღულის თქმით ფიქსირებული ლექსი:

ამილახვარიანთ ყმა ვარ, კარ-ბუღასაებ დავალ,
თუ მინდა წყალში დავწეები, თუ მინდა მშრალზე გავალ.

უმიკ. 1937 წ., გვ. 606.

ზოგჯერ იგივე ლექსი სამების ყმობაზე ითქმის. მეორე ნიმუში
ტწორედ ამის მაგალითია (ჩაწ. ხევში, სტეფან წმინდას). უმიკ. 1353.

119. ალავერდს წმინდა გიორგი

ჩამწ. თ. რაზიკაშვილი, ფშავი. ხალხ. სიტყვ., 111, გვ. 22.

120. ალავერდს ჯაფვი კილია

მთქმ. ჰრელა კოკლიშვილი, 80 წლის ს. უძილაურთა, ფშავი.
ჩამწ. გ. თურმანაული, 1964 წ. ფ. არქ.

121. წმინდა გიორგი კლიდაო

ჩამწ. ს. თარხნიშვილი, ფ. არქ. 1028. ძველი სასულიერო მიმართ-
ვა გადასულია საყოფიერო ეანრში.

122. წმინდის გიორგის კარეზა

ჩამწ. მიხეილ ჩქარეული, ხევი. უმიკ., (II, 472 (1074). საფერხუ-
ლოა. იმავე შემკრებს მეორენაირი ტექსტიც მოეპოვება:

ა

წმინდის გიორგის კარზედა ხე-ალვა ამოსულაო,
ზედ გამოსხმია ყურძენი, საკმელათ შემოსულაო,
ჩენის ბატონის ქალები საკრეფლათ წამოსულაო.

უმიკ. II, 471 (1073).

ფოლკლორულ არქივში იმავე ლექსის ვარიაციას ვნახულობთ.
შდრ. ზემოთ ლექსები ლაშარელაზე.

წმინდა გიორგის კარზედა ალვის ხე ამოსულიყო,
წვერზედ დაესხა ყურძენი, საკმელად შამოსულიყო.

ფ. არქ. 11—14, გვ. 52. გაგონილი და ჩაწერილი სოფ. კარალეთ-ში, ვასო ბიბილაშვილის მიერ. „ივერია“, 1890 წ. № 6. ქართლი.

მთიულეთ-გუდამაყარში იმავე ლექსს საყოფაცხოვრებო ელფერი მიუღია, თუმცა რიტუალურ ფერხულში სრულდება.

3

წმინდის გიორგის კარზედა, ხე ალვან ამოსულიყო,
თავში დასხმია ყურძენი, საკმელად ჩამოსულიყო,
იმის უკმელი ქალ-რძალი უდროთ ჩამოშლილიყო.

მტკმელი აფციაური ნინი, სოფ. ღუმაცხო, 70 წლის, ყოფ. დეკანოზი, ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1950 წ. ვირსალ. 350.

ფილ. მეცნ. დოქტორს ელ. ვირსალაძეს 1950 წელს საინტერესო დაკვირვება უწარმოებია ამ რიტუალურ ტექსტზე. გავეცნოთ მას. „ა. იგივე ლექსი მოსმენილ იქნა ჩვენ მიერ ფერჯისულ შესრულებაში 20. VII—1950, აფციაურთა საგვარეულო ხატობაში გუდამაყარში. ფერჯისაში შეკრული მომღერალთა წრე პირობითად ორი გუნდისაგან, ორი ნახევარწრისაგან შედგება. თითოეულ ნახევარწრეს თავისი დამწყები ჰყავს, რომელსაც გუნდი მიჰყვება: პირველი ნახევარწრე: წმინდის გიორგის კარზედა ხე ალვა ამოსულიყო...

მეორე ნახევარწრე: წმინდის გივარგის კარებზე ხე ალვაც ამოსულაო... პირველი ნახევარწრე: თავში ყურძენი დასხმია, საკმელად ამოსულაო... მეორე ნახევარწრე: დასხმია თავში ყურძენი, საკმელად ამოსულაო... ერთად: გაუმარჯოს!

ბ. იგივე ლექსი სიმღერით შეასრულა ს. ღუმაცხოს მცხოვრებმა 70 წლ. აკა გიორგის ძე აფციაურმა (№ 15), ფ. არქ. № 33922, რომლისგანაც ეს ლექსი ჩაიწერა თამარ ოქროშიძემ 21. VII.—1950 წ. აკა აფციაური ცდილობდა ფერხისულის შესრულება გადმოეცა:

დ

წმინდა გიორგის კარზედა ხე ალვა ამოსულიყო,
წმინდის გივარგის კარებზე ხე ალვად ა-მო-სუ-ლა-ო,
თავში ყურძენი დასხმია, მოხუცო, საკმელად ჩა-მო-სუ-ლა-ო,
თავში დაუსხამს ყურძენი, მოხუცო, საკმელად ჩა-მო-სუ-ლა-ო.

- 5 ეეე, ააა, დიდებაა... ღმერთსა დიდება, -
დიდება ჩვენსა მლოცავსა, ჭერ პირველ ღმერთი ხსენდება...
პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დადებულა...

- დიდება სამღვთო მაღალსააო!
10 ღუმაცხოს პაპო გამომქედლო, ნეტაი დედა შენსაო...
ნეტაი და დედა შენსაო...
ჩაადგი ღუმაცხოს ქვითიერი, კარგა მიწყობ მხრებსაო.

მთქმელი აფციაური აკა, ფ. არქ. № 33922 (ვირს. № 350 შენშ).
ფშაურ საფერხლო ქორბელელაში გიორგის ანალოგიური ტექს-
ტი სრულდება:

9

ღღესამ ღღეობა ვისია, წმიდისი გიორგისია:
გიორგი ვალავანზედა უსარტყლო გამოსულაო,
იშისი გამონავალზედ ალვის ხე ამოსულაო,
ხედან მოუსხამ ყურძენი, საქმელად მოწეულაო.

ჩაწერ. ს. ჩიგილაურთაში (მთათუშეთი) 1902 წლის 30 მკათათვეს
გიორგი ბოქორიძის მიერ. H 2008. შდრ. მაკ., თუშ., 202.

123. ახტატის კალო შიიკვრის

ფ. არქ. 31676, მთქმ. ზ. ერაძე. რაჭა, ჩაწერა აბ. ცანაევამ.
ლექსის დასაწყისი მუხლი მოითხოვს თავიდანვე განმარტებას.
„ახტატის კალო“ იგივე ატადის კალოა, რომელიც გვხვდება ბ. გა-
ბაშვილის ერთ ლექსშიც და ბიბლიურ თქმულებას უკავშირდება.

124. წმინდამ გიორგიმ დაკავაზა

მთქმელი ბუჩუკური გლახა ივანეს ძე, სოფ. გვიდაქე, 90 წლის,
მთიულეთი. ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1946 წ. ვირსალ. № 347; ფ. არქ.
№ 32162 ფ. არქ. 32281.

მთიულეთში სხვანაირი ვარიაციაც გვხვდება.

10

წმიდამ გიორგიმ შაკმაზაო თავისი აღისფერიო,
წამაურა საყმოსა, გარშამაველო ფარიო.
უსულოს სული ჩაუდგა, წელს შამაარტყა ხმალიო.
მკარზედ ეკიდა მათრაქი სამოცდასამი მკარიო,
5 ვისაც გადაყრავს, დააჩნევს, მაგის დაკრული ძნელია.

მთქმელი სეთურიძე ისაკო აბრამის ძე, ფ. არქ. № 34047. ვირსალ.
№ 347 შენ. შდრ. მაკ. ხევი, 233, H 1999 მ. № 105.

სადიდებელი

125. დიება შენა

მთქმ. დავით თურმანაული, ხევისბერი, 85 წლის, სოფ. გოგოლაურთა, ფშავი. ჩამწ. გიორგი თურმანაული, მასწავლებელი, მალაროსკარი. 1964 წ. ფ. არქ. ფშავ-ზევს. ექსპ. მასალები. სადიდებლების დახასიათება იხ. შესავალ წერილში.

126. შენამც იდიღი

მთქმ. კრელა კოკლიშვილი, 80 წლის, ს. უძილაურთა. ფშავი. ჩამწ. გ. თურმანაული, 1964 ; ფ. არქ. № 223.

127. ხალხთა დამფარველი

მთქმ. კრელა ცქიფაშვილი. 76 წლის, სოფ. არბახანი. ფშავი. ჩამწ. გ. თურმანაული, 1964 წ. ფ. არქ. 223.

128. დიება

მთქმ. ბიჭური ბადრიშვილი, 80 წლის, შუაფხო. ფშავი. ჩამწ. გ. თურმანაული, 1964 წ. ფ. არქ. 223.

129. დიება ღმერთსა, ღღესა ღღესინღელსა

მთქმ. გ. არაბული, ს. ღული, ხევისურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 1, 1938, გვ. 26—27.

წარმართული ხასიათის სასულიერო-რიტმული ტექსტია, რომელიც წარმოითქმოდა ხევისურეთში ღვთაებათა და ღვთისშვილთა სადიდებლად. მიეკუთვნება სადიდებლების სახელით ცნობილ სასულიერო ტექსტებს. ამგვარ რიტუალურ ტექსტებში შეიმჩნევა ქრისტიანული ლიტერატურის, უამნ-კუთხეიანთა კვალი, რაც მეორად მოვლენას წარმოადგენს და თავის მკვლევარს მოელის. სადიდებელი, საქებარი სიტყვები წარმოითქმოდა კულტმსახურების პროცესში, გარკვეულ გარემოსა და წესის დაცვით. „ტაბაჯზე დაწყობილი შესაფერისი რაოდენობის (იმდენი, რამდენი ხთიშვილიც მოიხსენება) ლუდიან თასებზე, რომლებზეც დაკრულია ანთებული სანთლები, და რიტუალურ კეერებზე ხუცი დანარჩენ „ხატიონთა“ ანუ „ჯვარიონთა“ (ხატის ანუ ჯვარის მსახურთა) თანდასწრებით აღიდებს ღვთაებებს და წმინდანებს, თითოეულ მათგანს ცალკე თითო თასით. ჩვეულებრივ ის იწყებს მორიგე ღმერთის დიდებით, შემდეგ ან კვირიაზე ან თავის თემის ხთიშვილების დიდებაზე გადადის და ბოლოს დანარჩენ ხთიშვილ-

თა და ანგელოზებს ადიდებს“ (ვ. ბარდაველიძე, აღმ. საქართველოს ქართული მთიელების სასულიერო ტექსტები. მას. საქ. ეთნ., 1, 1938, გვ. 7). თასებს სხვადასხვა რაოდენობით დგამდნენ. მაგალითად, არხოტში სამი თასის დადგმა იყო მიღებული, ამ თემის სამი უმთავრესი ხატის მიქელ მთავარანგელოზის, მთის ვეშაგის და ჯაჭველის სახელზე.

სადიდებელთა ტექსტები ბევრია ცნობილი, აქ ყველას გამოქვეყნება და განხილვა მიზნად არ დაგვისახავს. ასეთი ნიმუშების პოეზიის კრებულში მოთავსება იმითაა გამოწვეული, რომ ისინი გარკვეულ მხატვრულ პრინციპს ემყარებიან და უძველესი პოეტური შემოქმედების ძეგლებს წარმოადგენენ. უკვე შენიშნულია: „ჯვარულის ტექსტები განირჩევიან იმით, რომ ისინი გართმული არიან, ლექსად შედგენილი“ (იქვე). ამგვარი ლექსი თავისებურია და პოეტური სიტყვის განვითარების ძალიან აღრინდელ საფეხურს განასახიერებს. ქართული ისტორიული პოეტიკა სადიდებლების განხილვას გვერდს ვერ აუქცევს.

ანალოგიური რიტმიზებული ტექსტი გვხვდება ფშავში, რომელიც განსაკუთრებით იმით გამოირჩევა, რომ მასში ადგილობრივი—ფშაური ხატებია მოხსენებული.

სპეციფიკური არის აგრეთვე ისტორიული სახელის თამარის ჩართვა. მიზეზი ისაა, რომ ფშავში თამარ მეფის ხატი არსებობს და მასზე ლოცულობენ (ვაჟა-ფშაველა, თამარის ცხვარი ფშავში, თხზ. V, გვ. 191). ხევესურეთში ასეთი ხატ-სალოცავი არ გვხვდება. გავეცნოთ ფშაური დიდების ჩანაწერს.

ა

ღმერთო, წინა ძალი და ბრძანება შენია.

შენ გააჩინე და აკურთხე ცანი და ქვეყანანი,

შემოსე მოსილებითა შენითა, აკურთხე ხმელზედ ხორციელი.

ჩაუდგი თავის უკვდავი სული,

5 თორ ხმელზედ ხორციელთან ერთის

არა მოიგონებოდა და ვერვინ რას შემოგკადრებდით.

დიდება შენდა ძალო ღვთისაო.

დიდება შენდა, კვირაო კარაიანო.

ღვთის და მეფის კარზედ მდგომელო,

10 სიმართლის პასუხის გამცემლო ღმერთთანა

და წყალობის გამომტანელო ხმელზე ხორციელთათვის;

დიდება შენდა, დიდო ხემწიფეო, წმინდა გიორგი ლაშარის ჯვარო;

დიდება შენდა, დიდო თამარ-მეფეო, ზემდგომო ანგელოზო;

დიდება შენდა, კოპალავ შეენიერო;

15 დიდება შენდა, მთა-წმინდას მთავარ-ანგელოზო,

დამასტეს წმინდაე გიორგიო,

ხოშარის სახუთმეტო მთავარ-ანგელოზო;
დიდება შენდა, დედაო ღეთის-მშობელო,
ქიჩოს ბატონ-პატრონო;

- 20 დიდება შენდა, სვეტიცხოველო;
დიდება შენდა კიდევ ღეთისმშობელო,
ყოველთა წმინდათა შუამდგომო;
დიდება შენდა წმინდა გიორგი,
მგზავრო ანგელოზო, ხახმატის ჯვარო;
- 25 დიდება შენდა ლომისის მთავარმოწამეო;
დიდება კიდევ შენა, დიდო ღეთისმშობელო და ძეო
იმისაჲ და იმათანა ყველა თანამართალნო,
ყოველნო, მოდე-მოძმენო და მოთანხმენო წმინდანო ანგელოზო.

ჩამწ. დ. ხიზანაშვილი, „ფშავეთი და ფშაველები“, „ივერია“,
1890 წ. № 82; მასალ., 1, გვ. 33.

საქართველოს ყველა მთიან რაიონში გვხვდება მსგავსი ტექსტები. მათ შორის განსხვავება უმთავრესად ადგილობრივი ხასიათისაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თითოეული კუთხე საქებარ მიმართვამო თავის სათემო თუ სატომო ხატთა სახელებს ჩაურთავს.

ეს მთ ი უ ლ უ რ ი ჩანაწერიტაც დასტურდება.

ბ

- დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა,
მოწყალე მოსამართლე ღმერთსა!
ღმერთმა გაუმარჯოს ხელმწიფეს
წმ(ინდა)გიორგის პირიშუე ახალციხისას,
5 გაუმარჯოს, მის მოძმე და მომხრე ანგელოზებს.
ღმერთმა გაუმარჯოს კვირიეს ძლიერსა
და ღუმატხოს სამღვთო მაღალსა.
გაუმარჯოს დიდწვერის ანგელოზს,
დიდ იალბუზზე დამბრძანებულსა.
10 გაუმარჯოს ზეგარდის წმ(ინდა) გიორგის,
ზენა სოფელს დაბრძანებულსა.
ღმერთმა გაუმარჯოს ფუძის ანგელოზს,
ყმის მეშველსა და უყმოსაც დამშველებელსა.
გაუმარჯოს ჩოხის წმ(ინდა) გიორგის
15 ცირასებს ჩამობრძანებულს, ჩოხთ დაბრძანებულს.
გაუმარჯოს საბურთელოს წმ(ინდა) გიორგის
და ზანდუკის მთავარანგელოზს.
გაუმარჯოს ძლიერსა ლომისას,
ხორეშანთ ტყვეთა მხსნელსა.
20 გაუმარჯოს ლუდას ყოვლად წმინდას
ქვაწულად მქცეველსა.
გაუმარჯოს წიფორის წმ(ინდა) გიორგის

ძეთა და წულთა მომცემა.

გაუპარჯოს საქართველოს ყველა ხატებსა და სალოცავეებსა!

ჩამწ. ს. მაკალათია (მთიულეთი, 1930, გვ. 161; მას. 1. გვ. 34).

130. წინას შინა-ბარძიოზა

მთქმ. ა. ქეთალაური. ს. ხახმატი. ხევსურეთი. ჩამწ. გ. ჩიტაია (მასალეები საქ. ეთნ., 1, 1938, გვ. 27—28).

ხუცის წარმოსათქმელი ჯვარული ტექსტი, რომელშიც თორმეტი მითიური პერსონაა მოხსენებული.

131. პირველ შინა-ბარძიოზადა

მთქ. გ. ქეთალაური, ხახმატის ხატის ხუცი. ხევსურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე. ჩაწერილია ათენგენობის დროს სოფ. ხახმატში. პირაქეთ ხევსურეთში (მას., I, 1938, გვ. 28).

ტექსტში ხევსურების ხვთისშვილნი საერთო სახელით არიან მოხსენებული. ცალკეა გამოყოფილი გიორგი, ლაშქრობის საქმის გამგებელი და მთავარი ხატი.

132. წინა სანთელ-შინა-ბარძიოზადა

მთქმ. გ. ჭინჭარაული, ს. ბარისახოს კვირიას ხატის ხუცი. ხევსურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე (მას. 1, გვ. 28—29).

133. წინა შინა-ბარძიოზადა

მთქმ. ს. არაბული. ს. ბაცალიგოს პირქუშის ხატის ხუცი.

ხევსურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე (მას., 1, გვ. 29).

ტექსტში მოხსენებულია პირქუშში მოლაშქრე-მორაზმე, მაშასადამე, პირქუშს თითქოს ლაშქრობის საქმეც ეხება. ზოგიერთის ცნობით პირქუშში მკედელი იყო და მერე იქცა ხვთისშვილად (მ. ჩიქოვანი, კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიცია. ქართული ფოლკლორი, 1—11, 1964, გვ. 241—42). იხ. აგრეთვე ლექსები პირქუშზე მეორე თავში.

134. ძრისტა ღმერთო

მთქმ. ბ. ჭინჭარაული. ს. შატლის მთავარანგელოზის ხატის ხუცი. ხევსურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე (მას., 1, გვ. 29—30).

რთული ტექსტია. ძველი ხვთისშვილთა სადიდებო შერწყმულია ქრისტიანულ საგალობელთან. მთავარანგელოზი, ვის სახელობაზეც ატ-სალოცავი არსებობს, დამაგვირგვინებელ ნაწილებშიც მოიხსენე-

ბა ისე, როგორც დასაწყისში მთავარ ღვთაებათა შემდეგ იერარქიულად. მთავარანგელოზის ორჯერ დასახელება გახაზავს მის მნიშვნელობას და თვითონ სალოცავის არსებობით უნდა იყოს გამოწვეული. ქრისტეს და ანგელოზთა გუნდის ხშირი მოხსენება ახალი სარწმუნოების შექმნას ადასტურებს ძველს მითოლოგიაში.

135. წინა ზიჰა-ბარძიშითა ზენ ბადიდას

მთქმ. გ. კინქარაული. შატლის ღვთისშობლის ხატის ხეცურეთი. ჩანწ. ვ. ბარდაველიძე (მას., 1, გვ. 30—31).

ღვთისმშობელს სადიდებელში მესამე ადგილი უჭირავს. ხატსალოცავი ღვთისშობლის სახელობისაა. ბარში არსებული ეკლესიებისაგან ეს იმით განსხვავდება, რომ აქ ჩვეულებრივ ხატ-ნიშნს მხოლოდ სახელობა აქვს მიკუთვნებული ქრისტიანულ-რელიგიური პერსონისა, კულტმასახურების ინსტიტუტი კი ძველებურადაა შენარჩუნებული (ხუცი და სხვ.).

136. ღმერთმა ადიდას ზენი ძალი

მთქმ. გ. ჯაბუშანური, სოფ. ახიელი. ხუცი. ხეცურეთი. ჩამწ. ვ. ბარდაველიძე (მან., 1, გვ. 31).

ტიქსტი მსმენელთა დალოცვით მთავრდება: „გწყალობდესთა“, რაც ხუცის დანამატს წარმოადგენს და სადიდებელთაის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს. ამიტომაც იგი აღარ შემოგვიტანია.

137. ღმერთო, გაუმარჯჰო

ჩამწ. ს. მაკალათია (მთიულეთი, 1930, გვ. 158; მასალ., 1, გვ. 35).

ლომისის ხატი ტყვეების დამხსნელად ითვლება. ამას ამჟღავნებს ლექს-სადიდებოში მოცემული სიტყვები: „გაუმარჯოს ლომისას, ხორასანს ტყვეთა დამხსნელსა“. ხორასანი და არა ხორეშანი, როგორც ეს სხვაგან არის ნახსენები (ს. მაკ., მთ., გვ. 162; მას., 1, გვ. 34). ლომისის ხატის ტყვეთა მხსნელობაზე ლეგენდებიც არსებობს, მაგრამ ამაზე სხვა ადგილას გვაქვს საუბარი.

138. ლომისას სადიდებელი

მთქმელი ბურღული ზაალ ჰავლეს ძე, მთიულეთი. ჩამწ. ელ. ვირსალაძე (ვირსალ. მთ., გვ. 267. ფ. არქ. № 34037).

გაუმარჯოს ლომისას

ლომისა შეეწიოს თავისი ყმათ, თავისი მრევლთ.
 გაუმარჯოს საღმთოს!
 გაუმარჯოს ხთისშობელ დედას!
 გაუმარჯოს ხადის მთავარ მეწამეს წმინდა გიორგის!
 5 გაუმარჯოს ნალორევის წმინდა გიორგის!
 გაუმარჯოს პირიმზე ფუძის ანგელოზს!
 გაუმარჯოს დუმაცხოს საღმთოს!
 გაუმარჯოს წმინდა ნინოს!
 გაუმარჯოს ცეცხლის ქვარს!
 გაუმარჯოს ლუდის ყველაწმიდას ქვის წულად მქცაველს!

(თქმულებით ლუდის ანგელოზს ლოცვით მიმართა უშვილო ქალ-
 მა, ხელში ქვა ეჭირა და ლუდის ანგელოზმა ქვა ბავშვად აქცია.
 მთქმელის სიტყვით, იქვე სალოცავში ქვის აკვანიც დგას).

გაუმარჯოს წმინდა თევდორეს წმინდა გვარზე დაბძანებელს,
 გაუმარჯოს ქარჩატი(ს) საღმთოს ლაგოთხევისას.
 გაუმარჯოს სანებას.

მთქმელი ბენიამე იაკობ (ვირს., მთ., მთ. 519; იხ. დროება. 1885, № 173; წერილი „სოფელი მღვთე“).

139. ღიღიბა ღმერთსა, მაღლი ღმერთსა

ჩამწ. ს. მაკალათია. მთიულეთი (მაკ. მთ., გვ. 162; მასალ., 1, გვ. 35).

ყურადღება გამახვილებულია ფუძის ანგელოზის მიმართ, რომელიც კერპობის დროინდელი რწმენიდან მომდინარეობს და დაგმობილი იყო, სხვა უჩინოთა მსგავსად, საეკლესიო მსახურთა მიერ. ამ სალოცავთა არსებობა დადასტურებულია ისეთი ძველი წერილობითი ძეგლების მიხედვით, როგორცაა ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილებათა ქართულ თარგმანის ბოლოზე მინაწერი და სხვ. (ი. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტ., 1, გვ. 82).

140. მოხაზური საღიღიბო

მთქმ. აბა არაბული, 83 წლის, ხევი. ჩამწ. სოლ. იორდანიშვილი, 1923 წ. მასალ., 1, გვ. 36, მაკ., ხევი, 211.

ჩამოთვლილი ხატ-სალოცავები მარტო ხევეს არ ეკუთვნის; ბევრი მათგანის ხსენება უფრო ადრე ალ. ყაზბეგის თხზულებებშიც გვხვდება. ბეთლემი კარგადაა ცნობილი ქართულ ლიტერატურაში ი. ჭავ-

კავადის „განდგომის“ და ზეპირსიტყვიერებაში მრავალრიცხოვანი თქმულებების მიხედვით.

რიტუალური ტექსტია, რომელსაც მღერიან მამაწმინდის წვერი-საკენ მიმავალი დეკანოზები. უწინდელ დროში ხატის საბრძანისს, მა-ღალ მთაზე, სოფლები გორიციხე და ფლემე მთლიანად ეწვეოდა ხოლმე, ბოლო ხანში მას კულტის მსახურნი-ლა თუ მოინახულებენ.

141. პირიმზის საღიშაბელი

მთქმ. ლევან აფციაური. სოფ. დუმაცხო. მთიულეთი. ჩამწ. ელ. ვირალაძე, 1934 წ. ვირსალ. მთ. 392.

პირიმზე კარგად ცნობილია ხევსურული, ფშაური, ნოხური და მთიულური მასალებით. მას ცა-ღრუბლების საქმე აბარია წარმართუ-ლი მითოლოგიის თანახმად. პირიმზე ეპიკურ პერსონაჟად არის ქცე-ული ამირანის თქმულებაში (მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, 1, 1959, გვ. 169—74). ერთი ლექსი „ქება პირიმზისა“ გამოქვეყნებულია მთი-ულურ კრებულში (ვირსალ. მთ. 341), მაგრამ მას წმინდა სატრფიალო ხასიათის ვარიანტები მოეპოვება და თვითონ ტექსტშიც სპეციფიკურ მითოლოგიური არაფერი ჩანს.

142. ღიშაბა ღმერთსა და მაღლი ღმერთსა

მთქმ. ს. სუჯაშვილი, დეკანოზი. ხევი. ჩამწ. ს. იორდანიშვილი. 1923 წ. (მასალ., 1, გვ. 36).

143. თუშური ჯვარული

მთქმ. ბ. ნოხიაიძე, ს. დოჭუ, 55 წლის. მთათუშეთი. (ვ. ბარდავე-ლიძე, მასალ., 1, გვ. 37).

სადიდებო 16 მარცვლოვან ლექსს წარმოადგენს. მხატვრულად ეს უფრო განვითარებული ტექსტია, ვიდრე ხევსურულ-მთიულურ-მო-ხური სადიდებონი, რაც შედარებით მის გვიანდლობას მოწმობს. თუშური ტექსტი სხვადასხვა ვარიანტის სახით არის ცნობილი (ს. მა-კალათია, თუშეთი, 1933. გვ. 197, 206). ჩვენ აქ კვლავ სოფ. დოჭუში არსებულ ჯვარულს ვაჩვენებთ.

ა

ჯვარდა ღმერთი ვადიდოთ, მით უფრო დიდებულა.

მემრედ ვაქსენოთ კვირაე, კვირაე კარალეთისია,

მემრედ ვადიდოთ გიორგი, გიორგი საქეთისია,

მემრედ ვადიდოთ ფიწალე, ფიწალე დოჭურთისია,

5 მემრედ ვადიდოთ კოპალა, კოპალა კარატისია,

- მემრელ ვადილოთ გიორგი, გიორგი კაკაბაძისია,
 მემრელ ვადილოთ ცალარქა, ცალარქა ბელელასია,
 მემრელ ვადილოთ ისრაელ, ისრაელ ბიქურთისია,
 მემრელ ვადილოთ სანება, სანება საქარისია,
 10 მემრელ ვადილოთ გიორგი, გიორგი მუხრუენისია,
 მემრელ ვადილოთ სანება, სანება გოგრულთისია,
 მემრელ ვადილოთ შიქაელ. შიქაელ ზეავგორისია,
 მემრელ ვადილოთ კიხალე. კიხალე ხისოს მთისია.
 მემრელ ვადილოთ ლაშარე. ლაშარე ჩილის თაენსა.

ჩაწერილია ს. დოკუმში, 65 წლის პელო თორღეაძის აქმით (ნა-
 სალ., I. გვ. 37—38).

144. ძალო კვირაისაო

ეთნოგრ. განყ. არქივი, საქ. 19. ნ. მაკალათია, მელ. ბალიაური:
 ხევსურეთის დღესასწაულები, 1937 წ. რვ. № 3, გვ. 126.

საღმრთო-საკვირაოს დროს ხუცის წარმოსათქმელი „დიდება“.
 რომელიც მის დასალოცავად ითქმის, ვინც საღმრთო-საკვირაოს იხ-
 დის.

145. შერიკისა

(პოი დიდება, ღმერთსა დიდებაა)

ჩამწ. ელ. ვირსალაძე. გუდამაყარი. მთიულეთი. 20 ივლისი 1950
 წ. ვირს. მთ., გვ. 230—31. შესრულებული იყო აფციაურთა საგვარე-
 ულო ხატობაში, „სამღვთო მალალი“. პაპო მჭედელი აფციაური ერეკ-
 ლეს დროინდელი გლეხია, მასთან დაახლოვებულნი (ვირსალ., მთ.,
 № 120). ვბეჭდავთ როგორც ნიმუშს ძველ საფერხისოთა რეპერტუარ-
 ში ახალი დროის გმირების შექრისა. მხატვრული ხასიათის ნაწარ-
 მოებია.

146. დამწუალოგება

ჩამწ. თ. უთურგაიძე. თუშეთი (უთურ. თუშ. კ., გვ. 154).

ხატში სათქმელი დამწუალობების ლექსია. ის, ვისაც ამწუალობე-
 ბენ, ლოცავენ. „ზედაშის პატრონია და მოსულან ხატის კარზე სათ-
 ხოვნელად“.

147. მარიოგის მოგზაინება

ჩამწ. ს. მაკალათია, დაიბეჭდა 1941 წ. (მაკ. სამეგრ., 320). მარი-
 ობა 15 აგვისტოს იმართებოდა. იგი გავრცელებული დღესასწაულია
 მთელ საქართველოში და ღვთისმშობლისადმი იყო მიძღვნილი. რი-

ტუალური ტექსტების შესწავლა უჩვენებს, რომ ამ დღეობაში წარმართული წესჩვეულებრიობაცაა შერწყმული. სამეგრელოში, საზურძაყანოში ამ დროს ასრულებდნენ ე. წ. „ჯაშქეჩერს“ ანუ „ჯაშქეშია“-ს. ეს ყურძნისა და ხილის ლოცვაა. ოჯახის წევრები, გამოუკლებლივ ყველა, კვერებით ხელში, მივიდოდნენ იმ ხესთან, რომელზედაც ვაზი იყო აშვებული, მარჯვენა ფეხს ზედ მიადგამდნენ, ქვეშ რიტუალურ კვერს გამოატარებდნენ და ზემოთ მოყვანილ სიტყვებს წარმოთქვამდნენ. მონალოც კვერს ჯერ გულზე მიიდებდნენ და მერე იქვე შექამდნენ, სახლში არ დააბრუნებდნენ.

148. ზაციური ანთარი

ჩამწ. ს. მაკალათია, სამეგრელო (მაკ., სამ., 329). საქონლის ღვთაების ლოცვის ტექსტია სამეგრელოში „ჟინი ანთარის“ სახელით ცნობილი. ლოცვა დიდმარხვაში სრულდებოდა.

149. ჯარეთ ვადილოთ ლაშარი

ლექსში მოხსენებული რეალიები მის თუშურ წარმოშობას ადასტურებს. ჩაწერილია XIX ს. 60—70-იან წლებში. ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, 1957, გვ. 335.

150. პირველად ღმერთსა ვახსანებთ

მთქმ. ფერხული ეკატერინე ფიდოს ასული, სოფ. ეინვალი, ქართლი, დუშეთის რ. ჩამწ. ნ. შამანაძე, 1969 წლის 2 ნოემ. ფ. არქ. №257. რიტუალური სადიდებო ლექსია, რომელშიც ჯერ ღმერთია დახასიათებული, შემდეგ კი ლაშარი და კოპალა. ტექსტი ფშაური წარმოშობისაა, რასაც ხატ-სალოცავთა თანმიმდევრობა ადასტურებს.

დიდების ეს ტექსტი რთულ შენათხზს წარმოადგენს ძველი და ახალი რიტუალური ლექს-სიმღერებისას. წარმართულ ფენებთან ერთად მასში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ელემენტს, რაც შედარებით გვიანი მოვლენაა მთაში ცნობილ რელიგიურ საგალობლებში. ამ შემთხვევაში კოპალას სახე ქრისტიანული წმ. გიორგის თვისებებითაა აღჭურვილი, თუმცა შეიძლება პირიქითაც იყოს: კოპალას თვისება-ეპიტეტები წმ. გიორგის მიუსადაგდა. მიუხედავად მსგავსებისა, დიდების თითოეულ ტექსტს სრული დამოუკიდებელი ფუნქცია გააჩნია და ამიტომაც განიხილებიან როგორც დამოუკიდებელი ერთეულები.

ИЗДАНИЕ ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ ПОЭЗИИ

Публикация полного корпуса народной поэзии — знаменательное событие в жизни каждого народа. Печатание сборников и отдельных образцов народного творчества не может создать полного представления о значении и месте устной словесности в истории национальной культуры.

Полное создание богатой, многовековой грузинской народной поэзии до сих пор не существовало. С течением времени накопилось огромное количество материала: часть его разбросана в периодической печати разных лет, часть входит в сборники, которые давно уже стали библиографической редкостью, а немалая часть вовсе не опубликована и хранится в разных архивах и коллекциях. За последние годы в экспедиционной работе главное внимание уделяется изучению современных фольклорных процессов и, таким образом, все новые образцы народной поэзии пополняют наши фольклорные фонды.

На основе этой работы отдел фольклора Института истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН ГССР подготовил для печати первое академическое издание полного корпуса грузинской народной поэзии в восьми томах. Каждый том состоит из введения, основных текстов, вариантов, примечаний, библиографии, словаря, индексов. В примечаниях вместе с вариантами дана по возможности полная паспортизация.

В комментариях учтены все имеющиеся записи текстов, расположенные по этническому признаку (Картли, Кахети, Пшави, Хевсурети, Мтиулет, Хеви, Месхет-Джавахети, Аджария, Имерети, Гурия, Рача, Лечхуми, Мегрелия, Сванети) в хронологическом порядке их фиксации.

ОСНОВНОЕ СОДЕРЖАНИЕ ТОМОВ:

I том. Мифологическая поэзия. Тексты разделены по тематическим группам: солнце, луна, звезды, стихийные явления, сотворение вселенной, отраслевые и племенные божества, загробная жизнь.

II том. Героическая поэзия. Афоризмы, идеал героя, стихи о борьбе против захватчиков, внутренняя вражда.

III том. Обрядовая поэзия. Песни и стихи повогоднего цикла, пасхальный цикл, пост, масленица (берикаоба), обычай «Очхари», плачи, причеты, свадебные песни, песни родни.

IV том. Любовная поэзия. Ода, элегия, любовные прення, любовные «письма в стихах», частушки, миниатюры, баллады.

V том. Бытовая поэзия. Социальные мотивы — крепостничество, батрачество, чиновники, беднота и сироты, купцы и барышники; песни охотников, песни пастухов, семейная лирика, детские песни, юмор.

VI том. Историческая поэзия. Циклы: Вахтанга Горгасали, Давидз Стронтеля, царицы Тамар, Шалва и Иванэ Ахалпихели, Шота Руставели, борьба с феодалами; Зураба Эристави, Георгия Саакадзе, Бахтрионской битвы, Ираклия Второго, Соломона I, Соломона II, крестьянские восстания, революция 1905 года, первая мировая война.

VII том. Трудовая поэзия. Песни пахоты, покоса, молотбы, мотыжения, сбора винограда, глотовщиков, ткачих, подонош.

VIII том. Современная поэзия. Основные циклы: Родина, Октябрьская революция, установление Советской власти, новый быт, индустриализация и коллективизация страны, Советская армия, Великая Отечественная война, послевоенное строительство, борьба за мир.

Ввиду обилия материала некоторые тома будут состоять из двух книг.

Многотомник подготовили к изданию сотрудники Отдела фольклора Института истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН ГССР. Работой руководила постоянно действующая редакционная коллегия (проф. Е. Вирсаладзе, проф. К. Сихарулидзе, проф. М. Чиковани — главный редактор).

Издание полного корпуса грузинской народной поэзии начинается с публикации древнейшей мифологической поэзии. Редакция надеется получить от читателей критические отзывы, которые будут учтены при дальнейшей работе.

Редакционная коллегия

PUBLICATION OF GEORGIAN FOLK POETRY

As a rule, publication of complete works of folk poetry is a remarkable event in a people's life; and this is true for any people's folk-lore. Individual editions of selected works can't create the true impression and reveal the significance of folk-lore in the history of folk Art. The poetic genius of the people's broad masses has created such everlasting pearls, from miniatures to great poems, that it would mean an underestimation and lack of appreciation of our ancestors not to publish complete volumes of these works.

Until now we haven't had any editions of the rich century-old Georgian folk poetry. All the collected poetic material has only appeared in papers and magazines, in rare bibliographical collections and could be found in the archives records. In the recent ten years dozens of expeditions have been organized in order to study the processes of creation of folk-lore and to find the unknown pieces of this Art.

With this in view, the folk-lore department of the Institute of History of Georgian literature named after Sh. Rustaveli (Academy of Sciences of the GSSR) has prepared the first academic edition of Georgian folk poetry for publication. Each volume will contain the basic texts, their versions, notes, bibliography, genre research and indices. In addition to the versions and notes the readers will find descriptions of social environment and source for each verse. Each volume gives Megrelian and Svanetian examples of folk-lore. All the versions are arranged according to their sources and chronology.

Principal content of each volume is as follows:

Vol. I. Mythological poems. The texts are distributed by thematic groups: the Sun, the Moon, the stars, natural phenomena, creation of the world, various deities, deities' children,

songs, the spiritual and the darkness, the biblical legends, the seasons, diseases.

Vol. II. Heroic poems. This book contains epicisms, the ideals of the heroes, struggle against invaders, revenge, weepings, the hero's death.

Vol. III. Ritual poems. New Year songs, Easter songs, fasting, „Berikaoba“, „Ochkari“, mourning, funeral repast, wedding poems.

Vol. IV. Love poems. Praising, longing, love talks, Love letters, elegies, miniatures, ballads.

Vol. V. Poems of everyday life. Rhythmic, jokes, life, social motifs-serfdom, handicrafts, servants, poverty and orphanhood, trade, hunting, shepherd's family, children.

Vol. VI. Historical poems. Vakhtang Gorgasali, David the Builder, Queen Tamara, Shavtva and Ivan Akhaltsikhians, Shota Rustaveli, Struggle with the feudals in free Svaneti, Zurab Eristavi, Giorgi Saakadze, the Bakhticini fight, Erekle the Second, Solomon the First, Solomon the Second, the peasants' revolts, Revolution of 1905, World War I.

Vol. VII. Agricultural and labour Songs. Collective, ploughing, abundance, mowing, watering, vintage, arata-song.

Vol. VIII. Modern poems. Mother-land, the Great October Revolution, the Soviet power, the new life, industrialization and collective farms, the Soviet Army, World War II, Construction after the War, struggle for peace.

Due to the great amount of the highly artistic materials some volumes will be published in two books.

The compilers have tried to supply each poem and version with notes. Very often these turned out to be more than the text itself; but we don't consider it as a disadvantage. On the contrary, this makes the books more valuable. An academic publication of folk-lore works naturally needs deep and diverse information. Readers today are not completely satisfied with the text only; they demand a scientific approach to the work.

The collection of volumes has been prepared by the scientific workers of the folk-lore department of the Rustaveli Institute. All the current work has been carried out by the editorial board (Prof. E. Virsaladze, Prof. Ks. Sikharulidze, Prof. M. Chikovani, Editor in

Chief), volume having been prepared by one or several scientists.

The collection of the Georgian folk poetry begins with the earliest mythological poems.

The editorial board expresses their hope that the readers will help them with many important remarks that will come in useful in their further work.

Editorial Board

ლექსნიკონი

ა

აბელაურის ტბანია 323 ამ სახელწოდების ტბა არ გვხვდება, იგულისხმება აბუ-დელაურის ტბა, რომელიც ხევსურეთშია.

აბლა, აბლახანუმ 250, 251 ბიკოლა, აქ.-თურქ.

ადგილი თავსვეთის ანგელოზო 300 საკულტო მიმართვა, ადგილის მთაქარსვე-ტის (ციური შუქის) ანგელოზო.

ადეში 130 ბანიან სახურავზე დასაფენი ფიჩხი. ნაყარი მიწის შესაკავებლად. „ადეშად ფერცხალს აყრიან“.

ალან-წყალი 117 ალანთა წყალი, მდინარე თერგი. ჩანს, ლექსი ძველ ვითარებაზე მიგვანიშნებს, როცა ჩრდ. კავკასიაში ალანები ცხოვრობდნენ და მათ უმთავრეს მდინარეს ამგვარი სახელი ერქვა. „ზღვახმელთას გამაიარეს, დახეიეს [გატოქეს] ალან-წყალიო“.

ალვა 124 ალვის ხე. ხეეში ლექსს „წმინდის სამების ძირსაო, ხე ალვად ამოსულაო“ სახობტო ხასიათი აქვს და სმურის ხმაზე მღერიან.

ალთო 124 თხელი ყინული წყალზე. „ალთოს მამჩხხერეს წყლისასა“.

ალთო 118 ალვად, ალვის ხედ. „წმინდა გიორგის კარზედა ხე ალთო ამოსულიყო“. შდრ. სოფ. ალონი, ალვანი. იქნებ ამ სოფლის სახელწოდება მომდინარეობს ალვის ხისაგან, მსგავსად იმისა, როგორც მუხრანი მუხ-იდან, ცაქელური ცხმელ-დან, კოპიტნარი კოპიტ-იდან იწარმოება.

ამამაბრუნა ძირითა 120 ძირიანად ამომაგლო, ამომთხარა, წამაქცია.

ამოაგოდე 20 ამოაგდებდე. „ამოაგოდე კირითა“.

ამოაგოდე 20 ამოწვევითე, მოსაქე.

ანდრეჟი 300 ანდერძი, ძველი ამბავი, გადმოცემა, შემკვიდრებით გადმოსული საგვარეულო თქმულება.

აოხებული 299 თავგასული, გაძლიერებული, მომძლავრებული „მყვირალნ[დევები] იყენეს აოხებულნი“.

არტყავის 138 არტყია, შემოკრული აქვს.

ას 138 არის.

ასლიტრიანი 128 ასი ლიტრის სიმძიმის იარაღი, გმირთა და ღეთისშვილთა ძალის გამოსაცდელი. „ასლიტრიანი საგმირო სინისაი“.

ასჩინდ 300 გაუჩნდა, ცეცხლი მოედო.

ალით 302 სახით. „კაცის ალით“.

აშალე 108 აღრიე, მიმოფანტე.

აშალი 271 რიტუალური ნამცხვარი; დობილთა სახელზე გამზადებული კვერები.

აშუქალი 117 დობილი. მისი ნიში ხახმატშია და გიორგი ხახმატის ჯერის მოყვანილად ითვლება ქაჭავეთიდან.

აშურმა 141 მამაკაცის გულის სამკაული, ასხმული ბალთები და ძეწვეები. „აშურმა აეასხმეინო, საყულო გაღვინათო“.

აჩინდას 128 გაუჩნდეს, მოეკიდოს. „ცეცხლ აჩინდას, დაიწვას“.

აჩქამდისაო 300 ახმინდეს. „ცა რვალივითა აჩქამდისაო“.

აწია 117 აწვია, შეყარა, შეკრიბა.

ახალ-უხლები ახალგაზრდობა, კბაუეები.

ახადოდი 149 ახადე, მოაცილე.

ახტატის კალო 145 ტანჯვის კალო. „ახტატის კალო შეიკვრის“.

ახუეებული 123 გამრავლებული. „ბაადურს გუღანის ჯვარსა საყმო ხყუე ახუეებული“.

ბ

ბაადური 127 ღეთისშვილის, ხეთისნასახის სახელი. ერთ-ერთი უძველესი ხატსალოცავი. სრული სახელწოდება: „ბერი ბუქნაი ბაადური“. მას ასე მიმართავენ: „საღეთო ბერო ბაადურო, ადგილი[ს] თავსვეტის ანგელოზო!“

ბაილ 95 მისამღერი, მნიშვნელობა-დავიწყებული სიტყვა. ხშირად გვხვდება სვანურ საფერხლო ბააღებში. ჩანს, საკულტო წარმოშობისაა.

ბანდული 96 ძირგაბანდული ტყავის ფეხსაცმელი, თოვლ-ყინვაში სამგზავრო. ბახალა 282 კაცის სახელი.

ბეგარი 307 შესაწირი ცხვარი ხარკის წესით მიღებული. თუშები ცხვარს აძლევენ ბეგრად კარატის ჯვარს.

ბედის ბედაური 127 ღეთაებრივი ცხენის სახელი. „იმან დაუქეივნა სახელად ბედის ბედაური“.

ბერი 127 ეპითეტი; მოხუცი, უხუცესი, გამოცდილი მეთაური, მერჯულე. ხშირად კობალაზე ითქმის 306.

ბერი გიორგი 118 ლაშარის ჯერის ეპითეტი.

ბერმუხა 118 დიდი ხნის საკულტო მუხა. ფშაველთა წარმოდგენით, ოქროს ჯაპკით ანუ შიბით იყო ცასთან შეერთებული.

ბედელა 133 დევის სახელი.

ბერკუნდი 129 მოხუცი კაცი. „ფანდურს დაუკარ, ბერკუნდო“.

ბჟანებდა 120 ბრძანებდა.

ბოვრაუი 142 საკულტმსახურო დროშა.

ბოინოზს 132 ფრინველისაგან ჰაერში წრებებს შემოვლება. „იფთზე ბოინოზს ნასახი“.

ბროლ-მარხილაი 130 ბროლის განსაზღვრული სახე.

ბუბუნა 128 ხარი, ხატის ენაზე.

ბუზ-ბუილა 117 დიდი ბუზი. „ბუზ-ბუილადა აქივია“.

ბურელუმნი 309 ნაპერწყლები, ჩინჩხვარი. „თან ცეცხლის ბურელუმნ მახუე-ბოდესა, დეე დაიწვებაო“.

ბუქრა 300 ქაჯთა ხელმწიფის სახელი. „მაშინის ქაჯთა ბუქრას შაატყობინეს ქელმწიფესა“.

ბულაური 132 ხარი, ქადაგ-მკითხავთა ენაზე.
ბულრაობენ 82 ლალობენ, კიდაობენ, კუნტრუშობენ, ბლუიან, რკითა და ფუ-
ხით მიწას თხრიან: ხარები „ბულრაობენ ქელიდან ქელამდე“.

ბ

გავიგვიანდა 121 დაგვიგვიანდა. დაიგვიანა. გვიან მოვიდა.
გადავიჩქვიფე 129 გავტოპე, მდინარეში ჩქაფანით ვავედი.
გადართვენ 307 გადახურავენ, შეხურავენ სახლს.
გადააყრიენ 149 უღარდოთ გაატარებინე. „უჭავრო გადააყრიენ“:
გაღმაუშე 127 გაღმოუშვა, ციდან ქვეყნად ჩამოუშვა. „მემრე გაღმაუშე ქმე-
ლეთზედა“.
გავიდრიცოდი 280 გავიპიმებოდი, გავიხრებოდი. „გაიყარნოდი ღონიჭი, წელ-
შია გავიდრიცოდი“.
გამონაფრინდობსაო 105 გამონაფრენსაო, ნახტომსაო.
გავწირე 121 დაეგდე, დაეტმე, დაეთმე. „სიო გავწირე მთისაო“.
გარმამიშეტა 135 გაღმომიშეტა, დამიმატა.
გასაზღო 149 გასაზრდელი, ყმაწვილი.
განერნავენბა 123 გასეირნება.
გაღუპას 295 დაღუპოს, ამოხოცოს. „ხალხ სრუ გაღუპას“.
გახენე 167 გახედე, დინახე, მიხედე.
გახოშა 312 გასხება, ტოტები ჩამოაცილა ხეს. „გახოშა წიფელი და ესროლა-
კოპალას“.
გირგეტულა 139 სოფელ გერგეტელების საწესჩვეულებო სიმღერა, ასრულებ-
დნენ სამების დღესასწაულზე.
გვილ-სალოჟა გველთა სალოკი. პატარა. კრისტალური ბროლის ბრწყვილა-
კენკი.
გვიბავის გვიბია.
გიღელ-კიღელი ცის ტატნობი, ჰორიზონტი, ცის კიღე. „ღიღი არს თქვენი ხთი-
შვილი, ცის გიღელ-კიღელთ დაღგება“.
გიღდებსა 291 გიღზებსა, მასრებსა. „არ შემოვაკლებ გიღდებსა, — წელზე
მასრების ჟარია“.
გიორგი ნაღვარშვენთიერი 156 ნაღვარხევეში (ხახმატი) მყოფი მშენიერი გი-
ორგი, ღვთაება.
გიშლისა 114 გიშერივით შავი, გიშრისფერი. „ფათარ ასხავის გიშლისა“.
გოზა 130 ბაწრის ჩასაბმელი ნაწილი მშვილდისა. მშვილდის სახელურს აქეთ-
იქეთ ღუნვადი ნაწილები აქეს. სახელურის მარჯვნივ წინა გოზაა, მარცხნივ—უკანა
გოზა. გოზას სიფართოვე და მოუკიდებელია ისრის გამტყორცნი ძალა.
გორახი 108 ხმელი მიწა. დარის სიმბოლო, ტალახის საპირისპიროდ.
გრდემი 295 გრდემლი.
გულამაყრელთი 118 გულამაყრელებისა.
გულანი 122 სოფელი პირაქეთა ხევსურეთში, ხატის საბრძანისი.
გულანის ჭვარი, ხატი 122 უძლიერესი ხატი ხევსურეთში. წმ. გიორგის სახელ-
ზე ლოცულობენ. ადრე ბერი ბაადურის ხატი ყოფილა სანედან გადმოსვლამდე.
გულისადა 121 გულისთვის.

დაგრუშენა 107 თმაზე ან თავსაფარზე ხელის გადასმა, გასწორება, დალაგება, შეკობტაეება.

დაეცვიტა თვალი დაეკვიტა, ფართოდ გაეღო. „ცხრა სახედაე დაეკვიტა“.

დავანაფოტე 135 დავამსხვრიე, დავლუწე გავტეხე: „კლდე ოთხად დავანაფოტე“.

დავიბუღლითოდი 280 სახე შეკმუხვნოდა ავტირდებოდი. „შავხლოდი კირცხი-ლაზედა, დაპქროლის, დავიბუღლითოდი“.

დავიკმიხოდი 280 დავიღრიჯებოდი, სახე შემეცვლებოდა. „დამქვიმის, დავიკმი-ხოდი“.

დამქვიმის 280 დამჩხვლიტა, დამწიწენა.

დავლათიანი 130 წყალობიანი, ბარაქიანი, ბედნიერი. „გიორგი დავლათიანი“.

დავლიე 118 ამოვწვიტე. მოვსპე, დავხოცე. „ჯერ შვილი-შვილით დავლიე“.

დამკვლივის 280 დამაკვირდებოდა, დამხედავდა. „დამკვლივის გულის წაწალმა“.

დამსახა 127 გამაჩინა, შექმნა, წარმოშვა. „მემრ მე დამსახა თერგაული“.

დასახვა 127 შექმნა, გაჩენა.

დასდგომილიყვენეს დასდგომოდნენ. „ნაპირზე ქაენი დასდგომილიყვენეს“.

დაუბი 317 დაუგდე, უყურადე.

დაუქვიენა 127 სახელი დაურქვა, უწოდა, დაარქვა.

დაუცნათ 136 დავსცეთ, დავკრათ.

დაქვიენება 128 დარქმევა, სახელის მიკუთვნება. „ერთს დამიქვიენა რუთიათო“.

დაშაულა 124 დაშაეებულა, დაზიანებულა, მომკვდარა.

დაცენ-დაფარენ 149 დაიცავ-დაიფარე, შეიწყალე.

დაქვერეთილი სეფი 149 დაქრელებული, ორნამენტირებული სალოცავი დიდი ჰური, საქვერეთელ დარული. „დანთებული კალატარნი, დაქვერეთილი სეფი“.

დევთ-დედა ეშმაკ-მაიკილთა დედა. სალოცავი სოფ. როშაშია „ციხურას“ სახელწოდებით.

დევთკე 131 დეეთაკე, დეეებისაკენ.

დეღამფარი 290 ბეგარი, ხარკი. „გადაჯდე თავის ლურჯასა, აილი დეღამფარია“.

დერბასი 154 დარბასი, ღვთისკარი, ოლიმპი, ღმერთთა სამყოფი ნაგებობა.

დიდობდა 119 ამყობდა, ზეიადობდა. „დიდობდა ლაშარის ჭვარი“.

დილაი 119 „დილაი“, დილის სიმღერა-საგალობელი. „ღამე მღერასა დილა სჯობ, დილაი დილაობასა“.

დობილი ხატის თანაშემწე, ელჩი ქალი. სადობილოდ აშალს აცხობენ და მიართემვენ (სოფ. ბუჩუკურთა).

დოვლათის ქარი 339 ომში გამარჯვების ქარი. „გიქროთ დოვლათის ქარია“.

დრონილი, ხნიერი, ხანდაზმული, კარმაგი მოხუცი, ძველი. „ბერი ბაადური დრონილი ხატია“.

დღესიდგეს 122 დღეიდან.

ეელა 304 აეღო, აეწია, დაეძლია.

ელჩობაი 88 შუაკაცობა, შუამავლობა. „ელჩობაი მაქე მალოცილიო“.

ემე 110 ამის. „ემე შემეცოდებ ქალკაეებ“.

ერდო 70 ბანიან სახლში შუაეცეხლის თავზე ამოჭრილი სარკმელი, საიდანაც წინათლე და მზის სხივი შემოდის. „ჩვენს ერდოში ჩამოდიო“.

ერთუცს 136 ერთურთს, ერთმანეთს, ერთიმეორეს.

ეშმა ეშმაკი, მავნე სული.

ეჩქვიფუნეს 333 ეტობა.

3

ვადენდიდიო 107 მოვდენიდიო, მომყავდაო. „ნახირს აიქით ვადენდიდიო“.

ვაუიერებ 105 ვაუდრიალეზ, ვახშიანებ. „ვაიეიერებ ჩემ ღილ-ქამარსაო“.

ვარდის დღეობა 140 საკულტო დღესასწაული ხევეში, ათენგენობა.

ველის მხეცი 311 ირემი.

ვესრიე 135 ვესროლე, ვტუორცნე. „ლახტი ვესრიე საკმიდან“.

ვექინძებუიო 88 გვერდში ამოუდგებუიო, ვეალერსებუიო. „თავის მოძმესე ვექინძებუიო“.

ვეშრაპიანი 129 წყლის კურქელი. „ქელთ მამეა ვეშრაპიანი“.

ვთიბლოდი 281 ვთიბავდი. „რად არ ღამეეა ვთიბლოდი“.

ვიარებოდიდიო 106 ვიარებოდი, დავდიოდი.

ვიკვლიეთ 319 ვეძებეთ.

ვინამ 120 ვინმე. „თუ კიდეე ვინამ გადარჩეს“.

ვიჭლოდი 280 ვიჭეკი. „ორ ქალთა შუა ვიჭლოდი“.

ზ

ზარი 135 შიში, ძრწოლა. „სალუდე ქაბი თავს ეცეა, ა იმან შამდეა ზარია“.

ზეგარლობა 297 ტრადიციული საგვარეულო დღესასწაული მთიულეთში.

ზედამის პატრონი 162 ხატში სალოცეად მოსული, ტაბლის მიმრთმევი, მეხევეწური.

ზეზილი 107 ზელილი, ერბოში მოხარული ფქვილი, ქადის საგულე.

ზეზილის გული ჩაუდვიდიო“.

ზეპირად 107 ქვეყანაზე, ხმელეთზე, სამზეოს, აშკარად. „ზეპირად ვიარებოდიდიო“.

თ

თავკუჭულა 307 სახლის სახურავის ბოლო ნაწილი.

თარესი 279 თარეში. „თარესში ჩამოყენებს ნაჩვენებს ფშავლის შვილებსა“.

თაო 107 თავად, თვითონ.

თავმანდელნი 107 თავმანდილნი, თავსამკაული, ქალის თავსაბურავი.

თეთრი სანება მეკობრეთა და მონადირეთა ღეთაება. მისი ხატი უკანხადლუშია.

თეთრი ყვავილი 104 ყვავილის ბატონები, ინფექციური ავადმყოფობა.

თეთრსა მთის ქორსა თერგაულსა 128 თერგაულის ეპითეტი.

თერგაული, თერგაული 128 ღეთისშვილი, ერთ-ერთი ძველი ხატი, ღეებთან შებრძოლი, სოფ. კისტნის მახლობლად (პირიქითა ხევსურეთი). მოიხსენიება ეპითეტი: „თეთრი მთის ქორი“. „თეთრი მთა“ — მარად თოვლიან მთაზე—ყაზბეგზე შიუთითებს.

თვალსაცერაი ღევის სახელი.

თორპილზედა 288 თვალპირზედა, სახეზე. „ყვავილი აუჩენაე თორპილზედა“.

ილბა ბაილ 95 ოთხმარცელოვანი რეფრენი, შებრუნებული ფორმიითაც (ბაილ ილბა) იხმარება საკულტო ბალადებში. სიტყვის მნიშვნელობა დაკვირვებულია. ირმულად ირემსავით, ირემზე მონადირის მსგავსად. „როგორც ირემს ეპარებიან“ (რახ.). „ირმულად ჩაეპარე“.

იფთო 132, იფნი, საკულტო მცენარე. „იფთზე ბოინობს ნასახი“.

ინესტეველა 300 იკაიწებდა, იმკლავებდა. საჩხუბრად ემზადებოდა. „მკლავებს იხესტეველა ბუქრაი“.

ბ

კა 240 კარგი.

კაბა 127 მამაკაცის გრძელ კალთებიანი ტანსაცმელი. „ბაადურს ჩააცვა მორიგემა ტანზედა კაბა სისვისაი“.

კამალა 132, კამარა, რკალი, აკენის ნაწილი. „ოქროს კამალა გადაუდგა“.

კაოტი 147 სენი, ავადმყოფობა. „მაცილსა და კაოტს ნუ დაადევენებ“.

კარატე 308 კოპალას ხატ-ნიშის საბრძანისი.

კარატიონი 308 კარატელი, კარატისა.

კარადვთისია 160 ღვთის კარზე მყოფი, მიმსვლელი.

კვამლად 137 კომლზე. „სალექსად გამომიგზავნეთ კვამლად შიშავი ცხვარია“.

კვირა, კვირე, კვირია 135 ძლიერი ღვთაება, ხმელთმოურავი, მორიგის უშუალო თანაშემწე. კვირიას საბრძანისი სოფ. ატაბეშია.

კიკავებო 127 კიდური, ცისკიდე. „ცის კიკავებში სახეთქები“.

კირკილი 138 მავნე მწერი. „ვერცას დაგითხრით ფართოთა ძველსა და კირკილიანსა“.

კირცხილა 280 რცხილა, ხე. კირცხილის ნეკერს საქონლის საკვებად იყენებენ. „შავხლოდი კირცხილაზედა“.

კლდე 135 ქვა, ლოდი.

კოკალია, 312 313 პატარა, უძლური.

კოპალა 129 გმირი ღვთაება, ღვთისშვილი, მორიგის დასახული, დევებთან და ქაჩებთან მებრძოლი.

კოტორ 114 ნისლის ქულა, ნისლთა გროვა „კოტორ გაპყეება ნისლისა“.

კოპოზი 129 სასმისი, თასი, ქელთ ზქონდა ოქროს კოპოზნი“.

კოთხვა 101 ერთგვარი წახნაგოვანი სანადირო თოფი.

ლ

ლაქარდიანი 130 ენაწულიანი, ფოლორცი, ენამახვილი, „ენა შაქეს ლაქარდიანი“.

ლადი 67 თავისუფალი, ამაყი, ძლიერი, მტერმოურეველი ღმერთი ხორცი, გვამი. „ჭორციელის ლეშ ეღვა მუცელში“.

ლიბულ 130 ლიბოდ, საძირკველად.

მ

მადანი, მეედანი 136 მოედანი.

მათრაქი 127 საბრძოლო იარაღი, ღვთაებრივი მათრახი. ვისაც გადაკრავენ იღუპება. „მათრაქი მისცა მორიგემა“.

მათრაკი ფესვიანიო 128 საომარი მათრახი, „მარცხენაზე ქოთან მისცა ნეთი-ანიო, შიგა მათრაკი ფესვიანიო“.

მამჩნეს 105 დამჩა. „პურ-სატან მამჩნეს ღელეშიაო“.

მანანა 300 ცრემლი. ხატის (ჭვარის) ენაზე.

მაჟარი 283 ერთგვარი თოფი.

მაჩქე 288 შეუვალი, მიუკარებელი. „პირქუშ მარქე ჭვარი“.

მასანთო 243 სალოცავი პური, ჭადა ხაეიწის გულიანი, შესაწირად გამზადებული.

მასრა 110 კიტრი, ცალი.

მაცილი 147 ეშმაკი, მაცდური, მავნე სული.

მამახურა ავი სული, რომელიც ხევსურის წარმოდგენით, საკვამიდან სახელს ჩასძახის და აშინებს ადამიანს.

მაუქელი ეუპოვე, მოუენახე, „ვერ მაუქელე კარია“.

მგლისფერა 116 მგლის მუხლიანი, სწრაფმორბენალი, მოუღლეი.

მგულავის 122 გულში მაქეს, ვაპირებ. „საპირიჩითოდ მგულავის, რა გამაეიდას მთა-ელი“.

მეგანძური ხატის მსახური, ვისაც განძი აბარია (დროშები, ხატები, ჭურჭლეული).

მედერბახე 155 მედარბაზე, ღეთის კარზე მყოფი, მიღებული. „მედერბახე ან-გელოზო, ჟამის მაკლებო“.

მეინე 134 ჭადაგი, კულტმსახური. „ვეაუბენ ჩემსა მეენესაო“.

მემრინას 125 მერე, შემდეგ.

მეტანა 120 მახლდა, მყაედა. „მე მოძმე აიქ მეტანა შუბნური მათრაკიანი“.

მზექალი 117 დობილი, ხახმატის ჭვრის მიერ ჭაჭავეთიდან მოყვანილი. მატრი-არქატის დროინდელ ქალღვთაებათა დანაშთი, აშექალისა და სამძივარის მსგავსად. მთრელებსა 282 მთრეველებსა, მომტანთ, მზიდაეთ. „თივის მთრელებსა“.

მზისთვალი 108 სიცხე, გვაღვის სიმბოლო.

მიახლავს 128 ახლოს, შეახოს, მოკიდოს. „ქელ მიახლას“.

მიკიდავ 116 მიმართებს, მართებს. „ვალი მოკიდავ, ვალსა ვთხოვ“.

მიუცავის 301 მიუცია.

მიცა 116 მიცემა, დაარტყა.

მკეთი 120 გამკეთებელი, ოსტატი, დამზადებელი.

მკლავჩი 129 მკლავში, ხელში.

მონა 144 დავრდომილი, დავარდნილი, სნეული, ცუდი. „დაკუტებულსა მონასა“.

მონაგარი 277 ჩამომავლობა.

მორიგე 127 უმალღესი ღვთაება, გამგებელი, წესრიგის დამყარებელი. „პირველად დასახა მორიგემა“.

მოსახელე 118 ღვთაების ან მიცვალებულის სახელის მატარებელი ადამიანი. მოსახელეა იმისა, ვისიც სახელი დაერქმის (ვიორგი, ჭავთარი და სხვ.).

მოწაფენი 128 მოციქული, თანაშემწე ღვთისშვილისა. „ორნ მამცნეს მოწაფენი“.

მურგვალ 137 ირგვლივ, ყველა მხრით.

მყვირალი, ყვირალი 300 დევი, ხატის ენაზე. „იმ დროს მყვირალნი იყვნეს აოხებულნი“.

მშაველი 120 ფშაველი.

მწევარ 303 მწე, დამხმარე, თანამშემწე. „ერთი მწევარ მეტანა იქა“.
შკარნ 128 ფრთები. „შკარნ ვერ დაუსახენ ანგელოზისანიო“.

6

ნავაბარი 295 ნამსხვრევი. ნაგლეჯი. „სამკედლომ იქუხა სრუერთიანა და ნავა-
ბარ ცისკე გედინ“.

ნავთის წყალი 117, 308 დაუმუშავებელი, ბუნებრივი ნავთი, ბრძოლაში გამო-
საყენებელი. ამ „წყლით“ ცეცხლს აჩენდნენ.

ნაკოჭარი 105 ნაქუსლარი, ნაკვალევი, ფეხის დანაკრავი. „იქვე აჩინან ნაკოჭარ-
ნიო“.

ნაოქიანი 105 ჭუბა.

ნაპრალი 124 მთის წვერებსა და კალთებზე დადებული თოვლი. „ნაპრალს მა-
ამტვრევს მთისასა“.

ნასახი 127 ღვთისგაჩენილი, ღვთისშვილი, ნაწილიანი, ხატი.

ნახისკარ კვირაჲ 125 ნაისკერები კვირია. „მეგრე ნახისკარ კვირაჲ, ღვთის-
კარზე მდგომარეა“.

ნახანის 48 როცა. „ნახანის გეემართება“.

ნახატარი 299 ხატის ნამყოფი ადგილი, გაუქმებული სალოცავი.

ნეკრის კონაი 280 ხის კვირტიანი ნორჩი ტოტების კონა, საქონლის საკვებო
გაზაფხულზე.

მ

ოთხრქა 136 ცხვარი ოთხრქიანი, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. განსა-
კუთრებული შესაწირი.

ოთხეურა 136 ცხვარი, რომლის სისხლიც დევების სისხლს ჭადონსურ ძალას
უკარგავს და ტყვე იახსარს წყლიდან ათავისუფლებს. საგანგებო შესაწირი.

ოღვრად 124 ალვად, ალვის ხედ.

ოქროს ბურთვი 128 მემკვიდრე, ვაჟიშვილი, მამაკაცი, ხატის ენაზე. საომარი
იარაღი, ცეცხლოვანი ბურთი. „საგმიროდ მომცა ოქროს ბურთვი“.

ოქროს ქსოვილი ჭადონსური თვისების ქსოვილი, საბრძოლო საშუალება.
„ოქროს ქსოვილი გადაჰფინა პაერზე და იმაზე დადგა“.

ოჩიპინტრე, ოჩიპინტე 107 ნადირთა პატრონი, მწყემსი, უფალი. ნადირობის
ღვთაება.

პ

პატრუკი 318 ტანი, სხეული. „ჩავიდა დევის პატრუკი“.

პირიშზე 126 ამინდის ღვთაება, ცა-ღრუბლების პატრონი, გამგებელი. მისი სა-
ბრძანისი სოფ. ჩირდილშია პირაქეთა ხევსურეთში.

პირლამაზი 302 ხატი, იკონას შესატყვისი ტერმინი. „შუბნურის პირლამაზი“
(რახ.).

პიროფლიანი 283 ლაშქრობაში მოკლული მეომარი.

პური-სატანი 105 პური და ყველი, საკმელი.

უამ და უუამო 126 დროზე და უდროოდ, დღითა და ღამით. „უამ და უუამოს მავალი“.

უამური 139 ტოპონიმი. „მანდ შამაგვესმა ეღერანი ეამურ ბერციხის კლდისანი“.

რ

რახტი 133 ადვირი, ლაგმის ღვედი ანუ ლაგმის ტარი.

რაქელ 290 რაფერ, როგორ. „ქვე რაქელ შაწუხებულან ე ჩენი კვირის ყმანია“.

რილასა 111 ალიტერაციული მიმართვა ლაზარეს მიმართ. „რილასა და ცხრილასა, ღმერთი მოგვეგვს წვიმასა“.

რქაჯანგვიანი 118 დიდი, დაგრებილი რქების მქონე, ძალიან გაზრდილი თხა ან ჯიხვი, ვერძი, ჯვართ ენაზე.

ს

საარსო 127 ქვეყანა, არსთა სამყოფი.

საგმირო 127 გმირთა სახმარი იარაღი, საომარი-საკემი (გურძი, ჩუგლუვი).

საგმიროი სინისაი 127 ლითონის საბრძოლო იარაღი. „ასლიტრიანი საგმიროი სინისაი“.

საგრეხელაი 282 ხელსაწყო, რომელშიც თითისტარი ტრიალებს.

სათავეი 127 პირველი ადგილი. „ღვთის კარს მამცა სათავეიო“.

საკვეხური 127 საამყო, შესანიშნავი. „ის არის იმის საკვეხური“.

საკილდიანი 292 თოფი. „კარს უღვას საკილდიანი, მტერთა დამკემი რისხვისა“.

საკმისა 135 საკმლისა, საკვამლური, ბოლის გასასვლელი ბანიან სახლში. „ლახტი ვესრიე საკმიდან“.

სალაღობელნი 106 სადღესასწაულო ხშიადები. „სალაღობელნი დავაცხვიდიო“.

სამკლავე საბძოლო საპურველი, ღარივით მოხრილი ფოლადის ფურცელი, მკლავზე დასამაგრებელი.

სამანი 120 საზღვრად ჩარქობილი ქვა.

სამზელად 283 სამზერლად, სანახავად. „ლაშქრის სამზელად მოდვა უხვად ქალი და რძალი“.

სამჟან 106 სამგანი, სამ ადგილას.

სამჟანა 106 სამგან, სამ ადგილას.

სამსახლაი იხ. სენ-სამსალაი.

სამძივარი 105 ქალღეთაება, ნადირთა და მონადირეთა მფარველი.

სანეო იხ. სანე-ღელე.

სანე-ღელე ხატის საბრძანისი, ძველი სალოცავი სოფ. ბაქალიგოსა და და გუდანს შორის მალად მთაზე. უწინ იქ ყოფილა გუდანის ხატ-სალოცავი ბერი ბაადურის სახელზე. „სანეო არის გუდანის მალა“.

სასაგნავი 128 სასროლი, საასპარეზო. „ზღვის პირზე სასაგნავი კოპალას მისცა მორიგემა“.

სასინაულვლოდ 149 სანაღვლოდ, სამწუხაროდ.

საფერკედ 127 საქდომად, სამგზავროდ, ყოველდღიურად სატარებლად. „იმას შისცა მორიგემა საფერკედ თეთრი ცხენი“.

საფოცხველი 139 ფოცხი.

საფუხარი 130 ჯაქვის ხელთათმანი.

საქინძი 88 მსხვილი მძივებისგან ასხმული საკინძი საყელოზე ან ჯიბეზე.

საწინწლები 128 სასხურებელი. საშხეფებელი. „შამცოდვეთაზე საწინწლები“.

სახედველი 299 თვალი, ჯვართ ენაზე.

სახედავისად 300 თვალისათვის.

სახეთქები 127 საქროლები, მიმსულელი (ცხენი), „ციხ კიკეკეებში სახეთქები“.

საჭიგვენი 107 სამკაული. „ჩაუფერნიდი საჭიგვენიო“.

სენ-სამსალა 127 შხამი, საწამლაევი. „სენ-სამსალით გაფევრული“.

სეტყვასაისეთ 343 სეტყვასავით, სეტყვისებურად.

სეფი 149 რიტუალური ქადა, ხორცის ან ხავიწისგულიანი. „ანთებული კელაპტარი, დაქვრეთილი სეფი“.

სევტად ჩამოსული 67 ეპითეტი. ღეთისშვილი, ღეთივმოვლინებული. ციდან სხითვა კონებად ჩამოშვებული, ხალხის დამხმარე, დევებთან მებრძოლი.

სვლისხვერა 274 სვილი—ქვაევი. ლეგა ფერისა. „გვიორგი სვილის ფერაო“.

სოქემდეს 300 ჩანთქაედენ, ყლაპაედენ.

სიმურ 129 წყალი, მდინარე, ხატის ენაზე. მღვრიე, ნარევი. „სიმურ მდინარეა პირიქით დაღესტანში. სულ ეს წყალი იხსენიება დევების საბანაოდ“ (თ. რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., III, 19).

სინა 127 ბრინჯაო, რვალი, რკინა, ლითონი, „ჩაქმან ჩამაცენა სინისანი“.

სისვი 127 მწვანე.

სკამითთა 317 სკამიდან. „მე რომ წამოვდექ სკამითთა“.

სიწმინდის დარი 290 უღრუბლო, უხიწვო ცა, მზიანი ამინდი.

სმური 293 ნადიმის დროს სათქმელი სიმღერა.

სულელს 333 მყრალს, სუნთანს. „ყარგადა სცოდნიყო ბაზალეთურნი წყალნია“.

სტანავს 306 ახლავს, ურევია, სღვეს. „მეთე სტანავს მამაო“.

ტ

ტაზარივ 134 ტაძარიო.

ტალავარი 128 ტანსაცმელი ზოგადად. რკინის ტალავრიანი — ჯაქეჩაემული. „ამას მისცნა ხუთნი მოწაფენი მორთულნი რკინის ტალავრითაო“.

ტალივით ცრემლი 121 მსხვილი ცრემლი. „ტალივით ცრემლებს ღვრისაო“.

ტანაყრილი 128 ახოვანი, მაღალი, ანგელოზი.

ტახტი 127 საგამგებლო, სამფლობელო, საბრძანისი, დასასხდომი, ხატის ენაზე. „ტახტ მამილოცნა ოქროსია“.

ტუგურულ 282 ვაეის სახელი.

უ

უკულმ ჩაუდევს საყელო 277 საყელო უკულმა (ზურგის მხარეს) გაუკეთებია. სამგლოვიაროდ პერანგის ან კაბის შებრუნებით ჩაცმა, რომ გულზე ფერად-ფერადი სამკაულები არ გამოჩნდეს. „უკულმ ჩაუდევს საყელო თავის ქალ—ქალის შვილისა“.

უმქარებელი 121 უქარებელი, უქრობდი, ვაშორებდი. „ვერ უმქარებელი კირსაო“.

უნ გატყვრას 295 უნდა გატყვრეს, გასქლეს, აფეთქდეს. „ი სინა უნ გატყვრას და ხალხ სრუ გალუპას“.

უფერი 301 ავისული. ამ შემთხვევაში დევი. „უფერი (დევი) წმიდა ადგილს ვერ მიეკარებინს“.

უფრიანი 301 უფერთა (დევათა, ავსულთა) სამყოფი ადგილი. „ის (დევი) უფრიანში უნდა იყვას, თორე კოპალა ცეცხლს გააჩენსა, მაშვი დასწავს“.

უხუიშნოდით 149 დაიფარეთ, „საყმოს მახსნოდით, უხუიშნოდით“.

ფ

ფერცხალი 130 ნეკნი.

ფოცხ-მაკრატელა 129 ერთგვარი ისარი.

ჭ

ჭადაგი 298 ხატის მოენე, მკითხავი, წარმართული კულტმსახური. მეენე—ჭვართ ენაზე.

ჭაიბური 133 ერთგვარი მშვილდ-ისარი. „მშვილდ-ჭაიბური ბერისა [ბაადურისა] ქუდიელზედა ხეიოდა“.

ჭალურა 106 ქალივით. „ქალურა ჩამოუარიდით“.

ჭაშოეთი 295 ქაშეეთი, ტოპონიმი.

ჭაჭავეთი 216 ქაჭუეთი, ქაჭეთი—ქისტეთი მკითხავ-ხევისბერთა ენაზე. „ქაჭუეთს რას იარები“; „ერთხელ კოპალა წასულიყვა ქაჭეთს ქაჭების საომრადა“.

ჭაჭთა ბაზარი 301 ქაჭთა საკრებულო, თავშესაყარი. „ქაჭთა ბაზარი ჩავიარე“.

ჭაჭთ ბუბუნეები 128 ქაჭთა ხარები. „ქაჭთ ბუბუნეებით მოტანილი“.

ჭობი 316 ქვაბი.

ჭონიყვა 321 ჰქონდა. „დევეებს ქონიყვა ქორწილი“.

ჭოქომონი 105 ქალის კაბის ბოლოზე მოკერებული ზოლებიანი (ფერადი) ქსოვილი. „ქოქომონ გაეაბრიალნიდით“.

ჭრისტეს ნახახი 301 ქრისტესაგან შექმნილი, მისი მსგავსი. „მემრე გაიგა მორიგემა, ქრისტეს ნახახი სად წავიდაო“.

ჭული 128 ჩაჩქანი, საომარი ქული. „ჭულ აღარ მამცა მორიგემა“.

ჭულსაქდელა 298 ტოპონიმი. „ჭულსაქდელას ეტყვიან, გორზე გზა გადადის“.

ჭურთემული 126 სამკედლო გრდემლი: „ჭურთემულ მაუგლეჯიე“.

ღ

ღვთის კარი 127 ღმერთის ადგილსამყოფელი. პანთეონი. ოლიმპი. „ღვთის კარს მამცა სათავეიო“.

ღთის ნახადებნი 120 ღვთისშვილები, ღვთის დანაბადნი, შექმნილნი, ნასახნი.

ყ

ყადარი 300 თანაბარი, ტოლი, საყადრისი. „ის ღვთის ყადარ იყო, ღმერთადე აღარა ეკლდა“.

ყანთარი 145 სასწორი. „სულ რიცხვის სულის ყანთარი“.
ყაწიში 121 ხმლის საკიდის მოსართავი ვერცხლისა.
ყეყე 184 დოულაპია, ყეყეჩი.
ყონიყვა 321 ყოლოდათ. „ცხრათე ყონიყვა დედაი“.
ყრუია 115 უხილავი, უჩინარი, გაუგონებელი, ბეერი ლოცეა-ყედრების მომ-
თხოვნი. „ყრუია ხახმატის ჭვარი“.
ყუდრო 88 სახლი, ხატის ენაზე. „ყუდროს დამჟერო, გეხეყეზიო“.

შ

შავი კლდე 97 მაქცია, დაღმა ბეთქილი თავის სამბრძანებლოში შავ კლდესთან
მიყვანა. ჩეულებრიე, დალი თეთრი კლდის ბინადარია. ფერს აქ სიმბოლური მნი-
შენელობა აქვს, ავის მომასწავებელი არის.

შავი მორევი შავი ზღვა (?) უბედურების სიმბოლო. „ქაჭნი შავს მორეუს მი-
ებარნესო“.

შავის ბადეი ჭადოსნური თვისების ბადე. „შავის ბადეიყ გადავაგდეი“.

შავიჩიკოლი 280 აეიწურებოლი. მხრებს შევათამაშებდი. „შამაქის გულის წა-
წალმა, მხრებშიაყ შავიჩიკოლი“.

შავხლოდი 280 ავიდოლი. „შავხლოდი კირცხილაზედა“.

შამამიჩინდა 129 გამოჩინდა, წარმომიღვა, შემომხვდა. „გორის ძირს შამამიჩინდა
გიორგი დავლათიანი“.

შამონაზენი 118 საკულტო შეწირულებანი: თას-განძი, ფული, საკლავი.

შამოკდა 128 მოვიდა, გამოცხადდა. „როცა შამოკდა ღვთის კარზედა“.

შამოღვეთაზე 128 ცოდვის ჩამღენთა მიმართ.

შანაცოდრობითაო 205 შეცოდებთა, ცოდვის ჩადენით. „მომხეებოდ შანა-
ცოდრობითაო“.

შასაყრელი 127 შესაკრავი, საკინძი, დუგმა. „კაბის საყელოთ შასაყრელი“.

შასწედლომივ 301 შესწედლომია, მისწედლომია, გაუგია. „შასწედლომივ ეს ამბავი მო-
რიგეს“.

შაუგდი 275 მიეავდე, შეეყყენე. „ცხენი შაუგდი ზედაო“.

შვილდ-ქეიბური 303 ისარი.

შიბი 118 ჭაქვი, ცისა და ქვეყნის შემეერთებელი ოქროს ჭაქვი. „ცას ვები
ოქროს შიბითა“.

ჩ

ჩავადგილიო 106 დავაქერდი (თითს).

ჩამეეტია ჩამოერია. შემოუტია. „ჩამეეტია კოპალა, ცხერებულა გასკრა თავია“.

ჩამოსვეტდა 300 შუქად ჩამოვიდა, ციდან ჩამოეშვა. „იმ დროს კოპალა ჩამო-
სვეტდა საარსოს, სადგომს ბაადურისას“.

ჩაქმა 127 ჩექმა. „ჩაქმან ჩააცვა რკინისანი“.

ჩენსავ 138 ჩენვე.

ჩინსაო 121 ჩანს.

ჩლიქმირგვალნ 116 ჩლიქმირგვალნი, ჩლიქგაუყოფელნი (ცხენი, ჭორი).

ჩოქ მომიხარა 300 დამიჩოქა, შემევედრა. „ბუქრამა მე ჩოქ მომიხარა“.

ცალარქა 295 ძროხა, ხახმატის გიორგის მიერ ქაჯავეთიდან მოყვანილი.

ცლა 121 ბრძოლა, ომი. „ნება არ მომცა ცლისაო“.

ცინთვალი 200 შუბლთვალა, ცალთვალა, ციკლოპი. „ცინთვალ იყო“.

ცისკარი გათენება, დილა, დღე — ხატის ენაზე.

ცისნამი 108 წვიმა, ავდარი.

ცხავი 108 მსხვილი ცხრილი, ბზისა და მარცვლის გამოსაყოფი.

ცხავი აცხავებულა 108 რიტუალური გამოთქმა, წვიმის სიმბოლო.

ცხრაკუთხიანი 127 ცხრაწახნავიანი დაწული მათრახი. „მათრახი მამცა ცხრა-კუთხიანიო“.

ცხვრებულა ცხვრებივით, ცხვრებსავეთ.

ცხრილოსა 229 ცხრილში გაატაროს, მარცვლეული გაცხრილოს. სიმბოლურად-წვიმის მოსვლა. ცხრილვის დროს ხორბლის მარცვლები წვიმის წვეთებივით ცვი-ვა. სიმპათიური მაგია.

ვ

წაოლა 88 წავალ. „აბა, წაოლა, გაებრუნდებიო“.

წამოუქაღლე დაუემიზნე, ვესროლე, მოულირე, ისაგმირო წამოუქაღლე, კლდეს მათარა თავია“.

წესრიგის დამყენებელი 150 ეპითეტი მორიგე ღმერთისა.

წმინდობა რიტუალური სიწმინდის დაცვა, სქესობრივი თავშეკაება. „ის ქა-დაგებიც ისე წმინდობენ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ქალისა კაბაც კი არ უნდა მოხვდეთ“.

წნობა 116 წრთობა. „მოვასწარ წნობაზედაო“.

ბ

ბიგუნე 127, ბიკუნი, ღუგმა, ბალთა შესაბნევი. „ბიგუნე მისცა თუჯისანი“.

ბიმა-ლახტარა 107 საქმელი მცენარეები. „ბიმა-ლახტარას ეზიდვედიო“.

ბიქა-ბარძიმი 153 სასმისი, ხატის ენაზე.

ბუპული 80 წიწილი. „ოქროს კვერცხი დაუდევს, ბუპული მარგალიტისა“.

ბ

ბანგარი 94 ხანჭალი, სატევარი. „ისარი და ბანგარი ერთმანეთში აურევია“.

ბაშიათეული 289 ჩონგური.

ბახმატის ხატი 115 ერთ-ერთი ძლიერი ჭვარი ხეესურეთში, წმ. გიორგის სახეობისა. იგი ქალთა მფარველია; შვილიანობას—უაქიანობას შესთხოვენ.

ბელკრული 118 ხელდაკრული, ხელუკუღმართი, ბოროტი. წყეული. „ხელ-კრულმა ერისთვის შვილმა ამამიბრუნა ძირითა“.

ბეპრად 130, 307 ხე-პერი, ბანიანი სახლის სახურავის ქვედა ნაწილი. „ბეპრად აყრიან ვალოსა“.

ბთის კარი 121 ღვთის ადგილსამყოფელი. იხ. ღვთის კარი.

ბმელ გორი 110 ტოპონიმი, საკულტმსახურო ადგილი ფშავში.

ბორციელი 314 ადამიანი.

ბუცი, ბუცეხი ხატობის კულტმსახური, რომელსაც, თითქოს, თვითონ ხატი ირჩევს.

ბქონიყვა 313 ჰქონოდა.

კ

კაშრულა 306 მდინარე ფშავეში.

კმელეთში 106 ხმელეთზე; ქვეყანაზე, დედამიწაზე, „მემრე გადმაუშე კმელეთ-ზელა“.

კორციელნი 127 მოკვდავი ადამიანები, „როგორც კორციელნი ჩვენ გვლოცუ-ლობენ“.

კარო 138 ხარო, ორმო, კილობანი პროდუქტების შესანახი.

კულჩაა 290 ჭლანი, ტყავის ფეხსაცმელი. „იწროდ გავბანდე კულჩაა, ფეხზე ავიციე ჭლანია“.

ჯ

ჯვარელა 280 ხარის სახელი. „წინწინ ჯვარელამ შეპყვირის“.

კ

კციოხევით კციოხეთ.

კსხავის 114 ასხია (ფაფარი).

სამიბეჭედი

1. ლექსების ანბანური დასახელება*

ა

აგუნა 47

ადგილის დედაო 104, 104 ა.

ა, ელია, ელია 35

ალავერდს წმინდა გიორგი 119.

ალავერდს წმინდა გიორგი 75 ბ.

ალავერდს ჭაჭვი ჰკიდია 120

ალვა 74, 74 ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ.

ამბობდა გუდანის ჭვარი 67.

ამდენი ლაპარაკითა 109.

ამ ზაფხულს ლაშარს ვიყავი 64 ა.

არ გეშინია, კოპალეე 90.

ახალ მთვარესთან შეხვედრა 11ა.

ახალი მთვარე 11, 11ა, ბ, გ.

ახ, ლაზარე, ლაზარე, ლაზარ მოდგა
კარსა 32 ბ.

ახ, ლაზარე, ლაზარე 30 დ.

ახტატის კალო შეიკერის 123

აჰა, წმინდა გიორგი 117.

ბ

ბაადურს გუდანის ჭვარსა 69.

ბაილ ბეთქენ 24 ე.

ბარბალ დოლაში (დოლის ბარბალე)
20.

ბატონის დედის გაზრდილო 98 ბ.

ბევრმა გაბანდა ქვესურმა სამითხოვოდა
ქლანია 68 გ.

ბეთქან (ბეთქანი) 24 ბ.

ბეთქენ 24 გ.

ბეთქენ (ბეთქენ საბრალ) — ბეთქენი
(ბეთქენი საბრალ) 24 ზ.

ბეთვილ (ბეთქილი) 24, 24 ა, ბ, გ, დ,
ე, ვ, ზ.

ბეთქილ 24 ე.

ბრძანებდა დამბადებელი 95.

ბრძანებდა ლაშარის ჭვარი 62, 62ა, ბ.

ბრძოლაში დასაფარავი 78.

ბურო იარე, იარე 42, 42ა, ბ.

ბრძანებდა ლაშარის ჭვარი, ცას ლბივარ
ოქროს შიბითა 62 ა.

გ

გათენებისა მასკელავი 15.

გაუმარჯოს ლომისასა 138 ა.

გერგეტულა 101, 101ა, ბ, გ, დ.

გიორგი ნუ გაიქცევი 55—58, 55 ა.

გმირი კოპალა 87.

გმირო კოპალაო 86.

გონჯა 39, 39 ა.

გონჯა მოდგა კარებსა 39 ა.

გონჯა მოდგა კარსა 39 ბ.

გონჯაობა 38, 38 ა, ბ.

* სათაურის შემდეგ ნაჩვენები ციფრი ტექსტის ნომერს აღნიშნავს, სხვა შემთხვევაში კი წიგნის გვერდს.

გონჯა მოღვა 41.
გონჯაობას მოვიარე, გონჯა მოღვა კარ-
ზეღაო 39 ა.
კონჯოს ლექსი 40.

გორიჭკრის წმინდა გიორგი 210.
გუდანის ჭვარი 68, 68ა, ბ, გ, დ.
გულის კერძება 97.

დ

დალა (დალი) 22ე.
დალა კოჯას ხელღვაჯალე 22 დ.
დალი კოჯას ხელღვაჯალე 22 დ.
დალილდ (დალი) 22, 22 ა, ბ, გ, დ, ე,
ჰ.
დალჯდ (დალი) 22 გ.
დალილ კოჯას ხელღვაჯალე (დალი
კლდეზე მშობიარობს) 22 ბ.
დამწყალობება 146.
დახე რა ჰქნა ელიამა 37 ა.
დევები და იახსარი 94 კა.
დევების მელანია 89.
დევებსა ჰქონდა ყრილობა 94 ივ.
დევებს ჰქონიათ ყრილობა 94 კთ.
დიდება 128.
დიდება-დიდება თარიგძელას 8 ბ.

დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა 139.
დიდება შენდა 125.
დიდება ღმერთსა და მაღლი ღმერთსა
142.
დიდება ღმერთსა, დღესა დღესინდელსა
129, 129 ა, ბ.
დიდია წმინდა სამება, კიდით-კიდემდე
ელავსო 101 გ.
დიდია წმინდა სამება 101 ბ.
დიდია წმ. გივარგი 101 ა.
დიდი ბატონის გამძღონო 98 ა.
დიდობდა ლაშარის ჭვარი 63.
დილის მზე 18, 18 ა.
დღესამ დღეობა ვისია 122 ე.
დღე სჯობია თუ ღამეი 17.
დღესამ დღეობა ვისია 50, 50 ა, ბ, გ.

ე

ელია 33, 33 ა, ბ.
ელია 37, 37 ა.
ელიაო, მელიაო 33 ა.

ელიაო, მელიაო, რაზე მოგიწყენიაო 36.
ეს ელია, ელია 34.
ეს ჩვენი წმ. გიორგი 114, 114ა.

ვ

ვარდობის დღეობა 103.

ვინც რომ ვერ იცნობს ჩვენს ბატონს
72 ა.

ზ

ზეცას ვიყავ 12.

ზეციერო ანთარო 148.

თ

თავადი წყაროსთაველი 106.
თამარ დედუფალი და ლაშარის ჭვარი
65
თევდორე და ჭავთარისა 73.

თვეთნე მანგური (თეთრი მანგური) 23.
თუშეთის წმინდანები 76.
თუშთა, ხევსურთა, ფშაველთა 64 ზ.
თუშური ჭვარული 143, 143 ა.

ი

იჩივლა ლაშარის ჭვარმა ღვთის კარზე
თავის პირითა 60 ა.
იახსარი და კოპალა 92.

იახსარი (შაიყრებიან დევები) 94 კდ.
იახსარის ლექსი 94 კვ.
იახსარის სიმღერა 94 ლ.

იახსარის ლექსი 94 ლგ.
იაქსარი (ხთის კარზე შეიყვარებით)
94 ბ.

იაქსარი 94, 94 ა, ბ, გ, დ, ე, ე, ზ, მ, ტ,
თ, ი, ია, იბ, იგ, იდ, იე, ივ, იზ, იტ,
ით, კ, კა, კბ, კგ, კდ, კე, კვ, კზ, კტ,
კზ, კთ, ლ, ლა, ლბ, ლგ, ლდ.

კ

კარატის წვერზე ვშვენდები ხთიშეილი
იაქსარია 94 ლდ,
კათია 79.
კვირავს გათენებად დადგა სიწმინდის
დარია 68 ლ.
კოპალა 81, 81 ა, ბ, გ, დ, ე, ვ.
კოპალა გალავანზიდა უსარტყლო გა-
მოსულაო 51 ბ.

კოპალას გამარჯვებია 82, 82 ა.
კოპალასა ლექსი 94 ლბ.
კოპალასა და იახსარის გმირობა 94 კგ.
კოპალა კარიტიონი 85.
კოპალამ კარტიონმა 84.
კოპალას ლექსი 81 ე.
კოპალას მშვილდო მშვენიერო 83 ა.
კოპალავ მშვენიერო 83, 83 ა.

ლ

ლაგლამ ნინ (გამოდარების ენა) 42 ა.
ლაზარე 31.
ლაზარე-დარის მომცემი 32, 32ა, ბ, გ,
დ, ე.
ლაზარ მოდგა კარსა, აფრილა მთასა
32 ა.
ლაზარია მოდგა კარსა 30 კ.
ლაზარ მოდგა კარსა. აცანცალეებს თავსა
30 გ.
ლაზარ მოდგა კარსა, აღურღულეებს
თავსა 30 ე.
ლაზარე, წვიმის მომყვანი 30, 30ა, ბ, გ,
დ, ე, ვ.
ლაზარ მოდგა კარსა 30 ა.
ლაზარ მოდგა კარსაო 30 ბ.
ლაზარე, ლაზარე! 32 ე.
ლალი გუდანის ჭვარიო 71.
ლალი ვარ ლაშარის ჭვარი 64 ლ.
ლაშარის სიმღერა (დღესამ დღეობა)
50 გ.
ლაშარის სიმღერა 50 ბ.
ლაშარის ჭვარისა 61, 61 ა.
ლაშარის ჭვარისა (დღესამ დღეობა ვი-
სია) 61 ა.
ლაშარის ჭვარი 60, 60 ა, ბ,
ლაშარის ჭვარისა 50 ა.

ლაშარის ჭვარი ჭაერობდა 49.
ლაშარის ჭვარის დროშით გალამქრება
ქისტებზე 64 ე.
ლაშარში ვიყავ ხატშია 64 ბ.
ლაშარის ჭვარის ლურჯასა 48 ა.
ლაშარობა (მოვიდა ჩვენი დღეობა) 64
ე.
ლაშარის ჭვარის ლურჯასა ფაფარი ას-
ხავს გიშრისა 48 ბ.
ლაშარელაის ლურჯასა ფაფარ დასხმია
გიშრისა 48 გ.
ლაშარელაის ლურჯასა 48, 48ა, ბ, გ, დ.
ლაშარელა 48 ლ.
ლაშარობა 64 გ.
ლილა (ვიოდა ლილა), 8 ა.
ლილე (ირგვამ დიდაბინ გოშია) 8 გ.
ლილე (დიდამ, დიდაბ თარიგლეზე—
რალს) 8 დ.
ლილე 8, 8 ა, ბ, გ, დ, ე.
ლილე (პოი-და ლილე) 8 ე.
ლომისას ჭაქვი ჰვიდია 77 ა.
ლომისის საიღებელი 138, 138 ა.
ლომისა ლაშქრად ვიყვენით 200 დ.
ლომისის ჭაქვი 77, 77ა.
ლომისურნი 107 ა.
ლოცვა მზისადმი 68.

მ

მოხუერი საიღებო 140.
მანდ შამოგვესმა ჟღერანი 100 ბ.

მარიობის მობრძანება 147.
მე გეხვეწები იაქსარსაო 93.

მეტვი (მეთქი) 24 ა.
მეთხვიარ ჩორლა (მონადირე ჩორლა)
25, 25 ა, ბ, გ.
მეთხვიარ მარე (მონადირე კაცი) 22 ა.
მეთხვიარ ბეთქილა ლილრალ (მონადირე
ბეთქილის სიმღერა) 24 დ.
მეორე დღეს ამოშუქდა 9 გ.
მეორე დღეს ამოვიდა, ამოცურდა ცაზე
მთვარე 9 ბ.
მეროლამ ლავთვა (ღრუბლის გასაქრო-
ბი) 43, 43 ა.
მეც შინაწილე, მიქაო 81 ა.
მზე და მთვარე 10, 10ა, ბ, გ, დ.
მზე და მთვარე (მთვარემა თქო პირნა-
თელმა) 10 დ.
მზე და მთვარის საუბარი (მზემ უთხრა
მთვარესა) 10 ა.
მზე, მთვარე და ვარსკვლავები 7.
მზეც შინ (და მზეც ვარეთა), მზეც, შინ
შემოდიო 6 გ.
მზეო, ამოდი 1ა.
მზეო, ამოდი, ამოდი 1, 1ა, ბ.
მზეო, გამოდი ვაქესა 2 ბ.
მზეო, გამოდი 3.
მზეს რომ მთვარე გამოშორდა 16.

მზე შინა 5 მ
მზე შინა და მზე ვარეთა 6, 6ა, ბ, გ, დ,
ე, ე, ზ, მ.
მზე შინაო, მზე შინაო 6 ა.
მზე შინაო 6 ე.
მზეო, მზეო 2, 2 ა, ბ.
მზეო, მოდი ვაქესაო 2 ა.
მზე ჩალმა ჩამავალია 5, 5 ა,
ჰზეო, ჩამოდი ჩიქოსა 1 ბ.
მზისა და მთვარის ბაასი 9, 9ა, ბ, გ.
მზისა და მთვარის ჩხუბი 9ა.
მზის დაბნელება 14.
მზის საგალობელი 6 ე.
მთვარეს კაცი მოეგზავნა 13.
მთვარე ვნახე ნებაზეო, ჩემსა გახარე-
ბაზეო 11 ბ.
მთვარემა თქვა 10 გ.
მთვარე ვნახე ნებითა, ჩემსა გუნებაზე-
და 11 გ.
მიენატრი დაბადებასა ხოშარის ხახაი-
სასა 62 ბ.
მოდიან, მოიძახიან 72, 72ა.
მორიგვე ღმერთო 21
მშვილდ-ქაიბური ბერისა 91.

6

ნაბდებურ გამასთელეკდა 98, 98ა, ბ.
ნადირთ პატრონი (ოჩოპინტრე) 29.
ნათელმა მთვარემა ბრძანა 10 ბ.

ნისლი, ნისლი ვორსულია, ვოსეთიდან
მოსულია 42 ბ.
ნისლი-ნისლი მოსულია 42 ა.

მ

ორმოს ჩაღი 44 ა.
ოროველი 44, 44 ა.

ოროველ მოდი კალოსა 45.

პ

პირველად ღმერთი ვახსენოთ 108.
პირველად ღმერთი ვახსენოთ 94 ია.
პირველად ღმერთი ვახსენოთ 46.
პირველად ღმერთსა ვახსენებთ 150.
პირველ ქიქა-ბარჩიშზედა 131.

პირქუში (ხთის კარზე შავიყარენით)
66 ბ.
პირიშვის სადიდებელი 141.
პირმა დაგლოცასთ ღვთისამა 102.
პირქუშში მკეთედი ყაწიშისაო 66, 66ა, ბ,
გ, დ.

ს

სადღეობო 113, 113 ა, ბ, გ.
სალოცაეები 75, 75 ა, ბ.
სამძივარა 28.

სამძივარას ნათქვამი 27.
საჩალის წმ. გიორგი 53.
საძივობო დ.

ტიროდა ლაშარის ჯვარი 60 ბ.

ფ

ფანდურს დუქარ, ბურქენდო 81 ბ.
ფერქისა 113 ა.
ფერხისა 145

ფიწალე 96.
ფშაველთა ლაშარის ჯვარი 64, 54 ა, ბ,
გ, დ, ე, ვ, ზ, თ.

ქ

ქადაგობს გაიდაური 68 ა.
ქალა 25 ბ.
ქარი იყო და ხეიოდა 94 კ.
ქაჩავეთ რად იარები 54, 54ა, ბ, გ, დ.
ქაჩავეთს რად იარები 54 ბ.
ქაჩავეთს რად იარები 54 გ.
ქაჩავეთ რას იარები. გიორგი, ქალის
ფერაო 55 ა.

ქაჩეთს რას იარები 54 ა.
ქაჩავეთს რას იარები, გიორგი ქალის
ფერაო 75 ა.
ქაშატობა 32 დ.
ქეყენის სანთელი 4,
ქისტნი დაგვედეს ქვესტრო 82 ა.
ქრისტე ღმერთო 134.

ლ

ლეთის კარზე შვიყარენით 94 იზ.
ლეთის კარზე შვიყარენით ლეთის ნა-
ბადები ცხრანია 94 ე.
ლეთის კარზე შვიყარენით სამოცდა-
ცდასამი ხატია 94 იგ.
ლეთის კარზე შვიყარენით ლეთის ნა-
ბადებნი ცხრანიო 94 კზ.
ლეთის კარზე შვიყარენით კქ.
ლეთის კარზე შვიყარენით 66 ა.
ლეთის კარზე შვიყარენით ლეთიშვილნ
სამოცდაცხრანიო 94 კბ.
ლეთიშვილთ დაბადება 80.
ლთის კარზე შვიყარენით სამოცდა სა-
მი ხატია 94 თ.

ლთის კარზე შვიყარენით 94 ზ.
ლთის კარზე შვიყარენით სამოცდასამი
ჯვარია 94 ქ.
ლთის კარზე შვიყარენით ლთიშვილნ
სამოცდაცხრანიო 94 იდ.
ლთის კარზე შვიყარენით სამოცდაც-
დასამი ხატია 94 იე.
ღმერთმა ლახტი გაღმომაწვალა დევე-
ბის სამუსრაეიო 81 დ.
ღმერთმა აღიდოს შენი ძალი 136.
ღმერთო გაუმარჯვე 137.
ღმერთო, მოგვეც წვიმა-ნამი 33 ბ.

ყ

ყმანი და ქაბუკნი 6 ბ.

ყრულია ხახმატის ჯვარი 52, 52 ა.

შ

შავესწვერ ქაჯთა მქედელსა 54 დ.
შაიყრებიან დევები 94 იქ.
შაიყრებიან დევები საცა ღიდ მოედ-
ნია 94 ით
შაიყრებიან ლეთიშვილნი 94 კე.

შაყრებიან დევთა შვილები 94 ე.
შენამც ილიდები 126.
შე ხახმატის ჯვრის დროშაო 99.
შუქურ ვარსკვლავი 19.

ჩ

ჩემს მტერს ჩემ გადანაყარი, რომ მო-
მივიდა გუროსა 64 თ.
ჩვენ ბევრის ხმალი გვექადნის 101 დ.
ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად
ამოსულაო 74 ბ.

ჩვენის ბატონის კარზედა 74 ა.
ჩვენი ბატონის კარზედა 51, 51 ა, ბ.
ჩვენი მასპინძლის კარზედა 74 ე.
ჩოლა მეთხვიარ (ჩოლა მონადირე) 25 გ.

ც

ცხნანი ძმანია დევეები 82 ე.
ცხრილი აგორებულაო 32 გ.

ცა ქეხდეს 112.

ძ

ძილისა 111.

ძალო კვირიაისაო 144.

წ

წინა სანთელ-ქიქა-ბარძიშზედა 132.
წინა ქიქა-ბარძიშითა 135.
წინას ქიქა-ბარძიშზედა 130.
წმინდა გიორგი შეკმაზაო თავისი აღის-
ფერიო 124 ა.
წმინდა გიორგიმ დაკმაზა 124, 124 ა.
წმინდა გიორგის კარზედა ხე ალვა
ამოსულიყო 122 დ.
წმინდა გიორგის კარზედა ხე ალვან
ამოსულაო 122 გ.
წმინდა გიორგის კარზედა ალვის ხე
ამოსულაო 122 ბ.
წმინდა გიორგის კარებზე 122ა, ბ, გ,
დ, ე.
წმინდა გიორგი კლდისაო 121.
წმინდა გიორგის ყმა ვარო 118.
წმინდა გიორგის მშვენება შორს მოა-
დგება გორებსა შორით მაიყენას
მლოცველსა 116 გ.
წმინდა გიორგის შვენება შორს მიად-
გება გორასა, შორით 116 ბ.

წმინდა გიორგის შვენება შორს მიადგე-
ბა გორასა 116 ა.
წმინდა გიორგის მშვენება 116, 116 ა,
ბ, გ.
წმინდა გიორგის სალოცაეები 115.
წმინდა გიორგი ცხოველო, შენს სალო-
ცაუად მოველი 113 გ.
წმინდა გიორგი ცხოველო 113 ბ.
წმინდა გიორგი ცხენზე ზის, ქვეშ ჭქარს
ნიაექარია 107 ბ.
წმინდა გიორგი ცხენზე ზის 107, 107 ა,
ბ.
წმინდა გიორგის კარზედა 74 ე.
წმინდა გიორგის კარზედა 74 დ.
წმინდა გიორგის კარზედა ალვის ხე
ამოსულაო 74 ზ.
წმინდა გიორგის კარზედა 122 ა.
წმინდა კოპალას კარზედა დიდი იფნები
დგანანო 51 ა.
წმინდის სამების ძირსაო 74 გ.
წყაროსთაველი 105.

ხ

ხალხთა დამფარველო 127.
ხატის ძალა 114 ა.
ხატის ლექსი 88.
ხაშიათეულ გავდმართე 68 ბ.
ხეცსურებ ბედავს ლაშქარსა 70.
ხთის კარზე შვეიყარენით სამასსამოცდა
შვიდნა 94 ლა.

ხთის კარზე შვეიყარენით 66 გ.
ხთის კარზე შვეიყარენით სამოცდასამი
ხთისშვილი 94 იბ.
ხთის კარზე შვეიყარენით ხთის ნაბადნა
ცხრანო 44 გ.
ხთის კარზე შვეიყარენით სომოცდასამი
ჭვარიო 81 გ.

ბთის კარზე შევიყარენით ხთის ნაბა-
დნები დილითა 94 ი.
ხთის კარზედ შევიყარენით ხთიშვილ-
ნი ყველა მკრისაო 94 ა.
ხთის კარზედ შევიყარენით სამოცდასა-
მი ჭვარია 94 დ.

ხორანის ლაშქრად ვიყავით 100, 100ა,
ბ, გ, დ.
ხოროშან ლაშქრად ვიყვენით 100 ა.
ხოროშანს ლაშქრად ვიყავით ჩვენ ლომ-
ნი ლომისისანი 100 გ.
ხოჩა მეთხვიარ ჩორლაი (კარგი მონა-
ღირე ჩორლა) 25 ა.

ჟ

ჭერელა ღმერთი ვადიდოთ 143.
ჭერეთ ვადიდოთ ლაშარი 149.

ჭვარული სიმღერა 52 ა.
ჭვარო, ბაცალოგოურო 66 დ.

კ

კაქმატის გიორგი 59.

კელსამძიმარი 25.

2. ავტორები

ა

ამირანაშვილი შალვა 23.
არაყიშვილი დიმიტრი 349.

ასლანიშვილი შალვა 171, 177, 263, 268.

ბ

ბარდაველიძე ვერა 21, 23, 29, 38, 54,
69, 193, 268, 278, 347.
ბარნოვი გურამი 307
ბარნოვი ვასილი 22, 23.
ბატონიშვილი ვახუშტი 55, 255, 282,
297.
ბატონიშვილი იოანე 16, 17, 171.

ბაქრაძე ა. 265,
ბაქრაძე დიმიტრი 295.
ბეგიაშვილი თედო 23
ბენიანიძე იაკ. 366.
ბოჭორიძე გიორგი 248.
ბრეგაძე ნ. 257, 258.
ბუქურაული ივანე 41.

გ

გაბუური ბესარიონი 247, 270, 298, 293.
გამრეკელი ნ. 177.
გაჩეჩილაძე ამბერკი 274.
გეგეშიძე მიხეილ 251, 255.
გოგეზაშვილი იაკობ 167.
გიულდენშტედტი 41.

გოგიჩაიშვილი ფილიპე 261.
გოგოჭური დავითი 267
გორგაძე სერგი 177,
გურამიშვილი დავითი 360.
გუჭეჩიანი მერი 21, 198.

დ

დავითაშვილი იოსები 170.

ე

ენგელსი ფრიდრიხი 15 33, 72.
ერისთავი ან. 248.

ერისთავი რაფიელო 170.
ეფრემ მცირე 17.

3

ვაჟა-ფშაველა 52, 54, 64, 71, 248, 267,
276, 280, 293, 302, 326, 332, 252,
362.
ვაშაკიძე ე. 258.

ვირსალაძე ელენე 21, 23, 40, 41, 43,
52, 72, 170, 173, 198, 208, 211,
226, 239, 274, 296, 310, 336, 348,
349.

ზ

ზანდუკელი ფიქრია 172, 292.

თ

თაყაიშვილი ექვთიმე 26, 41, 52, 170,
260, 293.

თედორაძე გიორგი 266, 277, 292, 319,
320.

თოფურია ვარლამ 21, 223.

კ

კანდელაკი თ. 248.

კარბელაშვილი პ. 171.

კეკელიძე კორნელი 23

კელენჭერიძე მელიტონი 167, 170, 261,
263.

კოტეტიშვილი ვახტანგი 21, 23, 170,
271, 173, 265, 346, 356.

კუფტინი ბორისი 23.

მ

მაია ქადაგი 193.

მაკალათია სერგი 21, 23, 55, 60, 269,
289, 308, 320, 336, 346, 349, 351,
355, 364, 365, 368, 369.

მამალაძე თამარი 263.

მარქსი კარლ 11, 17, 29.

მეგრელიძე იოსები 23.

მელიქიშვილი გიორგი 23.

მთაწმინდელი ზაქარია 170.

მროველი ლეონტი 26, 28, 32.

ნ

ნათაძე გიორგი 21, 355.

ნიქარაძე ბესარიონი (თავისუფალი სვა-
ნი) 40, 194, 196.

ნოლაიდელი ჭემალი 21, 250.

ნუცუბიძე შალვა 23.

ო

ორბელიანი სულხან-საბა 16, 247
ოქროშიძე თამარი 170, 21, 263, 264.

ოჩიაური თინათინი 23, 47, 50, 64, 193,
194, 246, 247, 274, 288, 291, 274.

პ

ქორდანი თედო 35, 352.

რაზიკაშვილი თედო 21, 169, 274, 276,
280, 281, 282, 284, 293, 296, 303.

რობაქიძე ალექსი 23, 196.

რუსთაველი შოთა 68.

სახოკია თედო 265.

სიხარულიძე ქსენია 21, 23, 167, 169,
170, 221, 250.

სონღულიაშვილი ჭ. 21, 250.

სოხაძე კ. 23.

სტრაბონი 209.

უ

უთურგაიძე თ. 21, 41.

უმიკიაშვილი პეტრე 21, 27, 29, 168,
260, 263, 269, 310.

ფ

ფოიერბახი ლ. 15.

ქ

ქვარიანი დათუნა 356.

ღვინიაშვილი ანა 171, 172, 175, 177.

ღლონტი ალექსანდრე 23.

ყ

ყაზბეგი ალექსანდრე 210.

ყაუხჩიშვილი თინათინი 28, 30.

ყაუხჩიშვილი სიმონი 23, 37, 59.

ყუმიოსაველი ა. 170.

შ

შანიძე აკაკი 21, 64, 210, 269, 322—47.
შეთეკაური გიორგი 289.

შენგელაია დემნა 23, 243, 274, 293, 303,
215, 317.

ჩ

ჩიტაია გიორგი 21, 23, 55.

ჩიქოვანი მიხეილი 9, 14, 17, 23, 25, 27,
29, 36, 40, 52, 54, 55, 69, 73, 169,
170, 175, 227, 228, 235, 249, 256,

265, 274,—76, 285, 287, 293, 297,
309, 336, 364, 367.

ჩუბინაშვილი გიორგი 23.

ჩხიკვაძე გრიგოლი 171.

ჩხიკვაძე ზაქარია 263.

ც

ცვეტკოვი ვ. 172.

წ

წერედიანი დავითი 194.

წერეთელი აკაკი 170, 207.

ძ

ძაგუკაძე ილია 366.

ძინჭარაული ა. 261 352.

ძინჭარაული ალ. 21.

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე 22, 168.

ხაბუტაიშვილი დურსუნი 195.

ხიზანიშვილი (ურბნელი) ნიკო 38, 48,
52, 55, 285, 291, 293.

ხორნაული გ. 21.

ხუროძე ვარლამი 167 170, 177.

ჯაბადარი გ. 167. 63, 171, 177, 229, 247, 248, 252,
 ჯავახიშვილი ივანე 28, 38, 40, 41. 62, 366.
 ჯანაშვილი მოსე 170.

3. მთარგმნელები

ა

აღუდაური გიგია 244, 275, 318.	არაბული თათარა 268.
აღუდაური თაძია 341.	არაბული ს. 364.
აღუდაური მამუკა 167. 244, 275, 290.	არაბული ძილა 288, 302.
ამირხანაშვილი მაცვალა 249, 257.	ახატუროვი გ. 264.
არაბული აბა 336.	აფციაური აკა 359.
არაბული ბაბო 287, 247,	აფციაური ლევანი 367.
არაბული გიორგი 287, 361.	აფციაური ნანი 343.

ბ

ბააძე საშსონი 269.	ბიძინაშვილი ეკ. 171.
ბადრიშვილი ბიჭური 307, 344, 354.	ბობლიაშვილი მ. 267.
ბალახაშვილი სიმ. 264.	ბურდული ზაალი 349, 365.
ბალიაური მელანია 291, 320.	ბურდული შ. 349.
ბეჭაური გ. 284.	ბურჩუკური გ. 348, 360.
ბეწუკლიშვილი იოსებ 313.	ბურჩუკური სიმონი 296.
ბინიგაური შათე 341.	

გ

გაბუური ბეხარიონი. 374.	გიუნაშვილი დავითი 310.
გარდაფხაძე-სარგიანი ნინო 204.	გოგოჭური ბერდღდა 310.
გასვიანი ბეჭა 238.	გოგოჭური ჭურბა 243, 271—74, 287.
გიგაური აბა 315.	გუჭეჭიანი ვატი 204, 206.
გიგაური თამარი 267.	

დ

დადეშქელიანი თენგიზი 209.	დალაქიშვილი დ. 357.
დავიდოვა ს. 251.	დევდარიანი ერ. 202.

ე

ერაძე ზაქარია 360.

ვ

ვარდიძე აბრამი 269.	ვიბლიანი მ. 262.
---------------------	------------------

თ

თავდიდიშვილი ქ. 260.
თორღვაიძე პ. 368.

თერმანელი დავითი 281, 354, 362.

ი

იოსელიანი დ. 208.

კ

კახბრიშვილი სოფ. 256.
კერვალიშვილი მ. 259.
კვიციანი მ. 262.

კოკლიშვილი კრელა 311—313, 358,
361.

ლ

ლაღიაშვილი ო. 252.
ლაჩაშვილი მ. 306.
ლიჭოკელი გიორგი 306.
ლობჯანიძე გ. 247.

ლოსკურაშვილი დავით 344.
ლოსკურაშვილი თინათინი 344.
ლოსკურაშვილი მაყვალა 313.

მ

მათურელი გ. 339.
მარგველანი ალ. 221.
მარგიანი დავითი 201, 235.
მარსაგიშვილი ალ. 350.
გელაშვილი დავითი 336.

მეტრეველი თ. 356.
მისრიაშვილი 327.
მნათობიშვილი ნ. 349.
მრელაშვილი გიორგი 265.
მჭედლური ტ. 310.

ნ

ნადირაშვილი ს. 310.
ნარაიძე ჭლუნა 297.

ნიეარაძე გაბრიელი 260.

ო

ონიანი გელა 261.

ოჩიაური ალ. 347.

პ

ჟიფიაშვილი ვლ. 302.

რ

რკინული ხეთისო 309.

ს

სეთურიძე ის. 296, 348, 360.
ხონღულაშვილი ანტ. 355.

სტეფანიშვილი მ. 257.
სუჯაშვილი ს. 367.

ტ

ტუკვაძე ივლიანე 167, 169.

უგრელიძე თ. 271.
ულესიანი თ. 208.

ფანოზაშვილი ხვთისო 283.
ფეიქრიშვილი მ. 257.
ფერხული ეკ. 309.

ქებაძე-არჩვაძისა მ. 258.
ქეთელაური ბაბუა 295.
ქეთელაური გ. 264 364.

ღვინიაშვილი-იოსებაშვილისა ელ. 174.

შემკრებელი მეც ვიყო 168.

ჩეკურიშვილი შ. 247, 337.
ჩოხელი შიო 339.

ცქიფაშვილი კრ. 361.

წიკლაური-ბალიაური ლკ 314.
წიკლაური ბერდია 291, 292, 318.-19.
წიკლაური ს. 274.

კინჭარაული ბათაყა 291. 364.
კინჭარაული გ. 285, 364, 365.

ხარაძე ელ. 354.
ხაჭვანი ვ. 193.
ხახონიშვილი ბერ. 270.
ხელაშვილი ზ. 324—25.
ხელთუბნელი ქალი 358.
ხიმიკაური გიორგი 317.

უჩონაური ბაბო 297, 258.

ფიროსმანიშვილი შ. 341.
ფუტყარაძე სულიე 251.

ქეთელაური ფაზია 276.
ქეთელაური მამუკა 276.
ქისტაშვილი ვახტ. 281.

ლუბიანური დავითი 338.

შერვაშიძე სონია 227.

ჩქარული მ. 358.
ჩხუბიანაშვილი მანანა 356.

ც

კაბუკაიძე საბა 392.
კინჭარაული ბაბუა 289.

კინჭარაული ყუღია 288, 308.
კოლოკიძე კ. 269.

ხ

ხვითელანი ბ. 194.
ხოშარაული იმედა 314.
ხოხიაიძე ბ. 367.
ხუციშვილი მ. 254.
ხუციძე შ. 271.
ხუცურაული გ. 326.

ქამუტაშვილი ეფრ. 250.

ქაბუშანური გიორგი 365.

4. ჩამწიბრ-შემკრებნი

ა

აბიკა 304.
ასათიანი ნიკო 249.
ასლამაზაშვილი ეთერი 356, 257.

ასლამაზაშვილი შალვა 342, 343,
აფშინაშვილი გრიგოლი 365, 328, 345.

ბ

ბალიაური მელანია 321,
ბარდაველიძე ვერა 275, 292, 323, 321,
364, 365.
ბარიკალაშვილი ი. 355.
ბიბილაშვილი ივ. 293, 357, 359.

ბილანიშვილი ზაქარია 293.
ბრეგაძე ნ. 257, 258, 259.
ბოქორიძე გიორგი 360.
ბუქურაული ივანე 293, 296.

გ

გაბუური ბესარიონი 269.
გარსევანიშვილი ალ. 264.
გაჩეჩილაძე სევასტი 170, 175, 250.
გეგეშიძე მიხეილი 251, 254.
გვარამაძე ლია 350.

გოგოჭური დაკითი 288, 302, 308, 309,
346.
გოგოჭური ნიკო 283.
გრიგოლაშვილი ლ. 281.
გუნთაიშვილი ლ. 310.
გუქეჭიანი მერი 201, 235, 238.

დ

დავიდოვა კ. 251.

დაკითიანი ალი 190, 298, 261, 262.

ე

ეთეთიმოვი ე. 357.

ვ

ვისრალაძე ელენე 174, 204, 205, 225, 365, 366—68.
226, 260, 284 294, 344, 356, 360,

თ

თათარიშვილი კონდრატე 177.
თარხნიშვილი ს. 358
თოფურია ვარლამი 214, 216, 227.

თურმანაული გიორგი 310, 312, 313,
354, 358, 362.

ი

იოდანიშვილი სოლომონი 366, 367.
ი-ნ ქართული ხალხური პოეზია, ტ. I

კ

კეცხოველი ნიკო 214.

კოტეტიშვილი ვახტანგი 253, 254.

ლ

ლოსერაშვილი თინათინი 273.

მ

მაკალათია ნიკო 291, 297, 320, 321, 368.
 მაკალათია სერგი 267.
 მამალაძე თამარი 264.
 მარგიანი იაკობი 223, 226.

მენტეშაშვილი სტეფანე 268, 279.
 მირაქიშვილი ალ. 167.
 მსხრიკაძე დავითი 267, 285.

ნ

ნათაძე გიორგი 258.

ო

ონიანი არსენი 201, 202, 219, 221, 227,
 1,261, 262.
 ოქროშიძე თამარი 167, 169, 359.

ოჩიაური ალექსი 269, 288, 291.
 ოჩიაური თინათინი 245.

რ

რაზიკაშვილი თედო 255, 266, 297,
 298, 302, 323, 332, 222, 244, 447,
 348, 356, 357-58.

რობაკიძე ადექსი 297.

ს

სიხარულიძე ქსენია 249, 253, 257, 264.

სონულაშვილი ჭუნაშვილი 355, 356.

ტ

ტუქსიშვილი ვასილი 293, 334.

უ

უთურგაიძე თ. 368.

უშიკაშვილი პეტრე 348, 350, 351, 355.

ჭ

ჭეთელაური სულხანი 257.

ჭიტიაშვილი ეთერი 357

შ

შამანაძე ნოდარი 267, 270, 309, 314,
 344, 369.
 შანიძე აკაკი 209, 214, 290, 291.
 შაქრიაშვილი ნათელა 339.

შეთეკავრი გიორგი 245, 289, 341.
 შიოშვილი თინათინი 281.
 შიშმანაშვილი არჩილი 356.

ჩ

ჩერქეზიშვილი ლ. 358. 257, 265, 270, 271, 290, 291, 293,
ჩიტაია ვიორგი 264. 297, 306, 318, 319.
ჩიქოვანი მიხეილი 167. 168, 243, 245,
257, 265, 270, 271, 290, 291, 293,

ც

ცანავა აპოლონი 260, 306, 338, 348, ცინდელიანი უჩა 286, 339, 340,
360. 341.

ჭ

ჭინჭარაული ა. 305. ჭინჭარაული გიორგი 316.

ხ

ხიზანაშვილი დავითი 21, 52, 266, 335, ხორნაული გ. 336.
363. ხორნაული ივანე 354.

ჯ

ჯაფარიძე უჩა 279.

5. კერსონაქები

ა) აღამიანები

ა

აბესალომი 230. ამირათ ელენე 246.
აბულეთაური იმედა 106, 246. ამირათ ქალი 107.
აბულეთაურთ საღირა 107, 161, 246. ამირანი 228, 236, 272, 273.
აბულეთაურთ ხოლიგა 105, 107, 246. აფციური 115.

ბ

ბადრი 272. ბეთქილი 95, 96, 97, 209, 210—215.
ბალათერა 133. 217-20, 222-24.
ბებერი ქალი 296. ბერიძიშვილი 285.
ბეთგილი იხ. ბეთქილი.

გ

გაიდაური 120, 288, 289, 358. გოგოთური 105, 106, 107.

დ

დარეჯანისძენი 273.

ქ

ეტერი 2228, 230,

ერისთავი ზურაბი 119, 120, 267.

თ

თათრები 302.

თოთია 123.

თამარ დედოფალი 120, 236, 137, 161,
216, 225, 326, 329, 338.

თუშები 117, 129, 132, 137.
თუშის ქალი 339, 343.

მ

მანგური 92, 93, 95, 208, 209.

მზექალაი 117, 134, 244.

პარსეშელი 230.

მიქა 129, 304.

ჩ.ქსიმე აღმსარებელი 254.

მონადირე 90, 92, 200.

მეგრელაური კახუა 106, 117, 246, 274.

მღვდელი 85.

მეუისაი 200, 201, 203, 207.

ნ

ნიკუა 158.

ნინო განმანათლებელი 160.

ო

ოულაკა 306.

რ

რათიშვილი 280.

როსტომელა 110.

ს

საეები 94, 95.

უ

უსუფი 272.

ფარნავაზ მეფე 36.

ფერაულის ძე ფშაველი 106, 246.

ჟ

ქალა 237.

ქისტები 277.

ქვაციხელი ივანე 217, 236.

ღ

ღამის მეხრე 83.

ჩ

ჩაბაკთ ივანეური 306.

ჩუათ კმარა 107, 246.

ჩორლა 97, 101—105, 228, 230, 233,
235, 242, 4.

ბ

ხახა 279.
ხახიკი 306.
ხახონი 306.

ხეესური 123, 132.
ხეთისო ბერიძისშვილი 121, 122, 132.

ჯ

ჯარჯი 211.
ჯახნაი 130, 306.

ჯუათ ელენე 244.

ბ) მითოლოგიური არსებანი

ა

აბრამი 146.
აგუნა 113, 265.
ადგილის დედა 114, 140, 271. 352-54.
აინანა 37.
ალი 246.

ანგელოზი 85, 126, 134, 151, 152, 153,
ანთარი 163.
არხოტის ჭვარი 122, 288.
აფსათი 193.
აშექალი 117, 134, 244.

ბ

ბადური ბერი ბუქნაი 114, 123, 127,
151, 248, 248, 303.
ბელელა 133, 306, 313.
ბადაგონ 37.

ბარბალე 86, 87. 141, 103, 260.
ბოჩი 37.
ბორანია 35.
ბუქრა 209, 300.

გ

გა 36.
გაცი 36.
გიორგი დავლათიანი 259.

გონჯა 88. 111. 258, 259, 260.
გულანის ჭვარი 115, 122, 123, 270.

დ

დალი 39—46, 88, 89, 91, 94, 08, 104,
105. 194, 195, 198. 109, 200, 217.,
219, 227, 229, 237, 238, 241, 246,
248.
დალის შვილი 90, 91, 198, 20-202.
დანანა 37.

დეეები 93.
დეეების შელანია 133.
დღესინდელი 151.
დუმატხოს სამხთო მაღალი 157, 159,
161.
დურგა 168, 257.

ე

ელია 109, 110, 25 4,256-58.
ესკაისძე (წმ. გიორგი) 298.

ეშმაკი 146.

ვ

ვარსაკვლავები 32-33. 84, 161.
ვერხველი 311.

ვეშაგნი 124.

ზ

ზადენი 36.

ზენა ქარი 110.

თ

თევდორე 124, 161.

თერგვაული თერგაული 114, 298, 298.

ი

იახსარი 64-68, 114, 134, 135, 149, 325-45.

ისაკი 146.
ისრაილ 161.

კ

კვირია, 135, 149, 151 152 162.
კოპალა 58 64, 114, 117, 125. 128—136. 138, 49 — 58 163. 164, 270, 300—20.

კოპალა კარატიონი 115, 131, 161.
კოპალე ბოვრაცუიანი 142.

ლ

ლაზარე 88. 108, 248, 250-54 259.
ლაშარია 86, 87, 193.
ლაშარელა 52—58, 114, 129, 265, 266.
ლაშარის ჯვარი 118, 119, 120, 125, 136, 138, 144, 149, 163, 164, 269, 276, 279.

ლილე 82.
ლომისი 114, 126, 139, 140, 144. 157. 160, 297, 349.

მ

მასკელავი 85.
მარიამი 44, 155, 161.
მელანია დევთ-დედა 310.
მეფეუე 83, 85.
მზე 25—29, 35, 79, 80—86, 137, 150, 151, 161—70, 173—175.
მთაწარანგელოზი 82, 145. 149, 152—60, 271.

მთვარე 29—35, 79, 81—86, 137, 150, 161, 167.
მიქაელ ხევეგორისა 161.
მიქიელ წყაროსთავისა 157.
მორიგე 38, 39, 88, 127, 128, 129, 152, 193.

ნ

ნათლისმცემელი ივანე 140, 159, 160.

ო

ოროველი 88, 112, 113, 263, 264, 265.
ოქროპირი ივანე 149, 151.

ოჩოპინტე 107, 247, 248.

პ

პირიშუე 26, 157, 158-60.

პირქუში 68-71, 114, 120, 141, 152, 154, 287.

რ

რუთიაი 128.

ს

საშება 125, 126, 139, 144, 152, 153, 293.

სამძივარი 47, 52, 88, 105, 116, 117, 134, 152, 153, 193, 243, 244, 246, 248.

სანება ახოსწვერისა 153, 154.

სანება საფარისია 161.

სანება კმელგორისა 153.

სვეტიცხოველი 1256, 149.

სიონი 140.

სპარსანგელოზი 159, 160.

სუმბატა 299, 300.

უ

უფალი 121, 147.

ფ

ფიწალე 114, 138, 161, 163, 347, 348.

ფუძის ანგელოზი 126, 157, 198, 160.

ქ

ქავთარი 124, 292, 278.

ქრისტე 128, 146, 147, 150, 155,

ქაჩები 104.

ქაჩის ქალი 105.

ქვაბ-საყიდლის ანგელოზი 156.

ქრისტის ღელა 88, 116, 125, 147.

ლ

ლეთიშვილი 127, 137, 138, 150, 151, 152-55. იხ. ხეთისშვილი.

ლუღის ყოვლადწმინდა 188-160.

ყ

ყოვლად წმინდა 143, 159.

შ

შუბნური 129, 302—3.

შუქურ-ვარსკვლავი 84, 86.

ც

ცისკარი 83, 85.

ჭ

ჭვერის ანგელოზი 157, 158, 162.

ჭმ. გიორგი 101, 104, 114-16, 134, 137-141, 142, 149, 150, 153, 229, 233, 235, 238, 241, 24-45, 265, 268, 269, 270-71.

ჭმ. გიორგი ალავერდისა 125, 144.

„ ატოცისა 143.

„ არშისა 159,

ბახტრისა 140, 159, 160.

ბეთლემისა 243.

გურჯაანისა 143.

გომრეთისა 142.

გორიჯერისა 142.

გავაზისა 143.

გარბნისა 159, 160,

გომეწრისა 161.

წმ. გიორგი ერუსალიმისა 144.	ობარეშისა 159.
" " ვარდისუბნისა 143.	საგარეჯოსა 143.
" " ზენუნდრისა 144.	სახეოსი 161.
" " თელავისა 143.	საჩალისა 116, 272.
" " თელეთისა 143.	ქვაშეთისა 143.
" " თეთრი მინდორისა 153.	ქმოდისა 149.
" " კავთისა 143.	ქუშეთისა 159.
" " კალაუბნისა 143.	ლალანგის 159.
" " კასპისა 143.	ყინწვისისა 159.
" " კობისა 140, 159, 160.	ყირენისა 160.
" " კლდისა 145.	ყანანაზისა 159, 160.
ლომისისა 159.	ჩოჩეთისა 143.
ლაშარისა 161.	ჩოხისა 157, 160.
მამეხ 125.	ჩალაუბნისა 143.
მუხის ანგელოზო 156.	წინანდლისა 143.
მინდერისა 160.	წყაროსთავისა 141, 143, 152, 154.
მუხრუენისა 161.	წილკნისა 143.
ნიაბისა 143.	" " წიფორისა 157.
ნალეარისპირისა 153, 154, 155, 160.	" " ხადისა 158.
ნალეარმშეენიერი 156, 158.	" " ქარკისა 159, 160.
ოდიშისა 143.	წყაროსთაველი 354.

•

ქიხალე ხისოს შთისა 161.

ხ

ხადის მთავარმოწამე 158.	ხეთიშვილი 117, 121, 124.
ხახმატის ქუარი 115, 123, 125, 133, 139, 154, 157, 160, 161, 170.	

ა) ცხოველები

ა

არჩვი 91, 94, 101, 202, 104.

ბ

ვერძი 82.

თ

თეთრი შუნი 96.

თხა 102, 103.

ი

ირემი 129.

მგელი 90, 91, 296, 198, 199, 200.

ს

საყლა 98, 101, 102, 228, 236.

ბ

ყორანი 233.

ყურშა 216, 236, 237, 238.

ც

ცხვარი 79.

ძ

ბარი 82.

ჯ

ჯიხვი 91, 94, 101, 102, 104.

დ) გეოგრაფიული სახელები

აბუდელაურის ტბა 15, 318, 319, 342.

აბულეთაურთ ციხე 105, 106.

ავთანდილის საქანი 209, 305.

ავის გორი 136.

ალვან-წყალი 117.

ალავერდი 196.

ალევი 258.

ალვანი 137, 260

ალმატი 260.

ამლა 274.

არაგვი 157.

არბაჩხანი 361.

არკანა 113.

არმაზი 36.

არტანი 261, 306.

არხოტი 169, 274, 319, 349.

აფხუშო 308.

აჩხოტი 122.

აკარა 250, 253, 265.

ახალქალაქი 252.

ახალციხე 160.

ახეა 284.

ახიელი 122, 365.ც

ახმეტა 269.

აკადი 321, 324, 342.

ზ

ბაზალეთი 252, 319.

ბალიჯი 155.

ბარისახო 316.

ბაყილოვანი 338.

ბაცალიგო 68, 69, 287.

ბახვი 113.

ბახტრი 140.

ბეთლემი 125, 159, 160.

ბენარესი 168.

ბერშუეთი 152.

ბეღელთანა 301, 314.

ბეჩო 209.

ბოდავი 267.

ბორბალო 130, 131, 133.

ბორი 272.

ბურთუ სავანე 159.

ბუქურთა 161.

ბუჩუქურთა 243, 271, 272, 275, 287,

344.

ბ

გალავანი 249, 257.
გამარჯვება, სოფ. 283, 341.
გარეკახეთი 257.
გერგეტი 139, 158, 349, 251.
გეგლეთი 167, 245, 353.
გიორგიშინა 310.
გორიკაძე 317.
გომეწარი 313.

გოგოლათურთა 270, 281.
გორულთა 168.
გრემი 255.
გუგულაში 87.
გულამყარი 151, 158, 271.
გულანი 115, 22, 23, 270, 238, 239.
გულანი 115, 122, 122, 270, 238, 289.
გურია 265.
გურთ 308.

დ

დალის გამოქვაბული 102.
დართლო 342.
დიის გორი 322.
დიკლო 269.
დილ-ვორი 322.

დოლი 86, 87.
დოქოს მთა 163.
დოქუე 278, 313, 347.
დუმბაცხო 157, 159, 161, 297, 367.
დუშეთის სამება 159.

ე

ელია 255, 257.
ენაში 220.
ენისელი 255, 256.

ერთაწმინდა 254.
ერწო 316, 339.
ეცერი 266, 227.

ვ

ვესკეთილი 167.

ვეშაგურთ გორი 129, 304.

ზ

ზღუბლი 157.

თ

თავრარი 214.
თბილისი 255.
თელის ანგელოზი 154.

თიანეთი 340.
თოფანი 214, 215.
თუშეთი 125, 130, 267, 268, 270, 342.

ი

იალბუზი 158.
იანის მოედანი 224.
იმერეთი 93, 260.
ინდოეთი 168.
ირემთ კალო 149, 311.

ირი 257.
იფარი 93.
იყალთო 265.
იხინჯის მთა 308, 313.

კ

კავთისხევი 255.
კალა 93.

კარალეთი 293, 357.
კარატე 135, 308.

კაწალხევი 141, 288, 309.
კახეთი 151, 256, 257, 260, 265, 340.
კვირაცხოველი 110.

კოპალას ქვა 305.
კობი 140.
კურსეზი 170.

ლ

ლაბსყადი 87.
ლაკერაშის მთა 210, 211, 213.
ლატალი 193, 194.
ლაშარის გორი 136.
ლაჩამულა 93, 198, 215, 216.
ლებაისკარი 244, 321.

ლენტეზი 210, 217, 227, 261.
ლენჯერი 208.
ლენჩუმი 214, 216, 217, 221, 254, 255,
257, 259, 260, 265.
ლილო 254, 255.
ლომისი 214, 126.

მ

მაგრანეთი 334.
მაზერი 209.
მათურა 308.
მამაკაანთ ზვარი 110.
მარტყოფი 256, 257.
მალაროსკარი 308, 288, 309, 313.
მახათას მთა 255.
მერისი 264.
მესხეთი 264.
მესხეთ-ჯაეახეთი 244, 250, 253, 264.

მათუშეთი 267, 278.
მთიულეთი 151.
მიგრიაულთა 310.
მითხო 123, 230.
მლაშე 291.
მლეთა 126, 355.
მულახი 101, 198, 201, 203, 224, 215;
218, 220, 227, 230, 235, 239.
მუქალი 101, 218.
მუქუ 150, 310.
მცხეთა 126, 140, 161, 249, 257.

ნ

ნაღარი 118, 134.
ნინოწმინდა 259.

ნოგორის წვერი 142.
ნორიო 257, 258.

ო

ომალო 292, 338.
ონი 259.

ოსეთი 159.

პ

პალდო 285.

პანკისი 247, 338.

ჟ

ჟამური 348.

ჟინვალი 344, 369.

რ

რაქა 216, 217, 220, 247, 257, 259, 260,
360.

ზაგურამო 264.
ზაკანაფე 121.
სამთა 218, 220, 224, 225.
სამკიბალი 271.
სართიქალა 339.
სასაში 261.

ტერელო 130, 338.
ტიბრუში 241.
ტირიფონა 110.

უღე 264, 355, 357, 358.
უკანა ფშავი 267.
უშგული 293, 214, 216, 217.

ფადლაური 302.
ფარი 262.
ფარსმა 271, 281.
ფარსმის მთა 162.
ფიქვიანი 315.

ქარელი 142.
ქართლი 151, 251, 252, 264.
ქართლ-კახეთი 257, 260, 264.
ქაჩავეთი 105, 107, 216, 125, 275.
ქვაბსაკიდელი 156.

ლარი 258.
ლები 247.

ყაზბეგი 269.
ყვარელწყალი 247, 337.
ყვარა 308.

შავი კლდე 97.
შატილი 285.
შუაფხო 307, 315.

412

საყაქე მთა 332.
საჩალის მთა 271, 272.
სვანეთი 87, 93, 261, 262.
სიონი 350, 351.
სკრა 142.
სორი 259.

ტოლათ-სოფელი 316.
ტყვიავი 264.

უძილაურთა 312, 358, 361.
უჯარმა 257.

ფლეშე 367.
ფუქნარი 302, 288,
ფშავი 126, 265, 266, 270, 328.
ფშარაველი 258.
ფხოქეხა 130, 307.

ქვეშეთი 297.
ქიშბარიანი 296.
ქობის ბეთლემი 160.
ქსანი 110, 157.
ქუდიელი 133, 312.

ლუბისტავი 153, 154, 156.
ლულა 361.

ყირიმი 93.
ყუდრო 340.

შუახევი 251.
შუბანი 251.
შხარა 93.

ჩ

ჩაბანო 312.
 ჩიგილაურთა 360.
 ჩილო 267, 279.

ჩიკო 168, 308.
 ჩორდი 257.
 ჩუბეხევი 210, 214.
 ჩხუბა 68.

ც

ცივგომბორი 287.
 ციხეგორი 133, 149, 301, 308, 311.
 ცხუკუშერი 255, 257.
 წაწადის ტბა 340.
 წედისი 261.
 წევა 175, 260.
 წვირმი 93.

წინყარი 133.
 წირქოლი 110, 258.
 წკერე 297.
 წმინდა წვერი 149.
 წოვა 117.
 წოვათა 125.

კ

კანთე 130,
 კიდიანარი 262.

კოლაში 227.
 კორმეშაეი 243, 245.

ხ

ხალდე 235, 238, 240.
 ხაშრულა მდ. 310.
 ხაშმატი 167, 244, 275,—6, 317—18.
 ხიზაბაერა 354.
 ხისოს მთა 161, 163.
 ხეი 243, 350-51.
 ხეესურეთი 167, 243, 245, 269, 271,
 274, 276, 275, 287.

ხელთუბანი 243.
 ხმელგორი 114, 119, 137, 153.
 ხოვლე 110.
 ხორასანი 139, 349.
 ხორხი 309.
 ხოშარა 341.
 ხურვალეთი 10, 125.

ჯ

ჯახუნდერი 202.
 ჯერაბოსელი 268.

ჯეოქიერი 87.
 ჯოყოლო 338

შემოკლებანი და წყაროები

ა) ნაბეჭდი

- ალავ. ლეჩხ. — მ. ალაიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიანობა, 1951.
- არაყ. დას. — დ. არაყიშვილი, დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა წყობა, 1964.
- ასლ. ნარკვ. — შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, 1, 1954. 11, 1956.
- ბარ. — ვ. ბარნოვი, ქართული სიტყვიერების გაცვეთილები, 1919. თხზ., ტ. X, 1964.
- ბარდ. კალ. — ე. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1, ახალწლის ციკლი, 1939.
- ბარდ. ფშ. — ვ. ბარდაველიძე, იერის ფშაველებში, ენიშის შოამბე, ტ. XI, 1941.
- ბეგ. — თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, ქრესტომათია, 1940.
- გაბლ. — ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, 1927.
- გოგ. — ი. გოკენაშვილი, თხზულებანი, ტ. V, 1957.
- გომ. — გგ. — ხალხური პოეზია, რჩეული, შეადგინეს ალ. გომიაშვილმა და რ. გვეტაძემ, 1950.
- ეთნ. მას. — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, პროფ. გ. ჩიტაიას რედ., 1—VII, 1938—1955 წწ.
- ვირსალ. მთ. — ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. მთიულურ-გუდამაყრული, გამოსაცემად მომზადებული ელ. ვირსალაძის მიერ, 1956.
- თ. რ. ფშ. — ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის ჩაწერილი, მ. ჩიქოვანის რედ. 1953.
- თაყ. 1. — ხალხური სიტყვიერება, ტ. 1, ე. თაყაიშვილის რედ. 1916.
- თედ. — გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 1, II, 1939.
- კელ. — მ. კელენჯერიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ქრესტომათია, 1, 1920.
- კოტ. — ე. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934 წ., მეორე გამოც. ელ. ვირსალაძის რედ., 1961.
- მაკ. ხევი. — ს. მაკალათია, ხევი, 1934.
- მაკ. ახალწ. — ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1927.
- მაკ. თუშ. — ს. მაკალათია, თუშეთი, 1933.
- მაკ. რაჭა. — ს. მაკალათია, შთის რაჭა, 1930.
- მაკ. მესხ. — ს. მაკალათია, მესხეთ-ჭავჭავთვი. 1938.
- მაკ. მთ. — ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930.
- მაკ. ხევს. — ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1936.
- მაკ. ფშ. — ს. მაკალათია, ფშავი, 1934.
- მაკ. თუშ. ლ. — ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937.
- მთქმ. — მთქმელი.
- ნათ. — ხალხური ლექსები და ზღაპრები, შეკრებილი გიორგი ნათაძის მიერ, ს. ხუციშვილის რედ., 1950.

- ნოდ. — ჯ. ნოლაიდელი, აქარის ხალხური სიტყვიერება, ბათუმი, 1, 1936; 11, 1940.
- ოქრ. შრ. — შრომის სიმღერები, თ. ოქროშიძის რედ., 1961.
- ოჩ. — თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954.
- საუნჯ. — საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, 1—111, ა. ჭყონიას რედ., 1936—1937.
- სახ. მთქმ. — სახალხო მთქმელები, 1, მ. ჩიქოვანის რედ., 1956.
- სვ. — გ. სვანიძე, ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი, 1957.
- სვ. პ. — სვანური პოეზია, 1, შეკრებილი და თარგმნილი ა. შანიძის, ე. თოფურაძის და მ. გუჭეყიანის მიერ, 1939.
- სიხ. ქრესტ. — ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია, ქს. სიხარულიძის შედგენილი, 1, 1956; 11, 1961.
- სიხ. საისტ. — ქართული საისტორიო სიტყვიერება, 1. ქს. სიხარულიძის გამოცემა, 1961.
- სიხ. საბ. — ქს. სიხარულიძე, ქართული საბავშვო ფოლკლორი, 1938.
- სონდ. — ხალხური სიტყვიერების მასალები, შეკრებილი ჯ. სონდულაშვილის მიერ. ელ. ვირსალაძის რედ., 1, 1955; 11. 1957 წ.
- უთურგ. — თ. უთურგაძე, თუშური ეპოსი, 1960.
- უმიკ. — პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1. ფ. გოგიჩაიშვილის რედ., 1937.
- ფშ.-ხევს. — ფშავ-ხევსურული პოეზია, ივ. ზორნაულის შედგენილი. 1949.
- ქო. ფ. — ქიზიყური ფოლკლორი, ს. ებრაღიძისა და შ. ლლონტის რედ., 1940.
- ღლ. შაირ. — ა. ლლონტი, ქართული შაირები, 1941.
- ღლ. გურ. — ალ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, 1937.
- ყაზბ. — მოხ., — ა. ყაზბეგი, სახალხო ლექსები მოხევეთა და მოხევის სიმღერები, 1886.
- შემკრ. — შემკრები.
- შან. — ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1, ხევსურული, 1931.
- ჩამწ. — ჩამწერი.
- ჩიქ. ხალხ. — ხალხური სიტყვიერება, შედგენილი მიხ. ჩიქოვანის მიერ, სახელგამაჲ. 1940.
- ჩხიკ. სიმღ. — ქართული ხალხური სიმღერა. 1. პროფ. გრ. ჩხიკვაძის რედ., 1960.
- ცაიშ. თბ. — ს. ცაიშვილი, თბილისის ხალხურ შემოქმედებაში, 1958.
- კინჯ. — ალ. კინჯარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1961.
- კრედ. — თუშური პოეზია, კ. კრელაშვილის რედ., 1962.
- სახ. — ა. ხახანაშვილი, ქართ. სიტყვიერების ისტორია, 1904.
- დ. ხიზ. ფშ. — ფშავური ლექსები. შეკრებილი დ. ხიზანიშვილის მიერ, 1887.
- ნ. ხიზ. ეთ. — ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940.
- ხორნ. ფშ. — ვ. ხორნაული, ფშავური მილექსებანი, 1939.
- ხურ. — ვ. ხურაძე, ხალხური ზეპირსიტყვიერება საშუალო სკოლაში, 1936.
- ჯან. საინგ. — მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძვ. საქართველო, 11. 1913.

ბ) გამომუშავებული (არქივები და კოლექციები)

- ხალხ. შემ. სახ. — საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლის არქივი.
- კონსერვატ. — ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური შემოქმედების კაბინეტის ფონოგრაფიული არქივი.
- გორ. ინსტ. — გორის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტ. კათედრის ფოლ. არქივი.

- თელ. ინსტ. — ი. გოგებაშვილის სახ. თელავის პედაგოგიური ინსტიტ.
- თსუფა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივი.
- ქუთ. ინსტ.—ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართ. ლიტ. კათედრის ფოლკლ. არქ.
- პუშ. ინსტ.—პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის ფ. არქ.
- სოხ. ინსტ. — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტ. კათედრის ფ. არქ.
- ლიტ. მუზ. — საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობის ფონდი. ტექსტების ამომწერნი: 1. იორდანიშვილი მ. 2 კოტეტიშვილი ნ. 3. სახელაშვილი ნ. 4. შამფრიაანი მ. 5. ხუციშვილი, მ.
- ცენტ. არქ. — საქ. სსრ სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი. ტექსტები ამოწერა ი. ისაყაძემ.
- ფ. არქ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივი, სადაც დაცულია სამეცნიერო ექსპედიციების მიერ შეკრებილი ტექსტები და სხვადასხვა პირთა კოლექციები (1936 წლიდან):
მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიცია 1930 წელს. ხელმძღვანელი ვ. კოტეტიშვილი, წევრები: გოგოძე ე., ზვიადაძე დ., იაშვილი მ., მისიურაძე ი., მეძველია კ., მრველიშვილი მ., ჩავლეიშვილი ა., ყაზაიშვილი ს.
- ატენის ხეობის ექსპედიცია 1934 წ., ხელმძღვანელი ვ. კოტეტიშვილი, წევრები: დავითაშვილი ქ., დიღვესკი ი., ოქროშიძე თ.
- თემის ხეობის ექსპედიცია 1934 წ., ხელმძღვანელი ვ. კოტეტიშვილი, წევრები: გაჩეჩილაძე რ., დიღვესკი ი., რეხიაშვილი ნ., სოლოლაშვილი ქ., ხუციშვილი ს.
- ზემო სვანეთის ექსპედიცია 1936 წ., ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი, მონაწილენი: მარგინი ი., ქალდანი მ., შუშანია ე.
- გურიის ექსპედიცია 1936 წ., ხელმძღვანელი ა. ლლონტი, წევრი ა. ხინთიბიძე.
- მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიცია 1937 წელს. ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი. წევრები: მახარაძე ა., ტატიშვილი ნ., ცინცაძე ი.
- იყალთოს (ჯახეთის) ექსპედიცია 1938 წელს, ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი, წევრები დავითაშვილი მ., მახარაძე ა.
- დუშეთის ექსპედიცია 1939 წ., ხელ-ლი მ. ჩიქოვანი. წევრები: კალანდაძე გ., სიხარულიძე ქ., დამბაშიძე ქ.
- ხევსურეთის ექსპედიცია 1944 წ., ხელ-ლი ქ. სიხარულიძე. მონაწილე არჩევანში ე.
- მთიულეთის ექსპედ. 1945 წ. ხელ-ლი ე. ვირსალაძე, წევრები: ბურჯანაძე ქ., ოქროშიძე თ., ცანავა ა.
- ყვარლის ექსპედ. 1947 წ. ხელ-ლი ქ. სიხარულიძე, წევრები: ვირსალაძე ე., ოქროშიძე თ., ცანავა აბ.
- კახეთის ექსპედ. 1948 წ., ხელ-ლი მ. ჩიქოვანი, მონაწილე—ცანავა ა.
- ქართლის ექსპედ. 1949 წ., ხელ-ლი მ. ჩიქოვანი, მონაწილე—ცანავა ა.
- მთიულეთის ექსპედიცია 1950 წ., ხელ-ლი ვირსალაძე ვ., მონაწილე ოქროშიძე თ.

ტყეზულის ექსპედიცია 1951 წ., ხელ-ლი სიხარულოდე ქ., წვერები: გოგო-
ქური დ., ვირსალაძე ე., ოქროშიძე თ.

ფშავის ექსპედიცია 1956 წ., ხელ-ლი ა. ცანავა, წვერები: ბარდაველიძე ქ. ბარ-
ნოვი გ.

საჩხერის ექსპედიცია 1957 წ. ხელ-ლი ოქროშიძე თ., წვერები: ბარდაველიძე ქ.,
ბარნოვი გ., ზანდუკელი თ., მაცაბერიძე ვ.

საგარეჯოს ექსპედ. 1958 წ. ხელ-ლი ოქროშიძე თ., წვერები: მახარაძე ნ., მაცა-
ბერიძე ვ.

ქსნის ხეობის ექსპედ. 1959 წ., ხელ-ლი ა. ცანავა, წვერები: ბარდაველიძე ბ.,
ბარნოვი გ., მაცაბერიძე ვ.

გარე-კახეთის ექსპედიცია 1960 წელს, ხელ-ლი ოქროშიძე თ., წვერები: მაცაბე-
რიძე ვ., მსხალაძე ა., შამანაძე ნ.

ზესტაფონის ექსპედ. 1960 წელს ხელ-ლი ბარდაველიძე ქ., მონაწილე ბარნოვი გ.

ზემო რაჭის ექსპედ. 1960 წ. ხელ-ლი ვირსალაძე ე. წვერები: გოგიჩაიშვილი შ.,
რამიშვილი ლ.

კახეთის ექსპედიცია 1961 წელს. ხელ-ლი ჩიქოვანი მ., წვერები: არაბული გ.,
ასლამაზიშვილი ე., ბარდაველიძე ქ., გობრონიძე გ., გოგოქური დ., გოგოქური ნ.,
გოგოქური თ., გურგენაშვილი, ლ., კეშელავა ხ., კონსტანტინიდი შ., კოტეტიშვი-
ლი ნ., ლონგიშვილი ი., მაცაბერიძე ვ., მსხალაძე ა., პაპიაშვილი გ., სახელაშვილი ნ.,
ქეთელაური ს., ქიტიაშვილი ე., შეთეკაური გ., შიშმანაშვილი ა., შალიკაშვილი ე., შა-
მანაძე ნ., შაქრიაშვილი ნ., ცანავა ა., ცინდელიანი უ. ცქიტიშვილი ნ. წერდიანი დ.,
ჭავეჭავაძე ლ., ხორნაული გ.

ქართლის ექსპედ. 1961 წ., ხელ-ლი: ცანავა ა., წვერები: ალიბეგაშვილი ვ.,
ასანიძე ა., ასლამაზაშვილი ე., ბახია ს., გომბრონიძე ე., გოგიშვილი შ., ერქოშიანიშვი-
ლი გ., კაციანიშვილი ც., კუკავაძე თ. ლავრელაშვილი ვ., ლომთაძე ა., მაცეცხერიძე ვ.,
სივსივაძე ბ., ყაბანაშვილი გ., ჩინჩალაძე ი., წიკლაური მ., ხაიაური ა., ქალალოვი ა.

ზემო იმერეთის ექსპედ. 1961 წ. ხელ-ლი ბარდაველიძე ქ., წვერები: ავალიანი
თ., ბაიდოშვილი გ., ბარნოვი გ., გომელაური ნ., გუნთიაშვილი დ., დუმბაძე ნ., თევ-
ზაძე დ., თორდუა ლ., იუკურიძე დ., მარგველაშვილი თ., ოვანოვი ს., ქიქარაძე
ქ., ქანკაშვილი ნ., ლამბაშიძე ნ., ყოჩიაშვილი ა., შარაძე გ., ჩანტლაძე შ., ცანავა
ნ., ხინთიბიძე მ., ქმუხაძე ნ.

კახეთის ექსპედ. 1962 წ. ხელ-ლები: ბარდაველიძე ქონდო და გოგოქური დავითი,
წვერები: არაბული გ., ბერიანიშვილი ბ. ბილანიშვილი გ., გამცემლიძე რ., გვირაძე,
შ. ზაანიშვილი ლ., კაკულია ბ., ლავრელაშვილი ე., მამუკაშვილი ე., მაცაბერიძე ვ.,
მეტრეველი კ., სივსივაძე ბ ქეთელაური ს. ქიტიაშვილი ე., შეთეკაური გ., წიკ-
ლაური ბ., ჭავჭავიძე ნ., ქორჭაძე დ., ქუდელი ა.

ქართლის ექსპ. 1962 წელს, ხელ-ლები: ბარნოვი გ., მაცაბერიძე ვ., წვერები: ასა-
ნიძე ა., ბაიდოშვილი გ., გამცემლიძე რ., გოგ-შვილი მ., გოგოქური თ. ზანდუკელი
ფ., თევზაძე ლ., კუკავაძე თ., ლავრელაშვილი ე., ნაჭყებია ნ., ონიანი ო., სივსივაძე
ბ., ქიტიაშვილი ე., ქურდოვანიძე თ., ლოლობერიძე დ., წიკლაური მ., ქალალოვი ა.,
ჭაფარიძე ი.

რაკა-ლეჩხუმის ექსპედ. 1963 წ., ხელ-ლი მაცაბერიძე ვ., წვერები: ბერსენაძე ნ.
ბუაძე ზ., გულავა ვ., ლავრელაშვილი ვ., მირიანაშვილი რ., ქიტიაშვილი ე., წიკლა-
ური მ.

წყალტუბოს ექსპედ. 1963 წ., ხელში-ლი გოგოჭური დ., წევრები: ბარნოვი გ., ბეგიაშვილი გ., გოგოჭური ბ., მოსეშვილი ნ., ქარსელიშვილი გ., შამანაძე ნ., წიკლაური ფ., ჭავჭავაძე გ.

ვანის ექსპედ. 1963 წელს, ხელ-ლი ბარდაველიძე ჯ., ზანდუკელი ფ., წევრები: გიორგაძე დ., თარგამაძე გ., იოსელიანი ბ., ლომიძე გ., მიქუტიშვილი ხ., ქაშაკაშვილი გნ., ხინთიბიძე მ.,

გურიის ექსპედიცია 1963 წ., ხელ-ლი ცანავა ა., წევრები: სივსიაძე ბ., სუჯიაშვილი ლ. ქეთელაური ს. ჯორჯაძე დ.

ხევისტურეთის ექსპ. 1964 წლის ოქტომბერში: ხელმძღვანელი მ. ჩიქოვანი, წევრები: ლ. ბერიძე, დ. გოგოჭური, ი. ლორთქიფანიძე, ვ. მაცაბერიძე, თ. ოქროშიძე, გ. შეთეკაური ალ. ლლორტი.

მესხეთის ექსპ. 1965 წ. ხელმძღვანელი — თ. ოქროშიძე, წევრები ვ. მაცაბერიძე, გ. ბარნოვი, დ. წერდიანი.

მესხეთ-ჯავახეთის ექსპ. 1965 წელს. ხელ-ლი: მ. ჩიქოვანი, წევრები ვ. მაცაბერიძე, ვ. ჩიქოვანი, კ. ირემაშვილი, ი. ტაკიძე.

სამეგრელოს ექსპ. 1965 წელს. ხელ-ლი აბ. ცანავა, მონაწილე ნ. შამანაძე.

თეთრი წყაროს ექსპ. 1065 წ. ხელ-ლი ვ. მაცაბერიძე, წევრები: გ. შეთეკაური, რ. ბახურაული, ჩ. მეტრეველი, გ. აფციაური.

ქემო-ქართლის ექსპ. 1965 წ. ხელ-ი. ვ. მაცაბერიძე, წევრები: გ. გოგოჭური, ს. ქეთელაური, გ. ირემაშვილი.

ჩოხატაურის ექსპ. 1965 წ. ხელ-ი ელ. ვირსალაძე, წევრები: გ. ჭელიძე, მ. ხინთიბიძე.

სამეგრელოს ექსპ. 1966 წ. ხელ-ი, ა. ცანავა, მონაწილე ნ. შამანაძე.

ქართლის ექსპ. 1966 წ. ხელ-ი. ელ. ვირსალაძე. მონაწილე ჯ. ბარდაველიძე.

არანისის ექსპ. 1967 წ. ხელ-ლი ელ. ვირსალაძე, მონაწილენი: ფ. ზანდუკელი, თ., ოქროშიძე, მ. ჩაჩავა.

პალიასტომის ექსპ. 1969 წელს. ხელ-ლები: ცანავა და ჯ. ბარდაველიძე, წევრები: გ. ჭელიძე, გ. შეთეკაური, ნ. შამანაძე...

ფშავის ექსპ. 1969 წ. ხელ-ი მ. ჩიქოვანი, მონაწილენი: დ. გოგოჭური, ჯ. ბარდაველიძე, ნ. შამანაძე, გ. ბარნოვი, დ. წერდიანი, გ. შეთეკაური, გ. ჭელიძე.

მასალეების ამოწერა-შერჩევაზე მუშაობდნენ: ბარდაველიძე ჯ., ბარნოვი გ., გოგოჭური დ., დარჩია ბ., ვირსალაძე ელ., ზანდუკელი ფ., იორდანაშვილი, ისაკაძე ი., მაცაბერიძე ვ., მეტრეველი გ., ოქროშიძე თ., შამანაძე ნ., ჩიქოვანი მ., ცანავა ა. წერდიანი დ.

ხელნაწ. ინსტი. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერების ინსტიტუტი. ტექსტები ამოწერილია სხვადასხვა პირის მიერ:

ჯ. ბარდაველიძე — H 1916, 1933, 1944, 1947, 2453. 2454, 2456. 2458, 2491.

გ. ბარნოვი — H 1995—96, 1999 იდ, ით 2447, 2442, 2463, 2645, 3141.

დ. გოგოჭური — H 1968, 1990, 1992, 1933.

ფ. ზანდუკელი — H 1917, 1992 იდ. ე, ვ, 2616, 2626—28, 2636—37, 2642.

ი. ისაკაძე — S და Q ფონდები, აგრეთვე ცალკე პირთა კოლექციები: ა. ხახანაშვილის. პ. კარბელაშვილისა.

ვ. მაცაბერიძე — H 1992 იბ, ივ. იდ, იე, ივ, იზ.

თ. ოქროშიძე — H 1992, 2653, 2790, 3049, 3117, 3141.

ა. ცანავა — H 1992 ზ. ც. თ. ი.

ბ. ჩიქოვანი — H 1330, 1999, 2008, 2009, 2010, 2017, 2439—2946.

შ ი ნ ა რ ს ი

წინასიტყვაობა (მიხეილ ჩიქოვანი)	5
ქართული მითოლოგია და ხალხური პოეზია (მიხეილ ჩიქოვანი)	11

ნაწილი პირველი

მზე, მთვარე, ვარსკვლავები

1. მზეო. ამოდი, ამოდი	79	167
2. მზეო, მზეო	79	168
3. მზეო გამოდი	79	169
4. ქვეყნის სანთელი	80	169
5. მზე ჩაღმა ჩამავალია	80	170
6. მზე შინა და მზე გარეთა	80	170
7. მზე, მთვარე და ვარსკვლავები	81	176
8. ლილე	81	177
9. მზისა და მთვარის ბაასი	82	183
10. მზე და მთვარე	83	184
11. ახალი მთვარე	84	189
12. ზეცას ვიყავ	84	190
13. მთვარეს კაცი მოეგზავნა	84	191
14. მზის დაბნელება	84	191
15. გათენებისა მასკვლავი	85	191
16. მზეს რომ მთვარე გამოშორდა	85	191
17. დღეი სჯობია თუ ღამეი	85	192
18. დილის მზე	86	192
19. შუქურ ვარსკვლავი	86	192
20. ბარბალ დოლაში (დოლის ბარბალე)	86	193

მორიგე, კვირია, დალი, სამძივარი, ლაზარე, ორომელი, გონჯი

21. მორიგეც ღმერთო	88	193
22. დალილდ (დალი)	88	194
23. თვეთნე მანგურ (თეთრი მანგური)	92	208
24. ბეთვილ (ბეთქილი)	95	209
25. მეთხვიარ ჩორლა (მონადირე ჩორლა)	97	227
26. ქელსამძივარი	105	243
27. სამძივარას ნათქვამი	105	245
28. სამძივარა	105	245
29. ნადირთ პატრონი	107	247
30. ლაზარე — წვიმის მომყვანი	108	248
31. ლაზარე	108	251
32. ლაზარე — დარის მომცემი	108	252

33. ელია	109	254
34. ეს ელია, ელია	109	257
35. ა, ელია, ელია	109	257
36. ელიაო, მელიაო	109	257
37. ელია	109	258
38. გონჯაობა	111	258
39. გონჯა	111	260
40. გონჯოს ლექსი	111	260
41. გონჯა მოდგა	111	261
42. ბურო იარე, იარე	112	261
43. მეროლაშ ლავთვა (ღრუბლის გასაქრობი)	112	262
44. ოროველი	112	263
45. ოროველ, მოდი კალსა	112	264
46. პირველად ღმერთი ვახსენოთ	112	264
47. აგუნა	112	265

ლაშარი, ბერი. ბააღური, თერგვაული, კოკალა, იახსარი, კირაჟუმი,
ლომიანი, ფიჭალე, ადგილის დედა, გიორგი

48. ლაშარელაის ლურჯასა	114	265
49. ლაშარის ჯვარი ჯავრობდა	114	267
50. დღესამ დღეობა ვისია	115	267
51. ჩვენის ბატონის კარზედა	115	269
52. ყრუია ხახმატის ჯვარი	115	270
53. საჩალის წმ. გიორგი	116	271
54. ქაჯავეთ რად იარებში	116	274
55 — 58. გიორგი ნუ გაიქცევი	116	276
59. ქაქმატის გიორგი	117	276
60. ლაშარის ჯვარი	118	276
61. ლაშარის ჯვარისა	118	278
62. ბრძანებდა ლაშარის ჯვარი	119	279
63. დიდობდა ლაშარის ჯვარი	119	280
64. ფშაველთა ლაშარის ჯვარი	120	280
65. თამარ დედუფალი და ლაშარის ჯვარი	120	284
66. პირქუში მკეთეი ყაწიშისაო	120	285
67. ამბობდა გუდანის ჯვარი	122	288
68. გუდანის ჯვარი	122	288
69. ბაადურს გუდანის ჯვარსა	123	291
70. ხევსურებ ბედავს ლაშქარსა	123	291
71. ლადი გუდანის ჯვარიო	123	291
72. მოდიან, მოძახიან	123	291
73. თვედორე და ქავთარისა	124	292
74. ალვა	124	292
75. სალოცაეები	125	294
76. თუშეთის წმინდანები	125	296
77. ლომისის ჯაჭვი	126	296
78. ბრძოლაში დასაფარავი	126	297

79. კაფია	126	297
80. ღეთიშვილთ დაბადება	127	297
81. კოპალა	129	302
82. კოპალას გაღმარჩევები	130	306
83. კოპალავ, მშვენნიერო	130	307
84. კოპალამ კარატიონმა	131	308
85. კოპალა კარატიონი	131	309
86. გმირო კოპალაო	131	309
87. გმირი კოპალა	131	309
88. ხატის ლექსი	132	310
89. დევეების მელანია	133	310
90. არ გეშინია კოპალე	133	313
91. მშვილდ-ქაიბური ბერისა	133	314
92. იახსარი და კოპალა	134	314
93. მე გეხევეწები იაქსარსაო	134	314
94. იაქსარი	134	315
95. ბრძანებდა დამბადებელი	137	346
96. ფიწალე	138	347
97. გულის კერძება	138	347
98. ნაბღებურ გამასთელევედა	138	147
99. შე ხახმატის ჯერის დროშაო	139	348
100. ხორასნის ლაშქრად ვიყავითო	139	348
101. გერგეტულა	139	349
102. პირმა დაგლოცასთ ღეთისამა	140	351
103. ვარდობის დღეობა	140	351
104. ადგილის დედაო	140	352
105. წყაროსთაველი	141	354
106. თავადი წყაროსთაველი	141	354
107. წმინდა გიორგი ცხენზე ზის	141	355
108. პირველად ღმერთი ეახსენოთ	141	355
109. ამღენი ლაპარაკითა	142	355
110. გორიჯერის წმინდა გიორგი	142	355
111. ძილისა	141	355
112. ცა ქეხდეს	142	355
113. საღლეობო	143	355
114. ეს ჩვენი წმინდა გიორგი	143	356
115. გიორგის სალოცავები	143	356
116. წმინდა გიორგის მშვენება	144	357
117. აჰა, წმინდა გიორგი	144	358
118. წმინდა გიორგის ყმა ვარო	144	358
119. ალავერდს წმინდა გიორგი	144	358
120. ალავერდს ჭაჭვი კიღია	144	358
121. წმინდა გიორგი კლდისაო	145	358
122. წმინდის გიორგის კარებზე	145	358
123. ახტატის კალო შეიკერის	145	360
124. წმინდა გიორგიმ დაკმაზა	146	360

სადიდებელი

125. დიდება შენდა	147	361
126. შენამ ილიდები	149	361
127. ხალხთა დამფარველო	149	261
128. დიდება	150	361
129. დიდება ღმერთსა, დღესა დღესინდელსა .	151	361
130. წინას კიქა-ბარძიმზე	153	364
131. პირველ კიქა-ბარძიმზედა	153	364
132. წინა სანთელ-კიქა-ბარძიმზედა	153	364
133. წინა კიქა-ბარძიმზედა შენ გადიდას	154	364
134. ქრისტე ღმერთო	155	364
135. წინა კიქა-ბარძიმითა	156	365
136. ღმერთმა ადიდას შენი ძალო	157	365
137. ღმერთო, გაუმარჯვე	157	365
138. ლომისას სადიდებელი	157	365
139. დიდება ღმერთსა	158	366
140. მოხეური სადიდებო	159	366
141. პირიშის სადიდებელი	159	367
142. დიდება ღმერთსა და მადლი ღმერთსა	160	367
143. თუშური ჭვარული	160	367
144. ძალო კვირაისაო	161	368
145. ფერქისა	161	368
146. დამწყალობება	162	268
147. მარიობის მობრძანება	163	368
148. ზეციერო ანთარო	163	369
149. ჭერეთ ვადილოთ ლაშარო	163	369
150. პირველად ღმერთსა ვახსენებთ	164	369

ნაწილი მეორე

შენიშვნები და ვარიანტები	167—369
Издание грузинской народной поэзии	370
Publication of Georgian folk poetry	372
ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი	375
ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი	389
ლექსების ანბანური დასახელება	389
ავტორები	395
მთქმელები	398
ჩამწერ-შემკრებნი	401
პერსონაჟები:	
ა) ადამიანები	403
ბ) მითოლოგიური არსებანი	405
გ) ცხოველები	408
გეოგრაფიული სახელები	409
შემოკლებანი და წყაროები	414

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი მ. ჩიქოვანი
გამომცემლობის რედაქტორი ე. კოდუა
ტექნორედაქტორი ნ. თაყაიძე
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი მ. მახარაძე

გადაეცა წარმოებას 28.5.1971; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.9.1972;
ქალაქის ზომა 60×84/16; ნაბეჭდი თაბახი 26.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 23.32; უე 01152; ტირაჟი 15000; - შეკვეთა 1306;
ფასი 2 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба» АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Грузинская народная поэзия
том I

Мифологические песни

КНИГА ПЕРВАЯ

Редакция, вступительная статья, комментарии и словарь
проф. М. Я. Чиковани